

„მეცხრე მთაც გადავიარეთ“ მომდევნო წიგნია „ჩვენი სამშობლოს“ სერიიდან.

ამ წიგნის გმირებმა კვლავ განვლეს ახალციხე, ადიგენი და გოდერძის უღელტეხილით ჩავიდნენ აჭარისწყლის ხეობაში. აი, მათი მარშრუტის სქემა უღელტეხილიდან: გოდერძი, ხულო, შუახევი, ქედა, გონიო, ბათუმი, კობულეთი, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ჩოხატაური, ვანი, ბაღდათი, ზესტაფონი, ჭიათურა, საჩხერე, გომი. რუკას რომ დახედოთ, დაინახავთ, რომ აჭარა-იმერეთის ქედს ირგვლივ შემოუარეს და შემდეგ კორტოხით (ლიხის ქედი) გადმოვიდნენ ქართლში.

საერთო დიდი გზიდან მათ აჭარა-იმერეთის ქედი ორგან გადაკვეთეს: ბახმაროდან გადავიდნენ აჭარისწყლის ხეობაში და ბაღდათი აბასთუმანში, სადაც ყანობილის მთაზე დაათვალიერეს ობსერვატორია. ღამეს ცის ქვეშ ათევდნენ; თუ წვიმის საშიშროება იყო, კარვებს დგამდნენ.

გზადაგზა ბევრი რამ გადახდათ, დაიღალნენ კიდეც, მაგრამ ძალიან ბევრი ნახეს, ბევრი გაიგეს, უფრო ბევრი ისწავლეს და შინ ბედნიერნი დაბრუნდნენ. თხრობა ყოველთვის გზას არ მიჰყვება, ზოგჯერ საკითხის განხილვა მგზავრებს უკანაც აბრუნებს.

### მთის სიმფონია

*ლაზთა რბევა, სისხლის ტბორით*

*შეღებილი ქართლ-კახეთი!*

*რაჭა-ლეჩხუმია შორით,*

*ახლო-მესხეთ-ჯავახეთი.*

### გალაკტიონი

#### ტანჯული ქალაქი

– აწყური ისე გავიარეთ, რომ არც კი შევჩერდით, – თითქოს დაიკვნესაო, ისე წაიდუდუნა ერეკლემ.

– რომ შევჩერებულყავით, დავიგვიანებდით, სერგოს ხომ უნდა გავუაროთ ახალციხეში. პირობა კაცს ცოლს წაართმევსო, ხო იცი?

– ვაზს გვერდი აუარეს და, კრიკინავ, გამარჯობაო. მართალია, სერგო კრიკინა არაა, იქნებ ბუდეშურიც იყოს, მაგრამ აწყური ერთ-ერთი ძველი ციხესიმაგრეა, ჩვენს მატთანებში მეათე საუკუნიდან ჩანს. თვით აწყური ქალაქიც ყოფილა. ეპისკოპოსიც მჯდარა – მაწყვერელი.

– ძველი გზა აწყურზე გადიოდა, სავაჭრო, სწორედ ამიტომაც მტერი არ ასვენებდა. მესხეთის ოსმალთა დაპყრობამდე აწყურის ციხე ჯაყელების რეზიდენცია ყოფილა.

„ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე“, – მოიგონეს სიმონ ჩიქოვანის სიტყვები, – ყველა ციხე დიდია, სისხლით შეღებილია.

– აწყური რამდენჯერმე შემუსრეს, მიწასთან გაასწორეს, მაგრამ კვლავ აგებდნენ, ამაგრებდნენ. 1770 წელს აქ ერეკლემაც უკვილა თავისებურად ოსმალებს, მაგრამ...

– რა მაგრამ? ტოტლებენმა უღალატა... – ვერ მოითმინა ერეკლემ.

– საოცარია, ერთ საუკუნეში ორჯერ დაღალატება.

– ??

– 1724 წელს ვახტანგი ხომ მიატოვეს...

„რაფი“ კი მიჰქროდა ახალციხის შარაზე და სოფელ წნისს მიუახლოვდა.

მინდია მანქანა შეაჩერა და ძველებურად მსუბუქად გადმოხტა. პატარა გორაკის ფერდობზე ფეხმარდად აირბინა და ეულ ხესთან დადგა. გოგიამ თავი გადააქნ-გადმოაქნია, თან ჩაიცინა.

– რას იცინი, გოგი?

– აღმართმა თქვა, ვაჟკაცი მოვალე და ბერიკაცმა მე მომღალაო...

– ეგა? უბერებელია! გარეთ გასული კაცი ქვაზე მაგარია.

– ეჰ, ისიც მართალია, რომ გრძელ გზასაც ბოლო აქვს.

ამ დროს მინდია მხეს ერთი პატარა ტოტი მოატეხა და ჩამოიტანა.

– ეს ხომ კნაპაა, თავისებური კუნელი, ხრიოკების მცენარე, – განმარტა ერეკლემ უფრო იმიტომ, რომ მამისთვის ეთქვა: გვახსოვსო.

– ეს მართალია რომ წნისთან ერთი ჭკუის კოლოფი მტკვარს აგუბებდა?

– ეგ ვიღამ გითხრა? – გაუღიმა გიორგიმ.

– ქვეყანა სავსეა კარგი და ძველი ამბებით. საკურსო თემის დამუშავების დროს ძველ გაზეთში შემხვდა.

– მართალია. ინჟინერი იყო ერთი, საკმაოდ ნიჭიერი კაცი. აქ მტკვარს აგუბებდა გვირაბით ხვრეტდა ქედს და რიონს უერთებდა.

– რათაო, რიონს წყალი აკლიაო? – ჩაერთო გივი.

– მიეცეს და მიემატოსო, – დაუმატა ვახტანგმა.

– თავისთავად პროექტი ჭკუამახვილურია, ლამაზი და ამან გაიტაცა...

– მარტო სილამაზე ხომ არ არის საქმე. მაგ პროექტს მადლი არა აქვს, აღმოსავლეთ საქართველოს ისედაც წყალი აკლია, ეგ კი წყალმრავალ რაიონში სამხრეთის ყველა მდინარეს უერთებდა.

– ეგ უკვე ისტორიაა, დღეს ცოტადა კეთდება მომავლის გაუთვალისწინებლად.

– ეს იმას ჰგავს, ახლა რომ რიონს სხვა კალაპოტში ადებენ, განა გვჭირია?

– რა ვქნა, თქვენ ამ საქმეებისა რა იცით?

– მამი, შეხედე, – და ერეკლემ აბიზინებულ უღვაშზე ხელი გადაისვა – მე ხომ მეხება, როგორც მომავალ ინჟინერს.

გიორგის გაეღიმა. ისე დაეზარდნენ ბიჭები, ვერც კი შეამჩნია. დღემდე ისე უცქეროდა, როგორც მებაღე ჩქოლს<sup>1</sup>, ახალამოყრილ ხეს.

– თქვენ თხასავით არ მოგივიდეთ, რომელმაც თავი წამოყო, მღვდლად მაკურთხეთ, მეც წვერი მაქვსო, ის კი არ იცოდა, წვერის გარდა სხვაც იყო საჭირო.

– ეგეც მართალია, ჩხუბში ისეთ სიტყვას ნუ იტყვი, შერიგების დროს შეგრცხვესო.

– ნიკორა გაატყავეს, რატომ დედა არა გყავსო, – მაინც ჩაერია ვახტანგი. მამას ისიც მოეწონა, რომ მისი ბიჭი ასეთი ხსოვნით იყო, მაგრამ არ შეიმჩნია.

– მართალია, ბიჭებო, მეტი დაფიქრებით უნდა ყოველ საქმეს მოკიდება. მცოდინარი მტერი უცოდინარ მოყვარეს გერჩიოსო.

გააბეს გრძელი საუბარი, რომელიც ჩვენი ქვეყნის საქმიანობას და ავ-კარგს შეეხებოდა.

საუბარში ისე გაერთნენ, რომ ვერც კი შენიშნეს, ახალციხეში როგორ შევიდნენ.

აი, ესეც ჩვენი ტანჯული ახალციხე, მართალია, თავის ხნოვანებით ბევრ ჩვენს ქალაქს ჩამოუვარდება, მაგრამ XII-XIII სს. თორელებს ეკუთვნოდა. გახსოვთ შალვა და ივანე ახალციხელები – შამქორის დიდი გმირები? შალვას შემდეგ თორელები დაუძღვრებულან და XIV საუკუნიდან ახალციხე ჯაყელების ხელშია, ეს ქალაქი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი იყო. ამიტომ ხშირად აწიოკებდნენ, ანგრევდნენ, განსაკუთრებით დიდი უბედურება დაატყდა თავს მონგოლების დროს. მეცამეტე საუკუნეში, დამკვიდრდა თუ არა ოსმალეთი მცირე აზიაში, ჩრდილოეთისაკენ მოაპყრო თვალი. პირველ რიგში შავშეთ-ერუშეთის, ტაო-კლარჯეთისა და მესხეთ-ჯავახეთის აწიოკება დაიწყო და ბოლოს, დიდი ბრძოლების შემდეგ, 1828 წელს, რუსის ჯარებმა მესხეთ-ჯავახეთი კვლავ შემოუერთეს საქართველოს. ამ დროს აქ ჩვენი პოეტი გრიგოლ ორბელიანიც იბრძოდა თურმე. ახალციხის ციხე მაგარი იყო, მაგრამ გასტეხს ქვასაც მაგარსაო, ხომ გაგიგონიათ. ოსმალთა ხელშიც ქართველობა არა ტყდებოდა, ქალაქში ქართველობა ბევრი იყო, ზოგი კათოლიკე, ზოგი მაჰმადიანი, ზოგი მართლმადიდებელი... ოსმალთა კათოლიკეებს ხელს არ ახლებდნენ. აქეზებდნენ კიდეც, ამ რჯულზე გადასულიყვნენ. ამაში მართლმადიდებელი ქართველობის მართლმადიდებელი რუსეთიდან ჩამოშორების გზას ხედავდნენ. მაგრამ ვერას გახდნენ, თუმცა ბევრჯერ ყმაწვილების კალოც ლეწეს, ხშირად აქაურებს ისეთი დღე ადგათ, ქვაც კი ატირდებოდა.

მუზეუმის კარში სერგო შეხვდათ. სახე გაეზარდა, მიწას ფეხს არ აკარებდა, სულ დაფრინავდა. ვიცოდი, პირობის კაცი იყავი, მაგრამ ასე ზუსტად თუ ასრულებდი, არ მეგონაო, – ეუბნებოდა გიორგის.

მზე გადახრილი იყო, როდესაც სერგოსთან სუფრას აუმატეს<sup>2</sup> და წამოიშალნენ. მასპინძლები ეხვეწნენ, მაგრამ არ დადგნენ. დღეს გოდერძზე ავალთ და საქმე წინ წავადებულები იქნებაო.

### ყველა თავისას ჩიოდა

გოდერძის ზეკარზე<sup>3</sup>, მესაზღვრეები დახვდნენ. როდესაც სერჟანტმა გაიგო, ვინც იყვნენ, ქედის პირიქით გაუძღვა და ერთი ნაძვის ძირას მიიყვანა.

– ეს იყოს ამაღამ თქვენნი სახლ-კარი, ჩვენი ბიჭებიც აქვე არიან, დილით ნახავთ, – ვახტანგმა ერთი კახური საზამთრო გადმოიღო და მიართვა, რითაც ძალიან გაახარა.

პატარა ხრამში წყაროც მიწანწყარებდა, შორიახლოდან ხმები ისმოდა, „ესენი აჭარლები არიან, საქონელი ამოურეკიათო“ – განმარტა გიორგიმ.

მინდიათ გადმოიღო ნაბადი და გაშალა, თან დაუმატა:

– ბევრი უნახავს ნაბადსა წვიმა და ავი დარბო.

ერეკლე ლაბადას მისწვდა.

– ვირი გარბოდა ცხენთანაო, მეც ბედაური შენთანაო. სად ნაბადი, სად ლაბადა. ნაბადი სიცივეში თბილია, სიციხეში გრილია...– გაეკამათა ვახტანგი.

ქილიკაობდნენ, თან საძილე ტომრებს შლიდნენ. გივი და გოგია ვახშმის თადარიგში იყვნენ, არ შიოდათ, მაგრამ ყოველი შემთხვევისათვის, თადარიგი კარგიაო, – მოაგონა მინდიათ.

– ჰო, ახალგაზრდობაში შენახული სიბერეში ხმალიაო! – გამოსძახა გივიმ.

– მართალია, ერთხელ მახათას მთაზე მცხოვრებსაც დასჭირდა მახათიო. მთაა, რა ვიცი, როგორ გადაიქუხებს ეს ღამე, – ჩაერთო გოგია, – და გექონდეს მზად.

ის-ის იყო, ცეცხლი აანთეს, რომ თავს ერთი მოხუცი წამოადგათ.

– კაი გამარჯობა თქვენი!..

– ამაზე კი მადლობელი, მაგრამ ჩვენს იაილაზე<sup>4</sup> მობრძანებულხართ, ცის ქვეშ რჩებით, ან თქვენ როგორ გეკადრებათ, ან ჩვენ. აქ სახლები გვაქვს. იქამდე ქაშანი<sup>5</sup> ან წავარნა<sup>6</sup> კი არ არის. შარაა, ბატონო. წამობრძანდით, ბატონო, ბუხარიც მხიარულად<sup>7</sup> დაგხვდებათ.

ბევრი არწმუნეს, აუხსნეს: ასე გვირჩევენიაო, მაგრამ მოხუცს სახეზე ეტყობოდა, ნაწყენი იყო.

– ეჰ, ბატონო ჩემო, – მიმართა მინდიას, – ამ ჩემი ცხოვრების ბოლოს მინდოდა ამ მთაში ქართველებთან პური ერთხელ კიდევ გამეტეხა.

– რადა ბოლოს, ზიდავ და პაპა? ჯერ ბოლო შორსაა, – მოკრძალებით მიმართა ერეკლემ.

– ჩემს სწორად მოიყარე, ვაჟკაცო, ცას ხომ არ შევაბერდები, ჩემი ცხოვრების შულო<sup>8</sup> ამოვახვიე უკვე. რაკი სტუმარი ეწვიათ, გიორგის, გივის და გოგის სუფრა უკვე გაეწყოთ. მოხუცი მიიპატიჟეს, უკან დაიხია. როგორ, სტუმართან მასპინძელი სტუმრად მივიდეთ?

არ მოეშვნენ, სახელი ჰკითხეს.

– წინათ მამედს მეძახდნენ, ახლა კი შვილიშვილებმა სახელი შემიცვალეს, მამიას მეძახიან, – თან გაიღიმა, – მამია კარგი სახელია, – შეეხმაურა მინდია.

– კარგიცა და ავიც გრძელი ნაბიჯით დადის ამ ქვეყანაზე.

მანც დაიყოლიეს, სუფრას შორიახლო მიუჯდა, ხილს შეექვა, გული კი ეთანადრებოდა. ბევრი რამ უამბო: ჩვენი სოფელი 1914 წელს ხან თურქებმა ააოხრეს, ხან რუსთა მეფის ჯარმაო.

– ჩემი სოფლის ჭირიცა და ლხინიც კალთით მიტარებია, რას ვიზამ...

– აქ რადა ხარ, ზიდავ? – ჰკითხა გივიმ.

– აქ საქონელი გვყავს. მემთევრეობა<sup>9</sup> უკვე თითქმის ორი თვეა დაიწყო. საქონელს ქალები უვლიან, მემთევრეები, ერთი მათგანი კი მთავარი მემთევრეა.

– ლელა, ეგ შენ უნდა ნახო და ჩაიწერო, ჩვენ ქალები არას გვეტყვიან, – უთხრა ერეკლემ.

– ვითომ რადაო?

– კაცები ვართ და კაცებს ჯერჯერობით მანც ერიდებიან.

– მართალი კია, მაგრამ ეგ ძველებს შეეხება, თქვენი ჰკუისანი, შკოლაში ნამყოფნი, ისე არიან, როგორც თქვენ, – განმარტა მამიამ.

– ვინ მწყემსავს, ისევ ქალი?

– არა, მწყემსად ორი-სამი კაცია სოფლიდან გამოყოლილი.

**ბუნების სიმფონია**

კიდევ დიდხანს ისაუბრეს და, როდესაც ცაზე ხომლი წამოიწია, როდესაც ნაკვერჩხლები ჩანავლდა, მოხუციც წასასვლელად მოემზადა. ლელას დაჰპირდა, ხვალ ჩვენს მემთევრეებს გაჩვენებ და წერე, რამდენიც გინდაო.

მოხუცს ვახტანგი გაჰყვა, მოკლეზე მოჭრა მოინდომა და ღირღალი<sup>10</sup> დახვდათ. შემდეგ კი მცირე უღნარი<sup>11</sup> ტყეც გავლეს. გზა უღალი<sup>12</sup> იყო, ვახტანგი კმაყოფილი იყო, რომ ამ მოხუცს აცილებდა.

– ხვალ დილით მოვალ, შვილო, – დაუგდო სიტყვა ვახტანგს, – არსიანისა მთაზედა პატარძალი თამაშობდა, არც ცა იყო მადლიერი და არც რა ქვეყანაო, – დაატანა.

– მაგას რადა ბრძანებ?

– აბა რა? რას მეტყვიან ჩვენები, რომ შინ ვერ წამოგიყვანეთ?

ვახტანგმა სწრაფად იძრო წიგნაკი და იქვე ჩაიწერა, მოხუცს გაეღიმა და სახეზე ნათელმა გადაუარა.

ვახტანგი რომ ბრუნდებოდა, ცაზე უკვე კარგად ენთო. გუთანი, ხომლი, ჩრდილოეთის ვარსკვლავიც უფრო კიაფობდა. როდესაც ბანაკს მოუახლოვდა, მინდია უტევდა: დაიძინეთ, დროაო.

– აბა, ვახტანგ, რადას უცდი, თქვი: ადრე ამდგარსა კურდღელსა ვერ დაეწევა მწვეარი-თქო, – გაკილვანარევი კილოთი უთხრა ერეკლემ.

– რათა ეგა, ადრე ამდგარი ჩიტი ნისკარტს იწმენდდა, გვიან ამდგარი – თვალეხს იფშვნეტდაო... – და გამეტებით დაასკდა ერეკლეს.

ის კი წამოფრინდა, ქვეშ მოიქცია, კარგა ხანი იბუღრავეს. ბოლოს ბიჭებმა გიორგის ულტიმატუმი წაუყენეს, გვიამზე რამე შენი თავგადასავლებიდან, თორემ ავდგებით და თავს უსიანს<sup>13</sup> მიცემითო. ხომ იცი, კაცი მიდის და სიტყვა რჩებაო.

– კარგი, კარგი... ერთ ზაფხულს შუა კავკასიონზე ვმუშაობდი, – დაიწყო გიორგიმ, – უფრო ხშირად გამყოლი ქედის დასაწყისში, იალბუზის მიდამოებში. ერთ წყნარ საღამოს მცინვარიდან გვიან დავბრუნდი, ბევრი სამუშაოც მქონდა, ჩემს კარავში ავანთე სანთელი და დიდხანს ვმუშაობდი, ვწერდი, ვანგარიშობდი. ხანდახან მეზობელი კარვიდან ამხანაგების ხვრინვა მაგონებდა, რომ მარტო არ ვიყავ. დავიღალე და კარში გამოვედი. ხარიპარია ვარსკვლავს ამოეჭყიტა თვალი. ჩემს ღამისმეხრეობისდროინდელ მეგობარს გულიანად გავუღიმე. ბნელ ცაზე სხვა წვრილი ვარსკვლავები ციმციმებდნენ, მაღლიდან, ძალიან მაღლიდან, ჩამოკრთოდნენ. კარავში შემობრუნებულს უცბად ჩამემინა.

თითქოს რაღაცამ დამკრაო, ანაზდეულად გამეღვიძა, ამხანაგებს ჯერ ეძინათ, გამოველ კარში.

გამოველ კარში და...



საზაფხულო სახლები საძოვარზე (გოდერძის ზეკ.)



საზაფხულო სახლი საძოვარზე (გოდერძის ზეკ.)

უცბად ჩავერთე ბუნების საერთო ზეიმში, რაღაც ახალი გრძნობით მივხვდი, რომ მეც აქაური ჰაერის, ბალახის, მზის, ცის, მიწის, კლდის, მდინარის ნაწილი ვიყავი.

მზე ელვარებდა, ბრწყინავდა, მაგრამ თვალს არ სჭრიდა, სხივები ოქროს ლარებივით იყო ჩამოშვებული, ზოგჯერ თითქოს კანკალებდა, ზოგჯერ კი იჭიმებოდა და მარგალიტის მძივებად იმტვრეოდა. საოცარი იყო, მზის სხივი წკრიალებდა, სწორედ წკრიალებდა, ვერცხლის პაწაწინა ზარივით რეკდა და გამჭვირვალე ჰაერიც ივსებოდა ამ უცნაური ხმებით. მღეროდა ცის ნამი, რომელიც ყვავილთა ფოთოლზე ბრწყინავდა. მღეროდა წყარო, მღეროდა, და არა გალობდა, ტოროლაც, მაღლა ცაში. მზის გადაღმა ჩანდა ლურჯი და ღრმა ცა შორს, შორს; მისი ლაყვარდი სულსა და გულში გედვენებოდა, თითქოს სისხლე შეერთო, და საოცარია, რომ ამ გრძნობას სისხლში შემოჰქონდა მზის ყოველი წკრიალა და მოელვარე სხივი და მეც მემღერებოდა...

მღეროდა ირგვლივ ყველა – ფუტკარი, პეპელა, ფარვანა, ყვავილი, ქვა და წყარო, რომელიც ქვიდან ქვაზე გადაჩქეფდა, ზოგჯერ კისკისებდა, ზოგჯერ თითქოს მარტო იღიმებოდა და თითქოს უხაროდა, რომ მისკენ იყვნენ დახრილნი პირიმზე და გვირილა, თამარის ქოშები და კესანე, ციურა და ცისთვალი, ლაშქარა და დეზურა; უნდოდა ჩახეხვია მკერდში, აკი, უკვე ჩანდნენ კიდეც მის პატარა სარკეებში და სამუდამოდ უნდოდა დაეტოვებინა იქ; ამ დროს წამით ჩერდებოდა, ჩაიმუხლებდა, დაწყნარდებოდა, გაიტრუნებოდა, მაგრამ უმაღლ შიკისკისებდა, ჰაერში გაიკრიალებდა მისი საგალობელი, შეუერთდებოდა საერთო საზეიმო ხმებს და თავდავიწყებით დაემვებოდა ქვევითკენ.

უცნაური იყო, ეს კისკისი, ლიკლიკი, წკრიალი, ზუზუნი და ათასი ხმა ერთი ადგილიდან კი არ მოდიოდა, არამედ ნაკადულს თან მოსდევდა შორიდან, მაღლიდან და ირგვლივ მთელი ჰაერი, მთელი სივრცე სავსე იყო ამ ხმებით.

აგერ შორეული მთებიც, ლურჯად ჩამუქებულნი; ისინიც ბანს აძლევდნენ ბუნების ამ მეჯლისს. მღეროდნენ მდელოები, თოვლიანი მთები, შორეული ბამბის ქულასავით გაუპენტავი ღრუბლები, თითქოს უკვდავება შეჩერდაო წამით.

და უცბად იქვე მოუსვენარი წყარო კვლავ ალიკლიკდებოდა, ამ ხმებში ზოგჯერ ჩაერთვებოდა ზემო სათიბიდან მწყრის ჩამომახილი, მაღლა ცაში კი ფასკუნჯისა და ზერას უხმაურო დავლური...

როდემდის ვიყავი გარინდებული და სმენად გადაქცეული, არ მახსოვს; ძლივს ამოვისუნთქე, თითქოს გული ამოიტანაო და გავშალე ხელი; მეც მომინდა აფრენა, ცაში წრის შემოვლა, რათა ზევიდან მეხილა და მომესმინა ყოველივე ეს: ყვავილების გალობა, მზის სხივის წკრიალი, წყაროს ლიკლიკი; რა იყო ეს, თუ არა შესანიშნავი სიმფონია?

სიმფონია მხოლოდ მოცარტისა, ლისტის, მასნესის, ნათელი, მზიური, სიცოცხლის დამამკვიდრებელი და ამავე სიცოცხლის ჰიმნი. მოგისმენიათ იგი? თუ არ მოგისმენიათ, წადით მთაში, მზიან ნათელ დღეს დადექით

ნაკადულის ნაპირას, გაიხედ-გამოიხედეთ და იქ გაიგებთ მას. ესაა უდიდესი სიხარული, მარადიული; გეგონება, არც დამთავრდება არასოდეს.

ამ დროს მიწიერი აღარა მესმოდა რა, გარდა ბუნების ამ უდიდესი კონცერტისა. ავხედე ცას და უნებურად დავიწყე ჩვენი ძველი სიმღერა: „შენ ხარ ვენახი, მშვენიერი“ ... მე და გარშემო ერთნი ვიყავით...

და აი, ამ დროს თითქოს

*„ერთმა პირქუშმა მოყმემა ცხენხეთქვით ჩამომიარა,  
გუთნეულს ხელი გამიკრა, წყალს იქით დაატრიალა“...*

უცხად გამოვფხიზლდი, მიწაზე დავბრუნდი. ჩემ წინ თვალეზდაჭყეტილი, მთრთოლვარე და აკანკალებული, წინა ფეხებზე დაჩოქილი არჩვი იდგა... შემომნათოდა დიდრონი თვალებით, რომელშიც შიშიც ჩანდა, ნდობაც, ვედრებაც და რწმენაც.

ჯერ ვერ გავრკვეულიყავ, რომ პატარა სერის გაღმიდან გულიდან ამოხეთქილი ბუხუნით ვეებერთელა ნაგაზი ამოვარდა, თეთრკბილა და თვალეზცეცხლიანი ჩვენკენ გამოქანდა, მაგრამ უცხად ჩემი კარვის „კარ-მიდამოს“ წინ მარგილივით დაერჭო არჩვი, ზედ ფეხებთან მოვარდა. ბარბაცა ხომ გინახავთ? ოდნავი ნიავის წამოზერვაზე როგორ ცახცახებენ მისი ცალკეული თავთუნები, სწორედ ასე კანკალებდა ფეხებთან დაცემული ნადირი.

ნაგაზი კი გაქვავებული იდგა და იღრინებოდა. საკმარისი იყო, ფეხი მომენაცვლა, კარვისკენ წავსულიყავ წერაყინის ასაღებად, რომ ნაგაზი ნადირს ეცემოდა და დაფლეთდა.

ის-ის იყო, ჩავვარდი გონებაში, რაღაც აზრმა გამიელვა, რომ სერზე შაშხანანი ვაჟკაცი აიმართა... ჯერ შედგა, რამდენიმე წამი გაქვავებული იყო, შემდეგ კი... გახსოვთ ბოლომდე ის ლექსი, წელან რომ დავიწყე? – გავაგრძელებ:

*„წაღმბრუნვლიანი წისქვილი უკუღმა დამიტრიალა,  
ღიმი ქნა, კბილი გამოჩნდა, შუქმა მთა გადაიარა“.*

აი, სწორედ ასე გაიღიმა და, მართლაც, მისი კბილის შუქმა თითქოს მთა გადაიარაო, ხელგამლილი ჩემკენ დაეშვა. დაეშვა და ჯიქურ მომიახლოვდა. შაშხანა გვერდზე მიაგდო და გადაამეხვია.

– გიორგი, ჩემო ძმავე!

ახლად მოვეგე გონს. ეს იყო ჩემი, მთაში ნაპოვნი, მეგობარი და მმადგაფიცული, ყარაჩაველი იზუმურადი.

– იზუმურად, საიდან, შენ მაინც შენსას არ იშლი?

ერთმანეთის მოკითხვით რომ ვიჯერეთ გული, არჩვს დავხედეთ, რომელიც უკვე წამომდგარიყო, ბალახს წიწკნიდა და დროდადრო იცოხნებოდა, ცალი თვალთ კი ნაგაზისაკენ იცქირებოდა.

– არჩვების პატარა ნოტო<sup>14</sup> ჩემს ცხვარს შეერია, ძალდი დაეწია, ექვსი არჩვი სერს აჰყვა, ეს კი მოსხლტა და აქეთკენ გამოიგდო, მეგონა, ძალს ვერ წაუვიდოდა. მაგრამ ბედი ჰქონია, შენ გადაგეყარა.

მიუბრუნდა ძალს, ყარაჩაულად რაღაც უთხრა, გოროხს დასწვდა, აიმართა და სერისკენ გაისროლა, ძალდიც შებრუნდა, ძუნძულით შეუყვა ფერდოს და მალე სერის ფხას გადაეფარა.

არჩვს კანჭი დასისხლიანებული ჰქონდა. კარვიდან იოდი გამოვიტანე და წავუსვი, კალმახით შეფართხალდა, საცოდავად დაიკვირნა და სერს გადაღმა, ჭიუხები რომ ჩანდა, იქით გაჰქუსლა. გადასაფარებელში ერთხელ კი შედგა, მობრუნდა და დაიკარგა კიდეც.

მე და იზუმურადი ღიმილით გაცვქეროდით იმ ადგილს, სადაც ეს უცნაური არჩვი თვალს მიეფარა.

– როგორ, ნადირმაც იცის შენი გულის ამბავი?

მხარზე ხელი დამკრა და გულიანად მითხრა:

– კარგია, ძმა ძმას რომ შეხვდება!

ამოიღო ხანჯლის შვილი, ოდნავ გაიჭრა საჩვენებელი თითი და გამომიწოდა. ჭრილობა ჭრილობას მივადეთ და, სისხლი რომ აერია, გადაამეხვია.

– ჩვენ ახლა უფრო მეტნი ვართ ძმაზე, ორჯერ გავიფიცეთ. პირველად შენ რომ არ შემხვედროდი, მე ახლა შეგხვდებოდი?

– კარგი, რად გინდა ძველი ამბავი?

გაშლილ ნაბადზე დიდხანს ვისხედით, ვიგონებდით წარსულს. საქმე ის იყო, რომ იზუმურადს უცნაურად შევხვდი: ხანჯალამოწვდილი ორი მთიელი სოფლის შარაზე იწევდა მისკენ. ის-ის იყო, შორი მთიდან ჩამოვედი, ელვის სისწრაფით ჩამოვხტი ცხენიდან და შუაში ჩავდექი... პატივი მცეს, როგორც უცხოს, და გაერიდნენ... დაფიქრების დრო რომ მქონოდა, იქნებ ვერც გამეხვია.

– არა მგონია! – განაგრძო გიორგიმ. მეგობრის გვერდით უფრო ლამაზად მეჩვენებოდა გარემო – მზის ბრწყინვალე სხივი, ლურჯი ცა, თეთრი ღრუბელი, იისფერი შორეული მთები, მწვანე მდელო, წყაროს ლიკლიკი. ეს მეგობარიც ხომ ამ ბუნების ნაწილი იყო.

გიორგი გაჩუმდა... სიჩუმე ვახტანგმა დაარღვია.

- ეგ რა, ზღაპარი იყო, თუ პოეტობა დაიწყე?
- გვიამბე რამეო, მეც გიამბეთ და ახლა გინდა ზღაპრად მიიღეთ, გინდა პოემად. ის გიამბეთ, რაც გადამხდა.
- კი, მაგრამ...
- გაჩუმდი! – შეუტია ერეკლემ.

ამის შემდეგ ხმა არავის ამოუღია, მხოლოდ მაღლიდან, გოდერძის ღრმა ციდან, ვარსკვლავები ეშმაკური ციმციმით იღიმებოდნენ. ხანდახან ნაკადულსაც გაეღვიძებოდა და ვარსკვლავებს შეეხმაურებოდა.

### ლტოლვილები

ის-ის იყო, ჩვენი მგზავრები წამოიშალნენ, ცეცხლი დაანთეს და წყალი შემოდგეს, რომ გუშინდელი მეგობარი მამია გამოჩნდა. ორი ახალგაზრდა ახლდა. ქალ-ვაჟი. ვაჟს ავრიტისაგან<sup>15</sup> დაწული კალათა და კოდი<sup>16</sup> ეჭირა, გოგონას კი ხის დიდი სურა<sup>17</sup> შეედგა მხარზე.

მოხუცებულმა გამარჯვება უსურვა დამხვდურებს.

ვაჟმა კალათი და კოდი სუფრასთან დადგა. შემდეგ გოგონას კუტალი<sup>18</sup> ჩამოართვა, ესეც აქაური ღვინოო, თქვა და კოდის გვერდით მიდგა.



უთხოვარი (ურთხელი) მტირალაზე

- ლელა, აი, ეს აიშეა, შენი მეგზური იქნება, ესეც ქვეყნის მამიდაა, გაგიგონია, ალბათ, ბელტი ჩიოდა: წვიმა რომ მოვიდეს ქვას რა ეშველებათ...

- კარგი, ბაბუ, ნუ იცი... – დაიმორცხვა აიშემ.

- ეს კი ნუკრია, – მიუთითა ბიჭზე, რომელიც მხიარულად უღიმოდა ბიჭებს. აიშე ლელასთან მივიდა და სუფრაზე ამოალაგა აჭარული ხაჭაპური, ახალი ყველი...

გიორგიმ აღარ უსაყვედურა, რად გაისარჯეთო, იცოდა, რომ ამით მხოლოდ აწყენინებდა.

მხიარულად ისაუზმეს და მოემზადნენ სამუშაოდ.

ლელა და ვახტანგი ბინებზე რჩებოდნენ, რათა აიშეს ხელმძღვანელობით გაეგოთ მემთევრის ამბავი და სხვა საშინაო საქმიანობა. მინდია, გიორგი, ერეკლე, გივი ახალი მეგობარი ნუკრი დიდაჭარისა და ჩიხურის ჭაობებისკენ წავიდნენ. მამიასაც უნდოდა წაჰყოლოდა, მაგრამ დაარწმუნეს, ნუკრიც საკმარისია მეგზურობისათვის.

ჯერ გუშინ, გოდერძის ზეკარზე, შენიშნეს ასეთი სახლები, რომელიც მეჩხერ ტყეში ჩანდა. ჭდეულები<sup>19</sup> იყვნენ, ჩვეულებრივ – ორსართულიანები, ესენი იაილებია<sup>20</sup>, ზაფხულის სახლებია, სადაც აჭარის ოჯახები ამოდინან ზაფხულის თვეებში, სამი-ოთხი თვე რჩებიან, უმთავრესად ქალები, ბავშვები, მოხუცები და ორი-სამი მწყემსი, რომელიც იაილაზე საქონელს ამოვებს და ამაში სოფლისაგან განსაკუთრებულ გასამრჯელოს იღებენ. ძველად სოფელში თითქმის არავინ რჩებოდა, ვაჟკაცებიც ამოდიოდნენ, ამჟამად კი ბარის მეურნეობა იმგვარად განვითარდა, სოფლიდან ყველა ვერ წავა. ზაფხულის სამოვარი ორსაფეხურიანია, საქონელი ჯერ ტყის ზონაში ამოდის, „ყიშლებზე“<sup>21</sup>, დაახლოებით პირველი მაისიდან და მთაში თოვლის დნობასთან ერთად თანდათან მალა მიიწევს, ბოლოს ადის იაილებზე, დაახლოებით ივნისის პირველ დღეებში, სადაც საცხოვრებელი ბინებიცაა აშენებული. ამ სახლების დანახვაზე ერეკლე მამას შეეკითხა:

- სხვას ჩვენს მთებში საზაფხულო სამოვარზე ვისა აქვს სახლები აგებული?

– არავის. თუმცა წოვათუშებს ტაბათანაზე აქვთ, მაგრამ მათ უფრო სააგარაკოდ იყენებენ. წოვათუშებს მთელი საქონელი კი არ ამოჰყავთ ტაბათანაზე, არამედ მხოლოდ მეწველი ძროხები. ხვასტაგი<sup>22</sup> და ცხვარი შორს, მთებში, ჰყავთ ან პირიქით, ან თრიალეთზე.

– მაშ, აჭარლები ამ მხრივ ცოტა შვეიცარიელებს ჰგვანებიან.

– რადა ცოტა?

– ?

– კარგად რომ ჩასწვდე, ბევრი საერთო იქნება.

– აქ სექტემბრამდე რჩებიან, აციებამდე, შემდეგ ყიშლებში ჩამოდიან...

– ამბობენ, ყოველ სოფელს თავისი მთა-სადოვარი აქვს დაჩემებულიო?

– კი ბატონო, – ჩაერთო ნუკრი, – აი, ბრილი ჯერ კავიანში ამოდის, შემდეგ გორში. ცხემლისი ჯერ პერანგზე, შემდეგ გომზე; ტბეთი – ჯერ საცურავზე, შემდეგ ჩირუხზე და ასე აქვს ყველა სოფელს ათადან-ბაბადან<sup>23</sup>.

აქ მინდია ჩაერთა, ამოიღო უბის წიგნაკი და შემდეგი ამოიკითხა:

აჭარის რაიონებში სულ 90 600-მდე ჰექტარი საზაფხულო სადოვარია. აქედან ვარგისია ოცდაათი ათასი, ხუთი ათასი კი უვარგისია, კლდე და ღორღიანი. სამწუხარო ისაა, რომ კარგი სადოვარი 1290 ჰექტარზე მეტი არაა (ერთმა ჰექტარმა ერთი ძროხა უნდა გამოკვებოს), საშუალო სადოვართა ათი ათას ჰექტარზე მეტი. ისეთი, სადაც ჰექტარზე 3-4 თვეში ერთზე მეტი ვერ გამოიკვებება, თვრამეტ ათასზე მეტია. მაშასადამე, ზაფხულის სადოვრებს შეუძლია გამოკვებოს ორმოცდაათი ათასზე ცოტა მეტი, ფაქტიურად კი ოთხმოცდაათ ათასამდე ხარ-ძროხა მოვს. მაშასადამე, იგი ყოველწლიურად ფუჭდება, თუ ასე გაგრძელდა, მალე ხელიდან წავა. ამაზე ქვევითაც გეტყვით, ახალი ცნობები მანქანაში მაქვს.

– არც „ყიშლებზე“ მოვება მომწონს, ყიშლები ხომ ტყეშია?

ამ საუბარში იყვნენ, რომ მეჩხერი ტყიდან, სადაც სოკი და ნაძვი აქა-იქ დგას, ტრიალ მდელოზე გავიდნენ. ადგილობრივი ჯიშის ნაირფეროვანი ხარ-ფური<sup>24</sup> შეჰვენოდა და ისე დაეხეტებოდა, თითქოს ბალახს ეძებსო. ასეც იყო, ნარი და ბაია, ზოგან შხამა და მედგარი ჭარბობდა; უთავბოლო მოვებას კარგი გაედევნა, ავი გამლიერებულები და რაღას იპოვნდნენ?

– კაი ბალახი, აი, იმ მთებს იქითაა... – თქვა ნუკრიმ.

– მერე?

– იქ ერუშეთია, ვინ გაგიშვებს, ოსმალეთია, ჩემი გვარისა კი იქ ბევრია...

– ისე გამოდის, რომ ერუშეთს კურდღელი იყო, ახალციხეს მწევარიო, – თქვა გივიმ.

– ეჰ, ჩემო გივი, ეგ საქმე კურდღელზე და მწევარზე მეტია! – თითქოს დაიკვნესაო, ისე თქვა მინდიამ.

მის გვერდით დაიბღავლა ფარნამ<sup>25</sup>, მას ხმა მისცა ვეჟენამ<sup>26</sup>, მურა, წაბლა და შვინდა, ნიშა<sup>27</sup>, ყველანი თავდახრილები ეძებდნენ ბალახს.

– რახან ფეროვნებაა და გარეგნობაა, აგერ სრელა<sup>28</sup>, ჟალი<sup>29</sup>, აგერ დოლაც<sup>30</sup> და ჭოტაც<sup>31</sup>.

– ძალიან ალხია<sup>32</sup>, – ჩაერთა გივი.

– რას იზამ, ნაზამთრია.

– ეს ფეროვნებაც ხომ ჩამოვთვალეთ ჩვენი ხვასტაგისა, ნულარ ვიგვიანებთ.

ნაბიჯს აუჩქარეს, საკმარისად გრძელი ბუსნარი გადაიარეს ჭრელი წივანასი და გადაჭრეს ღელე და მისი კარკალი<sup>33</sup>, ამის შემდეგ მალე გავიდნენ ერთ მეზობირზე<sup>34</sup>, ორი ბილიკი ჯვარედინდებოდა, მაგრამ გიორგი დაბარებულივით გაუყვა პირდაპირ ბილიკს, რომელიც სერ-სერ ავიდა და მალე გაივავა. ამ გავაკების ბოლოს რაღაც ელვარებდა. მალე მომაკვდავ ტბას<sup>35</sup> წაადგნენ, რომელიც უკვე ჭაობდებოდა. აი, აქ მოიხსნა გიორგიმ თავის „აბჯარ-ჩაჩქანი“ და ტბის ჭანჭრობ<sup>36</sup> ნაპირს გაუყვა. თავდაღუნული რაღაცას გაფაციცებით ეძებდა. როგორც იყო, სახეგალიმებული გაიმართა წელში. ხელში პაწაწინა მცენარე ეჭირა.

– აი, ესეც დროზერა!

– ასე მაღლა? – გაიკვირვა ერეკლემ, – ეგ ხომ ქობულეთის ჭაობებში იცის.

– აბა, მონახე კიდევ და გივის და ნუკრის აჩვენე, როგორ ჭამს მცენარე.

– აბა, გივი, მონახე ბუზი ან მუმლი რამ და მოდით აქ.

ერეკლემ გულდასმით დაიწყო ძებნა, მალე ხავსიანებში იპოვნა რამდენიმე მცენარე, ერთი პატარა ბუზი დასვა ამ მცენარის ბუსუს-ჯირკვლიან ფოთოლზე. ჯირკვლიანი ბუსუსები ამოძრავდნენ, ფოთოლი მოიკეცა და ბუზი გაიხვია, გატვრენილი უცქეროდნენ ამ ტრაგედიას ბიჭები.

– მოუსპეთ ბუზს სიცოცხლე? – შეეკითხა წამომდგარი მინდია. არც ერთს მაღლა არ აუხედავს, ისე დაუქნიეს თავი.

ცოტა ხნის შემდეგ ეს უცნაური ფოთოლი გადიხსნა, ჯირკვლები წელში გაიმართა და ზედ ბუზის ფრთა და ფეხებიღა ჩანდა.



– ეს უკვე მეორენაირი დროზეა!

– გიორგიმ რომ ნახა, ის ინგლისური დროზეა, ეს კი შუალედი – უხსნიდა მინდია და გიორგიც თავზე წაადგათ.

– აი, წყლის სამყურაც, წყლის ბალახიც, ესენიც დროზეებთან ერთად ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანის სანაპიროების მცენარენი არიან. გამყინვარების პერიოდში შემოიჭრნენ ჩვენში და მყინვარმა რომ უკან დაიხია, აქ დარჩნენ, ზოგი მთაში ამოჰყვა, ზოგი ვაკეზე დარჩა, განსაკუთრებით – ჭაობებში, ჩვენში ასეთ მცენარეს რამდენიმე ასეულს ითვლიან...

მალე წყლისსანთელაც (კელეპტარა) ნახეს და ჭაობში საკმაოდ ამოიგანგლნენ. მთაში ტორფიანი ჭაობები იშვიათი არ არის, მაგრამ თითქმის ყველა პატარაა და მოფანტულია, როგორც მთავარ კავკასიონზე, ისე სამხრეთ მთიანეთში, უმთავრესად, ტბების ირგვლივ და ჭაობებში. კარგად რომ მოიღალნენ, მაშინდა მოიგონეს, რომ ზარმელისაც და სამხრის<sup>37</sup> დროც გადასულიყო.

– სად არის ვახტანგი, აქამდე სამჯერ გვასამხრებდა, – წაიხუმრა გვიმ.

გემრიელად შეექცნენ ხევიდან ამოტანილ ნაკადულის წყალსა, ხაჭაპურს და ახალციხიდან წამოღებულ კიტრსა და მსხალს.

მზე გადაიხარა. შინისკენ ქმნეს პირი. მხიარულად მოდიოდნენ, ნადავლი კარგი ჰქონდათ. კარავთან ლელა, ვახტანგი, აიშე და გოგია ტრიალებდნენ. აიშემ რომ დაინახა მინდია და სხვები, ადგილს მოსწყდა და ნაძვიანში გაუჩინარდა.

– იცოდე, ვახტანგ, თუ იმ მოხუცმა კიდევ რაიმე მოიტანა, შენ არას გაჭმევთ.

– თქვენი ამბავი ისეა, წერეთელმა გლახს ხარი დაუკლა – ულვაში მრუდე გაქვსო.

– რა ნახეთ, რა გაიგეთ?

– ლელა წერდა ყველაფერს, გაზაფხულისთვის საკვებს ახლაც ინახავენ, მაგრამ უმთავრესად ჯალალონსა, ბიზოვანი თითქმის ვერსად ვნახე.

– ლელა, შენ რას გვეტყვი?

– აი, რას: აჭარლის ოჯახში მოვალეობა ქალთა შორის განაწილებულია. ზოგ ქალს იაილაზე საქონლის, ფურის მოვლა ეკითხება, მას ეწოდება... ჩაიხედა რვეულში, – ეწოდება მემთევრე<sup>38</sup>, მთაში მემთევრეა მთავარი, რძის მოწველის გასამაგისება, ყველის კვეთა, კარაქის ამოღება, მათი შენახვა და სხვა მისი საქმეა. აი, იმ სახლის ქვემო სართულში ფურები უყენიათ. ზემო სართული ორადაა გაყოფილი. ერთში ერბო-ყველს აკეთებენ და ინახავენ, მეორეში ცხოვრობენ. ხანულობა აქ არ სცოდნიათ.

– უყურე ერთი ამ, ამ...

– რა ამ? – შეუტია ერეკლეს ლელამ.

– ლექსი ვერა ჩაიწერა რა?

– ვერც ერთს ვერ წამოვაცდენინე. აიშეს დავავალე, ჩაიწერს და გამომიგზავნის, თუ მოხელა რამ... ჭურჭელიც, რაშიც ინახავენ ყველს, კარაქს, ნადულს, სხვა კუთხის ჭურჭელს არ ჰგავს, – განაგრძო ლელამ, – ყველისა და ერბოს შესანახად კოდი და კაბიწი იხმარება. კოლოფი საწველელის მაგივრად. ესენი კეთდება ნაძვის ხის გამოხდილი განიერი ყავრისაგან. საკაბიწე ყავარს თურმე კარგა ხარშავენ, ასუფთავებენ – რანდავენ, ღუნავენ. კაბიწი დიდია, მოგრძო, კოდი და კოლოფი მრგვალი, წყალი არ გაუვა. კოდი საწველელადაც იხმარება. მასში ინახავენ ერბოსაც. კაბიწში კი – ყველს. ჩამჩად ხისგან გათლილი კოპე აქვთ.

ამათ დამზადებას თურმე დიდი ცოდნა უნდა და თავისი ხელოსნები ჰყოლია.

– კიდევ, კიდევ რა ჭურჭელი იცინა!

– რა და კუტალი, აქ სურას უწოდებენ, როდინი, ანუ ფილი, აიშე „ფილას“ უწოდებდა, ჯამი-ხისა, თაბახი, ესენი უკვე ცაცხვისა და თელისაგან კეთდება, ან ბოყვისაგან. ჰო, მართლა, კოლოფში მაწონსაც ადებდნენ.

– მაწონს საჭმელად?

– არა, სადღვებელში დღვებავენ, სადღვებელი აიშეანთ ხისა აქვთ. ზოგან თიხისაც არისო.

– ძროხა ხომ ნახეთ, პატარაა, ხევსურულსა ჰგავს, ბიძა მამიამ მითხრა 100-120 კილოს იწონის, რძეს კი წელიწადში 500-600 ლიტრას იწველისო.

– რასაკვირველია, ასეთი ძროხით შორს ვერ წავალთ, ჯობიან, ერთი ჰყავდეს და ორი ათას ლიტრას იწველიდეს.

– ოღონდაც, თუკი შვეიცარიაში ან თუნდაც ჩვენ მეზობელ ბალყარეთის მთებში ჰყავთ ხუთასკილოგრამიანი ძროხები, რატომ აქ არ იქნება?

– აქაც უნდა იყოს, – დაადასტურა თავზე წამომდგარმა მამიამ.

და დადგა კობტა კოდი კარვის წინ. ნუკრიმ კი პატარა ხურჯინი ჩამოიღო. გიორგიმ ველარა აწამა რა. უარი რომ ეთქვა, ხომ უკვე უზრდელობა იქნებოდა.

მხიარული სერობა ჰქონდა, მით უმეტეს, სერის კუდიც კარგი, დიდი საზამთრო.

გიორგიმ ხურჯინში ორი ნესვი ჩადო – „ეს თქვენს ქალებსო“. მამიას ამაზე კეთილად გაეღიმა.

## მემთევრე

ვახტანგმა და ერეკლემ მაინც არ მოისვენეს და ნუკრისა და აიშეს გამოკითხვით ლელას ნამბობი უფრო გაამდიდრეს.

მთაში საქონლის გარეკვა და ძოვება ძირითადად ორსაფეხურიანია, ადრე გაზაფხულზე (აპრილის ბოლო, მაისის დასაწყისი), როდესაც ტყეში თოვლი ადნება და ნორჩი ბალახი წამოვა, საქონელს უკვე მთისკენ მიერეკებიან. დაახლოებით ერთ თვეს ტყის სარტყელში, ე.წ. ყიშლებში, ძოვს, მაისის ბოლოდან კი მთაში (ალპებში) მიერეკებიან, სადაც დაახლოებით სექტემბრის 15-20-მდე რჩებიან.

საქონლის მთაში არეკვას მთევარობა ჰქვია.

პირველი ზოლიდან (ყიშლებიდან) საქონელი ნელ-ნელა იწევს ზევითკენ, რაც თოვლის დნობის ტემპებს შეეფერება და მაისის ბოლოს, ივნისის დასაწყისში უკვე მთის სამოვრებზეა.

სახლები, ჩვეულებრივ, ორსართულიანია. ძირა სართულში ბოსელია, სადაც საქონელი ღამით შეჰყავთ, ადრე გაზაფხულზე და შემოდგომაზე, როცა ღამის ყინვები ხშირია. კაი დარში კი საქონელი ბაკში ატარებს. ზემო სართულში არის საცხოვრებელი ოთახი და სხვადასხვა სათავსი, რომელთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანია სარძეო, სადაც, როგორც ლელამ უკვე აღნიშნა, ამზადებენ და ინახავენ რძის პროდუქტებს.

აი, ასეთი გამოყენება სამოვრებისა კავკასიაში არსად არ გვაქვს. იგი თვითმყოფადი წესია, საუკუნეთა მანძილზე დამუშავებული და დადგენილი. ფშავში არის სამთო სამოვრები, სადაც ქოხებიცაა. ქალს, რომელიც ძროხას მიჰყვება, მემთე ეწოდება. ამ წესის გაუმჯობესება, სათიბებისა და სამოვრების მოწესრიგება ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

თუმცა თუშების და სხვა ჩვენი მთიელების ცხვარიც ხომ მთისკენ მიდის, სანამ წამდვილ ალპურ სამოვრებზე ავა, ქვევიდან (ბარიდან) ზევით (მთისკენ) ნელ-ნელა იძვრის. საკმაო დროს ტყეში და ტყის პირებზე ატარებს. განსაკუთრებით არყნარში. მაგრამ იქ ეს პროცესი ისე მკვეთრი არ არის, როგორც აჭარის მთებში. სამოვრების ორ საფეხურად გამოყენება ზაფხულის სამოვრებიდან დაშორებულ სოფლებს აქვთ ჩვევად. სამოვრებთან ახლომდებარე სოფლები (ხულოს რაიონი) პირდაპირ მთაში მიერეკებიან საქონელს<sup>39</sup>.

მინდია, როგორც დაჰპირდა, შედარებით ზუსტი ცნობები მიაწოდა. ამ ცნობებიდან ნათლად ჩანდა, რომ აჭარის სამოვრებს მოვლა უნდა. აჭარის სათიბ-სამოვრების პასპორტიზაცია დამთავრდა 1952-1954 წლებში. გამოირკვა, რომ აჭარის საკვები სავარგული შეადგენს 91.930 ჰექტარს, აქედან 13.640 სათიბია, სამოვარი 78.292 ჰექტარია, აქედან წმინდა სამოვარია 26.257 ჰექტარი, დანარჩენი 13.542 ბუჩქნარიანია, 37.637 ტყიანია, ნაჩხატია<sup>40</sup> 762 ჰექტარი და ჭაობი 93 ჰექტარი (ქობულეთში). სათიბებშიც 13.640 ჰექტარიდან 4074 ჰექტარი (ხულოს რაიონი) ტყიანია. საკმარისია, ამ ციფრებს ჩაუფიქრდეს კაცი, რომ დარწმუნდეს – მდგომარეობა არასახარბიელოა. ბევრია ნარევი სათიბ-სამოვარი (ბუჩქნარტყიანია), გარდა ამისა, საშუალო მოსავალი ერთ ჰექტარზე 4 ცენტნერია, ფაქტიურად ერთ ჰექტარზე უნდა სძოვდეს 1,8 ცხვარი, და სძოვს კი 5,3 ცხვარი, ე.ი. ყოველი ჰექტარი გადატვირთულია 3,5 ცხვარივით (აქ ცხვარი, ანუ ცხვართავი აღებულია პირობით მკვებავ ერთეულად, 5 ცხვართავი უდრის ერთ ძროხას. მაშასადამე, ძროხა რომ ნორმალურად გამოიკვებოს, მისთვის საჭიროა 3 ჰექტარი სამოვარი მაინც!

ყველაზე მეტი სათიბ-სამოვარი ხულოს რაიონშია. სათიბია – 13.300 ჰა, აქედან სუფთა ფართობი – 9.438, დანარჩენი უჭირავს ტყეს და ბუჩქნარს. უარესი მდგომარეობაა სამოვარზე. სამოვრებიდან წმინდა სამოვარია 24.639 ჰა. დანარჩენი ტყე და ბუჩქნარია; აი, რა დღეშია ეს წმინდა სამოვარიც. კორდი სხვადასხვა ხარისხითაა დაშლილი 1796 ჰექტარზე. დასარეველიანებულია 6180 ჰექტარი, აქედან ძლიერ დასავრიანებულია 21661 ჰექტარზე, ქვიანია 104 ჰექტარი. მაშასადამე, თითქმის ნახევარი წმინდა სამოვრისა ან დასარეველიანებულია, ან ეროზიამორეულია და სხვა.

არაპირდაპირი სამოვრები (ტყე და ბუჩქნარი) შემდეგ სურათს იძლევა:

ძლიერად ბუჩქმორეული – 4.780 ჰა, საშუალოდ 310 ჰა ძლიერ ტყიანია 2.300 ჰა, საშუალოდ 1885 ჰა. ტყე რომ სამოვრად ითვლება, ეს ისტორიულად ჩამოყალიბებული ტრადიციაა. საჭირო იქნება ეს საკითხი ისე მოგვარდეს, რომ ტყემ ტყეობა გასწიოს. ტიპიური და კარგი ტყის ნაკვეთები უნდა შემოიღობოს და მოველოს სათანადოდ, ტყის მდელოები კი უნდა დარჩეს მესაქონლეობას და სასწრაფოდ უნდა დავიწყოთ სამოვართა გაუმჯობესება.

\*

ძველად საქართველოში აუარებელი დღეობა იცოდნენ, ყოველ წმინდანს თავის დღეობა ჰქონდა. განსაკუთრებით ბევრი იყო გიორგობა. როდესაც გულიანად უნდოდათ დაელოცათ ვინმე, ეტყოდნენ: „სამას

სამოცდა სამი“ წმინდა გიორგი შეგეწიოსო. ე.ი. საქართველოში ყოველდღის სახელზე ერთი წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია არის აშენებული და ყოველი მათგანი შეგეწიოსო.

თქვენ უკვე იცით, დღეობაში შორეული სოფლებიდანაც მოდიან და ხშირად დიდი ხნის უნახავები ამ დღეს ხვდებიან. გარდა იმისა, რომ ყოველ სოფელს ჰქონდა თავისი დღეობა, არსებობდა სათემო დღეობებიც, როდესაც რამდენიმე სოფელი იკრიბებოდა, სათემოთშორისოც – ეს დღეობა უფრო დიდი ზარ-ზეიმით იმართებოდა. ამ დღეობაში იკრიბებოდა „მთელი საქართველო“, რჩეული მოჯირითენი, მოჭიდავენი, მოცეკვავენი, მომღერლები, მუსიკოსები. იყო შეჯიბრი და დროს ტარება, მხიარულება, დასვენება. მაგალითად, დუშეთის მხარეს, მთიელთა ლომისობის გარდა ჰქონდა ოქროს კარიანობა, ალევის ქედის ბოლოს, უნაგირაზე რომ სამების ტაძარია, კახელებს – ალავერდობა და თეთრი გიორგობა, არაგვის ხეობას და ქართლს – მცხეთობა, შუა ქართლს – არბობა და სხვა. ეს დღეობები ან შემოდგომაზე იმართებოდა, მაშინ, როდესაც მინდვრის სამუშაოები მიწყნარდებოდა, ან შუა ზაფხულში, მაშინ, როდესაც მინდვრის სამუშაოთა პირველი ჯერი მოთავებულ იყო და მეორე ჯერ არ დაწყებულიყო – თავისებურ არდადეგების ხანს. ეს დღეობანი კერპთაყვანისმცემლობიდან მოდის. ტაძრები ძირითადად იგებოდა იქ, სადაც ძველად კერპი იდგა. აი, ეს ძველის შენაცვლება ახლით დღესაც ხდება, მაისის ზოგი საეკლესიო დღეობა ბევრგან შეანაცვლეს ცხრამაისობით (გამარჯვების დღით) და სხვა.

მაშინ, როდესაც აჭარა ჯერ ოსმალთ არ ჰქონდათ დაპყრობილი, რასაკვირველია, ტაძრებიც იყო და დღეობებიც. ტოპონიმიკის ზერელე გადათვალთვრებაც ამას მოწმობს: მარტო ნასაყდრალი, ნაეკლესიარი, ნაჯვარევი, ხატის მამული და სხვა ასეთი სახელწოდება აჭარისწყლის ხეობაზე ასამდეა. ტაძრები მოისპო და, რასაკვირველია, ძალით თუ ნებით დღეობებიც მიჰყვა. მაგრამ ხალხს დღეობა, ერთმანეთთან შეხვედრა სჭირდებოდა და გამოსავალიც ნახა.



*ნორჩი უხრავი ნატყევეარზე*



*გადაჭარბებული ძოვებისაგან ტყე გამეჩხრებულა...*

აი, რა უამბეს ლელამ და აიშემ თავის თანამგზავრებს. მთებში, საქონლის მთაში ყოფნის შუახანს, იმართება შუამთობა, თავისებური დიდი დღეობა.

განსაზღვრული საძოვარი რომ ერთ სოფელს არ უჭირავს, ასე მაგალითად, ზაფხულის საძოვარი, გომი, ზაფხულის განმავლობაში უჭირავს შემდეგ სოფლებს: ბრილს, ტაკიძეებს, უანივარს, ჭვანას, ცხმელისს, საბელაშვილებს; სანალიაზე ძოვს სოფელ მახლაკიძეებისა და ოლოდაურის საქონელი. ჩოხურის მთებში –

ტბეთის, გოგაძეების და სხვა. იშვიათად ერთ მთაში ერთი სოფელიც არის ხოლმე, მაგალითად, ბარათაული კატრიანზე, სოფელი ღურტა – გოდერძის ზეკარზე და ა.შ.

ან ერთ სამოვარზე მყოფნი, თუ სოფელი, მით უმეტეს რამდენიმეა, ან რამდენიმე სამოვრისა, ერთად იკრიბებიან ერთხელ ამოჩემებულ, მოხერხებულ ადგილას აგვისტოს პირველიდან თხუთმეტამდე და იმართება დღეობა. იცვამენ საუკეთესო ტანსაცმელს, შლიან საგანგებო სუფრას. მასპინძლობს დამხვდური სოფელი. სამაგიეროდ, გაისად ისინი ეწვევიან მეორე სოფელს. შუამთობაში მონაწილეობას იღებენ არამარტო მთაში მყოფნი, ამოდიან ძირეული სოფლებიდანაც, ამოაქვთ ხილი, თაფლი თუ სხვა ნუგბარი საღებავი. იმართება ცეკვა, თამაში. წინათ ვაჟები ცალკე იკრიბებოდნენ და ქალები ცალკე. ამჟამად კი დღეობა ერთად იმართება, თუმცა ჯერ საერთო გასართობი ისე მრავალი არ არის, როგორც შეიძლებოდა ყოფილიყო.

მთავარი საკრავი მაინც ჭიმონია, ცეკვა კი – ხორუმი განდაგანა. ხალხმა ბევრგან აიტაცა ანსამბლებში დამუშეებული ცეკვა-სიმღერებიც.

### ზოგი რამ ხეობაზე

მას შემდეგ, როცა ყველაფერი ჩააბარეს, სანამ გზას გაუდგებოდნენ, მინდია უბრძანა:

– აბა, დასხედით და ერეკლეს მოვუსმინოთ, სად მივდივართ, რა ხეობაში?

ერეკლემ კოპები შეიკრა, ახლა არ ელოდა, რომ მინდია მოსთხოვდა დავალებას (საქმე ისაა, რომ გამომგზავრების წინ ყოველმა მათგანმა იკისრა, გასცნობოდა მასალებს იმ მხარის გეოგრაფიიდან თუ ისტორიიდან, წაეკითხათ შრომები და შემდეგ გზაში მოკლედ ეამბნათ, სად მიდიოდნენ, რას ხედავდნენ).

ვახუშტის მიხედვით, აჭარა არის ის, რაც მისი აღწერით შემდეგ საზღვრებშია:

„მზღვრის (მას) აღმოსავლით მთა აჭარისა და ზარზმის შორის; და გარდავალს მას ზედა გზა სამცხეს; სამხრით მთა აჭარისა და ლიგანის ხევს შორის; დასავლით მდინარე ჭოროხი; ჩრდილოთ მთა გურასა და აჭარას შორის“. მამასადაძმე, ის მხარე, რაც ჭოროხის მარჯვენა ნაპირია: მაჭახელა, ლიგანი, ერგე (თანამედროვე აჭარის ასსრ ბათუმის დაბლობი) და აგრეთვე ქობულეთ-კინტრიში ძველად გურიის საერისთავოში შედიოდა.

ლიგანის ხევი ეწოდებოდა ჭოროხის ხეობის ქვემო ნაწილს ართვინიდან ჭოროხ-აჭარის წყლის შესართავამდე, სადამდეც ერგეს საზღვარიც მოდიოდა. დღეს ლიგანის ხევის მხოლოდ მცირე ნაწილია, 1918-1921 წლიდან დიდი ნაწილი თურქეთშია მოქცეული.

გონიო ძველადვე იმ ვაკე ადგილს ეწოდებოდა, რომელიც გადაჭიმულია ზღვის პირას.

„...და ბათომის პირისპირ, ჭოროხის სამხრეთის კიდეზე არს გონია, მცირე ქალაქი და ციხე...“

„ბათომის გონიას და ერგეს (არს) ნარინჯი, თურინჯი, ლიმო, ზეთის ხილი, ბროწეული მრავალი“...

უფრო დაწვრილებით აღწერს აჭარას, აი ესეც:

„ხოლო ჭოროხს მოერთვის აჭარისწყალი აღმოსავლეთიდან და გადმოსდის ზარზმა-აჭარას შორისს მთასა, მიდის აღმოსავლეთიდან დასავლეთად. ამ წყლის კიდეზედ, ამ ხეობის საშუალოს, არს მცირე ქალაქის მგზავსი დაბა ქედა, მოსახლენი არიან ვაჭარნი, ხოლო მოერთვიან ამ აჭარის მდინარეს, გურიის მთიდან, და აჭარასა და ლიგანის ხევშორისის მთებიდან, ხევნი, და მათ ზედა არიან დაბნები შენნი. არამედ მზღვრის: აღმოსავლეთით მთა აჭარასა და ზარზმას შორისი, და გარდავალს მას ზედა გზა სამცხე; სამხრეთით მთა აჭარასა და ლიგანის ხევს შორისი: დასავლეთით მდინარე ჭოროხი; ჩრდილოეთით მთა გურასა და აჭარას შორისი, სადა გარდავლენან გზანი გურას და არს აჭარის ხეობა ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, თვინიერ ბრინჯ-ბანბისა<sup>41</sup>. ყოვლითა მარცვალითა, არც ტყიანი, კლდიანი, იწრო, ხრამ-ღრატოიანი; მთანი ტყიან-ნადირიანი; კაცნი ხელოვანნი ხის მუშაკობით აქ აკეთებდნენ ყველს – ერთი იქნების 10, 15 და 20 ლიტრა, არა ოდესვე წახდების, არცა დაობდების, რაჟამს გნებავს, შემგბარი კეთილსახმარ არს“.

– მართალია, დღეს კლარჯეთი და შავშეთი ჩვენს საზღვრებში არაა მოქცეული, მაგრამ რადგან ისტორიულად და ბუნებრივად ამ მხარის ნაწილია, მისი განუყრელი ერთეული, ამიტომ ვახუშტის ამონაწერებს ამ მხარეთა შესახებ აჭარის გვერდით მოვიტანთ, – განაგრძო ერეკლემ.

„ხოლო შავშეთის მდინარის შესართავს ზეით ჭოროხს მოერთვის დასავლეთიდან ისპირის მდინარე, წოდებული ჭოროხადვე და ამ ისპირის შესართავს ზეით, ჭოროხის მდინარის აღმოსავლეთის კიდეზედ, არს ართვინი, ქალაქი მცირე, მოსახლენი არიან ვაჭარნი.

და ამ ართვინის სანახებიტურთ, ვიდრე ერგეს საზღვრამდე, ჭოროხის ხეობის იმიერი და ამიერი, იწოდების ლიგანის ხეობად. და არს ესე ლიგანის ხეობა, თვინიერ სივიწროვისა, ფრიად ნაყოფიერი ნარინჯით, ლიმოთი, ზეთის ხილითი, ბროწეულითა ლეღვით, ვენახით, ხილით შემკობილი და ქებულნი მუნებურნი ყოველნივე. მარცვალნი ყოველნი ნაყოფიერებს, გარნა სივიწროვით ვერ სთესავენ ბრინჯ-ბანბას. ჰავით არს ზაფხულს ცხელი, ზამთარს ფრიად თბილი. ახლორებენ მთანი თოვლიანნი და აგრაკნი მშვენიერებითა აღმკულნი, ჟამისა და ნახევარჟამისა სავალთა, წყაროებითა, პირუტყვნი ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი, და ყოვლითა ნაყოფიერებითა აღვსილი“.

აჭარისწყლის აღწერის დროს ვახუშტის ნათქვამი აქვს „მოსავლიანი თვინიერ ბრინჯ-ბანზისაო“... მაგრამ ეს თურმე გამოწვეული ყოფილა სივიწროვით.

„ხოლო აწ ვიწყებთ კლარჯეთს. და ამ ქვეყანასა შინა უდიდესი მდინარე არს ჭოროხი, რომელი გამოდის ირიჯლუს მთასა და დის სამხრიდამ ჩრდილოეთ, მცირედ აღმოსავლეთით მიწვეულად, ხვარამზეს ხიდამდე. მას ქვეით მოუხვევს და დის უმეტეს ართვინიდამ, ჩრდილოთ-დასავლეთს შუა, და მიერთვის ბათომს ქვეით შავ ზღვას. სიგრძით არს ზღვიდამ ირიჯლუს მთამდე, და დის ფრიად ჩქარად ქვიანსა, კლდიანსა და ხრამოვანსა შინა და არს თევზიანი, გარნა მთის კერძოდ უმეტეს კალმახნი, სასმისად შემრგო, გემოიანი და სხვებრ ურგები, ვინადგან არარაი კეთდების, ანუ ირწვის თვინიერ ერგეს გონიას და ბათომს. არამედ ვინადგან აღვსწერენით ბათომი, გონია და ერგე გურას ზედა, აწ ერგეს ზეიდამ ვიწყებთ, აჭარისწყლის შესართავიდამ“.

– აი, ხედავთ, როგორ ერთნაირია ეს მხარე.

– ბიჭო, პოლიტიკას თავი დაანებე, აკი გითხრეს!

– თავს დავანებებ, მაგრამ გულზე ლოდივით მაწევს, ამ მხარეზე ნათქვამი „ერთი-ორი დამპალი სოფელია და რად გვინდაო“. გახსოვთ?

– შეუხდე, უფალო, რამეთუ არა იციან, რასა იქმნენ!

– ახლა გინდ შეუხდე და გინდ არა, ამის მთქმელი კი ჩამოაცილეს საქმიანობას, მაგრამ ამ თქმამ თავისი საქმე გააკეთა. დაამაგრა ეს მხარენი სხვათა ხელში, თუმცა, ვინ იცის, რამდენი ხნით.

– ჰო, განაგრძე, ვაჟო, – შეუტია მინდიამ.

– კარგი, კარგი, ვიცი, ჩემზე არ ჯავრობ და არა მწყინს...

შავშეთის ქედი უფრო მაღალია აღმოსავლეთ მხარეში (2400-2800 მ), ყველაზე მაღალია მწვერვალები ხევა (2809 მ), ქვაკიბე, ხედის მთა, თბეთი, წინაველა და სხვები.

არსიანის ქედი აღმოსავლეთიდანაა შემოზღუდული. აქ, აჭარის ფარგლებში, არსიანის ქედის სიგრძე 40 კილომეტრს უდრის. ამ ქედზე ყველაზე მაღალია ყანობილი (2987 მ). მას გასდევს თლილი, ნაომარი, შევარდენა, ცივი წყარო, ხარხათი. აქ გეოლოგები მუშობდნენ შარშან. აი, რა მიაშბო გეოლოგმა მანანა ლორთქიფანიძემ, ჩავიწერე:

– აქაური ქანების აგებულებაში მონაწილეობას იღებენ პალეოცენისა და ეოცენის ხნოვანების ტუფოგენური ქანები. მთელი აჭარა ძველი ვულკანური ქანებით არის აგებული. დაახლოებით ასი მილიონი წლის წინათ მთელი აჭარის მასივი ჩაიწია და შავი ზღვით დაიფარა, ზღვის ფსკერზე ძლიერი ვულკანური ამოფრქვევები დაიწყო, რომელიც სამოცი-სამოცდაათი მილიონი წლის მანძილზე გრძელდებოდა. ზღვის ფსკერზე გაჩნდა ვულკანური ქედები და სერები. თხელი ზღვის ნაწილიდან ზედაპირზე ზოგი ქედი და მწვერვალი კუნძულის სახით ამოიზიდა, რომელთა გაცივების შემდეგ მდიდარი მცენარეულობით დაიფარა. აუარებელ მასათა წარმოშობის პროცესების შედეგად ზღვამ უკან დაიხია და მის ნალაგევზე დარჩა ხმელეთი, მთა და ბარი.

ვულკანები განსაკუთრებით ბევრი ყოფილა, სადაც დღეს სხალთისა და ჩიხურის ხეობაა.

სხალთის ხეობაში ტამარია დარჩენილი, თეთრი ლამაზი ქვით ნაგები. ის ქვა იმ ძარღვებიდან არის მოპოვებული, რომელიც სხალთის, ჩიხურისა და სხვა ხეობებს გასდევს.



უწესრიგოდ იჩეხება ტყე. ხრიოკდება ფერდო და მეწყერი მეწყერს მოსდევს

მაგმური მასის გაცივების დროს ხდებოდა მასში გახსნილი წყლის გამოყოფა. ეს ცხელი მინერალიზებული წყალი ზედაპირზე იყო მოქცეული და გზადაგზა ცვლიდა ვულკანურ ქანებს, ზოგან აკაჟებდა, ზოგან თიხად აქცევდა. ერთი სიტყვით, ეს იყო გიგანტური ლაბორატორია, სადაც იშლებოდა ძველი ქანები, იქმნებოდა ახალი, დამარხულ მცენარეთა ზროში<sup>42</sup> ჩაიჟანგებოდა, როგორც კაჟი, და გამოდევნიდა ცელულოზას, რკინის გოგირდოვან ნაერთებს ტოვებდა. აი, სწორედ ეს ერთი რკინის დაჟანგული ჩანაწინწკლია ამ გზის პირას (მიუთითა მუქ წითელ ფხვიერ ფენზე, რომელიც გზის მარჯვენა ნაპირზე კარგად ჩანდა). ასეთი ჩანაწინწკლები უხვად არის სხალთის ხეობაში. ამ ხეობაში, გარდა წითელი ჩანაწინწკლებისა, ბევრია მწვანე, ცისფერი და სხვა ფერის ქანები.

აჭარის ალპები გრძელია, მაგრამ ვიწრო, რაც მეურნეობის ტიპზეც თავისებურ დაღს ასვამს. მისი სიგანე საშუალოდ ორ კილომეტრს არ აღემატება. ეს ქედები შავი ზღვის გავლენას უშუალოდ განიცდიან. ზაფხულის საძოვრებზე ჰაერის ტემპერატურა ზაფხულში საშუალოდ 10-12 გრადუსია.

ხულოში<sup>43</sup>, რომელიც 1400 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, ამ დროს 17-18 გრადუსია, არსებობს საერთო კანონი, რომ სიმაღლის მატებასთან ერთად დანალექი მატულობს. აჭარისწყლის ხეობაზე სიმაღლესთან ერთად ნალექთა რაოდენობა კლებულობს. ასე, მაგალითად, ბათუმში 2500 მილიმეტრია, ქედაში-1600 მმ, ხულოში-1274 მმ. სამწუხაროდ, ალპებში მრავალი წლის მანძილზე დაკვირვებანი არ ჩატარებულა და ზუსტი ცნობები არ გვაქვს, მაგრამ ერთი კი ცხადია, მცენარეულის იერი ისეთია, რომ ნალექები უნდა საგრძნობლად კლებულობდეს. მართალია, შავი ზღვის ნისლი არსიანისკენ მოიწევს, მაგრამ მას, ჯერ ერთი, გურიის მთები აჩერებენ და ხეობის გამჭოლი ქარიც დიდხანს არ აყენებს. ამიტომ აქ დანალექთა წლიური რაოდენობა 1200 მმ -ს არ უნდა აღემატებოდეს. აი, წლევეანდელის მიხედვით ჩანს, რომ ზაფხული უფრო გვალვიანია, ბევრგან ხეს ფოთოლიც კი შეხმობია.

– წლევეანდელი წელი მეტისმეტია, – ჩაერია მინდია, რომელიც სიამოვნებით ისმენდა ერეკლეს საუბარს, – საერთოდ კი, ზაფხულში გვალვა იცის.

აჭარის მთამაღლის ნიადაგების დიდი ნაწილი მეორადი წარმოშობისაა, საძოვრების უმრავლესობაც ნატყევარზეა განვითარებული. სუბალპების ტყემ: არყნარებმა, ნეკერჩხლებმა, მთების შუასართყელის ტყემ – განსაკუთრებით, წიწვიანებმა (სოჭმა, ნაძვმა, ფიჭვმა) უკან დაიხიეს, უმთავრესად უწესრიგო ძოვებისა და ჩეხის შედეგად, მოისპო ბევრგან დეკიანებიც.

პირველად ნიადაგებს მთის მწვერვალები უჭირავს, უფრო ხშირად 2200 მეტრზე ზევით.

საძოვრებზე გვხვდება გაეწრებული ყომრალი ნიადაგები (მეჩხერი სოჭნარი), ნემომპალა კარბონატული ყომრალი ნიადაგები (ფოთლოვანი, წიფლნარი ტყეები) კაცმა რომ თქვას, მთამაღლის მდელოების ალპურ საძოვრებში ზაფხულში საქონლისათვის საუკეთესოა. აქ მრავალი საკვები მცენარე მოიპოვება: ტიმოთელა, ნამიკრეფია, სათესი წივანა, თივაქასრა, კეწეწურა, ცხვრის სამყურა, მხოხავი სამყურა, ბაბუაწვერა და სხვა მრავალი. მაგრამ საქმე ისაა, რომ დაჩაგრუნი არიან ისეთი სარეველა და შხამიანი მცენარეებით, როგორიცაა ძიგვა (ქისრიბა), ჭრელი წივანა, მარმუჭი, მედგარი, ნემსიწვერები და სხვა მრავალი. აქვე გვხვდება კორდიანი, მცირეტორფიანი ნიადაგები (ნატყევარზე); ალპური მდელოების ტორფიანი ნიადაგები (ბალახეული საფარი), ალპური ტორფიანი წაბლისფერი ნიადაგები (დეკიანები); ჩამონახვავები, კლდეები; ამ უკანასკნელთ აქ ძალიან დიდი ფართობი უჭირავთ.

პატარა ტბების ირგვლივ კი მრავლადაა მთამაღლის ჭაობის მცენარეულობა. დიდი ფართობები უჭირავს დეკიანებს, რომელიც არც საძოვრად გამოიყენება და არც სათიბად.

– მართალია, ძიგვა და სხვები დევნიან კარგ ბალახეულობას, აბეზარი სარეველები არიან, მაგრამ ერთი სიკეთე მაინც აქვთ.

ბიჭებმა გაკვირვებით შეხედეს მინდიას.

– კი, სიკეთე. ნიადაგს ფარავენ. ამარებენ და ეროზიულ მოვლენებს ანელებენ. მათი გარდაქმნა უფრო ადვილია, ვიდრე სრულიად ჩამოხრილიყოფილი ფერდობის ხელახლა მცენარეულობით დაფარვა.

აქაური საძოვრების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ დიდი ნაწილი საძოვრებისა ტყეს მორიგეობს, ალბათ, იმიტომ, რომ აქ საკოლმეურნეო ტყე 80 000 ჰა-ს აჭარბებს, ე.ი. აჭარის ტყეების 42 პროცენტს, მაშინ, როდესაც საქართველოს სხვა კუთხეებში საკოლმეურნეო ტყე ტყის საერთო ფართობის 6 – 8 პროცენტია.

გარდა ამისა, ის ტყე, რომელიც სათიბ-საძოვარს მორიგეობს, ხშირად ბუჩქნარი კი არ არის, არამედ ზოგჯერ საანძო წიწვიანი ტყეა, მაგრამ ისეთი, რომელშიც გადაჭარბებული ძოვების გამო ტყის აღდგენა შეჩერებულია და, როგორც ჩანს, ეს ტყეც ბევრგან ძირს დაეცემა.

ცოტა მეტად რომ ჩავუფიქრდეთ ამ მხარის საძოვრების მდგომარეობას, შეიძლება მოვება ისე დავაყენოთ, რომ მეტი საქონელიც გამოიკვებოს და არც ტყეს დაუშავდეს რა.



*უწესრიგო ჭრისაგან გამეჩხრებული ტყე*

ქობულეთსა და ხელვაჩაურის რაიონებს რომ სათიბები არ აქვთ, ამას კიდევ აიტანდნენ, მაგრამ აი, მთის რაიონებში საძოვრებთან შედარებით სათიბი ძალიან მცირეა, ამიტომაც, რომ ამ რაიონებში თავისებური ტიპის საკვებისათვის, ნეკერისათვის<sup>44</sup>, მიუგნიათ. ზაფხულის საძოვარს ზაფხულში შეუძლია გამოკვებოს ორმოცდაათ ათასამდე ძროხეული ან მინიმუმი ორასი ათასი ცხვარი, მაგრამ ზამთარში? იქაური სათიბი ამდენ სულ საქონელს ვერ გამოკვებავს.

მაშასადამე, რაღაც ახალი გზა უნდა დაისახოს.

– რა?

– დღეს გვეყოფა. მაგაზე შალვა გვეტყვის სხვა დროს.

ნამზობმა ყველა ჩააფიქრა.

### **ხიზანი**

ღამე ტყის პირას ათიეს, თუმცა ჩანჩხალოს თავკაცებმა გულიანად სთხოვეს: ჩვენთან ამობრძანდით, კარგად მოგასვენებთო.

მინდია დაარწმუნა, მუშაობის დროს ასე სჯობიან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც კარგი ამინდებიაო.

თავკაცებმა მხრები აიჩეჩეს.

– როგორც გენებოთ, ნასწავლი ხალხი ხართ, ჩვენზე მეტი იცით, – ცოტა ირონიაც ჩანდა ამ თქმაში, – მაგრამ ჩვენებურ კაცს არ შეშვენის სტუმარი კარში დატოვოს.

– მაშ კარგი, – უთხრა გიორგიმ – მე, მინდია და ლელა თქვენთან წამოვალთ. ბიჭები აქ დარჩნენ, დილაზე ადრე უნდა წავიდნენ...

სიამოვნების ნაპერწკალმა იელვა მასპინძელთა თვალში და გაუძღვნენ თავის სტუმრებს.

ის-ის იყო გაიცისკრა, როდესაც ტყის მცველი ილიასი თავზე წაადგა ბიჭებს. გივი და გოგია წყალს ადუღებდნენ, ცეცხლთან ტრიალებდნენ, დანარჩენები პირს იბანდნენ, გამართული ჩანთები მწკრივად ეწყო.

– თქვენც ხის ტოტზე გძინებიათ, ასე ადრე როგორ ადექით...

– ბეშქენ ოპიზარი გაკვირვებულა, ნეტა რა ხელმა დაწნა გოდორიო... შენ რა, ჩვენი ადგომა გაგიკვირდა? უთენია დადიხარ ტყე-ტყე, – შეეშველა ამხანაგებს ვაჟა. ილიასს ესიამოვნა ვაჟას პასუხი.

აბა, რა ვქნა, ტყეს მოვლა უნდა, ქვეყანა მაგაზე ალაპარაკდა და ჩვენამდეს ჩამოაღწია ხმამ.

ნოციერი საუზმის შემდეგ აიკიდეს ჩანთები, მოიმარჯვეს წერაყინები<sup>45</sup>. აჭარისწყლის მარჯვენა შენაკადს ჭვანის ხეცს აჰყვებენ, სოფელი ახალდაბა მხარმარცხნივ დარჩა, ლამაზი სახლებიდან ადგილ-ადგილ ბოლი ადიოდა. სახლის მზვარეზე გალებად ასხმული თამბაქოს ფოთოლი იყო გაფენილი, შორი-ახლო, ეზოს ბოლოს ან თავს საგანგებოდ აკაფილ ხეზე კონებად შემკრული სიმინდის ჩალის ზვინები იდგა. ჩალა ძირში იყო მოჭრილი, ნასიმინდარზე დარჩენილი სიმინდის ძირის ცერი არც კი ჩანდა. ესეც იმაზე ლაპარაკობს, თუ რამდენად უჭირს აქაურ კოლმეურნეს საქონლის საკვები.

სოფლის ირგვლივ ტყე საგრძნობლად იყო შეთხელებული. ჭოროხის მუხა ჭარბობდა, ხშირად მარტო იგი იყო, მაგრამ ფოთოლი შეხრუკული, შემხმარი ჰქონდა; საქმე ისაა, რომ აჭარის ხეობა დასავლეთ საქართველოს სხვა ხეობებისაგან მკვეთრად განსხვავდება, იგი არც მთლიანად კოლხურია და არც მესხური, ადგილ-ადგილ თუ

მცენარეული საფარი კოლხურ იერს ატარებს, სხვაგან წმინდა მესხური და შავშეთ-ერუშეთის ქსეროფიტები ბატონობენ. ბაძგიანი ნაძვნარების მეზობლად გაბატონებულია მუხნარი და ქსეროფიტული ბუქნარი, განსაკუთრებით თვალში ეცემა კაცს ტყისცოცხა, რომელსაც საკმაო ფართობები უჭირავს. ძალიან ხშირად ტყისცოცხა ფრიად თავისებური ქსეროფიტია. იგი შეკრულ დაჯგუფებებს ქმნის. უფრო ხშირად ყოფილ ართვინის ოლქში იზრდება. აჭარისწყლის ხეობას კარგად ღრმად გასდევს მუხნარებში და ფიჭვნარებში არსებულ თავისუფალ ადგილებზე, ხშირია სამხრეთის ფერდობებზე, ხრიოკებზე, ხმელთაშუა ზღვის ელემენტია.

აჭარული ტყისცოცხა ნახევრად ბუჩქია, ოცდაათ სანტიმეტრის სიმაღლისა ძლივს იქნება. ფესვის ძირიდან ერთიმეორეზე მრავალი პატარა ტოტია ამოზრდილი და გარეგნულად ცოცხს ჰგავს, ალბათ, ამიტომაც უწოდეს ტყისცოცხა.



*ხრიოკზე დასახლებული ფიჭვნარი*

როდესაც ეს მცენარე ნატყვევარ ადგილს იჭერს, იქ ძირითადი ჯიში ვეღარ ხეირობს, ჯერ ერთ, იმის გამო, რომ ძირითადი ნიადაგი უკვე ჩამოშლილია და ჩამორეცხილი და მეორე კიდევ თვით ცოცხანა ისე მრავლად იზრდება, რომ მთლიანად ფარავს ნიადაგს. ეს გვარიც ჩვენში ხმელთაშუა ზღვიდანაა შემოხიზნული. ხმელთაშუა ზღვეთის ნარეკლიანებში და მიგვიანებში იშვიათი არ არის.

ყურადღებას იპყრობდა ტოტებშეცვლილი მუხები. ესენი სანეკრე მუხებია. ეს თავისებური „თივა“ ზამთრის საკვებად, ხის ნეკერი ასე ფართოდ არსადაა გამოყენებული. მართალია, მთათუშეთში შავი არყის ნეკერსაც იყენებენ, მაგრამ არა ასეთი რაოდენობით.

ზაფხულის განმავლობაში ახალ ყლორტს, რომელიც მუხაზე განსაკუთრებით სწრაფად და ფოთოლმრავლად იზრდება, კაფავდნენ, კრავენ პატარ-პატარა კონებად და აშრობენ. დგამენ ზვინებად, ისე, როგორც სიმინდის ჩალას, ან სხვენში ინახავენ.

ჭვანას ნაპირს აჰყვენ.

– აქ ეკლესიის ნანგრევები თუა სადმე?

– საყდარი და ნანგრევები არა, მაგრამ ნასაყდრევი კი არის ახალდაბის მინდორ-ტყეში. სოფელ ცეკვაში და ტაკიძეებში ნავენახარიცაა. ამ ადგილებში ახლა ბუჩქნარია<sup>46</sup>. სხვაგან ასეთი სახლები უფრო მეტია.

– სოფელი ბევრია განა რაიონში?



– ბევრზე ბევრი<sup>47</sup>, – უპასუხა სხარტად ილიასმა.  
 ცოტა კიდევ აივაკეს და დაინახეს, რომ შუროს<sup>48</sup> თავზე მოზიდული იყო ხის მორები.  
 – ილიას, ეს რა არის?  
 – ხეტყეა! – თქვა ილიასმა და თვალები დახარა, იცოდა, რასაც ეკითხებოდნენ.  
 – ხეტყე რომაა, ვხედავ, მაგრამ...  
 – ჯანსაღი ხეა, ჩემო ერეკლე, ამაზეა ნათქვამი: „მუცელს აქორებ, ქორია, აღორებ, ღორიაო“, დამამზადებლები რაკი ტყეში შევლენ, აღარას დაგიდევენ.  
 – შენ ისე ხომ არ მოგდის, პატარმალმა კოკა გატეხა და: ნეტავი ბავშვი მყავდეს, იმას დაბრალებოდაო.  
 – ერეკლე, ილიასს რას ერჩით, გუშინ, სატყეოს უფროსი რას გვეტრაბახებოდა?  
 – ??  
 – ხეტყის დამზადების გეგმა 287 კუბმეტრი გექონდა და 1400 კუბმეტრი დავამზადეთო. რის ხარჯზე? ალბათ, აი, ასეთი ხის ხარჯზე, ხომ?  
 – განა შეიძლება აჭარისწყლის ხეობაზე ხეტყის დამზადება სამრეწველო მიზნით? არავითარ შემთხვევაში! აგერ, გახედე ირგვლივ მთებს, ჩამოხრიოკებულა, თავისებური ბუნებრივი პირობების გამო და ადამიანის ზეგავლენის შემდეგ, ხედავ, ნამდნარი ტყე ბევრგან კლდეზე დარჩენილა, აღდგენა აღარ ხდება, ქედის სატყეო კი დამზადების გეგმას გადაჭარბებით ასრულებს და დროშას იღებს.  
 – ჰო, ეს რაღაც დღევანდელ საერთო-სახელმწიფო პოლიტიკას ვერ ეგუება.  
 – ზოგჯერ გეგმის გადაჭარბებით შესრულება ქვეყნის საზარალოა.  
 – იქნებ მართლაც ამორჩევითი და სანიტარიული ჭრებია!  
 ცოტა ხანი ფიქრის შემდეგ ისევ თვითონ განაგრძო:  
 – ძალიან ნუ აიწევი, მაღლა ღმერთიაო, და კიდევ რომ ხმა ამოვიღე: ჩვენი მგელი შენმა თხამ შეჭამაო; ხელვაჩაურში ვიყავ, სანერგეში, და აი, აქ გადმომადგეს, თან დაატანეს – ძალის ყეფითა და მამლის ყვილით სოფელი ვერ აშენდებაო.  
 ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს.  
 – ნე გეშინიან, ილიას, „ცვარი ცვარსა ჰკრეს და ზღვაზედ იქცაო“, ერთხელ იტყვი, ორჯერ და სიმართლე თავისას გაიტანს, ჭირი მალეს, მაგრამ ჭირმა თავი არ დამალაო, – თქვა და წამოიკიდა ერეკლემ აზგა.  
 – წინასწარ კი შუროს თავზე მოტანილი მორების სურათები გადაიღო.  
 – ვერ ხედავ, როგორი სანიტარიული ჭრებია, ან სად გაგონილა ასეთ ხეობაში ოთხი-ხუთი ხის სახერხი ქარხანა?  
 – სატყეოს უფროსი კი ლაპარაკობდა, ოცი ჰექტარი აკაცია გავაშენეთო.  
 – ხეს ძირში ჭრიდნენ და გაფრთხილდით, ფოთოლი არ ჩამოვარდესო.  
 – ხეკაკუნას კაკუნი ბევრი გამოიგონია, მაგრამ მისი გათლილი ხე არ მიწახავს, – წაიდუღლუნა ილიასმა.  
 – ეგ რაზედ თქვი?  
 – იქ, სადაც ტყე უნდა გაშენდეს, ნაკლებ ვაშენებთ, იმაზე...  
 ვკარგავთ აკაციას, ძირს, ჭალებში, იქ მუყნარიც თვითონ წამოვა...  
 – მერე და რატომ არ იღებს ხმას?  
 – ეჰ, ჩემო ვახტანგ, ჭიანჭველა გველს ეტოლებოდა და შუაზე გაწყდაო.  
 – ერთ მუხასთან გაჩერდნენ. ფოთლები უფრო პატარა ჰქონდა.  
 – ეს, ალბათ, იმიტომ, რომ გვალვიანი წელია.  
 – არა, აგერ უფრო ნესტჭარბზეც ასეა.  
 – ამიტომ ეძახიან ამ მუხას ჭოროხის მუხასაო, გუშინ არ გვითხრა მინდიათ!  
 მალე ასცდნენ მუხიანის ზოლს, რომელშიც ფიჭვიც ერია, ერთი აქაური მუხა ქართულ მუხას ჰგავდა, ნაყოფი უყუნწოდ იჯდა, მაგრამ განსხვავდებოდა კიდევ მისგან, ჯერ ერთი, ზრდით, მეორე – ფოთლებით.  
 მუხიანში ადგილ-ადგილ საკმაო ველები ტყისცოცხას ეჭირა, დაბალ, თითქმის მიწაზე გართხმულ ბუჩქს. სწორედ ასეთ ცოცხიანში უფრო დიდხანს შედგნენ, ყველა ბალახოვანი მცენარე აიღეს, განსაკუთრებით ბეგქონდარებსა და ურცებს აქცევდნენ ყურადღებას, თან გულდასმით ათვალიერებდნენ ტყის პირებს.  
 – კარგად დაათვალიერეთ, ასეთ ადგილებში ან მის ახლომახლო ხეშიშველიც იქნება, – დააბარა მინდიათ.  
 საქმე ისაა, რომ აჭარისწყლის ხეობა ძალიან განსხვავდება კოლხეთის სხვა ხეობებისაგან. თუ ბათუმში საშუალო წლიური ტემპერატურა 15 გრადუსამდეა, ხულოში, 950 მეტრის სიმაღლეზე 10 გრადუსია; დანალექი ქვევით 2500 მმ-ია, აქ კი 1300-1500 მმ. ხშირად უბერავს გამკრავი ქარი, ბევრგან მოტიტვლებულია კლდეები, რომლებიც ხურდებიან და ჰაერს უფრო აცხელებენ. მრავალ საუკუნეთა მანძილზე ტყის საფარი ირღვეოდა მეურნეობის თავისებური სახეობის, ზაფხული საძოვრების გამო და ამიტომ სოჭნარებმა და ნამდნარებმა უკან დაიხიეს, სამაგიეროდ, წინ იწევდნენ მეორეხარისხოვანი ჯიშები. განსაკუთრებით მთრთოლავი ვერხვი, სამხრეთ

ვერდობებზე ანატოლია-შავშეთ-ერუშეთის ქსეროფიტები. ამ გზით კოლხეთის საბუდარში გადმოხვეწილან ცოცხანა, ხეშიშველი, ანუ არბუტუსი, რომელიც ტიპიური ხმელთაშუა ზღვის ელემენტია ჩვენში.

– აქეთ, აქეთ! – ერთი ხრიოკიდან ჩამოსძახოდა ვაჟა და ხელებს ენერგიულად იქნევდა. მერე ხელი რომელიღაც ხის ზროს დაადო.

სამივემ გაჰკრა ზევით და ოფლში გაწურულები მიადგნენ ერთ სამი-ოთხი მეტრი სიმაღლის ხეს, რომელსაც ტყავისებური ხერხვილა ფოთლები ჰქონდა და საგველებში შვერებილი მოყვითალო ყვავილები.

– მამ ესაა ხეშიშველი?

– ხემარწყვას რომ ეძახიან, სწორედ ესაა.

– თუ ეს გაგახარებდათ, მომყევით, გაჩვენებთ, – ჩაერია ილიასი.

და მას შემდეგ, რაც საჰერბარიო ნიმუშები აიღეს, წინ წასულ ილიასს გაჰყვნენ. გადაიარეს მშვენიერი ნაძვნარი, რომელშიც ბამგნარი ძლიერად იყო მორეული. ზოგან გავლაც კი უჭირდათ. შევიდნენ უხრავიანში, ამ თავისებურ, ჩვენებურ დამახასიათებელ ტყეში. უხრავის ტყე ასეთი ლამაზი ხეებით ჯერ არ ენახათ, სადაც ცოტა არ იყო კიდობანა, ჭანჭყატა, უცვეთელა, დიდგულა, თუ სხვები. ესენი უფრო ნათელ ადგილს ეტანებოდნენ, ბამგი და კვიდო შუა ტყეშიც იშვიათი არ იყო.

მალე გავიდნენ ისეთ ადგილას, სადაც თითქოს მუხიანის საზღვარი იყო, და აი, აქ ერთი ბექობის ძირას, გაღიმებული ილიასი იდგა ხუთიოდე ხემარწყვასთან.

– ესენი შარშან შევნიშნე, მაგრამ მათი სახელი არ ვიცოდი.

უკვე მოშუადღევდა, მთის ნაკადულის პირას ჩაიმუხლეს, ქარი ამოიღეს. ილიასმა ავრიტისაგან<sup>49</sup> დაწნულ სპიროდან ამოალაგა სადველი<sup>50</sup>, აპოხტი<sup>51</sup> და დააწყო სუფრაზე. მოიხსნა მათარა და მკვირცხლად წამოხტა.

– აქ კარგი ვეძაა<sup>52</sup>, იმას მოვიტან; ქედაში რომ ვეძას ბოთლებში ასხამენ და კოკტაურს ეძახიან, ყველა წყალს ჯობიანო, ეს იმასა სჯობიან, – თქვა და მოეფარა ბუჩქებს.

ბიჭებმაც გახსნეს კონსერვები და ამოალაგეს სანოვაგე.

– ჩემი საწუხარი, ბიჭებო, სხვაცაა. აი, რამდენიმე სათარია<sup>53</sup>, ეს შეშა – მოჭრილი ხის ნარჩენი, ყველა უშტო ხე, გალი<sup>54</sup> ხომ არ იქნება, რომ შეშა არ დარჩეს. აი, ეს შეშა ტყეში რჩება.

ჭიქაში ჩამოასხა ვეძა და გაუწოდა ვახტანგს; მან ფრთხილად მოსვა, დააჭაშნიკა.

– მართლა წაგავს კოკტაურს, როგორც ჩანს, ამის შემადგენლობაში შედის ნატრიუმი, მაგნიუმი, კალციუმის ჰიდროკარბონატული, სულფატური ჯგუფი.



ტყისცოცხა

გემრიელად ისაუზმეს და აჰყვნენ ნაძვნარის ნარევ ტყეს; ზოგან ჩრდილიანში წყავი და შქერიცა ხვდებოდათ, მაგრამ, ძირითადად, მაინც გამეჩხრებული იყო. გაბაწრული მიდიოდნენ. როდესაც ერთ ბამგიანს გააღწიეს და

ველობზე გავიდნენ, ის-ის იყო, სული მოითქვეს, რომ შავი ტყიდან დედაშველი გამოვარდა. ადამიანები რომ დაინახა, უცბად შედგა, მაგრამ ეს იყო წუთი; შეჰკრა ლამაზი კამარა და თავი მისცა ტყეს, მაგრამ საქმე ისაა, შველი ჯერ ისევ ველობზე იყო, კამარა არც კი გაეკეთებინა, რომ იმავე შავი ტყიდან ენაგადმოგდებული მგელი გამოვარდა, გამოვარდა და ისიც, თითქოს დაამუხრუჭესო, უკანა თათებზე შედგა, აიტაცა წინა ტოტები ჰაერში და იქ აამოძრავა, ინერცია არ დაკარგა.

აი, აქ მოხდა საოცრება, ილიასმა ელვის სისწრაფით იძრო წელში გარჭობილი ცული და ესროლა მგელს; მგელმა დაიყმუვალა, გულადმა გადავარდა, ვახტანგმა ისკუპა და თავისი წერაყინის წვერი შუბლში ჩასცხო.

– ამ მგელისგან ამოგდებულია სოფელი ცეკვა. რომ იცოდეთ, რამდენი თხა-ცხვარი მოუსპო!

– მგელს მგლობა ერქვა, ტურამ ქვეყანა ამოაგდოო. იქ რომ თხა-ცხვარს იტაცებდეს, აქ შველს არ გამოუდგებოდა.

– მართალია, ბნელში და ბნელ ნახნავში მგელი შავ ბატკანს დაინახავს, მაგრამ კოჭი ყოველთვის დუშაშში ვერ მოდის.

– ბიჭებო, ერთ ოც წუთს ვერ დაბანდდებით? – იკითხა ილიასმა.

– რა მოხდა?

– მგელს გავატყავებ, ამაში ჯილდო მერგება.

– მალე მგელიც საჭირო იქნება ჩვენს ტყეში. მგელი ხომ თავისებური სანიტარია!

– ეგ მართალია, მაგრამ ახლაც შეიძლებოდა გაგვეშვა.

– რა ელვის სისწრაფით ეცი და ჩასცხე წერაყინი.

– ახლა კი ვნანობ. ეგ ატავისტური გამოვლინება იყო, ალბათ.

ილიასმა თავისი საქმე მოათავა. მალე პერანგის წვერზე მოექცნენ. პერანგა თითქმის ორი ათას ასი მეტრია, მწვერვალი და ზურგი გაშიშვლებულია და ველობები სამოვრადაა გადაქცეული; ჯერ ხინოს მიმართულებით გასწიეს, მაგრამ მალე, ილიასის რჩევით, პირი იბრუნეს და დასავლეთით დაემუნენ, ჩამოათავეს მდელოები, შეერივნენ ტყეში, გამოიარეს მუხნარები, ხრიოკები და აი, აქ წააწყდნენ ერთ შესანიშნავ მოვლენას – ტერასულ მეურნეობას, რაც ასე დამახასიათებელია სამხრეთ საქართველოსათვის და შარშან მესხეთ-ჯავახეთშიც ნახეს.

მინდვრებს თავსა და ბოლოს დატოვებული აქვს ტყის საფარი ზოლი, სწორედ ისე, როგორც არაგვის ხეობაზეც იციან.

ერთ ადგილას ძელებით იყო ქვედა მხარე გამაგრებული. ამას საბას ლექსიკონში კადონი ეწოდება; ეს იგივეა, რომ ქვედა მხარე, ოროკოს შუბლი, ქვით ამოაშენო; ძელებს ხმარობდნენ იქ, სადაც ქვა შორსაა და ხეტყე ახლოა. ახლოში რაც ხე იჭრებოდა, უმეტესობა კადონის გასაკეთებლად იხმარებოდა (მეორე დღეს მინდიამ უამბო, რომ აჭარაში მარავალნაირი ოროკოებია, რომლებიც შესწავლილი აქვს ნ. ჩიჯავაძეს, ბათუმის ინსტიტუტის თანამშრომელს).

ზოგან ახო<sup>55</sup> მიუტოვებით, რადგან ტყის ზონაა და ტყე უნდა გავაშენოთო; ტყეც არავის გაუშენებია და ახო „უპატრონოდ“ არის, კადონი და საერთოდ ოროკო<sup>56</sup> დაშლილა, მიწა ირეცხება და წვიმის წყალს თითქმის მთელი ნიადაგი წაუღია, ახოს განუწყვეტელი მოვლა სჭირდება.

ყანის თესვაც ნიადაგის ფენის მოვალაა. ყანა ნიადაგს მაინც ინახავდა.

მზე ჩასვამს იყო, ბიჭებს ოფლი წურწურით ჩამოსდიოდათ. ფერდამ უკვე გზისკენ დაიდო ნეკნი, ფრიალ დამრეცდა, მაგრამ წერაყინებს იყენებდნენ და გვერდგვერდ ჩამოდიოდნენ, თავს ძლივს იკავებდნენ. მუხლები ეკეცებოდათ, ნაფეხურებს მტვერი ასდიოდა. ვაჟას მიუხაროდა ამ ფერდაზე:

– ცნობილი ბოტანიკოსი ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში, ლედებური, წერს, იმერეთში ფილირეა იზრდებაო – და დღემდე კი იგი არავის უნახავს, ჩაგიყვანთ და გზის პირას გაჩვენებთო.

ბიჭებს თან ექვევებოდათ, თან იცოდნენ, რომ ვაჟა ეგრე ადვილად არ დაიტრახებდა.

ბოლოს წყავის ბუჩქთან ჩამოჯდა და თვალეგაბრწყინებულმა დაუწყო მხერა ამხანაგებს, რომელთაც დამრეც ფერდაზე ჩაიმუხლეს და თავს ძლივს იკავებდნენ, ძირს მიცურავდნენ. ძირს კი აჭარისწყლის ჰესის აკვედუკი ჩანდა.

ბოლოს მიაქციეს ყურადღება ვაჟას თვალეგების ციმციმს და მივიდნენ ბუჩქთან.

ფილირეას სულ ექვსი სახეობაა ცნობილი, ყველა ხმელთაშუაზღვეთშია გავრცელებული. მარადმწვანეა, ფოთლები ტყავისებური. ეს სახეობა ჩვენში შემოვიდა ყირიმიდან, სადაც ბალ-პარკებში ამენებდნენ. ველურად არ იყო ნანახი. გარდა ამისა, აჭარის მთებში, პერანგაზე, ძალიან საყურადღებო აჭარული არყი ვნახეთ. მეცნიერულად მას მედვედევის არყს უწოდებენ. იგი მთის არყია, იზრდება ზღვის დონიდან 1400-2200 მეტრის სიმაღლემდე. ეს უმთავრესად მიწას გართხმული მცენარეა, ზევიდან ქვევით არის ჩამოწოლილი 1400 მეტრის სიმაღლეზე, მისი ზროს სიგანე 13-15 მეტრია, ხოლო სუბალპებში – 2000-2300 მ სიმაღლეზე, არაუმეტეს 5-6 მეტრისა. იგი თავისებურად ცოცხლობს: ძველი ზრო კვდება, მისი ახალგაზრდა ნაწილი კი მიწაში იკიდებს და

თითქოს მაღლიდან ქვევით ჩამოდისო. ყინვისა ეშინია და დეკასავით კარგად იზამთრებს თოვლქვეშ. თუ ზვავმა გადახადა თოვლის საფარი, ხმება.

ისე რომ, საქართველოში ორი ენდემური არყი გვაქვს: მეგრული არყი სამეგრელოს მთებში და მედვედევის არყი აჭარა-გურიის მთებში. კავკასიისათვის კი ენდემურია რადეს არყი, რომელიც მთავარ კავკასიონზე გვხვდება.

პონტური მუხაც ტიპიურია აჭარის მთებისათვის ისე, როგორც გურიის მთამაღალში; იგი 1200-2000 მეტრის სიმაღლეზე ქმნის წაწოლილ, გართხმულ რაყებს. ზოგჯერ თითო-ოროლა ეგზემპლარი წამოიწევა ხოლმე და ზოგიერთი ხუთი მეტრის სიმაღლისაც კი იზრდება, გართხმული ზრო კი ზოგჯერ 12 მეტრის სიგრძეა. ესეც დასავლეთ საქართველოს მთების ენდემია. გვხვდება გურიის მთებშიც.

– მამ, დღეს ძალიან ნანადირევი მიგვაქვს, ხომ?

– კიდევაც!

– მინდიას გავახარებთ!

თქვეს და დაეშვნენ გზისკენ.

– რატომ აქამდე არ თქვი, ვაჟა?

– ვაითუ, ველარ მენახა და შევრცხვებოდი.

რაკი გზაზე ჩამოვიდნენ, გამხიარულდნენ და პირი აღმა ქნეს. იცოდნენ, მანქანა სადმე ახლო შეხვდებოდათ.

### ვაზის ცრემლი

სოფელ სხალთასთან ჩაიმუხლეს და შემდეგ ვიწრო გზას გაუყვნენ. ერთი მთიდან დაკიდული ღელის პირას შეისვენეს. ვახტანგი და გივი ღელის მარჯვენა ფერდას აჰყვნენ, ერეკლე და ლელა – მარცხენას.

ვახტანგი მალე მიეფარა თვალს.

უცებ ჰაერი მისმა ძახილმა შეძრა:

– გივი, ჩამოდი ჩქარა!

მალე ფერდობზე დაჩნდა, ახლა ქვევით დარჩენილებს ჩასძახა, რომ ისინიც ამოსულიყვნენ, ისე მიეფარა ხეებს და მისკენ წასულეებს სიმღერა შეესმათ:

*ჩაღმა ჩაყრილო ვენახო,*

*ამოღმა ამოცურდები...*

მალე დაინახეს ორივე მომღერალი, ერთი უხრავის<sup>57</sup> გვერდით იდგნენ და გატაცებით მღეროდნენ. უხრავს კრიკინა<sup>58</sup> შემოჰხვეოდა და მის ფოთლებში იკარგებოდა, გიორგისა და მინდიას გაუხარდათ.

– აქ ვაზი, ალბათ გაგარეულებულია, კრიკინას არა ჰგავს!

– აბა, ერეკლე, ადი ხეზე და ერთი კუფხალი<sup>59</sup> მაინც ჩამოაგდე თავისი ფოთლით.

– რა გიკვირთ, ეს ხომ მესხეთის მეზობელია, ხშირად მასთან გაერთიანებულიც, გახსოვთ...

*პური კლდეს, ღვინო ბოგასა,*

*თევზი მომკითხეთ ტობასა.*

გივიმ ველარ მოითმინა და შემღერა:

*წითელი ვაშლი თუ გინდა,*

*გაღმა-გამოღმა წყორზასა...*

ერეკლემ ხიდან ჩამოაწოდა თითქმის შეთვალული მტევანი და ფოთლებიანი პატარა რქა.

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს, თუმცა დასასრულს კი არა, შემოუერთეს თუ არა აჭარა 1878 წელს, ჩვენმა უებრო, ფუტკარივით მოფუსფუსე თედო სახოკიამ იმოგზაურა აჭარაში და სხვა შესანიშნავ აღწერილობასთან ერთად ამ მხარის ვაზების საკმაოდ მდიდარი ნუსხა დაგვიტოვა. მაშინ აქ ყოფილა გავრცელებული მწვანე, კლარჯულა, შხუმი, ჩხავერი, ცხენის ძუძუ, ხარისთვალა, ჯანიში, ხოფათური და, ალბათ, კიდეც ბევრი სხვაც, რომლებამდისაც სახოკიას ხელი არ მიუწვდა, – უამბობდა მინდია.



## ნაძვი ხრიოკზე

გიორგი კი ამ დროს ძალიან გულდასმით სინჯავდა ვაზის ფოთლებსა და რქას.

– აგრემც ღმერთი სიმაღლეს მოგცემს სიმდაბლისთვის, მიმართა გიორგიმ ღიმილით ერეკლეს, – ადი და შარშანდელი რქაც ჩამოიტანე.

ესეც რომ გასინჯა, მაშინლა თქვა:

– ეს კრიკინა არაა, ბროლასა ჰგავს, გაგარეულელებულია.

– თუ გადარგული? – კი არ იკითხა, ამით უფრო დაადასტურა თავისი აზრი მინდიაშ.

– ??

– აბა, დასხედით და ერთ ამბავს გაამბობთ: მე ხომ აქ ჯერ პირველი მსოფლიო ომის დროს ვიყავი, 1914-1917 წლებში. ჭოროხის ხეობით გადავდი ართვინსა და არტანუჯში. ჩემი ოცეულით ჭოროხის ხეობის ახალდაბაში ვიდექი. ერთმა მოხუცმა: გვარად ვანილიში ვარ, სახელად ზვიადიო, გული გამიხსნა და ბევრი რამ მიამბო. ოცეულში თვრამეტი კაცი ქართველი იყო და ყველანი ისე ვექცეოდით, როგორც ქართველი კაცი ქართველს მოექცევა. ბევრი, ძალიან ბევრი რამ გავიგე მისგან და ერთი ასეთი ამბავიც:

ოსმალების ხელში რომ ჩავცვივდით, ჩვენ მაშინ მთლიანად გურჯები ვიყავით, ბოდიში, ქართველები. პაპისაგან გამიგია, აღარ გვასვენებდნენ. სამჯერ გავიჩხეხე თურმე ვენახი. ერთხელ რომ გაჩხეხე, მეორე წელს ახალი ბაგა ჩაყარეს გლეხებმა, ორი-სამი წლის შემდეგ გაჩაღდა პირველი რთველი და ცაში ავარდა სიმღერა.

*უწყლოდ, უპუროდ, უღვინოდ*

*ჟამი არასდროს იწირვის,*

*თუ ღმერთი კაცსა არ მისცემს,*

*ცუდია, რასაც იჭირვებს.*

*ახლა მეორე ოდა გამოეხმაურა:*

*მიყვარს ვენახი ხევანი,<sup>60</sup>*

*ხშირი ხმა, ხილის ძლევეანი,*

*ყურძნიდან მწიფე მტევანი,*

*ტკბილის სმა, ღვინის ლევანი.*

დააყენეს ზედაშე ძველი წმინდანების სახელზე და ახლა ზედაშის დროს წამოიწყეს სიმღერა, ჩააბეს ფერხული და მთიდან მთაზე გასძახეს, სოფლიდან – სოფელში.

მხიარულება ცასა სწვდებოდა. ფერხულის შუა კი იმართებოდა ქალ-ვაჟთა ცეკვა, წარმოდგენა, რომელშიც ჩანდა სწრაფვა შვილიერებისაკენ, ხალხის გამრავლებისაკენ, ხშირად ასეთი ცეკვა მისტერიებში გადადიოდა<sup>61</sup>.

– თურქებს არც სიმღერა მოეწონათ, არც ფერხული, – თქვა ზვიადმა, – და ერთ გაზაფხულზე, როდესაც ატამი და ქლიავი ჰყვავოდა, ვაზიც კარგად გაიფოთქა და გამხიარულდა, ოსმალოს ჯარმა წამოუარა და ხმლებით აგვიჩხა თურმე. ყველა ხეობას ჩამოჰყვნენ. აჩეხით რომ აჩეხეს, მერე ნავენახარი გუთნით დახნეს, ამოძირკვეს, მაგრამ ცოტა მაინც გადარჩა ყრუ სოფლებში<sup>62</sup>, იქიდან ჩამოიტანეს და გურიაში გადავიდნენ მთის ბილიკებით და იქიდანაც ჩამოიტანეს და ამგვარად ჩვენი ჯიშების გვერდით ვახარეთ გურია-იმერეთის ჯიშებიც; კაკლები აგვიჩხეს. გინახავთ სადმე ძველი კაკალი? – შემეკითხა.



*კაკლები ტყისპირზე*

– ჰო, რომ არ გინახავთ, ეს იმიტომ, რომ ესენი იმის ამოჩხვის შემდეგაა დარგული და დათესილი. ისეთი დღე დაგვიდგა, ორი წლის განმავლობაში ოჯახში ერთი ფიჩხაურა<sup>63</sup> ღვინოს ვერ იშოვიდა კაცი და ოჯინჯახს<sup>64</sup> ვერ გაქნიდა ქალი, რაც არ უნდა გულის სტუმარი მოსვლოდა. კიდევ ახარეს, კიდევ გაშენდა ვენახი, მაგრამ ისე

ველარ, ბევრგან ბზარი შეეპარა თურმე მას და გაზაფხულზე ატირდა, ატირდა მთელი გულით, რადგან ასკერების ურდო კიდეც გამოჩნდა, ჩეხდა ვენახს; პაპა იტყოდა, წინათ ვაზი არ ტიროდაო, ნუშთან, ბალთან, ვაშლთან ერთად იცინოდა, ყვავილიც ჭახჭახა ჰქონდაო, მაგრამ როცა ასე უდიერად ექცეოდნენ, უნატრია: ყვავილის ფერი დამიკარგე, რომ არა ვჩანდე მწვანე ფოთლებშიო, განგებამ ესეც შეუსრულა, მაგრამ მტევანი ველარ დამალა ვერც ფოთოლმა და ვერც განგებამ.

მესამედაც რომ გაჩეხეს, კარმიდამოს ტყრუშული<sup>65</sup> ღობე შემოავლეს, მაგარი და მაღალი. კარწინ დარგეს მარტო ტყემალი, ვაშლი და სხვა ხილი. სოფლეურად მოილაპარაკეს თურმე და ყველა სოფელმა თავის ტყეში გაიტანა ყველაზე მოსავლიანი ჯიშ. ჩმოურიგა რცხილას, უხრავს, ნეკერჩხალს, წაბლს და შეჰლადადა, კარგად შემინახეო. ძირი თურმე ცრემლით მოურწყეს. ოსმალთ ტყეში ვერ შედიოდა, ეშინოდა მაინც, ბოლომდე ტყის ძმები არ ასვენებდნენ. ვაზმა და ხემაც იგრძნო ცრემლის სითბოც, გემოც, სიყვარულიც და ორ წელიწადში ტყეში მაღლარები გაჩნდნენ; დარჩნენ და დაიტვირთნენ გაჭიკნული მტევნებით, თითო ისეთი იყო, „ვერ ეტეოდა გოდრის პირსა“.

სოფელში კვლავ ცამდე ავარდა სიმღერა:

*მასპინძელო მხიარულო, მარნის კარი აჭრიალე,  
ტკბილი ღვინო მოგვიტანე, ყელი ჩაგვიმაჭრიანე.*

– ჰოდა, ბევრი ჯიში დღესაც არის ტყეში, – დაამთავრა ჩემმა ზვიადმა ვაზის ტირილის ამბავი და თვითონაც ატირდა.

გაცოფდნენ თურმე დამპყრობნი, ვენახი აღარა აქვთ, რა ამღერებთო? დაადეს ხარკი ახლა სიმღერას. გაჭირდა საქმე. ქართველმა კაცმა ღვინო დალიოს და არ იმღეროს როგორ იქნება?

დაიბეგრა ვაზიც. მისი პროდუქტიც. შირას<sup>66</sup> გამოსაღები მეჩვიდმეტე საუკუნეში ორასი ათას ახჩას<sup>67</sup> უდრიდა.

დევნიდნენ, ჩეხავდნენ, თხრიდნენ, მაგრამ ვერ მოსპეს და აჭარამ დღემდე ორმოცამდე საკუთარი ჯიში მოიტანა.

აი, ეს ჯიშებიც: აღმურა, ბუტკო, ბათომურა, ბროლა, ვაიოს საფერავი, თეთრა, კაიკაციშვილისეური, თეთრი ლივანურა, კიბურა, კოლოში, მისკიეთა, მეკრენხი, მტრედოფერა, მახათური, მათენაური, შავი ლივანურა, შავშურა, საწურავი, ჯავახეთურა, ჯინეში, ხოფათურა, ჩხუში, სირითვალა, ქორქაულა, ტყისყურძენა, ჭეჭიბერა, ტაგიმურთა და სხვანი.

– ბევრია, არა? მაგრამ კარგია ის, რომ ერთ-ერთი საბუთია აჭარელთა დიდი სულიერი კულტურისა, გამძლეობისა. იგი სხვა კუთხეებთან შედარებით არც ერთი ნაბიჯით უკან არ დგას. აი, ყური უგდეთ:

ლიტერატურული წყაროების შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ გურიაში ითვლებოდა ვაზის 60 ჯიში, სამეგრელოში – 55-მდე, აჭარაში – 50-მდე. აღწერის შემდეგ აღმოჩნდა, რომ აჭარაში გადარჩენილია 40, გურიაში – 20 და სამეგრელოში 14 ჯიში. ასევე სხვა კუთხეებშიც.

დღესაც კი პოულობენ ძველ ტყეში ჯიშებს და გადმოაქვთ ვენახებში, ხომ ნახეთ, ხულოს რაიონის სოფლებში ერთ ჯიშს ტყის ყურძენი ეწოდება, ესეც და სხვანიც ის ჯიშებია, ზვიადის მამა-პაპამ ტყეში რომ გაიტანა და იქ დარგო გადასარჩენად; გადაარჩინა კიდეც.

– შენ სამი-ოთხი ლეგენდა გვიამბე, ხომ? – შეეკითხა მინდიას ვახტანგი.

– რადა სამი და რადა ლეგენდა?

– ვაზის ტირილი, ერთი.

– კი, მაგრამ, ვაზი ხომ ნამდვილად ტირის.

-ცრემლით მორწყვა?

– განა არ რწყავდნენ? განა მარტო ცრემლით, ოფლითაც და სისხლითაც.

– ეგეც მართალია!

– ყველა-ყველა, მაგრამ ეს რადაა ლეგენდა. აი, ამ შუა ტყეში ასეთი წმინდა ჯიში მხოლოდ დარგული, ლერწით გამრავლებული შეიძლება იყოს. კურკიდან მხოლოდ კრიკინა ამოვა, ეს კი, ხედავთ, როგორი წმინდა ჯიშია!

– თქვენ იცით, რომ 1934 წლამდე აჭარაში არც ერთი ჰექტარი დაბლარი არ ყოფილა. შემდგომ 10 წელში უკვე 160 ჰექტარამდე გაშენდა. ახლა კი 1.600 ჰექტარია.

– ისე ზედამეც<sup>68</sup> აქვთ, სხვა რამე არა?

– ზვიადი რა გვარი იყო?

– ვანილიში.

– ლამაზი ყოფილა, – დაუმატა ვახტანგმა.

– მარტო ვენახზე გიამბო? – ჩაჰყვა ერეკლე. გუმანით მიხვდა, რომ ვანილიში კიდეც ბევრ რამეს უამბობდა.

– რადა მარტო ვენახზე... მაგრამ არა გშიათ? – შეეკითხა მინდია ვახტანგს.

ყველამ სიცილი დაიწყო და საათს დახედა. ცას ახედეს, უხრავის ხშირ ფოთლებს ეტყობოდა, რომ მზე შავშეთისაკენ გადახრილიყო.

- ნეტავ მეც იმ სხივივით ჩამახედა, აი, იმ მთების იქით, შავშეთ-არტანუჯში, - ინატრა ერეკლემ.
  - განა მარტო შენ? - უსაყვედურა ლელამ, - და მარტო შავშეთ-არტანუჯში?
  - რადა, იქვე ტაო-კლარჯეთია, აქეთ კიდევ ლაზეთი.
  - გეყოფათ, ნუ გაებით, ამ ვაზის კარგი ნიმუშები აიღეთ, კარგად დაიხსომეთ ადგილი, სიმაღლეს კიდევ შეამოწმეთ, რამდენია? 995 მეტრი ზღვის დონიდან. სამიოდ კვირის შემდეგ უნდა ამოხვიდეთ ერთ-ერთი და მწიფე მტევნები წამოიღოთ, ეს შეიძლება მართლა სრულიად ახალი ჯიშიც იყოს. კარგი ლერწებიც გამოაყოლეთ.
  - კი მაგრამ, თუ ამდენი ვენახი იყო, მარნები, საწნახლები, ქვევრები რატომ არ ჩანს?
  - ჯერ ხომ არ გვინახავს. თუ ვაზსა ჩეხდნენ, მარნებსაც ანგრევდნენ. აი, ნახეთ! - გიორგიმ ჩანთიდან ამოიღო მატერიალური კულტურის ძეგლების რუკა აჭარაში, - აი, ამ რუკაზე ჩანს მარნები, საწნახლები ქვედა ბზუ-ბზუში, გუნდაურში, ყინჩაურში, მახუნცეთში, მაჭახელაში, შემთხვევით არ არის, რომ მარტო ქვის საწნახლებია დარჩენილი, ხეს ხომ სწვავდნენ?
- ამ საუბრით ჩამოვიდნენ მანქანასთან, სადაც გოგიას ცეცხლი დაენტო და შუახევიდან წამოღებული ცხვრის მწვადებს წვავდნენ.



*საჭიროა, აჭარისწყალზე ამდენი ტყე იჭრებოდეს?*

როცა სუფრა გაიშლა, მინდამ ჭიქა ასწია და თქვა:

- ქედაში, ხულოსა და შუახევში და სხვაგან, გაუმარჯოს იმ მარჯვენას, რომელიც ახლა ვაზსა რგავს და ცდილობს, უფრო მეტად ააღორძინოს ჩვენი მხარე.

### ცვილის სანთელი

- კიდევ რა გიამბო ზვიადმა? - წამოიწყო ვახტანგმა, როდესაც მუცელს ბოძი შეუდგა.
  - ჯერ გალმა მხრის კლდეებს გახედეთ, ამჩნევთ რამეს?
- მდინარის ნარცხენა ნაპირას ამართული იყო შვეული კლდე, ასი-ორასი მეტრი სიმაღლე იქნებოდა. ერეკლე მანქანას ეცა, ხელსაწყოთა ყუთიდან დურბინი ამოიღო და გახედა.
- ორი მორი დევს შუა კლდეზე! - წამოიძახა ერთი-ორი წუთის შემდეგ.
- სხვებმაც გახედეს, ყველა დარწმუნდა, რომ კლდეზე, მართლაც, ორი მორი იდო. ვაჟას გადახედეს.
- კი, ფუტკრის ძრებია, ზევიდან თოკებით ჩამოეშვებოდნენ და ისე დადგამდნენ, დაამაგრებდნენ.
  - კი, მაგრამ აუტკივარ თავს რაზე აიტკივებდნენ?
- კარგადაა დაცული, დათვი ვერ ავა, ვერც ავი კაცი.
- ზევით ხომ ხეებზე შედგმული სკებიც ვნახეთ. ეს მეხეური მეფუტკრეობაა<sup>69</sup>, მეხეურობა გურიაშიც ჩვეულებრივია.
  - ამ მეხეურობაზე წერენ ჩვენი ძველი ეთნოგრაფები: ზოგ ხეზე ოცდაათი ძირი ფუტკარი იყო შემოდგმულიო.
  - ჩვენ ორზე მეტი არ გვინახავს.
  - ოცდაათი ბევრია, - დაუდასტურა ვაჟამ.
  - ახლა ეს ძველები ცოცხლები არ არიან, რომ ვკითხოთ, მაგრამ ოცდაათი, რასაკვირველია, ფანტაზიაა. ისე კი ამ მხარის პირობებმა შექმნეს ეს მეხეურობა, ხეზე კი ზოგჯერ ოთხი-ხუთი გეჯაც იდგმოდა.
  - კლდეზე რაღა უნდა? - იკითხა ლელამ და შეფიქრიანდა.
  - აბა, დაფიქრდით!
- მაღე თავი გააქნიეს: ვერაფერს ჩავწვდითო.
- შენ რა იცი, ვაჟავ!
  - ოსმალებისაგან იცავდნენ სკასო, ასე გამიგონია პაპაჩემისგან.
  - განა ისინი ფუტკარსაც ეტანებოდნენ?
  - ალბათ!
- შემდეგ უკვე მინდია ჩაერია.

– აქ უკვე იწყებოდა ბრძოლა ქრისტიანობასთან; ცვილისაგან სანთელს აკეთებდნენ, რომელსაც თავის ხატებს უნთებდნენ აქაური ქართველები. ამიტომ იყო, რომ ოსმალები სკებსაც წვავენ, სპობდნენ. ვეღარ აღადგინებოდა სანთელი ტაძარში, ვეღარ გაანათებდა დედალვთისას, მაცხოვარს, მთავარანგელოზებს, ჩვენს წმინდანებს, თამარის და დავითის სახეებს, რომელთა სითბოთი სავსე თვალების გამოხედვა მოუწოდებდა თავისუფლებისაკენ. ქრისტიანობა ძველ დროში ფარი იყო ერისა, იგი კრავდა და ადუღებდა ხალხს.

– ეს როგორ?

– აი, გამართეთ საძილე ტომრები და გაიმზობთ ჩემი მეგობრის, ზვიადის, ნაამზობს:

– ზემო აჭარა ესაა და რა ვქნათ; სწორე ადგილი კი შირაქია, იქ ხომ არ წავალთ დასაძინებლად, როგორც გიჯობს, ისე გიღირდესო.

– შირაქამდე ქობულეთის დაბლობია.

– იქ კიდევ კოლა.

– იყო და აღარ არის.

– ოცდაათიან წლებში ხომ კოლოს ბრძოლა გამოუცხადეს, ამ საქმეს დიდი ამაგი დასდო ექიმმა კადელაკმა და იტალიიდან კოლოს მტერი თევზი გამზუზია ჩამოიყვანა, მას შემდეგ ხალხმა ამოისუნთქა. კოლოზე ვილა ლაპარაკობს...

– სჯობს ისევ ჩამქრალ სანთელზე მოგიყვე.

– ძნელია, ბიჭებო, იმ ძველი დროის მოგონება, მაგრამ უნდა გაიმზობთ.

– ძნელი რა არის?


– ბევრი უბედურება, რაც ამათ თავს გადახდათ, ჩემი თვალით ვნახე და იმაც არის ძნელი.

– აბა, აბა! სიტკბო-სიმწრით ნაგები საიქიომდე გაგყვებაო, თუმცა სიტკბოსი რა მოგახსენოთ.

– უკვე გაიმბეთ, რომ პირველი მსოფლიო ომის დროს, ჭოროხის ხეობაში, სოფელ ახალდაბაში ვიდექი ჩემი ოცეულით, ჯერ ბრძოლაში არ ჩავბმულიყავით. გაღმა-გადმოღმა სოფლებშიც იდგა ჩვენი ნაწილები, ერთ მშვენიერ დღეს უცბად ბრძანება მივიღეთ, სწრაფად უკან დაიხიეთ, ბათუმისკენო. შეწრიალდა ჩვენი ზვიადი, მეც უნდა უკან გამოგყვითო, სახელდახელოდ შეკრა ბარგი, დააწყო თავის აჩაჩა ურემზე<sup>70</sup> და ჯალაბიანად<sup>71</sup> გამოგყვა. მთავარ გზაზე რომ ჩამოვედით, შემზარა, ჩვენი ჯარი მოდიოდა არტანუჯიდან. თვალეზი ყველას შეცვლოდა, ადამიანური სითბო დაკარგვოდათ და აქეთ-იქით აცეცებდნენ. ერთმანეთში იყო არეული ჯარი, საქონელი, ხვასტაგი<sup>72</sup>, მროწლე<sup>73</sup> თუ არვე. საქონელი მოტაცებული ჩანდა. ჩემი მტრის ერდოზე გაუვლია უკან დახეულ ჯარს. არაფერს ინდობს, არც თავისას, არც სხვისას.

მოჰქონდათ ხალები, სპილენძის ჭურჭელი და, ვინ იცის, კიდევ რა.

ჯარში ხმა იყო დავარდნილი: ესენიც – აჭარლები და ლაზები – თათრებიაო და ჩვენი ჯარი არ ინდობდა მათაც, იტაცებდა ყველაფერს, რის წაღებაც შეეძლოთ, უხოცავდნენ საქონელს, წვრილფეხს. ნაწილი შავმეთ-ერუშელეზისა ჩვენს ჯარს გამოჰყვა, ნაწილი ტყეში გაიხიზნა, მთებში.



*აჭარისწყალზე ფართოდ იყენებენ ნეკერს*

ზვიადმა თავისი ჯალაბით მარადიდამდე იარა, აქ წამომეწია და ჩუმად მეუბნება:

– მინდია, ესენი ხეირს არ დაგვაყრიან. მუდამ ხომ შენ ნაწილთან არ ვიქნებით, ჩემები აქვე გადავიყვანე, ერთ ბილიკზე, მთაში ავალთ და იქ დავრჩებით, ვნახოთ, იქნებ ღმერთმა ჩვენც გადმოგვხედოს...

ჩვენი ჯარი შეჩერდა, წინ შემოგვეყარა კარგად გაწყობილი პოლკები და დივიზიები, ქართული რაზმიც იყო, ერთი კარგად შეიარაღებული პოლკი.

მალე ხმა დაირხა, ჩვენმა ჯარმა შეაჩერა ოსმალთა ჯარო. ჩვენი ნაწილები მაჭახელაში დარჩნენ. ჩემი ასეულით ჩხუტუნეთში დავდექი. რასაკვირველია, მაჭახელების სახლებში. თქვენ იცით, რა არის ჯარისკაცი, როცა სოფელში დასახლდება? მტერსაც არ ვუსურვებ ასეთ ამბავს. მართალია, ჩემი ოცეული მე მიჯერებდა, მაგრამ სხვა? მალე ჩვენი ნაწილი ახლებით შეივსო, ცოტაოდენი გვაგვარჯიმეს და გავწიეთ არტანუჯისაკენ. გზადაგზა



გადამწვარი სოფლები გვხვდებოდა. ოსმალები ხომ შემოვიდნენ, მათ ხეირი არ დააყარეს; ჩვენი ჯარი რომ შემობრუნდა, უარესი გააკეთა, მთელი აჭარა, შავშეთ-ერუშეთი, მოღალატეებად გამოაცხადეს. იმპერიის სარდლობამ დაიწყო ლაპარაკი იმაზე, რომ მთელი აჭარა მოღალატეა და უნდა გადავასახლოთ შორეულ აღმოსავლეთში თუ შუა აზიაში.

აი, სწორედ ამ დროს ქართველი ხალხი ერთ მუშტად შეიკრა და შეერთდა. დაარსდა აჭარელთა დამხმარე კომიტეტი, რომელშიც შედიოდნენ იმდროინდელი ქართველი მოღვაწენი: ექვთიმე თაყაიშვილი, გიორგი ლასხიშვილი, სამსონ ფირცხალავა, ალექსანდრე ყიფშიძე, მწერალი ქალი განდევილი, ვახტანგ ორბელიანის ქალი მარიამი, პართენ გოთუა და სხვა მრავალი.

ჯერ ერთი, მაშინდელი ჩვენი პრესა, ჩვენი საზოგადოებრიობა ისე ახმაურდა, რომ ხალხის გადასახლებაზე ხელი ააღებინეს, მეორე, უსახლკაროდ, ცის ქვეშ დატოვებულ ხალხს შველა უნდოდა, სურსათი იყო საჭირო, რადგან მოსავალი ჯერ ერთმა ჯარმა გაანადგურა, მეორე – მეორემ.

ყველა ცდილობდა, რითაც შეიძლებოდა, თავის ძმებს დახმარებოდა. მაგრამ დახმარება ყველას ვერა სწვდებოდა. სახელდახელოდ დადგმულ კარვებში სიცივით იყინებოდნენ, ბავშვები იხოცებოდნენ, მათი ცოდვა ცასა სწვდებოდა.

მთელი საქართველო ფეხზე დადგა, დაიწყო შეწირულობათა შეგროვება, ყველა იმას იძლეოდა, რაც შეეძლო. კომიტეტი მუშაობდა, იძენდა სურსათს, ტანისამოსს, მედიკამენტებს. მოჰქონდა უბედურებაში დარჩენილ თავის ძმებთან, თუ რა ერთსულოვნება იყო ხალხში, მე წაგიკითხავთ რამდენიმე სტრიქონს, – თქვა მიწიამ და თავისი აბგიდან ამოიღო ჩვენი მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის მოღვაწის, აპოლონ წულაძის, პატარა წიგნი.

– ეს აპოლონი დიდხანს მუშაობდა აჭარაში, ცდილობდა ხალხში გაეგრეცელებინა მეფუტკრეობის პროგრესული წესი, თვითონ გურიიდან იყო, მაგრამ ამბობდა, აჭარიდან, ხულოდან ვართ წასულებიო; აი, მის პატარა წიგნში, რომელსაც ეწოდება „ძმური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს!“ ამობეჭდილია ზოგი რამ მაშინდელი ქართული გაზეთებიდან.

„ჩვენ, ირკუტსკის გუბერნიის, სოფელ ტულინის (ციმბირი) ქართველი პოლიტიკური გადასახლებულები, უზომოდ შეგვაწუხა თანამომე აჭარლების უბედურებამ, მაგრამ დარწმუნებულნი, რომ ყოველივე უბედურებას თან ახლავს რამდენიმე მანინ სიკეთეც, ვნუგეშობთ იმ აზრით, რომ მომხდარი ამბები ღრმად დააფიქრებს აჭარელსა და დანარჩენ საქართველოს მშრომელ ელემენტებს და ნათლად დაანახებს იმ ჭეშმარიტებას, რომ მათი მომავალი ბედი დამოკიდებულია მათსავე ძმურ განწყობილებაზე და სოლიდარობაზე.

სრული ჩვენი თანაგრძნობა უდანაშაულოდ აწიოკებულ თანამომე აჭარის მშრომელ ხალხს, ჩვენი საუკეთესო სურვილები და თბილი ძმური სალამი მათ.

ამასთანავე გიგზავნით ჩვენ შორის შეგროვილ მცირეოდენ წვლილს, 6 მან. 35 კაპ“. ხელს აწერს 9 გადასახლებული ქართველი, მათ შორის ერთი ქალი.

აი, მეორე წერილი, მაშინდელი გაზეთიდან ამობეჭდილი:

„ქ-ნო რედაქტორო!

28 თებერვალს, ს. პატარძელში (კახეთშია) სცენის მოყვარე პატარებმა გავმართეთ საბავშვო წარმოდგენა, შემოსავალი იყო 9 მანეთი, ხარჯი გვქონდა ერთი მანეთი. გიგზავნით რვა მანეთს და გთხოვთ, გადასცეთ უდემამოდ და უსახლკაროდ დარჩენილ მოძმე პატარა აჭარელებს“.

ხელს აწერს პატარძელელი 9 ბავშვი (სონა, ქეთო, ელენე, გაიანე, საშა, ევგენია, ერასტი, ნუნუ და თამრო).

შორეული ფრონტიდან ჯარისკაცები იწერებოდნენ:

„გაზეთების საშუალებით ბრძოლის ველზე ჩვენც გავიგეთ მოძმე აჭარელების უბედურება, აჭარელების მწარე ბედი ისარივით მოხვდა ჩვენს გულს. თვით სასიკვდილოდ განწირულნი, თოფის პირზე მდგომნი, ნივთიერებით თვით ღატაკნი გიგზავნით აჭარლების გადასაცემათ ჩვენს უკანასკნელ გროშებს, სულ 19 მანეთს და 45 კაპიკს. ვუძღვნით დატანჯულ აჭარელებს ჩვენს ძმურ სალამს. ქართველი ჯარისკაცები“.

ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოებამ (თავმჯდომარე იყო მიხეილ მაჩაბელი, მოადგილეები – ცნობილი მოღვაწენი პართენ გოთუა<sup>74</sup>, მიხეილ ყიფიანი და მდივანი – ჟურნალისტი პავლე საყვარელიძე. ამათ გარდა, გამგეობაში მუშაობდნენ ცნობილი ქართველი მოღვაწენი: ფილიპე გოგიჩაიშვილი, გერონტი ქიქოძე, ივანე გომართელი, გრიგოლ რცხილაძე, იოსებ ბარათაშვილი, გიორგი ცინცაძე, მიხეილ ლალიძე) დაიწყო დიდი მუშაობა.

ამას გარდა, ბათუმის განყოფილებაც დაარსდა, რომელშიც შედიოდნენ ევგენი კრინიცი, რეჯებ ნიჟარაძე, გრიგოლ ელიავა, სიმონ მდივანი, ისაკ ლორთქიფანიძე, ილია მელია, გიორგი ანჯაფარიძე, კაპიტონ გოგოლაძე, იუსუფ ვაშალომიძე, გრიგოლ სოლოლაშვილი და ექვთიმე ბერძენიშვილი.

ამ საზოგადოებამ ბევრი რამ გააკეთა: აჭარაში გაგზავნა ექიმები, წამლები. განსაკუთრებით ბევრს მუშაობდა ბათუმის განყოფილება. რომელმაც მოიწვია აჭარის მხარის მცოდნენი, აჭარლები, და სთხოვა, რომ სურსათი თუ სხვა სახის დახმარება თანაბრად და სამართლიანად გაენაწილებინათ აჭარელთა შორის.

სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებიც ჩაებნენ ამ მუშაობაში, ერთმა მათგანმა მოიარა აჭარისწყლის ხეობაც; „ხულოშიო, – წერდა დეპუტატი ჩხენკელი, გასძახეს მთიდან მთაზე და ორი საათის განმავლობაში 14 სოფლის წარმომადგენელი შეიკრიბაო“.

მართლა, აგერ, მთებზე გადახედეთ, როგორ ბჟუტავენ სინათლეები, დღისითაც ხომ კარგად ჩანან ეს სოფლები!

მალე, ორ-სამ საათში 14 სოფლის<sup>75</sup> რწმუნებული შეიკრიბაო, რომელთაც უამბეს თავისი გასაჭირი.

ერთი გაჭირვება შეხვდათ ფერშალსა და ექიმს ხვედელიძეს: ქალებს ვერ უწევდნენ დახმარებას. იმ დროს ქალი ექიმი ხომ სანთლით იყო საძებარი.

მეორე დეპუტატმა კი ძალიან ცხარე სიტყვა წარმოთქვა სათათბიროში, აი, ადგილი ამ სიტყვიდან:

„აჭარის და სხვა რაიონების აოხრების შემდეგ ტყეში ნახულობდნენ გაყინულ დედაკაცებს მუშუმწოვარა ბავშვებით; დედაკაცები გამორბოდნენ მოძალადეთაგან, გარბოდნენ ტყეში, რომ თავი დაეღწიათ მოსულ ბარბაროსთა ვანდალებისაგან, ნამუსი შეენახათ და გაუპატიურებას ასცდენოდნენ (ხმა მარჯვნიდან: „ცოტა რბილად, ვინ არიან ესენი?“<sup>76</sup>. „თქვენ თითონ მშვენივარად უწყით, თუ ვინ სჩადის ასეთ საქმეებს“ (ხმა მარჯვნიდან – „სთქვი ბარემ“).

ერთი სიტყვით, გახმაურდა მთელი ეს ამბავი და საზოგადოებრივმა აზრმაც თავისი ერთგვარი გავლენა მოახდინა. მეფის მთავრობამ ხელი აღარ ახლო აჭარელებს, არ გადაასახლა. აჭარამაც იგრძნო სითბო ძმებისა და კვლავ გაისმა ნასოფლარებზე ცულისა და ჩაქუჩის კაკუნი. გადმოდგნენ ფერდობებზე ხის ლამაზი აჭარული ოდეები.

მხოლოდ ამ სითბომ და გულში ჩაუქრობელმა გრძნობამ, რომ იგი ქართველია, ათქმევინა ეს სიტყვები გულო-ადა კაიკაციშვილს აკაკი წერეთლის დასაფლავებაზე, და მიწიამ კვლავ წაიკითხა წედანდელი წიგნიდან:

„ნამდვილო ქართველო, დიდო აკაკი!

ეს რაღაც სხვანაირი ამბავია! დღეს მოყრილა მთელი საქართველოს ერი, სხვა ერებიც ბევრია მათ შორის და გარს ეხვევიან შენს კუბოს, თითქოს რაღაცას ეხვეწებინან: დარჩიო, ანუ გაბარებენ რამეს საქართველოს შესახებ წასულ დიდ წინაპრებთან, მაგრამ, არა მგონია, უენო ხარ, სულია ცოცხალი და უკვდავი, თორემ ენა და სხეული ვერ მიიღებს იმ შედარებას. არ ვგონებ, მისთვის არიან მოსულნი, რომ თავყვანი სცენ, ვით ცხოველმყოფელს, შენს დიდებულ გვამს.

მეც იმათ რიცხვში ვურევებარ, მოხუცებული, უძლური ქართველი მუსლიმანი, გამოგზავნილი სამესხეთოს მხრიდან, რომელიც სამას წელზე მეტია, მოიტაცა მტერმა და მოაშორა საქართველოს, რომ მათ მაგიერადაც თავყვანი ვსცე შენს დიდებულ ცხედარს და, თუ მოვახერხებ, ორიოდე სიტყვა გითხრა. საქართველომ მუდამ მტრის ბრძოლაში ატარა თავისი სიცოცხლე, თუ სპარსნი, თუ ოსმალნი და სხვა ერებიც ღვრიდნენ მათ სისხლს და აოხრებდნენ ქართველთა ერის სადიდებელ ნაშთებს და ამ გვარად საქართველოს ისტორია, ქართველი ერის წამების ისტორია არის, მაგრამ წამებულთა შორის განსხვავება არის. სამ ძმაში მტერთაგან ბრძოლის დროს მოხდება, რომ ორი მტრის ტყვიით განგმირული უკან მობრუნებულა, წყლული მოურჩენია და დარჩენილა თავის ოჯახში. მესამე კი სულ მტერს წაუყვანია ტყვედ და ჩაუგდია განუწყვეტელ სატანჯველში. აი, სწორედ ქართველმა ერმა, ოსმალეთთან მრავალი საუკუნის განმავლობაში ბრძოლის დროს დაჰკარგა ერთი მისი ძმა-მხარე სამცხე-საათაბაგო, უპირველესი ის მხარე, სადაც იშვა უკვდავი შოთა რუსთაველი და მრავალი მებრძოლნი და სამას წელზე მეტი იყო, რომ ეს დაკარგული ძმების ქართველებს თვალითაც აღარ უნახავს.

ბოლოს... კვლავ შემოგიერთდით ჩვენს უფროს მოძმე ქართველებს და ვსუნთქავთ ქართველ ერთან ერთად, და ამ დროს, სამასი წლის შემდეგ, სადაც შემოვიწახეთ ქართული დედაენა, ჩვენც ველირსეთ დაგვენახა დიდებული აკაკი, სინათლე, რომელიც, ვითარცა უკვდავი, შენ აღუნთე ქართველ ერს.

მაგრამ ჩვენი მხარე მეტად დაბნელებული იყო და ერთი საათით მოიფინება ყველგან სინათლე და საჭიროა, რომ აქეთ უფრო მრავალი სანთლით შემოვიდნენ, და გვედრებ: დაუბარე ამ შენებს, რომ ცალი თვალი და ერთი ხელით სანთელი ჩვენკენ დაიჭირონ, გვინათონ და გვიპატრონონ, აღვიდგინოთ ჩვენი დედაენა, გვიხსნან იმ გაჭირვებიდან, რომელშიც ნამეტურ ახლა ვიმყოფებით, აღარ შეგაწუხებ, გაცხონოს ღმერთმან და გისურვებ, რომ შენფერი შვილი ბევრი გამოჩნდეს საქართველოში განათლებულს შენგან ანთებულ ჟინქლილით...“

– ეს ხომ ვედრება და დალადისია, – ამოვიგინა ვახტანგმა.

– სწორედ გულიდან ამოხეთქილი, – დაუმატა ერეკლემ.

– მაინც სანთელს რად აქრობდნენ?

– ჰო, წედანდელზე ამბობ? როდესაც ჩემი ასეულით დავბრუნდი, ზვიადი იქ დამხვდა, ახალდაბაში, ძველ კარ-მიდამოზე.

დამწვარ სახლს უვლიდა გარს, აშენებდა და ვერც აშენებდა, შემშველელი არავინ ჰყავდა. ორი დღის ვადა მქონდა, ჩემი ბიჭები დავახმარე, დავახმარე და მერე როგორ, ტყე ზედვე ეკრა, შარშანდელი დაჭრილი ხეები ჩამოვიტანეთ, ოთხმოცდათხუთმეტმა კაცმა სამოთახიანი ოდა ფეხზე დავაყენეთ. მაგრამ ნათქვამია, ვინც სახლი აშენებული ნახა, ეგონა, დედაბოძი მიწიდან ამოვიდაო. ასი კაცი ვმუშაობდით ხუმრობაა!

ზვიადს თვალზე ცრემლი ადგებოდა სიხარულით, იმას ნაღვლობდა, რომ ვერაფრით გვიმასპინძლებოდა, ბევრს ვამშვიდებდი, მაგრამ ის თავისას წუხდა.

ჩვენ მაინც წავედით. ზვიადთან მაინც ვერ დავრჩი მარტო და, რაც უნდა ეამბნა, მაინც ვერა გვიამბო რა. კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო.

სამი თვის შემდეგ ვბრუნდებოდით მე და ორი ჩემი ამხანაგი, ერთი ზემო იმერელი კაპანაძე იყო, ერთი ქართლელი, სამივე დაჭრილები ვიყავით, პატარა ცხენის ურმით მოვდიოდით, ერთი ჩვენგანი მსუბუქად იყო დაჭრილი, თუმცა შეიძლებოდა, იმ ბრძოლაში თავიც წაეგო, ხმალდანხმალ გადავიდა, ქვემოქალევი ბიჭი იყო, „რა ქნა ბიჭმა, თავს რაზე იკლავსო – ყველა ამბობდა. მაგრამ, ხომ იცით, ვინც რომ კაცია, ჩოხა ჯაჭვია, ქუდი ნაბდისა ჩაბალახია. ასკერები სამნი თუ ოთხნი იყვნენ და როგორღაც შეკრთნენ; შუბლში იყო დაჭრილი... გიორგის ჯვარი დაჰკიდეს და მოვდიოდით და მოვიმდეროდით შავშეთის ვიწრო ხეობაში. ჩვენთვის ომი დამთავრებული ჩანდა.

ახალდაბაში ზვიადს გამოვუარეთ, გაიხარა, მაგრამ იმწუხარა, ცალხელამ რა უნდა ვაკეთოო.

– არა უშავსრა, ჩემო ზვიად, სოფელი ღონიერია, თუ კაცი გონიერია, ხომ იცი, კოლოც მოერევა ლომსა, თუ მგელი მიეშველაო. ქვეყანა დიდი, აკი კაცი არ დაელევა!

– კეთილისათვის მივალთ, ჩემო კეთილო, ცანიცა ეხმარებიან.

– მართალია, მეზობელო კარისაო, სინათლე ხარ თვალისაო.

– სხვის იმედზე ყოფნა მაინც ძნელია.

– რადა სხვის იმედზე, მოაკლდეს მძინარესა, ემატოს მღვიძარესაო. თუ არ გაისარჯე, არა გექნება რა... ვთქვი მე და გავუღიმე, ზვიადს კი თვალი ჩემი ხელისკენ გაექცა, მე გამეღიმა და მარჯვენა მხრებზე მოვხვიე.

– აგრე, ჩემო კეთილო, ომში ნაცადი ხმლისა სახლშიც გქონდეს იმედი.

ჩემი ამხანაგები კი გაკვირვებულები გვიცქეროდნენ.

– საიდან იცი, ზვიად, ეგრეთი ქართული? – შეჰბედა დათამ.

– როგორ საიდან ვიცი, მა რა უნდა ვიცოდე, ქართველი ვარ და ვიცი.

დათა გაწითლდა, შერცხვა თავისი ნათქვამისა.

ზვიადმა შენიშნა:

– არა უშავს, დავით, ხდება ხოლმე; მართალია, სამასი წელიწადი ცდილობდნენ, ამოვეწყვიტეთ, ენაც გადაგვეგდო, ვენახს კაფავდნენ, ფუტკარს გვიკლავდნენ, რომ სინათლის ცვილი არა გექნოდა, სანთელი არ გაგვეკეთებინა, მაგრამ აგერ გაღმა კლდეებს ხედავ? ფუტკრის სკებიტაა სავსე, ძალიან გრძელი თოკით თუ დაეშვები მათთან, ჩვენშიც ყველა ვერ ჩადის, მხოლოდ ზოგი და ზოგი. წინათ თაფლიც გექნოდა, ცვილიც. ჩვენი სანთელი ენთო და გვინათებდა იმედს, მისი სინათლის გადაღმა ჩვენს ქვეყანას, დიდ საქართველოს ვხედავდით. ხომ იცი, მტერი როცა თავს დაგადგება, შარის მოდებას ბევრი არ უნდა, ნიკორა კამეჩი გაატყავეს, რატო დედა ცოცხალი არა გყავსო. სხვა გააჯავრებდა, შენზე ჯავრს იყრიდა, ყორანმა შაშვის ჯავრით შროშანი მოკლა: შენც შავი ხარ და ისიცაო. ასეა, ბიძავ, ჩვენი საქმე.

მეორე დღეს, როდესაც ზვიადს გამოვეთხოვეთ, ზვიადსა და არა მარტო ზვიადს, ჩვენც თვალზე ცრემლი გვადგა. შარაგზაზე რომ ჩამოვედით, დათა მობრუნდა და მითხრა:

– იცი რა, ასე მგონია, საქართველო აქა გვრჩება და ჩვენ მასა ვტოვებთ, – და ღრმად ამოიოხრა.

ვაი, რომ ეს თითქმის მართალი აღმოჩნდა. 1918 წელს ჩვენმა ჯარმა სტიქიურად დაიხია უკან და ოსმალები ბათუმამდე ჩამოვიდნენ. კვლავ გადიქელა არტანუჯი, ტაო-კლარჯეთი, ერუშეთი, შავშეთი, მაჭახელა, აჭარა, ქობულეთი.

– და დღეს აჭარისწყლის ხეობა გვაქვს მხოლოდ... – გაისმა ერეკლეს ყრუ ხმა.

– არ უნდა ავანთოთ სანთელი?...

– ძილის დროს რაღად გინდა? – ვითომ ვერ გაიგო, გამოეპასუხა გიორგი და ჩამოვარდა სიჩუმე. მხოლოდ სხალთის ხევიდან ამოდიოდა შავშეთის მთებიდან წამოსული მდინარის ხმაური. მეორე დილით, საუზმის შემდეგ მინდამ ვახტანგი იხმო.

– გადმოცემები, ძველი ამბები, ლეგენდად ქცეული, კარგია, მაგრამ...

– რამ მაგრამ, მინდია ბატონო? – ეშმაკურა ჰკითხა ვახტანგმა.

– რამდენადაც მახსოვს, ეს ხეობა შენზეა. ტყუილად აურიე ჩემი წიგნების თაროები?

– მზად ვარ! – წამოხტა ვახტანგი.

– „სხალთის ხეობა საკმაოდ ნაჭირნახულებია, ძველად ძალიან მჭიდროდ დასახლებული ყოფილა, ახლაც, აბა, გახედეთ ამ იშვიათ სოფლებს. ეს ხომ სოფელი კი არა, მუზეუმი, თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ.

მრავალია ნასოფლარი, მრავალ ადგილს ჰქვია ნაეკლესიარი, ნასაყდრალი, ნაციხარი, თვითონ ეკლესიათა უმრავლესობის კვალიც არ ჩანს, ციხეც შედარებით კარგად ერთი-ორიღა თუ გადარჩენილა.

სხალთის ხეობაზე გადადიოდა დიდი საქარავნო გზა, რომელიც სამცხეს შავშეთ-ერუშეთთან აერთებდა. შავშეთის ქედზეც კარგად ჩანს ამ გზის ნაკვალები. ერთ ადგილს, ქედზე, სადაც გზა გადადიოდა, დღემდა შერჩა ზეკარი.

აი, ჩვენი ტამარი, რომლის ეზოშიც ვიმყოფებით, თეთრი გედივით ჩანს ამ ამწვანებულ ქედებში. იგი ცნობილია რამდენიმე სახელწოდებით, მას ეწოდება ტბეთის, სხალთისა და ყინჩაურის ტამარი.

– ვფიქრობ, – და თან მიწიას გადახედა, – ტამარს ყინჩაურის ტამარი უნდა ეწოდოს. სოფელ ყინჩაურშია და იმიტომ. სხალთა მდინარეა, ხეობაა, ამ ხეობაში მეორე ტამარი რომ ვნახოთ, მასაც სხალთის ტამარი ვუწოდოთ? ტბეთი კი, ნამდვილი ტბეთი, შავშეთშია... – მიწიამ თავი დაუქნია, ვახტანგმა გაიღიმა და განაგრძო, – როგორც ხედავთ სოფლის განაპირას, საკმაოდ დამრეც ფერდზე მდებარეობს, მდინარე სხალთის მარჯვენა ნაპირზე.

დამრეც ფერდაზე მოვაკებულ ადგილას ყველაზე კარგად დაცული ტამარი ყინჩაურის ტამარია, შემოღობილია და აღდგენითი მუშაობაც ჩატარებით. რუსუდან მეფისაშვილს შეუსწავლია იგი 1939 წელს და მაშინ პერანგის ქვა ბევრგან ჰკლებია, დღეს შევსებულია; ჩვენი მკვლევრის აზრით, იგი აშენებულია მეცამეტე საუკუნეში.

ყინჩაურის ტამარის შესახებ ერთი ლამაზი ლეგენდაც არსებობს: მისი მშენებელი დიდი ბრძენი კაცი ყოფილა. წინასწარ გამოუანგარიშებია, რამდენი ქვა მოუნდებოდა და იმდენი გაუთლევინებია. ტამარი აიგო და ერთი ქვა დააკლდა. რატომ მანდ ქვას არ დებთო? – იკითხა თურმე, – არ არისო, – უპასუხეს. ძალიან სწყენია, ხმა არავისთვის გაუცია, წასულა. სადამოს მკვდარი უნახავთ. მეორე დღეს იპოვეს ქვა, ჭინჭარში ეგდო თურმე. შურიანმა კაცმა დამალა, თუ თვალს გადაეფარა, დღემდე არავინ იცის.

სხალთის ხეობის სათავეებში, სოფელ ბაკოს მახლობლად, არის დიდი ციხის, ხიხანის ციხის, კომპლექსი.

აბუსერიძე ტბელის მოწმობით, ხიხანის ციხე-ქალაქი აუგიათ მეცამეტე საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც ხეობა აბუსერიძეებს ეპყრათ.

მეცხრე საუკუნიდან განსაკუთრებული ისტორიულ-გეოგრაფიული პირობების გამო დაწინაურდა ტაო-კლარჯეთი. დაარსდა ახალი კულტურის კერები: ტბეთი, ოშკი, ხახული, ოპიზა, იშხანი და სხვა მრავალი.

– ამ აღმავლობის მოწმეა ოცამდე თაღოვანი ხიდი – აჭარისწყლისა და კინტრიშის ხეობის უკვდავი ძეგლები. ამდენივეა საზღვრებს გადაღმა ჭოროხზე და მის შენაკადებზე. მათ შესახებ ვახტანგი გვეტყვის ერთ-ორ სიტყვას, – ეშმაკურად გადახედა ერეკლეს ვახტანგმა.

– შენ შენი თქვი, ჩემი ვალი მახსოვს.

– აქ მოღვაწეობდნენ, – განაგრძო ვახტანგმა, – ბაგრატიონები. მათი ძლიერი შტო – აშოტი, დავითი და სხვა. მეთერთმეტე საუკუნიდან ტაო-კლარჯეთი ცალკე სამეფოდ აღარ იხსენიება. იგი საერთო საქართველოს სამეფოში შედის – მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეებში სხალთის ხეობის გამგებლები ძლიერი ფეოდალები, აბუსერიძეები, არიან. აბუსერიძეთა შემდეგ, მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, ხეობის ფეოდალები იყვნენ ჯაყელები, შემდეგ კი აჭარა-გურიის სამფლობელოში შედიოდა.

როცა ოსმალებმა სამხრეთ საქართველო მიიტაცეს, აჭარაც მათ ხელში მოხვდა. ოსმალებმა ცეცხლითა და მახვილით დაიწყეს თავის წეს-ჩვეულებათა დამკვიდრება, ჯერ თუ ლმობიერად ეკიდებოდნენ ხალხს, შემდეგ თანდათან დაატანეს ძალა. არამაჰმადიანებს და მათ, ვინც ტამარში ლოცულობდა, ბეგარა და გადასახადი ჯერ გაუორმაგეს, შემდეგ გაუოთხმაგეს და საბოლოოდ უკანასკნელ ლუკმას ართმევდნენ.

ძნელი იყო მამა-პაპათა საფლავების შეგინება, შეურაცხყოფა იმისი, რაც საუკუნეთა მანძილზე ხალხს სწამდა, წმინდანთა წმინდად მიანჩნდა, რასაც ლოცულობდა.

იწვოდა ტამრები და ინგრეოდა...

იკაფებოდა ვენახები...

იყიდებოდა სტამბოლის ბაზარზე აჭარაში თუ შავშეთში დატაცებული ახალგაზრდობა.

ხალხი ადვილად არ ტყდებოდა, ხშირი იყო აჯანყებანი.



„წართმეული“ ტოტების აღდგენა ძნელია

ასეთი დიდი აჯანყება მოხდა 1668, 1685, 1697 წლებში, რომელთაც მეთაურობდნენ სელიმ ხიმშიაშვილი, ილია ხელაძე, ახმედ კიკნაძე, შერიფ ხიმშიაშვილი და სხვები.

მაგრამ უთანასწორო ბრძოლაში ილუპებოდა ხალხი, იწვოდა სოფლები.

სამას წელზე მეტს გმინავდა სამშობლოს მოწყვეტილი ხალხი და აი, 1878 წლიდან აჭარა კვლავ საქართველოს შემოუერთდა, მაგრამ შეუგნებელ ჩინოვნიკთა მეოხებით კვლავ დაიწყო ხალხის თავმოყვარეობის, რწმენის შეურაცხყოფა და ხელყოფა. ამას მოჰყვა დიდი მოძრაობა, რომელსაც მუჰაჯირობა ეწოდება: აყრა მშობლიური ადგილებიდან, ოსმალეთში გადასახლება.

ყველა ჩააფიქრა აჭარის წარსულმა, უმრავლესობა – აწმყომ და ფიქრებმა წაიღო ჩვენი მგზავრები.

### დიალოგი პირველი

– აბა, გახედეთ, რაზედ საუბრობენ ვაჟა და ნიშა.

მართლაც, ცოტა მოშორებით ცხვირწამოწვდილი გორა იყო, „ცხვირს“ კეხი ჩასტეხოდა და ზეკარი გაჩენილიყო, სწორედ ამ ზეკარზე იდგნენ. გზას თითქოს არც-ერთი უთმობდა.

– შენ აქ რა გინდა? – ჰკითხა ვაჟამ.

– შენ თვითონ რა გინდა?

– მე ტყეს ვათვალიერებ, ტყეს ვსწავლობ. შენ?

– მე ვბალახობ.

– ტყეში ბალახობა ხომ არ შეიძლება?

– ვინ გითხრა, არ შეიძლება, ეს საკოლმეურნეო ტყეა. თუმცა, უნდა გითხრა, ავიხედავ – ცას შევხედავ, დავიხედავ – მიწასა, არც იქა ჩანს საჩემო, მაინცდამაინც და არც აქ.

– სოფელი ახლო არსადაა, ეს როგორი საკოლმეურნეო ტყეა. ისე ხომ არ არის: ბრიყვ სიძეს, რაც სიმამართან ნახა, ყველაფერი თავისი ეგონაო.

– ჩვენთან, ბიძია, სხვა ამბავია. აჭარის ტყეების ნახევარი საკოლმეურნეო საკუთრებაა.

– ხომ არ იცი, სულ რამდენი ტყეა?

– როგორ არ ვიცი? ოთხმოცდაათი ათასი ჰექტარია. უფრო ზუსტად – ოთხმოცდაჩვიდმეტი ათას სამასი ჰექტარი.

- სხვაგან, იცი, რამდენია საკოლმეურნეო ტყე? რესპუბლიკის სხვა რაიონებში?
  - შვიდი, რვა, სულ ბევრი, 10 პროცენტი. სამაგიეროდ, იმათ კარგი სათიბ-სამოვარი ექნებათ.
  - განა თქვენ არა გაქვთ სამოვარი?
  - როგორ არა გვაქვს, ამ დღეებში იქ არ იყავით? ჯერ ერთი, იქ სამი-ოთხი თვე ვართ, მეორეც და...
  - ჰო, რა მეორეც...
  - მეორე ისა, ხომ ნახეთ, სარეველა ბალახისაგან შექმულია მთელი მდელო, ჯერ შხამა გვეყოფა შხამადაც და ჭირადაც, მერე ძიგვა, ახლა მარმუჭი?!
  - შენ ისე გამოგდის, ბატონი ყმასა სწუნობდა, ყმა მასთან ყმობასაო; სამოვარი იმას ჩივის: ბევრია საქონელი და ვერ ვუძლებო.
  - როგორი ტყეც იყო, ნადირიც ისეთი გამორბოდაო; რა სამოვარიცაა, ჩვენც ისეთ შემოსავალს ვიძლევი.
  - განა მდელოებს არ აუშჯობესებენ?
  - ააფრინე ალალიო, რაც არ არის, არ არიო; მე ჯერ არც კარგი მინახავს დათესილი, არც ავი – მოსპობილი.
  - კაცო, რას ამბობ? ვთესავთო.
  - ჯერ ერთი, მე კაცი არა ვარ, მეორე – ჩემი ურგები ქოთანი – ქვასა, შეჭამანდი – ძაღლსა. ისე სჯობიან, ისეთი გოდორი დასწნათ, თქვენს შვილებსაც გამოადგეს<sup>77</sup>.
- ვახტანგი შეკრთა, ამას რად მეუბნებო და თვალი გაახილა. მიიხედ-მოიხედა. მისი თანამეინახენი ჩრდილში ისვენებდნენ და წყნარად საუბრობდნენ.
- ვაჟა, ძროხა რა იქნა?
  - რა ძროხა?
  - წელან ქედზე რო გადმოდიოდა.
  - ??
- ვახტანგმა იტრუნა და ხმა აღარ გასცა, მიხვდა, რომ საუბარი სიზმარში ჰქონდა. უხმოდ აკრიფეს ბარგი და გასწიეს ხეობის უკანასკნელ სოფელ ბეკოსკენ. ბინა ყინჩაურში დატოვეს.
- კარავთან არვინ დარჩება?
  - რად უნდა! – გამოეპასუხა ვაჟა. შემკითხავს შერცხვა და თავი დააქნია, თითქოს ბოდიში მოიხადაო.
- დიალოგი მეორე**
- ბიჭები ყოველ ნაბიჯზე აწყდებოდნენ თითქმის წვერამდე ასხეპილ მუხებს, სხალთის ხეობაში კი წვერამდე შეტიტვლებული ნაძვებიც შეხვდათ.
- ნეკერს ამზადებენ: წვრილ ტოტებს ჭრიან, ჯერ ისევ ნედლს ტოტებითვე კრავენ და ისე აშრობენ. ასეთ ნეკერს ზამთრისთვისაც ინახავენ. როგორც ჩანს, ეს წესი ჩვენი მთიანი მხარეებისთვის უცხო არ არის. თუშეთში შავ არყს (რადეს არყს) ერთი მეტრის სიგრძის წვრილ, თითის სიმსხო ტოტებს სხეპავენ და ოც-ოცდახუთ ცალს ჰკონავენ. ერთი დღე მზისგულზე აგდებენ, შემდეგ ზვინავენ; ზვინში ორმოცი კონა მაინც იქნება. რადგან ზაფხული მშრალი იცის, ზვინში ფოთოლი არა ხურდება, შრება. ასეთ ნეკერს ზამთარში ცხენს აჭმევენ.
  - აქ კი ძროხეულის ერთ-ერთი ძირითადი საკვები ჩანს. ხიხამირში საბძლის ჭერში შემონახული იყო კონებად მუხის ნეკერი.
  - სასტიკად ავკრძალეთ მუხის ნეკერებად ხმარება.
  - აგერ, პატარა წაბლიც გადაუჩეხიათ, სულ ერთი კონა ნეკერია. იმ რძის საფასურს, რასაც მაგის ნეკერი მისცემს, ხუთიოდე წლის შემდეგ ათჯერ და ოცჯერ აანაზღაურებდა თვით წაბლი.
  - რით?
  - რით და ნაყოფით. ნეკერის ხმარება ავკრძალეთო. სამაგიეროდ რა მიეცით?
  - შემოგვაქვს საკვები.
  - შირაქიდან მოტანილი ნამჯა გიშველით?
  - ტყიდან შემის გამოტანა რომ აკრძალო და ხალხს სამაგიეროდ არა მისცე რა, მაინც გამოიტანს: პური უნდა გამოაცხოს, შეჭამანდი დაამზადოს.
  - მაგრე თუ წავედით?!
  - სწორედ ასე უნდა წავიდეთ! ბავშვს რომ ფია გაუკეთო, სათბობია საჭირო? აგერ, მაღალი ძაბვის ხაზი გაგყავთ, უნდა დააჩქაროთ, რომ ენერგია სოფელს დღეც ჰქონდეს საყოფაცხოვრებო საჭიროებისთვის. სოფელმაც დიდ საქმეს ხელი უნდა შეაშველოს.
  - საქონელს, საქონელს რა ვუყოთ? – ჩაეკითხა ვახტანგი.

– ჰო, სანამ დიდმოსავლიანი ბალახების თესვას შემოიღებდეთ და ხალხს ასწავლიდეთ, მანამდე საკოლმეურნეო ტყიდან სოფელს რამდენიმე ჰექტარი ტყე უნდა გამოეყოს და იქ ისე ვებლოთ<sup>78</sup> ხეები, როგორც ქართლში სარებს ბელავენ.

– რა განსხვავებაა?..

– ის განსხვავებაა, რომ ქურდულად უთავბოლოდ აღარ აჩეხენ, გარდა ამისა, როცა რაღაც სისტემას შემოიღობთ, მოვლაც მეტი ექნება; ახლა კი ჰაიპარად ჩეხენ, ამახინჯებენ ხეებს. მასე ასეთ ტყეში ხიჩატელსაც ვეღარ იპოვი.

– რაღა დროს ჩემი ეგებია; მე ჩემი ცხოვრების შულო ამოვახვიე უკვე და ერთი-ორი დღეღა დამრჩა...

– მაგას რაღა ბრძანებთ, – ჩაერთა ერეკლე, – ჯერ არავინ იცის, მარილზე ვინ წავა უწინ, ჭაბუკი თუ მოხუცი.

– ცხოვრებას კი არ უნდა მიჰყვე, ზოგჯერ უნდა გაასწრო, კაცობა მაშინ შეგრჩება. მგელმა უთხრა ძაღლსა, საქმე ეგ კი არ არის, რომ მივრბივარ და მომდევე, საქმე ის არის, მოგიბრუნდე და დამხვდეო. გარდა დახვედრისა, უნდა დასჯაბნო კიდეც, წინ წახვიდე, არა?

– თუ ეგეც იცი, რაღას მალაპარაკებ, კაცო.

– ვიცი, განა არ ვიცი, – წარბი შეხარა მოხუცმა, გაიღიმა და კეთილად დაატანა, – ძველებისაგან გამიგონია, ვინც თავი დაიმდაბლა, იგი ამაღლდაო. თქვენთან საუბრით ჩემი ეჭვები გავფანტე, თანაც ორწყალშუა ვართ: ვიცით, ისიც არ ვარგა, მაგრამ უმაგისოდაც რომ არ შეიძლება?

– სოფელი ღონიერთა, ერთობლივ რომ დაიწყებთ, გაადვილდება კიდეც და დაჩქარდება კიდეც.

– ნასწავლი ხალხიც უნდა ჩაგვერიოთ.

– ეგ კი მართალია!

**სადაურსა სად წაიყვან...**

**ეფერატის წყალწაღებული**

ჩვენი მგზავრები ქედის ფერდოდან ჩამოიკრიბნენ. ზოგი მასალას ალაგებდა და მოჰყავდა სისტემაში, ზოგი საველე დღიურს ავსებდა. ლელა და გოგია კი ვახშმის თადარიგს შეუდგნენ.

ჩამავალ მზეს ელვარე ცაზე თოვები გაება, სხივები აეტყორცნა მაღლა. ყველა საქმეში იყო გართული, როდესაც მათი ბანაკის მახლობლად ჭადარაშერეული ვაჟკაცი შედგა.

გულისყურით ადევნებდა თვალს მათ საქმიანობას და სახეზე ეტყობოდა, ფიქრობდა: ნეტავ რას აკეთებენო?

– კაი გამარჯობა, თქვენი!

პირველი მინდია წამოდგა.

– იცოცხლეთ და იდღეგრძელეთ!

– თქვენიანად კი, – დაუბრუნა სალამი.

ყველა საკმაოდ თავაზიანად შეეგება.

მოხუცმა მსხლით სავსე კოდი დადგა, თან ბოდში მოიხადა, ახალგაზრდები შინ არ მყავდნენ, თორემ მეტს მოგართმევდითო.

მინდიამ მიიწვია, გაშლილ ნაბაღზე მიუთითა: დაბრძანდითო – და თვითონაც დაჯდა.

მოხუცმა კოდიდან ხილი ამოიღო და თითო-თითო ჩამოურიგა.

– ამას რომ ნახავთ, ჩემი პატიჟი აღარ დაგჭირდებათო, – და თან გაიღიმა.

– უჰ, რა ტკბილია!..

– ჰო, მაგას თავლამსხალს ეძახიან...

– მართალია... – დაუმოწმა გიორგიმ.

– ჩვენმა აგრონომმა თქვა, ადგილობრივი ჯიშიაო.

– კიდეც თუა ასეთები?

– ძალიან ბევრი!..

და გაიბა საუბარი ხილეულზე. ქლიავებიც, მსხალიც და სხვა ხილიც ბევრი ყოფილა, ღობეების ძირში და ტყის პირზეა დარგული.

როდესაც საუბრით გული იჯერეს, მოსულმა უბიდან საკმაოდ სქელი კონვერტი ამოიღო.

– მე, ჩემო ბატონო, ნური ბერიძე გახლავართ, ეს წაიკითხეთ და მერე გეტყვით, რაც მჭირს. თქვენ მინდია ბრძანდებით, თქვენი რჩევა ჩემთვის ძვირფასია.

დამხვდურებს ძალიან არ გაჰკვირვებიათ ნურის თხოვნა, არც ის, რომ მინდია იცნო.

ერეკლემ დაიწყო წერილის კითხვა:

„ჩემო სანატრელო მშობლიურო ხალხო, ძმებო, ბიძაშვილებო! ბიცოლებო და ბიძებო! თქვენ მე არ მიცნობთ, მაგრამ პაპისა და ბებიას ნაამბობით ვიცი, ვინა ხართ და რაცა ხართ ჩემთვის.



ნეკერგაცილილი ხეები ხმება

ეს წერილი ჩემი ხელით არ არის ნაწერი, ჩემი მეგობარი წერს იმას, რასაც ვეუბნები. მე ქართული წერა არ ვიცი, მე ხომ შორეულ ქვეყანაში დავიბადე! რაც ქართული ვიცი, ისიც პაპისა და ბებიასაგან ვიცი.

ახლა პაპა აღარა მყავს, მაგრამ იმისგან გამიგონია, კარგი კაცი მკვდარიც ცოცხალიაო, ისიც ასეთი იყო. ხშირად წამიყვანდა ევფრატის ნაპირას, ჩამოვსხდებოდი ქვაზე და მიაშობდა თქვენზე, იგონებდა ჭოროხისა და აჭარისწყლის ამბებს. მე, აბა, რას მოვიგონებდი, ხომ არც მინახავს, მაგრამ იმდენი მსმენია მათ შესახებ პაპისაგან, რომ თვალნათლივ ვხედავდი და მესმოდა აჭარისწყლისა და ჭოროხის ზვირთთა ჩქერანი. პაპამ ანდერძად დამიგდო: მამაჩემი ახალგაზრდა ყოფილა, საქართველოდან რომ წამოსულან და გადმოხვეწილან თურქებისა და არაბების ქვეყანაში. ჩემი ანდერძი ის იქნება, იმდენი ივაჟკაცო, რომ ჩახვიდე იმ დალოცვილ ქვეყანაში, აჭარისა და ჭოროხის წყალი დალიო, ხალხს გულზე ემთხვიო. არ დაგავიწყდეს, ბერიძე ხარ გვარადო.

ხან თურქი გვცემდა, ხან რუსი, არც ერთს არ მოვდიოდით თვალშიო. როცა დიდი ომის დროს რუსებმა უკან დაიხიეს, თურქებმა ცუდი დღე დაგვაყენეს, რუსებს ემხრობითო, რუსები წინ წამოვიდნენ, ახლა იმათ გადაგვწვეს – თურქებს ემხრობითო. აიყარნენ ჩვენები ერგედან და ბათუმში ჩამოვიდნენ: თურქეთში უნდა წავიდეთ, იქ ერთი რჯულის ხალხი დაგვხვდებაო. თურქები თურმე გემს არ იძლეოდნენ, რაღაც მიზეზით არ უნდოდათ გურია-ქობულეთის ახლო მოსახლენი წაეყვანათ. დაოსდა ხალხი, დაიღალა, როგორც ჩანს, აჩქარდა, საგონებელი წლისაო, საკეთებელი დღისაო, ასე უნდა მოქცეულიყვნენ, მაგრამ სად იყო მაშინ ფიქრის დრო.

ბოლოს, როდესაც შიშშილით კინაღამ განახევრდა ხალხი, რუსეთის გემმა წაიყვანა რიზემდე ნახევარ ფასად, როგორც ჩანს, უფასოდაც წაიყვანდა, ოღონდაც დაცარიელებულიყო ჩვენი მხარე. შეცდნენ ჩვენი წინაპრები. წყალში ნუ შეტოპავ, სანამ ფრონტს არ ნახავო, – იტყოდა ხშირად პაპაჩემი და თავის თავზეც უმადური იყო.

დიდი გაჭირვება უნახავთ გზაში, ახლა რიზაში განახევრდნენ და როდის, როდის გადუწყვიტეს: ჩვენები ანატოლიის სამხრეთით გაგზავნეს; როდესაც იქ ჩავიდნენ და მიიხედ-მოიხედეს, უდაბნო დახვდათ, მაშინდა მოაგონდათ თავისი ერგე ლიმონითა და ფორთოხლით, ზეთისხილითა და ლეღვით, ბროწეულითა და ვაზით დამშვენებული. რა ექნათ. რა ელონათ? ერთ-ერთი გზა იყო მოჯამაგირე-ყმად დასდგომოდნენ ბეგებს, მეცხვარე-მწყემსებად; ეს ბეგები იმ მგლებსა ჰგავდნენ, რომელსაც უთხრეს შენ ცხვარში უნდა გაგზავნოთ, შენი ლეკვი – ბატკანშიო, შეხტა და შემოტრიალდა, იქაც მე და იქაც მეო.



ზოგან ნორჩი წაბლიც კი დაბელილია

ჩვენს ბეგს მრავალი ხვასტაგი, არვე<sup>79</sup> და რემა<sup>80</sup> ჰყავდა, ანატოლიის სხვადასხვა მხარეში მოვდა მისი საქონელი, სირიის საზღვარზე.



ჩვენი ასლან-ბეგი ხან ერთ ჯოგში იყო, ხან მეორეში, ამბობდნენ რომ მას ერთი ბინა არა ჰქონდა, მისი კარავი თორმეტ აქლემს ეკიდა, თხუთმეტი ცოლი ჰყავდა და მარტო ცოლების ქარავანში 40 აქლემი იყო თურმე, მივიდოდა ერთ ბინაზე და დადგებოდა, ამ ბინის სარქალს უნდა შეენახა სანამ იქ იყო, ხშირად მთელი თვე დაეკლა საკლავი, ეკეთებინა ფლავი, მაგრამ საკლავი მისი ჯოგისა არ უნდა ყოფილიყო, მოპარული ან მიტაცებული; ხშირად ამ ქურდობა-ყაჩაღობაში მწყემსები იხოცებოდნენ კიდევ, მაგრამ ბეგი რას დაგიდევდა.

პაპაჩემი თურმე ამ საქმეს არ მისდევდა, მას ყოველთვის ჰყავდა კოზაკიც<sup>81</sup>, ცხვარიც და კვიციც დამლადაუსმელი, და როცა ეწვეოდა, მას დაუკლავდა ხოლმე. პაპამ და მისმა სახლიკაცებმა იარაღის მოვლა კარგად იცოდნენ. ერგედან იყვნენ, ერგო და მაჭახელა კი საქართველოში სახელგანთქმული იყო იარაღის კეთებით და მოვლით, ბეგი როდესაც პაპის და მამის იარაღს ხედავდა, უწონებდა და ეგონა, რასაც ჭამდა, ამ იარაღით იყო მოპოვებული; არც უამისო იყო, თუ ჩვენი ბეგი მოითხოვდა სხვისას, არც სხვანი იუკადრისებდნენ სხვისას. თავდაცვა ხშირად უხდებოდათ.



*დაუპატიუბელი სტუმარი*

სასაცილო იყო სწორედ სადილი თუ ვახშამი ბეგისა. დღეში ერთხელ ჭამდნენ, მზე გადიწვერებოდა, აი, ამ დროს აგრილდებოდა კიდევ. უზარმაზარ ქვაბებში მოხარშავდნენ ბრინჯს და მოამზადებდნენ ფლავს, ზედ უხვად მოაპკურებდნენ გამდნარ დუმას, გადმოიღებდნენ იმოდენა სინზე, რომ ზედ ღარიბი კაცის კალო გაილეწებოდა. შემოიწყოდნენ შემწვარი ცხვრის ხორცს, ექვსი თუ შვიდი კაცი ძლივს ასწევდა და მიართმევდნენ ბეგს, მეორეს – სტუმარს, თუ შეესწრებოდა.

შემდეგ დაიწყებოდა უფროსუმცროსობით, ბეგის ახლო არავინ იჯდა, მენახეები შორიახლო ისხდნენ და ფლავის დამრიგებლისაკენ გაშვებული ჰქონდათ ფიალა. დამრიგებელი აიღებდა მუჭით, გააკეთებდა გუნდას, გაისროდა და პირდაპირ ფიალაში ტყაპანს მოადენინებდა. ხელითვე ისროდა ხორცის ნაჭერს, მენახეს ხელითვე უნდა დაეჭირა.

აი, გაათავეს ფიალა, შესცქნავიან ბეგს, კიდევ მოითხოვს თუ არაო, ის კი აყოვნებს; ბოლოს მოითხოვა და ყველას სიამის ღიმილმა გადაურბინა სახეზე, გაიშვირეს თავისი ფიალებიც, უფროსმა ფლავის გამანაწილებელმა თვალი უყო უმცროსს, ისიც სწრაფად ეცა და ატყდა ისევ ფლავის გუნდების სროლა, არც ერთი არ ასცდენია ფიალას. მოსადილეთა უკან ქოფაკები ყოველ გადაგდებულ ძვალზე ბულრაობდნენ. თუ ქოფაკი მოსადილესაც წამოუხტებოდა, ბეგი მხიარულად იცინოდა.

როდესაც ბეგისა და სტუმრებიც ბოყინს დაიწყებდნენ, ბეგი მომცრო სინს მოითხოვდა, ხელით გადახვეტდა ზედ ფლავს და ევნუხს თვალს უზამდა, წაიღეო. ეს ცოლებს კარავისკენ იგზავნებოდა. ამის შემდეგ ყველა თვლემას დაიწყებდა.

დიდ სინს სადღაც ჩრდილში წაიღებდნენ.

– წამო, შვილო, ჩვენს კარავში, – მეტყოდა პაპა, ჩვენ იმ დროს სადღაც დიარბეჭირის სამხრეთით ვიდექით, ქვეყანა კი არა, ქვაყრილი იყო, გადახრუკული. აქლემიც კი, რომელიც ყველგან პოულობს საზრდოს, თავაწეული დადიოდა, ძირს არ იხრებოდა. თხა კიკინებდა, ცხვარი ბლაოდა, ძროხა ზმუოდა, ცხენი ხვიხვინებდა შიმშილობისაგან, ჩვენ კი სამხრეთით მივერეკებოდით. ასურეთში გადადიეთო, – შემოგვითვლიდა. რომ არ შემოეთვალა კიდევ, მაინც გადავიდოდით, მეტი გზა არ იყო, მაგრამ, შენს მტერს, დაგვხვდა. და როგორი უდაბნო? გაჭირვებამ მიწად დაგვხარა, მიწას ზურგი ავყარეთ სიარულისაგან, მაგრამ იმდენი ვერა ვნახეთ რა, რომ ჩვენი ხვასტავი ან რემა გაგვეძლო, გზადაგზა პირუტყვს, რომელსაც ჩვენ წინ გაველო, ყველაფერი მოენარიკლებინა. რა გინდა გექნა ამ ტრიალ უდაბნოში. რკინის მკვნეტავი რომ ყოფილიყავ, მაინც ვერას

გახდებოდი. სამი დღე საქონლისათვის წყალი არ დაგვილევინებია. სამაგიეროდ, გზადაგზა გვხვდებოდა რქიანი და ჯაგრიანი გველები. „ნეტავ ღამე შემახვედრა ჯაგრიან უხსენებელს, ნატვრის თვალი ექნება და წავართმევდიო“, – ნატრობდა თურმე პაპაჩემი.

მართალც ნახა კი, იპოვა ნატვრის თვალი, მეორე დღეს წამოვეწიეთ ჩვენსავით გატანჯულ მწყემსებს. მათარებიდან ბავშვებს წყალი უწილადეს და როდესაც ბალებმა ხმა ამოიღეს, ამის შემდეგ ჰკითხეს: „ვინა ხართო“. ჩვენი ქართველობა რომ შეიტყვეს, გადაგვხვივნენ. ჩვენც თქვენსავით ტანჯულები ვართ, ჩერქეზები. მამა-პაპანი რუსობას გამოქცევია და ოსმალეთში გადმოსულან. ახლა ასურეთში ვართ. ერთგან ჩვენმა პაპებმა უკვე მთლიანად მოაძოვეს ბალახი, კი არ მოაძოვეს, მოსპეს. ახლა იქ ქვიშა, მეორე ადგილას აგერ, – მიუთითეს მოხუცებზე, – მამებმა მოსპეს, ახლა ჩვენ ვეძებთ საძოვარს და, ვინ იცის, იქნებ კარგი ადგილი ვიპოვოთ სადმეო. – ჭასაც ვნახავთ?

– აგერ, ყაისინი მოდის, ცხენით იყო დასაზვერად გაგზავნილი...

მართლაც, დასალიერებზე ცხენოსანი გამოჩნდა. როგორც ჩანს, მან მოთათბირენი დაინახა და ხელუბაწეულმა გამოაჭენა ცხენი. თან რაღაცას ყვიროდა.

მართალია, მზისგან დამწვარი და გარუჯული იყო, მაგრამ სიხარულის სიწითლე კანქვეშ მაინც გამოკრთოდა.

– ცოტაც და დიდი მდინარეა, ბალახიცაა, ხევ... – იმახდა გახარებული.

ხალხი გახურებულ მიწაზე დაეცა და ზეცისკენ აღაპყრო ხელი.

– რა დროს ალაჰია, წამოდექით, დავაჩქაროთ, – უთხრა პაპაჩემმა. მზე რომ გადაიხარა, გამოჩნდა ხეების ზოლიც და ყველამ ფეხს აუჩქარა. პაპაჩემმა მდინარის წყლის დაღვევის უფლება არ მისცა, ტირიფიანებში დაიწყო ფშნის<sup>82</sup> ძებნა და, მართლაც, მალე იპოვა, წმინდა იყო და ანკარა, სწორედ მას დაეწაფნენ. ჩრდილში გაიშოტნენ მრავალდღის ნატანჯი, საღამოსდა წამოიშალნენ და დაიწყეს საქონლის მოგროვება.

შეამჩნიეს, რომ ორი ძროხა და რამდენიმე ცხვარი უცნაურად ბანდალობდა, ჩერქეზის ძროხები იყვნენ. პაპამ კარგად გასინჯა და იკითხა, საიდან მორეკეთო, როცა გაიგო, იქითკენ ბაღლი გაგზავნა. იქიდან ის მცენარე მომიტანე, რომელიც უფრო ბევრიაო. მართლაც მალე მოუტანა წითელყვავილებიანი ტოტი.

ეს ხომ ოლეანდრია... ჩვენში, ერგეში, ერთ ვაჭარს სტამბოლიდან მოეტანა და ედგა ეზოს დასამშვენებლად, სწორედ ამან მოუწამლა საქონელი<sup>83</sup>.

სწრაფად წავიდა ტყისკენ და მალე მოიტანა ტუხტის<sup>84</sup> მაგვარი მცენარე, მონახა ბრტყელი ქვა, აილო ქვაბი, რომელიც იქვე ჩვენ ბარგთან ეგდო, დანაყილი შიგ ჩაყარა და გახსნა.

– ახლა წავაქციოთ, შევუკრათ ფეხები და პირში ჩავასხათ!



სხალთის ხეობა

ორივე ძროხას და ცხვრებსაც დავალევინეთ; შემდეგ ბიჭებს ჯოხები მოგვცა და გვითხრა: არბენინეთო.

საქონელი მალე მოსულიერდა. დილით დაიარეს ჭალა: ოლეანდრი მოდებული იყო. „საქონელი ამ ბუჩქს არ იცნობს და ვაი თუ ჭამონო“, – თქვეს უფროსებმა. მეორე დღეს პაპაჩემი და ერთი ჩერქეზი ჩაჰყვნენ ეფვრატს და კარგი ფონი მონახეს. აქ ეფვრატი რამდენიმე წვრილ ტოტად იყოფოდა. გადაწყვიტეს, საქონელი გაღმა გაერეკათ, სადაც უზარმაზარი მწვანე ველები ჩანდა, ზოგან ჭაობიც კი უნდა ყოფილიყო, იქ ეძოვებინათ და შემოდგომაზე უკანვე დაბრუნებულიყვნენ. მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო. თუმცა ამაზე შემდეგ.

გათენდა დილა. ბავშვები ცხენებზე შეგვსხეს და წყალში იმის ზევით დაგვაყენეს, სადაც საქონელი უნდა გასულიყო. ცხენების წინ – აქლემები, მათ წინ კი ერთმა ოცმა ვაჭარმა გადააჭლო მკლავი მკლავს და კედელივით აიმართა, მოხუცებმა ხვასტაგი შემორეკეს, შემდეგ არვე და თვითონ ცხენდაცხენ მოჰყვნენ. პაპაჩემი და ორი ჩერქეზი ქარავანს ქვევით მოექცნენ და რომელიმე ცხვარს ან თხას თუ წყალი მოიტაცებდა, ცხენდაცხენ დაიხრებოდნენ, აიტაცებდნენ და მას გადააწოდებდნენ, ვინც კარგ ფონთან უფრო ახლო იდგა. იყო ერთი

წიოკობა, ხმაური. განსაკუთრებით ქოთქოთებდა ნაპირზე დატოვებული ჯალაბობა, ქალები და ბავშვები. ისე რომ, იძულებული გახდნენ ერთი ვაჟკაცი გასულიყო ნაპირზე, რათა „წესრიგი დაემყარებინა“.

ვეფრატმა მაინც გაიტაცა ორი ცხვარი და ერთი თხა.

– არა უშვს რა, ალაპის შესაწირი იყოსო, – ამბობდნენ, როდესაც მარცხენა ნაპირზე ცოლ-შვილიც გამოიყვანეს.

ვეფრატის ნაპირზე აუარებელი ხვინჭა<sup>85</sup> და ჭოროხი<sup>86</sup> იყო, ერთიც და მეორეც ალაგ-ალაგ თითქოს განგებ ჯებირივით შეუყრიათო. ასეთ ადგილებს შემდეგ იწყებოდა ოლეანდრეანი და ტირიფნარი, შემდეგ კი – ვერხვნარი.

– არ გააჩეროთ ჭალაში, – ურჩია პაპამ და საქონელიც მალე გაშლილ ველს მოეფინა, რომელიც შესანიშნავი ბუსნარით<sup>87</sup> იყო დაფარული. ერთ პატარა შემადლებულ ბორცვზე კარვების გამართვა დაიწყეს და როდესაც პაპამ ხელი მოიხრდილა, სახეზე ნათელი გადაეფინა.

– ყაისინ, გაიხედე! – სამხრეთით გაიშვირა ხელი.

– ბუსნარში თხა მოკუნტრუშებდა, უკან ცხვარი მოსდევდა, სწორედ ისინი, წელან რომ წყალმა წაიღო. დაკარგულ ძმებზე თითქოს ყოყნით შეხედნენ, ბავშვები და ქალები ყელზე ეხვეოდნენ, თვალებს უკოცნიდნენ. რა ცოტაა საჭირო, რომ გაახარო უდაბნოში ეულად მავალი ადამიანი.

უკვე დაავიწყდათ ორი-სამი დღის წინანდელი უსიანი ადგილები, ქვანარი და ლოდნარი, ქვიშნარი, რომელთაც სადღაც მოწყვეტილი ბურბურა<sup>88</sup> თუ გადაუვლითა ან ჯაგრიანი უხსენებელი<sup>89</sup> თუ გადასერავდა.

დღე დღეს მისდევდა, ჩვენს ბედს ძალი არ ჰყვოდა. შემოდგომა ახლოვდებოდა. ჩვენი თავკაცები უნდა წასულიყვნენ ქალაქში, წაესხათ ნამატი, გაეყიდათ და მოეტანათ ბრინჯი, ფქვილი, მარილი, ინდის ხურმა თუ სხვა საღებავი. თითქმის მზად იყვნენ, რომ ჩვენს კარვებს ცხენოსნები მოადგნენ. ღვთის წინაშე, ჭკვიანად იქცეოდნენ, რატომ გადასახადი არ შემოგაქვთო.

– რატომაც არ შევიტანთო, – უპასუხეს უფროსებმა.

გადაწყვიტეს: ოც ცხვარზე ერთი ცხვარი, ათ ძროხაზე – ერთ ძროხა, ოც ცხენზე – ერთი ცხენი, ოც აქლემზე – ერთ აქლემი.

– ბევრი არ ეჩვენათ; ცოტაც, სად მიდიხარ და ბევრთანაო, – ეს კი თქვა პაპაჩემმა.

მისცეს. არც იკითხეს, ვინ ვიყავით, რა ვიყავით, საიდან მოვედით. ქალაქიდან ათი დღის შემდეგ დაბრუნდნენ კაცები, მოიტანეს საზრდო-სარჩენი, ბრინჯი, ინდისხურმა, ქიშმიში, ჩასაცემელ-დასახური.

– ჩვენ, ალბათ, სხვა ქვეყანაში ვართ, ჩვენი ბეგი არა გვკითხულობსო, – თქვეს უფროსებმა.

– ჩვენ ერთმანეთს თავი არ დავანებოთ, ყაისინ, ხომ იცი, ხე ფესვითა დგას, ადამიანი-მოყვრითა.

– როგორ არ ვიცი, ისიც ვიცი, ძმა მაშინ მოგაგონდება, ორნი რომ გვცემდნენ მარტოსა.

ამ საუბარში რომ იყვნენ, ველზე ერთი თხუთმეტი ცხენოსანი გამოჩნდა, ერთიერთმანეთის უმჯობეს ცხენებზე ისხდნენ. ჩვენებმა თოფებს წამოავლეს ხელი. იმათ ხელი ასწიეს და გამარჯობა თქვეს. სამს თუ ოთხს იარაღი, ახალი თოფები, მაინც შემართული ეჭირა. ხუთნი კარავთან მოვიდნენ, ჯიქურ გადმოხდნენ, უფროსებს მიესალმნენ.

– პაპა, ესენი არც თურქებსა ჰგვანან, არც ერაყელებს.

– ადამიანები ხომ არიან, შვილო! – მიპასუხა ქართულადვე.

ერთი მათგანი უცბად წინ წამოდგა, გაიღმა, გაიცინა.

– კაცო! გამარჯობათ თქვენი. ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ აქ თუ ქართველს ვნახავდი, ამას კი არა...

მეც და პაპამაც, ჩემმა მეზობლებმაც, ისე შევხედეთ, როგორც ციდან ჩამოსულ მახარობელს. უეჭველად ქართველი გვეგონა, სათნო, კეთილი ღიმილი, შავი უღვაშები, შავი თვალ-წარბი...

– ქურთი ვარ, თბილისში ნამყოფიო.

დიდხანს დარჩა ჩვენთან და დიდი ამბები გვიამბო. ქურთები ერაყელებს ავუჯანყდით. ახლა ჩვენი ბელადი ბანზანია, მის გარშემო დავირაზმეთ, ავტონომია გვინდა, როცა ირანის, თურქეთის, ერაყის ქურთები გავერთიანდებით, იქნებ მაშინ რესპუბლიკაც შევქმნათო.

დაიკლა ცხვარი, მოიხარშა ფლავი, სუფრა აყვავდა ხმელი ხილით.

– ჩვენ იმიტომ მოვედით, რომ ამას წინათ ერაყელებს თქვენგან ხარკი აუღიათ. მეტი აღარ მისცეთ.

წავიდა-წამოვიდა ლაპარაკი და პაპამ შემიკაზმა ჩვენი თაფლა ცხენი: წადი, ბიჭო, ნახე, რა ამბავია მაგათში, რაღა ბეგს დავუბრუნდეთო.

როდესაც ქურთების სოფელში შევედით, მაშინვე შეამჩნიეს ჩემი თაფლა ცხენიც და მეც.

ერთი ბანიანი სახლიდან შუახნის კაცი გამოვიდა, თმა შერთვილული ჰქონდა, ჩემი ნაცნობი რაღაცას უამბობდა. ის კეთილად იღიმებოდა. მივხვდი, რომ ეს არ იყო უბრალო კაცი.

– ჭკვიან კაცს ნაბადი კაი დარშიც თან მიაქვს, – მითხრა, როდესაც უნაგირზე დაკრულ ნაბადს მოჰკრა თვალი.

მე კიდევ ჭრელი ხურჯინიც და ნაბადიც ავხსენი და მივართვი.

- ქართული ნაბადი და ხურჯინია, მუჰაჯირები ვართო და ნუ გვიწყენთ ცოტასთვის, თუ სამშობლოში დავბრუნდით, მაშინ სხვა.
  - კაცო, ქართველები ეგრე ყველა ერთნაირები როგორა ხართო, – გადათარგმნა ახალმა ნაცნობმა მისი ნათქვამი და მადლობით მიიღო, – ქართველებს წინადაც შევხვედირვარო.
  - ლხინიო, გაუჭირვებლად არ ინახებვისო.
- ასე თქვაო, ჩემს რაზმში ჩადექი და პაპაშენმაც და სხვებმა თავის თავის ხვასტაგი ჩვენში მორეკონო. ასეა თუ ისე, მესამე დღეს დავბრუნდი ჩვენებთან და ჩვენებურები კი არა, ჩერქეზებიც ამათთან მოვიყვანე.
- მერე იყო ბრძოლები. კაი მაგარი ბრძოლებიც. ერთ ბრძოლაშიც თავლა მომიკლეს, მეც დამჭრეს, მაგრამ გამოვრჩი.
- როგორ ხარ, ქართველოო? – მკითხავდა ხოლმე ბანზაი, როცა სხვებსაც მოინახულებდა ქალაქ მოსულში.
- ქურთებმა თავისი მოიპოვეს. ავტონომია მიიღეს და მოსული გახდა მათი დედაქალაქი.
- გადაწყდა, საბჭოთა კავშირში გამოეგზავნათ ახალგაზრდები სწავლის მისაღებად.
- შენც უნდა წახვიდე. მოსკოვიდან ჩადი შენს მამა-პაპათა ნაალაგეზე, თუ მოგეწონება, დარჩიო.
  - ამ წერილს ვაწერინებ მანდაურ კაცს. აქ ვსწავლობ, მოსკოვში, პირდაპირ ვერ გავბედე ჩამოსვლა. თქვენს დასტურს ველი. მამაჩემისა და პაპაჩემის სახლის კაცები იქნებიან მანდ. მიმიღებთ?
  - ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს, ერეკლემ მისამართის ამოწერა დაიწყო. „ჩვენ მივწეროთ წერილი“... – წასჩურჩულა ვახტანგს.
  - რას ბრძანებთ, ბატონო მინდია?
  - შენი გული რას ამბობს?
  - ჩემი გული ამბობს, რომ უნდა მივიღოთ. მმა ბრუნდება, ასე თქვეს სხვებმაც. ერგეში მაგათი აღარავინ არის, მაგრამ აქ მისი პაპიდა იყო, მისი ჩამომავალი კი ბევრია.
  - აბა, ერეკლე, ამაზე უკეთეს დროს ვერ ნახავ, შენი ვალი გაანადდე, რა იცი მუჰაჯირებზე?
  - ერეკლე შეიშმუშნა, მას უნდოდა, ნურისთვის მოესმინა, გამოეკითხა ცოტა რამ კიდევ, მაგრამ პირობა პირობაა.

### სამშობლოდან გადახვეწილი

- მუჰაჯირი არაბული სიტყვაა და ნიშნავს ერთი ადგილიდან მეორეგან გაქცევას, სხვა მხარეში თავის შეფარებას, სამშობლოდან გახიზვნას, გადახვეწას; ჩვენებურ ტაბარუკს<sup>90</sup> უდრის, ვგონებ.

დამპყრობლის ამა თუ იმ მხარეში დამკვიდრებისას, თუ დამკვიდრების შემდეგ, მოსახლეობის ნაწილი თავის მამაპაპეული ადგილებიდან იხიზნებოდა, სხვა მხარეში მიდიოდა.



*იგოდნენ აჭარლებმა მთის ფერდობზე არსებული სახნავ-სათესის მოვლა*

შორეულ ისტორიულ წარსულს თავი რომ დავანებოთ, 1878 წლის შემდეგ, როდესაც შავშეთ-ერუშეთი და ტაო-კლარჯეთი რუსეთის იმპერიაში მოექცა და დანარჩენ საქართველოს შემოუბმტკიცდა, სამხრეთ საქართველოში დაიწყო ქართველი მაჰმადიანების საქართველოდან წასვლა. გარეგნულად ეს შენიღბული იყო მაჰმადიანთა და ქრისტიანთა შორის არსებული რელიგიური სხვაობით. მთავარი კი ისაა, რომ ახალი ადმინისტრაცია ვერ გამოდგა გულისხმიერი, ვერ მოიგო ადგილობრივი მოსახლეობის გული. პირიქით, ხელს უწყობდა, დაეტოვებინათ საცხოვრებელი ადგილები, არის ცნობები, რომ რამდენიმე ათასი აჭარელი ბათუმში ჩამოვიდა ცოლ-შვილით – ოსმალთა გემი მოვა და წაგვიყვანსო, მაგრამ არ მოდიოდა; ოსმალთ არც უნდოდათ მათი წაყვანა, მაგრამ მეფის რუსეთის გემმა ჩაიყვანა რიზამდე და იქ დატოვა ცის ქვეშ, ბედის ანაბარა. ამის შესახებ მოსკოვიდან მიღებულ წერილშიც წავიკითხეთ. დიდხანს ეყარნენ თურმე უპატრონოდ, მაგრამ ბოლოს დაიფანტნენ და ვინ საით წავიდა და ვინ – საით; სად დასახლდნენ, არავინ იცის. აკი წერილშიც ასე იწერება.

მაჰმადიანობის ნიადაგზე სამშობლოდან წასვლა მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოსთვის ახალი ამბავი არ იყო. ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ მუჰაჯირობა განსაკუთრებით გაძლიერდა ჩერქეზთა და

აფხაზთა შორის. 1866 წელს აფხაზთა აჯანყების ცეცხლითა და მახვილით ჩახშობის შემდეგ აფხაზეთიდან ბევრი გადაიხვეწა, გამოეცალა სამშობლო მხარეს. ტოვებდნენ თავის ქვეყანას, მაგრამ გული მაინც აქა რჩებოდათ. ერთი შესანიშნავი შემთხვევა მოჰყავს ზაქარია ჭიჭინაძეს. 1866 წელს ერთი მაჰმადიანი აფხაზი გამოცხადდა ეპისკოპოს ალექსანდრესთან და სთხოვა:

„თქვენთან მიტომ გეახელით, რადგანაც მე სამუდამოდ ვეთხოვები ჩემს ქვეყანას, მივდივარ ოსმალეთში საცხოვრებლად, ჩემი შვილი, ვაჟი კი ვერ გამიმეტებია, ვერ წამიყვანია იქ, მეშინიან, ამის მეტი არა მყავს რა. ცოლი, სხვა შვილები ადრე დავეკარგე, არ ვიცი, რა მოეღოს უცხო მხარეში, ამიტომ ვტოვებ აქ, ჩემს საყვარელ ქვეყანაში, მიინდა, ეს აქ იყოს. გარდა ამისა, არ მიინდა, რომ ჩემი უბედურება ჩემმა ერთადერთმა შვილმაც გაიზიაროსო. ამიტომ ვტოვებ აქ და ვთხოვ თქვენგან დახმარებას და მფარველობას, თუ კი ეს საჭირო იქნება მისთვის ოდესმე“.

ესაა სისხლად დაწურული გულის კვნესა და ძახილი.

არასრული ცნობებით, აფხაზეთიდან აფხაზთა უმრავლესობა წასულა, აქ დარჩენილა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი. და აი, 1878 წელს დაიწყო აჭარა-შავზეთიდან მასიური წასვლა მოსახლეობისა. რასაკვირველია, თურქთა აგენტებისა და მოლათა აგიტაცია ცოტას როდი აკეთებდა.

1878 წლის 20 ივნისის „დროებაში“ დასტამბულა შემდეგი ცნობა:

„ბათუმის მაზრის უფროსს ტრაპიზონის ვალისაგან (გუბერნატორი) მოსვლია ქალაქი, რომელსაც ის ატყობინებს, გადმოსახლებულებს ვედარ მივიღებთო. საზარელ მდგომარეობაში ჩაცვენილან ბათუმის მაზრის ქართველი მაჰმადიანები. ამ ამბის გამო მრავალს დაეტოვებინა თავისი მიწა-წყალი, გაეყიდა ავეჯეულობა, საქონელი, სახლებიც კი წასვლისათვის, ბათუმში იგი უცდიდა წამავალ გემებს წასაყვანად – ასეთ პირთ წასვლა დაუშალა გრიგოლ გურიელმა<sup>91</sup>, მათ მისცა სესხად 15 000 ათასი მანეთი და იგინი ამ ფულით დაბრუნდნენ თავიანთ გაოხრებულ მამულში“.

ზაქარია ჭიჭინაძემ ბევრი იშრომა და მრავალი ცნობა შეკრიბა გადასახლებულთა შესახებ. მართალია, ჩვენი ქვეყნიდან წასულთა რიცხვი ბევრჯერ გადაჭარბებულია, ეს ცნობები მოსახლეობაში შეკრებილია და, მოგეხსენებათ, დროთა ვითარებაში სიზუსტე იკარგება, მაგრამ მაინც საგულისხმოა, რომ მოხუცნი ასახელებდნენ გარკვეულ რიცხვებს. ასე, მაგალითად, მესხეთის სოფლებიდან წასულან; რუსთავიდან – 60 კომლი, აწყურიდან – 100 კომლი, უდიდან – 50 კომლი, ვალედან – 30 კომლი, ზიკილიიდან – 20, საყუნეთიდან – 25, ასპინძიდან – 50, ხერთვისიდან – 30 და ასე თითქმის ყოველ სოფლიდან ნახევარზე მეტი გადახიზნულან; აკი, გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში ჩამოთვლილ სოფლებში 5-10 კომლიდა. ნაწილი მოსახლეობისა ჯერ თავიდანვე გადაუსახლებიათ, ან ამოუჟუჟავთ, ნაწილმა ქართლს შეაფარა თავი. საერთოდ კი, მთელი 330 წლის მანძილზე გადასახლება არ შეწყვეტილა, ნებით თუ ძალით, უფრო ძალდატანებით ხალხი ტოვებდა ძველ ადგილებს და მიდიოდა, ან მიერეკებოდნენ უფრო ხშირად უცხო მხარეში; სწორედ მაშინ, როდესაც ოსმალნი აქ ბატონობდნენ, მათ ხელს არ აძლევდათ საქართველოს მოწყვეტილ და საქართველოს მოსაზღვრე (რაც მთავარია) ადგილებში ქართველი მოსახლეობა მჭიდროდ ყოფილიყო დასახლებული.

ქობულეთის მხარის ოცდათექვსმეტი სოფლიდან გადასახლებულია ათას ორას კომლზე მეტი, ორჯერ მეტი – ქვემო აჭარიდან.

სამწუხაროდ, ეს საკითხი მეცნიერულად საკმაოდ არ არის იმდენად დამუშავებული, სრული წარმოდგენა ვიქონიოთ ამ ჩვენი ქვეყნისთვის დიდი ჭრილობის მიმყენებელ მოვლენაზე. მაგრამ ის ცნობები, რაც არსებობს, ნათლად მეტყველებს ამ უბედურებაზე. ალექსანდრე ფრონელი, გიორგი ყაზბეგი, ზაქარია ჭიჭინაძე, აპოლონ წულაძე -წარსულის ყველა ეს მოღვაწე აღნიშნავს ამ უბედურებას, ფაქტებიც მოჰყავთ, მაგრამ – არასრული კი.

არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი საზოგადოებრიობა გულგრილად შეხვდა ამ ფაქტს. არა, იგი ფეხზე დადგა, იმ ორიოდე გაზეთში, რომელიც მაშინ (1870-80 წლებში) არსებობდა, წერილებიც დაიბეჭდა; მოწინავე ხალხი აჭარაში ჩასულა რჩევა-დარიგებისთვის, მაგრამ ერთი-ორი კაცის ხმა რას გასწვდებოდა. იმ ხანებში განსაკუთრებით ამ საკითხზე ბევრს მუშაობდნენ და იღვწოდნენ: პეტრე უმიკაშვილი, ილია ალხაზიშვილი, დავით გურამიშვილი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყიფშიძე, თედო სახოკია, იონა მეუნარგია, ივანე ჯაიანი, დურმიშხან ჟურული, ლევან მჭედლიშვილი, იაკობ ფანცხავა და სხვა მრავალნი.

საოცარია მხოლოდ ის, რომ, მართალია, ხალხს ისლამის რჯული მიღებული ჰქონდა, მაგრამ უმრავლესობას მხოლოდ გარეგნულად; ახლა უცბად რა მოუვიდათ? მოუვიდათ ის, რომ ახალმა ადმინისტრაციამ თავისი უხეში მოქმედებით ხელი შეუწყო მათ მუჰაჯირობას.

თუმცა ის, ვისაც ჯერ ღრმად სწამდა, რომ ის ქართველი იყო, აქ დარჩა, დანარჩენ ქართველობას ეძმო, მაგრამ 1914-18 წლების იმპერიალისტური ომი რომ დაიწყო, ეს უკანასკნელიც, ყოველ შემთხვევაში, საგრძნობი ნაწილიც გატყდა.

აი, ასეთი ცეცხლის გენია დატრიალდა ამ მხარეში და რა გასაკვირველია, რომ ძველი სამშობლოდან წასული კაცი ერაყში აღმოჩნდა, ქურთების განმათავისუფლებელ ბრძოლებში მიიღო მონაწილეობა და ლუმუმბას უნივერსიტეტშიც მოხვდა.

– ვინ გითხრა, რომ გვიკვირს?

– განა მამლუქებიც არ იღვწოდნენ ერაყში?

## შქერის ტყვე

### მოუსვენარი

მზეს თავისი გზის ნახევარზე მეტი ჰქონდა გავლილი და თავდადმართზე იყო დაკიდებული, როცა ერგეზე საუბარი დაამთავრეს, ისაუზმეს და წამოიშანენ.

ვახტანგმა, ერეკლემ და მამიამ ზურგჩანთები გამართეს, ზევიდან პატარა კარვები დააკრეს, საუზმე ჩაალაგეს, მოიმარჯვეს წერაყინები და წასასვლელად მოემზადნენ...

– თქვენ თქვენსას არ იშლით, მაინც მიდიხართ? – შეეკითხა გიორგი, რომელსაც, ცოტა არ იყოს, გული ეთანადრებოდა – მარტო როგორ გავუშვაო.

– იქნებ მეტყევე გვენახა.

– ეგ რაღა გამოვა, ამ დღეებში ხომ მეტყევეც იყო ჩვენთან. ნუ გეშინიათ, კარგად ვივლით! – დაამშვიდა ერეკლემ.

მამინ ვაქებ ალოსაო, როცა გავლენ კალოსაო, – შეეშველა გიორგის მინდია. – ზაფხულში გველის შეშინებული, ზამთარში თოკს ერიდებოდაო, – არ ჩამორჩა ვახტანგი, – ერთხელ წამიცდა ფეხი და ყოველთვის კი ეგრე არ იქნება.

– ძველი ამბავი არც მომგონებია! – გული გაუკეთა მამიამ.

– ბაყაყი ხალიჩაზე დააბრძანეს, ისკუპა და ტლაპოში გადახტაო, – ხმა ამოიღო ლელამაც და ირაკლის თავში წაუთათუნა, – მანქანიდან გადმოდიხართ და ღადა-ღუდას უნდა მოედოთ. წვიმა რომ წამოგეწიოთ?

– შენ რა ყარანგოზიანთ ქორივით გამოენთე? – შეეპასუხა ერეკლე, მაგრამ ვახტანგმა შეარიგა.

– არა, წვიმა რა სათქმელია, დარმა ძირი მოიდგა, ადვილად არ გაავდრდება.

– კარგით, ნულარ ვიგვიანებთ, რახან მივდივართ, წავიდეთ, – აჩქარდა ვახტანგი, გამომშვიდობნენ და აღმა იბრუნეს პირი.

– ქარფეხიანია ეგ დალოცვილი, – გაატანა სიტყვა გოგიამ დაწინაურებულ ერეკლეს.

აჭარისწყალს მარჯვნიდან ჩაქვის მთისა და ყოროლის თავის ფერდობები ედგომოდნენ, ჩაქვის მთა ქობულეთის ქედიდან წამოსული შტოა. ჩაქვის მთის სიმაღლე 1341 მეტრია, ყოროლის – თავი კი მასზე დაბალია – არაუმეტეს ათას ორასი მეტრისა. ზღვისკენ გაწეულია კოხტა და თავისებური მწვერვალი, მტირალა, ათას სამას ოცდათვრამეტი მეტრის სიმაღლეა, მტირალას ახლა „ცისკარას“ ეძახიან, გადურქმევიათ სახელი – „მტირალა“ არ გვინდა, ჩვენ დროში ვილა ტირისო. ის კი არ იცინა, რომ მტირალა მაინც ტირის, რადგან აქ დანალექები თითქმის სამი ათასი მილიმეტრია, ბათუმზე 500 მმ-ით მეტი...

მტირალას აღმოსავლეთით ჩაუდის ჩაქვისწყალი, დასავლეთით – ბარცხანისწყალი, რომელსაც ყოროლისწყალსაც უწოდებენ, რადგან სათავეს ყოროლის თავის ფერდობებიდან იღებს.

გზამ პირი მთისკენ ქმნა და გამოჩნდა მშვენიერი სოფელი, რომელსაც თხის არვე უახლოვდებოდა, მხარმარჯვნივ, დაჯაგულ ბუჩქნარიდან, წინ ელქაჯი<sup>92</sup> მიუძღოდა ყელზე დაკიდებული ზარის რეკვით.

– ხევში ჩავიდეთ, გაღმა ბილიკი ჩანს, ითავა ვახტანგმა და მართლაც ჩაირბინა, მას სხვებიც მიჰყვნენ.

– ჟარე, ჟარე<sup>93</sup> – აჩქარებდა ხუმრობით ვახტანგი.

საკმაოდ გამეჩხერებულ მუხნარში იარეს, ბევრგან დაჯაგებული იყო.

მალე მზემაც გადავლო შავშეთის მთები და წყალში ჩასაყურყუმელავებლად ემზადებოდა.

– შორს ვეღარ წავალთ, გავშალოთ კარავი – აქ უკვე ერეკლე მეთაურობდა.

– რა პასუხი მივცე მეგობრებს, ბიძაშვილებს, ბიძებს; ცის ქვეშ დატოვა სტუმრებიო, არ იტყვიან? – ბუზღუნებდა ვაჟა.

– არა უშავს რა, ვაჟა, სხვა დროს, როდესაც ჩამოვილი; ასე უთხარი, ტყის კაცები იყვნენ და სახლში ვერ ჩერდებოდნენ-თქო.

– შენ ხუმრობ და მე მეძნელება კი. თქვენ რომ რომელიმე ოჯახში შესულიყავით, ეს იმას ნიშნავს, რომ ოჯახი ახალ მეგობარს შეიძენდა, ახალი მეგობარი მარტო ყიზილბაშს არ გაუხარდება.

– ვაჟა, ჩვენი მისვლით ოჯახს შევაწუხებთ, ჩვენც მოვცდებით.

– რით შეწუხდებოდნენ, ცოტაოდენი აპოხტი და სადველი ყველას მოემეცება.

– კარგი, კარგი, მოდი, რუკას ჩაეხედოთ, ისა ჯობია, აი, ასე სად გადავალთ? – დაადო ერთ წერტილს თითი ვახტანგმა.

– ყოროლისწყლის ხეობაში.

- დაიცა, - შეაჩერა ვახტანგმა ვაჟა, - მოდით აქ, - მიიპატიჟა რუკისკენ, - საოცარი მწვერვალებია, გეგონება ბორბალოა კავკასიონზეო, ივრის სათავე.
- ეგ როგორ?
- როგორ და დახედე რუკას, ყოროლის თავიდან სათავეს იღებს ჩაქვისწყალი, ბარცხანისწყალი, აჭარისწყლის ოთხი-ხუთი ნაკადული და დღე.
- ესეც თუ ნაკადულია! ეს უფრო ნაწრეტია.
- ნაწრეტია თუ ნაწრედი<sup>94</sup> ამ მწვერვალის კალთაზე იბადება ოთხი მდინარე.
- მტკვარიც მდინარეა და ლედვთა ხევის წყალიც.
- მაშ, სად გადავალთ? - იხტიბარი აღარ გაიტეხა ვახტანგმა.
- მტირალას ხეობაში? - კარგი, მოვეწყოთ საძილედ, ღამდება.
- ვაჟა, შევძლებთ გზის გაგნებას?
- ვგონებ, შევძლებთ. ტყის მცველი რომ წამოგვეყვანა, ჯობდა. აქვე ცხოვრობს.
- შენ კი, ცხვარზე ნაჩვევი მგელივით, სოფელში მიიწევ.
- არა უშავს რა, ან ქედის ზურგით ვიაროთ, ან ხევის კალაპოტით...
- რას იტყვი, ვაჟა, შქერიანებში ხომ არ დავიკარგებით?...
- აჰ, არა, თუმცა მნელია შქერიანი სავალად.

ძაღლის ალიონზე ადგენენ, ჯერ ხეირიანადაც არ იყო ნარიჟრაჟევი. იგრძნობოდა, რომ ჩაქვის ქედის გადაღმა სინათლე უფრო მძლავრდებოდა.

ცა ჯერ ჩაშავებული იყო, უღრუბლო ცის თაღი გეგონებოდათ ხავერდის კაბაა მარგალიტებდასხმულიო, ისე კიაფობდნენ მასზე ვარსკვლავები.


- კარგი იყო, ახლა ოჯახში ცხელი ხაჭაპურით პირის ჩაგემრიელება - ცამდე ალალი გულით თქვა ვაჟამ.
- ამასაც არა უშვრს რა. რა ჯობიან დილა ადრიან თავისუფალ ადგომას და სწრაფად საქმის დაწყებას.
- მამა ნაშუადღევს მტირალაზე დაგვხვდება და ჩვენც ისე ვიაროთ, რომ არ დავაღალატოთ.

გამართეს ჩანთები, დააკრეს საძილე ტომრები, ახსენეს ღმერთი და შეჰყვნენ ტყიან ფერდოს.

ქედის რაიონიც მჭიდროდ დასახლებულია<sup>95</sup>, ამავე დროს ინტენსიური მეურნეობის რაიონიცაა, სხვა ტექნიკურ კულტურებთან ერთად თამბაქოც მოჰყავდათ და ახლაც მოჰყავთ. თამბაქოს ნოყიერი მიწები სჭირდება, რის გამოც ხშირად ახოვდებოდა ტყე; ზამთრის პირას და გაზაფხულზე ტყე სამოვრად იყო გამოყენებული. აქაც გვხვდება ქართული მუხა, ჯაგრცხილა, კვიდო, ნეკერჩხალი. განა რით განსხვავდება ალგეთის ან ლიახვის ხეობისგან?



აჭარელის კარ-მიდამო



აჭარული სოფელი

– როგორც ჩანს, ტყის უკან დახევა და ქსეროფიტების შენაცვლება ისეთი აქლემია, რომელიც ყველას წინ დაიჩოქებს, მხოლოდ დროში განსხვავდება, ზოგან – ადრე, ზოგან – გვიან.

როდესაც ჩაქვის მთის ფერდო კარგად აათავეს, გაიარეს რცხილნარები და წიფლნარებში შევიდნენ, უკვე სრულიად სხვა ჰაერი იყო, იგრძნობოდა ნემომპალას სუნი, გვიმრიანი მალე შქერიანმა შეცვალა.

– ახლა მე წავალ წინ: ეს გზა კარგად ვიცი, – თქვა ვაჟამ და დაწინაურდა.

ზოგჯერ ბილიკი შქერიანში შედიოდა, ზევიდან შქერის ფოთოლი იყო გადაფარებული, მაგრამ ვაჟა თამამად მიაბიჯებდა. რამდენადაც ღრმად შედიოდნენ ტყეში, იმდენად იჩრდილებოდა და ჰაერიც იხუთებოდა, სუნთქვა ჭირდა. ამიტომ იყო, რომ ვაჟა ძირს ხშირად რაღაცას ეძებდა, ალბათ, სულის მოთქმა უნდოდა და ბოლოს ეპიგეიას წააწყდა.

– ეგ ხომ ვიცით...

– კიდევ ვნახეთ, ცუდი არაა, პროფესორმა დაგვაწავლა...

– ვინ პროფესორმა? – გაიკვირვა ვახტანგმა

– ვინ? ბატონმა გიორგიმ...

– ჰოო! – ახლავა მოაგონდა, რომ მამა პროფესორი იყო და გულიანად გაიცინა.

– რა, შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს? – შეეხმაურა ერეკლე და აბგის სამხრეები შეისწორა.

მიუხედავად იმისა, მაინც დიდი გულისყურით გასინჯეს ეს პაწაწინა, უზარმაზარი შქერის მონათესავე, შორეული გეოლოგიური ეპოქიდან წამოსული მცენარე. მოშუადღევდა, როდესაც ჩაქვის მთის ქედზე ავიდნენ და მის თითქმის სწორ ზურგს მოექცნენ.



სოფლები აჭარისწყლის ხეობაზე იშვიათია თავისი სილამაზით, დაგეგმარებით

აქედან მათ წინ გადაშლილი იყო ჩაქვისწყალისა და ბარცხანიწყლის ხეობები, მხარმარცხნივ კი – ჭოროხის დაბლობებისა, რომელიც ამ ბოლო წლებში ხელვაჩაურის რაიონში გამოყვეს<sup>66</sup>. მათ წინ კი ამართული იყო მტირალა, რომელსაც სამხრეთიდან ჩაქვისწყალის შენაკადები ჩაუდიოდა, ესენიც სათავეს ყოროლის მთის, ჩაქვის მთისა და თვითონ გამომტობულ პატარა ქედებიდან იღებენ, საერთოდ, აქ მალაიან წყალუხვობაა, ქედები დასერილია ღრმა ხეობებითა და ღრანტეებით, მათ ძირში ან მირაკრაკებს, ან მიჩქეფს ნაკადული.

ხეობის მთის ფერდობი დაბურულია წიფლნარითა და შქერიანით.



საინტერესოა, რომ ამ უაღრესად ნესტიანი მხარის მცენარეულობაში ველისა და უდაბნოს მცენარეებიც მოინახება, მაგალითად, გროსჰეიმი თვლის, რომ აჭარაში 387 სახეობა ბორეალურია, ჩრდილოეთისა – 251 უმველესი ველის – 9, ქსეროფიტული – 292, უდაბნოსი – 2, კავკასიური 52, ადვენტური ე.ი. გზად მოყოლილი – 74. სულ კი – 1048 სახეობა. მართალია, ამის შემდეგ კვლევამ ეს სია გაამდიდრა, მაგრამ არც ისე, რომ დიდი ცვლილება შეიტანოს ამ ცნობებში. განსაკუთრებით გაიზარდა გზად მოყოლილ მცენარეთა სია.

მაგრამ რა დროს ესაა, ციკაბო ფერდოს ამოთავებისას ძლივს და სუნთქავდნენ, ოფლი ორ ტოტად ჩამოსდიოდათ სახეზე და წიფლის ფესვებზე ჩამოსხდნენ ქარის ამოსაღებად.

ხუთიოდე წუთის შემდეგ ისევ ფეხზე იდგნენ და გაჰყვნენ ქედის საკმაოდ სწორ ზურგს, რომელიც აჭარის წვერისა და ჩაქვის მთას აერთებს.

– ჩაქვის მთიდან გავყვით ქედს, რომელიც ჩაქვისწყლის ხეობაში ეშვება და მტირალაზე იქიდან ავიდეთო...

ყველამ თოთქოს უხმოდ მიიღო სხვაზე უფრო ნაცადი კაცის რჩევა, ტკბებოდნენ მცენარეთა სიუხვით.

ჩაქვის მთის ძირში გადაწყვიტეს, ესაუზმათ, მით უმეტეს, მათ წიფლნარის ფანჯარაში მოჩანდა ორი ლამაზი ხეობა, შორს – კამკამა შავი ზღვა.

– აქ უნდა ჰქონდეს სასახლე კაცსა და ცხოვრობდეს, – ინატრა ერეკლემ.

– და ფასკუნჯი უზიდავდეს თვალით უნახავ საზრდოს.

– რათა ფასკუნჯი? ნატურისთვის უნდა ჰქონდეს, ინატროს ჩიტის რძე და მოართვან!

– ჰო, ეგ უფრო კარგი –, გაუგო ხუმრობა ვახტანგმა...

როცა ზურგზე ჩანთები მოირგეს, ვახტანგმა უცხად გამოუცხადა:

– მე პირდაპირ ჩავჭრი და მტირალაზე თქვენც აგასწრებთ და ჩვენებსაც.

– პირდაპირ ვერ ჩასჭრი, შქერიანია მერე აქ უნგერნის შქერია, ძნელი სავალი, – უთხრა ვაჟამ.

– ამ ორ შქერს შორის მე განსხვავებას ვერ ვხედავ.

– აგერ, ქვევით თეთრად რომ ჩანს, ისაა. ფოთლის ქვედა მხარე თეთრი ბუსუსით აქვს დაფარული, ტოტი ქვევითაა დახრილი, ზევიდან ჩასვლა იოლია, ამოსვლა კი ძნელი.

– მეც არ ამოვალ!

– გაღმა ფერდობზე?

– ხევს გავყვები.

– ხევში ბევრი ჩანჩქერია, იქაც ძნელი სავალია.

– სად გაგონილა, აქ კაცი დაიკარგოს!...

– არა, ნუ წახვალ, – შეეხვეწა ვაჟა.

– თქვენზე მალე ავალ, – უკვე ქვევიდან ამოიძახა ვახტანგმა.

ვაჟამ თავი გააქნია.

– ეგ ერთი კვიცივით სულ დედის წინ ხტის... – თქვა კოპებშვიტულმა ერეკლემ, – ეგრე ქნა უფლისციხეშიც და კინალამ თავი გაწირა...





აჭარისწყლის ხეობა

ქვევით, შქერიანში, ძლივსდა მოჩანდა ვახტანგის თავი, რომელიც დაბლა მისრიალებდა.

საქმე იმაშია, რომ ყოროლისთავის ხეობაში მთის ფერდონი დაფარულია შქერით და ამ ადგილებს შქერიანებს უწოდებენ; აქაური შქერი, ძირითადად, უნგერნის შქერია, თუმცა ზოგან ჩვეულებრივი შქერიც ბევრია. შქერიანში თითო-ოროლა ხელა დგას, უმთავრესად – უზარმაზარი ურთხელი (უთხოვარი), ბევრი მათგანი ერთი მეტრის სიმახობა; ზოგი მათგანი მთლად დაფარულია სუროთი, უმთავრესად – კოლხური სუროთი, ტყე რაღა იქნა? შეუძლებელია, ტყის გარეშე ასეთი უთხოვრები ყოფილიყო. საქმე ისაა, რომ ჩაქვისწყლის ზემო სათავეს ნამწვავის ხეცს ემახიან. თვით სახელი მიგვითითებს, რომ აქ ხანძარი უნდა ყოფილიყო. ნახანძრალზე განვითარებულა შქერიანი, ძლიერადაც განვითარებულა, როგორც ჩანს, ნაცარი (კალიუმი) შქერს მოხდენია. ბიჭები ზევიდან ხშირად ხმას ჩააწვდენდნენ ხოლმე, ვახტანგი კი ქვევიდან ამოსძახოდა, მაგრამ მალე მათი ხმა ერთმანეთს ველარ სწვდებოდა.

ერეკლე და ვაჟა გაჰყვნენ ჩაქვის ქედს, ზურგი შედარებით სწორი იყო და ადვილად სავალი. უცბად ერეკლე შედგა, ჩაიმუხლა, დააცქერდა.

-დათვის<sup>97</sup> ნაფეხურია, – განმარტა ვაჟამ.

– დათვის ნაფეხური კია, მაგრამ რომლის? აქეთ წამოსვლის წინ ზოგი რამ წაიკითხეს და იცოდნენ, რომ ამ მხარეში ორნაირი დათვი ბინადრობდა.

– რასაკვირველია, მურა დათვისა უნდა იყოს, ჭანური დათვისაც რომ იყოს, ნაფეხური ჩვეულებრივი დათვის ნაფეხურისაგან, ალბათ, არც განსხვავდება. გარდა ამისა, ჭანურს აქ რა უნდა?

– რატომ? აჭარა-გურიის ქედზე ხომ გვხვდება? გვხვდება. ხომ შეიძლებოდა გარეული ღორის ან არჩვის კვალს გამოჰყოლოდა? ვეფხვი ლენქორანიდან თბილისამდე მოვიდა, 600-700 კილომეტრი იარა.

– აკი, არც დაადგა ხერი. მართალია, დათვი შეიძლება დაჭრილ შველს ან ირემსაც გაჰყოლოდა უღრანი ტყეებიდან.

– აჭარა-გურიის ქედიდან ჭვანისწყალს გამოჰყვებოდა და იქიდან შორია?

– ჩვენ დათვის მარშრუტს ვიხილავთ და ჩვენი გვავიწყდება! – თქვა ვაჟამ.

– მაინც ჩავიწეროთ...

და კვლავ გაჰყვნენ ქედის ზურგს. მალე ზურგის გზამ მოუხვია და წინ მიმავალმა ერეკლემ შეჰყვირა. კურდღელი მორბოდა ხტუნვა-ხტუნვით. უცბად ჩასკუპდა, ყურები ააბარტყუნა და გაკვირვებული თვალები ერეკლეს შეანათა. რამდენიმე წამს ხმას არც ერთი არ იღებდა, უცბად კურდღელი ბურთივით შეხტა, პირი იბრუნა და თვალს მიეფარა. ვახტანგმა კი მხიარულად გადაიკისკისა.

ახლა ვაჟამ ჩაიმუხლა, ეპიგეა<sup>98</sup> ნახა და როგორ გაუშვებდა; იგი ძველი რელიქტია, აჭარა-გურიის ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით აღარა გვხვდება. სამაგიეროდ, ლაზეთში, რომელიც ჩვენს საზღვრების მიღმა დარჩენილი, უფრო ჩვეულებრივია.

-რას ჩადის ნეტავ ვახტანგი? – თითქოს ამოიკვნესა ერეკლემ.

– არ უნდა გაგვეშვა, ან ჩვენც მასთან უნდა წავსულიყავით.

– თავის ნათქვამაა, მაგრამ რაღა დროს მაგის ჭკუის სწავლებაა!

– კაცი ნემსი არაა, რომ დაიკარგოს, მაგრამ, ხომ იცი, წავიდა დღე და არა ფათერაკიო. ამ სამი წლის წინათ სწორედ ამ მხარეში დედამ რვა წლის ბიჭი დაკარგა, გზას გადაუცდა. ერთი კვირა ეძებეს და ბოლოს ნახეს მიკნავებული ბავშვი, საავადმყოფოში ძლივს მოაბრუნეს ამ ქვეყნისაკენ...

ტაიგაშიც ხშირად იკარგებიან, განსაკუთრებით – ბავშვები. ამ ორიოდ წლის წინათ კენკრა-ხილის კრეფამ გაიტაცა პატარა გენა. ერთი თვე დაკარგული იყო. მთელი სოფელი წავიდა საძებნელად, მილიციამაც მიიღო მონაწილეობა ძებნაში, მაგრამ არა გამოვიდა რა. ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერავინ გაიგო, ერთი თვის შემდეგ გენას სოფლები ტყეში რაღაც საქმეზე წავიდნენ და სოფლიდან 50 კილომეტრზე ხედავენ: ზის გენა მონადირის ფაცხის წინ და არხეინად ჩხირსა თლის. თურმე მიხეტებულა ამ ფაცხასთან, ფაცხაში ცოტაოდენი საგზალიც დახვედრია, რამდენიმე კარტოფილი, ფქვილი, ასანთი, დანის ნატეხი; კონსერვის კოლოფისაგან გაუკეთებია ქვაბი და იმზადებდა საზრდოს, იზოგავდა კი...



სკები კლდეზე

ერთი კვირა იყო მხოლოდ საავადმყოფოში, ეს ბედნიერი შემთხვევაა, რომ ფაცხას წააწყდა.

აქ, ჩვენში, ხომ ხეობებია, ხეობა კი გზის მაჩვენებელიცაა! ჩანჩქერებიც ყველგან არ არის, – დაატანა ერეკლემ, რადგან იცოდა, რომ ვაჟა ამას უეჭველად ეტყოდა.

საქართველოშიც ხშირია „დაკარგვა“, განსაკუთრებით აფხაზეთისა და სამეგრელოს კირქვებით აგებულ მთებში. აქ მდინარენი ღრმა კანიონებსა ქმნიან, ხშირად ოთხივე მხრივ შემოზღუდულს. ტურისტები ზოგჯერ ადიან ამ კანიონებით, ზევით დიდი ზეგანიც დახვდებათ ხოლმე, მაგრამ უკან ჩამოსვლა უჭირთ, ან ვერ ჩამოდიან, ან გზას ვეღარ იგნებენ და საძებარი ხდებიან.

გაპყვინენ გზას და საშუალება ჰქონდათ, ქედის ორივე მხარე დაეთვალიერებინათ. დიდ სხვაობას ვერა ხედავდნენ. ჩრდილოეთი მხარე თითქოს უფრო უღრანი ჩანდა; ქობულეთის ქედამდე ჯერ კიდევ კაი მანძილი იყო, როდესაც ვაჟა შედგა და შქერიანები გადასწია, ქვევით ჩაიხედა. მალე გადაინაცვლა და გამოაცხადა: ბარცხანისწყალს ჩავყვეთო..

### ემზაკი რას დააკლებს

ვახტანგი კი ამ დროს შქერიანებში გაბმულიყო და ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა. ერთხანობას აბგა მოიხსნა, ხელში ეჭირა და დასცქეროდა, მერე ისევ მხარზე მოიგდო. ფიქრობდა, დაეტოვებინა, მაგრამ ვერ გაიმეტა.

როგორც იყო, ჩაათავა დამრეცი ქედი და ნაკადულის პირს ჩავიდა; ქვაზე ჩამოჯდა, პური და ყველი ამოიღო, მაგრამ პირი ჰქონდა შეკრული. ერთი-ორი ლუკმა მაინც გატეხა, ერთი ვაშლი დაატანა. სული მოითქვა და ქედს ახედა. მაღალი არ ჩანდა, მაგრამ ქვევით დახრილი შქერიანი სულს უხუთავდა. მშიშარა ბიჭი არ იყო, მაგრამ ამ ზღაპრულ გარემოცვაში, სადაც რაღაც უცნაური სიჩუმე იდგა, თავის თავს კალაპოტში ვერ გრძნობდა. საოცარი იყო, მაგრამ ნაკადულის გაუჩერებელი ხმაურიც კი ვერ არღვევდა ამ სიჩუმეს და ეს მძიმე ტვირთად აწვებოდა ვახტანგს. აი, ლამის-ლამის არის, დაიტანოს, მაგრამ უცბად გაისმა მისი სიცილი და წამოდგა:

– ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო... უჰ, რა კარგია!...

წელიდან პატარა ცული მოიხსნა და შქერის ორკაპიანი ჯოხი გამოჭრა, ბარჯივით იყო. გაიშვირა წინ, დააწვა უნგერნის შქერის ერთ ტოტს და მიწაზე გაართხო, დადგა ფეხი და ახლა მეორე ტოტი დააწვინა. მოეწონა, სიარულს გამიადვილებსო; მარცხენა ხელით ტოტებს იწევდა და ისე იიოლებდა მაღლა ასვლას, მარჯვენაში კი ბარჯი ეჭირა. ნელ-ნელა შეუდგა საქმეს, იცოდა, აქ აჩქარება არ იქნებოდა. როდის, როდის ავიდა ქედის ზურგზე და მოწყვეტით დაეცა. როცა სული მოითქვა, ზღვისკენ გაიხედა. აქედან კარგად მოჩანდა სანაპირო, ბახვისწყლის ხეობა, ყოროლისთავი, კაპრემუმი... მაგრამ იქამდე რომ ჩახვიდე, ცხრა თუ არა, ექვსი მთა მაინც უნდა გადაიარო. იქნებ ჯობდეს, ქედის ზურგით ვიარო და აგერ მტილაცო, – ფიქრობდა, მაგრამ დასავლეთისკენ რომ გაიხედა, გულს შემოეყარა – მზე ზღვაში ჩასვენებაზე იყო.. დღის სინათლეზე რაღას მოასწრებს?

მაინც წინ წავიდა და მაგარ შქერიანებს მიადგა. ჩამოზნელებაზე იყო. რუსული ანდაზა მოიგონა: „დილა სალამოზე ბრძენიაო“, მოიხსნა ჩანთა, უთხოვარის ძირში მიაგდო, მიიხედ-მოიხედა და ხმელ ტოტებს დაუწყო ძებნა. მალე მთელი ხროვა დააყენა, ასკაციან პიონერთა ბანაკში კოცონი დაინთებოდა. აბგიდან ამოიღო ალპური ზედატანი, ასანთი, მათარიდან ერთი-ორი ყლუპი წყალი მოსვა და ჩამოჯდა.

ხვალ ატყდება: სად გარბოდი, მოუარშიებელი მოზვერი ხარ, მოუსვენარი კვიციო, და, ვინ იცის, კიდევ რა...

წამოხტა, ხმელი ბალახი მოაგროვა – ბევრი, მთელი ილღია; ხის ზროს ხავსიც ჩამოაცალა, ბალახი აბგასთან მიიტანა და გამალა, ლოგინი გამართა, ცულით წვრილ-წვრილი ხმელი ტოტები დაჭრა და მოშორებით დაყრილ

ხავს სასახლესავით დაადგა, ამათ ზედ დააშენა ფიჩხისავე მაღალი კოშკი და მხოლოდ ამის შემდეგ მისცა ცეცხლი. ხავსი ახრჩობდა, არ ეკიდებოდა. ვახტანგი წამოწვა და ჯერ ნელა და შემდეგ ძლიერად შეუბერა; აი, გაიელვა ალის ენამ და დაიკარგა, მალე ისევ გამოჩნდა, მოედო ჩინჩხვარს, გაისმა ტკაცატკუცი და ალი გაძლიერდა, გაანათა ქედის ნაწილი. სინათლის მიღმა ცალკეული ხეები ზღაპრული დევებივით ჩანდნენ და აი, ამ დევთა შორის ხის ძირას მიყუჟულ ვახტანგს, კარგი ვაჟკაცი იყო, მაგრამ გული მაინც ყელთან მოადგა.

– მამა და მინდია შეწუხდებიან, თორემ დილამდე მე რა მიშავს! – ფიქრობდა.

ამ დროს ზევიდან რაღაცამ თითქოს დაიყეფაო; ვახტანგი უმაღლეს წამოხტა, ბარჯი მოიმარჯვა, მაგრამ მალე მიხვდა, რომ ოლოლი იყო – დიდი ბუ, ეტყობა, კლანჭებში მოიგდო რაღაც და ეს ყეფა, ალბათ, მისი გამარჯვების სიმღერა იყო.

დადლილი იყო, მაგრამ არ ეძინებოდა და კოცონს შეშას უმატებდა, ალიც მხიარულად ცეკვავდა; ვახტანგს ეგონა, ცოცხალია და მესაუბრებო.

კარგა ხანი გავიდა, მაგრამ ვახტანგს თვალი არ მოეხუჭა; უცბად გაღმიდან, მტირალას მწვერვალის ფერდიდან, სინათლე შენიშნა. ჯერ ყურადღება არ მიაქცია, მაგრამ მალე გულისყურში ჩავარდა. სინათლე ხან აინთებოდა, ხან ჩაქრებოდა, ამავე დროს რაღაც ინტერვალებიც ჩანდა. ეს, ალბათ, მანქანის სინათლეა!

– არა, ეს ხომ მორზეს ნიშნებია! – წამოიძახა და მალე გაარჩია:

„ვახტანგი ხარ?“ – ერეკლე ესაუბრებოდა მორზეს ანბანით, მათ ეს ანბანი პიონერთა სასახლეში შეისწავლეს. რა ქნას, როგორ უპასუხოს? ადელვებისაგან ერთ ადგილს დატრიალდა, უცბად შეხტა, გაუხარდა რაღაც.

– ევრიკა!

სწრაფად გაიხადა „შტორმოვკა“, ევა ლოგინს, ერთ დიდი ბლუჯა თივა დაყარა კოცონზე და ალი უფრო გაძლიერდა. დადგა გვერდით და თავის „შტორმოვკას“ ხან ჩამოაფარებდა და ხან მოაცლიდა ცეცხლის ალს, მხოლოდ ინტერვალებით. დროდადრო თივას უმატებდა და მალე ძმებს შორის ასეთი დიალოგი გაიმართა:

– როგორა ხარ?

– კარგად!

– დილამდე გაძლებ?

– კი!

– გაქვს რამე?

– პურიც, წყალიც.

– დილით კოცონს ბოლი ჰქონდეს, მანდ დაიცადე.

– კარგი.

– ვაჟკაცურად!

და გაღმა ჩაქრა სინათლე. ვახტანგმა შვებით ამოისუნთქა და დაეცა ლოგინზე, დაიფარა „შტორმოვკა“ და მალე წყნარი და უდარდელი ფშვინვა ამოუშვა.

თითქოს ძილში რაღაც დაჰკრესო, ვახტანგს ისე გაეღვიძა; სწრაფად წამოხტა და კოცონისკენ გაიხედა – დიდი კუნძი ისევ ხრჩოლავდა. გაუხარდა, რომ პირი არ შეირცხვინა, თორემ კაი ხნის გათენებული ჩანდა, მზე შუბის ტარზე კი არა, გუთნის გაშლაზე იყო ზემოთ წამოწეული; ცოტაოდენი ხმელი ბალახი მიიტანა, ნედლი ტოტები დააყარა და ცამდე აიმართა ბოლი... მამა, ერეკლე და გოგია უკვე კაი ხნის წამოსულები იქნებოდნენ. ხან სამხრეთის ფერდოს ჩახედა და ხან – აღმოსავლეთისას. წყაროს ეძებდა და აი, მისმა მახვილმა ყურმა დაიჭირა კიდევ წყაროს წანწკარი; ჩაირბინა, პირი დაიბანა, მათარა აავსო და უკანვე დაბრუნდა.

– ვახტანგ! – შემოესმა ყურის ძირში. ეს ერეკლე იყო... გული კინაღამ ამოუვარდა.

ის-ის იყო, უნდა გამოხმაურებოდა, რომ შექერიანებიდან თავი გამოყო ჯერ ერეკლემ, მერე ვაჟამ, გოგიამ, გიორგიმ და ერთმა უცნობმა.

– რატომ ხმას არ გვცემდი?

– ახლა გავიგონე პირველად...

– აი, დავითს უნდა ვუმაღლოდეთ, მაგან იცის ბილიკები, ამ ბილიკებით თურმე ხშირად უტარებია მესაზღვრეები, – მიუთითა უცნობზე, რომელიც სოფელ ყოროლისთაველი აღმოჩნდა, მას ეღიმებოდა.

– რა იცოდი, თორემ ბილიკი, აი, აგერაა!

მოიხსნეს აბგები და გაშალეს სუფრა – ხაჭაპურები და მწვანილი იყო, კიტრი, ხახვი. იცოცხლეთ, მოილხინეს.

– ხომ არ შეგეშინდა?

– რისა უნდა შემშინებოდა? აგერ, მტირალა ხელის მისაწვდომზეაო, – იცინოდა ვახტანგი. იცინოდნენ სხვანიც.

– ჩვენ კიდევ არაფერი, მაგრამ გათენებული არ იყო, რომ ლელამ გამოგვრეკა..

– არა, როგორ გაიგეთ, რომ ჩემი ცეცხლი იყო.

– აი, დავითომ გვითხრა, თქვენი „ყაზილარის“ მეტი ახლა ამ შექერიანებში არავინაა და თუ იქნება, ის იქნებაო.

ვახტანგმა მადლობით გადახედა დავითს.

მალე წამოდგნენ. წინ დავითი წავიდა – ჩემს კვალზე იარეთო.

თხუთმეტოდე წუთის შემდეგ ყოროლისწყალის სათავესთან ჩავიდნენ და ვითომ სიამოვნებით აჩვენა: აი, ესეც შენი გზაო.

გაშალეს ნაბიჯი და მალე ყოროლისთავში იყვნენ. ჩაის პლანტაციები ლამაზი ოროკოებით შეჭვენოდნენ მთის ფერდოს.

სოფლის თავზე მანქანა იდგა, ლელა გადმოხტა და გაქანდა მგზავრებისაკენ, თვალები დასწითლებოდა და ლოყები ალუწოდა სიხარულისაგან.

– გიჟო, გიჟო!

– ლელა! უფროსებს არა უთქვამთ რა და შენ რას მერჩი?

– რაც მაგათ დაგაკლეს, მე უნდა შეგისრულო, – და კვლავ გადაეხვია.

### ბრძოლის რძით ნაგები

მანქანამ მთავარ გზას გადაუხვია. დაეშვა აჭარისწყლის ხევისკენ, გადაჭრა ხიდი და, ის-ის იყო, შეუდგა აღმართს, რომ ერეკლემ წამოიწია:

– გააჩერე, თუ ღმერთი გწამს.

გადმოხტა მანქანიდან და ჩაეშვა რკინის ხიდის თავიდან მდინარისაკენ; რა მეტი ჯანი იყო, სხვებიც გადმოვიდნენ და, როდესაც რკინის ხიდზე შედგნენ, მაშინდა დაინახეს, რომ ერეკლე ერთმალთან ქვიტვირის ძველებურ ხიდზე იდგა.

ყველამ იგრილა და ძირს, ძველ ხიდთან, ჩავიდა. ხიდის სავალი ზურგი თითქმის 3 მეტრია (2 მეტრი 80 სმ), კარგად დაათვალიერეს. ერეკლემ გაზომ-გამოზომა. შემდეგ ქვევითაც ჩავიდნენ. ხიდის ბურჯებზე გამოყენებულია ბუნებრივი კლდე და სწორედ ამან გააძლიერა მას 1895 წელს, როდესაც აჭარისწყალი ისე ადიდდა, რომ მთა და ბარი თან მოჰქონდა, მოაგორებდა უზარმაზარ ლოდებს და ახეთქებდა ბუნებრივ ბურჯებს, მაგრამ ვერაფერი დააკლო.

აღტაცებული შეჰყურებდა ერეკლე ხიდს.

– განა ჩვენი ხიდები ნაკლებია კულტურის სხვა ძეგლებზე? თუმცა რად ვადარებ, ალბათ, თანასწორნი არიან.

– რად იქნება ნაკლები. ჯერ გაანგარიშება იფიქრე, ქართველები აგებდნენ თხელ კამარებს, გახედვე, თითქოს კაცი შედგება და ჩაინგრევას, მაგრამ მრავალმა საუკუნემ გადაიქუხა და ესენი ისევ დგანან. ჩვენმა წინაპრებმა კამარის მშენებლობის ხერხი და ფორმა რამდენიმე საუკუნით ადრე აღმოაჩინეს, ვიდრე სტატიკის კანონებს მეცნიერულად დაადგენდნენ და იმავე ფორმას მიაგნებდნენ, როგორც ქართულ ხიდებს ჰქონდა.

– შენ რა, ამისთვის ემზადებოდი? – შეეკითხა ლელა.

– განა არ იცი? მინდიათ არ დაგავალა, ზოგი რამ თბილისში გვენახა და წაგვეკითხა, ამაზე ნადეჟინი წერს ჟურნალ „გზების მშენებლობაში“.

– აბა, დასხედით და, რაკი ხიდებზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ზოგი რამ გავარკვიოთ... – ბრძანა მინდიამ.

– პირველი ხიდი ვინ მოიგონა?

– ქარმა, – ყველას დაასწრო ლელამ.

– ??

– ქარმა ხე წააქცია და წყალზე ხიდად გაიღო; შორეულმა წინაპრებმა ამით ისარგებლეს, ალბათ, შემდეგ ბუნებას წაჰბამეს და საცალფეხო ხიდებს თვითონ აკეთებდნენ.

– ქვის ხიდების წინაპარი?

– ქსნის ხეობაზე, მდინარე ცხავატურაზე, ქვახიდა გავაკეთეთ, შუა მდინარეში ორი ქვის გროვა ამოვიყვანეთ, ერთიდან მეორეზე შეიძლებოდა გადახტომა და

გადასვლა. ამბობენ, მტკვრის სათავეებშიც ყოფილა ქვახიდები, მხოლოდ სახელმწიფოს მიერ გაკეთებული.

– კარგი, ძალიან კარგი წინაპრები გვყოლია. აი, აი ეს ხიდიც ხომ მეათე-მეთერთმეტე საუკუნეების ხიდია. 1667 წელს გელათის ეპისკოპოსს, გედეონს (გედეონ ლორთქიფანიძეს), ჭიშურაზე აუგია ქვის ხიდი, გარეგნული იერით, წყობის ხერხებით ისეთივეა, როგორც აქაური ან სოხუმთან თამარ დედოფლის დროს აგებული ბესლეთის ხიდი, – ჯერ ყველა ხიდი ვნახოთ და ხიდებზე საუბარი მერე მოვათავოთ, – ურჩია მინდიამ და მანქანამ გეზი აიღო სხალთის ხეობისაკენ.



ჩალის შენახვა

სხალთიდან რომ მობრუნდნენ, ერეკლეს ხათრი ვეღარ გაუტეხეს, ისევ ხულოსკენ გადაუხვიეს დიაკონიძეებთან და ამ პატარა ხეობაში ნახეს სამი შესანიშნავი ხიდი, დიდაჭარაში დიდი ცხის ნანგრევები, ნატაძრალეები... გაიგეს, ჭვანას ხეობაშიც არის კარგი ხიდებიო.



გზა ხეობაზე

სადამო ხანს ჩამოაღწიეს მახუნცეთამდე, სადაც თანამედროვე შესანიშნავი ნაგებობის, აჭარისწყლის ჰესის, სათავეა, თითქოს მას უტოლდებო, ისე კოპწიად გამოიყურებოდა მახუნცეთის ძველი ხიდი.

მახუნცეთის ხიდი მდებარეობს ულამაზეს ადგილას. როგორც ჩანს, ძველი მშენებლები, გარდა იმისა, რომ მოხერხებულ ადგილს არჩევდნენ, მშენებლობისათვის დიდ ყურადღებას უთმობდნენ ადგილმდებარეობას, მის სილამაზეს. კაცი რომ მდინარეს გადალახავდა, უეჭველად შეისვენებდა, ცხენოსანი ცხენიდან ჩამოხტებოდა, მოსართავს მოუფონებდა, მეურმე ხარს გამოუშვებდა. თვითონაც შეისვენებდა, სხვასაც შეასვენებდა, საქონელს წააბალახებდა.

*ქართველსა გულმა როგორ გაუძლოს,  
ოდეს შვენება მისი იხილოს,  
რომ თქვენს ბუჩქებში არა ჩამოხდეს,  
რაც უნდა გზასა ეშურებოდეს,  
როგორ იქნება არ განისვენოს?*

*წამოიწყო ლელამ და გივიმ ჩამოართვა:  
სამჯერ ხომ მაინც გადაჰკრავს ღვინოს,  
ცხენს მოამოვებს, თვალს მოატყუებს,  
გამოიღვიძებს – შუბლს განიგრილებს,  
ახლა ვახტანგი ჩაერთო:*

*ერთს ქართველურად კიდევე შესძახებს:  
არავვო, მაგ შენს ამწვანებულ მთებს.*

და მერე თუნდაც დაუგვიანდეს,

იგი ამისთვის აღარ დაღონდეს.

– ღვინო აქ რა შუაშია, – იკითხა ერეკლემ, თან თვალები უჭყუჭუნებდა, – აქ მაჰმადს ლოცულობენ...

მიხვდნენ ერეკლეს „ემმაკობას“, მაგრამ ლელამ არ შეარჩინა.

– ჯერ ერთი, ამ მხარეში ეს ხიდები თურქების შემოსვლამდე 5-6 საუკუნით ადრე მაინც არის აშენებული. აჭარელმა ღვინოს ეგრე ადვილად არ დაანება თავი...

– ეგ მერე, – გააშველა გიორგიმ.

– კარგად გაზომეთ კამარის მალი! – გასძახეს ვახტანგსა და ერეკლეს, რომელნიც წყალში იდგნენ და ზომავდნენ.

– თხუთმეტ მეტრზე მეტია.

– ზუსტად.

– თხუთმეტი მეტრი და ორმოცდაშვიდი სანტიმეტრია, – მინდიას გაეღიმა.

– ბურჯები აქაც კლდეზეა ამოყვანილი, დულაბად კირი და ქვიშაა ნახმარი. დიდხანს იდგნენ დანდალოს ხიდთან და ტკბებოდნენ მისი უჭკნობი სილამაზით, ამ სილამაზეს აძლიერებდა ისიც, რომ მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს, როდესაც ბათუმი და ახალციხე შარაგზით დააკავშირეს, ამ ხიდის გვერდით, აჭარისწყალზე გასდეს რკინის ხიდი, რომელიც უკვე მოძველებულა და ჩანგრევის პირას არის. ძველი ხიდი დგას და იდგომება კიდევ კარგა ხანს.

დანდალოს ხიდის მალი 20 მეტრია, კამარა საკმაოდ დამრეცია, წყლის ჰორიზონტიდან კამარის ზემო პირამდე 14 მეტრია.

ხიდის სავალის სიგანე 3,3 მეტრია.

– რად ჰქვიან დანდალო?

– აი, აჭარელი მკვლევარი რუსიძე ფიქრობს, ხიდი რომ ააშენეს, მაშინ მოთოკეს აჭარისწყალიო, დანდალი კი, საბას განმარტებით, ლაგამია, პირის მახე.

– ეგ ჭკუასთან ახლოა!

– მაშინ რაღა ვუყოთ საბას მეორე განმარტებას – დანდალი კიბის თუ ურმის სახიდარიაო. თუმცა ხიდიც ხომ ურმის დანდალივით არის გადებული.

– ეტიმოლოგიას რომ თავი დავანებოთ, ხიდს არა დააკლდება რა, იგი ერთ-ერთი ულამაზესი ხიდია და ბესლეთურას ხიდს არაფრით ჩამოუვარდება, განსაკუთრებით თხელი კამარა უნაზეს არშიასავით არის გადავლებული ერთი ნაპირიდან მეორეზე.

– მაგრამ, ერთი, უყურეთ, – მიიქცია ყურადღება ერეკლემ, – ვიღაც ჭკუის კოლოფმა რომ დაინახა, რკინის ხიდი ჩავარდნაზეა გადაუწყვეტია ძველი ხიდის „გამაგრება“ და ზედ 12-15 სანტიმეტრის სისქის რკინაბეტონი დაუგია, ვერ მიმხვდარა, რომ ამით ხიდის მამლეობა შეამცირა.

– შეუნდე, უფალო, რამეთუ არა უწყიან, რასა იქმენ.

– სად გვაქვს, მინდიავ, კიდევ ასეთი ხიდები?

– ჯერ თვით აჭარა ავიღოთ. ყველაზე მდიდარი ასეთი კამაროვანი ხიდებით აჭარაა. ჯერ ჩვენ რამდენი ვნახეთ?

– სამი ღორჯომის ხეობაზე.

– ოთხი აჭარისწყალზე, ფურტიოს, დანდალოს, მახუნცეთის, ცხმორისის ხიდები.

– ეს რაცა ვნახეთ.

– მაჭახელის ხეობაზე ყოფილა ოთხი ხიდი.

– კინტრიშის ხეობაზე – ოთხი, გარდა ამისა, აჭარის სიძველეთა რუკა აღნიშნავს წონიარისის და ჭოროხის ხიდებსაც.

– მარტო აჭარაში 17 ქვის ხიდია.

– თუნდაც ამ ქვის ხიდების შენახვისათვის უნდა ვუთხრათ აქაურებს დიდი მადლობა.

– საქართველოს საზღვრებს მიღმა დარჩენილ საქართველოშიც ასეთი ხიდი ხომ მრავალია და მრავალი, განსაკუთრებით ჭოროხზე და მის შენაკადებზე, აგრეთვე ბარათრზე, აკრიაზე, ხატელზე, დევისწყალზე, მურღულისწყალზე, კლასხურზე, გარდა ამისა – სათლელზე, სანთუშეთზე, არტანუჯზე, ბელღევანზე, იმერხევზე...

– სხვაგან?

– ბესლეთის შესანიშნავი ხიდი, მდინარე ფოლადაურზე, ქვემო ქართლში, ორი თაღოვანი ხიდია, თეძამზე, რკონის მახლობლად, მშვენიერი ხიდია.

– მაინც რაღაა აჭარისწყალზე ამდენი ხიდი?

– ახალციხე, გოდერძი, გონიო – ტრაპიზონი დიდი სავაჭრო გზაა, ეს ერთი, ამ გზას მომსახურება უნდოდა. მეათე-მეთორმეტე საუკუნეებში სამხრეთ საქართველო მომძლავრდა, კულტურის დიდი კერა აქ კი არ ღვიოდა, არამედ ელვარებდა და გასაკვირველი არაა, რომ ამოდენა ხიდები იგებოდა.

– რასაკვირველია, ბევრი ძველი ხიდი დაინგრა, გვაქვს ადგილები: „ნახიდური“, ქციაზე, „ხიდისთავი“ – ქართლში, გურიაში გუბაზოულზე და სხვაგან.

– რასაკვირველია, გაანგარიშების გარდა, თვით მშენებლობის ტექნიკა და ტექნოლოგიაც უნდა იყოს თავისებური, რომ ამდენ ხანს ძლებენ.

– არჩევდნენ კირს, ქვას, ქვიშას, ხელოსანს.

– ეგ კი მართალია, ბატონო, – ჩაერთა საუბარში გზის მუშა, რომელიც გზაზე ნახეს და ახლა გულდასმით უსმენდა მოგზაურებს.

მგზავრებმა მისკენ მიიხედეს.

გზის ოსტატმა დაიმორცხვა, მაგრამ განაგრძო:

– რახან ეგრეა, მოგახსენებთ, ბატონო, კარგი ოჯახის შვილი სახლის საფუძველს რომ ჩაყრიდა, ყველა ქვასა და კირს კი არ იხმარდა. ქვას ხშირად მეორე ხეობიდან მოიტანდა, კირიც, თუ შესაძლებლობა ჰქონდა, მოჰქონდა უფრო სახელგანთქმული საკირედან. ქვიშას რომ შეაგროვებდნენ, შემდეგ რეცხავდნენ, ლამს წმინდა წყლით აცლიდნენ, დარჩებოდა ღვინჭილასავით ქვიშა, ასეთი ქვიშით და კირით ნაგები მტკიცე გამოდიოდა...

– აი, ტექნოლოგია კაი ქვითკირისა თითქმის ერთნაირი ყოფილა, სვანეთის კომშკები ასეთი ქვითკირითაა ნაგები.

– ქართლში, გვერდის ძირზე მეჯვრისხევიში, კულბითში, დისევში, კირს ყველგან წვავდნენ, მაგრამ კარგი ქვითკირი ვისაც უნდოდა, მას კირი სოფელ ალიდან უნდა მოეტანა; სიშორეს არას დაგიდევდნენ, არც იმას, რომ ორი დიდი მდინარე უნდა გადაელახათ, კირი დასველდებოდა და ურემს ცეცხლს წაუკიდებდა. სამაგიეროდ, სახლში მოიტანდნენ კარგ კირს, რომელიც კარგი ქვითკირის კედელს ამოიყვანდა. ქვიშაც ყველა არ იყო სახელოვანი, განთქმული იყო პატარა ლიახვის, ქსნისა და არაგვის ქვიშა...

– მაშ, ირმის რძით აშენებდნენო ტყუილია?

– ირმის რძით აშენებულნიც მაგარი იქნებოდა, რძეში ხომ კოზეინია, კოზეინი წებოსავით იკვრის, მაგრამ რამდენ ხანს ძლებს, არავინ იცის. კოზეინი მაინც ორგანული ნივთიერებაა და ასეთი გამძლეობა შეუძლებელია, ჰქონდეს. კარგი კირის ხსნარი კარგ კოზეინსაც სჯობია და კარგ რძესაც.

– კვერცხის ცილასაც?

– არა, ბიჭებო, კარგი კირის ხსნარი დროთა ვითარებაში მაგრდება, კაჟდება, ცემენტზე უმაგრესი ხდება. გიორგი წამოდგა.

– ადექით, მზე გადაიწვერა, წასასვლელში ვართ.

– მერე ეს ხიდი? – იკითხა ერეკლემ.

– რა ხიდი?

– აქ რომ რჩება!

– ათი საუკუნე მაინც არის აქ, ერთი ათი საუკუნეც იქნება კიდევ. მერე ვნახოთ და გადავწყვიტოთ.

## დიდი კერა

### უნებლიეთი დიალოგი

როდესაც სოფელ ბოკოსკენ ფეხით მოდიოდნენ, ჩვენს მგზავრებს აქაური აგრონომი წამოეწია. მან მანქანა სწრაფად გადააყენა, საჭე ამხანაგს გადასცა, რაღაც უთხრა და მანქანიდან ჩამოვიდა, მგზავრებს პირლიმილიანი მიესალმა.

მინდია დააკვირდა და მალე გულიანად გაიღიმა.

– ორმოცი წელი იქნება, არ მინახიხარ, ბიჭო, შენი სახელიც კი დამავიწყდა, მგონი, ნოდარი უნდა გერქვას, თუ ნური.

– ბატონო მინდია! ამ ბალახად აღარ ვღირვარ? ესენი ხომ გახსოვთ და მე ერთ ბალახად ჩამთვალეთ, მართალია, ორივე მქვიან, ჯერ ნური, მერე ნოდარი.

– თავს ნუ ისაწყლებ, მაგრამ ჩემზე მეტად გათეთრებულხარ კია. თმა გათრთვილური კი არა, შეჭირბლული გაქვს.

– ერთხელ, საგურამოში რომ ვიყავით, მაშინ გვიამბეთ, ერეკლე თურმე ერთ თავის კბილას შეხვდა და გაიკვირვა: „კაცო, შენ ისევ შავი კუნაპეტივით თმა გაქვს, მე კი, ხედავ, ბარშიც ჩამომითოვლაო“. „ასეა, დიდო ბატონო, თქვენ ყოველთვის პირნათლად უნდა იყოთ, ყმა პირშავადაც რომ იყოს, არა უშავს რაო!“ – უპასუხია.

მინდიას გაეცინა.

– შენ რა, აქ აგრონომად მუშაობ?

– დიახ!...



– მერე და რად გაგიღარიბებია ხეობა?  
– როგორ გამიღარიბებია? – შეიცხადა ნოდარი.  
გზის მოსახვევში ღელე გამოჩნდა და მის ნაპირას – მათი მანქანა, რომელთანაც ლელა, გიორგი და გოგია ფუსფუსებდნენ.  
– აბა, მოდი ჩვენთან, ახლავ გეტყვი, რა სოფელია, აგერ, გაღმა? ხედავ, რა ლამაზია. კოპწია, ძველი აჭარული სახლები, წინ ხეხილი, ირგვლივ მინდორი, მაგრამ რა მინდორი? მარტო სიმინდი ეთესა, აღარსად ხორბალი, აღარსად ღომი, ხომ?  
– ეგ მართალია.  
– მოიცა, მოიცა, არსად ფეტვი, არსად ჭვავი, ქერი, ოსპი, ცერცვი...  
– ეგენი, ბატონო გიორგი, არ იგეგმება და როგორ ვთესოთ?  
– ძველად ზევიდან დამეგმავი არავინ ყოფილა, მაგრამ თესავდნენ; სახლში კაცს ოსპიც ჰქონდა, ცერცვიც, ლობიოც, ღომიც. ხალხის კვებისათვის ყველა საჭირო იყო და დღესაც საჭიროა!  
– პური შემოგვაქვს.  
– პური ვერ შეცვლის ვერც სელს, ვერც ოსპს, ვერც ცერცვს და ვერც ლობიოს.  
– მერე განა ითესებოდა ესენი ჩვენში?  
მინდიას მწარედ გაელიმა.  
– ვახტანგ, გადმომიღე ჩემი საქაღალდე.  
მინდიამ ქაღალდები გაშალა:  
– აი, აჭარის ტოპონომიკაში<sup>99</sup>, რომელიც იური სიხარულიძემ შეადგინა, სოფლების ირგვლივ არის ადგილთა სახელები, სადაც ესა თუ ის კულტურული მცენარე ყოფილა და დღეს აღარ არის, მის ნაცვლად ან ტყეა, ან ბუჩქნარი, კულტურული მცენარის არსებობა კი ადგილის სახელწოდებამ შემოინახა.  
– ეს როგორ? – იკითხა ნოდარი.  
– მინდიავ! ამაზე ჯერ ჩვენთანაც არა გითქვამს რა, – თითქოს უსაყვედურა ერეკლემ.  
– არა მითქვამს რა და მიგდეთ ყური: ნასელავი ოცდაათჯერაა ნახსენები, ნაქერალი – 30, ნაღომარი – 23, ნაპურალი – 21, ნაჭვავარი – 21, ნაფეტვარი – 19 ჯერ.  
– მინდიავ ბატონო, ნაჭვავარი, ძირითადად, სწორად წერია, მაგრამ არის გადახვევაც, აი, ნაჭვავევი... შეაჩერა ვახტანგმა.  
– ეგ ერთი და იგივეა...  
– მაგრამ, აი, ნაპურალი რამდენნაირად გვხვდება! ნაპურალი, ნაპურვალი, ნაპურალა, ნაპურალები...  
– მაინც ერთია...  
– აი, კიდევ, – არ ისვენებდა ვახტანგი:  
ნასელვარი, ნასელავი, ნასელვარა, ნასელეხი.  
– რასაკვირველია, ესენი ენათმეცნიერულადაც საინტერესოა.  
– ღომი განა მთაშიც გვხვდებოდა...  
– აი, თუ არა გვხვდებოდა: ხულოშია ნაღომარი, ცეკვაშიცაა, საინტერესოა...  
– უჰ, აქ ბატონი აკაკი შანიძე თუ გვიშველის. ნაღომვარი, ნაღომარი, ნაღომევი ნაღომვარა, საღორე, როგორი ნაწარმოებია!  
– იყუჩე, ბიჭო, ყველა ეს აზრობრივად ერთია!  
– აქაური სიმინდიც განსხვავებულია ყველა ძველი სიმინდისაგან, მასზე ვერ ავალბინეთ ხელი ხეობელებს. აგერ, გახედეთ მთის ფერდობებს, – გახალისდა ნოდარი, – მოსავალი ყველგან აღებულია. ბარში სიმინდს ახლა ტეხენ. აგერ, ყოველი სახლის წინ ჩალაა დაზვინული, მინდორში მისი ძირი თუ დარჩა, საქონელმა მოკვნიტა ისიც. სიმინდი პატარაა, ჩოქელა, ღერო წვრილი აქვს, ტაროს ერთს, ორს იკეთებს; მარცვალი კაჟოვანია. ტარო დიდი არაა, მაგრამ მინდორში სიმინდის ძირი ორჯერ მეტი მაინც დგას და ამიტომ, თუ სხვა ჯიშებთან ბარიბარში არ გამოდის, არც ბევრით ჩამორჩება. ეს თავისებური აჭარული ადრეული ჯიშია, იქნებ ეს ჯიში სწორედ იმ მარცვლეულის ჩამომავალია, რომელიც პირველად შემოიტანეს ჩვენში, ჩვენი მეცნიერები ხომ ამტკიცებენ, რომ ოსმალნი სიმინდს „ლაზურს“ უწოდებენ და აი, ამ პირველმა მცენარემ დაიბუდა ამ ადგილას, დარჩა და დარჩა. თანამედროვე მეურნეობა ისე წარიმართა, რომ მინდვრის მცენარეებში მრავალფეროვნება აღარ არის. აჭარაში სიმინდის მრავალნაირი ჯიში არსებობდა: წონიარისულა, ბროლა, მოლონისეურა, ბოლიყურა, ჩხალურა, შვიდკვირია, ჯორიელა, იერლი წვიმტა<sup>100</sup>, იერლი ალთუნა, ყირჯი ბროლა, გოგორა, ყირმიზი აბაზურა, მისირულა და ბევრი სხვა. სამწუხაროდ, უმრავლესობა აღარ გვხვდება, ბევრი მათგანი სამხრეთიდან ჩანს შემოტანილი (ალთუნა-ყვითელმა, ოქროსფერმა, ყირმიზი – წითელმა უშუალოდ ოსმალეთიდან მოიტანეს

სახელები, მისურულიც შემოტანილია, იქნება მისრეთიდან, ეგვიპტიდან). ბევრი კი ადგილობრივადაა წარმოშობილი, ასეთი ჩანს წვიტა, საადრეო, შვიდკვია, მთისთვის გამოყვანილი მცენარე. ვაკეზე, ქვემო აჭარაში, ქობულეთ-ერგეში ხომ, ჩვეულებრივ, დღეს დაგეგმილი სიმინდები ითესება.



### წყარო

- კარგიც ქნა, რომ დარჩა, - ჩაერთო ერეკლე.
  - ალბათ, ღომი ამან შეცვალა, არა?
  - რაკი ღომს მიანებს თავი, სიმინდს ღერდავენ ბუჭულა წისქვილზე.
  - ღომი მთიან აჭარაშიც ითესებოდა, თუმცა ისტორიკოსი დ. ბაქრაძე აღნიშნავს, სოფელ საღორეთის ზევით აღარ შემხვედრიაო.
  - უყურეთ, საღორეთი, ესეც ძველი სახელია უეჭველად.
- მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს ზემო აჭარაში ჯერ კიდევ პური ყოფილა გაბატონებული. არსებული ცნობების მიხედვით, ზემო აჭარაში 1894 წელს მოუყვანიათ 183.680 ფუთი სიმინდი (დაახლოებით 3.000 ტონა) პური კი - 781.653 ფუთი (ანუ დაახლოებით 12.410 ტონა).
- დაიცა, დაიცა, ჯერ ნაჭვავარი და ნაღომრები მოვათავოთ.
  - აღარც ფეტვი შემხვედრია. გარდა ამისა, ამ სიებში გვხვდება: ნაკანაფევი 19, ნაჭვავარი 17, ნალობიევი 12, ნაოსპარი 9, ნაცერცვალი 2, ლეღვათი 2, ნასიმინდარი 3, ბოსტანი 4, ნაბოსტნევი 5, ვაშლათ 5, მსხლიანი 5; გარდა ამისა, ხშირია: ბოსტანა, ბოსტნები, სხილიძირათი, სავარდია, საქონდრია, ბოსტანათი, დიდსავარდია, საზღმარტლია, ვაშლანა, ქლიავძირი, ბლიანი, ტყემლიანი, ხეხილნარი, ნათუთნევი, ნაბოლოკევი, ნაკიტრევი, ატმები, კვახური და სხვა მრავალი.
- ესაა არა სპეციალური კვლევის შედეგი. საგანგებოდ ამ საკითხებისათვის რომ მიექციათ ყურადღება, რასაკვირველია, ნაოსპარი თუ ნაღომარი უფრო მეტი აღმოჩნდებოდა. აი, მართო ამ ტოპონიმებიდანაც ჩანს, თუ რა მდიდარი ყოფილა კულტურული მცენარეებით აჭარა. ამავე დროს ამ ნამცენარეების განაწილება რუკაზე ნათლად გამოხატავს ზონალობასაც. თუ ნაღომარი ქვევითაა მოქცეული, ნაჭვავარი მთაზე მოდის. ეს რას ნიშნავს? ორ რამეს, ჯერ ერთი, ცოტა არ იყოს, ჩვენს დღევანდელ დაუდევრობას. ზოგი რამ ისე მოვსპეთ, თესლიც კი არ დავტოვეთ შესანარჩუნებლად. ოსპი, მაგალითად, რომ მოინდომო, შეიძლება, ვერც კი იშოვო. ასეა სხვაც. ამ მცენარეთა უმრავლესობა, ასე ვთქვათ, საკარმიდამო მცენარე იყო. დღეს კი ეკონომიკამ სხვა მოითხოვა - მასიურობა.
- ფეტვი შეგხვედრიათ?
  - არა, არ შეგხვედებოდათ, ფეტვს წიწილისთვისაც კი არ თესენ.
  - ფეტვი ღომის გვერდით ითესებოდა; ისიც ერთ-ერთი ძველი მცენარეა. ღომს თუ ხარშავდნენ და ღომისღომს აკეთებდნენ, ფეტვისაგან პურს აცხობდნენ, გაგიგონიათ „რას იჭყანები ფეტვის ჭადივითო“, საჭადა ფეტვს ჭადი ერქვა, მის ნამცხვრებს კი ჭადისჭადი.
  - თქვენ ისე იზამთ, რომ ახლა პურს მაჭმევთ...
- ყველას გაეცინა და ლელას გახედეს, რომელიც სუფრას უტრიალებდა... ცოტა კიდევ ილაპარაკეთო, - შეეხვეწა. სუფრასთან ნოდარიც მიიწვიეს, თამამად წავიდა, უარი არ უთქვამს და შუა პურის ჭამაში არც კი იყვნენ, როდესაც აგრონომის მანქანა „კარს“ მოადგა და ახალგაზრდამ კალათა გადმოიღო.

– მაშ რა ვქნა, ბატონო მინდია? – შეეხმაურა მინდიას გადაქნულ თავს, – ბევრით ვერაფრით გაგაკვირვებთ, მაგრამ ჩვენი ხილია და მისმა გასინჯვამ იქნება გული მოგიღბოთ, ბევრი კარგი ხილია.

სუფრაზე საუბარი ისევ მხარის კულტურულ მცენარეებს შეეხებოდა, ხან თავში მოექცეოდა, ხან ბოლოს. ამ საუბრის დედააზრი შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

საქართველო, ამიერკავკასიის სხვა მხარეებთან ერთად, კულტურულ მცენარეთა წარმოშობის ერთ-ერთი ძლიერი ცენტრია.



წისქვილი

ამაზე ჩვენ წინათაც გვქონდა საუბარი, მაგრამ ცუდი არ იქნება, ერთი-ორი სიტყვით კიდევ მოვიგონოთ.

ამჟამად საქართველოს ხორბლები თერთმეტ სახეობას (მსოფლიოში არსებული 12 სახეობიდან) და მრავალ სახესხვაობას (160-ზე მეტს) შეიცავენ. მათ შორის მრავალია ისეთი, რომელიც საქართველოს გარეშე არ გვხვდება (ენდემი). ესენია კოლხური ხორბალი, მახა, ზანდური, დიკა, გარდა ამისა, იმ სახეობებიდან, რომელიც სხვა ქვეყნებთან საერთოა (რბილი ხორბალი-დოლის პური) მრავლად გვაქვს ენდემური სახესხვაობანიც.

საქართველოში სხვადასხვა ზონისათვის გამოყვანილია, შერჩეულია და ჩამოყალიბებულია არა მარტო ხორბლის სახესხვაობანი, არამედ სახეობანიც (დიკა, მახა, ზანდური) მრავალი სახეობით და ფორმით.

ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ძირითადი ხორბლის, დოლისპურის, სახეობა და მრავალი ქვესახეობა გამოყვანილია მთაში 1000-2000 მ სიმაღლეებზე ზღვის დონიდან. სახელი „დოლის პური“ მან მიიღო სვანეთის სოფელ დოლიდან, რომელიც ბეჩოს თემშია და არა მესხეთის სოფელ დოლის ყანიდან, როგორც ამას ჩვენი მეცნიერი ივანე ჯავახიშვილი ვარაუდობდა. ამას ადასტურებს ისიც, რომ ლეჩხუმი, რაჭა და სვანეთი ის მხარეა, სადაც დღემდე შემონახულია ზანდური, მახა, დიკა და დოლისპურის ისეთი სახესხვაობანი, რომელნიც თავის მარცვლის ღირსებით მრავალ ხორბალზე მაღლა დგანან. დოლისპური, დიკა და, ნაწილობრივ, ზანდური და ასლები მთიდან ბარისკენ დაემხენ. ამას მხარს უმაგრებს ვ. კომაროვის მიერ წამოყენებული ვარაუდიც, რომ კულტურული მცენარენი წარმოიშვნენ ხეობაში, სადაც მეტი მყუდროება სუფევდა. დოლისპურის გარდა, მთაში ფეხმოდგმული იყო დიკა. დიკას აქ შემოსვლა ორი გზით უნდა მომხდარიყო: რაჭა-ლეჩხუმიდან და სვანეთიდან, უმთავრესად თრიალეთ-აჭარა-იმერეთის ქედით, და მესხეთიდან. დიკას პური ზედგამოჭრილი მცენარეა აჭარისწყლის ხეობისთვის და შავშეთ-ერუშეთისათვის. აქ გავრცელებული იყო სამივე ძირითადი სახესხვაობა: თეთრი დიკა, წითელი დიკა და შავფხა დიკა. იშვიათი არ იყო მტრედისფერი დიკაც. ამ ათიოდე წლის წინათ თითო-ოროლა ნათესი კიდევ გვხვდებოდა. დიკა სწორედ მთიანი ნაწილისათვის არის გამოყვანილი და მისი დაკარგვა აგრე ადვილად არ იქნება. ითესებოდა სხვა ხორბლებთან ერთადაც. თუ ქერქთან ერთად „ქერდიკა“ ეწოდებოდა, ითესებოდა გაზაფხულის დოლთან ერთადაც, მაგრამ შედარებით იშვიათად.

– დაიცა, დაიცა, გვარი რომ არის ქერდიკაშვილი, მაშ, აქედანაა ხომ? რაღად წერენ ქერდიკაშვილიო, – იკითხა ვახტანგმა.

– ეგ ზოგი რედაქტორის ბრალია, თუ სადმე რუსულად ნაწერში შენიშნეს, მაშინვე ყარად აკეთებენ, მაგრამ ნუ იცი, შარაგზიდან ქაშანაზე გადახვევა.

– გარდა ამისა, არსებობდა გაზაფხულის დოლის პურებიც, არსებობდა ხულუგო, უფრხო, ანუ დოლა პური, წითელი და თეთრი ჩოქელა ხორბალი რამდენიმენაირი.

– მაშ, აჭარა და შავშეთ-ერუშეთი ჩვენი ხორბლების ბუდე ყოფილა.

– დიდი ბუდეც, უსაფუძვლოდ არ ფიქრობდა ივანე ჯავახიშვილი, დოლის პურის სამშობლო მესხეთიაო, სადაც სოფელი დოლისყანაც არისო.

დიდხანს ღმოს შემოტანილ მცენარედ თვლიდნენ, მაგრამ საქართველოში სარეველა ღმომც ყოფილა, რომელმაც, შესაძლებელია, საწყისი მისცა მრავალ ჩვენებურ ჯიშს, მით უმეტეს, სარეველა ღმომიდან კულტურულ ღმომებზე გარდამავალი საფეხურებიც არის (თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ მცენარეში სარეველას

კულტურული მცენარეც აძლევს საწყისს). არქეოლოგიური გათხრების დროს პირველ-მეორე საუკუნეების სამარეებში აღმოჩნდა ღომის მარცვლიც (მახას, ასლის, დოლის პურის მარცვლებთან ერთად).

ყოველივე ეს იმის დამადასტურებელია, რომ არსებობდა კულტურულ მცენარეთა წარმოშობის პარალელური ცენტრები. ქვეყნის ურთიერთისაგან დაშორებულ ცენტრებში ხდებოდა შერჩევა და გამოჰყავდათ კულტურული მცენარენი. ასე, მაგალითად, რაკი ველურად არსებობდა რომელიმე კარგი მცენარე, შეიძლება, მას სათავე მიეცა კულტურული მცენარისათვის, პირველ რიგში, მოშინაურების წესით.

ამგვარად, სხვადასხვა ადგილას მოშინაურებული უნდა იყოს: ფეტვი, ღომი, შვრია, ასლი, ვაზი, ვაშლი, მსხალი, ბალი, ქლიავი და სხვა მრავალი. რასაკვირველია, ყოველ კუთხეში იქმნებოდა თავისებური ქვესახეობა, ფორმა თუ ჯიში. შემდეგში, როდესაც ხალხთა შორის ურთიერთობა დამყარდა, ხდებოდა ამ ჯიშების ნებით თუ უნებლიეთ გაცვლა, ურთიერთგამდიდრება.

არსებობს პარალელური ცენტრები კულტურული მცენარის წარმოშობისა. მაგალითად, საქართველო არის კულტურული ვაზის წარმოშობის ერთ-ერთი ცენტრი და არა ერთადერთი. ვაზი გამოჰყავდათ სხვაგანაც, სადაც ვაზი ველურად იზრდებოდა. ასევეა მრავალი ხილეული ჩვენში: ბროწეული, ლეღვი, ვაშლი, მსხალი, ბალი, ქერი, შვრია და სხვა მრავალი. ამა თუ იმ მხარეში გამოყვანილს ახასიათებდა თავისებური, ადგილობრივი იერი. საქართველო ერთ-ერთი დიდი და მნიშვნელოვანი ცენტრია ვაზის ჯიშების წარმოქმნისა. 500-ზე მეტი ჯიშია გამოყვანილი ჩვენში, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ყველა კულტურული ვაზი აქედან გავრცელდა; როგორც აღვნიშნეთ, იქ, სადაც ველურად გავრცელებული იყო ვაზი და სადაც ხალხის კულტურა მაღალ საფეხურზე იდგა, არჩევდნენ ვაზის ჯიშებს, ხვეწდნენ მათ და გადაჰქონდათ კარ-მიდამოზე, ვენახში.

ამ მხრივ, საქართველოში მაინც უნიკალური, ყოველი ჩვენი გეოგრაფიული ერთეულისათვის ცალ-ცალკე ჯიშები იქმნებოდა (კახეთში – 50, ქართლში – 55, იმერეთში – 60, რაჭა-ლეჩხუმში – 40, აჭარაში – 40, გურიაში – 35, მესხეთში – 18).



*ნაეკლესიარი ყინჩაურის ტაძრის ეზოში*

ამავე დროს მრავალი მათგანი კლასიკური ჯიშია, ერთ ჯიშშია შეკრებილი მრავალი თვისება (სადვინე, საჭმელი, საჩამიჩე და სხვა); ასეთებია: რქაწითელი, გორულა, ხიხვი, კრახუნა და სხვა მრავალი. წინაპართა სახელად ეს 500 ჯიშიც გვეყოფა.

საქართველოში უკანასკნელ ხანამდე შემონახული იყო უნიკალური კულტურები ისლის (სახურავის ჩალა), ურიშის, ჭყიმის; ესენი ჩვენს ველურ ფლორაში უახლოესი ნათესავებით არიან წარმოდგენილნი, ისე, რომ ამ მცენარეთა სახითაც გვაქვს მცენარეთა გაკულტურების ერთ-ერთი საწყისი საფეხური.

ასეთები დღესაც ბევრია. ალბათ, მოვა დრო, კულტურულ ნაკვეთებზე გადმოიტანენ დუცს, დიყს (მრავალწარის) ხილად საჭმელად, თუ საქონლის საკვებად, კოპრჩილას, ქარქვეტას, კაპარს, დანძილს, როგორც სამწილე მცენარედ, და სხვა. ხილად: – მოცვებს (ოთხნაირი), კოწახურს, წყავს...



## ტბეთის ციხე

ასევე ელის გაკულტურებას მრავალი დეკორაციული, სამკურნალო, ტექნიკური მცენარე.

აჭარის ამ ტოპონიმთა ანალიზმა ლამის მთლიანად აღგვიდგინა აჭარის კულტურულ მცენარეთა სია და მათი გეოგრაფია. ტოპონიმთა შეკრება საჭიროა მრავალი თვალსაზრისით.

### მზეკაბანი

ენა ყველაზე უდიდესი, ყველაზე ძვირფასი და წმინდა საუნჯეა ერისა, ეს საუნჯე ისეთი მარგალიტითა და ლალითაა სავსე, რომლის ბადალი არ არსებობს არსად; ენა დიდებაა ხალხისა, მისი დროშა უკვდავებისა, ენა აძლევდა ძალას, გადაეტანა ჟამთა სიავე; სიტყვით, მშობლიური სიტყვით, გონებამიხდილს შემოაბრუნებდა ამ ქვეყნისაკენ.

*რა ენა წახდეს,*

*ერიც დაეცეს.*

რაა ის ხალხი, რომელსაც მშობლიური ენა დაუკარგავს და აღარა აქვს?

და თუ იყო სადმე ასეთი, თუ ავბედობამ და ჟამთა სიავემ დაუკარგა მას ენა, მეოცე საუკუნემ და მისმა დიდმა იდეებმა მისცა ძალა, რომლის მეშვეობით იბრძვის, დაიბრუნოს დაკარგული საუნჯე. ენა ადამიანებისთვის უდიდესი სიხარულია. ენა აძლევს საშუალებას, გამოთქვას ფიქრი და ნააზრევი. რა იქნებოდა, ადამიანს ეს საშუალება რომ ჰქონოდა დაკარგული. რამდენადაც ლამაზი და კარგია სიტყვა, იმდენად ნააზრევის გადმოცემაც მკაფიოა და სახალისო.



*ყინჩაურის ტაძარი*

ჩვენმა ხალხმა თავისი არსებობის მანძილზე მრავალი შესანიშნავი სიტყვა შექმნა, ყოველ მათგანს თვალსჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ. თუ მოხდა ისე, რომ რომელიმე მათგანმა ახალი ყოფის გამო თავისი ფუნქცია, თავისი პირველადი მნიშვნელობა დაკარგა, მას ახალი მნიშვნელობა უნდა ავუჩინოთ (თუნდაც არნადი – ბზისა და მიწის შესახებ). დღეს ყანა ბზედ აღარ ილეწება, სამაგიეროდ, ბულდოზერის წინა ნაწილი არნადის ფუნქციისაა!)

– კარგ სიტყვას და რომელი სიტყვა არ არის კარგი? მშვენიერ სიტყვას ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში რა გამოლევს? კარგი სიტყვა ყოველთვის დიდ ნატურისთვალად მევლინებოდა. ქართველი კაცის გული სიტყვის დაუმრეტელი საბადოა, საბადო, რომელიც განუწყვეტლივ მდიდრდება, ერთი სიტყვა მეორეს ბადებს. იღებ ამ ძვირფას მადანს და არ ილევა იგი. მემადნის წერაქვი განუწყვეტლივ უნდა მუშაობდეს, იბრძოდეს იმ დიდი საქმისათვის, რომელსაც ხალხის ლექსიკა ეწოდება.



*ყინჩაურის ტაძარი (დეტალი)*

ჯერ ბევრი რამ არ ვიცით, იგი ხალხის გულშია დაბუდებული, შენახული, მისი ამოკრეფვაა საჭირო, საყოველთაო სახმარად გახდა. აჭარისწყლის ხეობაზე, მთაში, მეწველ საქონელთან ქალებია მიჩენილი. ერთი მათგანი მთავარია, მას ეკითხება ყველ-ერბოს კეთება, მოვლა. ამ ქალს „მემთვარეს“ ემახიან. რამდენი თანამდებობაა დღეს ერთ სახელწოდებაში გაერთიანებული. რატომ არ გავამდიდროთ ლიტერატურა ენა ამ შესანიშნავი სიტყვით?

გამიხარდა, როდესაც ამ რამდენიმე წლის წინათ ძველი სალაროდან „მზეკაბანი“ მოჰყვა სიტყვამაძიებლის წერაქვს. „ყანას მზეკაბანმა გადაუარაო“, რა ლამაზი და პოეტურია! და ჯერ კიდევ რამდენი ასეთი მზეკაბანია ხალხის გულში მთვლემარე.



ყინჩაურის ტაძარი. სარკმელი.



ყინჩაურის ტაძარი

სოფლის შარაზე ბაღები მორბოდნენ ჟვილ-ხვილით. შევაჩერე: „საით მიჰქრებიხართ, ბიჭებო-მეთქი? – შევეკითხე, – „სოფლის ბოლოზე ბელტიყლაპიას დაუწყია მუშაობა, იქ მივდივართო“. ბელტიყლაპია ექსკავატორი აღმოჩნდა. ხალხი არ ჩერდება, ზღაპრის გმირმა დაკარგა ძველი სურნელება. მისი სახელი ახალ ობიექტს მიეკუთვნა, სადაც იგი გამართლებულიცაა. განმარტებითმა ლექსიკონმა თავი მოუყარა ყველა იმ სიტყვას, რომელიც დღემდე მოხვედრია „წერაქვის წვერს“. ფურცლავ ამ აზარმაზარ რვა ტომს და სიამით ივსები: რა მდიდრები ვყოფილვართ. ეს სიმდიდრე განსაკუთრებით მკვეთრად გამოჩნდა მაშინ, როდესაც ერთად შეიკრიბა. ჩვენმა მკვლევრებმა უეჭველად დიდად იშრომეს ამ სიტყვათა შეკრებაზე. მაგრამ ეს ერთი მესამედიც ხომ არ არის ქართული სიტყვებისა, რაც ჩვენში არსებობს. ვგულისხმობ გეოგრაფიულ სახელწოდებებს, ტოპონიმებს, რომლებიც ლექსიკონში არ არის შეტანილი. საქართველოში ოთხი ათასზე მეტი სოფელი, ქალაქი და დასახლებული პუნქტია, ამაზე მეტი ხეობა, ხევი, ღელე და მთა, ყოველი დიდი პუნქტის ირგვლივ აუარებელი მცირე კუთხეა, რომელსაც თავის სახელი ჰქვია. ამას წინათ რამდენიმე სოფლის ირგვლივ ჩავიწერე მინდვრის, სარწყავი არხის, რუსა და სხვათა სახელწოდება. თითო სოფლის ირგვლივ 30-40 სახელწოდება მაინც იყო. მაშასადამე, სულ ცოტა 200-250 ათასი სახელწოდებაა მაინც, მერე რა სიტყვები, თითოეული სიტყვა თითო ბედაურად ღირებული: „მზეთამზე“, „პირიმზე“, „სანისლო“, „ტირიფონა“, „დუბიანი“, „კავთიხევი“, „მემუნარა“, „ლიახვი“, და სხვადასხვა.

ენათმეცნიერი არა ვარ, მაგრამ ბევრი ეს გეოგრაფიული სიტყვა მაფიქრებს, საიდან, როგორ? რა უნდა შუა ქართლში ისეთ სახელწოდებას, როგორიცაა „ტირიფონა“, იგი ხომ ზანურია და ნიშნავს ტირიფიანს. „კავთისხევის“ სახელწოდება ამას წინათ ვერ აიხსნა. „კა“ სვანურის ერთ-ერთ დიალექტზე ქვას ნიშნავს, ხომ არ არის ქვათახევი – კავთისხევი, იქვეა ქვათახევიც. კოჯორზე ბევრს დავობენ, მაგრამ სადავო არაა, სვანურად ქვიან ადგილს, რომელზედაც თანამედროვე კოჯორის ციხეა აგებული, კოჯო ეწოდება, და კოჯორიც ამიტომ ეწოდა იმ არემარეს.



ბესლეთის ხიდი აფხაზეთში



დანდალოს ხიდი აჭარაში

„ლიახვი“ – ლია ქვემო იმერულში სველი ადგილია, რომელზედაც წმინდა წყალი დგას, ლიც სვანური წყალია. საქართველოს მრავალ კუთხეში „ლიახვი მოვარდაო,“ რომ იტყვიან, „წყალდიდობას“ უთანაბრებენ.

„მემუნარა“ ადგილია ქართლში ძეძვიან-ნარიანი. ჯერ ერთი, როგორ შემორჩა ძველი ფორმა „მემუ“, „მეძვი“, და, გარდა ამისა, ეს საინტერესოა, როგორც გეობოტანიკური ტერმინი. ბევრი ჩვენებური გეოგრაფიული სახელწოდება შესანიშნავი და მკვიდრი გეობოტანიკური ტერმინია: თელიანი, მუხიანი, შქერიანი, დეკიანი და სხვანი, ზოგი გეოგრაფიული სახელწოდებიდან აღებული სახელწოდება გამოყენებულია გეობოტანიკურ ტერმინად.

დიდი საქმე გაკეთდა აჭარაში. იური სიხარულიძემ შეისწავლა აჭარის ტოპონიმები და ორ ტომად გამოსცა.

ამ ტოპონიმების წყალობით აღდგა აჭარის კულტურულ მცენარეთა გეოგრაფია (ნასელარი, ნაჭვავარი, ნაქერალი, ნალომარი, ნაოსპარი და სხვა), აგრეთვე შეგვეშველა კულტურულ მცენარეთა სრული სიის დადგენის დროს.

ახალი ყოფის გამო ბევრი სახელწოდება იკარგება, თავის ფუნქციას კარგავს. პატარა ნაკვეთების ნაცვლად უზარმაზარი საკოლმეურნეო ნაკვეთია, რომელიც წარსულში ათეულ სახელწოდებას შეიცავდა, დღეს ერთი სახელითაა ცნობილი.

მაშ, დაგვიანება არ იქნება.

და, აი, ჩვენი გადაუდებელი ამოცანაა, ეს უდიდესი საუნჯე შევკრიბოთ, დავბეჭდოთ, განვმარტოთ.

ეს სამუშაო მარტო ლინგვისტური სამუშაო არ არის. მას უდიდესი გამოყენებითი მნიშვნელობაც აქვს. აი, თუნდაც ზოგიერთი ადგილის სახელწოდება მიგვითითებს, თუ რა კულტურული მცენარე ითესება ამ ადგილას.

### ზოგი რამ ძველი

**ჭვავი.** სიტყვა „ნაჭვავარი“ აჭარაში 17-ჯერ მეორდება, უმთავრესად მთიან ზონაში. პურეულთა შორის ყველაზე ყინვაგამძლეა ჭვავი, ამიტომ იგი მთაში საკმაოდ მაღლა ადის. 2200 მეტრის სიმაღლემდე (მთათუშეთი), საერთოდ, ჭვავი იშვიათად ითესებოდა. მაგრამ რაკი აჭარაში ასე ფართოდ ყოფილა განვითარებული, ამას თავისი მიზეზები ჰქონია, რომლის უგულვებელყოფა ეგრე ადვილად არ შეიძლება. აჭარული ჭვავი შეიძლება ენდემურიც იყო, ადგილობრივ წარმოშობილი, რათა? ჯერ ერთი ჩვენს ქვეყანაში სარეველა ჭვავი საკმაოდ

გვხვდებოდა. ჭკავს საწყისი სწორედ სარეველა ჭკავმა მისცა. მეორე, კავკასიაში რამდენიმე სახის ველური ჭკავი არსებობს: მთის ჭკავი – აფხაზეთის მთებში, სუბალპებში; ვავილოვის ჭკავი იზრდება სამხრეთ კავკასიონის ვულკანურ არეში – სომხეთში.

**დოლისპური** კლასიკური ხორბალია. მსოფლიოს მრავალ კუთხეშია გამოყვანილი მისი მრავალნაირი ჯიში და ფორმა, მაგრამ ისეთი, როგორც ქართველმა მხენელ-მთესველმა შექმნა, არსად არის. დოლის პური ქართველმა ვაჟკაცმა თავისი მთლი ისტორია ჩააქსოვა. გამოიყვანა ისეთი ჯიში, რომელიც ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ პირობებს და ისტორიას შეეფერება. დოლის პური არის გვალვის გამძლე, სარწყავშიც კარგ მოსავალს იძლევა, ნამჯა შედარებით ნაზი აქვს, მარცვალი უკვე ოდომღერობაში<sup>101</sup> იზნევა, ასეთ შემოსულ ყანას ნამგალი არ მოესმევა, მარცვალი ხრიალით ჩადის ძირს.

რად იყო საჭირო მარცვალი მაგრად მჯდარიყო თავთუნში? ჩვენი მტერი, დამპყრობი, უმთავრესად მომთაბარე იყო. ზაფხულში შემოვიდოდა ქვეყანაში და ზამთარში ქვევით, მულან-სილიანში, ჩადიოდა. დოლის პური ზამთრის პირისთვის მოუმკალიც რომ ყოფილიყო, თოვლქვეშაც კი მარცვალი თავთუნში იჯდა. გახიზნული ხალხი ტყიდან გამოდიოდა და ცოტაოდენ მოსავალს იღებდა. ვაკეზე ძველადვე საქონლის ძირითადი საკვები ბზე იყო, ნაზი ღერო კი კაი ბზეს იძლეოდა. ბზე სახელმწიფო გადასახდელშიც კი შედიოდა. თუ არხებს დაანგრევდნენ, ურწყავშიც მოდიოდა და სხვა.

ხორბალი, ძირითადად, მშრალ ადგილებში წარმოიშვა, – ფიქრობდნენ, მაგრამ ხორბლების წარმოშობის ერთ-ერთმა ცენტრმა, რაჰა-ლეჩხუმმა და სვანეთმა, ეს ვერსია დაარღვია. უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მშრალი და ზომიერი ზონების პირმო შვილია, ამიტომაცაა, რომ საქართველო და სომხეთი რვა ენდემური ხორბლის სამშობლოა.

მთიან ქვეყნებში, და მათ შორის აჭარაში, ითესებოდა ცალმარცვალა და ორმარცვალა ასლები<sup>102</sup>. საფიქრებელია, რომ მახა და ზანდურიც აქ ჩვეულებრივი უნდა ყოფილიყო. ასლები ითესებოდა, ძირითადად, როგორც საკორკოტე მცენარე.

ნამდვილი ხორბალი – დოლის პური და დიკა აქ ბევრი მოჰყავდათ და სანამ სიმინდი შემოდოდა, ფეტვის გვერდით ერთ-ერთი ძირითადი საკვები მარცვლოვანი იყო. დიკა და წითელი დოლი ტიპიური მთის მცენარეა არიან და შავშეთ-ერუშეთი, ტაო-კლარჯეთი და აჭარა მათი გავრცელების ერთ-ერთი ცენტრი იყო.

**მუხუდოს** ქართულად ოროვანი ჰქვიანო, – ამბობს საბა, მაგრამ არც ესაა ქართული, ბერძნულია. ეს კულტურული მცენარე, ივანე ჯავახიშვილის მოწმობით, „მეცამეტე საუკუნეზე უწინარეს ხანაში უნდა იყოს გაჩენილი“ და შემდეგ, ბიზანტიის გავლენის დროს, უნდა იყოს შემოტანილი. მუხუდო უძველესი მცენარეა. იგი აქ, საქართველოში, წარმოშობილი უნდა იყოს. კოლხეთიდან შეიძლება კოლონისტმა ბერძნებმა გაიტანეს და შემდეგ IV-VI საუკუნეებში, როდესაც საქართველომ ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად მიიღო, ქრისტიანობას მუხუდოც შემოჰყვა (როგორც სამარხვო მცენარე) თავისი ბერძნული სახელწოდებით – ოროვანი. ასეთი ამბები ხშირია.

მუხუდი ერთ-ერთი ძირითადი სამარხვო საჭმელი იყო, განსაკუთრებით ჩვენში ლობიოს გაჩენამდე, ამას ხომ უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. საქართველოში თითქმის ნახევარი წელიწადი მარხვა იყო. ყოველი ოთხშაბათი და პარასკევი, გარდა ამისა, მარიობის მარხვა 21 დღე, ქრისტესშობისთვის მარხვა 25 დღე, დიდმარხვა 41 დღე, ამ აუარებელ დღეს კი თავისი ხორაგი სჭირდებოდა, ერთ-ერთი მათგანი იყო მუხუდო, მასში 25 პროცენტი ცილაა, 40-60 პროცენტამდე – ცხიმი.

**ცულისპირა.** ესეც ცერცოვანი მცენარეა და სამარხვო საკვებად ითვლებოდა. მის თესლში ცხიმი 0,60-0,68 პროცენტამდეა, სახამებელი – 38-42 პროცენტამდე. ჩვენში გავრცელებული წვრილმარცვალა ცულისპირა სამხრეთ აზიიდან უნდა იყოს შემოტანილი, ძველ ასორტიმენტში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა.

ბ ა რ და ფართოდ გავრცელებული ცერცოვანი მცენარეა. ჩვენში მასაც სამარხვოდ იყენებდნენ. შეიცავს: ცილას 22-34 პროცენტს, სახამებელს – 20-48 პროცენტს, ცხიმს – 0,7-1,5 პროცენტს. ბარდა გრძელღეროიანია, მალა ვერ დგება და მიწაზე წვება. მოჰყავდათ უმთავრესად მთაში, სვანეთში დღესაც გვხვდება, სხვაგან თითო-ოროლა მცენარე მაინც შემორჩა ბოსტნებს, როგორც ხილად სახმარი (ცერცი).

**ცერციც** ფართოდ გავრცელებული მცენარე იყო ჩვენში. მას იყენებდნენ ნედლად (როგორც ბარდას), მის გამხმარ თესლს კი შეჭამანდად, სირსველად.

ცერცი ჩვენში მცირე აზიიდან და საბერძნეთიდან მოსული მცენარეა.

**სელი** ძველი საქართველოს ერთ-ერთი შესანიშნავი მცენარე იყო; კოლხიდაში წარმოიშვა თავისებური მრავალღეროიანი სელი. ეს სელი სხვა სელებისგან იმით განსხვავდება, რომ მას აქვს მრავალი ღერო (10-30-მდე). ძველად კოლხიდა იყო ერთ-ერთი ძირითადი ცენტრი, სადაც ასეთი სელისაგან მაღალხარისხოვანი ტილო იქსოვებოდა, ნაყოფისაგან ზეთს ხდიდნენ. სელების სამშობლოდ ინდოეთს თვლიან, მაგრამ ძველ კოლხიდაში წარმოიქმნა ენდემური სელი. დღეს აქ ასეთი სელი აღარ არის. მთაში ჯერ კიდევ ამ ორმოცი წლის წინათ



ითესებოდა მრავალღეროიანი, დაბალი სელი, უმთავრესად საზეთედ. სელის ზეთიც ფრიად დაფასებული იყო საქმელებისათვის, ერთ-ერთ სამარხოვ საკვებად ითვლებოდა და იყენებდნენ, როგორც გასანათებელ საწვავს.

**კანაფი** ერთ-ერთი ძველი საფიქრო მცენარეა; ცნობილია სამნაირი კანაფი: სათესი, სარეველა და ინდოსტანური. სათესი კანაფის სამშობლო ძალიან ფართოა. ველურად გვხვდება ვოლგისპირეთში, ალტაიში, კავკასიაში, ჰიმალაისა და ჰინდუკუში. სათესი კანაფი ძალიან ხშირად ველურდება და სარეველა კანაფთან ერთად გვხვდება ნათესების გარეშე ან, როგორც სარეველა, სხვა მცენარის ნათესებში.

სათესი კანაფისაგან წარმოიშვნენ, ალბათ, სარეველა და ინდოსტანის კანაფი. სათეს კანაფს ხომ ბუნებაში თავისი დამოუკიდებელი არეალი აქვს.

სათესი კანაფი 1,5-2,5 მეტრის სიმაღლისა იზრდება, მისი ღეროსაგან იღებენ ბოჭკოს, რომლისგანაც იგრიხება თოკები და იქსოვება ხამი (ქსოვილი). თესლისაგან კი ხდიან ზეთს, რომელიც საქმელად იხმარება. საქართველოში იგი დღემდე გვხვდება (სვანეთი).

**ბამბაც** ერთ-ერთი ძველი კულტურული მცენარეა, აკი, ვახუშტი მას იყენებს, როგორც ეტალონს თბილი ქვეყნის აღსანიშნავად. აჭარის ხეობაზე ბამბა ბევრგან აქვს ნახსენები, როგორც მინდვრის მცენარე, ან ამბობს: „ითესება ყოველი ბრინჯ-ბანზის გარდა, მხარის სივიწროვის გამოო“, ყოველ შემთხვევაში, ბამბა ძველ საქართველოში ბოჭკოს მომცემი ერთ-ერთი მცენარე იყო. მართალია, ეს მცენარე, ვახუშტის თქმით, „მრავლად ნაყოფიერებს“, მაგრამ, მისივე თქმით, „სხვაგნებური უმჯობეს არს“. საქართველოში იგი შემოტანილი მცენარეა; როგორც ფიქრობენ, მრავალწლეულ ეგვიპტურ ბამბას გამოჰყვა, როგორც ერთწლეული სარეველა მცენარე და ამ სარეველა ბამბისაგან ადგილობრივმა მხენელ-მთესველმა ჩამოაყალიბა კულტურული ფორმა. ჩვენში ცოტაოდენი კიდევ ითესებოდა მეოცე საუკუნის პირველ ოცეულში.

**ქერი** საქართველოში ოდითგანვე იყო გავრცელებული, უმთავრესად – მთაში. რადგან სიცივეს კარგად უძლებდა და ამ მხრივ სხვა პურეულს სჯობნიდა; საქართველოში გვხვდებოდა ქერი გაზაფხულისა – ორიგანი და ძველთესლი, შემოდგომური – ოთხრიგანი და ექვსრიგანი.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენში მრავალნაირი ქერია გავრცელებული, იგი მაინც შემოტანილი უნდა იყოს სამხრეთ და აღმოსავლეთ აზიიდან.

ჩვენში იგი ადამიანის საკვებადაც იხმარებოდა.

გენაცვალე, ქერის პურო,

ანაცერო დიკისაო...

ამბობს ხალხური ლექსი. გარდა ამისა, იგი გამოყენებული იყო საქონლის საკვებადაც და ლუდის სახდელადაც.

**სიმინდი** ჩვენში შედარებით ახალი მცენარეა. ვახუშტი მას ქართლ-იმერეთის (ლიხის) ქედისთვის, კერძოდ, ხეფინის ხევისთვის იხსენებს. მისი მეორე სახელი „ლაზუტი“ უეჭველად მოწმობს იმას, რომ იგი შავი ზღვის სანაპიროებით ლაზეთიდან არის შემოსული.

მიუხედავად იმისა, რომ სიმინდი ჩვენში ახალი, სულ სამიოდე საუკუნის წინათ დამკვიდრებული, მცენარეა, ქართველმა ხალხმა თავისი ბუნებრივი პირობებისათვის შეარჩია და დაამკვიდრა თავისებური ჯიშები: ქართლში – ჩოქელა, რაჭაში – კაჟოვანა, ასევე მესხეთში – მესხური. აჭარაში კი დღემდე კარგადაა და ჯერჯერობით არც აპირებს პირველობის დათმობას აჭარული კაჟოვანა; მას ღერო წვრილი აქვს, ჰექტარზე ბევრი ეტევა, ჩალად კარგია, რაც ასე სჭირდებათ აჭარაში; ტარო პატარაა, მაგრამ მარცვლები მჭიდროდ სხედან; ურწყავად მოდის და, რაც მთავარია, მთაში მაღლა ადის.

**ფეტვი** ერთ-ერთი უძველესი კულტურული მცენარეა და ფართოდ არის გავრცელებული მსოფლიოში, განსაკუთრებით ძველ ქვეყნებში; ჩვენში ფეტვში აერთიანებენ ჭადსაც, უმთავრესად მარცვლების გამო. ფეტვის საგველა ფაჩხატია<sup>103</sup>, გამლილი საგველაა, ჭადისა კი შეკრულია, თავთავს წააგავს – ღომის პატარა თაველს; ამ ფეტვს ქვირთვად ეწოდება.

ჭადისაგან აცხოვდნენ ხმიადებს<sup>104</sup>, რომელსაც ჭადისჭადი ეწოდება, სიმინდის ხმიადსაც, რაკი ჭადისჭადს წააგავს, ჭადი უწოდეს; მარცვალში ცილა 14% აქვს, ნახშირწყლები – 70%-მდე და ცხიმი – 1%-მდე.

ფეტვი აზიური მცენარეა, მათი მრავალი სახესხვაობანი გვხვდება ჩინეთსა და ტიბეტში და მათი წარმოშობის არეც ეს მხარე უნდა იყოს. სიმინდის შემოტანამდე ფეტვს, განსაკუთრებით, ჭადს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ჩვენს მემინდვრობაში საპატიო ადგილი ეჭირა.

**ბრინჯი** ძველად კოლხიდაში ჩვეულებრივი იყო. ვახუშტის გეოგრაფიაში იგი ხშირად იხსენება „სთესენო“, ან „არ სთესენ ხეობის სივიწროვის გამოო“. დიმიტრი ბაქრაძის ცნობით, 1875 წელს ბათუმიდან (ბათუმი ამ დროს ოსმალთა ხელში იყო) გაჰქონდათ თვრამეტი ათასი ოყა<sup>105</sup> ბრინჯი, ანუ დაახლოებით 1500 ფუთი, ანუ 250 ტონამდე.

ბრინჯი აქ ითესებოდა უმთავრესად ურწყავ ადგილებზე (არის ურწყავი ბრინჯის ჯიშიც) ისე, რომ ბრინჯი აჭარისწყლის ხეობაზე მთის სოფლებსაც აღწევდა.

**ხილელულით** ხომ მდიდარია და მდიდარი აჭარა. ვაშლი და მსხალი მრავალნაირი და ათასფერია. არანაკლებ მრავალფეროვანია ქლიავეები და ტყემლები, ბალი და სხვა მრავალი; არც გასაკვირველია, რადგან კავკასია და, კერძოდ, კოლხიდა, ითვლება კულტურული ხილის წარმოშობის ერთ-ერთ ცენტრად. ზოგი მეცნიერი ფიქრობს, ხილის მცნობა ბალკანეთში საქართველოდან გაიტანესო.

შინაური ვაშლი და მსხალი, რასაკვირველია, ერთ ადგილას არ წარმოშობილა. ყველგან, სადაც ველური ხილი დიდი რაოდენობით იზრდებოდა, ხალხს შეეძლო, მოეშინაურებინა ვაშლი, მსხალი, ქლიავი თუ სხვა ხილელული. ყველა ერს ჰქონდა ამის საშუალება და შემდეგ, რამდენადაც ვითარდებოდა ურთიერთობა ხალხთა შორის, იმდენად მდიდრდებოდა ჯიშობრივი შემადგენლობა მათ ბალებში.

საქართველო ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა ველური ხილელულით. მაჟალოს ათასნაირი ფორმა და ჯიში გვხვდება ჩვენს ტყეებში, მსხალიც ბევრნაირი გვაქვს. მაჟალო თუ ერთი სახეობისა იზრდება, პანტა და ბერყენა<sup>106</sup> თორმეტს აჭარბებს, მათი სახესხვაობანი ხომ უამრავია. ხელუხლებელია ზღვისპირის კოწახურები, რომელთა შორის ბევრია ფრიად ძვირფასი ჯიში. ეს კი საინტერესოა, როგორც ხილელულისა (უმთავრესად წვენი მომცემი) და ქვიშიანების გამამარებელიც.

ყველაფერი ეს საშუალებას იძლეოდა, ველურიდან შეერჩიათ ხილელული, გაემჯობესებინათ. აჭარელები ხომ ერთ-ერთი ძლიერი შტოა ძველი მესხურ-ტაო-კლარჯული კულტურისა; ეს მემკვიდრეობა დაუყოვნებლივ უნდა აღინუსხოს, ხვალ შეიძლება გვიან იყოს.

**წაბლი** ჩვენში ტყეების ერთ-ერთი დამამშვენებელი და შესანიშნავი მცენარეა. იგი იძლევა ძვირფას მერქანს, მაგრამ, რაც მთავარია, მის გამხმარ ნაყოფში 11 პროცენტამდე სახამებელი, 16-34 პროცენტი ცხიმი, 22 პროცენტი საქაროზა და გლუკოზაა.

მამასადამე, წაბლი არ უნდა შეფასდეს, როგორც ტყის სამერქნე ჯიში, არამედ – როგორც ხილელული, რომელიც ფრიად ძვირფას ნაყოფს იძლევა. სამწუხაროდ, მას არც წინათ უფრთხილდებოდნენ, არც ახლა უფრთხილდებიან, ჩეხდნენ და ჩეხენ, როგორც სამასალეს, ტოტებს აჭრიან სანეკერედ და სხვა.

აჭარის მთის ტყეებში დღესაც გვხვდება და თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ.

**კაკალი** ერთ-ერთი კულტურული მცენარეა, ფრიად სასარგებლო და მნიშვნელოვანი. ერთი კარგი ძირი კაკალი ერთ კარგ ძროხას უდრიდა, იმდენ ცხიმს იძლეოდა. ვაზთან ერთად კაკალიც (ნიგოზი) დამპყრობთ თვალში ეჩხირებოდათ, როგორც ხალხის ეკონომიკის საფუძველი, და ოსმალნიც ვენახთან ერთად ჩეხდნენ მას. ეს წესი ხალხის დამონავებისა არახალია. ჯერ კიდევ ასურელები ახალდაპყრობილ ქვეყნებში ფინიკის პალმებს (ინდისხურმა) ჩეხდნენ და ანადგურებდნენ.

ტყეში ხშირად გვხვდება კაკლიანი, ეს ნასოფლარზე დარჩენილი ხეებია.

დღემდე ფიქრობდნენ, რომ კაკალი ჩვენში შემოტანილი მცენარე იყო, მაგრამ ამ ბოლო დროს ალაზნის პირის ტყეებში აღმოჩნდა ბუნებრივი ტყე; გარდა ამისა, ნიადაგის ფენების ანალიზებმა დაადასტურა, რომ რვა ათასი წლის წინათ ივრის ხეობაში კაკლიანები ბევრი იყო.

**ზღმარტლი** ტყეში ბევრია, განსაკუთრებით – ტყის პირზე. იგი თითქმის 1800 მ სიმაღლემდე ხარობს. იძლევა ფრიად სასარგებლო ნაყოფს. ახალ ნაყოფში შაქრები 10%-მდეა, ვაშლის მჟავა კი 1% ან ცოტა მეტი. ამიტომ მას ისე უდიერად არ უნდა მოვექცეთ, როგორც დღემდე ვექცეოდით.

**თხილები** საქართველოს ტყეებში რამდენიმენაირი იზრდება. ერთი მათგანი უზარმაზარი ხეა. უფრო სწორად, იყო. ასეთი ხეები, რომლისგანაც საწნახელებს აკეთებენ, ამჟამად აღარ მოიპოვება, ისინი უკვე ამოიჩეხა და მისგან გაკეთებული ერთ-ორი საწნახელი სამუზეუმოდ გამხდარა. ამ თხილის სიმაღლე 30-50 მეტრს აღწევდა, სისქე კი – მეტრზე მეტს. აჭარის ტყეებში იზრდებოდა ჩვეულებრივი თხილი, აქა-იქ შეიძლება პონტური თხილიც შეგხვდეთ.

კულტურაში კი მრავალი ჯიშის თხილია, ზოგი ადგილობრივი წარმოშობისაა, რომლის ჩამოყალიბებაში მონაწილეობას იღებდა ჩვეულებრივი, პონტური, კოლხური და სხვა ველური სახეობანი.

### **ძველი კენესა და ახალი სიხარული**

მანქანა გიორგის მიჰყავდა, განზრახ ნელა და დინჯად, უნდოდა, კარგად ენახათ ირგვლივ ყოველივე, კარგად ესუნთქათ ევკალიპტის, დაფნის, ნარინჯისა და ვარდყავილის სურნელებით სავსე ჰაერი.

ნელა მიიწეოდა მანქანა და მალე ზღვის პირას გავიდა, სამხრეთისაკენ გადაუხვიეს და მიადგნენ გონიოს უზარმაზარ ციხეს: მასზე დიდი ციხე საქართველოში ბევრი არ არის, ოთხი ჰექტარი მაინც უჭირავს და შიგნით არც ერთი მტკაველი დატოვებული არაა. ნარინჯოვანთა ბაღია გაშენებული.

თლილი ქვითაა ნაშენი, თითოეული ქვა უზარმაზარია, ერთი კუბური მეტრია თითქმის, შორიდანაა ნაზიდი და ცხადია, რა გოლიათური შრომა იყო საჭირო, რომ ღრმა ხეობებიდან ასეთი ქვები ეზიდათ.

– ფრთხილად, ბიჭებო, ფეხი ფრთხილად დაადგით!



ფურტიოს ხიდი



ქვის ხიდი აჭარისწყლის ხეობაზე

- ოც საუკუნეზე მეტს ირწყვებოდა ეს მიწა ჩვენი სისხლით, იხოცებოდა ვაჟკაცობა სამშობლოსათვის ბრძოლაში. ცრემლსა ღვრიდა, როდესაც მისი შვილები ტყვეებად მიჰყავდათ.
- შენ არ დაიჯერებ და მე მანდარინების ფოთლის შრიალში მესმის კვნესაც და ოხვრაც, - თქვა ერეკლემ.
- რა დროს ოხვრაა, ბიჭო, რატომ გამარჯვების ყიჟინაც არ გესმის, - შეეკამათა ვახტანგი.
- მართლაც ხომ ვიბრძოდით ბერძნების, რომაელების, თურქების და ათასნაირი ჯურის დამპყრობთა წინააღმდეგ? ვიბრძოდით, ვღვრიდით სისხლს? ვღვრიდით.
- მაგრამ ეგ სისხლი ძმათა შორისაც იღვრებოდა, ხან ერთი ერისთავი მიიტაცდებდა, ხან - მეორე.
- ბიჭებო, ერეკლეს ჰქონდა დავალებული გონიოს შესწავლა, აბა, მოკლედ, რომ უთავბოლოდ აღარ ვილაპარაკოთ.

ერეკლე ჯერ შევრთა, მაგრამ მალე სიტყვა გამართა და აი, რა უამბო:

გონიოს ძველად აფსარი ეწოდებოდა და წარმოადგენდა ციხექალაქს. ბოლოს მთელი თემიც იწოდებოდა ამ სახელით, რაც მოგვიანებით გონიათი შეიცვალა. იგი დაარსებული და აშენებულია კოლხების მიერ. ახლა მას გონიოს უწოდებენ.

„და ბათომის პირის-პირს, ჭოროხის სამხრეთის კიდეზედ არს გონია, მცირე ქალაქი და ციხე“. სხვა ადგილას ვახუშტი გონიას სახელით თემსაც გულისხმობს - „და ბათომს, გონიას და ერგეს ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი, ზეთის ხილი, ბროწეული მრავალი“.

ძველად გონიო ჭანების ქვეყნის ნაწილი იყო, შემდეგში ჩამოყალიბდა, როგორც ცალკე თემი, რომლის საზღვარი იყო ჭოროხი, ზღვა, აღმოსავლეთით - ნიგალის მთები ზღვამდე.

პირველ საუკუნეებში საბერძნეთმა დაიპყრო, მათი ბატონობა დაახლოებით VIII საუკუნეში შეწყდა. 1204 წელს თამარის დროს დაარსდა ტრაპიზონის იმპერია და გონიო მის შემადგენლობაში შევიდა, XIII საუკუნის ბოლოს ტრაპიზონის იმპერიას გამოეყო და კვლავ საქართველოს შეუერთდა.

მეთექვსმეტე საუკუნეში გურიის სამფლობელოში იყო. მაგრამ 1547 წელს სამხრეთ საქართველოს სხვა ნაწილებთან ერთად თურქეთმა მიიტაცა და დაანთო ცოდო-ბრალის კოცონი.

ეს ციხე-ქალაქი თურქებმა დასავლეთ საქართველოსა და აჭარის მხრიდან მიტაცებული ქართველი ტყვეების ბაზად აქციეს. აქ იყო ტყვეთა დიდი ბაზარი. აქ მოჰყავდათ ტყვეები ჩერქეზეთიდან, აფხაზეთიდან, სამეგრელოდან, იმერეთიდან, გურიიდან...

ისმოდა კვნესა და ვაება, უკანასკნელი ამოოხვრა სამშობლოსკენ თვალებმპყრობილთა.

ვინ იცის, საით ედოთ გზა: ზოგს აფრიკისაკენ - ეგვიპტისკენ, ზოგს ერაყისკენ, სადაც მამელუკების რაზმებს ავსებდნენ და სხვისი დიდებისათვის ღვრიდნენ ქართულ სისხლს. ძალიან ბევრი, ბევრი დრო გაივლის, სანამ მათ მიერ სისხლით მორწყული მიწიდან იქაური მცენარე უკანასკნელ სისხლის წვეთს ამოსწურავს. ვინ იცის, როდის იქნება ეს, მაგრამ ეს არ მოხდება, ქართველი კაცის გული ყოველთვის დაიკვნესებს ამ დროის მოგონებით.

– შენც ლირიკაში გადავარდი... – უთხრა მინდიამ, თუმც ხმაში რაღაც ბზარი გაუჩნდა და თვალიდან ნესტი ჩამოიბერტყა.

„ისე დავბერდი,

ველარ ვნახე ტბეთი, შატბერდი,

ვერც არტანუჯი, ოშკი, ხახული,

როდის მოუვა მათ გაზაფხული?“

ჩამოართვა ვახტანგმა ლელას დაწყებული ლექსი.

– რა, თქვენ სხვა არა იცით რა? – შეუტია ერეკლემ ხუმრობით, ეგ ჩვენი ლეიტმოტივი ხომ არ არის?

– რას დარდობთ, ხომ ნახეთ ხახულიც და ოშკიც, – გადააგდო საუბარი სხვა ღარში მინდიამ.

– კიდევაც შედგება ლუხუმი ლაშარის გორზე!

– აბა, დრო არის წარმავალისა და კვლავ იხილავთ ერგესაც და გონიასაც, მწუხარება რომ სიხარულით შესცვლიათ; ეს სიხარული საზღაურია იმ ტანჯვა-ვაებისა, რომელიც მათ ნახეს წარსული სამასი წლის მანძილზე. ყოველი ერი ღირსია, ისტორიის უკუღმართობით ნანახი მწუხარება სიხარულით შეცვალოს.

– ეგ აქაურებს შეეცვალათ, იქაურებს?

– იქაურებიც მოესწრებიან!!!

– მაგრამ მამა სად არის? – მიიხედა-მოიხედა ლელამ.

მოათვალიერეს გარემო, გიორგი არსად ჩანდა. გავიდნენ გალავანგარეთ და დაინახეს, ზღვის პირიდან ბრუნდებოდა.

– ამ ორმოცდაათი წლის წინათ აქ ვიყავი, გონიოსა და სარფს შუა, ყოველ ოცი-ორმოცი მეტრის დაშორებით ისხდნენ ჭაბუკები, გრძელ ჭოკზე აბრეშუმის მკვრივი ძაფი ებათ და უტყაპუნებდნენ ზღვის ზედაპირს. ერთს შევეკითხე: რას აკეთებ-მეთქი. მან იქვე, ქვიშიდან აიღო ერთი ორმოცი სანტიმეტრის სიგრძის უცნაური, გურულ ჩურჩხელასავით წვრილი, ცხვირწაგრძელებული თავზე: აი, ამას ვიჭერთო. როგორ-მეთქი? – შევეკითხე. ძაფს რომ დავარტყამ ზღვის ზედაპირს, თუ ამ დროს ამ თევზმა „გაიარა“, აბრეშუმს წასწვდება, ამოვწევ და დავიჭერო.

– რამდენჯერ უნდა დაარტყა, რომ გაიაროს და დაიჭირო?

– უჰ, ბევრჯერ.

– მაინც.

– რა ვიცი, ორასჯერ მაინც.

– დღეს რამდენი დაიჭირე?

– სამი.

– როდის აქეთ?

– დილას აქეთ?

– კიდევ აპირებ დაჭერას?

– ორს მაინც დავიჭერ.

მაშინ დამავიწყდა, მეკითხა ამ თევზის სახელი. ახლა მთელი სანაპირო ჩამოვიარე და ასეთი მეთევზე ველარ ვნახე. ეს სარფელებმა, ლაზებმა, იცოდნენ. თურმე ეს ყოფილა თავისებური ანკესი ჭინო; ანკესი ბევრნაირია, მაგრამ ჭინო სულ სხვანაირია. ჭინოს გასაკეთებლად აბრეშუმს ოქროსფრად ღებავენ, გრებენ და მიაბამენ საანკესო თოკს. ამ ანკესით იჭერენ სარგანას, რომელიც თოკს დაედევნება და წაგრძელებული პირით იჭერს. ჭინო წვრილ კბილებში ეხლართება და სარგანა თავს ველარ აღწევს. მეანკესეს ისღა რჩება, სარგანა ნაპირზე ამოისროლოს.

ასეთ ანკესს ურტყამენ წყლის ზედაპირზე და თუ ამ დროს სარგანა ახლო-მახლო აღმოჩნდა, ჭინოს მსხვერპლი ხდება.

– ლაზების სოფელი სარფილა შემოგვრჩა. ისიც ნახევარი, ხომ? ნახევარი ოსმალეთშია, ერთი ძმა აქეთაა, მეორე – იქით.

– ასეა, თუმცა ლაზები ცხოვრობენ გონიოშიც, ბათუმში, აფხაზეთში, ანაკლიაში, აჭარის სოფლებშიც: მახაში, სიმონეთში, ახალშენში, ურეხში და სხვაგან.

– მამ ლაზეთი მთლიანად გადაღმაა მოქცეული?

– ძველად ლაზეთს ხომ ფართო ტერიტორია ეჭირა, შავი ზღვის სანაპიროს დიდი ნაწილი. დღეს კი...

– აი, რას წერს ზურაბ თანდილავა: „ლაზეთის დასავლეთის საზღვარი რიზესა და ათინას (თურქეთის ნაპირი) შორის მდებარე სოფელი ქემერი და ქემერის მთაა... აღმოსავლეთით ლაზეთს აჭარა-შავშეთის მთები ესაზღვრება. სამხრეთით ლაზური მოსახლეობა ლაზეთის მთებამდე აღწევს, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით მურღულისაკენ ჩხალის ხეობაში იჭრება. მთელი ეს ტერიტორია სოფელ სარფიდან დასავლეთით ქემერის მთამდე ვიწრო ზოლად არის გადაჭიმული და ჩრდილოეთით შავ ზღვას ეკვრის“.

დამკვიდრებულია აზრი, რომ ლაზები კოლხების მემკვიდრეებად ითვლებიან. მაგრამ სრული ისტორია ამ შესანიშნავი ქართველური შტოსი ჯერ დაწერილი არ არის.

– ენა, ენა კი შემოინახეს?

– ენაც შემოინახეს და ბევრი სხვა რამეც, ძველი ლაზური ეთნოგრაფიული ყოფაც.

– როდემდის, ნეტავ?

– ეს შემდეგ გავარჩიოთ, ახლა კი დროა, ბალშიც ავიდეთ.

მართლაც, ერთი საათის შემდეგ ბათუმის ბოტანიკური ბაღის სუბტროპიკული მცენარეებით დაჩრდილულ ხეივანებში დადიოდნენ და გულდასმით სინჯავდნენ იშვიათ მცენარეთა კოლექციებს. ბათუმის ბოტანიკური ბაღი ხომ ერთ-ერთი უნიკალური ბაღია საბჭოთა კავშირში. მისი ფართობი თითქოს არცთუ ისე დიდია – სულ 108 ჰექტარია, მაგრამ ხეობს 1600 სახეობის სუბტროპიკული და ზომიერი სარტყლის მცენარე.

ჰაერი სავსეა ამ მცენარეთა დამატარებელი სურნელებით: ევკალიპტის, დაფნის, ციტრუსების, ქაფურის და სხვათა ეთერზეთებს აუვსია ჰაერი, თითქოს დაუმძიმებია კიდეც.

ბათუმის ბოტანიკური ბაღი მარტო კოლექცია კი არ არის, არამედ იგი კერაა სუბტროპიკულ მცენარეთა გავრცელებისა. ასეც ფიქრობდა მისი დამაარსებელი და პირველი დირექტორი, პროფესორი ა. კრასნოვი. მაგრამ ერთ წელზე მეტი ვერ დაჰყო აქ, ავადმყოფობის გამო.



*ევკალიპტები*

შემდეგ ბაღს სათავეში ედგნენ გიორგი ცქიტიშვილი, გიორგი ხუციშვილი და დავით მანჯავიძე. ამჟამად მას ხელმძღვანელობს ახალგაზრდა აჭარელი ბოტანიკოსი ნოდარ (ნური) შარაშიძე. ამათი წყალობით ბაღის კოლექციები გაიზარდა, განმტკიცდა კავშირი მსოფლიოს ბოტანიკურ ბაღებთან, საიდანაც სისტემატურად იღებენ მცენარეთა თესლებს, ნერგებს, ლიტერატურას.

რასაკვირველია, სიძნელე ბევრი ხვდებათ; მაგალითად, ერთ-ერთი დამაბრკოლებელია ყინვა. ასე, მაგალითად, 1924/25 წწ., 1928/29 წწ., 1949/50 წწ. ტემპერატურა მინუს ცხრამდე დაეცა და თითქმის მთლიანად გაახმო ევკალიპტები, ლიმონი, ფორთოხლის დიდი ნაწილი და სხვა შედარებით ნაზი მცენარენი. ამ ყინვებმა აზარალა ბაღიც, მაგრამ ბაღის მუშაკთა თავდადებულმა შრომამ ზარალი მალე აანაზღაურა; რაც სულ მოისპო, ის საზღვარგარეთიდან კვლავ მიიღეს, თითო-ოროლა გადარჩენილმა საწყისი მისცა ახალ ნაკვეთებს, მასიური ნარგაობით.

ბათუმის ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე მსოფლიოს მცენარეულობის შემდეგი განყოფილებანია: ახალი ზელანდიის, ავსტრალიის, სამხრეთ ამერიკის, ჩრდილო ამერიკის, აღმოსავლეთ აზიის, მექსიკის, ხმელთაშუა ზღვის, კავკასიის. ეს ბაღი შესანიშნავია აგრეთვე იმიტაც, რომ აქ შემორჩენილი და დაცულია ტიპური კოლხური ტყე თავისი მარადმწვანე ქვეტყით – მხვიარა მცენარეებით, უნიკალური წიფლნარით, წაბლნარით და სხვა მცენარეებით.

მრავალი კულტურული სუბტროპიკული მცენარე პირველად სწორედ ბათუმის ბოტანიკურმა ბაღმა გაავრცელა (ტუნგო, გერანი, ზოგი ბამბუკი და სხვა) და დანერგა მეურნეობაში, იგი დღესაც აგრძელებს ამ შესანიშნავ ტრადიციებს.

აი, უზარმაზარი ევკალიპტი, დიდი მუხის ტოლი მაგნოლია, საფევის მუხა, არაუკარია, კუნინგამია, კრიპტომერია. თვალს იტაცებს პალმების კოლექცია, განსაკუთრებით ლამაზია ვაშინგტონია და სხვა.

მაგრამ ყოველ ნაბიჯზე ათასნაირი და ათასფერად აყვავებული ვარდი და სხვა ყვავილი ხომ თავბრუდამხვევია.

– სამოთხეს რომ ამბობენ, ამაზე მეტი იქნება? – იკითხა ლელამ.

– შენ რა სამოთხეს ფიქრობ, არ ვიცი, მაგრამ, აი, საბა რას ამბობს, სამოთხე რა არისო: „სამოთხე – წალკოტი შვენიერი, გინა ფუფუნება, გინა ყვავილთა მტილი, რომელ დაასხა უფალმან აღმოსავლეთისა მხარესა ქვეყანასა ზედა“.

და იქვე მეორე განმარტება:

„სამოთხოველი – სასეირნო, მაშასადამე, ქართულად სამოთხე ყოფილა ბაღი ლამაზი, სასეირნო“.

– ე.ი. სრულიად მიწიერი რამ ყოფილა და ადამიანს თვით შეუძლიან გააკეთოს ასეთი სამოთხოველი და სამოთხე.

– ამის საუკეთესო მაგალითია ბათუმის ბოტანიკური ბაღი ბათუმიდან ცხრა კილომეტრის მოშორებით, მწვანე კონცხზე. იგი არა მარტო სამოთხეა, ბაღი შესანიშნავი და სურნელოვანი, ადამიანთა სასეირნო და სალაღობო, არამედ აჭარაში ბოტანიკური კვლევის დიდი სამეცნიერო ცენტრიცაა. ყოველწლიურად გამოდის ბათუმის ბოტანიკური ბაღის თანამშრომელთა მეცნიერულ შრომათა კრებული. უკვე გამოქვეყნდა აჭარის მცენარეთა სარკვევი, მრავალი მონოგრაფია.

მაგრამ როდესაც სამეცნიერო დაწესებულებებზე ვლაპარაკობთ, პირელ რიგში უნდა ვახსენოთ პედაგოგიური ინსტიტუტი, რომელიც ზრდის უმაღლესი კვალიფიკაციის კადრებს და ეწევა დიდ მეცნიერულ მუშაობასაც, მასთან ერთად არსებობს სპეციალური საკვლევი სამეცნიერო ინსტიტუტი. საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებებს აჭარაში აქვთ საკვლევი ინსტიტუტების ფილიალები, სადაც ადგილობრივი კადრებიც მუშაობენ.

და, აი, უკვე მეცნიერების დოქტორანტებისა და კანდიდატების მთელი არმია მოღვაწეობს იქ, სადაც 80 წლის წინათ აპოლონ წულაძე წერა-კითხვის მცოდნე აჭარლების ერთი-ორ ათეულზე ოცნებობდა.

რასაკვირველია, ეს ყველაფერი უცბად არ მოსულა, მას წინ უძღოდა დიდი შრომა და დიდი ბრძოლა. 1922 წ. წერა-კითხვის უცოდინარი აჭარაში იყო 93%, ქალაქში – 32,9%, 1932 წელს წერა-კითხვის უცოდინარი 36%-და იყო, აქედან ქალაქად – 1,6 პროცენტი.

ამჟამად წერა-კითხვის უცოდინარი აღარავინაა.

ადრე გაძნელებული იყო სკოლებში გოგონათა მოზიდვა. 1930 წელს სკოლებში იყო 1590 გოგონა, ხოლო 1932 წელს გოგონათა რიცხვმა 4047 მიაღწია, ამას ხელი შეუწყო ვაჟებისა და გოგონების განცალკევებულმა სწავლებამ. დღეს უკვე ერთად სწავლობენ.

ავიღოთ ნებისმიერი სოფელი ან სოფლის საბჭო და გავადევნოთ თვალი, რა მდგომარეობაა იქ დღეს: 1925 წ. სოფელ ხუცუბნის სკოლაში იყო 85 მოსწავლე, 1937 წ. – 433, 1939 წ. – 472 და ყოველწლიურად იზრდებოდა, სანამ არ მიაღწია სოფლისათვის შესაფერ დონეს – 500-550 მოწაფეს.

შესაბამისად, ამ სოფელში გაიზარდა უმაღლესი განათლების მქონეთა რიცხვი. 1965 წ. უმაღლესი განათლება ჰქონდა 95 ხუცუბნელს, მათ შორის – 30 ქალს. პედაგოგიური განათლება – 41-ს, აგრონომიული – 29 კაცს, ინჟინრის – 13-ს, ეკონომისტის – 5-ს, ექიმი 5, მეცნიერი მუშაკი – 3. იმავე წელს უმაღლეს სასწავლებელში სწავლობდა 50-მდე ვაჟი.

საჭირო იყო მოლების წინააღმდეგობის დამღევა, ძველი ტრადიციების, მტრის სისინის.

საერთოდ კი, აი, როგორ გამოიყურება აჭარა ამ მხრივ: 1965 წ. სკოლამდელ დაწესებულებაში იყო 700 ბავშვი, დაწყებით და საშუალო სკოლაში – 5500 მოსწავლე, ას თერთმეტ რვაწლიან სკოლაში – 14 900 მოსწავლე, ას ხუთ საშუალო სკოლაში – 40700 მოსწავლე; მუშათა, პროფტექნიკურ და სპეციალურ სასწავლებლებში – 8000 მოსწავლე, უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში – 3000. გარდა ამისა, ასობით სტუდენტი სწავლობს საქართველოს რესპუბლიკის 15 უმაღლეს სასწავლებელში.

1917 წლამდე 11 საავადმყოფო იყო, 100 საწოლი და 9 ექიმი.

1969 წელს აჭარაში მუშაობდა 964 ექიმი, 3100 სხვა მედმუშაკი, არსებობდა 45 საავადმყოფო 3100 საწოლით.

აჭარის სამეცნიერო დაწესებულებებში მუშაობს 10 მეცნიერების დოქტორი, ასზე მეტი მეცნიერების კანდიდატი, სულ სამასამდე მეცნიერი მუშაკი.

– ამ სიმშვენიერეს თან ერთვის ხალხის სულიერი სიმშვენიერე, – ჩაერთო ლელა.

– სიმშვენიერე უკვდავია მაშინ, როდესაც იგი შრომითაა მოპოვებული, – არ ჩამორჩა ვახტანგი.

– და რაც ვნახეთ, განა შრომით არაა მოპოვებული.

– მწვანე კონცხი კი არა, მთელი ეს მხარე სამოთხეა...

– ციფრები არ მიყვარს, მაგრამ მასწავლებელს მუსიკასავით მესმოდა ყურში.

ნოდარს სახეზე კეთილმა ღიმილმა გადაუარა და სტუმრებს შინისაკენ გაუძღვა.

**გზა შორიდან მოდის**

**„ახლოებს მთანი“...**

ქედში არ შეუხვევიათ, გადაწყვიტეს, გზა განეგრძოთ.

– კაი მუშა და მძლე ხარი საღამოს მოუმატებსო. წასვლა სჯობს წარმავალისა, არ დაყოვნება ხანისა.

– თქვენ კალმახივით გინდათ მოიქცეთ, არა?

– როგორ, კალმახივით?

- კალმახს უთქვამს, წვიმის კამარა რომ არ შეწყდეს, ზეცაში ავალო, – გიორგის გაეცინა ბიჭების ამ თავისებურ საუბარზე.
- დააყენე მანქანა! შენ ისე ფიქრობ, რაკი შარას ვუცქერით, სულ ვივლით, არა? მანქანა შედგა.
- გიორგიმ ჯერ ფერდას შეხედა, მერე – ანეროიდს, ცოტა შეატოკა.
- ას ოცდაათი მეტრია ზღვის დონიდან, – თავი გააქნია და ბიჭებს გადახედა. ისინიც გაიძურწნენ, მიხვდნენ, რომ რაღაც ღირსშესანიშნავი ამბავი იყო. ფერდობს ახედესდახედეს. გაღმა, მარცხენა ნაპირის ციცაბო, ტყით დაფარულ ფერდობზე რამდენიმე ახო იყო გამოჭრილი, ჩაის ბუჩქი იყო დარგული, ერთზე უკვე ფოთლებშეცვლილი თამბაქო ჩანდა. იქვე, ღობის გადაღმა, დაფნები იყო ჩარიგებული.
- ასეთი სურნელოვანი დაფნა არსად მინახავს. როგორ აფრქვევს ეთერს! – გაუკვირდა ერეკლეს. მინდამ თავის დახრით დაუდასტურა. გიორგი ხმას არ იღებდა.
- ჰო, გვითხრი, რა გინდა?
- ასე დაბლა, 130 მეტრის სიმაღლეზე, გინახავთ სადმე ნამძვი?
- ახლად მიაპყრეს თვალი რეცილინარ-მუნარში აშოტილ ნამძვს. იქვე ფიჭვიც ჩანდა.
- ეს ზღვის სიახლოვის ბრალია, არა?
- საერთო ზონალობის მწკრივი აქ დარღვეულია!
- ქედამდე სხვა ჰავა ბატონობდა, უფრო ახალციხური, მცირეაზიური, ქედქვემოთ, ზღვისკენ, უფრო ზღვურია.
- მართალია, აქედან იწყება ლიგანი და ერგე, ისე ხომ განსაკუთრებულია დანარჩენი ხეობისაგან, – დაადასტურა მინდიამ.
- ერთ ნასიმინდარის ნაპირს კაკალი იდგა, იქ გადაინაცვლეს, გაშალეს ნაბადი და ზოგი წამოწვა, ზოგმა მოიკეცა.
- ცოტა რამ ჩავიწროთ; სამხრეთიდან მდინარე ჭოროხია გამოჭრილი და აქარისწყალი მას უერთდება, დოლოვანის ქვევით ამ მდინარეთა შერთულია, როგორც მესხეთში, აქაური შერთულიც ხანმეტია, „ხერთვისია“. თვით ჭოროხის ხეობა ვახუშტით, აი, როგორია:
- „ხოლო არს ქვეყანა ესე ფრიად მრავალ და დიდროვან მთიანი, კლდიანი, ხევიათი, ღრატოიანი, ტყიანი, შამბროშანიანი, მდინარიანი-წყაროიანი-ტბიანი და მცირედ ველოვანი. ზამთარ ადგილ-ადგილ ცივი და დიდთოვლიანი და ადგილ-ადგილ ფრიად თბილი, ზაფხულს შეზავებული, რამეთუ აქვს მთანი და აგარაკნი ფრიად ახლოს, ხოლო ადგილს ფრიად ცხელი და გაუძლისი, თვინიერ აგარაკი, ჰავით მშვენი და კეთილი, არამედ ზღვის კიდეთა არა ეგეთი. ნაყოფიერებს ქვეყანა ესე ყოვლითა მარცვლითა და ყოველგან. ადგილად აკეთებენ აბრეშუმსაც მცირედ და ხილნი, რომელნიც აწერეთ<sup>107</sup> არიან მრავლად და კეთილნი. არიან წალკოტნი, მტირალნი და სავარდენი, გარნა ტყეთა, მათა და ველთა ვიეთთა ადგილებითა შინა მრავალ არიან, ვინადგან მთა და ველნი შროშნითა ფშვნიან, პირუტყვნი ყოველნი მრავალი და ნადირნი მრავლად, არამედ ქურციკი არ არს აქა. ჩიტნი და სირნი<sup>108</sup> უამრავნი. მდინარენი მრავალნი, დიდნი და ჩქარად მიმდინარენი, წყარო ტკბილნი, მშვენი და კარგნი. ტბანი კეთილნი, და თევზიანნი და უმეტეს კალმახნი, დიდნი და წვრილნი“...
- „თვით ლიგანის ხეობისათვის კი შემდეგია ნათქვამი: „და ამ ართვინის სანახებიტურთ, ვიდრე ერგეს<sup>109</sup> საზღვრამდე, ჭოროხის ხეობის იმიერი და ამიერი იწოდების ლიგანის ხეობად. და არს ეს ლიგანის ხეობა, თვინიერ სივიწროვისა, ფრიად ნაყოფიერი, ლეღვით, ვენახით, ხილით შემკობილი, და ქებულნი მუნებურნი ყოველნივე. მარცვალნი ყოველნი ნაყოფიერებს, გარნა სივიწროვით ვერ სთესვენ ბრინჯ-ბანბას“...
- ჩვენ ახლა ორწყალშუა ვართ, – თქვა გიორგიმ.
- ორწყალამდე სამი კილომეტრი მაინცაა, – ხუმრობაში გაატარა ერეკლემ, თუმც იცოდა, რაზედაც ამბობდა მამა.
- კარგი, ორწყალზე რომ ჩავალთ, თქვენ უკვე აგარის ქედზე იქნებით. სანამ წახვალთ, მოდი, მოისმინეთ ზოგი რამ.
- ხშირად გვესმის, უკანასკნელ ოთხ-ხუთ ათეულ წელში საქართველომ ფერი იცვალაო, სხვაზე სხვა დროს ვთქვათ, – ამჟამად სუბტროპიკულ მეურნეობაზე მოვიგონოთ ცოტა რამ, თანახმა ხართ? – შეეკითხა და განაგრძო თავისებურად დინჯად:
- შავი ზღვის სანაპიროების მეურნეობამ სავსებით იცვალა ფერი. იქ, სადაც გაუვალი ბარდი და გვიმრიანი იყო, სადაც ჭანჭრობისა და ჭაობის დამპალი ანაორთქლი ჰაერს შხამავდა, დღეს ყვავის სუბტროპიკული მცენარეების თვალუწვდენი პლანტაციები. ნარინჯისა და თურინჯის ბაღებს მძიმედ დაუხრიათ ნაყოფით დატვირთული მწვანე ტოტები, საქართველოში ჩაის პლანტაციები 60 ათას ჰექტრზე გამწკრივებულან მთის წინა კალთებზე, ირგვლივ თეთრტანა ევკალიპტებით დამშვენებული, მრავალი ტექნიკური მცენარე (ტუნგო, გერანი, ქაფურის ხე და სხვა) ჩვენში ჩვეულებრივი მცენარე გახდა.

ოქტომბრის რევოლუციამდე საქართველოში სუბტროპიკულ კულტურებს სულ ათას ას ჰექტრამდე ეჭირათ. აქედან 400-500 ჰექტარი ცალკეულ ნარგაობათა სახით იყო მოფანტული ( ციტრუსოვნები და სხვადასხვა სუბტროპიკული მცენარე, უმთავრესად, დიდ მოხელეთა და თავად-აზნაურთა კარ-მიდამოზე).

ამგვარად, მეფის რუსეთის დროინდელი საქართველო ვერ დაიტრაბახებდა სუბტროპიკული მცენარეების პლანტაციებით, მაშინ, როდესაც საქართველოს ბუნებრივი პირობები იძლეოდა მისი განვითარების ფართო შესაძლებლობას. კავკასიაში მყოფი რუსეთის დიდი მოხელენი ხშირად მიმართავდნენ მეფეს, რომ შავი ზღვის სანაპიროები ასეთი მცენარეებისათვის გამოეყენებინათ (ალ. გრიბოედოვი). ქართველებიც, უმთავრესად დიდი მოხელენი, ამასვე ფიქრობდნენ, მაგალითად, ალექსანდრე ჭავჭავაძემ დიდი მოხსენებითი ბარათი მიართვა, სადაც საუბარია დასავლეთ საქართველოს გამოყენებაზე ამ მხრივ. ჩვენს წინაპართ ეს კარგად ესმოდათ და ციტრუსოვანთა მოშენებას დიდ ყურადღებას აქცევდნენ. ძველი საქართველოს სამხრეთ მხარეების ბაღები დამშვენებული იყო ნარინჯის, თურინჯის, ლიმონის, ზეთის ხილის, ბროწეულის და სხვა ძვირფას მცენარეთა ნარგავებით.



პეიზაჟი

როგორც დაინახეთ, ვახუშტი ბატონიშვილი თავის შრომაში ამ მცენარეებს ასახელებს მრავალი ადგილის დამახასიათებელ, ძირეულ მცენარეებად. ჯერ კიდევ შესავალში, საქართველოს საერთო დახასიათებისას, სადაც ხილი აქვს ჩამოთვლილი, ამბობს შემდეგს: „ხოლო ხილნი წალკოტა მრავალნი, ნარინჯნი, თურინჯნი, ლიმონნი, ზეთის ხილი, ბროწეული, ყურძენი, ატამი, ვაშლ-ატამი, ყაისი, ჭერამი, ალუჩა, ტყემალი, ნუში, უნაბი, თუთა, ხართუთა, ბუსტული, ქლიავი, მრავალგვარი ლეღვი, ბალი, ალუბალი, მსხალი და ვაშლი მრავალგვარი, კომში, ნიგოზი, ახილი, ზღმარტლი, ფმატი, ნესვი, მელსაპეპონი<sup>110</sup>, კუმპულა<sup>111</sup>, კიტრი“.

სამცხე-საათაბაგოს აღწერისათვის:

„რამეთუ მთა-ბარი ახლორებს ესრეთ, ჟამისა ანუ ნახევარჟამისა სავალთა არს თოვლი, და ბართა ნარინჯი, თურინჯი, ზეთის ხილი და ყოველნი ნაყოფნი“. ლიგანის ხევის შესახებ უკვე მოისმინეთ.

აი, ისპირისათვის რასა წერს:



„გარნა არს ესე ისპირის ხეობა ქარაფოვან-კლდიანი, ღელე-ღრანტიანი, იწრო ტყიანი, მცირე ველოვანი, მოსავალ-ნაყოფიერი, ვითარც აღწერეთ ლიგანის ხევი (ე.ი. აქაც არის ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი, ზეთის ხილი) ყოვლითა ნაყოფიერებითა და მარცვლითა, ჰავით, ზაფხული ფრიად ცხელი, არამედ აქვს მთანი და აგარაკნი ახლორეს. ზამთარი თბილი“.

გარდა ამ მოკლე აღწერილობისა, ზოგიერთ მხარის (გურიის, სამეგრელოსი) უფრო დაწვრილებით აღწერილობა აქვს მოცემული.



ნასაკირალი

შეგვიძლია, ვახუშტის ამ შესანიშნავი ამონაწერებით არ დავკმაყოფილდეთ და გადავავლოთ თვალი ზოგიერთ ისტორიულ დოკუმენტს, როგორც საბუნებისმეტყველო ხასიათისას, ისე პოეტთა, პროზაიკოსთა, მოგზაურთა და სხვათა ნაწერებს. ამ დოკუმენტების გადათვალიერებაც დაგვარწმუნებს, რომ, როგორც ტენიანი სუბტროპიკების, ისე მშრალ სუბტროპიკულ ხილეულს წარსულში ქართველები ძალიან კარგად იცნობდნენ. იცნობდნენ მათ თვისებას, ბიოლოგიას, გარემოს დაცვას და მათ თავის ნაწერებში იხსენიებენ, როგორც ჩვეულებრივ, ძირეულ კულტურებს. ზოგი მწერალი (თეიმურაზ მეორე) რიგ მათგანს (თურინჯს) „ხელმწიფეთ სანუკვარს“ უწოდებს. მას ეს გამოთქმა ნახმარი აქვს, როგორც დამახასიათებელი ძვირფას თვისებათა მატარებელი ხილისა, ისევე როგორც ლედვს უწოდებს „ქრისტეს მოწონებულს“.

ამ მხრივ, პირველ რიგში, საინტერესოა საკმაოდ ძველი წყარო „წიგნი სააქიმო“, რომელიც ითარგმნა საქართველოში XIII საუკუნეში. 1206 წელს კარნუ ქალაქი აიღო თამარ მეფის ჯარმა, სასტიკად დაამარცხა ნუქარდინ, ანუ რუქანდან, სულთანი და გააქცია. აუარებელ დავლასთან ერთად „წიგნი სააქიმოს“ დედანიც მაშინ ჩაუგდიათ ხელში. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ამ წიგნის გადმომქართულებლად ხოჯაყოფილს ასახელებს.

ამ შესანიშნავ წიგნში მრავალ ადგილას არის ნახმარი თურინჯი, ანუ თრუნჯი, და მისი სხვადასხვა პროდუქტი, რომელიც წამლების შესაზავებლად იხმარებოდა. აი, მაგალითად, რითი ხდება ჩვეულებრივ „კურნებაი სისხლის მორევნისა და დაშავებისა“.

...“და ისრიმი ოყიროთა და ვაართა, და მუზაფარი ახლითა თევზით და ხალითა და შაქრითა და თრუნჯისა მჭავითა და კოწახური ურწყოთა ესე, ყოველი ერგების“.

ან კიდევ:

„ესე ჰაბი იხმაროს, რომელ მანკისა დედაი იავარ უყოს ვითარებაი მისი, სულ და თურინჯისა ქერქი“...

ამ წიგნში ოცდაათზე მეტჯერ არის ნახსენები თურინჯი.

თურინჯი და ნარინჯი ფერის აღსანიშნავად ნახმარი აქვს შოთა რუსთაველსაც:

*„მას მზესა ტანსა ემოსა ნარინჯის ფერი ჯუბანი,  
ზურგს უდგას ჯარი ხადუმთა, დას-დასად, უბან-უბანი,  
სრულად ნათლითა აევსო სახლი შუჯა და უბანი,  
მუნ ვარდსა შუა შეენოდეს მოწ-მარგალიტი-ტყუბანი“.*

რუსთაველის ეპოქის შესანიშნავი ქმნილება, ძველი ქართული რომანი „ვისრამიანი“, თურინჯს რამდენჯერმე იხსენიებს:

*„თუ საწუთრომან ერთი ვერცხლისა ვაშლი წაგილო, ნაცვლად ოქროისა თურინჯი მოგცა. ცოტა კარი დაგიხმა ღმერთმან, დიდი გაგილო; და ზეთისა ზამბა თუ წაგილო, ცვილისა სანთელი მოგცა“.*

შაჰნამეს ქართული ვერსიების როგორც პირველ, ისე მეორე ტომში ხშირად არის ნახსენები ეს მცენარეები.

*„იღგა ნარინჯი, თურინჯი ლიმ ბროწეული, იანი  
ვარდი, სამფერი ზამბახი, იასამანი, იანი,  
სურნელის სუნსა აევსო გროველი მთა და ტყიანი,  
ტურფად ყიოდეს ბულბულნი და იადონი ხმიანი“.*

*„ჩრდილნი ლამაზნი, ტურფანი მუნ იყო ხევნარიანი,  
ნარინჯ-თურინჯი, ნარგისნი, იშობოდეს იანი,  
მრავლად დგას ვარდი და ვაშლი, წყარონი გარე დიანი,  
მუნ ავზნი იყო ოქროსი, ვით ლომი შუქმოლიანი“.*

*„ორი იაგუნდის თასი და ნარიჯნი ოქროსანი,  
სხვა მრავალი საქონელი, არ ითქმს ანგარიშიანი,  
ესე პილოტმან როსტომ ბაამანს მისცა მისანი.  
ოთხას ფარსანგამდის გაჰყვა შევენება ფალვანდისანი“.*

პროზაულ ტექსტში კი შემდეგ ვკითხულობთ:

*„იგი ტბა მით აივსებოდა და ცუდმაშვრალი ბრუნევდა, წყალსა ვარდიანსა აფრქვევდა და სურნელებისა სულითა წალკოტი აივსებოდა. ტურფა საჩრდილი ხევნარი დარიგებული: ნარინჯი, თურინჯი, ბია და ვაშლი, ბაკამი და ნარგისი. შიგან ტურფანი დარბაზნი და ბანის-ბანითა მორთულნი, წითლისა ქვითა ნაგები აბანოები დგეს და ყოველთა დილისა იგი ხელმწიფე მას შიგან იბანებოდეს“.*

თეიმურაზ პირველი (1589-1663 წწ.) შემოდგომისა და გაზაფხულის კამათში შემოდგომას ათქმევინებს:

*„ჩემს დროს ასხია ხეზედან ნარინჯ-თურინჯი, ბიაო,  
ბროწეული და ყურძენი, არც ერთი დაჰკლებიაო“.*

თეიმურაზ პირველი 1649 წ. განდევნეს კახეთიდან, ცხოვრობდა იმერეთში და, სხვათა შორის, იყო გონიოსაც, საიდანაც ზღვით აპირებდა რუსეთში წასვლას.

ერეკლე მეფის კარის მგოსანი, ბესიკი, პოეტურ სახეობათა გამოსათქმელად ნარინჯს მიმართავს ერთ-ერთ თავის საუკეთესო ლექსში! „ტანო-ტატანო“.

*„თვალთა ნარგისი, დამდაგისი, შეგშენის მწველად,  
ყელსა ბროლებსა, უტოლებსა გველი გყვა მცველად  
გებსნეს ხალები, მაკრძალები, ამარტის ველად,  
ნარინჯნი ორნი, ტოლნი, სწორნი, მიქმოდნენ ხელად,  
მიწვევდნენ შენად შესამკობლად, დამამწარებო!“.*

შესანიშნავი ცნობები მოეპოვება ხილთა და, კერძოდ, სუბტროპიკული რაიონების ხილთა შესახებ, თეიმურაზ მეორეს (დაიბადა 1700 წელს) თავის ნაწერებშიც, რომელთა შორის „ხილთა ქება“ ამჟამად ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა. მხოლოდ ამ ხილთა ბუნების კარგად მცოდნეს შეეძლო, ასე სხარტად და მოხდენილად დაეხასიათებინა, ისიც ლექსად – ამ ხილთა თვისება და ბუნება. მისი ცოდნა კი, რასაკვირველია, შემთხვევითი არ იყო:

*„თურინჯი ბრძანებს: „არ მინდა მე კაცთა ქებანიო,  
ხელმწიფეთ სანუკვარი ვარ, არ მაქვს მე კლებანიო,  
ყვითლად მომიბამს ჩემი ხე, არა მაქვს ზოგანიო,  
ნურვინ მედრებით, არა ვარ თქვენი ძმა, არც დანიო“.*

*აწ ნარინჯი მოგახსენებ: „არც მე ვარ უარესია,  
ჯერ ვარ სამოთხით მოსული, მერმედ ხელმწიფედ ესია,  
ზამთრით, ზაფხულით ჩემი ხე მწვანე და მშვენიერია,  
ყველას ვუყვარვარ სულითა, არა ვარ წამად ბერია“.*

ლიმონ იტყვის: „სიმჟავითა არვინა ხართ ჩემი დარი,  
მაგრამ ფერი მეც კარგი მაქვს, ამითა ვარ თქვენი დარი,  
ჩემი წვენი წამალია, არ ტყემალთან დასადარი,  
თქვენ ამისი სწორი რა გჭირს? ჩემს მჭამელს აქვს ავი ქარი“.

არანაკლებად საინტერესო ცნობები აქვს თეიმურაზს მშრალ სუბტროპიკულ ხილეულზე იმავე „ხილთა ქებაში“:

„ფისტა იტყვის: „თხილო, შენ ხარ ავის გვარით გამოსული,  
კბილისათვის მაწყინარი, შენ გამოგდის ავის სული,  
მე ვარ კაის შემაქცევი, მწვანე არის ჩემი გული,  
პირი სრულად გაშლილი მაქვს, არ ამომდის ავი სული.“

აწ ნუში იტყვის: „ამითა ვერ იტყვით ჩემსა ძვირსაო,  
ჩემი ხე წითლად აყვავდეს, ლხინია მისსა ძირსაო,  
კბილისა მატკინარი ვარ, მით მაგინებენ ფირსაო,  
წამლად, საჭმელად კარგი ვარ, ამით ვჯობივარ ხილსაო.“

აწ უნაბი მოახსენებს: „ჩემი ქება თქვენ რა სთქვითა,  
ყირიმზე ვარ ლალივითა და მკურნალი<sup>12</sup> მე თავითა.  
აქიმები დამეძებენ, ზღვას შედიან სულ ნავითა,  
ჩემთან ყველა ცუდი რამ ხართ, შეიმოსნით თქვენ შავითა.“

ლეღვი ამას მოგახსენებს: „ტკბილი ვარ და მშვენიერი,  
სამოთხიდან გამოსული, მე ძირი მაქვს ნებიერი,  
ქრისტე ღმერთმან მომიწონა, მე საჭმელად მომყო პირი,  
თუ გაძღების ჩემით კაცი, მიეცემის მაშინ ფერი.“

ბროწეულმან თქვა: „უბნობთო მართლითა სამართალითა,  
ჩემს უტურფესი ნაყოფი არვის უნახავს თვალითა,  
მე ჩემსა ხესა მოვკაზმავ, ტურფად შევამკობ ხილითა,  
დარბაზს, სუფრასა ავავსებ იაგუნდითა, ლალითა“.

თეიმურაზის სხვა ნაწერებში, მაგალითად „სარკე თქმულთა ანუ დღისა და ღამის გაბაასება“-ში დასახელებულია კიდევ რამდენჯერმე საინტერესო მცენარენი, მაგრამ ესეც კმარა.

თურინჯი, ნარინჯი მოყვანილი აქვს მეჩვიდმეტე საუკუნის დიდ მოღვაწესა და ლექსიკოგრაფს სულხან-საბა ორბელიანს:

თ უ რ ი ნ ჯ ი (ხე) თრუნჯი, (თურინჯი) (6), ნარინჯი (ხე).

სამწუხაროდ, ჩვენს ლექსიკოგრაფს ამ მცენარეთა განმარტების დროს საკმაო სიძუნწე გამოუჩენია და მათთვის სრული დახასიათება არ მიუცია. ესეც დამახასიათებელია. როგორც ჩანს, მას ეს მცენარეები ჩვეულებრივ მცენარეებად მიაჩნდა და მისი თვალსაზრისით, განმარტებას არ მოითხოვენ. ესენი რომ უცხო რამ მცენარეებად მიეჩნია, მათ განმარტებას მისცემდა, როგორც ის ჩვეულებრივად იქცევა ხოლმე. აი, თუნდაც მაგალითი:

„კინამო – არს ყვავილი სურნელი, ეგვიპტეს მოვა; მძინარს კაცსა რა პირს დაადვა, გულის პასუხს წარმოიტყვის; რა ხელთა რაშიმე შთასდევდა ანუ აბანოთა შეიტან, გააგრილებს: ხრწნილებისა მიერ შობილსა მატლსა უჩინო ჰყოფს.“

„კატარი (ხე) ცუდი ფიჭვი.“

„თაფლი ველური ესე არს ხე, რომელსა ლათინად ჰქვიან ერიკა, ურთხელსა ჰგავს, მისის ხილისა და ხისაგან თაფლივით ჩამოეწვეთების, ვიეთნი მანანასაც სახელს სდებენ, იგი არს თაფლი ველური.“

„ლეღვსუარი ესე არს ეგვიპტური ზრქელფურცელი, რომელ ფურცელთა ზედა მოისხამს ლეღვსა (ხე).“

ნარინჯი და თურინჯი ისე აქვს განმარტებული, როგორც სხვა დანარჩენი ძირეული კულტურები, მაგალითად: ლეღვი (ხე), ვაზი – ყურძნის ხე (ხე), ვაშლი (ხე), ბალი (ხე), ალუბალი, ბალდოჯი (ხე) და სხვა მრავალი.

სუბტროპიკული მცენარენი საქართველოსათვის მოხსენებული აქვთ არა მარტო ჩვენს მწერლებს, არამედ უცხოელთაც.



ვანის ქუჩა

ამ მხრივ საინტერესოა არქანჯელო ლამბერტი, იტალიელი მისიონერი, რომელიც სამეგრელოში ცხოვრობდა 1631 წლიდან 1649 წლამდე. საქართველოდან სამშობლოში, ნეპოლში, დაბრუნების შემდეგ დაწერა წიგნი „სამეგრელოს აღწერა“, რომელიც გამოსცა იტალიურ ენაზე 1654 წელს. მას თავის ნაშრომში სხვა ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის აღწერილი აქვს მცენარენიც, თუმცა – არასრულად.

მოგვითხორბს რა ერთ-ერთი წამლის (მაჯუნუნის) მომზადების წესებს, ა. ლამბერტი წერს:

...“მეგრელებს არა აქვთ ძვირფასი ქვები და წამალს აკეთებენ ან სელის დანაყილი თესლისაგან, რომელსაც თავლს შეზელენ, ან ფორთოხლის კანისაგან, ან სტაფილოსაგან, ან სხვა რაიმე ძირისაგან. ის კი არის, რომ ოღონდ წამალი კარგი გემოსი იყოს, თორემ რისგანაც იყოს, მაინც ციდან ჩამოვარდნილ წამლად მიიჩნევენ“.

ა. ლამბერტის სხვა სუბტროპიკული ტიპის მცენარენიც აქვს მოხსენებული. მაგალითად: „ზეთის ხილის ხე აქ ძლიერ ცოტა არის. ისიც სხვა შორეულ ქვეყნებიდან არის გადმოტანილი. მხოლოდ აქა, იქ აქვს რამდენიმე დიდებულ მემამულეს ოცდაათ-ორმოცდაათი თუ ორმოც-სამოცი ძირი თვითოს“.

„თეოფრასტე ამტკიცებს, რომ პონტოში არ მოიპოება არც დაფნა და არც ტვია“.

რაც შეეხება ტვიას, ტყეში იგი არც მე მინახავს. ხოლო დაფნა ველურად ბლომად არის ცაიშის მთაზე, ნაქალაქევაში და ზღვის პირად. ამიტომაც მიკვირს, რად ამტკიცებს ამას თეოფრასტე მაშინ, როდესაც უფრო ფრთხილი თავის დაკვირვებაში ბელონიუსი ამბობს, რომ „სხვა მცენარეთა შორის ამ ქვეყანაში დაფნაც მომიკრეფია“.



გურიის გზაზე

ამგვარად, ძველ ლიტერატურულ წყაროებში საკმაოდ უხვად მოიპოვება ცნობები საქართველოში და, კერძოდ, შავი ზღვის სანაპიროზე, მრავალ სუბტროპიკულ მცენარეთა და მათ შორის, პირველ რიგში, ნარინჯოვანთა არსებობისა და გავრცელების შესახებ. ამ მხრივ ყველა წყაროთა შორის გამოირჩევა თავის დროისათვის დიდი მეცნიერის, ვახუშტი ბატონიშვილის, საქართველოს გეოგრაფიული აღწერილობა. ამ ფრიად კეთილსინდისიერად და ფაქიზად შესრულებულ შრომაში ვახუშტის აღწერილი აქვს, როგორც რამდენიმე ნიმუშიდანაც დავინახეთ, საქართველოს ყოველი კუთხე, მხარე და ხეობა. ყოველი ამ ნაწილისათვის ზუსტად აქვს მოცემული ბუნებრივ პირობათა მთელი კომპლექსი, რომელთა შორის მცენარეულობას – როგორც ველურს, ისე კულტურულს, დიდი ყურადღებით ეკიდება. ამ შემთხვევაში მთავარი ღირებულება ამა თუ იმ წიგნისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი იძლევა საქართველოს გარკვეულ აგრონომიულ-ბოტანიკურ ზონებს და ყოველი ზონისათვის ზუსტ აღწერილობას და დახასიათებას. ზონების გამოყოფის დროს ვახუშტი ხელმძღვანელობს ბუნებრივ პირობათა ნაყოფიერების პრინციპით და ამის მიხედვით იძლევა შემდეგ ზონებს: ზონა ნარინჯ-თურინჯისა, ბრინჯ-ბამბისა, ვენახიან-ხილიანი, ხილიანი, მარცვლოვანებისა, მთის სამოვრებისა და სხვა. აკადემიკოსმა, ივანე ჯავახიშვილმა, საქართველოს ეკონომიკურ ისტორიაში დეტალურად განიხილა ვახუშტის შრომის ეს ნაწილი:

„ვახუშტის მთელი საქართველო სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის თვალსაზრისით რამდენიმე ბოტანიკურ და აგრონომიულ არედ აქვს დანაწილებული და ბრინჯ-ბამბიანობა, თუ ვენახ-ხილიანობა ან უვენახობა ტერიტორიის მოსავლიანობა-ნაყოფიერების საზომად აქვს გამოყენებული“.

თანამედროვე ლიტერატურაში ნარინჯს ხმარობენ ბიგარადიას აღსანიშნავად და თურინჯს პომერანცისას. ვფიქრობ, რომ ეს ერთგვარად იმ შეცდომის შედეგი უნდა იყოს, რომელიც სათავეს დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონიდან იღებს. ამ მცენარეებს იგი შემდეგნაირად განმარტავს:

აპელსინი – (აპელსინი, თურინჯი);

ლიმონი – ლიმონი;

პომერანეც – ნარინჯი (ხილი) თურინჯი.

იქიდან მოყოლებული ჩვენი ლექსიკოგრაფებიც იმეორებდნენ ამავეს. თუმცა 1938 წელს გამოცემულ ლექსიკონში ავ. მაყაშვილი შემდეგ განმარტებას იძლევა:

თურინჯი – პომპელუსი;

ნარინჯი – ბიგარადია;

ფორთოხალი – აპელსინი.

ვფიქრობ, რომ აქაც ერთგვარ არევისთან გვაქვს საქმე. საქმე იმაშია, რომ ძნელი წარმოსადგენია, საქართველოში ფორთოხალი (აპელსინი) არ ყოფილიყოს, მაგრამ არც ერთი ზემოთდასახელებული ძველი ძეგლი ამ სიტყვა-სახელწოდებას არ ახსენებს. არ ახსენებს მას არც მცენარეთა მიმართ საკმაოდ ძუნწი შოთა რუსთაველი, არც ვისრამიანი, არც ხოჯაყოფილი, არც თეიმურაზი და ვახუშტი და, რაც მთავარია, არც სულხან-საბა ორბელიანი, ეს ჩვენი შესანიშნავი ლექსიკოგრაფი. ჩვეულებრივად ყველგან გვხვდება ნარინჯი, თურინჯი ან თრუნჯი. მამასადამე, ერთი ამათგანი სწორედ ფორთოხლის აღმნიშვნელი იყო და ფორთოხლის (აპელსინის) შესატყვისობა ამ სიტყვათა შორის უნდა ვეძიოთ. სიტყვა ფორთოხალი – ფორთოხალა, კი არსებობდა, მაგრამ როგორც ადამიანის სახელი.



ვანის გზაზე

დავუშვათ, რომ ფორთოხალი საქართველოში არ მოიპოვებოდა და მის ნაცვლად საქმელად ძნელად სახმარი ბიგარადია ან პომპელუსი იყო. მაშინ როგორღა იხმარებდა ვისრამიანის ავტორი „ღმერთის დიდი წყალობის“ ნიშნად: „თუ საწუთრომან ერთი ვერცხლისა ვაშლი წაგიღო, ნაცვლად ოქროსა თურინჯი მოგცაო“. აქ ცხადად ჩანს, რამდენად მაღლა იდგა თურინჯი. მისი შეხედულებით, იგი „ოქროსა“ იყო შედარებით „ვერცხლის ვაშლთან“. ჩვენ ძველთაგან კი ვაშლი, სუფრის დამამშვენებელი, ეგრე აუგად ადვილად არ მოიხსენიებოდა. მეფე თეიმურაზ მეორე, რომელმაც ასე კარგად იცოდა „მეფეთა გემოვნება“, თურინჯს არ ათქმევინებდა ხილთა ქებაში:

„თურინჯი ბრძანებს: არ მინდა მე კაცთა ქებანიო,  
„ხელმწიფეთ სანუკვარი ვარ, არ მაქვს მე კლებანიო“.

ხელმწიფეთა სანუკვარად თეიმურაზ მეორე მწარე ხილს არ გაიმეტებდა ასე ადვილად. „ხელმწიფეთა სანუკვარობა“ ეს მაღალი ღირსების გამოხატულებად აქვს ნახმარი.

ვთქვათ, საქართველოში არ იყო ფორთოხალი და აქ ბიგარადიასა და პომპელუსის მოყვანას მისდევდნენ მხოლოდ. იტალიაში?

მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეების დიდმა პოლიტიკურმა მოღვაწემ, მეცნიერულად განსწავლულმა ლექსიკოგრაფმა და მწერალმა სულხან-საბა ორბელიანმა 1713 წლიდან იმოგზაურა საფრანგეთს, იტალიას, საბერძნეთსა და თურქეთში საქართველოს საქმეების გამო. მან თავისი მოგზაურობის აღწერა დაგვიტოვა შესანიშნავი დღიურის სახით, რომელშიაც ჭარბად არის მოცემული აგრეთვე მასალები ამ ქვეყნების სოფლის მეურნეობის შესახებ. აღგვიწერს რა სამხრეთ საფრანგეთის ან იტალიის ბაღებს, საბა ახსენებს ნარინჯს, თურინჯსა და სხვათა, მაგრამ არ იხსენიებს სიტყვა „ფორთოხალს“, მაშინ, როდესაც იტალიაში (მე-18 საუკუნეში) ფორთოხალი ფართოდ იყო გავრცელებული. მოვიყვანოთ რამდენიმე ამონაწერი:

„რა ჯენოვიას თემში შევედით, კლდე იკლო, ტყემ იმატა, ზეთის ხე, ნარინჯი მეტად გამრავლდა, უფრო გამლილობაც ეთქმოდა“.

„თხუთმეტე მკათათვეს წამიყვანეს ბურგონთა ფრენჭიფის წალკოტში. თვითონაც რომშია ქალაქს დიდი ფრენჭიფეა. ეს წალკოტი რომის გალავანს აბია. ერთი ფოლორცი შუა ჩაივლის. შევედით კარსა. წალკოტები როგორც ფარიზისა დავწერე, ესეც მისთანა იყო, მაგრამ ფარიზში ჭანდარი არ მინახავს, აქ რამდენიდაც იდგა: შესავალს კარზე, კედლის ძირს, კედელზე აკრული, რომ კედელი სულ მწვანედ სჩანდა. უფროსი ერთი ნარინჯი, თურინჯი და ლიმონი იყო. დიდი ხეივანი გავიარეთ. ერთი კლდე იყო. ეს კლდე დევიად გაეთალათ, პირდაღრენილი“ და სხვა.

აღწერს რა რომის ერთ-ერთი დიდებულის, კარდინალის, მუზეუმს, საბა ამბობს:

„გათავებისა დროს ერთი კარი გაიღო, შეგვიყვანა. რაც ნივთი, ხილი, რამდენი რიგი ყურძენი, მარწყვი, სხვადასხვა რიგი ვაშლი, სხვადასხვა რიგი სხალი, ნარინჯი, თურინჯი, რას ვაგრძელებ, ყოველი ხილი, ახალის მოწყვეტილის მსგავსი, ზოგი ფოთლიანი ეწყო. ხელთ მოგვცა, გაგვასინჯა, მაგრამ, არ ვიცი, რისა იყო“ და სხვა.

ამავე დღიურში, აღწერს რა ერთ-ერთი დიდებულის წალკოტს, აქაც იხსენიებს ნარინჯსა და თურინჯს.

„წამიყვანეს მისი წალკოტის სანახავად. წალკოტების ქება, ამბები ფრანციისა დამიწერია, მაგრამ ამისი ესა სჯობდა: სულ ნარინჯი, თურინჯი იყო აუარებელი, ხობესავით“ და სხვა.

აქვე:

„დაბლა შუაზე სხვა ავზი იყო დიდი და შიგ ავზში ერთი კაი ნარინჯისა და ყვავილების წალკოტი იდგა“.

და ასე, ამგვარად, იტალიის აღწერის დროს ბაღებში საბა ყოველთვის მოიხსენიებს ნარინჯსა და თურინჯს, ლიმონს, სიტყვა „ფორთოხალი“ ან აპელსინი, როგორც აღვნიშნე, ნახმარი არა აქვს. მამასადამე, ის ერთ-ერთ ზემოდასახელებულ სიტყვაში – ტერმინში სწორედ ფორთოხალს აპელსინს გულისხმობდა.

მაშ, რომელი სიტყვათაგანი მიეკუთვნება აპელსინს?

თუ ამავე წყაროს დავუჯერებთ, ასეთი უნდა იყოს „თურინჯი“. მას ხომ თეიმურაზი „ხელმწიფეთა სანუკვარს“ უწოდებს და მართლაც ღირსებით საჭმელად ხომ სჯობს ბიგარადიასაც და პომპელუსსაც. გარდა ამისა აღმოსავლეთის კარაბადინებში, ჩვეულებრივად, წამლად აპელსინი იხმარებოდა. გარდა ამისა, „ვისრამიანიც“ ხომ იხსენიებს „ვერცხლის ვაშლთან“ „ოქროს თურინჯს“, როგორც საუკეთესოს. ამის შემდეგ, ცხადია, რას უწოდებდნენ აპელსინს ჩვენში. რაც შეეხება ნარინჯს, იგი ამ პომპელუსის გამომსახველი უნდა ყოფილიყო, ან ძველად თურინჯის (აპელსინის) გვერდით არსებობდა იმავე ღირსებით შემკული ციტრუსოვანი. ძნელი წარმოსადგენია, რომ ბიგარადია, გადაუმუშავებლად საჭმელად გამოყენებული, „სამოთხიდან“ გამოსულად დაესახათ.

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისიდანვე საქართველოს ბედი, როგორც სახელმწიფოსი, სხვაგვარად დატრიალდა. მეფის რუსეთი, შეიერთა რა ქართლ-კახეთის სამეფო, 50-იან წლებამდე საქართველოს ცალ-ცალკე კუთხეების დამორჩილებას მოუწდა. ამავე დროს, დასავლეთ საქართველო და, კერძოდ, შავი ზღვის სანაპიროები, თურქეთისა და მეფის რუსეთის ბრძოლების ასპარეზად გადაიქცა. ორმხრივ (ადგილობრივ მებატონეთაგან და მეფის მოხელეთა მიერ) განაწამები ხალხი ხსნას აჯანყებებში ხედავდა. ცალკე თურქეთის ხშირი შემოსევა, ცალკე აჯანყებანი, განუწყვეტელი ომები, რასაკვირველია, მეურნეობაზე ფრიად დამღუპველად მოქმედებდა და მართლაც გავერანდა და გატიალდა იგი. უარესად დაბეჩავდა და ეკონომიურად ჩამორჩა ხალხი.

მეცხრამეტე საუკუნის ჩვენი მოღვაწენი, ხედავდნენ რა ხალხის ასეთ დაბეჩვებას და ეკონომიკურად ჩამორჩენას, თავისებურად ლამობდნენ ამ მდგომარეობის შველას.

იგზავნებოდა მეფის სახელზე პეტიციები, რომელშიაც ჩამოთვლილი იყო ის ღონისძიებანი, რითიც ეშველებოდა ჩვენს მხარეს. ამ მხრივ საყურადღებოა პოეტ ალექსანდრე ჭავჭავაძის მოხსენებითი ბარათი.

1836-37 წლებში პოეტმა ალექსანდრე ჭავჭავაძემ წარუდგინა იმპერატორს, ნიკოლოზ პირველს, მოხსენებითი ბარათი, რომელშიაც წერია:

„კავკასიაში ფრიად ნაკლებია დასამუშავებლად გამოუსადეგარი ადგილები. მის მიწათა უმეტესობაზე შესაძლებელია ტროპიკულ მცენარეთა განაშენიანებაც კი“...

იმავე წერილში ვკითხულობთ: ...“ქვეყანა... ისარგებლებს რა რუსეთის მზრუნველობით მმართველობით, შეჯიბრებით გამლიერებული მუშაობით სულ ცოტა ხანში შესძლებს მას (რუსეთს) ინდოეთისა და ამერიკული ახალმშენების მაგიერობა გაუწიოს და უხვად აუნაზღაუროს თავის კეთილისმყოფელს მისი მზურუნველობა“.

ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ ალექსანდრე ჭავჭავაძეს ნათლად ჰქონდა გათვალისწინებული საქართველოს ბუნებრივი პირობებიც და ისიც, რომ აქ სუბტროპიკული მცენარენი იზრდებოდა. რასაკვირველია, იმას ეს ყოველივე ნახული ჰქონდა, სიძე ხომ დადიანი ჰყავდა.

ძველი მასალების შესწავლა მიგვითითებს, რომ საქართველოში ნარინჯოვანი თანაბრად ყოფილა გავრცელებული ისეთ მცენარეებთან ერთად, როგორც არის ვაშლი, მსხალი, ვაზი და სხვა. იგი მრავალი რაიონისათვის რომ არ ყოფილიყო ძირითადი დარგი, ვახუშტი ბატონიშვილი თავის შრომაში მას არ აიღებდა ერთ-ერთ ძირეულ დამახასიათებელ ზონად. თუ მე-17 საუკუნეში ჩვენ ასეთი მდგომარეობა გვქონდა, ეს იმას მოასწავებს, რომ ნარინჯოვანთა მოშენება ჩვენში იყო ძირეული, მამაკაპური დარგი, რომელიც თავისი წარმოშობით დაკავშირებული უნდა ყოფილიყო შორეულ წარსულთან. მრავალი მცენარე ამ ჯგუფიდან თავისი პირველადი სამშობლოდან არის შემოსული. ძველ საქართველოს ხომ უშუალო კავშირი ჰქონდა ჩინეთთან, ინდოეთთან, ირანთან, არაბეთთან და იქიდან სხვა მრავალ ნივთთან ერთად შემოჰქონდათ უცხო მცენარენიც. გარდა ამისა, საქართველოდან ჯერ კიდევ XI-XII საუკუნეებში, მარკო პოლომდე, იყვნენ მოგზაურნი, რომელთაც მოვლეს მთელი მაშინდელი მსოფლიო და დაბრუნდნენ საქართველოში. მათი ნაამბობი და ნახული უქველად ახდენდა გავლენას. არც შეიძლება წარმოვიდგინოთ სხვაგვარად. მაშინ როგორღა შეიძლებოდა, რომ მე-16 და მე-17 საუკუნეების მკვლევართ ეს მცენარენიც აღწერათ, როგორც ხალხის კეთილი ცხოვრების წყარო, ისე, როგორც საქართველოსთვის ცნობილი მცენარენი – ვაზი, ხილი, მარცვლოვანი თუ სხვა.

ზოგი მკვლევარი, რომელიც ქართულ მასალებს არ იცნობდა, ფიქრობდა „დასავლეთ ამიერკავკასიაში ციტრუსოვანთა კულტურა თურქთა მიერ იყო შემოტანილიო“, ეს აზრი ყოველგვარ საფუძველსაა მოკლებული. ჯერ ერთი, ეს კულტურები თურქეთის მსოფლიო ასპარეზზე გამოსვლამდე იყო საქართველოს მცხოვრებთათვის ცნობილი და ავრცელებდნენ მას. თურქეთის მსოფლიო ასპარეზზე გამოსვლა მეთორმეტე საუკუნესთან არის დაკავშირებული, ეს იყო საქართველოს კულტურის ოქროს ხანა, როდესაც ნარინჯი, თურინჯი ფართოდ იხმარებოდა და ისინი დამახასიათებელნი იყვნენ ჩვენი მხარისათვის.

თურქეთი კულტურულ მცენარეთა შემოტანის პირველწყაროდ არც ყოფილა და, თავისი ისტორიულ-ეკონომიკური წარსულის გამო, ვერც იქნებოდა. პირიქით, მისთვის საქართველო ყოფილა პირველადი წყარო მრავალი მცენარის შეტანის მხრივ. ცნობილია, რომ მოსახლეობა თურქეთში გავრცელებულ ადგილობრივ ფორთოხალს „ბათუმის ფორთოხალს“ უწოდებს.

უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოს მოსაზღვრე თურქეთის ვილაიეთები ამ ნარინჯოვანთა სახეობებს იღებდნენ როგორც საქართველოდან, ისე შემდეგში საბერძნეთიდან, ვინაიდან საქართველოს ძველთაგანვე ამ მცენარეებით ცნობილ ქვეყნებთან თურქეთზე ადრე იყო დაკავშირებული. საქართველომ ეს შინაური მცენარენი მიიღო თავისი პირვანდელი სამშობლოდან – ჩინეთიდან, ინდოეთიდან, განსაკუთრებით არაბეთის და შემდეგ ირანის მეშვეობით, აქედან გავიდა თურქეთში და, ნაწილობრივ ევროპაშიც.

რასაკვირველია, შემდგომ, როდესაც საქართველო ძალით დაიპყრო თურქეთმა, რბევათა შედეგად განადგურებულ მხარეებში მართლაც შეიძლება შემოეტანათ ოდესღაც აქედანვე გატანილი ამა თუ იმ ნარინჯის ან თურინჯის ჯიშში. შემდგომ თურქეთში ამ კულტურის განვითარებასთან ერთად მდიდრდებოდა მისი ასორტიმენტი პალესტინიდან, ირანიდან და სხვა მხარეებიდან შემოსულ ჯიშთა ხარჯზე. რასაკვირველია, ეს ინტროდუქციული მუშაობა სამხრეთ საქართველოსაც შეეხებოდა, როგორც მაშინ თურქეთის ნაწილს.

### დახუჭული თვალი და ბუჩქი

– აი, უზარმაზარი ჩაის პლანტაციები. ზოგი მათგანი საკრეფი მანქანისათვის არის დამუშავებული, ზოგი ხელით საკრეფია.

– ჩვენში ჩაის ბუჩქი პირველად ყირიმიდან შემოიტანეს, სადაც 1814 წ. ნიკიტას ბოტანიკურ ბაღში დაირგა რამდენიმე ბუჩქი, უშუალოდ ჩინეთიდან შემოტანილი. 1833 წელს სოხუმის ბოტანიკურ ბაღში დარგეს. 1870 წელს ამ ბაღში 18 ბუჩქი კიდევ არსებობდა. შემდეგში ამ თვრამეტიდან ერთი, ჩაის ბუჩქის „პაპა“, 1935 წლამდე ცოცხლობდა. ჩაის ბუჩქის თესლები და კალმები მიიღო სამეგრელოს უკანასკნელმა მთავარმა, ალექსანდრე ჭავჭავაძის სიმემ, რომელმაც ეს ბუჩქები თავის პარკში დარგო.



ვანი. ლომის თავი. წვიმის წყლის საკრეფი ძვ.წ.III-II სს.

1847 წელს ჩაის ბუჩქები იზრდებოდნენ ოზურგეთის საკლიმატიზაციო სანერგეში. ამ ბაღიდან გურულმა მემამულემ, ერისთავმა, თავის მამულში, სოფელ გორასა და საჯავახოში, გადარგო. ეს ერისთავი ცნობილი იყო, როგორც კარგი მეურნე. მალე მან თავისი ბუჩქებიდან ჩაის პროდუქტიც დაამზადა, რომელიც 1860 წელს გასასიჩქად წარუდგინა კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებას.

ერისთავი იმდენად იყო გატაცებული ჩაის მოშენებით, რომ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს განცხადებით მიმართა: ჩემი მამულები დაიგირავეთ, ოცი ათასი მანეთი მომეცით, ჩაი უნდა გავაშენო. ოთხი წლის შემდეგ უარი მიიღო იმ მიზეზით, რომ ჩაის ბუჩქის გახარება გურიაში შეუძლებელიაო.




ვანის ნაქალაქარი



მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში ჩაი მრავალ ადგილას დაირგო, მათ შორის – კახეთშიც და საინგილოშიც. 1893 წელს პოპოვის ჩაის ფირმამ მოაწყო ექსპედიცია და ჩინეთ-იაპონიიდან და სხვა ქვეყნებიდან შემოიტანა ჩაის ბუჩქი და თესლი საქართველოში; ისინი დარგეს და დათესეს ჩაქვში, სალიბაურში, კაპრეშუმში. 1901 წელს დაახლოებით 105 დესეტინა<sup>113</sup> ჩაის პლანტაცია იყო. ამავე ხანებში აშენდა პირველი ქარხანაც.

1895 წელს აგრონომ კლინგენის ინიციატივით ჩაქვის ხეობაში გამოიყო თხუთმეტი ათასი ჰექტარი და შეუდგნენ საუფლისწულო მეურნეობის შექმნას. მოეწყო ექსპედიცია, ჩაის ქვეყნებიდან შემოიტანეს ჩაის ნერგები, თესლი და სხვა მცენარენი. 1915 წლისათვის აქ უკვე ხუთასი ჰექტარი ჩაის პლანტაცია იყო.



კოლბური საყურეები. ძვ. წ. V ს.

ჩაი გააშენეს ოზურგეთის, ზუგდიდის მაზრებში და სხვაგან. ჩაის აშენებდნენ ცალკეული მეურნეებიც. 1914 წლისთვის ჩაის პლანტაცია საქართველოში იყო 817 დესეტინა, სამი ჩაის ფაბრიკა, სადაც ჩინელები მუშობდნენ, და ორას დესეტინაზე ცოტა მეტი ფორთოხლის, ლიმონისა და სხვა მცენარეთა ნარგაობა, რომელიც 1914-1918 წ. ომის შემდგომ წლებში თითქმის მთლიანად განადგურდა.



ვანი. დიადემა (ოქრო)

1925 წელს შეიქმნა საზოგადოება „საქართველოს ჩაი“, რომელსაც დაევალა საქართველოს მეჩაიეობის განვითარება. 1926 წელს 26 ჰექტარი პლანტაცია გააშენეს, 1928 წ. 2071 ჰექტარი და 1932 წლისათვის უკვე 25 ათასი ჰექტარი იყო. ამჟამად სამოც ათასზე მეტი ჰექტარია. თვითონ აჭარაში კი აი, როგორი სურათი გვაქვს:

ამჟამად აჭარაშია 168 კოლმეურნეობა, მათ შორის – ორი მეთევზეთა, თვრამეტი საბჭოთა მეურნეობა.

ძვირფასი პროდუქტის მომცემ მცენარეებს უჭურავ 23.100-24.000 ჰექტარი, აქედან ჩაის – 7.500 ჰექტარი, ციტრუსებს – 6.000 ჰექტარი, ხეხილს – 8.100 ჰექტარი, ვენახს 1210 – ჰექტარი, თამბაქოს – 1.500 ჰექტარი, სიმინდს დათმობილი აქვს 6.000 ჰექტარი, მარცვლეულის დეფიციტი ანაზღაურებულობა შემოტანილი მარცვლეულით.

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში, 1914-18 წწ. რუსეთს საზღვარგარეთიდან შემოჰქონდა სამოცდათხუთმეტი ათასი ტონა ჩაი, რისთვისაც სამოც მილიონამდე მანეთს იხდიდა ოქროთი. ამჟამად საქართველოში სამასი ათას ტონაზე მეტი ჩაის ნედლი ფოთოლი იკრიფება. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი ჰექტარი საშუალოდ სამ-ოთხ ათას კილოგრამ ფოთოლს იძლევა, ზოგი ჰექტარი – ხუთ-ექვს ათას კილოგრამს.

ლამაზი ლეგენდა არსებობს ამ მცენარეზე. ერთმა ჩინელმა მანდარინმა (დიდმა თავადმა) ღმერთის წინაშე პირობა დასდო: ერთი კვირა არ დავიძინებო. თვალეებმა ვედარ გაუძლეს და მეექვსე დღეს დაიხუჭნენ. მანდარინმა დაითხარა თვალეები და გადაყარა. ამ თვალეებიდან ამოვიდა 2 ბუჩქი, რომელთაც დაჰყვანთ თვისება

სიფხიზლისა. აბა, დახედეთ გამხმარ ჩაის, განა წამწამებს არ გვანან? ჩინელები შავ ჩაის „ბაიხაოს“ ეძახიან, ქართულად ეს ნიშნავს „ბანოვანის წამწამებს“.

მართლაც, ჩაის ხომ აქვს გამოფხიზლების თვისებაც. გამხმარი პროდუქტი კი წააგავს წამწამს.

### დაუპატიჟებელი მცენარენი


ასე რომ, ჩვენში ლიმონი და ფორთოხალი ხარობდა, ესენიც იდგნენ ჩვენი შინაური მცენარეების: ვაშლის, მსხლის, ბლის, ალუბლის, გარგარის, ატმის და მრავალ სხვათა რიგში. დადგა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი. პირველ რიგში სწორედ ლიმონმა და ფორთოხალმა დაანახვეს ადამიანს, რომ შავი ზღვის სანაპირო სუბტროპიკული კულტურების ქვეყანაა. დაიწყო მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან სუბტროპიკული მცენარეების შემოტანა, ე.ი. დაიწყო მცენარეთა ინტროდუქცია და, რასაკვირველია, პირველ ხანებში ყურადღებას არავინ აქცევდა, კულტურულ მცენარეებს სხვა, არასასურველი, სარეველა მცენარეც ხომ არ მოსდევდა. თურმე ერთი-ორი კულტურული მცენარე რომ მოგვექონდა, 10 და 15 სარეველა მცენარე მოსდევდა მათ, ნაყოფის თესლისა თუ ფესურის სახით და კულტურულ მცენარესთან ერთად ისიც იკიდებდა ჩვენში ფეხს. ასეთ მცენარეებს გზად მომყოლი, ანუ ადვენტური, მცენარენი ეწოდება. მართალია, ყველა მათგანმა ვერ გაძლო, ერთი-ორი წლის შემდეგ ზოგიერთ გაქრა, მაგრამ ზოგმა ფეხი მოიკიდა, გავრცელდა და დამკვიდრდა. უკანასკნელმა კვლევებმა დაადასტურეს, რომ ასეთი უცხოური მცენარე ჩვენში სამასამდეა. ბევრმა მათგანმა ზოგიერთი ადგილიდან მრავალი ჩვენებური მცენარე სრულიად განდევნა და თვითონ გაბატონდა. ასეთებია წითელი ჭინჭარა (პერილა), ცეცხლეკალა (ქსანტიუმი), ვირჯინიის ურო, პასპალუმები, ამბროზია ტყისჭორტანა (კომელინა), ჩაქვის ბალახი (პოლინია) და სხვა მრავალი. დაბლობის მდელოები ლოკარტიებმა ისე დაიჭირეს, რომ იქ სხვა მცენარე არც კი გვხვდება. 1942 წელს მის (ლოკარტიას) მარცვალზე გაჩნდა შხამიანი სოკო – ჭვავის რქა, და მდელოზე მამოვარი საქონელი მძიმედ დაავადა ე.წ. „ბანდალათი“. ჩაქვის ბალახი გაბატონდა ტყის პირებში და ჩამონაზვავებში, ტყის ჭორტანა ხომ ერთ-ერთი აბეზარი სარეველა მცენარეა ჩაის პლანტაციებისა, ზოჯერ მისი ფოთოლი კრეფის დროს ჩაის ფოთოლსაც მოსდევს. ცეცხლეკალაც დევნის კარგ, გამოსაყენებელ მცენარეს, მისი ბირკა ედება ცხვრის მატყლს და მის ღირსებას ძალიან დაბლა სცემს.

არა მარტო ბალახები, ზოგჯერ უცხო ხეებიც აბეზარ სარეველად გადაქცეულან.

ასეთებია თუნდაც თეთრი აკაცია, შეცდომით მიმოზას რომ უწოდებენ; თუ მიწა ორი-სამი წელიწადი ზედიზედ მოუხნავად და დაუფარცხავად დარჩა, ამ აკაციის ჩქოლი და შმალი ისე მოკვდება, რომ ხელოვნურად ნათესი გეგონება.



ვანი. არწივი. ბრინჯაო. ძვ. წ. II ს.



ვანი. კოლხური სამაჯურები

რასაკვირველია, გზად მოყოლილი მცენარე მარტო გუშინდელი ამბავი არაა, ე.ი. ამ ორმოციოდ-სამოციოდ წლებში მოდებული. გზად მოყოლა და დასახლება ახალ ქვეყანაში

მას შემდეგ ხდება, რაც ადამიანმა ერთი ქვეყნიდან მეორეში დაიწყო ხეტიალი თუ წესიერი მისვლა-მოსვლა. შუა ქართლში რომ დღეს შუა აზიის უდაბნოს ველური ხახვია გავრცელებული, ეს, შესაძლებელია, მონგოლთა თუ სელჯუკიანთა ომების დროს მოჰყვა მათ ცხენთა ფლოქვებს.

ჩვენი ტყის პირებზე ერთი ლამაზი მცენარე იზრდება, ჭიაფერას უწოდებენ (ფითოლაკა). ეს ამერიკული მცენარეა, როდის დასახლდა აქ, უკვე ძნელია, ითქვას.

ასეთ უცხო ყოველთვის უნდა ვებრძოლოთ, როგორც სარეველა მცენარეს.

გიორგიმ მოათავა საუბარი, რომელშიც ხშირად მინდია ჩაერეოდა ხოლმე.

წამსვლელებმა აღარ დააყოვნეს.

– როგორ მოვიქცეთ? ვნახოთ გონიო და სარფი უბიჭბოდ, თუ როცა მათ შევხვდებით, ერთად მოვიაროთ?

– მაგას რაღა ლაპარაკი უნდა.

და გაუყვნენ ბათუმისკენ ევკალიპტების ხეივნებით დამშვენებულ გზას.

ჰაერი სავსე იყო დაფნის, ევკალიპტის სურნელებით, გზის გადაღმა კი გადაჭიმული იყო მანდარინის შესანიშნავად მოვლილი პლანტაციები.

ღამის გასათევად ბოტანიკურ ბაღს მიმართეს.

### კრიმანჭული

*1972 წელს ყველაზე მეტად კრიმანჭულის მოსმენამ გამაოცა. ესაა მუსიკალური შემოქმედების უმაღლესი მწვერვალი. იგი რომ ადრე მომესმინა, მე სულ სხვაგვარ მუსიკას დავწერდი.*

*ასე თქვაო თანამედროვე დიდმა კომპოზიტორმა სტრაენსკიმ.*

მზე უკვე წელში იმართებოდა, ბოტანიკური ბაღიდან რომ გამოვიდნენ და კვლავ მოხვდნენ ფერების ჯადოსნურ სამყაროში.

ფირუზისფერი ზღვა, კამკამა ლურჯი ცა, ჩაის პლანტაციად გადაქცეული დედამიწის მწვანე, ხასხასა ზედაპირი, შორს ლილისფერი გურიის მთები, ევკალიპტების ნაცრისფერი ხეივნები, ყვითელი ნაყოფით დატვირთული ხურმები, სახლის კედლებზე და აივნის სვეტებზე ასული წითელი და თეთრი ვარდები თითქოს მკერდში იხვევდა ჩვენს მგზავრებს.

მიირწოდა მანქანა და ახალგაზრდები განაბულნი გასცქეროდნენ ხან ზღვას, ხან ჩაის პლანტაციებს, ხან მანდარინის ბაღს, ხან ცას და ხან ევკალიპტების ხეივნებს გზის პირებზე, ან კრიპტომერიების მწკრივს პლანტაციის გასწვრივ, აღტაცებისაგან სუნთქვა ეკვროდათ, ვერა ეწამებინათ რა. ასეთი ერთად შეკრებილი სილამაზის მნახველნი პირველად იყვნენ. გორაკი გორაკს გადაბმული, თითქოს ქოჩორა ბიჭებს თავები ერთმანეთზე მიუწყვიათ და ილიმებინაო. კისკისებენ, კისკისებენ გოგონები, აგერ, კიდევ უფრო ლამაზი გორაკები.

– აჰაუუ... რა არის ეს? – წამოსძახა ლელამ.

– ეგ არის კრიმანჭულის მეორე მუხლი, – უპასუხა მინდიამ.

ახალგაზრდებმა თვალები შეანათეს.

– როგორ კრიმანჭულის?

– განა შეიძლებაოდა ეგ სიმღერა სხვაგან დაბადებულიყო? აგერ, კინტრიშის წყალის შქერანი, მზის სხივი, მწვანე ტოტებში გადამტვრეული, ლურჯი, კამკამა ცა,

ავსილი სიცოცხლის ხმებით, განა ვერ ამოათქმევინებდა ადამიანს აღტაცებას, სიხარულს, სწრაფვას მომავლისაკენ, და რა არის კრიმანჭული, თუ არა აღტაცება სიცოცხლით, ყოველივე კეთილით...

– აბა, ვახტანგ, ხომ გაქვს ფირი...

გოგიამ დააყენა მანქანა, კრიმანჭულმა აგლიჯა მანქანის სახურავი და ავარდა ცაში. მალე ისევ მიჰქროდა მანქანა და კრიმანჭულის ჰანგები ეფინებოდა ირგვლივ მთასა და ბარს. გაირბინეს მახინჯაური, მწვანე კონცხი და კინაღამ ჩაქვს გასცდნენ.

მინდიამ მაშინ ასწია ხელი, როდესაც ერქომაიშვილმა წამოიწყო „შავი შაში ჩიოდა“ ...

განა შეიძლება სხვაგან დაბადებულიყო იყო იგი, აი, კახური მრავალჟამიერი? ვრცელი, ღრმა, კახეთის ფართო ველების, ალაზნის დუდუნის, ლურჯი ცისა, კახეთის ლილისფერი კავკასიონის გარეშე შექმნილიყო?

ლილე ენგურის დასრულებული დინების, დოღრას ჩქერების, უშბასა, შხარასა და თეთნულდის ორწოხების პირმშო შვილია, ომხიანი, ვაჟკაცური. ან მუმლი მუხასა? განა ქართლის ისტორიამ, მისმა ყოფამ და ბუნებამ არ ჩამოაყალიბა და განავითარა იგი?

– მაშ, გრძელი და დაუსრულებელი ბაიათი-ტირილი უდაბნოსი, მართლაც, შუა აზიის, ორანის ან არაბეთის უდაბნოებში უნდა დაბადებულიყო.

რადა „ან“, ჩვენ ხომ ვიცით პარალელური ცენტრები წარმოშობისა. შეიძლება ერთსა და იმავე დროს რამდენიმე ადგილას წარმოშობილიყო.

– „ეი, უხნემ?!“

– ეგეც ვოლგის ველების პირმშოა.

-ესკიმოსების ზუზუნიც ხომ ყინვიანი მხარის შედეგია, ორმოც-სამოცგრადუსიანი ყინვაში პირს ფართოდ ხომ ვერ გააღებ.

– ასეა, ასე. ბუნება მართლა არაა ერთადერთი, რაც ცოცხალი ორგანიზმის, კერძოდ, ადამიანის, ჩამოყალიბებაზე ახდენს გავლენას, მაგრამ იგი მაინც მნიშვნელოვანი ფაქტორია.

– უჰ, გრძელი ტირადაა, ვახტანგ!

– მართალია. ჯობია, გურიის აღწერაც გავიცნოთ ვახუშტის მიხედვით:

– „ხოლო გურია არა წილი ეგროსისა არს, არამედ ქართლოსისა. გარნა ოდეს გამეფდა ლეონ აფხაზთა, მაშინ ამათ არღარა ინებეს მორჩილება ოძრახოს ერისთავისა, რომელნი იყვნენ ძენი სტეპანოზ ბაგრატიონისანი, ადარნასე და ძე მისი აშოტ. ამათგან განდგნენ და მიერთნენ ლეონს, ვითარცა სახელი აცხადეს: „გურიობით განდგომილნი“. და ენა მათი, რომელსა უბნობენ, მესხურ და არა იმერთაებრ, არამედ მზღვრის ამას გურიას: აღმოსავლეთით მთა ფერსათი, სამცხე-გურიას შორისი და საჯავახოს შორისი, სამხრით ჭოროხის მდინარე და მთა მცირე, ფერსათიდან ჩამოსული დასავლით, აჭარა-გურიას შორისი; ჩრდილოთ რიონი გურია-ოდშიშს შორისი და დასავლით შავი ზღვა. ხოლო რიონის თვალზედ, სამხრეთის კიდესა ზედა არს ფოთის ციხე. რომელი აღაშენეს ოსმალთა წელსა ჩღკე, ქართულსა უიგ, ნავსადგურობისათვის, და დგანან მუნ ჯდომარის ფაშით. აქ ერთვის რიონს მცირე მდინარე, და ამ ფოთის აღმოსავლით, რიონის კიდესა ზედა არს ლანჩქუთი. ამ ლანჩქუთის სამხრით წარმოვალს მთა საჯავახოს მთიდან დასავლეთად, და სადაცა დასწყდების მთა ესე, არს ამ მთის მაღალს თხემსა ზედა ეკლესია ჯუმათს, დიდი, გუნბათიანი, დიდშენი, მჭკრეტი ზღვისა და გურია-ოდშიშისა. არამედ ზამთარ არს გაუძლისი და ზაფხულ სამო, მშვენი, კეთილჰაოვანი: ზის ეპისკოპოზი, მწყემსი სუფსეის მდინარისა და რიონს შორისის ადგილთა. და არს მთა ესე ჯუმათისა ტყიანი, შენობა-დაბნებიანი, ვენახ ხილ-მოსავლიანი და ნადირ-ფრინველიანი.



ვანი. ნაქალაქარი. გალავნის კედელი. ძვ.წ.III-II სს.

კვალად ფოთს სამხრით, ზღვის კიდეზე, არს ტბა პალიასტომისა, დიდი. ამ ტბიდან შესდის ზღვას მდინარე ამისივე. აქიდან შემოვლენან ნავნი და დგებიან ტბასა შინა განსვენებისათვის. იპყრობის თევზნი სხვადასხვანი მას შინა ურიცხვნი. ამას იტყვიან ნაქალაქევს და შემდგომად მოცულსა წყლისაგან. კვალად ამ ტბისა და ჯუმათის მთის სამხრით დის მდინარე სუფსეი, გამომდინარე სამცხე-გურიის შუა მთისა, მომდინარე ბახვისწყლამდე ჩრდილოს-დასავლეთ შუა, ბახვისწყლიდან ზღვამდე აღმოსავლეთიდან დასავლეთად და მიერთვის ზღვას აღმოსავლეთიდან. არს მდინარე კარგი და თევზიანი. ბახვისწყლის შესართავს ზეით არს ციხე ბერიძისა. სამხრითკენ მას ზეით ხეობა სურები, ვენახ-ხილიანი, მოსავლიანი, მოსახლენი მხნენი. სუფსეის სამხრით და ბაილეთის ჩრდილოთ არს გურიანთას ციხე, კლდე-გორასა ზედა შენი. ამის სამხრით დის კეთ-ბაილეთის წყალი. გამოსდის სურების მთას, მიერთვის ზღვას აღმოსავლიდან.



ვანი. ძველი ქალაქის კარიბჭე. ძვ.წ.III-I სს.

ამ მთის ძირში არს ციხე ასკანისა. ამისვე სამხრით, მთის ძირში, არს შემოქმედი, ეკლესია დიდშენი, გუნბათიანი, შემკული ყოვლითა. იყო ესე საარქიმანდრიტო, აწ არს საეპისკოპოსო. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი მას ქვეითის გურიისა. აქა დის მცირე მდინარე, გამოსდის სურებსა და ხინოს შუას მთას, და დის გრეხით, მიერთვის ხინოსწყალს ჩრდილოდამ. ამ წყალზედ, შემოქმედის ქვეით, არს ოზურგეთი, სასახლე დიდშენი, კეთილპალატოვანი, გურიისა. აქავ სახლობენ ვაჭარნი სომეხ-ურიანი და ვაჭრობენ. ამ ოზურგეთის სამხრით დის მდინარე ხინოსი, გამომდინარე აჭარა-გურიის მთისა. მოდის აღმოსავალ-სამხრეთს შუადამ, ჩრდილო-დასავლეთს შუა, ლეხურის ციხემდე. მერმე დის აღმოსავლიდამ დასავლეთად, მიერთვის ზღვას აღმოსავლიდამ. ამ მდინარისა და შემოქმედს შორის არს ციხე ლეხურისა, მთის ძირს. და მას ზეით მთაში, ამ წყალზედ ხეობა ხინოსი არს მაგარი და მთებრი, არამედ ვენახ-ხილიანი და მოსავლიანი. აქა ხინოს არს ეკლესია გუნბათიანი, კეთილ-დიდშენი, კარგს ადგილს. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ხინოსწყლის სამხრეთისა ჭოროხამდე. არამედ გურია იყო სრულიად ქუთათლის სამწყემსო, ხოლო შემდგომად განყოფისა სამეფოთა, გურიელთაგან დაიდგინნეს სამივე ესე ეპისკოპოზნი თვისისა დიდებისათვის. ამ ხინოს მდინარის სამხრით, მთის ძირს აქვს ციხე კარგი; და ხინოს მდინარის შესართავთან ზღვაზედ არს ალამბარი, სასახლე შენი, გურიელთა, ფრიად მშვენიერს ადგილს. კვალად ალამბრისა და აჭვის სამხრით დის მდინარე ქობულეთსა. გამოსდის ხინო აჭარის მთასა, მოდის დასავლით, მიერთვის ზღვასა ეგრეთვე. ზღვის პირას ამ წყალზედ არს ქობულეთი, მცირე ქალაქსავით და ნავსადგური ფრიად კეთილი. ამის სამხრით დის ჩაქვისწყალი. გამოსდის აჭარის მთას, მოდის დასავლით, ერთვის ზღვას სხვებთაებრ. ამ წყალზე, ზღვის კიდეს არს ციხე ქაჯეთისა, მაგარი, მაღალს კლდესა ზედა შენი. აქვს გვირაბი-კლდე, გამოკვეთილი გზად. ამას ზეით არს ამ წყალზე ჩაქვი. და ამ ჩაქვის სამხრით დის ჭოროხის მდინარე. ზღვის შესართავზედ და ჭოროხის ჩრდილოთ კიდურზედ არს ბათომი, მცირე ქალაქი და ციხე კარგი. აწ უპყრავთ ოსმალთა. ამას ზეით ჭოროხის ჩრდილოსავე კიდესა ზედა, არს ერგე, და ბათომის პირისპირს, ჭოროხის სამხრეთის კიდეზე არს გონია, მცირე ქალაქი და ციხე.

ხოლო სიგრძე გურიისა არს სამცხის მთის თხემისან ზღვამდე და განი ჭოროხიდან რიონამდე. ჰავით არს კეთილი და მშვენი, ზაფხული ცხელი, წვიმიანი, სოელი, ნოტიო, ზამთარი თბილი, დიდთოვლიანი, ვითარცა იმერეთი და უყინვო მთა-გორიანი, აგარაკიანი, ტყიანი და მცირე ველოვანი. ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი. კვალად აბრეშუმის, ბანბა არა ეგდენ. მცხოვარნი მცირე და სხვა პირუტყვი, თვინიერ აქლემისა, ჯოგად, მროწლედ, მრავალნი და მძოვარნი ზამთარ-ზაფხულს უმწყემსოდ. ფრინველნი მრავალნი, ხილნი მრავალნი. და ბათომს, გონიას და ერგეს ნარინჯი, თურინჯი, ლიმო. ზეთისხილი, ბროწეული მრავალი და ზღვის კიდესაცა. ვენახნი მაღლარნი, ღვინო კეთილი, მსუბუქი და შემრგო, გემოიან-სუნიანი მრავლად. არამედ მდინარეთა წოდებანი არღარა დავსწერეთ, ვინათგან თვისივე სახელნი აუწყებენ დაბებთაგან. ხოლო კაცნი და ქალნი მსგავსნი იმერთა ზნითა, ქცევითა, სარწმუნოებითა, რჯულითა. სამწყსონი აფხაზეთის კათალიკოზისანი, შემოსილნი ეგრეთვე და მშვენიერებითაცა, არამედ უმეტეს კეკელანი და რბილნი, ენა-ტკბილმოუბარნი, უმეტეს წიგნის სიტყვით (მესხთაებრ), არამედ ქართულისავე ენისანი და არა სხვისა. ბრძოლასა შინა შემმართებელნი და იმერთა თანა ვერ შემდარენი, უქურდალნი, უავაზაკონი, ვითარცა ოდიშარნი, სტუმრის მოყვარენი და კეთლად შემწყნარენი, კეთილ-მგალობელ-მწიგნობარნი, მშვიდნი, არამედ მყის გულ-მწყრალნი. გარნა გურიელს ეპყრა ოდესმე აჭარა, ჭანეთი, არამედ არს სამცხისა. ამისთვის მუნვე დავსწერეთ“.

- თქვენი ჭირიმე, გადაუხვიეთ ჩაქვის მეურნეობაში, თორემ...
- ქსენიამ რომ გაიგოს, აქეთ იყავი, - დაიწყო ვახტანგმა და გადახედა მიწიას.
- სწორედ, - გაიღიმა მიწიამ, - და თუ არ შევიარე, ჩატეხავს ხიდს.

მანქანამ გადაუხვია ჩაქვის ჩაის მეურნეობისაკენ. ესაა პირველი ჩაის პლანტაცია ძველი რუსეთის იმპერიაში და პირველი საბჭოთა ხელისუფლების დროსაც.

მანქანა პალმების ხეივანში მიდიოდა და ერთი მომცრო კოტეჯის წინ გაჩერდა; გამოეგებათ პატარა, მთლად გათეთრებული ქალი, თითქოს უთვალთვალებდა, აი, ახლა მოვლენო.

– ბათუმიდან დამირეკეს, რომ აქ ხართ! გელოდი, ვიცოდი, რომ გამოვივლიდი, მაგრამ თან გული მეთანაღრებოდა, – მიმართა მინდიას.

– ნუთუ იფიქრე, ქსენია, რომ არ გამოვივლიდი?

– არ ვიცი, ახლა, ცოტა არ იყოს, ხალხი შეიცვალა. დაიცა, შენც ამაღაპარაკე, ესენი შენებია, კოჭებში ეტყობათ, გამარჯობათ, ბიჭებო, – და ყველას სიყვარულით ხელი ჩამოართვა, – ელენე ვნახე გორში და იმან მიამბო: მინდია და გიორგი მოგზაურობენ თავის ბოკვერებითო.

– როგორაა, ქსენია, საქმე, ახალი რა გაქვს?

– წელს, შემოდგომაზე, ჩაის ერთ ახალ ჯიშს გადავცემ ჯიშთა გამოცდის ქსელს, ვგონებ, გაგვიმართლოს, ვაკე ადგილებისათვისაა ნაგულისხმევი, ცოტა ნესტ-ჭარბი ნიადაგებისთვის...

– ოო! ეს ძალიან კარგია! განსაკუთრებით ამოშრობილი ადგილებისათვის.

რალა ლაპარაკი უნდოდა, ეს იყო ქსენია ბახტაძე, სამი აკადემიის წევრი, მრავალი ორდენით დაჯილდოებული, ნიჭიერი, ენერგიული, მეცნიერული მიზნის ქინით გატაცებული ადამიანი, დადიოდა თავის პლანტაციაში და ჩაის ბუჩქებს სიყვარულით თავს ევლებოდა.

– აი, ეს „საქართველო“, ეს „მეორე საქართველო“, ეს „უხვმოსავლიანი“, ეს კიდევ...

და ისე ასახელებდა, ისე უსვამდა შემქმნარ და მარდვიან ხელებს ბუჩქებს, როგორც მოსიყვარულე დედამ იცის, როდესაც გულით ნანატრ ნათესავს, ან დიდი ხნის უნახავ ძმას ან დას, თავის მართლა კარგ, სასახელო გოგო-ბიჭებს აცნობს ხოლმე. და, როდესაც ახალ ბუჩქთან მივიდოდა, თვალეზი ახალი ცეცხლითა და სიყვარულით აუკიაფდებოდა.

– კარგია, გოგი, ხომ? – მიმართა გიორგის და თვალეზი შეანათა.

– დაუფასებელია, დაუფასებელი, ქალბატონო ქსენია!

ბიჭები სულგანაბულნი უსმენდნენ, ლელას ეჭირა რვეული და რაღაცას იწერდა.

– აი, ხედავ, მინდია, გესმის? გოგიმ არ იცის უბრალოდ ლაპარაკი.

– აი, ეს უკვე ღირსია, რომ „შენ ხარ ვენახი“ უმღეროთ! – თქვა გივიმ და მართლა წამოიწყო, მალე აჰყვა გოგია, ბიჭებმაც ხანი უთხრეს და გეგონებოდა, ამ მშვენიერ დღეს მწვანე ვენახში დგას მარიამიო, ისე თვალგაბრწყინებული იდგა ქსენია და ისმენდა შესანიშნავ ჰიმნს, რომელიც მდორედ ეფინებოდა თვალუწვდენ პლანტაციებს. ბიჭები ემხში შევიდნენ, აუწიეს და აუწიეს და მინდია და გიორგი ჩაითრიეს. მალე ახლო ნაკვეთის აგროტექნიკოსებიც მოახლოვდნენ. ჯერ სულგანაბულნი უსმენდნენ და მერე ისინიც აღიღინდნენ. და, აი, ახლა არა კრიმანჭული, არამედ გალობა, ჰიმნი ეფინებოდა გურიის მთებს.

– გოგი! ხომ იცი, ბევრი ჯილდო მაქვს, შრომის გმირიც ვარ, მაგრამ ასეთი ძვირფასი ჯილდო პირველად მერგო, – მღელვარებისაგან აცრემლებულმა ქსენიამ ჭადარა თავი გიორგის მკერდში ჩარგო.

მინდიამ დასავლეთისაკენ გაიხედა და სახეზე ხელი ჩამოისვა.

მასპინძელს არ ეთმობოდა სტუმრები, მაგრამ გზას თავისი კანონი აქვს.

მანქანამ გული-გურიისაკენ აიღო გეზი, გასცდა ქობულეთს და მინდიამ ერთხელ კიდევ შეაჩერებინა მანქანა.

### ჰაერი, ჩაი თუ ნავთი?

– აჭარას ვტოვებთ და უნდა ითქვას, რომ მას მარტო ჩაით, ციტრუსებით და სხვა ტექნიკური მცენარეებით კი არ შეაქვს თავისი წვლილი ეროვნულ საღაროში, არამედ კურორტებითაც.

გარდა ზღვის პირის კურორტებისა, აქ არის მთის კურორტიც: ბემუმი, მინერალური წყაროებიც – კოკტაურს რომ უწოდებენ, მერისის წყარო...

– მთავარი მაინც ზღვის პირის კურორტებია, – ჩაერთო ვახტანგი, რომლსაც კურორტები ევალეზოდა, – ციხისძირი, მახინჯაური, ქობულეთი. ყველა ესენი ბალნეოლოგიური და კლიმატური, ზღვის კურორტებია, რომელთაც ნამდვილი კურორტის ყველა სიკეთე თან ახლავთ. კურორტოლოგების თქმით, ქობულეთი<sup>14</sup> უნიკალურია თავისი კლიმატით, სადაც მთელი წლის განმავლობაში შეიძლება ბალნეოლოგიური მკურნალობა, რადგან აქაა თანაბარი, ზომიერი კლიმატი, მზიანი დღეც საკმარისად.

– დაიცა, დაიცა, აქ ზღვის პირას რომ ნავთი აღმოაჩინეს, როგორ მორიდებიან კურორტი და ნავთის მრეწველობა?

– ეგ რთული საკითხია. უნდა გაირკვეს, პირველ რიგში, რაა სახელმწიფოსათვის მთავარი: სუბტროპიკული მცენარენი (ჩაი, ციტრუსები, ტუნგო და სხვა), კურორტები (ეს ორი ერთმანეთს ხელს არ შეუშლის), თუ ნავთის

მრეწველობა. თუ ეს უკანასკნელი ქვეყანას მეტ სარგებლობას აძლევს, ხელს არ უშლის ერის განვითარების ჰარმონიულობას, მაშინ კიდევ შეიძლება დავეთანხმოთ...

– ჩემი აზრით, არც მაშინ უნდა დავეთანხმოთ და იცი, რად? შორეულ ციმბირში არც სუბტროპიკული მცენარეა, არც ზღვის კლიმატური და ბალნეოლოგიური კურორტები, ნავთი კი ბლომადაა. იქ ის განვითარდეს, აქ კი – ეს. სწორედ ეს იქნება ქვეყნის ჰარმონიული განვითარება, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ნორმალური შეხამების პრინციპი.

– ჩვენ, მგონი, ღრმად შევეტოპეთ, არ შეჯამდეს წარსული ამ სანაპიროსი?

– რასაკვირველია, საჭიროა.

– ძველ დამპყრობელთ აჭარა იზიდავდა იმით, რომ, თუ იგი მათ ხელში იქნებოდა, ადვილად გადიოდნენ დიდ სავაჭრო გზაზე. ჯერ ჭოროხის ნაპირებით, შემდეგ აჭარის წყლით ისინი გადადიოდნენ სამცხეში, მტკვრის ხეობაში. მტკვრის ხეობით კი ჯერ სპარსეთში და შემდეგ ინდოეთში ხვდებოდნენ.

ამ მხარის უძველესი მცხოვრებნი კოლხები იყვნენ, ლაზები; ლაზების შესახებ ჰეროდოტე, ჩვენს ერამდე მეხუთე საუკუნეში მცხოვრები ბერძენი ისტორიკოსი წერს, რომ ისინი (ლაზები) ძლიერი ხალხი იყვნენ და ფაზისიდან მცირე აზიის ჰალისამდე ფლობდნენ შავი ზღვის სანაპიროებს.

შემდეგში მტკვრის ხეობიდან თანდათანობით ჩამოჟონა მესხურმა შტომ და მეცხრე საუკუნისათვის უკვე დამკვიდრდა აჭარა – გურიაში. სამხრეთით ლაზები დარჩნენ, ჩრდილოეთით – მეგრელები და აღმოსავლეთით – იმერლები.

ჩვენს ერამდე მეექვსე საუკუნეში ბერძენთა კოლონიები ჩნდება.

ჩვენი ერის მეორე საუკუნეში კი უკვე რომის იმპერიის კოლონიები ენაცვლებიან.

მეექვსე საუკუნეში ბიზანტია ბატონობდა, თავისებური სახელმწიფო რომის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებული, რომელიც შავი ზღვის სანაპიროზე აგებს პეტრას ციხეს; ციხისძირთან რომ ნანგრევები ჩანს, სწორედ ამ ციხის ნაშთია.

მეშვიდე საუკუნეში გურია აჭართურთ საქართველოს ძლიერ სახელმწიფოში შედის.

მეთხუთმეტე საუკუნეში ფეოდალური საქართველოს სახელმწიფო დაიშალა, ცალკე გამოიყო გურია, რომლის სათავეში გურიელები მოექცნენ. მათი რეზიდენცია ქობულეთთან, ალამბარაში, უნდა ყოფილიყო.

ამ ხნისათვის სანაპიროზე გაცხოველდა ვაჭრობა, ერთ-ერთი ცენტრი იყო ქობულეთი, რომელიც თავად თავდგირიძეებს ეკუთვნოდა.

მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისს გურიის სამხრეთი ნაწილი, ქობულეთ-გონიო და აჭარა ოსმალებმა მიიტაცეს.

ამ დროს ბათუმი პატარა ქალაქი იყო, უფრო სოფელი, მოგზაურნი მას აღწერენ, როგორც დიდ სოფელს, სადაც ვაჭრობდნენ ხილით, მარცვლეულით და განსაკუთრებით ბრინჯით, რომელიც აქ ძველთაგანვე მოჰყავდათ ურწყავებში. ბათუმში მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ითვლებოდა ორი ათასამდე მცხოვრები, ბათუმი 1873 წელს მონიხულა ჩვენმა სახელოვანმა ისტორიკოსმა, დიმიტრი ბაქრაძემ. ამ დროს ბათუმი ლაზისტანის მთავარი ქალაქი იყო, სადაც იჯდა ფაშა, იყო მეჯლისი – საბჭო, 2 სკოლა, ერთი თურქული, ერთი ბერძნული, სამი მეჩეთი და ერთი მართლმადიდებელთა საყდარი, რვაასი დუქანი, რომელთა უმრავლესობა ლაზებს ეკუთვნოდა. ბაქრაძის გადმოცემით, ბათუმში სამოსახლო ადგილების ყიდვა-გაყიდვა თავისუფალი იყო, უმეტესად ლაზები ყიდულობდნენ და დუქნებს ამენებდნენ. გაბატონებული იყო ქართული ენა, ლაზებიც ქართულად ლაპარაკობდნენ, თურქული შედარებით იშვიათი იყო.

ქართული ადათ-ჩვეულებანი მეოცე საუკუნემდე კარგად იყო შემონახული.

ბათუმს სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ინგლისთან, დამასკოსთან, ყირიმთან, საქართველოსთან, რუსეთთან. იმ დროს (1873 წელს) აქ რუსეთის საკონსულოც ყოფილა.

ამ დროს ბათუმიდან დიდი რაოდენობით მიჰქონდათ ხეტყე: მუხა, ფიჭვი, ნამვი, სოჭი, კაკალი, წაბლი წითელი და, განსაკუთრებით, ბზა.

აჭარისწყლისა და ჭოროხის ხეობის ტყეების განადგურება ამ დროიდან დაიწყო.

ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების შემდეგ (1801 წ.) რუსეთის მმართველობამ გურიაც შეიერთა (1829 წელს). ამავე წლიდან კბილი დაადგა აჭარა-ქობულეთს და რამდენიმეჯერ დიდი სისხლისმღვრელი ომებიც გაიმართა. საბოლოოდ, ბერლინის ხელშეკრულების თანახმად, 1877-78 წლებში ყარსის ოლქი, ტაო-კლარჯეთი, შავშეთი, აჭარა და სანაპირო საქართველოს შემოუერთდა.

ამის შემდეგ დაიწყო ბათუმის სანაპიროს ათვისება. შეერთების ექვსი წლის თავზე ბათუმი რკინიგზით დაუკავშირდა ფოთს.

ხალხმა მუჰაჯირობა დაიწყო, მათი ადგილ-მამული გადადიოდა ჩინოვნიკთა და ვაჭართა ხელში.

აჭარისათვის ნამდვილი მზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ამოვიდა. გახსოვს, 1915 წელს ექიმ ქალს ვერ შოულობდნენ, რომ სახლგადამწვარ ოჯახებს დახმარებოდნენ. დღეს აჭარელი ექიმი ქალები მეცნიერების დოქტორები და კანდიდატები არიან. სოფლებში, სამედიცინო პუნქტებში, აჭარელი ექიმი ქალებიც მუშაობენ. საკავშირო სამედიცინო აკადემიის სიას ამშვენებს აკადემიკოს მ. კომახიძის გვარი. ასეა ყოველ დარგში, მაგრამ ამაზე ხომ ვილაპარაკეთ.

– შენ ცოტა „აგიტაციაში გადახვედი“, – შეხმაურა ვახტანგი.

– არა, სინამდვილეს გელაპარაკებით.

– სწორედ სინამდვილეა ჭეშმარიტი აგიტაციაც.

### დაუსრულებელი სიკეთე

– ჩავედით ლანჩხუთში<sup>115</sup>, იქ პატარა საქმე გვაქვს, – სთხოვა მინდიამ, – შემდეგ შემოვბრუნდეთ და ვნახოთ დანარჩენი გურია.

ყველამ იცოდა, რა საქმეც ჰქონდა და ხმა არ ამოუღიათ.

გზა გაშლილ ვაკეზე იყო გადაჭიმული, სრულიადაც არ ჰგავდა კრიმანჭულის გურიას.

ლანჩხუთის განაპირას გზას გადაუხვიეს და მანქანა სასაფლაოს მიაყენეს.

მინდია მივიდა ერთ უბრალო სამარესთან და ზედ მოწიწებით დააწყო წიგნები.

– ერთი შენია, გრიშა, დანარჩენი შენი ამხანაგისა. გვაპატიე, რომ დღევანდლამდე ერთად აკინძული შენი მარგალიტები ვერ მოგიტანეთ. იდგა ცოტა ხანს, ასწია თავი და წამოვიდა კარისკენ.

ჯერ დიდხანს იყო ჩუმად, მერე მიუბრუნდა თავის თანამგზავრებს: – ახლა მახარაძეში ავიდეთ. გახსოვთ, ერთი წერილი? აი, ესეც, გივი, წაიკითხე:

„დავკარგავ ახლობელს, იდარდებ, დაინანებ და ბოლოს შეურიგდები“.

მაგრამ არიან ადამიანები, რომელთა სიკვდილი არ გვჯერა. გაივლის წელი, ათი და ოცი და ისევ ელი, გგონია, რომ ისევ შეხვდები, შემოგანათებს მისი ლამაზი თვალები, სიყვარულით განათებული ღიმილი.

ორმოცდაცამეტ წელზე მეტია, ჭაბუკი პოეტი გრიგოლ მეგრელიშვილი („მთის ნიავი“) ცხრამეტი ტყვიით განგმირული დაეცა.



რეფრაქტორი ყანობილის ობსერვატორიაში

ისე წავიდა ფრონტზე, რომ ხმაც ვერ გავეცი.

ჰოსპიტალში ვიწექი, თავი არ მქონდა ლაპარაკისა, გაიღო პალატის კარი და შემოვიდა ჯარისკაცის ტანსაცმელში გამოწყობილი გრიშა (ასე ვეძახდით), შედგა, მიიხედა-მოიხედა, დამინახა, გაიცინა და ჩემკენ წამოვიდა. ალბათ, ძლივს გავიღიმე, რომ მას სახეზე უცებ შეეყინა ნათელი და გულკეთილი ღიმილი.

ჩამოჯდა ჩემს ლოგინზე, მიცქერდა და უცებ თვალებიდან გადმოსკდა ცრემლის ღვარი, იჯდა და უხმოდ ტიროდა.

– კარგი, გრიშა!..

გაიღიმა, გაიცინა, ადგა, ფრთხილად მაკოცა და წავიდა.

ორი-სამი კვირის შემდეგ იმავე ჰოსპიტალში შიო მღვიმელი შემოვიდა, დავინახე, გამიხარდა.

– მოგვიკლეს, ბიჭო, მთის ნიავი, -თქვა და გადმოსცვივდა ცრემლი.



ჩემთვის აქამდე ეს არავის უთქვამს. სუნთქვა შემეკრა, შიომ თურმე არ იცოდა, რომ ამ ამბავს ახლობელნი მიმალავდნენ. ტრადიციის კაცი იყო შიო. „მთის ნიავის“ სიკვდილი რომ გაეგო, სამძიმარი უნდა ეთქვა ვისთვისმე და ჩემკენ გამოემშურა.

– თურქები მოედანენ თურმე, ჩვენებს უკან უნდა დაეხიათ. გრიშა კი არ მოეშვა. მარტო იჯდა სახუნდარში<sup>116</sup> და იბრძოდა ხან ტყვიამფრქვევით, ხან თოფით, მაგრამ მარტო იყო, მოკლეს. იმ დღესვე აბრუნეს მტერი, გაიგდეს წინ და როდესაც გრიშას სახუნდართან მივიდნენ, იგი მკვდარი ეგდო, ცხრამეტი ჭრილობა აღმოაჩნდა თურმე. აი, ლექსიც დავწერე, – მითხრა შიომ.

მას შემდეგ ველი გრიშას და ეს ლოდინი დღემდე ოდნავაც არ შენელებულა.

ცოდო იყო მისი სიკვდილი, ცოდო, 18-19 წლისა იყო, მაგრამ უკვე ჩამოყალიბებული მოქალაქე, ჩამოყალიბებული პოეტი.

გრიგოლ მეგრელიშვილი ჩვენს გიმნაზიაში, თბილისის ქართულ გიმნაზიაში, 1914 წელს მეხუთე კლასში გადმოვიდა ქუთაისიდან. იგი შუატანის იყო, მხრებში ოდნავ მოხრილი, მკერდჩავარდნილი, დიდთვალება; შავი წარბები ნამგლებივით გადარკალოდა ლამაზს, თეთრსა და მაღალ შუბლზე, შავი თმა მოხდენილად აქოჩროდა. როდესაც ამხანაგს შეხვდებოდა, პირზე ღიმილი, კარგი, სიკეთით სავსე ღიმილი უკრთოდა. ხმა ხავერდოვანი, წყნარი ჰქონდა. ნაკითხი იყო.



ბიბლიოთეკის, წიგნსაცავისა და სამკითხველოს შენობა

1916 წელს ქართული გიმნაზიის მოწაფეებმა გამოვეცით ჟურნალი „ცრემლის ღუზა“ (ეს უცნაური სახელი დავარქვით იმიტომ, რომ „ვტირით, მაგრამ იმედი გვაქვსო“, ასე ვხსნიდით). ამ ჟურნალში დაიბეჭდა გრიგოლის ერთი უსათაური ლექსი და პოემა „გალაათიდე“. ეს ნაწარმოებები მთლიანად გამსჭვალული იყო სამშობლოს უღრმესი სიყვარულით.

პოეტი ისე დაიწვა და ჩაიფერფლა ამ სიყვარულით, რომ ვეღარ მოესწრო თავისუფალ საქართველოს, „ამაყსა და თავმომწონეს“.

მას გულს უკლავდა იმდროინდელი ყოფა, ფუქსავატობა და ამაოება, რაც ასე მკვეთრად ჩანდა განსაკუთრებით ჩვენს პროვინციაში, სადაც ზედა ფენები მთელ დროს ლოთობასა და ცეკვა-თამაშში ატარებდნენ.

იგი ლექსს დაუფლებული იყო უჩვეულოდ, წერდა მეტისმეტად ადვილად, მსუბუქად, შეეძლო, საკლასო შრომაც კი ლექსად დაეწერა. ასეც მოიქცა: ერთხელ საკლასო შრომა „ვეფხისტყაოსანის ქალები“ შოთას ლექსით დაწერა, შოთას რითმა კი არსად უხმარია.

ჩვენმა მასწავლებელმა, პეტრე მირიანაშვილმა, ესლა უთხრა:

– შენ მოყოლით უნდა დაგეწერა, მაგრამ მაინც კარგიაო!

განსაკუთრებით მაჯამის ჯადოქარი იყო.

ერთ-ერთ წერილში მწერდა: „დავწერე რამდენიმე ლექსი, რომელთა შორის მომწონს „დაჭრილი შველი. თან ლექსიც დაერთო. აი, ერთი ადგილი ამ ლექსიდან:

*„ჩემო სიცოცხლე, აივანზე მჯდომს  
ხელში გეჭირა წიგნი გაშლილი,  
ყელს მშვენიერსა თმა გეხვეოდა,  
მკერდი ტოკავდა მწიფე ვაშლივით,  
და ჰკითხულობდი, თუ ვით დიანამ  
ისარით დასჭრა გულმკერდში შველი,  
თუ ვით შესცქერდა იმის წამებას  
ტურფა ქალღმერთი, გულმკერდშიშველი“.*

„როგორია, ბიჭო?“ – მეკითხებოდა წერილში. რასაკვირველია, მომეწონა.

ძალიან უყვარდა მეგობრებთან საუბარი. ხშირად შევიყრებოდი ერთად ს. ფაშალიშვილი, გ. ლეონიძე, პ. კურცხალია, მოვიდოდა ალ. ქუთათელი, რომელთანაც გრიშა ჯერ კიდევ ქუთაისში ამხანაგობდა, გავმართავდით შაირობას. მე სოფელში ვიყავ გაზრდილი, შაირი ბევრი ვიცოდი, ჩემს ხალხურ შაირს გრიშა სახელდახელოდ შექმნილ შაირს, პირდაპირ პასუხს, დაუპირისპირებდა. იყო ერთი სიცილი და მხიარულება. ხშირად დაგვტენებია, მაგრამ არა მარტო შაირობაში, არამედ საკმაოდ სერიოზულ საუბარშიც. მომავალს ნათლად ვხედავდით. მიუხედავად იმ დროის სიდუხჭირისა, მომავლის დიდი იმედი გვქონდა.

გრიგოლმა ლექსების წერა დაიწყო 1914 წელს. გიმნაზიაში დავაარსეთ ხელნაწერი ჟურნალი „პირველი სხივი“. მე ვრედაქტორობდი და ყოველ ნომერს ოთხ ცალად ვწერდი. ახლაც მიკვირს, როგორ ვახერხებდი. ერთ ნომერს ქუთაისის ქართულ გიმნაზიას ვუგზავნიდი, სანაცვლოდ იქიდან ორი ნომერი „ქართველი მოწაფე“ მივიღებ. დღემდე „პირველი სხივის“ 10 ნომერი შემომრჩა. გადავათვალიერე და ვნახე, რომ 1914 წელს ჟურნალის მერვე ნომერში გამოცხალებულია საუკეთესო ლექსისათვის დანიშნული კონკურსის შედეგები. პირველი ჯილდო მიგვიკუთვნებია მიხ. ხერხეულიძის (მაშინ VII კლასის მოწაფე) ლექსისათვის: „ბუნებამ გაიღვიძა“, ხოლო მეორე ჯილდო – გრ. მეგრელიშვილის ლექსისათვის „მითხარ, მთვარეო!“.

ჯილდოდ გამოცხადებული იყო ალ. აბაშელის წიგნი „მზის სიცილი“, პირველი – ყდით, მეორე – უყდოდ. როცა სადამოთი გრიგოლს ჯილდო მივუტანე, ბოდიში მოვუხადე: „ასე მოგვივიდა, შენი ლექსი სჯობდა, მაგრამ მიხეილს მივეცი პირველი ჯილდო-მეთქი“. მან კი მიპასუხა: „იცი, რა, ბიჭო, იმის ლექსი სამშობლოზეა, მე კი განყენებულ საკითხებზე ვსაუბრობო“. მე გაკვირვებულმა შევხედე, მაშინ მივხვდი, რომ ეს მართალი იყო. ამ გამარჯვებით იყო გამოწვეული თუ სხვა რამით, რამდენიმე დღის შემდეგ წავედით „თემის“ რედაქციაში, გრიგოლმა წამოიღო ლექსი „შაშვი“ და მე პატარა წერილი. რედაქტორმა გრ. დიასამიძემ წაიკითხა ლექსი, გაკვირვებულმა შეხედა გრიგოლს და ჰკითხა: „შენ დაწერეო?“ გრიგოლი გაწითლდა, დიდი, შავი წარბები შეკრა და ხელი გაუწოდა გამოსართმევად. „არა, არა, დაგებქდავო“, – თქვა რედაქტორმა და ლექსი უჯრაში ჩადო. ორშაბათს გავშალე „თემი“ (ორშაბათობით გამოდიოდა) და ხმამაღლა წამოვიძახე: „შაშვიმ შესძახა“. მგონი, ასე იწყებოდა ეს ლექსი.



ამ შენობაში იკვლევენ ატმოსფერულ მოვლენებს

ამის შემდეგ მთის ნიავი ხშირად ბეჭდავდა ლექსებს „თემში“, „თეატრსა და ცხოვრებაში“, შემდეგ „საქართველოში“, „კოლხიდაში“ და სხვ. ყველაზე გულლიად გვხვდებოდა „თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორი-გამომცემელი ი. იმედაშვილი. მისი რედაქცია (სულ ერთი მაგიდა იდგა) „სორაპნის“ სტამბაში (მადათოვის კუნძულზე) იყო მოთავსებული. „მთის ნიავის“ ლექსებს იმედაშვილი დაუბრკოლებლივ ბეჭდავდა. რაღაც განსაკუთრებით თბილად, შინაურულად გვეპყრობოდა, ოდნავ უხერხულობასაც კი არ ვგრძნობდით.

– აბა, რა მომიტანეთ? – გვკითხავდა, ჯიბეებს მოგვიჩხრეკდა, ნაწერებს უჯრაში ჩაკეტდა. – „აბა, ახლა მიშველეთ“, – იტყოდა და გვილაგებდა წინ ახლად გამოსულ ჟურნალის ნომრებს – „დაწერეთ მისამართები, დააკარით მარკები“. სანამ არ მოვრჩებოდით ამ საქმეს, არ გაგვიშვებდა; ბოლოს ფოსტაში გაგვატანდა: „ჩააბარეთო“. მიტანილი მასალა კი მომავალ ნომერში უეჭველად დაიბეჭდებოდა.

გ. მეგრელიშვილი დედით ობოლი იყო. მამა კი, ეტყობოდა, ხელმოკლე ჰყავდა, ბევრით ვერაფრით ეხმარებოდა. თბილისში გრიგოლს თავისი ბინა არ ჰქონდა. ხშირად ჩვენთან იყო. თუ ისე მოხდებოდა, რომ ჩვენც საკუთარი ბინა არ გვქონდა (ე.ი. დედა ვერ ჩამოდიოდა თბილისში და ბავშვებს ვინმესთან მიგვაბარებდა) გრიგოლი ხან ს. ფაშალიშვილთან იყო ხოლმე, ხან პ. კურცხალიასთან.

1915 წლის 7 ივლისს იგი მწერდა: „საქართველოს“ რედაქციაში აღარ ვმუშაობ, რადგან, სანამ მე ჩამოვიდოდი სოფლიდან, აქ უკვე სხვა შეერჩიათ. ისე, რომ დავრჩი უსაქმოდ. სხვა რედაქციებში მპირდებოდნენ ადგილს, მეც ვუცდი, მაგრამ ამაოდ.

15-16 წლის ჭაბუკი აი, ასე დადის, ეძებს სამსახურს, ეძებს ლუკმაპურს და თავის თავში პოულობს იმდენ ძალას, რომ წერს შესანიშნავ პოემებს – „სალომეას“, „მუქურვარსკვლავას“, „გალათიდეს“ და სხვ. იმის მიუხედავად, რომ ამ ნაწარმოებებს აქებდნენ, მოსწონდათ, პოეტი ბოლომდე იყო თავმდაბალი, უცნაურად კდემამოსილი.

1915 წლის 28 ივლისს გრიგოლი მწერდა: „ახლა რღვევის ხანას განვიცდი. ვზივარ ხანდახან, ვფიქრობ და უცაბედად ცრემლები გადმომცვივა თვალთაგან. იცი, ერთი სასაცილო ამბავი უნდა მოგწერო: „თეატრის და ცხოვრების“ წვრილ ამბებში წერია: „ახალგაზრდა მგოსანმა „მთის ნიავე“ დაწერა ხალხური ლეგენდა „მუქვარსკვლავი“, რომელიც ჩვენი ჟურნალის მომავალ ნომერში დაიბეჭდება“. შენ გენაცვალე, სასაცილოა, მაშ, რა ოხრობაა: საკმარისია, ერთი ათი-თორმეტი ლექსი დაწერო და ხელად მგოსნად მოგნათლავენ. განა მგოსანი ასე უბრალო სიტყვაა?“.

მართლაც, მგოსანი არ არის უბრალო სიტყვა, მაგრამ გ. მეგრელიშვილი ჭეშმარიტი მგოსანი იყო, ნამდვილი შემოქმედი.



*ობსერვატორიის მენსიკური ტელესკოპი*

მას ისე ადრე მოესწრაფა სიცოცხლე, ჭაბუკობის დამთავრებაც ვერ მოასწრო; მწარე სიყრმე ჰქონდა, ხშირად სხვის კარად ყოფნა უხდებოდა, მაგრამ გული არ გასტეხია, სწავლობდა კარგად, წერდა მშვენიერ ლექსებს, პოემებს, წერილებს. აკაკის გარდაცვალებაზე დაწერა ლექსი და ლეგენდა „გრძნეული სარკე“, „მარგალიტის კრიალოსანი“; ეს მართლაც მშვენიერი ქმნილება იყო.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ წაიყვანეს, გადააცვეს ჯარისკაცის მაზარა. „ბევრი რამ მინდა მოგწერო“, – მწერდა ქუთაისიდან, სადაც ის ჯარის ნაწილში იყო, მაგრამ ხომ იცი თევზის არაკი!“.

და აი, 1918 წელს იგი ფრონტზე დაიღუპა.

ვინ უვლიდა, ვინ უფრთხილდებოდა მაშინ ერის საუნჯეს, თორემ გრიგოლი დღესაც ცოცხალი იქნებოდა... იქნებოდა და კიდევაც დაამშვენებდა ჩვენს პოეზიას.

დღემდე ვერ ვწერდი, რადგან მეშინოდა, რომ მასზე დაწერილი წერილი დადასტურება იქნებოდა მისი დაკარგვისა; მე კი განუწყვეტლად ველოდი, რომ დაბრუნდებოდა. ამ წერილის წერის დროსაც ვფიქრობდი: აი, შემოვა ჩვენი „მთის ნიავე“, შემომცინებს და გაღიმებული გამომიწვდის ხელს-მეთქი.

ასეა, როდესაც უდროოდ იკარგება იმედიანი ადამიანი. ერთი პატარა სურათი შემომჩა, მასზე ოდნავი ღიმილი უკრთის.

### **ანას ნაფუძარი**

ესეც მოისმინეს უხმოდ, ისე შემოვიდნენ ქალაქში ვერც კი შეამჩნიეს; ახალგაზრდებს არა, მაგრამ მინდიას ნანახი ჰქონდა ძველი ოზურგეთი<sup>17</sup> – ერთსართულიანი ოდებით, ქუჩაში მიმდინარე რუებში ბატებითა და იხვებით.

შედარება, რასაკვირველია, არ შეიძლება. თანამედროვე ქალაქია თავისი განიერი ქუჩებით, ლამაზი სახლებით, თეატრით, სკოლებით, ტექნიკუმებით.

– გინდათ, ვნახოთ ანასეული?

– ჰმ... ახალგაზრდებმა ესლა თქვეს და ცოტა ხნის შემდეგ მანქანამ სოფლის შარაგზისკენ გადაუხვია.

ანასეულშიც ავიდნენ, აბა, ამ ორმოციოდე წლის წინათ ვინ გაიხსენებდა ამ პატარა სოფელს და დღეს კი მთელ მსოფლიოშია ცნობილი თავისი ორი შესანიშნავი საკვლევი ინსტიტუტით: ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკვლევი ინსტიტუტით და ჩაის ტექნოლოგიის საკვლევი ინსტიტუტით.

პირველმა დაამუშავა ჩაის და სხვა სუბტროპიკულ მცენარეთა აგროტექნიკა, მისი მოვლა-მოშენების საკითხები და გადასცა ხალხს. წელს რომ 320 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი დაამზადეს, ეს, რასაკვირველია, ჩვენი კოლმეურნეობის მარჯვენის საქმეა, მაგრამ სწორი აგროწესების გამოყენების გარეშე ასეთი შედეგის მიღება შეუძლებელი იქნებოდა.

არსად მსოფლიოში ახალი მრავალწლიური კულტურა ისე სწრაფად არ ყოფილა ათვისებული და შესისხლხორცებული, როგორც ჩვენში ჩაი. იგი დასავლეთში – გურია-სამეგრელოში, აჭარა-აფხაზეთში ისეთივე დარგად ჩანს, როგორც კახეთში ვაზი.

ანასეულში დაიბადა აზრი ჩაის საკრეფი მანქანის შექმნისა ჯერ კიდევ ორმოცი წლის წინათ.

სამასი ათას ტონა ფოთოლს გადამუშავება უნდა და მას ამუშავებს ორმოცდაათ ქარხანაზე მეტი. მათ ხელშია ყველაზე მოწინავე ტექნოლოგია. ეს კი ამ ინსტიტუტმა დაამუშავა და გადასცა ქარხნებს. ამის მესვეურია პროფესორი ხოჭოლავა; აგროტექნიკის შესწავლას და დამუშავებას თან გადაჰყვანენ ტარას კვარაცხელია, შალვა გიგიბერია, ნ. გომიაშვილი და სხვანი.



*ძელქვები გზისპირას. აჯამეთი*



*სალორის მუხნარი*

– იმდენი რამ გავიგე, ასე მგონია, თავი გამეზარდა-მეთქი, – წასჩურჩულა ვახტანგს ლელამ.

– ჩვენებურ კაცს რომ ჰკითხო, სად ჩვენი მუშაობა, სად მაგათიო, და ერთი დახედე, რამდენი უძილო ღამე აქვთ გატარებული ამისათვის, რომ ჩვენ ადვილად ვიმუშაოთ, – თქვა გვიმ, როდესაც სტუმართმოყვარე ინსტიტუტის თანამშრომლებს გამოეთხოვნენ.

მანქანა ჭადრების ლამაზ ხეივანში მიქროდა.

– ერთი გამაგებინე, მინდიავ, იმ ჩვენს დიდ პოეტს, რომელმაც გურულებს სუფრაზე უთხრა: „გურულები კარგი ხალხი ხართ, მაგრამ პოეტები არ გყავთო“, „მთის ნიავი“ არ გაეგონა? – იკითხა ვახტანგმა.

– როგორ არ გაეგონა. ამხანაგები იყვნენ, მაგრამ ორმოცდაათი წელი იყო გასული და მისი ლექსები ერთად აღარ ახსოვდა.

– მასპინძელიც ვალში არ დარჩენილა. ხელში საღვინეები ეჭირა და მარანში მიდიოდა, ეს სიტყვები მას კარებში დაეწია; შემობრუნდა და გაღიმებულმა იკითხა: რაო, პოეტები არ გყავთო? მაშ ვისია რუსთაველი, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა, გალაკტიონი, თქვენ? განა ჩვენები არა ხართ?

ჯერ თურმე ვერაფერი აწამა, მერე წამოხტა სუფრიდან, გადაეხვია და გადაჰკოცნა.

*„აჭარის მთებში თქორვენ ნისლები,*

*და ხიდისთავის მთებში წვებიან...*

*აქ ისევ ისე შეუცნობელით,*

*გამოუცნობით აღივსებიან...*

ისევ ტოვებენ ახალ სამკვიდროს  
და მარადიულს უერთდებიან“.

ისე დაიწყო და დაამთავრა ლელამ, რომ თითქმის ვერავინ ამოისუნთქა.

ხმა ვერავინ ამოიღო.

– არა, ძმებო, „შეხვედრა ლუდით შემთვრალ თორღვასთან ახიელში“ სხვაა და თავისებური იერი დაჰკრავს, დაიწყო ერეკლემ. რად ღირს:

„ისე მიცვნია ყოველი სუნთქვა,

როგორც კალმახი ვიცი ასაის წყალში!

გნახე მშვიდობით... ცა ჩირახივით ბოლავს -

ნისლები დიან... ქვექურის ჯვარის ძალო!

არ კი გეწყინოს – ლუდ მაუბნებდის ასე,

ჩემ ათი შვილის გახარებამა, ქალო!“

ასე მგონია, ეს-ეს არის, შემხვდა გუდანის ჯვართან და მე მელაპარაკება-მეთქი.

მანქანა აჰყვა გუბაზეულის ნაპირებს. მდინარე კი მოჩქეფდა და მოდიოდა, მოჰქონდა ამბები გურიის მთებიდან.

მთაში წვიმა მოსულიყო და მდინარეს წყალმრავლობა ეტყობოდა; მართალია, ღვარცოფი არ მოჰქონდა, მაგრამ მღვრიე ტალღები ისმოდა აგორებული ქვების ჭახანის ყრუ ხმები. ზოგან ნაპირს მოასკუდებოდა და ლამობდა მის ჩატანას, ზოგან გაიშლებოდა და დაოკებული მიექანებოდა ქვემოთკენ.

ჭალებში მურყანი აყრილიყო და გაბატონებულყო, გაიარეს მწვანეში ჩაფლული უბნები და კვლავ გაიშალა სოფლები თავისი შესანიშნავი ოდებით, მწვანე ეზოებით, ვარდებით, ბაბილოთი და მალღარებით.

მანქანა გაჩერდა ერთი ჭდეულის<sup>118</sup> წინ, ტყრუშულით იყო შემოღობილი; კონინდრით აბიზინებულ ეზოში იდგა მსხალი, აივნის სვეტზე კოპე იყო ჩამოკიდებული.

– განა საჭიროა აქაური პეიზაჟების აღწერა?

– აი, თვითონ ანას ლექსი:

„თოვლი აჭარა-გურიის მთების,

ჩემეულ მთათა...  
მცირე წისქვილი გუბაზოულზე,

ჩემს ეზოს კართან...  
წყავის ფოთოლი, ნამს რომ ფრთხილად

ინახავს თრთოლვით...  
თოვლი აჭარა-გურიის მთების,

ნისლი და თოვლი...“

– აგერ, აგერ კოპე<sup>119</sup>, – კვლავ ლელა ალაპარაკდა:

„აკაცის ტევრი...  
წნელის სუსტი ღობე...  
ქუდმოხდილი ქვევრი...  
ღვინიანი კოპე...  
აქ, მზით დამწვარ ხელში  
ღვინიანი ჭიქა...  
იქ – ცარიელ ქვევრში  
დამწყვდეული ჭინკა...  
პაპის მონაცემი,  
მარად საოცნებო,  
კარ-მიდამო ჩემი  
დამილოცეთ, ძმებო !“

– დალოცეთ, ბატონო, ანას ნაფუძარი!

შემოესმა უცხად ლელას და მიიხედა ჭიმკრისაკენ. თეთრმანდილიანი ქალი იდგა, საღვინით და ჭიქით.

– ვიცი, არ დაყოვნდებით, დაულოცავი მაინც არ წავიდნენ-მეთქი და ღვინო ალაგზე მოგართვით.

სახეგაზადრულმა მინდიამ მაღლა ასწია ჭიქა და დაილოცა გულით, სულით.

– დასალოცია ეს სახლი, ეს სოფელი, მხარე, ჩოხატაური<sup>120</sup> და გურია თუნდაც იმიტომ, რომ მან ანა მოგვცა...

ბიჭებმაც არ იუარეს, სიამოვნებით დაილოცნენ თითო ჭიქით, ლელამ კი გადაშალა ანას წიგნი და კიდევ

რამდენიმე ლექსი წაიკითხა. ვეღარ უთხრეს უარი და ეზოში გადავიდნენ. იქ, ხის ჩრდილში, მინდია ენად

გაიკრიფა.

– დალოცეთ, ბატონო, ანას ნაფუძარი!

შემოესმა უცხად ლელას და მიიხედა ჭიმკრისაკენ. თეთრმანდილიანი ქალი იდგა, საღვინით და ჭიქით.

– ვიცი, არ დაყოვნდებით, დაულოცავი მაინც არ წავიდნენ-მეთქი და ღვინო ალაგზე მოგართვით.

სახეგაზადრულმა მინდიამ მაღლა ასწია ჭიქა და დაილოცა გულით, სულით.

– დასალოცია ეს სახლი, ეს სოფელი, მხარე, ჩოხატაური<sup>120</sup> და გურია თუნდაც იმიტომ, რომ მან ანა მოგვცა...

ბიჭებმაც არ იუარეს, სიამოვნებით დაილოცნენ თითო ჭიქით, ლელამ კი გადაშალა ანას წიგნი და კიდევ

რამდენიმე ლექსი წაიკითხა. ვეღარ უთხრეს უარი და ეზოში გადავიდნენ. იქ, ხის ჩრდილში, მინდია ენად

გაიკრიფა.

აი, თითქმის ოცდაათი წელია მას შემდეგ, რაც ანას ჩვენი უნივერსიტეტის რექტორის კაბინეტში შევხვდი. უფროსებს შორის განაბული, შეშინებული, დიდთვალება შვლის ნუკრსა ჰგავდა. თვალს აცეცებდა, იქნებ სადმე ქაშანი ჩანდეს, გავსხლტე და აქაურობას გავეცალო.

ანას რვეული ედოთ და მის ლექსებს კითხულობდნენ. ზოგი რას ამბობდა, ზოგი რას.

იგი ხმას არ იღებდა. ზოგჯერ ოდნავი ღიმი გადაჰკრავდა, თითქოს ამბობდა: „რას ამბობთ, მაგის თქმას არც ვაპირებდიო“. მე მაშინ გამაოცა ამ პატარა, შავთვალა გოგონას ახალმა საკუთარმა ხმამ.

არ ვიცი, ანიკოს რა შერჩა მეხსიერებაში ამ დღიდან, მაგრამ მე გულში ჩამრჩა კდემამოსილებით სავსე, მორცხვი, ჭკვიანთვალეზიანი ახალგაზრდა ქართველი ქალი.

დღეს მიხარია, რომ იმ ანკარა წყაროს, რომელსაც ასეთი დიდი სიხარული მოაქვს, სათავეებში შევხვდი. იმ სათავეიდან, აი, თითქმის ოცდაათი წელია, მოჩუხჩუხებს ეს წყარო და თავის ვერცხლისფერ მორევებში მზის სხივებს მარგალიტის მძივებად ამსხვრევს. თავის უშუალობითა და სისპეტაკით ანას პოეზია წააგავს იმ წყაროებსა და მდელოებს, რომლებიც მას არაერთხელ დაუხატავს ფშაურ ციკლში.

ავიღებ მის ტომეულს, გადავშლი და თვალწინ დამეფინება მთის მდელო თავისი კესანეთი და პირიმზითა, ლაშქართი და კენკეშათი, უკადრისათი და მაჩიტათი...

და მოგწყურდება ის წყაროები, მოგსურვდება, აავსო „მადლიან ბუერას“ „ლამაზი ფოთოლი“ „უკვდავების წყაროთი“, მართლაც ბოლომდე შესვა ეს უკვდავება.



*თერჯოლის ძელქვა*



*ასე იწყება გაზაფხული ტყეში. რიკოთი*

ანას პოეზიაში საოცარია ის, რომ პოეტი მოულოდნელად დაგვხვდება ხან ვაჟას ფშავში, ხან ქართლის ცხოვრებაში, ხანაც ქართველი ხალხის სულის კანკალით შემოგანათებს, ჩაგწვდება მთელს არსებაში, მერმე თვალს მიეფარა ცუდისა და დიყის შალდამებში, მაგრამ სტრიქონთა წკრიალი, სურნელება მისი სიტყვისა და აზრისა მარად ჩაგრჩება სულში და გულში. არა მარტო წკრიალი და სინაზე ყვავილთა და მდელოთა, არამედ მოქუფრული ცის ელვაც, კლდეთა გრგვინვა და ქუხილიც... თუმცა არც ამ კლდეებს ერიდება და გიწვევს მათკენ!

ანას ბილიკმა შეიძლება კლდეებზეც გადაიაროს, ხევხუვებშიც, ჭიუხებშიც, მაგრამ ყოველთვის სწორი, პირდაპირი და ნათელია, რადგან იგია ჭეშმარიტი პოეზია. ამიტომ არც გამკვირვებია, რომ „ლუდით შემთვრალ თორღვას“ შემდეგ (თორღვასი, რომელმაც უთხრა: „ისე მიცნია შენი ყოველი სუნთქვა, როგორც კალმახი ვიცი ასაის წყალში“) ჩვენი ჟურნალების ფურცლებზე გამოჩნდა ანას გიშრის კრიალოსანი თუ კესანესა და იის ყვავილთა გალა. ეს ციკლი თითქოს არა ჰგავს მის წინა ციკლებს, მაგრამ ჩაუკვირდები და მიხვდები, რომ უშუალო გაგრძელებაა მათი.

და ეს ახალი ციკლი ისე ჟღერს, ვითარცა ფსალმუნი და ჩანგის სიმი, რადგან იგია უნაზეს გრძნობათა სადიდებლად ამოკვნესილი, მასში კანკალებს ლოცვა სულისა, ტკივილი გულისა, სიყვარული მოყვრისა, რწმენა თავისი ქვეყნისა და მომავლისა.

ფსალმუნია-მეთქი და „შენ ხარ შროშანი მშვენიერი!“ დაიწკრიალა სულში ფსალმუნის სტრიქონმა; შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ ანას ლექსების ახალ ციკლს ხშირად ამშვენებს სწორედ „შროშანი“.

– მართალია, ბატონო, ეს სახლი პირდაპირ ანას სახლი არაა, მაგრამ ხიდისთავში ყველა სახლი განა ანას სახლი არაა?

– აბა, ვისი სახლია?

– ანას სახლია, ბატონო, მაგრამ, არა პირდაპირ, აგერ, მისი სახლი ზევითაა.

– ??

– ნუ გიკვირთ, ბატონო, აქ ყველა სახლი მისია.

– მართლა საკვირველიც არაა, აგერა კოპეც, ჭინკაც ქვევრში.

– კიდევ თქვით, ბატონო, ანაზე რამე. გული მიხარის, რომ მასზე ასე ლაპარაკობთ, – თქვა მასპინძელმა.

აი, მეორეც წერილიც, – წამოიწყო ახლა ერეკლემ.

როდესაც ანა კალანდაძის ლექსების წიგნი მიჭირავს ხელში, მდელი მაგონდება, ათასნაირი ყვავილებით დამშვენებული, რომელსაც დილის ნამი აქვს მოპკურებული, ანას ლექსები კი, მგონია, ცისკარზე პირიმზის ყვავილის ფურცელზე მარგალიტის მძივად ასხმული აკრეფილი ცის ნამია.

განა არ ელავს ალმასის თვალის თვალის ყოველი ლექსი, ფშავის თემებზე დაწერილი?

რამდენჯერ წამიკითხავს, რამდენჯერ მომისმენია და ყოველთვის მომგონებია ჭაბუკობა, ახალგაზრდობა, როდესაც არა მადარდებდა რა, როდესაც გული ცდილობდა, დაეკლილიყო სიყვარულის სიმღერად.

მისი ლექსის სიმშვენიერე და მადლი იმაშია, რომ, ვაჟასი არ იყოს, ერთი-ორი სტრიქონით დახატავს სურათს, აღწერს ბუნებას და მერე შენ მოგანდობს ფიქრთა სავალად:

*„მადლიანი ხარ, ბუერავ,*

*მთას მჯდარო ფეხებმორთხმითა,*

*მთის წყალი დამალევიანე*

*შენი ლამაზი ფოთლითა.“*

და მოჩანს ბუერას ფოთლებს იქით მჩქეფარე ნაკადული, ტყე და მდელი, ჩვენი ხალხი და მთელი სამშობლო.

მიუხედავად უდიდესი ლირიზმისა, რომელიც საერთო დაუშრეტელი საუნჯეა, ანა ყოველთვის ხედავს სამშობლოს, მის ხალხს, მის ხასიათს:

*„– რაისთვის აქებ ქისტებს, ბერდიავ,*

*მის ვაჟკაცობას, ძალას და სიმხნეს?*

*მიწა უვსიათ მათ ხევსურთ ძვლებით.*

*– რას ამბობ, ქლავ, ვაჟკაცებ იყვნეს.*

*– ამლას გაწყვიტეს ბრგე ვაჟკაცები,*

*ახილაში უზომო ხოცეს...*

*– რას ამბობ, ქლავ, ვაჟკაცებ იყვნეს.*

*– რა ვიცი... ღმერთმა მშვიდობა მოგვცეს.“*

დაუძინებელი მტრის ვაჟკაცობასაც კი არ დაკარგავდა ჩვენი კაცი და ამით მომძის სულში ვაჟკაცობის ნათელს ჩაღვრიდა. სწორედ ამ გრძნობამ ათქმევინა მოყმის დედას:

*„ხან იფიქრებდა: უდედოდ გაზრდა ვინა თქვა შვილისა.*

*იქნება ვეფხვის დედაი ჩემებრ დღე და ღამ სტირისა,*

*წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ უთხრა ჭირისა.“*

ეს ხომ უშესანიშნავესი ნიმუშია ადამიანობის და ვაჟკაცობისა.

ამიტომ, რომ ანას სათუთად ახსოვს ლადო, ლადო – უდროოდ ჩამქრალი ჩირაღდანი ქართული პოეზიისა, ლადო– სინათლე ქართული სულისა და გულისა.

„მე ასე მწამს, ერთი ნაძვის ძირას,

ყაყაჩოში საუკუნოდ ჩაგეძინა,

ჩაგეძინა სიყვარულით ანაჩრდილებს...

არა, ლადო, აღარ მოვწყვეტ ყაყაჩოებს...“

დიახ, იმ ყაყაჩოებს, რომელიც ლადოს ასე უყვარდა:

„ჰეი, თქვენ, არაგველებო, გაუმადლარნო ომითა,

თქვენს საფლავებთან მოსვლა და მუხლის მოდრეკა მომინდა.

შავროხიანო ვაჟკაცო, ჭრილობა ხომ არ შეგხსნია,

ეგ სისხლი არის, თუ მართლა ყაყაჩოების ცეცხლია.“

უკვდავია ყველა ის მწერალი, ვისაც ფესვები გამჯდარი აქვს ხალხში, ეს ხალხურობა თავისებურად კიაფობს ანას ლექსის სტრიქონებში:

„ ნისლაურო, ნისლი ხარო.

გამიქრები: მზისი ხარო...

მე არაგვზე დავრჩებოდი,

მაგრამ რა ვქნა, სხვისი ხარო.

როცა ახლოს ვერა გხედავ,

ჩემი გულის შიში ხარო,

მაგრამ კლდენი არ გამწირვენ,

არწივების შინში ხარო...“

აი, ამიტომ გვახარებს ანა თავისი იშვიათი მარგალიტებით, მარგალიტიც ხომ ასე იშვიათია ბუნებაში.

– იქნებ ამიტომ ასე იშვიათად და მცირე ტირაჟით ბეჭდავენ ანას ლექსებს!

– ლადო ასათანის ლექსებივით, არა?

– ლადო ანას იცნობდა?

– ანა ჯერ ახალგაზრდა იყო.

– მოვიგონოთ ეგნატეც, ნინო ნაკაშიძეც, დიდი მოღვაწე და ბავშვების დიდი მოამაგე!

– ეგენი გვახსოვს, არც დაგვაფიწყდება, ნოდარზე ვისაუბროთ.

– ნოდარი სხვაა, იგი თანამედროვე პროზის განსაკუთრებული მოვლენაა.

### დაილოცოს

მანქანა გასცდა ანას უბანს.

– შევისვენოთ სადმე, სანამ ნოდარის სახლს ვნახავდეთ, აღვადგინოთ მისი პორტრეტი, – ეს მინდია იყო.

ერთი ხის ჩრდილში შეისვენეს. ვახტანგი და ერეკლე ჩურჩულებდნენ, რაღაც ლელასაც გადაულაპარაკეს და გაიბა საუბარი:

– ლევ ტოლსტოი დიდი მწერალია, ხომ?

– არის.

– ვინ თქვა, ჩეხოვი პატარააო?

– ვერც იტყვიან.

– ჰიუგო დიდია, ხომ?

– ბუმბერაზია!

– პროსპერ მერიმე პატარააო, იტყვის ვინმე?

– ვერავინ.

– ვაჟა დიდია?

– დიდია!

– იტყვის ვინმე...

– დაიცა, არაა საჭირო მეორის დასახელება.

– მაშ, რაღას ერჩით ნოდარს?

– ვინ რას უშავებს?

– მწერლის დანიშნულება, შენი აზრით, რაა?

– გაახაროს ადამიანი, გააღვიძოს მის გულში სიკეთე, თუ იგი მიფერფლილია. შეგაყვაროს უფრო მეტად სიცოცხლე, გაგიმტკიცოს რწმენა, რას უნდა მოახმარო შენი სიცოცხლე...

– სულ ეგაა? აბა, მეც ვიტყვი, დაგანახოს ის, რასაც დღემდე ვერ ხედავდი შენ გარშემო, წარსულში და მომავალში...

– კარგია!



- ნოდარის ყოველი ნაწერი ხომ ასეთია?
- კი არის, მაგრამ ზოგში...
- რა ზოგში? ყველაფერს ხომ ერთ ნაწარმოებში ვერ მოგცემს, ზოგში ერთია, ზოგში მეორე, მესამეში ორივე...
- საკმარისი არაა?

ლელა მიბრუნდა და ჩანთიდან ამოიღო პატარა ფორმატის წიგნი.

- აი, - გაშალე წიგნი, - მართალია, ერთი კიდევ ზოგ რამ სასიკეთოს ამბობს, მაგრამ მეორე თავის წერილის სათაურითვე ძირფესვიანად თხრობს: „აუხდენელი სურვილებიო“. ჯერ ერთი, საიდან იცის, რომ ნოდარს ის სურვილი არა ჰქონდა, რაც დაწერა, და მეორე, რაც დაწერა, ერთი წიგნისთვის საკმარისი არაა? იბრძოლო მშვიდობისათვის და დედამიწის უმაღლეს წერტილში აიტანო მშვიდობის დროშა, იქ ააფრიალო და მოუწოდო ქვეყანას - იბრძოლო, იბრძოლო მშვიდობისათვისო, ცოტაა?

- არ ვიცი, ღმერთმანი?!

- ტოლსტოის „ანა კარენინა“ დიდი ნაწარმოებია, ხომ?

- უჭკველად.

- განა ვინმემ „აღდგომა“ ან „ცოცხალი ლეში“ უკუაგდო?

- კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის“ შემდეგ არავის უარუყვია „მთვარის მოტაცება“.

- ჩემი აზრით, უბედურება იქნებოდა, რომ მწერალს ყველა თავისი ნაწარმოები ერთნაირად ერთ დონეზე ეწერა.

- მწერალი მარგალიტის მაძიებელსა ჰგავს. ზღვის ფსკერზე ეძებს ნიჟარებს, ზოგ ნიჟარაში პატარა მარცვალაა, ზოგში - მოდიდო, ზოგჯერ დიდსაც იპოვის, ჩიტის კვერცხის ოდენას, და სხვა მარგალიტებს შორის თხილის სიმსხო მარგალიტიც რომ ბრწყინავს, საკმარია, ჯობიან რამდენიმე, მაგრამ...

- კი მაგრამ, რა გინდა მაგით თქვა?

- ის მინდა, რომ თუ მწერალს ღვთის მადლი აქვს მინიჭებული, მისი ნაწერი მარგალიტია, დიდიც და პატარაც, მით უმეტეს, თუ მისი ნაწერი ადამიანს სიხარულს ანიჭებს, სიკეთეს უღვიძებს.

- სწორედ ეგაა მთავარი.

- ნოდარის ისაა კარგი, რომ იგი ერთმანეთის გვერდით დაატარებს სიბოროტესა და სიკეთეს, ნათელსა და ბნელს, ბინძურსა და წმინდას და...

- და ბოლოს ხელში გრჩება სიკეთე, ნათელი, სუფთა და კრიალა. იგი არ ერიდება ბოროტის ჩვენებას, ამით ის გვაფრთხილებს და, როცა სიკეთე იმარჯვებს, სულიც გისპეტაკდება, გინათლდება, ესა ყველაზე ძნელი ხერხი კეთილის თესვისა. ის ძალიან ბევრი მწერლისაგან განსხვავდა სწორედ ამ თვისებით, სხვანი თუ ან ბოროტებას, ან სიკეთეს აღწერენ და გვაჩვენებენ, ნოდართან სრულიად სხვაა. პირველად გემინია, რომ ბოროტებამ არ იხეიძოს, სწორედ ამიტომ, რომ სიკეთე ასე უხმაუროდ, მაგრამ ძლიერად იმარჯვებს. ასე არ არის „თეთრ ბაირაღებში“? და როდესაც ჯომოლუნგმაზე ზაზა დგას გამლილი დროშით, თვალწინ მიდგას ნოდარ დუმბაძეც, თავისი კეთილი ღიმილით, რომელშიც მოყვასისადმი დაუსრულებელი სიყვარულია ჩაქსოვილი. ამავე დროს გული გეკუმშება, რომ წარმოიდგენ, ხომ შეიძლებოდა, ამ ღიმილისა და სიყვარულის პატრონი დაღუპულიყო იმ ბოროტების მორევში, რომელსაც შეეძლო, ჩათერია და შთაენთქა, ნოდარ დუმბაძემ იცის, რომ ადამიანში ჩასახული კეთილი საწყისი აგრე ადვილად არ კვდება. შეიძლება უკუნეთ ღამეში მოხვდე, მაგრამ შორს ხედავდე ოდნავ მოციალე შუქს და იქითკენ მიისწრაფოდე. რამდენ ნაბიჯსაც გადადგამ წინ, იმდენად ეს შუქი გაიზრდება, შეიძლება მცირედად, მაგრამ მაინც გაიზრდება, და, თუ ვაჟკაცური საწყისიც არის, მაშინ მეორე ნაბიჯი უფრომ მტკიცეა და ბოლოს გახვალ განათებული ცხოვრების დიდ ველზე, ამაყად ასწევ თავს, მაღლა მზეს თვალს გაუსწორებ და გადაივლი.

განა ასეთი უკუნეთი არ იყო ეს გარემო, რომელშიც ზაზა მოხვდა? მაგრამ იგი ხედავდა ნათელს თავისი ერის მომავლში და იქითკენ გასწია, გასწია და გაიმარჯვა.

განა ეს არ არის უდიდესი გამარჯვება გმირისა და მწერლისაც? ყველაზე ძვირფასი ისაა, რომ მას აქვს იმედი და განა ყველა მისი რომანი არ არის ამ იმედის, დიდების ჰიმნი? ბოროტისა და სიკეთის ბრძოლა, სადაც სიკეთე იმარჯვებს?

ციხის ერთ კამერაში შეკრებილი ცხრა თუ ათი ბოროტმოქმედის ხასიათია გამოვლინებული თითო-ოროლა შტრიხით, მოთხრობილია ის სიაკვაცენი და ბოროტებანი, რომელიც შეიძლება შეეჩეხოს თანამედროვე ადამიანს, რომელთაც შეუძლიათ, ჩაითრიონ იგი. მყისვე თქვენში იღვიძებს გრძნობა, რომ მათ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა უნდა გამოუცხადოთ. ამიტომ ეს ბოროტება, მისი საწყისი და რაობა ყოველმხრივ უნდა შევისწავლოთ. ნოდარიც ასე იქცევა. ეს ლმობიერებით სავსე ადამიანი, სიკეთით სავსე გულის პატრონი სწავლობს ამ ბოროტებას მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ძირფესვიანად მოსპოს.

- სიკეთეც სწორედ მაგაშია, რომ საერთო სიცოცხლის სიკეთისათვის მოსპო ის, რაც მას ხელს უშლის, ესაა სწორედ ჭეშმარიტი ადამიანური საწყისი.

– დიახ, სწორედ ეგაა, – ჩაერთო ამ კამათში მინდია, რომელიც გულდასმით ისმენდა ახალგაზრდების საუბარს – ვახტანგისას და ერეკლესას.

– მართლა, მინდია ბატონო, შენ ხომ კარგად იცნობდი და იცნობ ნოდარს, გვითხარი რამ მის შესახებ და ჩვენც გაგვიადვილდება საქმე.

– მისი ნაწერები, როგორც ჩანს, თქვენც კარგად შეგისწავლიათ, აი, ეგ არის ნოდარი, კეთილი, ჭკვიანი, გონებამახვილი და ქვეყნად სიკეთის მთესველი. მე გამიხარდა და მიხარია ის, რომ ნოდარის გმირებზე ასე თავისუფლად ლაპარაკობთ, არჩევთ. მაშასადამე, ნაწარმოები გულში ჩამწვდომია, თანამედროვე მწერლებიდან ეს სიკეთე ბევრს როდი გააჩნია.

– ეგ მართალია, მაგრამ ის ხომ შენს თვალწინ გაიზარდა, ჩვენ გვინდა, მასზე მეტი ვიცოდეთ, ვიდრე ვიცით. ასეთ რამეს ბევრზე არ მოგთხოვთ. ზოგი მწერლის პირველ სტრიქონს რომ წაიკითხავ, იცი, ბოლოს რა იქნება. მინდიას სიამოვნებით გაელიმა, ალბათ, გაუხარდა, რომ ასე ჩახედულნი იყვნენ საქმეში. ის-ის იყო, უნდა დაეწყო, რომ გიორგი ჩაერია საუბარში.

– წელანდელ ნათქვამს ისიც დაუმატეთ, რომ ზაზა ბრდღვიალა ახალგაზრდაა. ეს სინათლე შინაგანი გამოსხივებაა. იგი ვერ დაიტანა ბრალდების სიმძიმემ, ეს ბრალდება ხომ უზარმაზარი ლოდივით დააწვა მას, სხვა შეიძლება გაეჭეჭყა, გაესრისა, მაგრამ არა, ზაზა ვერ გასრისა, მიუხედავად იმისა, რომ ირგვლივ ბოროტება თითქმის მეტი ჩანს და კეთილი ცოტა, ეს ცოტა, რაც არის, მზესავით ბრდღვიალებს. რად ღირს დედის პორტრეტი, სულ რამდენიმე ყალბით მოხაზული, რა სათნოა, რა დიდებული და მუ ვეფხვივით მებრძოლი შვილის გადასარჩენად. ორი ყალბის მოსმით მოხაზო გმირი, რომ მას ადარებდნენ ნესტან-დარეჯანს, ზეინაზს ან ოთარაანთ ქვრივს, მხოლოდ დიდი ნიჭის და უნარის მწერალს შეუძლიან. ასევე ჩანს გამომძიებელი ხელამე, რომელსაც სიმართლე ყველას ურჩევნია, მინისტრი, როსტომი და სხვანი, და, საერთოდ, ხატვის ლაკონურობა ეს უდიდესი ნიჭი უხვად აქვს მიმადლებული ნოდარს. ამავე დროს, მიაქციეთ, ალბათ, ყურადღება იუმორს, რომელიც მთელ ნაწარმოებში ბრწყინავს და ელავს, მაგრამ ესაა ისეთი იუმორი, რომელიც წყლულად არავის აჩნდება, არამედ ჰკურნავს; სიკეთეს კიდევ უფრო აღვივებს. აბა, მოიგონეთ ილიკოსა და ილარიონის გაქილიკავება ან გაცურება ერთის მეორეს მიერ, ცარიელი ქვევრი, ქვევრის თავზე საუბარი და ერთმანეთისათვის კეთილი სიტყვის თქმა. ასეთი სიკეთით სავსე იუმორი ხომ არც ერთ ჩვენს მწერალს არა აქვს. ზოგისა და ზოგის იუმორის ყოველი სიტყვა გასროლილი ისარია, აქ კი შეიძლება მტრედის ფრთასავით შეგეხოს, რათა გამოგაფხიზლოს, თვალი გაგახელინოს. ამ ორ იუმორს შორის რომელია უფრო საჭირო, ძნელი სათქმელია პირველმა შეიძლება ისე დაგჭრას, ვერც კი მოიშუშო ჭრილობა, მეორე შეიძლება შეგეხოს, მაგრამ სატკივარი ვერ მოგიშუშოს. მიუხედავად ამისა, ნოდარის იუმორი უფრო ჰუმანურია, რადგან თვითონ ნოდარი დაუშრეტელი წყაროა ჰუმანურობისა. ჯერჯერობით მეტს ვერას გეტყვით. ეს მხოლოდ იმიტომ გითხარით, რომ არ დაივიწყოთ...



*რიკოთის ტყეში წაბლი ყვავის*

– ჰოდა, ნოდარი პირველკურსელი სტუდენტი იყო, როცა შევხვდი, – განაგრძო მინდიამ წელან დაწყებული თხრობა, – ახლაც მახსოვს თვალეზუქუნა, ემშაკობით სავსე მისი გამომეტყველება. „მერე რა? შენი სულაც არ მეშინიანო“, – თითქოს ამბობდნენ მისი თვალები და სწორედ ამან გამათამაშა: ხელი მოვხვიე, მკერდისაკენ მოვიწიე, ვიცოდი, ობოლი ბიჭი იყო, ჩაცმულობაზე ეტყობოდა, მაგრამ გამომეტყველებაზე – არა. თვალს რომ მზეს უსწორებდა, აი, სწორედ ეს მახარებდა. „სტუდენტთა ახალგაზრდა მწერლებში“, როგორც თავის წრეს დააქვეს, არ ყელყელაობდა – გინდა თუ არა, პირველი ვარო. არა, მაგრამ არც უკან დგებოდა: მე ნოდარი ვარ და ესეც მეყოფაო, – თითქოს ამბობდა.

მას შემდეგ გავიდა ოცდაათი წელი და გამოჩნდა, რომ მას მართლაც ეყო ის, რომ ნოდარი იყო. და დღეს ხომ გამორჩეული ნოდარია.

წრეში მართლაც ყველაზე ახალგაზრდა იყო, გული ყელთან ჰქონდა მოზგენილი; მე მინდოდა, სწორედ ეს არაბული ცხენებით ფიცხი ხალხი, პირველ რიგში, ურთიერთისათვის სიმართლის თქმას შესწავოდა, პირველად ყველა ვერ იტანდა მას, მაგრამ ნოდარს ყოველთვის ღიმი გადაჰკრავდა, თვალები აუჭუჭუნდებოდა, ცოტა ხნის შემდეგ კოპებს შეიკრავდა და იტყოდა: „კარგი, ვნახოთ“. ვგრძნობდი, რომ გულში თქვა. თვითონ ნოდარის შენიშვნას ყველა უხმოდ ისმენდა, არ ცხარობდნენ, საყვედურით თავს დაუქნევდნენ. ამ ბიჭს მაშინვე ჰქონდა რაღაც შინაგანი სითბო, თითქოს ნალვერდული უძევს მკერდში და ის გამოასხივებს, ის გზავნის სინათლის სხივებს.

პირველად ლექსით მოვიდა – „საქართველომ ამამღერა – დაილოცოს!“

შეიძლება ლექსი არ იყოს, როგორც ახლა იტყვიან, დიდი ჟღერადობისა, მაგრამ ამ ლექსის წაკითხვის შემდეგ, წლის ყოველი სხდომის დაწყების წინ, ხან ერთი წაიმღერებდა, ხან მეორე:

„და თუ ვინმემ ვერ გაიგოს ეს სიმღერა,

და ეს ჩემი სიყვარული გაიოცოს,

უთხარი, რომ საქართველომ ამამღერა – დაილოცოს!“

ახლა მეორე მხრიდან გამოეხმაურებოდნენ მისივე ლექსის სტრიქონით:

„ჩემი დედა, ჩემი ტკბილი საქართველო დაილოცოს!“

და ასე თანდათანობით ტკბილად საუბრობდნენ დიდხანს, შუალამედე და რომ მოდიოდნენ, მაშინაც წაიმღერებდნენ. და გზას ცხოვრებისაკენ თვითონ ილოცავდნენ ნოდარი და მისი უახლოესი თანამეინახენი: არჩილ სულაკაური, თენგიზ ბუაჩიძე, ზურაბ კაკაბაძე, ზურაბ ჭუმბურიძე, თამაზ ჭილაძე, მუხრან მაჭავარიანი, აკაკი გეწაძე, რევაზ ინანიშვილი, ნაზი კილასონია, მაგალი თოდუა, თამაზ ჩხენკელი, ტარიელ კვანჭილაშვილი, შოთა ნიშნიანიძე და სხვანი. ყველას ერთმანეთს იმედი გვქონდა და გვიყვარდა ერთმანეთი. ამ ახალგაზრდობის დაუდევარ, ბობოქარ ყოფაში ნოდარი წყნარი და ადრე დადინჯებული ჩანდა. იქნებ ამიტომ უყვარდათ ასე ძლიერად, ერთი კია, ძალიან უხაროდათ მისი მოსწრებული სიტყვა-პასუხი, რომ გვეკითხა: „ნოდარ, საიდან იცი ამდენი?“. გიპასუხებდა: „თქვენ ლაპარაკობთ ასე, მე ვიხსომებ და, როდესაც გეტყვი, თქვენვე გიკვირთ, საიდანო“.

მე თვითონ შევესწარ, ერთ სამეცნიერო დაწესებულების წინ ორმოციოდე აკადემიკოსი და პროფესორი იდგა, საუბრობდნენ. ამ დროს მოვიდა მეუბოვე, იეზიდის ქალი, რაღაც უთხრა ერთს... ცოტა ხნის შემდეგ მისი წამომახილი მოგვესმა: „ამოდენა და ამისთანა შეუგნებელი ხალხი არ მინახავსო“.

ნოდარი იქვე იდგა და გულიანად გაეცინა. სული რომ მოიბრუნა, მითხრა: „ეს რომ მე ვთქვა, ან დავწერო, არ დაიჯერებთო“.

მართალია, ეს მთელი თავისი შემოქმედებით ხალხთან არის დაკავშირებული, ხალხის გულით ფეთქავს. ეს მაშინვე დავინახეთ, როდესაც ზედიზედ გამოვიდა მისი ორი შესანიშნავი წიგნი: „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და „მე ვხედავ მზეს“.

– განა ამ მხრივ ნაკლებია მისი „მზიანი ღამე“, „თეთრი ბაირაღები“, „ნუ გეშინია, დედა“?

– განა დაავიწყდება ვინმეს „მე ვხედავ მზეს“ პატარა გმირების, სოსოს და ხატას, წასვლა სოფელში სოსოს მამის ტანსაცმლის გადასაცვლელად სიმინდზე? მათი შეხვედრა ქართველ გლეხებთან ბაბილოსთან, რომელმაც მამაშვილურად მიიღო პატარა მგზავრები და მეორე დღით სიმინდით დატვირთულ სტუმრებს თავიანთი ნივთები ისევ უკან დაუბრუნა.

აქ მოხდა დიდი ადამიანური, თუ გნებავთ, წმინდა ქართული ამბავი. აი, სწორედ ამ თვისებამ – გაჭირვებაში ერთმანეთის გატანის უნარმა – გაგვამღებინა ჩვენი ცხოვრების გრძელ გზაზე: როცა ჭირდა, ბალდი ვაჭკაცის ადგილზე დგებოდა, ხანში შესული სხვის შვილს საკუთრად თვლიდა.

ეს თვისება ნოდარმა სრულიად პატარა, თითქოს უმნიშვნელო ეპიზოდში დაგვანახა. ზრუნვა ოჯახზე, სიამაყე, თავმოყვარეობა (სოსო), ხალვათი გული (ბაბილო), მადლობის დიდი გრძნობა მცირე სიკეთისთვისაც (ხატია).

მთელი ჩვენი ისტორია ქართველი ხალხის ურთიერთშევრდომების ისტორიაა. ბარი აოხრდებოდა, მთა შეივრდომებდა, ქართლი აოხრდებოდა, ჯერ მესხეთი, შემდეგ ტაო-კლარჯეთი და ბოლოს გურია შეიფარებდა.

– როდესაც ქართულ ხასიათზე ვლაპარაკობთ, ალბათ, უნდა გამოვყოთ ის ღრმა და ძლიერი, რამაც ერი შეინახა, არა? – ჩაერია ერეკლე.

– რასაკვირველია. აი, თუნდაც ავიღოთ ნოდარის ახალი მოთხრობა „კორიდა“. ბევრი ვიცი კარგი რომანიც და მოთხრობაც, რომელშიც გმირები აუჯანყდებიან კორიდას. რად ღირს თუნდაც ჯეკ ლონდონის შესანიშნავი მოთხრობა „ჯონ ხანრედის უგუნურება“, თუმცა მას სათაურად „ჯონის გაცოფება“ უფრო შეეფერებოდა. იგი კორიდას ესწრებოდა ფრიად მაღალ საზოგადოებასთან ერთად (პრეზიდენტი, გენერლები, მაღალი წრის ქალები). ჯერ თითქოს ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა, მაგრამ ჯონმა ვეღარ აიტანა ხარის და ცხენის უბედურება და უცბად გადაირია, გაცოფდა, აჯანყდა. ჯერ მუშტით და მერე იმ თოფით, რომელიც ჯარისკაცს

წართვა, მიხოც-მოხოცა კორიდაზე მისულები და საბოლოოდ მის მიერ და სხვათა მრავლად დახოცილს ჯონიც ზედ დააკლეს.

სულ სხვაა ნოდარ დუმბაძისა და მისი გმირის აჯანყება. ეს არის ქართველი კაცის აჯანყება და არა ყველა ქართველის, არამედ მხვინელ-მთესველის, გუთნისდების აჯანყება, მათი, ვინც თავისი მარჯვენით ჩვენი ქვეყანა აქამდე შეინახა. ვინც იცის, რაა ხვნა-თესვა. ისინი აჯანყდნენ არა მარტო იმისთვის, რომ უმწეო ცხოველი უთანასწორო ბრძოლაში დაიღუპა, არამედ ქვეშევრეულად იმიტომ, რომ იღუპებოდა არსება, პირუტყვი, რომელსაც ქართველმა გლეხკაცმა რქაზე წმინდა სანთელი დააკრა და აანთო. აი, ყური უგდეთ, რას ამბობს ქართველი ხალხი:

*„ადამიანის შენახვა ვერავინ იდო თავზედა,  
ხარმა თქვა, პირით ნაქებმა: მე დამაწერეთ რქაზედა.  
მისცვივდნენ ანგელოზები, დაჰკოცნეს ორთავ თვალზედა,  
ჩამოქნეს წყვილი სანთელი, დააკრეს ორთავ რქაზედა,  
წადი, ხარო, იმუშავე ერთგულად მთა და ბარზედა.  
ვინც კვირა-უქმე შეგაბას, მკლავი შეახმეს მხარზედა.“*

მართალია, დათოც და ავტორიც დაშორდნენ მიწას, მაგრამ მიწის სიყვარული, ხარის პატივისცემა სისხლში აქვთ გამჯდარი, აი, სწორედ ამითაა ნ. დუმბაძე უაღრესად ეროვნული, ეს ეროვნული მასში კი არ ყვირის, არამედ მისი სისხლი და ხორცია. სწორედ ამიტომ გადააბიჯა მისმა მოთხოვნებმა ჩვენი ქვეყნის საზღვრებს და შეიყვარა იგივე ჩემსაც, რუსმაც და ინგლისელმაც, უნგრელმაც და ფრანგმაც. ეს სიყვარული ძლიერია სწორედ ეროვნული საფუძვლით, რომელზედაც აშენდა და შენდება საკაცობრიო იდეალები.

– გარდა ამისა, ჩემი აზრით, – ჩაერთა ერეკლე, – მისი სიძლიერე მის ჰუმანიზმში და სიცოცხლის სიყვარულშია. სხვადასხვანაირად სცილდებიან სიცოცხლეს ბებია, „დიდრო“, გუდული, სპირიდონი და სხვანი, მაგრამ ყველა მათგანის დაცილებაში თითქოს დგინდება სწორედ სიცოცხლის საფუძველი, რამდენიც არ უნდა იჭორაონ ზოგ ადამიანზე: იგი დებილია, ადამიანური მასში არაფერიაო, მართალი არაა. ყოველ ადამიანში, რაც არ უნდა დებილი იყოს, სადღაც, მის სულის სიღრმეში, მოიპოვება თუნდაც პატარა, ფარული კუნჭული, რომელშიც შემონახულია ეს ადამიანური საწყისი. სიკვდილის წინ „დიდრო“ ჩავარდა გულისყურში და მისთვის ყველაფერი განათდა, ყველაფერი დალაგდა, ჩადგა კალაპოტში, ხედავს ყველაფერს. და, აი, სწორედ ამ „განათების“ დროს იგრძნო, რომ კვდება და აჯანყდა, გაადამიანდა:

„რას შვები, ღმერთო? ახლა, ყველაფერი რომ გაანათე და მომართე, ყველაფერს თავისი ადგილი რომ მიუჩინე, ახლა მართმევ სულს? გაჩერდი, მე შენ გელაპარაკები, დადექ... ბიჭო, ნოდარა, თხოვე, ერთი ღერაა მაგისტვის, ერთი დღე მაცოცხლოს ასე ნათელი, დალაგებული და გამართული... მერე მომკლას...“ დიახ, „ერთი დღე მაცოცხლოს ასე ნათელი“, ე.ი. ადამიანადო. და ეს ადამიანობის დიდი სურვილი ჩანს ყველგან, ყოველ მის ნაწარმოებში, დიდია იგი თუ პატარა. განა ეს გაადამიანების სურვილი არ ჩანს მის პატიმრებში?

ბაბუა სპირიდონი სიკვდილის წინ შვილიშვილს არიგებს: მე რომ აღარ ვიქნები, ნურაფრის შეგემინდება, „მე ამ ქვეყანაზე ისევე შენთან მოვალ, მარტოდ არ დაგტოვებ და, თუ რამეში სითბო, სიხარული და სიყვარული იგრძნო, ქვაც რომ იყოს, იცოდე ის ქვა ბაბუაშენია“...

აი, უბირი კაცის უკვდავების სურვილი და საწყისი, ესეც ერის სულის სიმტკიცის საფუძველია.

„ეს ოდა არ მიატოვო და ღადარი არ გამიცხო, ცეცხლი, ერთი ნატეხი ჭადი და ერთი ღვინო დაახვედრე მამაშენს“. ყოველი გვერდი მისი წიგნის უეჭველად აღგიძრავს ფიქრებს სასიკეთოს, ადამიანურ, ქვეყნისათვის სასარგებლოს და შეიძლება, იმ დროს, როდესაც წერდა, ამ სიკეთეზე არც ფიქრობდა.

– ნამდვილი მწერალიც სწორედ ისაა, ვისაც სიკეთე დიდი ფიქრისა და აწონ-დაწონის შემდეგ კი არ მოსდის გონებაში, არამედ ბუნებრივად, თითქოსდა თავისდაუნებურად. და თუ ცოცხლობენ ხალხის გულში, სწორედ ასეთი მწერლები ცოცხლობენ. ნოდარიც მწერლობის იმ ჯგუფს ეკუთვნის, ვინც ხალხის გულში დაიბუდა საუკუნოდ. აი, ჩემი ამხანაგები, „ახალგაზრდობას“ რომ ემახით, – მიმართა მინდიას და გიორგის, – არავის ნაწერებს ისეთი სიამოვნებით არ კითხულობენ, როგორც მის ნაწერებს.

– ერთიც უნდა ითქვას. ნოდარ დუმბაძის სამი წიგნის სათაურში მზეა ძირითადი სიტყვა: „მზიანი ღამე“, „მე ვხედავ მზეს“ და „მზე“.

ნოდარისათვის მზე არის შემოქმედი, ის, რასაც ძველად „ღმერთს“ უწოდებდნენ, ასეც ხსნის ის.

– მაინც რა არის მზიანი ღამე? – ჩააცივდა მილიციელი.

– ღმერთი!

„იგი დილის 6 საათზე ამობრწყინდა და ოქროს ჯიდასავით დაადგა ერაცხუს მთას.

– გამარჯობა, ერაცხუ!

– სად ხარ, შემოქმედო, დავილიე შენს ლოდინში! – შესჩივლა ერაცხუმ“.

– „დაილოცოს შენი ძალა, შემოქმედო, – აღმოხდა მცინვარს და შუბლიდან ცივი ოფლი მოიწმინდა. მზეს გაეღიმა და ღვთიური თვალით გარშემო უთვალავი ნაოჭი გაუჩნდა.  
დაილოცოს შენი ძალა! გაიმეორა ერაცხუმ და წუთით გაყუჩდა“.

„– მზეს არ ეკადრება ეგ, მზე ხატია მზიანი ღამისა,“ – თან სასოებით ახედა მზეს...“ (მზე).

ეს შემთხვევითი არ არის. ნოდარისათვის მზე საწყისია სიცოცხლის, სიკეთის. ბრმაც კი ხედავს მზეს და ბედნიერია.

მართალია, ადამიანი განდიდებულია და ფიქრობს, მზეს მოერევა, დაშლის, მაგრამ მზეს მაინც ვერ სცილდება.

„ვინც ჩამავალი მზის მწვანე ნათელს დაინახავს, ბედნიერი იქნებაო, – ასე ამბობენ „ (მზე).

„დიდრომაც“ ხომ მზე დაინახა, ხატამაც და, რაც მთავარია, თვითონ ნოდარიც ხედავს მზეს. დიდროს ჰყავს წინამორბედი, ბეჟანა („მე ვხედავ მზეს“) თითქოს მთლიანად მისი ორეულიაო. წაბლს ბურძგლას ბეჟანივით დიდროც ფეხით აცლის, მაგრამ განსხვავდება და მკვეთრადაც განსხვავდება დიდროს სიკვდილი ბეჟანას სიკვდილისაგან, დიდროს სიკვდილი გაადამიანურებაა და მისი ფილოსოფიური საფუძველი ღრმაა. სიკვდილის წინ ბეჟანაც ხედავს მზეს. „ხედავ შენ იმ მზეს, ხატია?“ და შემდეგ: „თქვენ გიტოვებთ ჩემ ნაწილს მზესაც, ჩემ ნაწილ ჰაერსაც“.

– ეგ არც გასაკვირველია, – ჩაერია ვახტანგი, – მზე ხომ ქართველთა სათაყვანებელი იყო. მთავარი ღმერთი მთვარე არისო, ამბობდნენ, მაგრამ გახსოვთ, სიმონ ჯანაშიამ ბრწყინვალედ დაამტკიცა, რომ მზეაო ქართველთა „ღმერთი“. ეს ქართულ ყოფაში, ლექსიკაში ბევრგან ჩანს.

„შენს მზეს ვფიცავ“, „მზე დაგიბნელდეს“. „მზებნელო“, „ცხრათვალა მზე“, ვედრება“ „მზეო, ამოდი, ნუ ეფარები გორასა“ და სხვა მრავალი. ყველაზე დიდი საფიგარო „შენი“ ან „ჩემი“ მზე იყო, წყევლა კი „მზის დაბნელება“.

მზე ქართველი კაცის განუყრელია და საკვირველი არ არის, რომ ნოდარს ასე უყვარს იგი.

გიორგი, ცოტა არ იყოს, გაოცებული უგდებდა ყურს.

– მაშ, ნოდარის ნაწერებს თქვენ კარგად იცნობთ.

– ვიცნობთ, – უპასუხა ერეკლემ, – მარტო ჩვენ კი არა, ყველა, ვისაც ვიცნობ, ყველა ჩემი ამხანაგი კითხულობს, უყვარს.

– სხვებსაც კითხულობენ?

– სხვებს? სხვებზე სხვასა ჰკითხეთ, – და კეთილად გაიღიმა.

– საბჭოთა კავშირშიო, – მითხრა ერთმა ლიტერატორმა, – ხუთ დიდ მწერალს, თანამედროვეს, თუ დაასახელებ, მათში ნოდარიც არის, რომელი, პირველი თუ მეხუთე ეგ თქვენს გემოვნებაზეაო.

– მართალი უთქვამს, – დაუდასტურა მინდიამ.

– და, აი რად? – ჩაერია გიორგი, მან დაგვანახვა ადამიანი ისეთი თბილი იუმორით, როგორც დღემდე არც ერთ ჩვენს მწერალს არ უჩვენებია.

– მეორეც, – განაგრძო მინდიამ, – ადამიანში ის ხედავს სიკეთეს, კეთილ საწყისს და ამ საწყისს ისე უბრალოდ, ისე კარგად აჩვენებს, რომ გვჯერა, გაიმარჯვებს ადამიანში, ისიც კი, ოდნავ კეთილი საწყისიც კი რომ იყოს სადღაც კუნჭულში დამალული.

– ამ პატარა ნოდარს ისეთი დიდი გული აქვს (დიდგულა კი არ არის), რომ მთელი ქვეყნის სიყვარულს დაიტევს, ყველას უწილადებს და თავისთვის კიდევ ბევრი, ძალიან ბევრი დარჩება; სწორად არ ვთქვი, თავისთვის კი არა, იმისთვის, რომ კიდევ სხვას უწილადოს. არა, მისი სიკეთე დაუშრეტელია, რამდენადაც გასცემ ამ სიკეთეს, ორი იმდენი ემატება და არ აკლდება, არც დააკლდება, სიკეთე, ადამიანისათვის მინიჭებული და ნაწილადევი, ხომ ყველაზე დიდი საუნჯეა.

– ვლავარაკობთ და სათქმელი გვრჩება, – თქვა ერეკლემ.

რაც არ უნდა დაბეჩვებული იყოს ადამიანი, რაც არ უნდა გამწარებული ცხოვრებისაგან, მაინც მისწრაფვის იკითხვენ, რომ ერთი დღე მაინც იცოცხლოს, როგორც ადამიანმა. ასეთია დიდრო, ხომ?

– ჩვენ რომ ვიყავით ერუშეთში, გავცქეროდით მთების გადაღმა, ვხედავდით ტაოელებს, შავშელებს, ერუშელებს, კლარჯებს. ხომ ვხედავდით.

– ვხედავდით!

– ხომ გვინდოდა მათთან საუბარი, მათთან ყოფნა, რომ არ ყოფილიყო ჩვენ შორის დაბრკოლება, ვყოფილიყავით ისეთივე მეზობლები, როგორც გურია და რაჭა...

– აი, ეს სურვილი ათქმევინა ავთანდილ ჯაყელს ნოდარმა, როდესაც იგი ესაუბრა საზღვარგადაღმა მასწავლებლის ცოლს.

– მისი საუბარი ხომ ხალხის გულისთქმაა.

– ჰოდა, დიდი ხელოვნებაა, მიაგნო ხალხის გულისთქმას და თქვა ლამაზად, კოპწიად, გასაგებად, ისე გასაგებად, როგორც ეს გურიის მთებია.

- თქვენ არაფერი გაქვთ სადავო ნოდართან? – შეეკითხა მინდია.
- დაიცა, როგორ არა, – ჩამოართვა სიტყვა ერეკლეს ვახტანგმა, – ზოგჯერ ნატურალიზმშია გახლართული, აი, თუნდაც ზღვის პირას („მზიან ღამეში“), ციხის სამრეცხაოში („თეთრი ბაირაღები“). ნოდარს ეს არ სჭირდება.
- დროა, ნოდარის გმირებმა თავი დაანებონ დიალექტზე საუბარს, აღარავის სჭირდება, მით უმეტეს, ნოდარმა ხომ შესანიშნავი ქართული იცის.
- მაინც არ გამოვიდა ჩვენი საუბარი.
- ??

- ჩვენ გვინდოდა პლუს-მინუსით გვესაუბრა, ერთს დადებითი ეთქვა, ის, რაც მოსწონს, მეორეს ის, რაც არ მოსწონს და ორივემ კი მოსაწონზე ვილაპარაკეთ...

- რაც „არ მოგვწონს“ არ არის და მიტომ.
- მისი ნაწერი სიმდიდრეა ეროვნული უხარჯავი სალაროსი. მაგრამ ზოგჯერ რომ მაინც არ ესმით...
- დავამთავროთ ნოდარის პირველი ლექსით:

„– და თუ ვინმემ ვერ გაიგოს ეს სიმღერა  
და ეს ჩემი სიყვარული გაიოცოს,  
უთხარი, რომ საქართველომ ამამღერა – დაილოცოს!“

**ხინო**

ის-ის იყო, გოგამი ამუშავა მანქანა, რომ შალვამ ხელი ასწია.  
– რომელი გურული დაგიჯერებთ, გურიაში იყავით, თუ ბახმაროს არა ნახავთ, – მიმართა თანამგზავრებს შალვამ, – ავეყვით გუბაზოულს და ბევრ საინტერესოსაც ვნახავთ, – განაგრძო ისევ შალვამ, – აქ ვმუშობდი ამ ოცი წლის წინათ.

- რას იტყვი, მინდია, ბატონო, ავეყვით?
- უნდა ავეყვით, შალვამ არ იცის ტყუილ-უბრალოდ საუბარი.

დღე ჯერ კარგა გრძელი იყო და არ შეშინებიათ „არც გზაზე“ და არც „ცისქვეშ დაღამებისა“.  
გუბაზოულის გაღმა-გამოღმა გურიის კოხტასახლებიანი სოფლები იყო მთის კალთებს შეფენილი: ბჟოლიეთი, ხევი, ბუქსიეთი, ნაბელავი, ზოტი, ჩხაკაურა. აქედან ყველაფერს მივწვდებითო, – უთხრა შალვამ.

აქ შესანიშნავია წიფლნარ-წაბლნარი ტყე. 1400 მეტრიდან უკვე ჩნდება პონტური მუხა, ეს იშვიათი რელიქტი და ენდემი, რომელიც აქ გაცილებით კარგადაა განვითარებული, ვიდრე აჭარისწყლის ხეობაზე. აქაც ბევრგან იგი მიწასაა გართხმული, მაგრამ ბევრგან წამოწეულია, აქ ხე უკვე 4-5 მეტრის სიმაღლისაა.

საერთოდ კი, სუბალპებამდე (2400მ) აღწევს წიფლნარი და სოჭნარ-ნაძვნარი, რომელიც ზოგან ადგილს უთმობს არყებს, რომელთა შორის ბიჭები დააინტერესა მიწაზე გართხმულმა, კვლავ ენდემურმა, ეგრეთწოდებულმა მედედედვის, არყმა. აქაც, როგორც აჭარაში, ამ ქედის გადაღმა (სამხრეთის ფერდა უკვე აჭარაა) არყი მიწასაა გაწოლილი და მისი ზრო ქვევითაა ჩაზრდილი. ამ ზროზე დროდადრო გამოაქვს ფესვები, ძველი ნაწილი კვდება და ამგვარად, არყის ერთი ძირი „მოგზაურობს“. მოგზაურობს ნელა, მაგრამ მაინც. ეს ტყეები საყურადღებოა იმიტაც, რომ ქვეტყე შქერიან-წყავიანია, მაგრამ ჩვეულებრივად, პონტური შქერის გარდა, აქ იზრდება უნგერნის შქერიც, ისე, როგორ მტირალაზე.



*ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანა ხრჩოლავს, ხედი დილიკაურიდან*

სუბალპებიდან ტყეში ჩამოჭრილია დეკა და თითქმის 1500-1600 მეტრის სიმაღლეზე, ჩვეულებრივ, შქერიან-წყავიანთანაა კონტაქტში, წიფლნარში ხშირად ცვლის შქერსა და წყავს.

როდესაც ვახტანგმა რუკას დახედა, გინდა თუ არა, ქედზე ავიდეთ და ხინოს წვერიც მოვინახულოთო. მაგას დიდი დრო უნდაო, – უთხრა შალვამ, მაგრამ როდესაც ვახტანგმა აღარ მოისვენა, დათანხმდა.

- კარგი, ვიართო, მაინც მუჩუტოს გორა უნდა ვნახო და დავეხედო, რა დღეშია ყოფილი ჩემი ნაკვეთები.
- აიარეს და ტყის დეკიანში გაეზნენ. დეკიანში სხვა ბუჩქებიც ხვდებოდათ: მელიქაური, მოცვი, წითელი მოცვი, ლურჯი მოცვი, ჟოლო, კეწერა.

დეკიანი შერეული შალდამი<sup>121</sup> იყო, ბილიკი არ უძებნიათ და ამიტომ გადავლა გაუჭირდათ. დეკიანში ბალახეულობა იშვიათია, თუ სადმე ოდნავ ღია ადგილი მაინცაა, იქ გვხვდება მედგარი, რამდენიმენაირი ნემსიწვერა: ტილჭირი, სოსანი, დვალურა, წითელი გვირილა, ბაბუაწვერა, ჭრელი შვრიელა, მდელოს მელაკუდა, სათესი წივანა, თივაქასრა, წითელი წივანა, აჭარული შვრიელა, ტიმოთელა, კეწეწურა და სხვა.

მდელოზე გავრცელებულია ნამიკრეფია, პირისფერი სამყურა, ჭადარა სამყურა, თუ სამოვარი გადაჭარბებული ძოვებით არ არის გადაგვარებული, მაგრამ ისეთი ნაკვეთი, სადაც წმინდა ნამიკრეფიანი ყოფილიყოს, ვერ ნახეს. აქ თურმე სამოვრები ფრიად გადატვირთულია, ჰექტარზე ხშირად 5 ძროხიდან 20 ძროხამდეა და არაა მსოფლიოში ისეთი სამოვარი, რომ ასეთ დატვირთვას გაუძლოს. მთლიანად, მთის სამოვრები აჭარა-გურიის ქედზე, რომელიც ჩოხატაურის რაიონს ეკუთვნის, 16, 928 ჰექტარია, აქედან ჩოხატაურს ეკუთვნის 13929 ჰექტარი და მახარაძეს 3999 ჰექტარი. ჩოხატაურის სამოვრებში 2207 ჰექტარი, ანუ 15 %, გამოუსადეგარია.

სამოვრები ფართოდ დასარევილიანებულია, მაგალითად, მახარაძის რაიონის 3999 ჰექტრიდან სხვადასხვა სარეველათი დასარევილიანებულია 2349 ჰა, ანუ 78,3 %, აქედან შხამა გავრცელებულია ხუთას ჰექტარზე მაინც.

საერთოდ, ამ ქედზე მდელოთა უმრავლესობა მეორადია, ნატყევარზე არიან განვითარებულნი, დამახასიათებელი მცენარე ნამიკრეფიაა, სადაც დაკორდება დიდი ხნის წინათ დაიწყო, იქ – ცხვრის წივანა, მთის წივანა, ქარცხვი, მწყემსიპურა, დედოფლისთითა და ასენთი.

ბევრგან მარმუჭი და ფესვმაგარა ერთად ჭარბობს.

დარწმუნდნენ, რომ ალპური მცენარენი აქ ერთ მთლიან სარტყელს არ ქმნიან, აჭარა-იმერეთის ქედზე, იმ მწვერვალებზე, რომელნიც 2400 მეტრზე უმაღლესნი არიან (ხინო 3150 მ, ნაბოძირი 2800 მ, თავინაური 3238 მ) გვხვდება მთის წივანა, კავკასიური კეწეწურა, სამთავა სამყურა, კავკასიური ისლი, ქარცხვი, მწყემსიპურა, ბაია, მარმუჭი, ალპური ვარსკვლავა, სტევენის ბაბუაწვერა, მთის ქვაპურა, კავკასიური სატირია, კავკასიური ნაღველა და სხვა.

ზოგან უფრო წმინდა ჯგუფია, მაგალითად საყორნიას ჩრდილო-დასავლეთ ფერდობზე მთის წივანა, კავკასიური კეწეწურა, ალპური თივაქასრა, პონტური ისლი, კავკასიური ისლი, ქარცხვი, ალპური კესანე, კავკასიური ნაღველა, მწყემსიპურა, ხაჭაპურა, მარმუჭი და სხვანი უფრო ჩვეულებრივია.

შალვამ საყორნიას ფერდაზე მონახა ყოფილი თავისი ნაკვეთები; წინათ შემოღობილი ჰქონდა და აკვირდებოდა მცენარეთა ზრდა-განვითარებას, მოსავლიანობას, ცვალებადობას და სხვას, მაგრამ ღობის ნასახივ აღარსად იყო. შალვამ მარტო თავის გადაქნევით გამოხატა უკმაყოფილება. გაიწიეს დასავლეთით და დაინახეს, რომ თავზე ხინო დასცქეროდათ. გინდა თუ არა ავიდეთო, აიტეხა ვახტანგმა.

– შორია, ბიჭო, ეკლიანი! – ეუბნებოდნენ.

„*ჯარჯო, ნუ ჩახვალ ხომორსა,*

*ხომორი ეკლიანია,*

*ჩახვალ და ველარ ამოხვალ,*

*ამოსვლა მეტად ძნელია.“*

– არ გახსოვს?

– როგორ არ მახსოვს, მაგრამ...

– თუ კი თავინაურზე ვართ, აგერ ხინოც, ერთი მკლავის გაშლაა, მეტი ხომ არა?

– რაკი არ დაგიშლია, ვიაროთო, – უთხრა შალვამ.

– ხინო სამი ათას მეტრზე მაღალია, მამასადამე, წმინდა ალპური მცენარეების ნახვა აქ შეუძლებოდა.

– ერთ რამეში კიდევ დარწმუნდნენ, ნალექებით უხვია ეს ფერდო, დიდი რაოდენობით მოდის წვიმაც და თოვლიც. ბახმაროშიო, – უამბო ერთმა მწყემსმა, – ისეთი თოვლი მოდის, რომ ზოგი სახლის სახურავიც არ ჩანსო. უნდა ვივარაუდოთ, რომ ნალექი ორი ათას მილიმეტრზე მეტია, საშუალო წლიური ტემპერატურა კი ოთხ გრადუსს უდრის. აქ რომ ნალექები უხვია, უკან რომ ბრუნდებოდნენ, მაშინაც დარწმუნდნენ – მაღალ ბალახებში რომ ჩამოვიდნენ, შარვლის ტოტები დასველებოდათ, ჯერ ყურადღება არ მიაქციეს, მაგრამ ტყეში რომ შევიდნენ ფოთლებიდან წვეთი ჩამოდიოდა, თითქოს ნაწვიმარიაო. ზედა ტანიც შეუსველდათ.

– წვიმა არ ყოფილა და საიდან? – უკვირდათ.

– ხინოზე რომ ვიყავით, აქ ნისლივით გაჩნდა ცოტა ხანს, სწორედ მისი ნესტის კონდენსაციაა. ხედავთ, წვიმა არ ყოფილა, ნალექი კი არის. ესაა ერთ-ერთი დამახასიათებელი ამ მხარისა.

ეს ნალექების სიუხვე მცენარეულობასაც ეტყობა, კარგად იზრდება, მაგრამ გამოყენების თვალსაზრისით ერთი ნაკლი მაინც აქვს, უხვად იზრდება ხეშეშა და ფართოფოთლოვანი ბალახები, რომელთა კვებითი ღირებულება საკმაოდ მცირეა.

– აგერ, შავი ზღვაც, პირდაპირ მუჭუტას, თავინაურსა და ხინოს უცქერის, მისი ანაორთქლი დასავლეთიდან მონაზერ ქარს პირდაპირ აქ მოაქვს და დასავლეთისაკენ მიქცეულ ფერდობებზე ჩამოდის, აჭარისწყალზეც ამაზე ცოტა აღწევს...

ოფლი ღვარივით ჩამოსდიოდათ, მაგრამ ვახტანგი, გივი და ერეკლე მაინც ავიდნენ.

ნაშალ ფერდობზე ხვდებოდნენ თავყვითელას, თითო-ოროლა მარცვლოვანებიდან – აჭარულ შვრიელას, კეწეწურას, ალპურ ბარბაცას, ალპურ თივაქასრას, ორლებნიანებიდან სხვაზე ხშირი იყო ძირმაგარა, ალაგ-ალაგ მხოხავი სამყურა, ბატისფეხა, თეთრი გვირილა. მწვერვალიდან გადახედეს აჭარისწყლის ხეობას და ერთხელ კიდევ გაიხარეს. ძირს, სადღაც მიიკლაკნებოდა აჭარისწყალი წვრილი ვერცხლის ძაფებივით. ხეობის მდინარენი – ტბეთი და სხალთა – ზევიდან კიდევ უფრო კარგად ჩანდა. რა დიდი გაფრთხილება უნდა აჭარის ტყეებს, და, საერთოდ ბუნებას! ბევრი ჩანს ფხეკო, მეწყერი და ეროზიამორეული ფერდო. ხინოს მწვერვალიდან კარგად ჩანდა, როგორ იყო აჭარა ჩამწყვედი მთებში. ჩრდილოეთით აჭარა-იმერეთის ქედი გასდევდა, აღმოსავლეთიდან არსიანის ქედი, სამხრეთით კი აჭარა-შავშეთისა. აჭარა-გურიის ქედის ტოტი ზღვიდან თითქმის კეტავდა ქედისა და ხულოს რაიონებს. ახლა უფრო დაბეჯითებით დარწმუნდნენ იმაში, თუ რად იყო უფრო „ცხელი“ შიდა აჭარა.

მზე უკვე ჩასული იყო, როდესაც ბინაზე დაბრუნდნენ.

მეორე დღეს ბახმარო დაათვალიერეს და ჩამოვიდნენ ბარად.

### ატმის ყვავილი

*მოდისა ერთზე ასი, გზა გშენოდა დიდების.*

*ჩვენ დავცალეთ ყველამ თასი ბედთან არ დარიდების.*

### გ. ტაბიძე

ამ ოციოდე წლის წინათ შემოდებული იყო ერთი წესი, – დაიწყო მინდამ, – როცა სოფლის მეურნეობის სამუშაოების ტემპი იკლებდა, „გეგმა ვერ სრულდებოდა“, დათქმული დროისათვის დიდი დაწესებულებების ხალხს ჩამორჩენილ რაიონებში აგზავნიდნენ; წადი, დააჩქარებინეო.

ჰოდა მაიაკოვსკის და ვანის რაიონები მერგო. ვიფიქრე, წავალ, გაზაფხულია, ატმით და ტყემლით მორთლ იმერეთს ვნახავ-მეთქი.

იმ წელს ჯერ იყო და ზამთარი გაგრძელდა, მერე მოხსნა პირი წვიმამ და აღარ გადაიკარა. გამოიდარა თუ არა, უცბად გვალვები დაიჭირა. არეულმა გაზაფხულმა ხეხილსაც გზა-კვალი აურია, ატამი და ტყემალი ერთად აყვავდა.

დაიგვიანა ხვნა-თესვამაც, მაისი იყო და კვალი ჯერ არ გავლებულიყო. ვერც დათესდნენ, რადგან მარცვალი სიციხისაგან დაიხალეობდა. მხოლოდ დიხაშხოს<sup>122</sup> მინდვრებზე თუ ივლებოდა კვალი. სულ რამდენიმე დღეში უნდა მომთავრებულიყო გასაკეთებელი.

მინდვრად გავედი, ზღაპრული გაზაფხული იდგა იმერეთისა. დაგვიანებული გაზაფხულის გამო ერთად ყვაოდა ტყემალი და ატამი, ვაშლი და მსხალი, ანათებდა მზე, ბზუოდა ფუტკარი. ჟღურტულელებდნენ ფრინველები.

„ატმის ყვავილით სისხლიანი სტირის აპრილი“, მომაგონდა ტიციანის სტირიქონები.

*„ამაღამ, მგონი, იქნება ქარი,*

*ვაი, დედოფალ ტყემლების ბრალი...*

გამოეხმაურა პაოლო იაშვილიც და იყო რაღაც ლირიკული განწყობილება, ან სხვა რა უნდა ყოფილიყო, სადაც ერთად იყო შერწყმული აპრილი და მაისი, სადაც დადიოდნენ ტიციანისა და გალაკტიონის აჩრდილები.

და ვიმეორებდი ჭაბუკობიდან გამოყოლილ:

ამ მაისს, ამ ივნისს...

და როდესაც სულში „შრიალებდა ტოტი ვერხვისა“ ... ჩავიარეთ სოფელი ჭყვიში და მივადექით აბობოქრებულ რიონს, რომელიც მოქუხდა. მოქუხდა და ეხეთქებოდა კბოდეს, ეხეთქებოდა და უზარმაზარი ნაკვეთი მიწისა ეშვებოდა ატალახებული რაიონის ტალღებში, მიჰქონდა მშობლიური მიწა შავი ზღვისაკენ. და რამდენი, რამდენი ასეთი მიწა ილუპებოდა.

სოფლის განაპირა კარ-მიდამომდე ასიოდე მეტრიდა იყო დარჩენილი.

– გალაკტიონის სახლია! – მეუბნება ჩემი თანამგზავრი.

ჩქარი ნაბიჯებით წაველ გალაკტიონის სახლისაკენ. მწვანე, ხასხასა მოლი კოინდრისა, ერთი ძირი წითლად გაფოთილი ატამი, შორიახლო ორი ძირი დედოფალივით მდგარი ქათქათა ტყემალი. შუა ეზოში დგას ერთი თვალი ფიცრული, გადარაზული, კლიტედადებული.

„და ესაა გალაკტიონის სახლი?! ამ სახლში დაიბადა ორი ძმა, ერთი გალაკტიონის მამა, მეორე ტიციანისა“...

თვალს ვერ ვაცილებ. ეს იყო სურათი, არა რაღაც უცნაური, სულში ჩამწვდომი ლექსი გალაკტიონისა...



გვიან, გვიან გამოვბრუნდი, წამოველ რიონისაკენ, ახლავა მომაგონდა, რომ თან ფოტოაპარატი მქონდა. დავბრუნდი, გადავიღე...

მეცნიერებათა აკადემიაში იმ ოთახების გასწვრივ, სადაც მუშობა მიხდებოდა, გალაკტიონი ხშირად მთელი დღეებით ბოლთას სცემდა.

იმ მანქანაზე უბეჭდავდნენ სასტამბო მასალას და ამგვარად უცდიდა. ბევრჯერ ვთხოვე, დაესვენა, მაგრამ...

– არა მიშავს რა, ბიძიკო... – არ მიდიოდა.

ერთ დილით აივანზე კვლავ დამხვდა გალაკტიონი.

უბეს ხელი გავიკარ. ორი ფოტოსურათი გადავეცი. გამომართვა.

– გმადლობ, გმადლობ, – დახედა და განაგრძო სიარული.

გამიკვირდა, ნუთუ არაფერი მოაგონდა? შევედი ოთახში, შემყვა გალაკტიონის რაღაც ღიღინისებური...

ის-ის იყო დავჯექი და სული მოვითქვი, რომ გაიღო კარი და ხელგაშლილი გალაკტიონი შემოიჭრა.

– ჩემო ძვირფასო, ჩემო ბატონო... გულაჩუყებული სულს ვერ ითქვამდა, თვალზე ცრემლი ადგა.

– ეს ხომ... ეს ხომ ჩემი სახლია, ჩემი ოდა, ჩემი სახლია...

დაეშვა სკამზე, და ჩამოსდიოდა ცრემლი. „ეს რა ღმერთი გამიწყრა, – ვფიქრობ, – რად მოვუტანე“ ... დიდხანს იყო ასე. მერე უხმოდ ადგა და წავიდა.

– ჩემს ლოგინთან მაქვს ის ჩემი ოდა... ყოვეთვის მას ვუცქერი...

ყოველი შეხვედრის დროს მეტყუოდა და ტკბილი ღიმილი გადურბენდა ხოლმე სახეზე.

მისმა ემოციებმა გადააჭარბა ყოველივეს ერთი შემთხვევის გამო.

მისი შვილობილი ჩვენთან სწავლობდა. კარგად სწავლობდა და კარგი კალათბურთელიც იყო, გუნდის კაპიტანიც, გუნდი საბჭოთა კავშირის უმაღლეს სასწავლებელთა ჩემპიონი იყო. მოსკოვში მიემგზავრებოდნენ, რათა ახალ წელსაც დაემტკიცებინათ თავისი ჩემპიონობა. სია როდესაც მომიტანეს, ნუნუ ამოვშალე, რაღაც მიზეზით საგნის ჩაბარება დაჰგვიანებოდა. შეწრივდა გუნდი, კათედრა, როგორ, გუნდი უკაპიტნოდ გაიგზავნოს, სად გაგონილაო?

შემდეგ მთელი გუნდი და მათი მასწავლებლები შემოვიდნენ ჩემთან. გუნდი წააგებს, თუ ნუნუ არ იქნებაო. ნუნუს ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდის...

ამ დროს ისმის ტელეფონის ზარი.

– თქვენ ბრძანდებით? – კითხულობს გალაკტიონის ხმა.

– დიახ.

– ვიღუპები, მიშველეთ, თუ მიშველით. თქვენ...

– რაშია, ბატონო გალაკტიონ, საქმე? – ცოტა არ იყოს, შევშფოთდი და გავხედე ნუნუს, მან ფერი დაკარგა, კი არ გაყვითლდა, გათეთრდა მთლიანად.

– აი, ნუნუ ხელზე მყავს დასვენებული, მიკვდება, მომეწამლა.

მე ამოვისუნთქე, გულზე მომეშვა.

– ნუ გეშინიან, ბატონო გალაკტიონ, ნუნუ კარგადაა, აი, ჩემთან არის...

– უჰ, ეგ სამაგელი, როდის მოასწრო?!...

– სულსწრაფია ახალგაზრდობა...

– სწორედ, რომ ეგრეა... და დასდო მილი.

მეორე დღეს, საღამო ხანია უკვე და მდივანი მეუბნება:

„გალაკტიონია ეზოშიო“.

მივედი სარკმელთან. ვხედავ, გარე კიბეებზე ამოდის გალაკტიონი; მალე კარიც შემოადო.

– მოვედი, აი, ჩემი კისერი და შენი ხმალი...

– შენი კისერი მხოლოდ დაფნის ღირსია, – ვუთხარი ღიმილით.

– უყურე შენი!... და გაიცინა.

– უკვე მიიწურა, მიილია, ჩაიფერფლა, როგორც პოეტები იტყვიან ხოლმე.

– ოჰ, ოჰ...

– წავიდეთ ჩემთან.

– ბიძიკო, მე ღვინო არ დამელევა, ხომ იცი!

– ღვინოს არ დაგალევიან.

– მაშ, უღვინოდ რა სადილი და რა სუფრა იქნება!

– კარგ ღვინოს გასმევ. „ღვინომ მთხოვა და ვასმიე, ვურჩევდი ბადაგისასა“.

– ყიფჩალი ხომ არ ვარ...

მანქანაში რომ ჩავსხედით, საზურგეზე გადაწვა და სიამოვნებით თქვა:

- ვინ თქვა, კაი ცხოვრება არ ვარგაო?
- არვის უთქვამს, ბატონო გალაკტიონ!
- საქმეც მაგაშია, - და მიყუჩდა.

შემომესმა დაბალი წყნარი ღიღინი:

*„ქარი ქრის, ქარი ქრის, ქარი ქრის,  
ფოთლები მიჰქრიან ქარდაქარ“...*

იყუჩა.

ისევ:

*„სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ!..“*

აი, მოვედით...

-სად? - თითქოს ახლა გამოერკვაო, ისე იკითხა.

სუფრაზე იყო წყნარი, ჩუმი... ჭიქას არ სცლიდა, ყოველ ყლუპზე ეღიმებოდა. მხოლოდ ერთხელ წამოდგა, ასწია ჭიქა:

*„სადღეგრძელო იყოს მისი, ვინც ოცნებით იწვოდა...“* და დაჯდა...

უცხად ჩვენს შორის ყველაზე პატარამ, გოდერძიმ, განაგრძო:

*„ვინც პოეტის მარადისი აღტაცება იცოდა.*

*მოდითა ერთზე ასი, გზა გვშვენოდა დიდების,*

*ჩვენ დავცალოთ ყველამ თასი, ბედთან არ დარიდების.*

*სადღეგრძელო იყოს მისი, ვინც შიშმა ვერ დახარა,*

*ავდგეთ ფეხზე და ხალისი, ვის სხვად არ ესვენება,*

*სადღეგრძელო იყოს მისი და დიდებით ხსენება...“*

- დიდებულთა, ხომ ძამიკო? სადღეგრძელო იყოს მისი...

ძალიან გაიხარა, როდესაც გოდერძიმ „ქებათა ქება ნიკორწმინდას“ წამოიწყო. სკამზე ვერ ისვენებდა.

გოდერძიმსთან ერთად დაამთავრა:

*„ბრწყინავს საქართველოს*

*ქებად ნიკორწმინდა.“*

და თვალდან ცრემლი ჩამოიბერტყა.

დაამთავრა მინდობა თხრობა. რიონი კი მოაქანებდა უზარმაზარ ტალღებს და ახეთქებდა ფლატეს, რომელიც, როგორც ჩანს, ვერ უძლებდა ბობოქარ მდინარეს და ბელტი-ბელტზე იშლებოდა მღვრიე ტალღებში.

- ესე თუ გაგრძელდა, ამ სახლსაც წაიღებს...

- სოფელსაც.

- აპირებენ ნაპირთა გამაგრებას!

- ტიცინანი, ტიცინანს არ იცნობდი!

- როგორ არ ვიცნობდი. ტიცინანი სხვაა. გალაკტიონი გული იყო, ტიცინანი გონება. გალაკტიონი მგოსანი იყო, ტიცინანი საზოგადო მოღვაწე, და როცა ამ მოღვაწეობისათვის მგოსნობა სჭირდებოდა, მგოსნობდა კიდევ. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში იგი საქართველოს კონსულივით იყო მოსკოვში, მწერალთა შორის ტრიალებდა, აცნობდა ჩვენს ქვეყანას, ჩვენს მწერლობას. ვგონებ, ბალმონტსაც ეხმარებოდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნაში. თავისთვის რა ჰქონდა დიაკვნის შვილს, მაგრამ თავდადებული იყო თავისი სამშობლოსათვის.

როდესაც თვრამეტ წელს კავკასიის ფრონტიდან ჯარმა უკან დაიხია, ოსმალთა ჯარი, როგორც იცით, წინ წამოვიდა, მე უკვე დაჭრილი ვიყავ. ცოტა გამოვრჩი და თბილისში გაზეთების ახლოს ვტრიალებდი.

ერთ დღეს მოვიდა ტიცინანი რედაქციაში, ლამაზად თმაგადავარცხნილი, კოხტად ჩაცმული, პიჯაკის ზემო ჯიბეში უზარმაზარი ენდროსფერი მიხაკი ედო. უცნაური იყო, მაგრამ ყოველდღე განუმორებლივ ებნია მკერდზე მიხაკი, ესთეტს ვუწოდებდით, ოსკარ უაილდიაო, ვამბობდით ჩვენთვის.

მოვიდა და ჩამოჯდა სკამზე.

რედაქციის მდივანს ორი ფურცელი გაუწოდა.

*„ბათუმშიც მისცეს და ორპირზე მოდის თათარი...“*

*ატმის ყვავილით სისხლიანი სტირის აპრილი“.*

- წაიკითხა ხმამაღლა მდივანმა.

- სად დარჩა, ბიჭო, შენი დაღვრილი სისხლი?! - მომიბრუნდა მე.

- ჩვენი სისხლი სად არ დაღვრილა, თორემ... - ვუპასუხე და მეც გავჩუმდი.

იგი იყო უებრო მეგობარი დიდი რუსი პოეტების ნ. ტიხონოვის, ბ. პასტერნაკის, პ. ანტოკოლსკის, ს. ესენინის, ნ. ზაბოლოცკის; რაც მთავარია, მათ ამარაგებდა პწკარელებით. კიდევ მეტი, ხშირად იმ ქართველ პოეტების

კვალზე ატარებდა, ვისაც ათარგმნინებდა. ამ საქმეში მისი მარჯვენა იყო პაოლო იაშვილი, არა, მარჯვენა კი არა, მისი თანაბარი, ზოგჯერ მეტიც – მოზიარე საქმეში.

ტიციან ტაბიძეზე რომ ლაპარაკობ, არ შეიძლება, მის გვერდით პაოლო იაშვილიც არ მოიგონო, ფრიად კოლორიტული პიროვნება და შესანიშნავი პოეტი საუკუნის პირველი ნახევრისა (1915-1938წწ.).

პაოლო იაშვილი დაუდევარი და ბოზოქარი ბუნების ადამიანი იყო, დიდი პატრიოტი და ბუნებით საზოგადო მოღვაწე.

მისი ინიციატივით დაარსდა საქართველოში „ცისფერყანწელების“ მწერალთა კორპორაცია. პაოლო იაშვილი პარიზში სწავლობდა და საქართველოში რომ ბრუნდებოდა, თან ჩამოიტანა ევროპის სიმბოლისტიკების სურათქვა. სიმბოლისტიკების ჯგუფი შეიქმნა ქუთაისში, მაშინდელი ჩვენი კულტურის მეორე ცენტრში; ამ ჯგუფში შედიოდნენ პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, კოლაუ ნადირაძე, შალვა აფხაიძე, სერგო კლდიაშვილი, შალვა კარმელი, შედიოდნენ თუ არა კორპორაციაში გალაკტიონ ტაბიძე და გოგლა ლეონიძე, კარგად არ არის გარკვეული, მაგრამ „ცისფერი ყანწების“ პირველ ნომერში მათი ლექსები კი დაიბეჭდა; მახსოვს გალაკტიონ ტაბიძის „ლურჯა ცხენები“. მაშინდელ ახალგაზრდობას გალაკტიონი ძალზე მოგვწონდა. „ლურჯა ცხენებს“ კი უცნაური, თავისებური ჟღერადობა ჰქონდა. ცისფერყანწელებმა გამოაქვეყნეს მანიფესტი, რომელშიც გამოხატეს თავისი კრედო. ჩვენი მემკვიდრეობა დაგმეს, უფროსი თაობის მწერლობას კამეჩებისა და „ეო-მეოს“ პოეტები უწოდეს: ჩვენ უნდა შევქმნათ ახალი პოეზიაო. ერთი უცნაურობაც: სერგო კლდიაშვილმა გამოაქვეყნა პატარა, პაწაწინა მოთხრობები და შემდეგ წერილში მოითხოვდა, რომანი ლაკონური უნდა იყოს, არა უმეტეს ერთ გვერდისა, ან მარტო სათაურიო. მოსწონდათ ასობით მეცხრამეტე საუკუნის მწერლის, რჩეულიშვილის, რომანის სათაური „ქვრივის ლიმონები“ მთელ რომანად ღირსო. ეს მე დღესაც არ მესმის.

ყოველივე ეს ახალგაზრდობაში იწვევდა შფოთსა და ალიაქოსს.

მახსოვს, 1916 წელს ქუთაისში ჩავედი. თბილისელებს გვინდოდა, იქაურ ახალგაზრდობასთან კონტაქტი დაგვემყარებინა. ერთ-ერთი სხდომის შემდეგ ქუთაისელმა მოწაფეებმა ქალაქში გაგვატარეს. ქუთაისის ცენტრში იყო პატარა ბაღი, რომელსაც ქუთაისელები „გულ-ვარდს“ (ბულვარი) უწოდებდნენ. აი, აქ იყრიდა თავს ქუთაისის ახალგაზრდობა, ქუთაისში ჩამოსული თავადაზნაურობა თუ სხვა. ეს იყო ნამდვილი ძველი „სალაყბო“. ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იყო შეკრებილი და ხმამაღლა ყაყანებდა. ჩვენმა გუნდმა, რომელიც ექვსი-შვიდი კაცისაგან შედგებოდა, ჩაუარა ათიოდე ახალგაზრდას. ჩვენზე უფროსები იყვნენ. ჩემი ყურადღება მიიპყრო ერთ-ერთმა ახალგაზრდამ. ჯგუფის შუაში იდგა, ყველაზე მაღალი იყო, ვეებერთელა თვალებს აბრიალებდა და ამხანაგებს რაღაცას უყვებოდა.

– ვინ არიან? – შევეკითხე ერთ-ერთ ჩვენს ახალ ამხანაგს.

– ცისფერყანწელები.

შევჩერდი და გამომწვევად ვიკითხე:

– ესენია? – და თან გავიცინე.

დიდთვალემა ჩემკენ გამოეშურა მუშტებშეკრული.

– რა „ესენი?!“ – და ასწია ხელი, მაგრამ ერთი ქუთაისელი ამხანაგი ჩადგა ჩვენს შორის და რაღაც უთხრა.

– თუ სტუმარია, ისე მოიქცეს, როგორც სტუმარს შეჰვერის, – და გაბრუნდა.

მართალია, მეც ავიწურე, მაგრამ, ვფიქრობ, მომერეოდა, თანაც სირცხვილი წამომყვებოდა, „სამოყვროდ“ ჩავედი და პირველ დღესვე ჩხუბს კი გადავეკიდე.

ჩემკენ წამოსული დიდთვალემა პაოლო იაშვილი იყო. შემდეგ, როდესაც თბილისში ერთმანეთს შევხვდით, დავმეგობრდით და სიცილით ვიგონებდით ჩვენს ყოყლოჩინობას.

მართალია, კილო, რომელიც მათ აიღეს, სასტიკი იყო, მაგრამ ერთი მაინც ნათელია, მათ შემდეგ ძალიან ამაღლდა ლექსის კულტურა. აქ დაახლოებით ის მოხდა, რაც თავის დროზე გააკეთა გურამიშვილმა, რომელმაც ლექსის აგებულება და ლექსი გააქართულა. ან შემდეგ – აკაკიმ და ილიამ.

მაშინ ცისფერყანწელებს ბევრი აუჟანყდა კიდეც, შემდეგშიც ბევრი აკრიტიკეს, მაგრამ მაჭარმა დაიდულა, კარგი ღვინო დადგა და მალე ყველას დაავიწყდა მათი ცისფერყანწელობა, რადგან მშვენებად იქცნენ ქართული საბჭოთა პოეზიისა.

– ეყოფა ამ პატარა ჭაობიან სოფელ ჭყვიშს ეს ორი სახელი, არა?

– პატარა სოფელს კი არა, ბევრ ქალაქსაც ეყოფა.

*„არც ერთი სიტყვა არ დამცდენია,*

*მხოლოდ იმისთვის, რომ ლექსი მეთქვა,*

*როცა პწკარები პწკარებს სდევნიან,*

*საკუთარ გულის მაშინებს ფეთქვა.“*

თქვა ერეკლემ და იყუჩა. იყუჩეს სხვებმაც. ზოგი ძველმა ფიქრმა წაიღო, ზოგი შეეცადა, წარმოედგინა, რაწაირი იყვნენ ეს უდროოდ დაკარგული რაინდები, რომელთაც არც ერთი სიტყვა არ დასცდენიათ მხოლოდ იმისთვის, რომ ლექსი ეთქვათ.

გაღმა ჯიხაიში მოჩანდა.

ჯიხაიში კი ნიკო ნიკოლაძის სახლი და მუზეუმი, მისი შვილების – გიორგის, რუსუდანის, თამარის... მათაც ცალ-ცალკე ეკუთვნით მუზეუმი.

– ვნახოთ, წავიდეთ, ორი-სამი საათი უნდა, მეტი ხომ არა? – დაჟინებით მოითხოვდა ერეკლე, რომელიც წელს სამთო-საინჟინრო ფაკულტეტს ამთავრებდა.

სხვა თუ არაფერი, გიორგი სამთო ინჟინერიც იყო...

ბიჭებმა აღარც კი დაუცადეს უფროსებს, ერეკლემ გოგის საჭე ჩამოართვა.

– აქ ვაკეა და მე წავიყვანო.

ნიკოლაძეების მუზეუმის დათვალიერების შემდეგ მინდიათ კიდევ უამბო ზოგი რამ. აი, ესეც.

### კაი ყმა

ცხოვრების დიდი გზა გავიარე და ამ გრძელ გზაზე ისეთი სრულყოფილი და ყოველმხრივ დამშვენებული კაცი, როგორც გივი ნიკოლაძე იყო, არ შემხვედრია.

იმზიათი მოყვანილობისა და ახოვნების იყო, მაღალი, ბეჭგანიერი, მკერდღრმა, კუნთმაგარი, პირკეთილდამილიანი, მიუხედავად ამ ახოვნებისა, ყოველთვის მიკვირდა, სად ეტეოდა ამ ადამიანში ის დიდი და დაუსრულებელი სიყვარული თავისი ქვეყნისა და ერისა, რომელიც მასში ასე ძლიერად ღვიოდა. ამ სიყვარულზე არასოდეს თვითონ ხმას არ ამოიღებდა, მხოლოდ მუშაობდა, სხვასაც მაგალითს აძლევდა და ამუშავებდა. უსაქმოდ არასოდეს მინახავს. სახლში მივიდოდა, მუშაობდა, კარში მუშაობდა. შინ ორი თუ სამი სამუშაო მაგიდა ედგა, ერთზე მათემატიკური და გეომეტრიული ნახაზები ეწყო, მეორეზე – მეტალურგიული ჟურნალები, წიგნები, ლუმელის მოდელები; მესამე ჩვენი იყო, მთამსვლელების და მოგზაურებისა. ფოტოაპარატები, ფოტოსურათები, წრიაპები<sup>123</sup>, წერაყინის ნიმუშების ნახაზები, დღიურები და სხვა ასეთები ერთმანეთს ცვლიდა: – მიდი, გასინჯე და შენი აზრი მითხარი, – მეტყოდა და უხმოდ განაგრძობდა მუშაობას.

ჩემთვის რომ გეკითხათ, როგორი გინდა ქართველი კაცი იყოსო, დაუფიქრებლად ვიტყვოდი, ისეთი, როგორც გიორგი ნიკოლაძეა. დაუფიქრებლად, რადგან ამაზე ხშირად მიფიქრია.

მე არც წმინდა სპორტსმენებს ვეკუთვნოდი მთლიანად და არც მთამსვლელებს, გიორგის ერთგვარ დამაკავშირებლად მივაჩნდი და ამიტომაც ყოველთვის დიდი ყურადღებით და ჩვეული სიყვარულით მეკიდებოდა.



სოფელი დილიკაურის ზეგანზე

ჩვეულებრივ ცხოვრებაში კეთილი, სათუთი, ნაზი (დიახ, ნაზი ეს დევივით კაცი), საქმეში გაუტეხელი, ვერაფერი სიმწელე ვერ მოდრეკდა, თუ საჭირო იყო, საკმარისად მკაცრიც.

მხოლოდ ამ გაუტეხელმა ნებისყოფამ დააძლევინა იალბუზის ექსპედიციის ის სიმწელენი, რომელიც მას წინ გადაეღობა. თერთმეტის თავშესაფარში რომ ავედით, ამოვარდა ქარი და ქარაშოტი, დაჭრილი მხეცივით ბლადნენ კლდეები, რუსეთის ალპური კლუბის წევრები, ცნობილი ნაცადი ალპინისტის, ფროლოვის, მეთაურობით გამოგვემშვიდობნენ და დაეშვნენ ძირს, მეტი ვერ გაძლეს. გიორგიმ კი ჭადრაკში შეჯიბრება გამოაცხადა: გამარჯვებულ მწვერვალზე ვეთამაშებო. ყველა ჩაება შეჯიბრებაში, გიორგისთან მწვერვალზე თამაშის ბედნიერება ლევან ყანჩაველს ერგო. ამ შეჯიბრით გიორგიმ ის თქვა, რომ აქედან სანამ მწვერვალზე არ ავალთ, ფეხს არ მოვიცვლითო.

დღეს ადვილია ლაპარაკი, როდესაც თანამედროვე ალპინისტის განკარგულებაშია კარგი კარავი, საძილე ტომარა, შესანიშნავი სპეციალური სურსათი, სათანადო შეიარაღება, მაგრამ ამ ორმოცდაათი წლის წინათ, როდესაც ალპური საძილე ტომრის ნაცვლად ღართი<sup>124</sup> და ნაბდისძველა გვქონდა, ალპური ფეხსაცმლის ნაცვლად ბალახჩაგებულ ბანდული. საზრობ? იალბუზის ძირას მდებარე პატარა სოფელში ძლივს

ვმოულობდით ნაცარში ნახევრად გამომცხვარ ხმიადებს და მორიგეობით აგვქონდა თერთმეტის თავშესაფრამდე.

სიმტკიცემ თავისი გაიტანა და გიორგი მწვერვალზე ეთამაშა იალბუზის ჭადრაკის ჩემპიონს. ეს იყო იმ დროს პირველი მასიური ასვლა.

1924 წელს საჩხერიდან ერწოში მივდიოდით, ერწოდან ჩრდილოეთ კავკასიაში უნდა გადავსულიყავით. ეს მგზავრობა გიორგიმ იალბუზზე ასვლის მოსამზადებელ მგზავრობად დასახა.

მოვიარეთ არდონის ხეობა, გადმოვლახეთ ჩანჩახი-მამისონი, ჩავიარეთ შოვი, უწერა, ონი, ამბროლაური, ხარისთვალა და ნაქერალათი ჩავედით სოფელ ჭოლევეში.

ჭოლევეში ცხოვრობდა გიორგის მამიდა, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ალექსი ჭიჭინაძის, მეუღლე, სახელმოხვეჭილი, შემდეგში ზაჰესისა და რიონჰენსის მშენებლის, ბესიკ ჭიჭინაძის, დედა. იმჟამად მამიდა და მამიდაშვილები ქალაქში იყვნენ. დატრიალდა ხალხი. გაიშალა მადლიანი იმერული სუფრა.

– თამადად შენ დაგნიშნავთ, იცოდე, – მეუბნება გიორგი.

– მერედა ჩვენ ხომ ღვინის დალევის უფლება არა გვაქვს (საქმე ისაა, რომ, როდესაც ჩვენი ჯგუფი სამოგზაუროდ მიდიოდა, არავითარ შემთხვევაში არც ერთი ჩვენგანი სასმელს არ უნდა მიჰკარებოდა).

– სწორედ მაგიტომ უნდა იყო შენ. არც შენ დალიო, არც ჩვენთაგანს ვისმე დააღვინო, დანარჩენებს კი ყველას კარგად უნდა ასვა.

– გიორგი, გავბრუნდები უკან, ფეხშიშველა ვივლი, იმავე გზით თბილისში ჩავალ, მხოლოდ მაგას ნუ დამავალებ.

შენ დოქით წყალი მიიდგი, ბიჭებსაც იქიდან დაუხხი და იქეიფე.

ბევრი თამაღობა მინახავს, მაგრამ ასეთი – არსად. თვითონ კვდება სიცილით, ახლა მე მკითხოს, მეც მეცინება თუ არა? თან ისიც ვიცი, სიტყვას აღარ გატეხს.

ენად გავიკრიფე, მაშ, რით დავფარო, რომ ღვინოს არ ვსვამ. სანამ ჭიქა იყო, კიდევ ჰო, მაგრამ ყანწებზე როცა გადავედით, მაშინ გაჭირდა საქმე, მაგრამ დავალება დავალება იყო.

იმან კი მიშველა, რომ გიორგიმ ცალ-ცალკე სტუმრებსაც გაანდო ჩვენი ამბავი.

გაიმართა ლხინი, თურმე გული თუ ხარობს, იქ ღვინო საჭირო არაა.

სუფრის შემდეგ მთელი საღამო გიორგი სიცილით კვდებოდა და „წყალწყალა“ თამადას მეძახდა.

– ისეთი „გულქვა“ გაფრენის თავი რომ გეყოლება, წყლად ქვევის მეტი რა დამრჩენია. „გასტეხს ქვასაცა მაგარსაო“, ხომ იცი? ნიშანს ვუგებდი.

რასაკვირველია, იქაც რომ წესი არ გავტეხეთ, გიორგის ნებისყოფის ბრალია.

ბევრი, ბევრი კარგი მახსოვს.

იგი იყო ნამდვილი კაცური კაცი, მოსიყვარულე და ერთგული თავისი ქვეყნისა და ერის.

საბჭოთა ალპინიზმს, მთამსვლელობას როგორც ძველად ვუწოდებდით, საძირკველი ჩვენმა უნივერსიტეტმა ჩაუყარა. ამ საქმის მოთავე იყო გიორგი ნიკოლაძე. მისი მეთაუობით და ხელმძღვანელობით 1923 წლის 28 აგვისტოს 18 ქართული ახალგაზრდა ავიდა მყინვარის მწვერვალზე და ამით დაიწყო საბჭოთა ალპინიზმის შესანიშნავი და წარმატებული ისტორია.



*ზემო იმერეთის სოფელი ყვირილას პირას*

როდესაც გიორგი ნიკოლაძის ჯგუფი მწვერვალიდან ბრუნდებოდა, გზად შემოეყარა მწვერვალისაკენ მიმავალი მეორე ჯგუფი, პროფესორ ა. დიდებულაძის ხელმძღვანელობით. ეს ჯგუფიც წარმატებით ავიდა. ორივე ეს ასვლა შესანიშნავი იყო. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ დადასტურდა: ალპინიზმი მარტო რჩეულთა სპორტი კი არ არის, არამედ იგი შეიძლება იყოს მასობრივიც. ორივე ეს ასვლა იყო პირველი მასობრივი ასვლა არა მარტო ჩვენში, არამედ მსოფლიოშიც, მეორე – ასეთ ასვლებში მონაწილეობა შეიძლება მიიღონ ქალებმაც: გ. ნიკოლაძის ჯგუფში

5 სტუდენტი ქალიც იყო – ლ.ჩხეიძე, ელ. ლორთქიფანიძე, მ. ბეჟანიშვილი, მ. ტყავაძე და ას. ნიკოლაიშვილი. ეს ორი უკანასკნელი 40 წლის შემდეგ, მართალია, მცინვარით თავშეთეთრებული, მაგრამ გულით კვლავინდებულად მაგარნი, ისევ მოექცნენ მცინვარზე. სხვათა შორის, ესეც თავისებური რეკორდია. ა. დიდებულის ჯგუფში კი პირველად მიიღო მონაწილეობა ჩვენმა უებრო მთამსვლელმა ქალმა, ალ. ჯაფარიძემ. გიორგის უყვარდა თავისი ხალხი, ახალგაზრდობა და ამათთვის არ იშურებდა არაფერს. მთელ თავის სიცოცხლეს, ენერგიას, ცოდნას მათ ანდომებდა. როდესაც მას ახალგაზრდებთან მოსაუბრეს ვხედავდი, ასე მეგონა, იგი სიყვარულით სავსე თასია, რომლიდანაც ეს სიყვარული უნაწილდება ყველას, თასი კი არ იცლება. მისი სიცილი, მისი ღიმილი, რაღაც უცნაური, დაუსრულებელი კეთილშობილებით იყო სავსე და ეს კეთილშობილება უშუალოდ გადადიოდა მათზე, ვინც მასთან ტრიალებდა.

„მოდი, დარბაზში იატაკი დავაგოთ“... – თქვა ერთხელ ახალგაზრდობის ჯგუფში. „დავაგოთ“... და დაიწყო უნივერსიტეტის ეზოდან ზურგით ჯერ ფიცრების ზიდვა, შემდეგ – მიწისა (თვითონ ყოველთვის წინ მიდიოდა) და ორ კვირაში დავაგეთ იატაკი იმ დარბაზში, რომელიც ახლანდელი უნივერსიტეტის სააქტო დარბაზია. 1923 წელს ამ დარბაზში გადაწყდა მცინვარზე ასვლა. მთელ ზაფხულს კი მომავალი მონაწილენი გიორგის ექსკურსიაზე დაჰყავდა, რათა მუხლი და გული გაემაგრებინათ. იმ დროს სად იყო ასეთი დიდი მზრუნველობა სპორტის ამ სახეობისადმი. ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფო პირველი მსოფლიო ომის და სამოქალაქო ომის წყლულებს იშუშებდა. ამიტომ მოწყობილობის შექმნა თუ სხვა ხარჯები თვით მოსწავლეებსა და, პირველ რიგში, გიორგი ნიკოლაძის კისერზე გადადიოდა. ვმართავდით ფასიან ლექციებს, მხატვრულ სადამოებს და ამგვარად აღებულ ფულს ვუმატებდით ჩვენს დანაზოგს. ერთ-ერთი მოგზაურობის დროს ჩრდილოეთ ოსეთიდან რაჭაში რომ გადმოვვდივით, ფული შემოგვაკლდა, რომ ონში გ. ნიკოლაძე ლექციას წაიკითხავდა აინშტაინის თეორიის შესახებ. ასეც მოვიქცეთ. ხალხი ბევრი მოვიდა. ჯერ ერთი, პროფესორის გამოჩენა იმ დროს ჯერ კიდევ იშვიათი იყო, მეორეც ნიკო ნიკოლაძის შვილის ნახვა ბევრს უნდოდა. ბევრს კი აინშტაინის შტეინახი ეგონა (მაშინ გაახალგაზრდავების შესახებ შტეინახის ცდები ახალი ამბავი იყო).

ასე იყო თუ ისე, ლექცია ჩატარდა, ცოტაოდენი თანხაც დაგვრჩა და მეორე დღეს მხიარული საუბრით გამოვწიეთ ტყიბულისაკენ, გამოვიარეთ ამბროლაური, ნიკორწმინდა და ქუთაისში ნაქერალათი ჩამოვვდივით.

გიორგი ნიკოლაძე არასოდეს გამოცალკევდებოდა სხვებისაგან. იგი თანატოლი იყო ექსპედიციის ყველა წევრისა, რაც უნდა მათზე უმცროსნი ყოფილიყვნენ.

ზოგჯერ ხალხს არც კი სჯეროდა, რომ ასეთი უბრალო კაცი ნიკო ნიკოლაძის შვილი იყო. ნიკოს შვილი მოკლე შარვლით არ ივლისო, – აგვიხიბდა ერთი საჩხერელი.

1924 წელს გიორგიმ რამდენიმე კაცს გაგვანდო: „მომავალ წელს იალბუზი დავლაშქროთ, წელს კი მოვემზადოთ ამ იერიშისათვისო“, – და გაგვაცნო მიმდინარე წლის გეგმა: „ჭიათურამდე მატარებლით ავიდეთ, იქიდან ყვირილის სათავეს – ერწოს ტბას – ვეწვიოთ, ხოლო ერწოდან დიდი ლიახვის სათავეში გადავიდეთ, გადავლახოთ კავკასიონი ზეკარით, ჩავიდეთ არდონის ხეობაში, მოვინახულოთ სადონის მიდამოები, წიას მცინვარი, ჭანჭახის (მამისონის) ზეკარით გადმოვიდეთ რაჭაში და რაჭის მოვლის შემდეგ – ქუთაისში“.

შესანიშნავი გეგმა იყო, ისიც თქვა, იალბუზის ამბავს ჯერ ნუ გავახმაურებთო. დავიწყეთ სამზადისი, მოვავროვეთ ცოტაოდენი ფული (მოხსენებების, მხატვრული სადამოების მეოხებით) და უკვე ივლისში 23 ახალგაზრდა გიორგის მეთაურობით დასახულ გზას შეუდგა. საჩხერის შემდეგ სოფელ ჭალაში გიორგი ავად გახდა, სიცხე 39 გრადუსზე მეტი ჰქონდა. „ერთი დღე დავიცადოთ, ზეგ დილით, თუ შევძელი, მეც წამოვალ, თუ არა, თქვენ წახვალთ, მე დავბრუნდებიო“, – გადაწყვიტა.

დილით წამოდგა და „მეც მოვდივარო“, – განაცხადა, ვხედავთ კი, რომ სიცხე მაღალი აქვს, თვალეზი ჩაცვენილი... წავედით, გიორგი ნელი ნაბიჯით მოდის. ძალიან ჩამორჩა. დავუცადე, ბარგს შევუმსუბუქებ-მეთქი. თან მეშინია, აბგა არ გადმომცეს, ვიცი, თუ აბგა მომაწოდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მძიმედაა ავად. აბგა გამომიწოდა. ერიჰა! შემომხედა. ალბათ, ამოიკითხა ჩემი გულისნადები, თითქოს გაიღიმა და მითხრა: „ხვალ კარგად ვიქნებიო“. მართლაც, მეორე დღეს თავის ზურგჩანთა არავის დაგვანება, თუმცა სიცხე კიდევ ჰქონდა. მჭავე წყალზე ღამე ვათიეთ და სოფელ წონაში კვლავ გიორგის მხიარული სიცილი ისმოდა.

მეორე წელს იალბუზის დასალაშქრავად თერთმეტის თავშესაფარში ერთად შევიყარენით – კისლოვოდსკის ალპინისტები და ჩვენ წავედით. ამოვარდა ქარიდა, როგორც გითხარით, გიორგი ამან ვერ გატეხა. იალბუზის შემდეგ გიორგი პარიზში ჩავიდა. იქ უნივერსიტეტში ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. თბილისში ააშენა ფეროშენანდობის ღუმელი. მისი შეკეთების დროს გაცივდა, ფილტვების ანთებით ავად გახდა და ხუთ დღეში დაიწვა დევივით კაცი.

გიორგი ნიკოლაძე დიდი ტრადიციების ოჯახში დაიბადა. ნიკო ნიკოლაძე მეცხრამეტე საუკუნის ერთ-ერთი დიდი მოღვაწეა ილიასა და აკაკისთან ერთად. ის იყო სიმაგრე ჩვენი ქვეყნისა. დამცველი და ქომაგი თავისი ერისა, მეცხრამეტე საუკუნეში კი არა და მეოცე საუკუნის დასაწყისშიც ათასი რჯულის რეაქციონერები

ხელყოფდნენ ჩვენი ხალხის ეროვნულ თავმოყვარეობას, კრძალავდნენ ქართული ენის სწავლებას სკოლებში, აბუჩად იგდებდნენ ყოველივეს ჩვენსას. მთელი მხარეების გადასახლება აპირებდნენ, სამაგიეროდ – უცხო ტომით სოფლების ავსებას...

გარდა ამისა, ნიკო ნიკოლაძე იყო დიდი პრაქტიკული მუშაკი და მოღვაწე, მის მიერაა ფოთის ნავთსაყუდელი აგებული და დამკვიდრებული, ამიტომაც, რომ მის სახელს არ ივიწყებს ჩვენი ხალხი. გიორგი ნიკოლაძის დააქიმის პროფესორი რუსუდანი, მეორე და თამარი – ქალთა შორის ტანვარჯიშის დამწერავი.

ამ ნაამბობის შემდეგ დიდხანს ხმა არავინ ამოიღო.

### მწარე ღიმილი

როდის-როდის შემობრუნდნენ ვანისაკენ და ნელი სვლით გადაიარეს დიდი რიონის პირას დაბლობი. ლამაზი სოფლები ერთი-ერთმანეთს მისდევდა და ჩვენს მგზავრებს უხაროდათ, რომ ეს სილამაზე მარტო გარეგნული არ იყო, მას, რაც მთავარია, შინაგანი სილამაზეც ახლდა. ამავე მხრელია თერგდალეულთა ერთ-ერთი დიდი მოღვაწე კირილე ლორთქიფანიძე, ჩვენი ლიტერატურის უებრო, გამოჩენილი მკვლევარი კორნელი კეკელიძე, ქირურგები – კონსტანტინე ერისთავი, ნიკო კახიანი. რა კარგია, რომ ეს ადამიანები ხალხს არ ავიწყდება და ხან აქ, ხან იქ ჩნდება მათი ძეგლები, ან მემორიალი.

უეჭველად გრძნობდნენ შინაგან კმაყოფილებას და ეამაყებოდნენ, რომ „ბაღდადის ცის ქვეშ“ დაიბადა მაიაკოვსკი.

მაგრამ მათი შინაგანი კმაყოფილება და სიამაყე საქართველოს სოფლებისათვის სრულიად ახალმა მოვლენამ გაზარდა. სოფლის შარაზე რომ გავიდნენ, გაოცების ხმა ამოხდათ:

– დააყენე, თუ ღმერთი გწამს!

მანქანიდან გადმოვიდნენ და ჩრდილოეთით ხმაამოუღებლივ გაიხედეს.

მთელი სოფლის შარას გასდევდა მრავალი ქანდაკება. ჯერ ახლო არ მისულიყვნენ და არ იცოდნენ, რას წარმოადგენდნენ ისინი, მაგრამ ნამდვილი ქანდაკებანი კი იყვნენ.

– მამი! იცი რომელიმე სოფელი, სადაც ამდენი ქანდაკება იყოს?

– არა!

– სოფელში რომ შემოვედით, იგავ-არაკები კედელზე შემთხვევითი მეგონა, მაგრამ ისინი მთელი, დიდი მოვლენის ლეიტმოტივია, სადაც... – ცოტა ზეაწეული კილოთი ლაპარაკობდა ვახტანგი და ყველა დაიძრა წინ.

პირველმავე ქანდაკებამ ცოტა ცეცხლი დაუნელათ, მაგრამ არა მთლიანად. საქმე ისაა, რომ ქანდაკება რკინაბეტონისა იყო, მჭედელი. ჩანდა, შესანიშნავი პროპორციები ჰქონდა, მაგრამ წვიმას, ქარსა და ყინვას თავისი გაეკეთებინა – რკინაბეტონის ზედაპირი ნაწილობრივ დაეშალა.

აგერა, გუთნიდნენ, მცელავი, მეზვრე, მუშა, ფეიქარი, დედა და მრავალი სხვა.

მინდიას ელიმებოდა და არას ამბობდა. საათს დახედა, შვიდს გადაცილებული იყო უკვე.

– ერთი კაცი, თუ მოინდომებს, მთას წამოაქცევს, ჭკვიანი კაცი სიძზე დასახლება და მოსავალი ზღვად ექცევა, ჭკუას გულიც უნდა დაატანო, უგულოდ კაცი სოფელს ვერ გადაივლის, სოფლის გზა კი გრძელია.

მოქანდაკე დიმიტრი ყიფშიძე წამოვიდა თბილისიდან და აქაურ პროფესიულ სკოლას ჩაუდგა სათავეში.

ხედავთ, რა კარგი საქმე გაკეთებულა.

– რკინაბეტონი...

წამოიწყო ვახტანგმა.

– ვიცი, რასაც იტყვი, პირველად თბილისშიც რკინაბეტონის ძეგლები იდგა, დღეს უკვე ბრინჯაოსი და მარმარილოსია, აქაც მალე შეიქმნება ხეივანები ჯერ ვანელი მოწინავე მუშების და ხალხისა, მერე კი საქართველოსი.

– და რა კარგი იქნება, ყველა რაიონმა განაგრძოს ასე თბილისამდე, – ინატრა ლელამ.

მოინდომეს დიმიტრი ყიფშიძის ნახვა, მაგრამ იგი თბილისში წასულიყო და სადამოაო, – სკოლაში არავინ დახვდათ, თუმცა დახვდათ სამწუხარო ამბავი:

სკოლა დაიხურა და ჩვეულებრივ პროფსკოლად გადაკეთდაო.

რადაო, რომ იკითხეს, დარაჯმა მწარედ ჩაიცინა.

– ვისაც ეს საქმე ესმოდა, თბილისში წაიყვანეს. აქ ახალი მოვიდა. იმან კი: ეს რა ჩემი საქმეაო.

ბიჭებმა ერთმანეთს გადახედეს: კულტურა, აბა, ვისი საქმეა?

### ახალი ქვეყანა

ვიწროხევიანიანი შუკებით გორაკის წვერზე ავიდნენ. აქ ერთი დარაჯი დახვდათ.

– ოთარი თბილისშია წასული, ამაღამ მობრუნდება, დანარჩენები ისვენებენ, ორი კვირაა, დღე და ღამე გაათანაბრეს. მოგეხსენებათ, „ისიც მოკვდა, ვინც ღამე ხნაო“, მეტისმეტიც არ ვარგა, ველაპარაკები: ნუ გადაჰყვებით, სამი ათასი წლის წინ ვინც ცხოვრობდა-მეთქი...

და მადლიანად გაიღიმა.

– არა, ამას სიტყვის მასალად ვამბობ, თორემ ასე თავდადებულ შრომას რა სჯობია?

გიორგიმ თვალი მიავლო-მოავლო არემარეს და დარწმუნდა, რომ მართლაც დღე და ღამე ეთენებინათ, ჩანდა ანტიკური ხანის ძეგლები, სამარხები.

– ეს ჩვენი არქეოლოგების დიდი აღმოჩენაა!

– ამის შესახებ ასი წლის წინათაც იცოდნენ. მაშინდელი ქართული გაზეთები წერდნენ, რომ სოფელ საჩინოში, ახვლედიანების კარ–მიდამოზე, ხშირად პოულობენ ოქროს ნივთებსა და ფულსაო.

ასეთ ამბავსაც ამბობენ: ახვლედიანების მამულში დიდხანს მუშაობდნენ სვანები. ერთ მშვენიერ დღეს გაქრნენ, დამქირავებელთან ანგარიშიც კი არ გაუსწორებიათ. ამბობენ, განძი ნახეს და ის წაიღესო...

1925 წელს სოფელ ნაკრაში ქართველი ალპინისტები იალბუზზე ასვლის შემდეგ სვანეთში რომ გადმოვიდნენ, გიორგი ნიკოლაძემ ოქროს მონეტა იყიდა ერთი სვანისაგან, ზედ გამოსახული იყო პორტრეტი ზუჭით და კარგად იკითხებოდა „ლიმახი“... იქნებ აქედან იყო წაღებული? – იკითხა გიორგიმ, – უნდა შემოწმდეს, ის ოქრო, ალბათ, მუზეუმშია და უნდა შედარდეს აქაურს. ბერძნებისა და რომაელების ხელი სვანეთსაც მისწვდებოდა. იმხანად აღებ-მიცემა და, საერთოდ, ვაჭრობა მთელ კავკასიელებთან წარმოებდა. სვანებს ხომ დიდი მისვლა-მოსვლა ჰქონდათ შავი ზღვის სანაპიროს ქალაქებთან.

ლელამ წყალი იკითხა. ვახტანგმა წაიბურტყუნა: მეც დავლევდი, მაგრამ მთის წვერზე საიდან მოგიტანო.

დარაჯი სადღაც გაქრა და მალე საღვინით ხელში გამოცხადდა.

– აი, მიირთვით, თხელი ღვინოა, შუმი<sup>125</sup> არ გეგონოთ, შამანია<sup>126</sup>, გესიამოვნებათ.

– შამანმა აქამდე როგორ გაძლო? – შეეკითხა მინდია.

– კარგი მარანი მაქვს, ბატონო, მოგეხსენებათ, თავშენახულ კაცს ღმერთიც სწყალობს. გარდა მაგისა, ზოგჯერ ვბედავთ და წყალღვინოსაც ვხმარობთ.

– ჰოო! ეს სხვაა.

ყველამ მოუწონა, შეაქეს, მადლობა მოახსენეს.

ცოტა მიათვალ-მოათვალიერეს და მინდიას რჩევით, გადაწყვიტეს: ყველაფერი ეს მეცნიერთა დასწრებით და მეგზურობით ვნახოთო.

– ჩვენ ახლა შორს ვერ წავალთ. ხვალ ისევ აქ მოვბრუნდეთ, ოთარიც, ალბათ, აქ იქნება, ახლა კი აგერ, იმ ტყისაკენ ავიღოთ გეზი.

დარაჯი იქაური გამოდგა, თავი მოიკლა: სად მიბრძანდებით, ჩემი სახლი აქვეა, ერთი სამაროვანი ჩემს ეზოშიცაა, ისიც ნახეთ, კარგად მოგასვენებთო. მაგრამ ვერ „შეაცდინა“, მანქანამ წყნარი ღულუნით აიღო გეზი ფერსათის გვერდის ძირისკენ.

– არ ივარგებს აგრე, თორემ თქვენ იცით, – ესღა თქვა ახალმა ნაცნობმა.

მალე უკვე დაბინავებულნი იყვნენ, საძილე ტომრები – გაშლილი და გამზადებული.

– ვახტანგ, აბა რა მოაგროვე და რა იცი ვანის შესახებ? – მიმართა გიორგიმ ვახტანგს, – თბილისში შენ გქონდა დავალებული.

მე კი მქონდა დავალებული, მაგრამ ბევრი ვერა ვნახე რა ახალი, ოთარ ლორთქიფანიძის წიგნია „ვანი“ მაინც მთავარი.

– მერე, ეგ კარგია, მაგ შრომაშია შეჯამებული ძველიც და ახალიც.

– მაგრამ მე ვნახე მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს გამოქვეყნებული ერთი შრომა, რომელშიც მოყვანილია ერთი მთლიანი დაშიფრული პაპირუსი, აღწერილია, ვფიქრობ, სწორედ ვანის ქალაქი; მას ამ პაპირუსში ელვარე ქალაქს უწოდებენ. ავტორი წერს, რომ ელვარე დღევანდელი ვანია, ფერსათის ვაკეზე მდებარე, რიონის მარცხენა ნაპირიდან 3-4 კილომეტრის დაცილებით, ის ემყარება ვანის რომელიღაც სამაროვანის ნივთებს, რომელიც ევროპის მუზეუმში უნახავს.

– მე რაღაც არ გამიგონია ეგრეთი შრომა.

– ალბათ, იმიტომ, რომ რაღაც თქმულებათ კრებულშია შეტანილი, ერთი შეხედვით, ვერ იფიქრებ, აქ საინტერესო რამ ქნებაო.

– თვითონ წიგნი ხომ არ წამოგიღია?

– არა, ბიბლიოთეკიდან არ გამომატანეს. თბილისში მარტო ერთია და ვერ გავცემთო.

– აბა, აბა, შენ რაღაც კარგს გვპირდები.

– შესავალი გრძელია და მოკლედ ვამბობთ, დანარჩენს კი წავიკითხავ. მე ვთარგმნე.

ვახტანგმა ჩანთიდან ამოიღო საკმაოდ სქელი რვეული და დაიწყო: ელინთა ერთ-ერთ მეფეს ჩვენს წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 75 წელს კოლხეთისაკენ გამოუგზავნია თავისი მეგობარი და დიდი მოხელე ლიზიმახი: ჩადი კოლხეთში, მოინახულე ქალაქი ელვარე და მისი პატრონი. თავყანი ეცი მათ ღმერთებს,



შესწირე შესაწირავი მსხვერპლი და მის პატრონს ასული სთხოვე ჩემი მზეჭაბუკისთვისო. კოლხებთან მოყვრობა გვჭირია, რადგან კოლხეთით დიდი მოქიშპე გაგვიჩნდა, მითრიდატე მოუსვენარი, ანუ მითრიდატე VI პერგამონელი. კარგი იქნება, კოლხეთი ვიძმოთ, მითრიდატეს შუაში მოვიქცევთ და ჩვენს ნებაზე ვატარებთო . ლიზიმახი შეფიქრიანდა თურმე, მაგრამ რას იზამდა.


აღჭურვეს გემი, მოამზადეს სამეფო ძღვენი, სხვებს შორის ერთი შესანიშნავი ბრინჯაოს ჭურჭელი იყო, რომელიც ლიზიმახმა დაამზადებინა მცირე აზიის ახალშენის სახელოსნოში ცნობილ ბერძენ ხელოსან-მოქალაქეებს. ჭურჭელი გამორჩეული იყო თურმე იმით, რომ მას ამკობდა ბრინჯაოს სამი ფრთაგაშლილი არწივის შესანიშნავი ქამდაკება, ისე ცოცხლად ყოფილან დამუშავებული, რომ გეგონებოდა, აი, ეს-ეს არის, აფრინდებიან და ჰაერში ირაოს დაუვლიანო. ამავე ჭურჭელს ამკობდა ქალღმერთი ნიკეს ფრთაგაშლილი ქანდაკება, იგი ისე იდგა, თითქოს ახლახანს ციდან დაეშვა და დედამიწას პირველად უნდა შეახოს თავისი ჰაეროვანი გრძელწვივიანი ფეხიო.

ჭურჭელს ამკობდა დიონისეს კულტის ექვსი ღვთაების თავის ქანდაკება. ერთი ამათგანი პანს გამოსახავდა, გარდა ამისა, იყო მხიარული სატირი, ახალგაზრდა ქალი, იქნებ არიადნე, დიონისეს მეუღლე, ქურუმი და დანარჩენები ახალგაზრდა ლოთი-შფოთი მხიარული ჭაბუკები.

ვახტანგმა საუბარი შეწყვიტა და ზოგი რამ განმარტა; დიონისეს კულტს საქართველოში კარგად იცნობდნენ. მაგალითად, კახეთში უკანასკნელ ხანამდე არსებობდა წესი: რთველის დაწყების წინ ვენახში გააგორებდნენ ხოლმე გასათხოვარ გოგოს. სადილად უქველად დაკლავდნენ ციკანს, ამის მერე ვახტანგმა თხრობა განაგრძო: გარდა ამისა, გამოაწვევინეს შესანიშნავი ამფორები<sup>127</sup>, გამოაჭედინეს ვერცხლისა და ოქროს ლანგრები და ქალის აურაცხელი სამკაული, ოქროს დიადემა, საყურე, სამაჯური, ყელსაბამი და სხვა მრავალი.

თან ცდილობდნენ, ყოველივე ეს დიდი არ ყოფილიყო, რადგან გზა შორი იყო და სავალი – ძნელი.

ერთ მშვენიერ დღეს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე ორმოცდაათსა თუ ორმოცდათხუთმეტს წელს, ლიზიმახი გამოემგზავრა კოლხეთისაკენ.



კაცხის სვეტი



იმერული ცხვარი

ზღვამ პირველ დღეებში ალერსით მიიღო, მაგამ ერთი კვირის შემდეგ შავი ზვა აზობოქრდა, ამოვარდა ქარი და ქარაშოტი. მთელი ორი კვირა გემს ნაფოტივით ატრიალებდა და ტალღიდან ტალღაზე ისროდა.

დაიდალა ხალხი, ფეხზე ვეღარ იდგნენ და, ალბათ, ღმერთებმა საბოლოოდ შეიბრალებს, რომ ერთ ბედნიერ დღეს უზარმაზარმა ტალღამ გემი ნაპირზე გამოსტყორცნა და მიწას დაანარცხა. ათი მონა იქვე გარდაიცვალა, თვით ლიზიმახი და ოცი მცველი დაიჭრნენ, ორმოცამდე კაცი უვნებლად გადარჩა, ოცი მონაც. დაიმსხვრა გემი,

დაიმტვრა მრავალი ამფორა, პარატა სოფელი იყო იქვე ახლო და ამ სოფლის ბერძნებმა უპატრონეს, თავზე დააყენეს ექიმები, უწამლეს და, როდესაც ლიზიმახი და მისი ჯარისკაცები გამოჯანმრთელდნენ, დაიწყო ზრუნვა, რომ გზა განეგრძო. ზღვით მოგზაურობაზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა, ვერც დამსხვრეულ გემს შეაკეთებდნენ და ვერც ახალს ააშენებდნენ.

გადაწყვიტეს, ემოვით ცხენები და ჯორები; ლიზიმახმა მოახერხა და დაუკავშირდა მცირე აზიის კოლონიების მმართველს, რომელმაც მოართვა ას ოცი ბედაური „ისეთი კაზმულობით, როგორც ეკადრებოდა კოლხეთის მეფის კარზე მიმავალ ელჩსაო“, – ამბობდა თურმე მმართველი მცირე აზიისა, – „კოლხეთის მეფე ადვილად არ მიიღებს ელჩებს, ვისაც მიიღებს, ის უნდა ბრწყინავდესო“.

მანვე შეუვსო ძღვენი ოქროსა და ვერცხლის ნაქანდაკები ლანგრებით, ჯამებით, ფიალებით, მორთულობით და სამკაულებით. რაც მთავარია, ასურეთის მინის ჭურჭლით, რომლითაც მაშინდელი ასურეთი სახელგანთქმული იყო და ასეთი ჭურჭელი კი იშვიათობად ითვლებოდა. შარშან ეგვიპტიდან გადმოიყვანეს ხუთასი ისეთი ბედაური, რომელთაც ზადალი არ ეყოლებოდათ არც ლაზებში და არც მცირე აზიაში. „კოლხეთში კი შეიძლება ჰყავდეთ ასეთიო...“

მმართველმა ურჩია: ზღვის ნაპირით ნუ ივლით, მითრიდატე პერგამონელი მიხვდება, რისთვის მიდიხართ და დაგატყვევებთ, ან დაგხოცავთ. მან მისცა ლიზიმახს კიდევ სამოცი ვაჟკაცი და ჭოროხის სათავეებისაკენ გაისტუმრა, შუა წელზე ზეკარს გადაჭრით და მესხების ქვეყანაში გადახვალთო. ლიზიმახი ასეც მოქცეულა. როგორც ჩანს, გადმოუვლია აჭარისწყლის სათავეებში და მესხების ქვეყანაში ჩამოსულა, ჯერ ფოცხვისწყლის ნაპირით უვლიათ, მერე ქობლიანისა და ფოცხოვის შესართავიდან პირი დასავლეთით უქნიათ და ხანისწყლის ხეობაში გადმოსულან.

ყველაფერს ამას ადვილად იტყვის ენა, მაგრამ გზაში დიდი გაჭირვება უნახავთ. ჯერ ერთი, მესხების ქვეყანაში მოუსწრო დიდმა თოვლმა და კოლხეთში გადასასვლელი ზეკარი დიდი ხნით საგულდაგულოდ ჩაიკეტა. იბერიაზე მოვლაც საძნელო იყო, არადა, ზამთარში ამ უცხო ქვეყანაში რა ექნათ? კაი რამას<sup>128</sup>, სოფლები მეგობრულად შეხვდნენ, არას უშავებდნენ, არცთუ რამით შველოდნენ. ერთი ეს იყო, ტყე ახლო ჰქონდათ, შემა არ შემოაკლდებოდათ და დიდმა ზამთარმა ნადირი ტყიდან გამორეკა, დღე ისე არ გავიდოდა, ორი-სამი ირემი არ მოენადირათ. ლიზიმახის კარგ მშვილდოსნებს ეს არ გაუჭირდებოდათ. მესხების მთავარმაც შეიტყო მათი გადმოსვლა – კაცები გამოუგზავნა. სთხოვა, თმოგვში მეწვიეთო. მადლობა შეუთვალეს: აქ გავატარებთ ზამთარს და ადრე გაზაფხულზე გადავალთო.

მთავრის კაცებმა ოძრხეში დააბინავეს, სახლებიც მიუჩინეს, თავლებიც – ცხენებისათვის, თივა-ქერიც უშოვეს.

აი, აქედან ვიწყებ კითხვას თვით ლიზიმახის წერილისას:

„ჩემო მფარველო, დიდი ვაგლახით ჩამოვალწიეთ მესხების ქვეყანამდე, გზაში მრავალი უბედურება დაგვატყდა, ერთი ეგვიპტური ტაიჭი კლდიდან აფრენილმა ძერამ დააფრთხო და ხრამში გადაიჩეხა, თან სამი მხედარიც გადაიტანა, ისინიც დაგველუპნენ, მეკობრეები დაგვეცნენ, ოთხი მეომარი დაკოდეც, ვერა წაიღეს რა, ათი მათგანი გაგმირეს ჩვენებმა.“

ზამთარი ოძრხეში გავატარეთ. მიუხედავად დიდი თოვლისა და სიცივეებისა, ზარალი არ მოგვსვლია. თქვენი დიდი პატივისცემელია მესხების მმართველი და ბევრი შემწეობა აღმოგვიჩინა; გამოზაფხულდა თუ არა, ოთხმოცი კაცი წინამავლად გვაახლა. ზეკარზე კიდევ დიდი თოვლი იდო. თოვლებზე პირველად მესხები მიდიოდნენ, კარგად გაკვალულ ფშანზე კი – ჩვენ.

სამ დღეს ვებრძოლეთ გაზაფხულის თოვლს და მეოთხე დღეს გამოჩნდა კოლხების შესანიშნავი ქვეყანა; ქვევით, ვაკეზე, მოჩანდა მრავალი სოფელი, კრამიტით დახურული სახლები, ძირს, ვაკეზე, გაზაფხული მეფობდა, ტყემალი, ბალი, ატამი, ჭერამი ყვავდა. ჯერ ერთი რამ უნდა მოგახსენო: მესხების ზეკარს<sup>129</sup> რომ გადმოვედით, მესხების პატარ-პატარა სოფლები იყო. ესენი მეჯოგენი არიან. საქონელი აქ მოვს, ნაწილი მეფუტკრენია. ფუტკარს უვლიან კიდევ და ტყეში ნაპოვნი ფუტკრის თაფლსაც იღებენო, – მითხრა მესხების გუნდის უფროსმა. ერთ პატარა სოფელთან შევისვენეთ. რამდენიმე უსხი, თხა-ცხვარი დაგვიკლეს. სუფრაზე სასმელი მოგვიტანეს თაფლის სასმელი, წმინდა იყო წყაროს წყალივით, სასიამოვნო სუნი ჰქონდა, მაგრამ თავში მალე ავარდა. ვთხოვე, მხლებლებს თითოზე მეტს ნუ შეასმევთ – მეთქი. ეს თურმე თაფლის იყი<sup>130</sup> იყო.

აქეთ ჩვენი სოფლები ბევრიაო, – მითხრა რაზმის უფროსმა. ელვარე ქალაქში ჩაგვაქვს სანთლის იყი, კრიპუჭი – ეს ყინულივით გამაგრილებელი თოვლიაო, აგრეთვე ერბო და ყველი, საქონელი, ხეობიდან ზაფხულში იარაღიც ჩამოაქვთ. აი, იმ მთების სერებზე, – გააშვირა მთებისკენ ხილი, – სულ ჩვენებური ხალხის სოფლებიაო.

ჩამოგვაცილა ერთ ადგილამდე, სადაც ხანისწყალი<sup>131</sup> კლდეებს ისე მოუმწყვდევიათ, გეგონება, წისქვილის ღარშია გადაადებულიო. ერთი მხედარი მეორე ნაპირს გადახტა კიდევ, მაშინ, როდესაც გაშლილ კალაპოტზე მიმავალ ცხენს წყალი გავამდე სცემს და სიგანე ოცი მხარი მაინც არის.

როდესაც სულ გავივაკეთ, დიდ სოფელში შევედით, მშვენიერი ხის ოღები კრამიტით იყო დახურული, ეზოებში ხეები იდგა და ზედ ვაზი იყო აშვებული. ბალახი ახალი ამობიზინებული იყო, ყოველ ეზოში ყვავდა ტყემალი, ბალი, ატამი. ხალხმა არ იუცხოვა ჩვენი ჩასვლა, სალამს გვამღებდნენ; ჩემს მხედრებს წყლის ნაცვლად ღვინოს აწვდიდნენ, არ იკრიბებოდნენ და გაკვირვებულნი არ გვიცქეროდნენ. ჩვენი მხლებელთმთავარი სადღაც წავიდა და მალე მობრუნდა ხანში შესული, თმაშეთრთვილი, წარმოსადეგი ვაჟკაციტურთ. აი, ეს ამ სოფლის მმართველია, ეს კი მისი თანაშემწეო.

დღე ილევა, ჩემო ბატონო, – გვითხრა ბერძნულად მეორემ, – ელვარე ქალაქში გვიან მიხვალთ, სტუმრები ხართ, დასვენება გინდათ. ამაღამ აქ მოგასვენებთ, ხვალ დილით გაგიძღვებით და მიგიყვანთო.

ჭკუასთან ახლოს იყო და დავთანხმდით. სხვა არა იყოს რა, ხომ მოგეხსენებათ, სტუმარი მასპინძლის ყურმოჭრილი მონააო.

ცხენები წყალზე ჩაიყვანეს, აბანავეს, დააურვეს, კარგად აჭამეს. ჩვენც, როგორც მეფის სტუმარს შეეფერებოდა, ისე მოგვასვენეს. დილით ვისაუზმეთ და თვითონ მმართველი ათიოდე მხლებლიტურთ გამოგვყვა. მთელი ვაკე დიდი და პატარა სოფლებითაა და დაბებით იყო მოყენილი. მინდვრები კარგად დამუშავებული ჩანდა. ზოგან ნათესი უკვე ამოსულიყო მიწისპირზე, „ეს ღომია, ეს ფეტვი, ეს კიდევ სელია, ჩვენი სიმდიდრეო“, ოსპიც ეთესათ და სისირიც<sup>132</sup>, დოლის პური და ასლიც ცოტა არ იყო, ეზოებში კი ბოსტნეულის ლამაზი კვლები ჩემწკრივებინათ.

ერთ სოფელში ჩვენი მეგზური ლამაზი ეზოს წინ შეჩერდა და გასძახა:

– თოლიგე, თუ ხარ სახლში, გამოგვხედე, – მანდილოსანი გამოვიდა და გვაუწყა: თოლიგე სვირში წაიყვანეს. მონადირე კლდიდან გადმოვარდნილა, იმის სამკურნალოდო.

მადლობა უთხრა და მე მომიბრუნდა: – აგერ, ხომ ხედავ კვლებს, მანდ სულ სამკურნალო მცენარეები უთესია, ზოგის თესლი იბერიიდან მოაქვს, ზოგი მესხების ქვეყნიდან; თესავს, რასაც ტყეში ადვილად ვერ შოულობს. სხვენი და სახლი სავსე აქვს გამხმარი მცენარეებით. ამის პატრონი თოლიგე ჩვენი დიდი მკურნალიაო...

არ გამიკვირდა, რომ ასეთ მკურნალებს წავაწყდი. კოლხეთი ხომ ძველთაგან ცნობილია მკურნალებით, ბერძნებსაც აკი მედეამ ასწავლა სამკურნალო ბალახით მკურნალობა.

გავცდით ერთ სოფელს და უცბად გოცებულმა ცხენი შევაჩერე, მთელი ჩვენი ამაღა გაშეშდა.

ჩვენ წინ აღიმართა თეთრი, ხასხასა, მარმარილოსავით ელვარე ქალაქი, „აი, თურმე ელვარეს რად ეძახიან-მეთქი“, – გავიფიქრე. ჩემი გოცებით ნასიამოვნებმა მმართველმა მითხრა:

– ესაა ჩვენი მთავარი სალოცავი ქალაქი, ჩვენი მეფეც დიდ დროს აქ ატარებს, დღეს რომ მივალთ, ციხის უფროსი მიგიღებთ, დაგასვენებთ, მოგივლით და ორი დღის შემდეგ შეგიძლიათ იხილოთ მეფეც და მისი ოჯახიცო.

ქალაქი მართლა ელვარებდა, გორაკზე ჩანდა ცამდე ატყორცნილი შენობანი, მის კალთებს მომცრო სახლები ამშვენებდა. მალე მივადექით თეთრი, ნათელი ქვით ნაგებ გალავანს, დაგმანულ ბრინჯაოს კარებზე ლომის თავები იყო ამოტვიფრული თუ ნაჭედი. თვით კარიბჭეს ორივე მხრიდან მაღალი სვეტები ამშვენებდა. სვეტის თავებზე გასაფრენად მომზარებული ფრთაგაშლილი ბრინჯაოს არწივები ისხდნენ.

დაგმანულ კარს მალე გახსნიანო, – გვითხრა ჩვენმა ახალმა გამყოლმა. მართლაც, გაიღო კარი და ბჭის უფროსი მცველი გამოჩნდა. ჩვენს თანამყოლს გაუღიმა და კოლხურად რაღაც უთხრა, პასუხზე კვლავ გაიღიმა, ხელები გაშალა: მობრძანდითო.

გავვიძღვა და იქვე ციხის გალავნის გასწვრივ ქუჩას გაუყვა: აქეთ მომყევითო. გორაკის თავზე, არა, უფრო ცოტა ქვევით, კვლავ გალავანი ჩანდა. იგი უფრო ელვარე იყო, გზაზე ციხის უფროსი დაგვიხვდა მხლებლებით, ჩვენ დავიქვეითეთ და ისე მივესალმეთ, მოგვიკითხა, ხომ კარგად იმგზავრეთო და შეგვიძღვა დიდ პალატებში – აქ მოისვენეთო. ჩამოგვართვეს ცხენები და გაუძღვნენ ჩვენს ეგვიპტურ ტაიჭებს. მცირე აზიის<sup>133</sup> მმართველთან რომ ძლივს ვიჭერდით, აქ უკვე იმდენად იყვნენ დადლილნი, არც კი დაუჭიხვინათ, ისე გაჰყვნენ.

ყველას ჩვენ-ჩვენი ადგილი და პალატა მოგვიჩინეს.

პირველ რიგში აბანოში წავედით. მთელი ტანისამოსი უნდა გამოიცვალოთო. მესამე დღეს გამონაცვალის მოგვიტანეს, გაწმენდილ-გარეცხილ-გასუფთავებული.

მეორე დღეს ბაზარში წავედით, გალავანს გარეთაა იგი მოთავსებული, უფრო სწორედ, ბაზრის ნაწილი, მან გამაოცა, ჩემო მეფეო. საოცარი იყო, სირია-პალესტინაშიც კი არ მინახვას ასეთი მრავალფეროვნება და ნაირ-ნაირი ხალხი; გარდა კოლხებისა, თავისი ნახელავი და ნაკეთობანი, საქონელი მოეტანათ და მოეყვანათ: ჭანებს, იბერიელებს, სვანებს, არმენებს, მესხებს... და, ვინ იცის, კიდევ ვისა და ვის.

აქ იყო პირუტყვი, სულადი<sup>134</sup>, აუარებელი სალეველი, უმთავრესად ხმელი ხილი: ჩამიჩი, ლედვის ჩირი, კერკი<sup>135</sup> მრავალნაირი, თხილი, ნიგოზი, ნუში, ცერცვი, ოსპი, მუხუდო, სისირი.

განზე ბლაოდნენ ცხვრები, კიკინებდნენ თხები, ზმუოდნენ ძროხები, კრიახობდნენ ქათმები.

აგერ, სვანებს მოეტანათ ჯიხვისა და ფსიტის<sup>136</sup> შაში, მათი რქები და ხროვად დაეყენებინათ. იბერიელებს გადმოეტანათ ებრენიკი<sup>137</sup>, ღართი, ნაბდები და, რაც მთავარია, რკინის მახვილები, ეგრისელებს – თეთრი ტილო და სელის ზეთი, უნაგირები, მესხებს – თაფლის იყი, ცვილი, კრიპუჭი, ჭანებს – ხმელი თევზი, ჭილობები; ყველაფერი ბევრი იყო და უხვად. კაცი იფიქრებდა, როდის უნდა გაიყიდოსო, მაგრამ ჩანდა დოვლათიანი მხარე იყო, ხალხიც ყიდულობდა, სცვლიდა, სადამოზე თითქმის აღარა იყო რა.

ყველაზე მეტად გამაოცა ოქრომჭედელთა რიგმა. ეს რიგი თავისებური იყო, როცა ვიკითხე, მითხრეს, გალავანს შიგნით არის, აღმოსავლეთ კედელთანო. დაუყოვნებლივ წავედი, მალე მივაკვლიე. აქ არ იარეოდა ათასნაირი ხალხი. ჯერ ერთი, თვით ოქრომჭედლები რაღაც მშვიდი ხალხი ჩანდა, ისხდნენ თავის დაზგებთან და მუშაობდნენ წყნარად, დროს არ კარგავდნენ. მყიდველიც ასევე მშვიდი იყო. მივიდოდა, იტყოდა რაღაცას, აარჩევდა, გასინჯავდა, დაუთვლიდა ოქროებს და წავიდოდა.

მეც მივედი ერთ ოქრომჭედელთან, უცხო შეიცნო ჩემში და წამოდგა, მომესალმა. დაზგაზე სამაჯურები ეწყო, მეც ხომ ჩამოვიტანე, მაგრამ ამათ ჩემი ჩამოტანილი ბევრად ჩამოუვარდებოდა.

სამაჯური ოქროსი იყო. სამაჯურის რკალი მთავრდებოდა ტახის გამოსახულებით; რა ოქროს ხელი უნდა ჰქონოდა კაცს, რომ ასეთი სიზუსტით გადმოსცეს ჩანაფიქრი: ტახებს მრისხანე გამომეტყველება აღბეჭდოდნათ სახეზე. ვერ მოვითმინე და ფასი ვიკითხე. დამისახელა. არ იყო იაფი, მაგრამ ოქროები ჩავუთვალე და თვალი მივაველ-მოვაველე იქაურობას.

მიხვდა, რომ რაღაცას ვეძებდი; წამობრძანდით და მესამე დაზგასთან მიმიყვანა. მან ოქროს დიადემა მაჩვენა. ჭედური გამოსახულებით დამშვენებული, დიადემა კი არა, ზღაპარი მეგონა. ლომები ხარის ზურგს დასცხრომოდნენ და ფლეთდნენ. დიახ, ფლეთდნენ, ეს ჩანდა კარგად, ნათლად ჩანდა ამ პატარა ჭედურობაში.

სადაურები ხართ – მეთქი, – შევეკითხე, როდესაც დიადემისათვის ჩემი ქისა დავცალე.

„მე კოლხი ვარ, – მიპასუხა პირველმა, – ეს კი იბერიელიაო“.

ბერძნები თუ არიან თქვენში – მეთქი, – როგორ არა, მაგრამ ისინი ქვის კოდვას ეტანებიანო.

„შენი ქურა რაღაც მაგარი ნახშირით არის გახურებული – მეთქი“, – შევნიშნე.

– ეს ნახშირი ამ იბერიელმა გვასწავლა. იბერიაში არის ერთი ხე, საკმლის ხე, რომელიც ძალიან მაგარ ნახშირს იძლევა და ილეკროს<sup>138</sup> ადვილად ადნობსო.

დიდხანს ვისაუბრეთ. ხვალ გნახავთ-მეთქი, – და წამოვედი.

ვფიქრობდი, ჩვენი საჩუქრებით გავაკვირვებდი ხალხს და მე კი დავრჩი გაკვირვებულნი.

– ხომ კარგებია, ბატონო ლიზიმახ? – ჩამესმა ყურში; მივტრიალდი, ჩემ წინ კარიბჭის მცველი იდგა.

– შორი-ახლო დაგყვებოდით – არავინ ავნოს-მეთქი.

– ??

– დიდი სტუმარი ბრძანდებით, ჩვენს ქალაქში ათასი უცხოელი დადის, ვინ იცის, ვის რამ მოუაროს თავში.

მთავარ კარიბჭესთან გამოვწიეთ და ისევ გალავანს გარეთ გამოვედი. ახლა კარიბჭის მცველი ჩემ გვერდით მოდიოდა. თავისუფლად ლაპარაკობდა ბერძნულად. კარგად იცით-მეთქი, რომ ვუთხარი, მიპასუხა, გალავანის მცველები სადუნები<sup>139</sup> ვართ, ოთხი-ხუთი ენა ვიცით, მოგეხსენებათ, აქ მილეთის ხალხი დადის, ყოველთვის სად ვირბინოთ მათი ენის მცოდნის საქმენლად. მე თუ ბერძნული, ასურული, არმენული, კოლხური და იბერიული ვიცი, მეორემ იცის რომაული, ირანული და ასე იოლად გავდივართ.

საქონელს ჩამოვუარეთ, ცხენი მრავლად იყო, ზოგი დაბალი, ჩლიქგანიერი, ასეთი ცხენები ფაზისელებს ჰყავთ. ჭაობებში კარგად დადისო. მკერდგანიერი, ჩასკვნილი იბერიელებისაა, თურმე მთაში კარგად დადის ტვირთითაც, კანჭმადალი ცხენიც ცოტა არ იყო – ირანელებს მოჰყავთ, კარგი გამქცევია; ჩვენს ჯარს იბერიელების ცხენები ჰყავს, შორმანძილიანია, გამძლეო.

ბევრნაირი ძროხა იყო: მოწითალო, ჭოტარქიანი, დიდთვალეა. ამათ კარგი ხარი იციან, სახენელში კარგად მიაქვთ გუთანით, აკი არგონავტებსაც კარგი ხარები ჰყავთ ნანახი. ირანელებს აქლემებიც მოეყვანათ, მაგრამ კოლხები მათ გულგრილად შეჰყურებდნენ; ეცინებოდათ კიდეც მათ შემხედვარეებს. უცბად, თითქოს ვიღაცის ბრძანებითო, ხალხი გაყუჩდა. მალე ამ ათასნაირად ჩაცმული ხალხის განიერი ღობე გაკეთდა. ღობის სათავეში თორმეტი ცხენოსანი გამწკრივდა; დავაკვირდი! ყველანი ათი-თორმეტი წლის ბავშვები იყვნენ, ჭრელ-ჭრელი პერანგების ამარა, თავწაკრულები; მთავარ გამრიგემ აიქნია წითლად შეღებილი ჯოხი და ცხენები ადგილს მოსწყდნენ. გაისმა კიჟინა. ჯერ თორმეტივე ერთად მიჰქროდა, გეგონებოდა, ერთმანეთს წააქცევდნენ, ბოლოს დაწალიკდნენ<sup>140</sup>, წინ წითელპერანგა მიჰქროდა, ყველაზე ბოლოს ლურჯპერანგა მისდევდა.

– ეს ლურჯპერანგა ყველაზე ეშმაკი ჩანს, ცხენის სადავე მოკლედ უჭირავსო, – თქვა ჩემმა გამყოლმა.

ხალხმა მიახლოება ვაჭრობას თავი, ყველა იქითკენ იცქირებოდა, სადაც ცხენები თვალს მიეფარნენ.

ათასი უტევანი<sup>141</sup> მაინც უნდა გაირბინონ აქეთ-იქით, ე.ი. იმდენი, რამდენსაც ფეხით მოსიარულე დილიდან შუადღემდე გაივლისო. მაშ, კარგა დრო გავა, ვიფიქრე და წავედი იქითკენ, სადაც სულადი და სალეველი

მეგულებოდა. მაგრამ რა, ყველა უპატრონოდ იყო მიტოვებული, და, როგორც ჩანს, პატრონები ცხენებს ელოდნენ. რამდენი ვაჟკაცი ამხედრდა, წასულებსკენ გაქუსლეს. „წინ დახვდებიან და თავის ცხენებს გამოუძღვებიანო,“ – ამიხსნა ხუტამ. გავიდა კარგა ხანი და პირველად გამოჩნდა სწორედ ლურჯხალათა, თავისი შემხვედრიც უკან მოეტოვებინა და მოჰქროდა, მას წითელხალათა მოსდევდა, მხოლოდ წინამავალით. ლურჯპერანგამ გამოგვიქროლა, ორი ჭაბუკი ცხენის გვერდით გაჩნდა და მასთან ერთად გაქუსლეს, აღვირში ხელი წაავლეს და კარგა მანძილზე ცხენთან ერთად გარბოდნენ. ცხენი შეაჩერეს, ხალხი მოცვივდა და ბალღი ხელში აიყვანეს. კაი რამას, წინამავალი ჭკვიანი აღმოჩნდა, თავის ცხენს გეზი უცვალა, სხვა ცხენებიც მათ მიჰყვნენ, თორემ ხალხს გადაქელავდნენ, გამარჯვებული ბალღი აავსეს საჩუქრებით: ზოგმა ქუდი მოუტანა, ზოგმა ზედატანი, ქამარი, ტკბილი და მრავალი სხვა. გმირი იყო ნამდვილი, როდის-როდის მოჩანჩალდა ორი ჩამორჩენილი მხედარი. ხალხმა სიცილი დააყარა.

### სიხარული, მწუხარებით შეცვლილი

მეორე დღეს ისევ ოქრომჭედლებს ვეწვიე. ჩემმა პირველმა ნაცნობმა გამოხურა კარი და გამომყვა, ოქროვერცხლი დაზგაზე დატოვა.

ჩემს გაკვირვებულ შემოხედვაზე მიპასუხა: არავინ შემოვა და, თუ შემოვიდა, ხელს არაფერს ახლებსო.

წამიყვანა მთელელების უბანში, ყოველი დარაბიდან ჩაქუჩის კაკუნი ისმოდა, ერთ ხელოსანთან შევედით, დიდი, კოლხური თვალები შემომანათა. მოვიკითხეთ ურთიერთი, მერხზე თხუთმეტ-თექვსმეტი წლის გოგონა იჯდა, შველივით ატრიალებდა თვალებს; დაიმორცხვა, თვალები დახარა, მას აქანდაკებდა, თიხაში გამოემერწა და ახლა მარმარილოში გამოჰყავდა. გოგონას ისეთი წამწამი ჰქონდა, როგორც აქ მღეროდა: „ხოხობი დაიმალება შენი წარბების ჩრდილშიო“. ნამგალა წარბები გადავლებოდა თვალებს, ცხვირი ნატიფი, სწორი... თვალი ვერ მოვაშორე, სანამ ოქრომჭედელმა არ მომაგონა „აი, ესეც ნახეო“.

კედელთან ჩამორიგებული იყო რამდენიმე ქანდაკება.

ამას რას აკეთებ, ოსტატო-მეთქი, რომ ვკითხე, მიპასუხა: ეს ჩვენი ქალღმერთი ნანა მინდა გამოვაქანდაკო, მეზობელი სოფელი მთხოვსო.

აქ თურმე ყოველ სოფელში ქალღმერთის ქანდაკება უდგათ. ეს ხელოსანი ჭაბუკობაში ჩვენში ყოფილა, ათენში უმუშავია, სახელოსნოში, და იქ უსწავლია ქვაზე მუშაობა.

მესამე დღეს გვეწვია ციხის უფროსი და გამოგვიცხადა: ჩვენი მეფე ზედა სასახლეში მიგიღებთო. ზემო გალავანს შიგნით ცხენებით ვერ შეხვალთ, ხოლო იქამდე ცხენით მისვლას შეძლებთ. ეგვიპტური ცხენები შეგიძლიათ კარიბჭემდე მიიყვანოთ, მსხვერპლის შეწირვის შემდეგ მეფესთან მიბრძანდითო.

გამოვეწყვეთ; მე და ჩემი ორი მხლებელი წინ მივდიოდით, ორს მოჰქონდა პანისა და ნიკეს ქანდაკებებით შემკული ბრინჯაოს ქვევრი. იგი იმდენად მძიმე იყო, რომ ორი კაცი დიდხანს ვერ ატარებდა და მათ შემნაცვლებელი ახლდათ, ოცდაოთხ მხლებელს კი დანარჩენი ძღვენი მოჰქონდა. ამას გარდა, რვას თუ ათს ფეტვისა და ღომის მარცვლით სავსე ათი ამფორა. რვას ბედაურები მოჰყავდა, წაიღეს ჭიხვინით ყური; ორ-ორ კაცს ეჭირა. თავს ძლივს უჭერდნენ, ყალყზე დგებოდნენ. ხალხი გამოფენილი იყო და დიდი ყურადღებით გვიმზერდა, თუმცა არა ხმაურობდა, არა უკვირდა რა.

ავიარეთ ქუჩის აღმართი და მივადექით თეთრი, ლამაზად ნათალი ქვით ნაშენ შიგნითა გალავანს. გალავანი მაღალი იყო, ქონგურები გასდევდა ქვისა და ისრის სატყორცნით, ერთ კუთხეში მძლავრი კოშკიცა ჩანდა. კარიბჭის აღმოსავლეთ ნაწილში ამართულია ორი მხარის სიმაღლის სვეტი, რომელიც თეთრი კლდის ოთხკუთხა ლოდზეა დაყრდნობილი. სვეტი უშუალოდ კედელს ებჯინება. ზედ დგას იშვიათი ნაქანდაკევი ქალღმერთი ნანა. სწორედ ისეთი, როგორც ხელოსანთან ვნახეთ. ეს ყოფილა ქალაქისა და სოფლის მფარველი ღმერთი.

თურმე ასეთი ქალღმერთი ქალაქ ფარის კარიბჭესთანაც დგას. კარიბჭეში მხოლოდ ფეხით მოსიარულე შევიდოდა.

კარებში გამოგვეგება კარის გამრიგე, ცხენები ათიოდე კოლხის თანხლებით კედლის გასწვრივ წაიყვანეს. მისალმებისა და მოკითხვის შემდეგ შეგვიძღვა გალავანს შიგნით.

კარიბჭის შიგნიდან მოდგმულია პატარა ტაძარი, კოლხური წესით, აღმოსავლეთ მხრიდან ღია; მთელი ტაძარი იშვიათად სწორი ქვითაა ნაგები, მაღლა მაღალი სვეტებივე მისდევს, გეგონებათ, ცაშია ატყორცნილიო. შიგ, ტაძარში, უკანა კედლის შუა ადგილას მიდგმულია საკურთხეველი. მოკლე სვეტებზე ბრტყელი ფილაა და შესაწირავს ზედ დებენ. ჩვენ ხუთი ამფორა ერთი სვეტის წინ დავდგით.

ამ კედლის კუთხეებში, რომელნიც ფეტვის და ღომის მარცვლით იყო სავსე, ხუთი კრავი მივგვარეთ ტაძრის მსახურთ, რომელთაც იქვე დაკლეს და სისხლი ქვის ვარცლში მოაგროვეს.

ეს კარიბჭე „ღვთის კარიაო“, – მითხრა კარის გამრიგემ და ღვთის კარით ყველას კი არ შემოუშვებენ, ჩვენს უფალს უყვარს ელინთა ხალხი და თქვენ იმიტომ ეს დაგიწესათო.

ამ კარიბჭის ცოტა მოშორებით ერთ ძელქვის ძელზე კიდია დიონისეს ნიღაბი, ჩვენმა კარის გამრიგემ მისცა ნიშანი და მოარბენინეს ექვსი, ღვინით სავსე ფიჩხაურა, – ძელთან დადგითო. ამ ძელის ირგვლივ უკვე ელაგა ოცამდე ასეთი საღვინე.

გამიხარდა, აქ რომ ვნახე ჩვენი მოუსვანერი მარნების განუყრელი თანამგზავრი პანი.

ხუთასი მხარი არც კი გაგვევლო, რომ ჩვენ წინ აიმართა მართლა ცის თაღში ატყორცნილი ტაძარი. მის მარმარილოს კიბეზე ავიძიღვა ჩვენი გამრიგე, „ეგ ღვინის ბრინჯაოს ქვევრი ამ ტაძარს შესწირეთ, ეს არის ჩვენი ქვეყნის ყველაზე დიდი ღვთაების სალოცავიო“ – და ნიკესქანდაკებიანი ბრინჯაოს ქვევრიც სწორედ აქ მოვათავსეთ, დასავლეთის კედლის გასწვრივ.

გამრიგემ მისცა ნიშანი. გოზაურებით შემოიტანეს ღვინო და აავსეს იგი. აქვე დავდგით წინა დღის აქაურ მეთუთნეებთან შეძენილი ამფორები, რომელნიც ჩვენებურებს არაფრით ჩამოუვარდებოდა.

ამის შემდეგ წავედით თეთრი მარმარილოთი ნაშენი სასახლისაკენ. სასახლის კუთხეებში, ზევით, ლომების თავებია გადმოშვერილი და ზევიდან გადმოჰყურებენ გარემოს. ერთი შეხედვითაც ჩანდა, რომ ეს ლომები მარტო დამამშვენებელი კი არ იყო, ამავე დროს სიძლიერის სიმბოლოდაც იყო გამოყენებული. ლომზე ძლიერი ახლომახლო ცხოველი არ არის.

თეთრი ქვის ფილებით მოკირწყლულ ეზოში ჩვენი ჩამოყვანილი ტაიჭები ფლოქვებს სცემდნენ ფილებს და იყო ერთი ჭახაჭახი.

კარის გამრიგემ მთხოვა: თქვენმა მხლებლებმა აქ მოიცადონ, თქვენ წამობრძანდითო. გავიარეთ რამდენიმე ოთახი და შევედით ოქროთი მოვარაყებულ დარბაზში.

მეფე ტახტზე იჯდა. ვეთაყვანე. მთხოვა, აქ ამოდითო, გვერდით მდგარ საკარცხულზე<sup>142</sup> მიმითითა. რად გარჯილხარო და როდესაც მოვახსენე, ბრძანა: კარგი გიფიქრიათ დამოყვრება, მე გასათხოვარი ქალი აღარა მყავს, მაგრამ მემკვიდრეს ერთ-ორ წელში მოესწრება და ის დავნიშნოთო.

ამის შემდეგ წამოდგა, აბა, ვნახოთ თქვენი ტაიჭებიო.

მოიწონა და მცირე ხნის შეყოვნების შემდეგ კვლავ დარბაზში შევედით, აქ იყვნენ დედოფალი, მეფისწული, მისი მეუღლე შვილებით. ერთი მათგანი სწორედ ის გოგონა იყო, გუშინ რომ ქვისმთლელებთან ვნახე. უფრო სწორად, ალი-კვალი ის იყო. ალბათ, ყველა კოლხი გოგონა ასეთია. ყველას ცალ-ცალკე ვეთაყვანე. მხლებლები კედლის გასწვრივ დადგნენ და მეფემ მანიშნა, თუ მოგეწონა, შეგიძლია საჩუქარი მიირთვაო.

მაშინ წინ წამოდგნენ მხლებელნი და დედოფალს, უფლისწულის მეუღლეს და მის ნინველა<sup>143</sup> მივართვით სამაჯურები, გულსაკიდი, ჩაფრასტები, თავმოსართავები თვალ-მარგალიტით, ლალითა და იაგუნდით მორთული და მოკაზმული, თვით უფლისწულს, რომელიც ფრიად ახოვანი და ლამაზი ვაჟკაცი იყო, ბერძნული ფარი, მოოქროვილი მახვილი, შვილდ-ისარი, მეფეს კიდევ უკლებლივ ის, რაც მანდედან წამოვიღე, მთავარი – ოქროს გვირგვინი, თუმცა, უნდა გამოგიტყდეთ, ისეთი არ იყო, როგორიც მას ედგა თავზე.

საჩუქრების გადაცემა რომ დამთავრდა, მეფემ გვირგვინი მოიხადა და კარის გამრიგეს გადასცა.

პური გავტეხოთო და გამიძღვა, ჩემი ხუთი მხლებელი გამოგვყვა, დანარჩენნი კარში გავიძინენ.

მემკვიდრის მეუღლე კოპებშეკრული იყო და ჩემკენ ერთხელაც არ გამოუხედავს, მას არ მოეწონა, რომ მის ნინველას განსაკუთრებული საჩუქრები მივართვი. ვაითუ მოტაცებას მიპირებენო, აილო გუმანი.

მეფემ შეატყო და ალერსით უთხრა: ჯერ ბევრი წყალი ჩაივლის ფასისში, სანამდე ელინთა მეფისწული გვეწვევა, სანამ საბოლოოდ თანხმობას მიცემთო. და მე გამიღიმა, ამით მითხრა ფიქრი ნუ გაქვსო. პურობის აღწერით თავს არ შეგაწყენთ. პურობა იყო ისეთი, დიდი მეფის სუფრას რომ შეეფერება.

შუა ქალაქში კვლავ დგას ერთი დიდი შენობა; იგიც სამლოცველოა, მეტად მაღალია და ნათელი, ვარდისფერი მარმარილოთია ნაგები. პურობის შემდეგ მეფე, მისი მთელი ოჯახი და ამაღა ამ ტაძრისაკენ გავემართეთ. ჯერ კარშივე შემოგვესმა დიდი ლაღადისი. ხელაპყრობილი ხალხი გალობდა და რაღაცას შეჰლაღადებდა მზე-მზეს. ენთო აუარებელი სანათი და ლამპარი; უნებლიეთ მუხლზე დავეცი და ზევსს შევთხოვე ბედნიერება თქვენი და თქვენი მემკვიდრისა.



კაცხის ტაძრი



კაცხის ტაძრის ჩუქურთმა

მეფემ ბრძანა: ხომალდს აგიგებთ და ჩემი ლაზები ჩაგიყვანენ ათენში, მანამდე კი ჩემი სტუმარი იქნებითო. რა მეთქმოდა. ვეთაყვანე და მადლობა მოვახსენე. მე და ჩემი უახლოესი მხლებლები ზემო გალავანს შიგნით, მეფის სასახლის ახლო მოგვათავსეს.

რამდენიმე დღის შემდეგ სულორის ხეობაში წავედით ირმებზე სანადიროდ. თან გვახლდა მეფის მმისწული, ფრიად მკვირცხლი ახალგაზრდა. სამი ირემი და ხუთი შველი მოვინადირეთ. ასეთი კარგი შვილდ-ისარი იშვიათად მინახავს, ჯოღბორდები<sup>144</sup> ჰყოლიათ კოლხებს. შვილდებს აქაური ხისგან ამზადებენ, უხრავს უწოდებენ ამ ხეს, ისრები იბერიიდან მოაქვთ, გრაკლის ისრის პირებს კი მესხთა მმართველი უგზავნის: იქაა ქვა, რომელიც შუშისმაგვარად მჭრელი პირებით იმსხვერა. აი, ამ ქვიდან გამოყვანილი წვერი აქვს ისარს.

ერთი კვირით წავედით ხანისწყლის შესართავის ჭალეშში; ველური ტახი სცოდნია ბევრი; აქ ერთდება სამი მდინარე: ფასისი, ყვირილა და ხანისწყალი, აქვეა ბერძნების სოფელი როდოპოლისი<sup>145</sup>, აქაური ბერძნები უკვე კოლხურად ლაპარაკობენ, ჩვენი მისვლით ძალიან გაიხარეს. თან მახლდა ოცი კაცი ჩემი ამალიდან, დანარჩენნი კოლხები იყვნენ.

პირველ დღესვე სამი ტახი მოვიძიეთ, თუმცა ერთ მხლებელი დამიზიანდა, ტახმა კბილი გაჰკრა და კანჭი დაუგლიჯა. ერთი კვირის შემდეგ იფრინდა<sup>146</sup> მოვარდა, ერგეს და გონიოს მითრიდატეს მარბიელი ჯარი შემოჭრილა, მემკვიდრე თავის რაზმით სწრაფად იქითკენ გაეშურაო.

ჩვენ გავემურეთ ელვარე ქალაქისაკენ. ყველა შემფოთებული იყო, მაგრამ მშვიდი. მეფე კი ჯარის შეკრების სამზადისს შედგომოდა. გაიარა ერთმა კვირამ და მემკვიდრე საკაცით მოიყვანეს. პირისპირ შეხვედროდა მარბიელი სარდალი. მართალია, მეფისწულს დაემარცხებინა, მაგრამ მტრის ერთ ჯარისკაცს შუბი ეძვებინა, მაშინ, როდესაც წაქცეული მოწინააღმდეგისაკენ დახრილიყო.

დატრიალდა კარის ექიმი, მოიყვანეს თოლიგეც, მაგრამ ვერას გახდნენ, მემკვიდრემ სული დალია.

აი, აქ ვნახე უნახავი: მთელი ქალაქი გოდებდა. განუწყვეტელ ნაკადად მოდიოდნენ სოფელ-დაბებიდან შავით მოსილნი.

მეფე აჩქარდა და ნაცვლად მეოცე დღისა, როგორც ელოდნენ, მემკვიდრე მეხუთე დღეს დაასაფლავა, რადგან სამხრეთიდან შემაშფოთებელი ამბები მოდიოდა. პონტო ემზადებოდა თავს დასასხმელად, მარბიელი ჯარის შემოჭრა კბილის მოსინჯვა იყო მხოლოდ.

დიდი ტაძრის ეზოში გათხარეს უზარმაზარი საფლავი, სიგრძით ექვსი-შვიდი ნაბიჯი, სიგანით – ხუთი-ექვსი. საფლავი კლდეში ამოკვეთეს. გააკეთეს უდამპალის<sup>147</sup> სარკოფაგი, შეამკეს ოქრო-ვერცხლით და ისე ჩაასვენეს. სარკოფაგს მესერივით გარს შემოავლეს რკინის შუბები და ხელშუბები, სამოცამდე იქნებოდა. ფერხთით დაუდეს ფარი და რკინის მახვილები, ბრინჯაოს აბჯარი, ჩაატანეს აუარებელი ოქროს, ვერცხლის, თიხის ჭურჭელი, ლანგრები და თასები, საღვინეები იმ ქვეყანაში სახმარად. რასაკვირველია, შემოუწყეს ღვინით სავსე ამფორები და გოზაურებიც. თავზე ოქროსა და ვერცხლის სამკაულები ჰქონდა, მაჯაზე – ოქროს სამაჯურები, თითებზე – ბეჭდები.

გამეგონა და არ მენახა, იმ ქვეყნად სამსახურისთვის გაატანეს ქალი და ვაჟი, ორივე ახალგაზრდა; არც ერთს არ ეტყობოდა სახეზე მწუხარება, ჩანდა, სწამდათ, ძვირფას ბატონთან იცხოვრებდნენ იმ ქვეყანაში.

ხალხი პირქვე დამხოზილი გოდებდა; აი, გათავდა წესის ასრულება, დაეყარა სამარეს მიწა.

წამოდგა მეფე და ესლა ბრძანა: „პონტო<sup>148</sup> ამხედრდა ჩვენზე, კმარა გოდება, მზად იყავით ბრძოლად“.

და ხალხიც უხმოდ დაიშალა.

### ჩაფერფლილი ელვარება

ერთ დილას გოდების შემზარავმა ხმამ გამოძვლიდა. ერთ-ერთი ჩემი მხლებელი შემოვიდა და მომახსენა: ტახტის მემკვიდრის საფლავზე ციხის უფროსის ქალი უნახავთ მკვდარიო. ჭრილობა არ ეტყობოდა, იქვე ოქროს ბეჭედი ეგდო თვალმოხსნილი, ალბათ, შხამი ჰქონდა და დალიაო. იმასაც ამბობენ, უფლისწულს შორიდან ეტრფოდა, ამის შესახებ არავის ეუბნებოდა. რამდენჯერმე მოუვიდნენ მთხოვნელები, მაგრამ ყველას უარით ისტუმრებდა, არავის იკარებდა ახლოს. დედის მუდარაზე: შვილო, აირჩიე ვინმეო, – გაიღიმებდა მხოლოდ, თავს წყნარად გააქნევდა და ეტყოდა: „ადამიანი ერთხელ აარჩევს და თავდება მისი არჩევანით“. დედას არ ესმოდა შვილის ეს ქარაგმა.

და აი, დღეს უსულოდ იყო დამხოზილი თავის გაუმხილებელ სატრფოს საფლავზე.

ისეთი ბრწყინვალეობით ვერ დაასაფლავეს, როგორც მეფისწული. ქალაქს, ეტყობოდა, სხვა დიდი საზრუნავი ჰქონდა.

საფლავი კლდეში გაიჭრა. ხის დიდ სარკოფაგში ჩასვენებული, იშვიათი ხელოვნებით დამზადებული ოქროს სამკაულებით მორთული ესვენა ღვთიური სილამაზით დამშვენებული რაირა (ასე უხმობდნენ მას). ჩემი ნაცნობი ოქრომჭედლის დახმარებით ვიშოვე მისი მეგობრის მიერ ახლად გაკეთებული ვერცხლის სიტულა, რომლის სახურავზე ამოტვიფრული იყო მრავალნაირი ცხოველი, ავავსე ნელსაცხებელით და ორი ელინური სურაც გადავეცი, რათა საფლავში ჩაეტანებინათ. საფლავში ჩაატანეს აუარებელი ვერცხლის, ოქროს, ბრინჯაოს ჭურჭელი, ლანგრებზე ელაგა მთლიანად შემწვარი ხოხობი, გნოლი, შველი, კრავი, ხილეული. იქ, საიქიოში, დასჭირდებო. ხელოსნებს მოჰქონდათ თავისი ნაჭედი და ნაკეთები ნივთები. ციხის უფროსი ძლივსლა ხსნიდა ბაგეს მაღლობის სათქმელად.

ნივთების უმრავლესობა ელვარეში იყო დამზადებული, მაგრამ ეს ქალაქი დიდ სავაჭრო გზაზე მდებარეობს და ნივთთა შორის ჩანდა ასურული, ფინიკიური, ეგვიპტური, რომაული და ელინური ნაკეთობანიც, ცოტა არ იყო იბერიულიც, მცხეთიდან ჩამოტანილი, სადაც თურმე დიდი ოქრომჭედლები მუშაობდნენ.

მე კვლავ გავოცდი, როდესაც სარკოფაგის ფერხთით შესანიშნავი ცხენი დააკლეს. ვიფიქრე, ამით გათავდებოდა, მაგრამ მოიყვანეს სამი ჭაბუკი და ისინიც იმ ქვეყანაში გაატანეს. ერთს სურვილი გამოეთქვა: თან გავყვები, რადგან აქ ახლო არ მიკარებდა, იქნებ, იქ მაინც ვიხილო ხშირ-ხშირადო, თან პირზე ბედნიერების ღიმილი დასთამაშებდა.

ჩატანებულ ნივთთა შორის ბევრი იყო ძველთაძველი, დღემდე სათუთად შემონახული. აი, ამ ნივთებსაც რომ დაჰკვირვებოდით, ნათელი გახდებოდა, თუ რა დიდი კულტურის ქვეყანა ყოფილა იგი, რომელსაც ელოდა გამძვინვარებული მტრის რისხვა.

არ შემეძლო, უშუალოდ მიმეღო მონაწილეობა გონიოს ციხის კედლებთან გამართლ ბრძოლაში. ჩვენი ქვეყანა ხომ ჯერ არ ეომებოდა მითრიდატეს. არა და არ ვიცოდი, რა მექნა. მეფემაც უარი შემომითვალა ჩემი მხლებლების ჯარში ჩარიცხვაზე: შენი ორმოცი კაცი რას მიშველისო.

არა და ბრძოლიდან ცუდი ამბები მოდიოდა. ერთ დილით მოიჭრა მეფის სასახლეში ოცი ვაჟკაცი, შინაურებთან ერთად ას ცხენზე და ორას კარაულზე დააბარგეს მეფის ქონება და გაუყენეს გზას, დედოფალმა თავისი რძალი და ნინველი<sup>149</sup> მოიყვანა, უფროსი შვილის საფლავზე ილოცა, ერთხელ კიდევ მიხედა სასახლეს და კოლხურ ცხენზე ამხედრებული გაუდგა შორეულ გზას.



დედოფალი წავიდაო! – დაიძახა ქალაქის მოსახლეობამ და მანაც დაიწყო გაკრეფა, მიდიოდნენ ტყეში, მესხეთისაკენ, იბერიისაკენ, ვაჟკაცობა კი დარჩა, ამაგრებდა ციხის კედლებს, მართავდა დიდ ქვის სატყორცნებს. მესხეთში გადადიო, – შემოგვითვალა მეფემ. დილით, როდესაც ციხიდან გავდიოდით, თვითონაც მოიჭრა, დაღალული, სისხლში მოსვრილი. „იჩქარეთ, მტერი ფეხდაფეხ მოგვდევსო“... – შემომამახა. „ციხისთავო, გამყოლები ხომ საიმედონია?“ – და როდესაც პასუხი მიიღო, დამიგდო სიტყვა:

„ასეა ბედის ტრიალი, ხან ერთია ზევით, ხან – მეორე. მოახსენე მეფეს, თუ გადავრჩით, ელჩებს გაახლებ-თქო“. ავარჩქარეთ ცხენები, მსუბუქად ვიყავით და სწრაფად მივდიოდით; სოფლებში ვაჟკაცებილა ჩანდნენ. გუნდ-გუნდ მიიჩქაროდნენ თავისი ქალაქისაკენ... ეტყობოდა ადვილად არ დათმობდნენ მას.

რიგი ტყის პირებში საფრდებოდა, რათა მტერი ტყეში არ შეეშვათ, სადაც ქალ-ბავშვთა სამალავები იყო გამართული.

შუადღე გადასული იყო, როდესაც ხანისწყლის ხეობას მივალწიეთ. ღამის სათევად ბევრისთვის თვალით უხილავი ბილიკით წაგვიყვანა ჩვენმა უფროსმა გამყოლმა. დაბურულ ტყეში შევედით. ერთ უზარმაზარ წიფელზე სამი მოსარი აგზავნა. ბილიკს აქედან უთვალთვალეთ, თუმცა მტერი ვერ შემოხედავს ჩვენს ტყეშიო. ღამე ჩამომდგარი იყო, როდესაც მთის წვერზე ავედით. ის იყო, ბანაკი დავეცი, რომ დასავლეთიდან თითქოს გათენდაო, ცაში ავარდა უზარმაზარი ცეცხლის ალი და გამოჩნდა ელვარე თეთრი კედლები; ალი ხან ჩადგებოდა და მაშინ უკუნეთი სიბნელე მოიცავდა ქალაქს.

ამოიგმინეს კოლხმა გამყოლებმა: დავიღუპეთ, ქალაქი აიღო მტერმაო.

მალე სხვადასხვა ადგილას ავარდა ცეცხლი და შუადამისათვის ვაკის ქალაქის მისადგომებთან არსებული დაბა-სოფლები ცეცხლში იყო გახვეული.

„სისხლის მსმელია ბობოქარი და დაუდევარი მითრიდატე პონტოელი, ქვას ქვაზე არ ტოვებს“, – გმინვდა ჩვენი გამყოლი.



კაცხი. სალომე და იოსებ დურმიშიძეების საფლავის ქვები



წარწერა საფლავის ქვაზე

მთელი ღამე არ გვეძინა. მეორე დღეს ზეკარზე შემოგვხვდა მესხების ჯარი, საშველად მოდიოდა, მაგრამ დაიგვიანა. შეყოვნდნენ, ზეკარს კი გადმოსცდნენ, მაგრამ სოფელ ხანის მიდამოებში დაიბანაკეს. თმოგვში კი

იფრინდა აფრინეს: როგორ მოვიქცეთო. ობრეთში შემოგვხვდა უკან წამოსული იფრინდა. შემოეთვალა: ჯარის სარდალი ხარ, როგორც საქმე გაჩვენებს, ისე მოიქეცი, ჯარს უბრალოდ ნუ დაღუპავო.

ეს კი უნდა მოგახსენოთ, რომ მესხები მაინცდამაინც თავებს არ იხოცავდნენ. ისინი თანდათან ჩამოეფინნენ მთებს, რომელიც კოლხეთსა და მესხეთს ყოფს. უკვე ბევრია სოფელი ხანისწყლის, სულორის, სუფსის, აჭარისწყლის ხეობებში. უმთავრესად, ზემოთკენ, სათავეებისაკენ, სადაც ვერც კოლხები შედიან და ვერც პონტოელები, მესხების სოფლები მალე ჩამოიქვეითებენ ვაკისკენაც. რაღა თავი შეგაწყინოთ, მითრიდატეს დაუნგრევია და მიწასთან გაუსწორებია კოლხების ელვარე, ჯარი გაუნადგურებია. მეფე გაქცეულა და ჯერ არ იციან, სადაა; მითრიდატე მიიწევდა აზისისა და დიოსკურიისაკენ, მაგრამ შემობრუნებულა, რადგან გაუგია, რომაელები წამოსულან მის წინააღმდეგ. ეს ყველაფერი გავიგე თმოგვში, სადაც თვეზე მეტი შევყოვნდი, რადგან არმენიაში არეულობა იყო და არ გამოგვიშვეს.

როგორც იყო, მივადღწე კვიპროსამდე. გზად გამოვიარეთ ნიკომიდია, ჰერაკლე, ნინეცია, ძალიან გავიტანჯეთ არმენიაში, კაპადოკიაში, გალათეაში, ეს ქვეყნები დაუმდგარი ქვეყნებია – ხან რომს ებრძვიან, ხან პონტოს, ხან ერთმანეთს. ხალხი გამიწყდა, ნათესავი აღარ შემრჩა. მეორე წელია მოვდივართ...

ალბათ, ჩამოვადწევ და სიტყვიერად მეტს მოგახსენებთ.

მტვერი თქვენი ფეხისა ლიზიმახი“...

– ასე თავდება ეს წერილი, – აიღო თავი ვახტანგმა. ნათურის შუქზე ფერმკრთალი ჩანდა, მაგრამ თვალები რაღაც შინაგანი ცეცხლით ენთო.

– მაინც რა წიგნია ეს წიგნი? – ჰკითხა მინდიამ.

– ხომ მოგახსენეთ, აბა, მე ხომ ვერ მოვიგონებდი.

– არ ვიცი, ძალიან გამართული კია. აი, თუნდაც ის ნაწილი, ოქრომჭედლობა ადგილობრივიაო.

– ჯერ კიდევ 1896 წელს ახვლედიანთა გორა ჩვენს დიდებულ ექვთიმეს<sup>150</sup> მოუნახულებია; პირველად ამ ძეგლს მეცნიერულად ის მისდგომია, როცა აქაური ნივთები უნახავს, განუსაზღვრავს: „ოქროს საყურეები, სამაჯგები, სარტყლების სამკაული და აგრეთვე სხვა ნივთებიც ოქროსი, რომელნიც აქ იპოვებიან, ჩვენის აზრით, უმეტეს შემთხვევაში, შორიდან მოტანილნი არ არიან, არამედ აქ ნაკეთებია. არც მათი ოქროა შორიდან მოტანილი“. ეს აზრი მოჰყავს ოთარ ლორთქიფანიძეს თავის წიგნში.

– ეს მართალია, ოქრო აქაურ ღელეებზე, საქვაბიაზე და სხვაგანაც მოიძიება დღესაც.

– არგონავტები ამ ოქროსთვის მოდიოდნენ აქეთ, – ჩაერია ერეკლეც.

– ეგ ყველაფერი მართალია, მაგრამ უცხო ნივთებიც რომ არის?

– მინდია ბატონო, დღეს საქართველოში შესანიშნავი ჭედური სკოლა გვაქვს, მარტო ოჩიაური და კობა გურული რად ღირს. აი, მამას ჩვენი ჭედურობის კოლექცია აქვს. ამას წინათ, ირანიდან ჩამოუტანეს რამდენიმე ჭედური ლანგარი, კერამიკასაც აგროვებს, ბევრია რუისპირული, თელავური, გურული, შროშული, მარტვილური. გორში იყიდა ქალაქ ორიოლში გაკეთებული ქოთანნი, ორასიოდე წლის შემდეგ ეს კოლექცია რომ ნახოს ვინმემ, უნდა თქვას: ჭედური ხელოვნება ირანულია და კერამიკა ორიოლისაო?

– ??

– ძველად, ანტიკურ ხანაში, ხომ აქეთ გადიოდა დიდი სავაჭრო გზა: რომი, საბერძნეთი, შავი ზღვის სანაპირო, რიონის ხეობა, მტკვრის ხეობა, არმენია, ირანი, ინდოეთი, გასაკვირველია, რომ ჩვენში უცხო ქვეყნების ხელოვნების ნიმუშებიც იყოს?

– კარგია, თქვენი ჭირიმეთ ერთი, ზოგი ერთ ასოს ნახავს ტაძრის ქვაზე და: ეს ჩვენებურია, ირანულია, სომხურია, ასურულიო, – გაჰკვივან. თუ უცხო ქვისმთლელი მუშაობს ამა თუ იმ შენობაზე, შენობაც უცხოურია?

– კარგით, კარგით. აი, შუალამე მოსულა. ხვალ ოთარი მოვა და იმან გადაწყვიტოს, ეგ პაპირუსი სადაურია. მეორე დღეს გვიან წამოიშალნენ, ღელეზე პირი დაიბანეს, ისაუზმეს და კვლავ ახვლედიანთა გორაზე გაჩნდნენ. აქ, მართლაც, ოთარ ლორთქიფანიძის მთელი ექსპედიცია დახვდათ, რომელმაც დაათვალიერებინა მთელი გორაკი. ამ გორაკისათვის ყურადღება მიუქცევიათ ჯერ კიდევ 1876 წელს. შემდეგში დროდადრო იკვლევდნენ, მაგრამ შედარებით ზერეულედ. ბევრი რამ მოსახლეობამ დაიტაცა, გაჩნდნენ საფლავის მძარცველებიც, რომელნიც ტეხდნენ საფლავებს და ოქრო-ვერცხლს იტაცებდნენ. მაგრამ ამ დროს აქაც გაჩნდა, როგორც ახალგორში, ექვთიმე თაყაიშვილი და დაიწყო დატაცებული ნივთების შეგროვება. ამჟამად მუზეუმში შემონახული ბევრი ნივთი ექვთიმეს მიერ არის შეგროვილი. 1936 წელს დაიწყო მეცნიერული შესწავლა ვანისა, მაგრამ შემდეგ ომმა შეუშალა ხელი და პირველი გამართული ექსპედიცია 1947 წელს გაემგზავრა არქეოლოგ ნინო ხოშტარიას მეთაურობით. ნინო ხელმძღვანელობდა ვანის გათხრებს 1963 წლამდე და ბევრი რამ შესძინა მეცნიერებას.

ამის შემდეგ ექსპედიციას სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა პროფესორი ოთარ ლორთქიფანიძე და აი, ათი წლის მანძილზე ამდენი ღირსშესანიშნაობანი აღმოჩნდა (სამლოცველო, მრგვალი ტაძარი, სასახლის ნანგრევები, ორი გალავანი და სამარხებში აუარებული ძვირფასი ნივთი).

– დაგლალეთ, მგონი არა? – იკითხა ოთარმა.

– დადლით რა დაგვლლის, მაგრამ ჩვენ ერთი თხოვნა გვაქვს.

ვახტანგს ერთი გამოცემული პაპირუსი უნახავს, უთარგმნია და დაბეჯითებით ამბობს, ტაბუაო.

ოთარს სახეზე გაკვირვება გამოესახა.

– საინტერესოა! – ესლა თქვა.

– თუ დღეს-ხვალ ვერ ამოგარეთ, თბილისში მოგვწერეთ თქვენი აზრი.

– მეორე ცალიც ხომ გვაქვს? – შეეკითხა ვახტანგს, – მაშ, ნახვამდის.

მანქანაში რომ ჩასხდნენ, ვახტანგი ჩამოხტა, მივიდა ოთართან და ხმადაბლა უთხრა:

– ბატონო ოთარ! ის პაპირუსი წიგნებია, იმის მიხედვით შედგა ლიზიმასის წერილიც. თუ სინამდვილეს უახლოვდება, პატარა შეცოდებას 2037 წელი დაჰფარავს.

ოთარს გაკვირვება კეთილ ღიმილად შეეცვალა და „კარგიო“, – გაატანა თბილი სიტყვა.

### წარსულიდან მომავალში

#### მოწყვეტილი ვარსკვლავი

სცადეს რკინისჯვრის ზეკარის გადალახვა, მაგრამ ვერას გახდნენ, გზა ჯერ კარგი იყო, მაგრამ მალე გაჭირდა, წვიმის წყლებს ღელეებზე ჩამოეტანა ღორღი და ქარისაგან წაქცეულ უზარმაზარ ხეებს ჩაეხერგა იგი; მართალია, ლომივით ბიჭები იყვნენ, ორი ღელე გაწმინდეს, მაგრამ ზეკარის ძირში დიდ ღელეს ვერა დააკლეს რა, როცა ბიჭები, ძირს, ღელეზე მუშაობდნენ, გიორგი გზას გაჰყვა და ერთი საათის შემდეგ დაბრუნდა.

– ტყუილია, ბიჭებო, წინ უარესია, ვერ დავძლევთ...

– ვინ იცის, გადადმა რა ამბავია?!

– კაცო, შარშან ობსერვატორიას გავუარეთ გვერდით და მერმისო, ახლა გზა არ ევარგებაო, – წამოიწყო ვახტანგმა.

– ყველა ნუ გადავალთ, ეს სამი ბიჭი წავიდეთ – მე, ვახტანგი და გივი, ვნახავთ და გიამბობთ.

– როდის?

– ხვალ საღამოს, ამაღამ იქ დარჩებით.

გიორგიმ მინდიას გადახედა. ალბათ, მის თვალეებში დასტური ამოიკითხა, რომ : „თანახმა ვარო“, – უთხრა.

ბიჭებმა კიჟინა დასცეს.

უცხად ვახტანგმა ხმა ჩაიკმინდა.

ლელას უცქეროდა, რომელსაც თვალზე ცრემლები ადგა.

– სამი ბიჭი და ყარანგოზიანთ ქორი, ხომ?


– ვინ ქორი?

– ლელა...

ლელას სახე უკვე გაჰბადროდა, იცოდა, რაკი დაიწყეს, გაიტანდნენ. უფროსებმა მხოლოდ ჩაიღიმეს და მეტი არა თქვეს რა.

– აბა, ნუღარ იგვიანებთ, – უბრძანა მინდიამ და ბიჭები ათ წუთში უკვე მზად იყვნენ. მით უმეტეს, საძილე ტომრები არ წაიდეს. წინ მავალი ერეკლე წავიდა, უკან გივი დარჩა.

– აღმაშფოთებელია, ასეთი კარგი გზა, კარგი მხარე და უყურადღებოდაა, – ჯავრობდა ვახტანგი, რომელიც ხშირად ვერ ითმენდა უკანამავლობას და წინ გადაინაცვლებდა ხოლმე. მაგრამ ლელას შეძახილი კვლავ მოანახვინებდა თავის ადგილს.



წარწერა საფლავის ქვაზე



აკაკის სახლი სხვიტორში

ტყე ნარევი იყო, წიფელი ჭარბობდა, მაგრამ ხშირად მას ენაცვლებოდა ნაძვნარ-სოჭნარი, განათებულ ადგილებზე კი – ფიჭვი. ქერისჭამიას აქ ცუდი საქმე დაუტრიალებია, ლაფანჭამიაც შემოპარულა.

შუადღე იყო და მზე ზურგში აჭერდათ, მაგრამ მხიარულად მიდიოდნენ, მხარმარჯვნივ მოლობილას კობტა მწვერვალი დასცქეროდა. ცოტაც იარეს და მხარმარჯვნივ ხშირი ტყიდან „დიდ მაღალის“ 3200–მეტრიანი მწვერვალი აიმართა, რომლის უტყეო „ფერდობები მთის სამოვრებია და სადაც ხშირად სამეგრელოს მეჯოგეთა ბინებიც იყო. ჩრდილოეთისაკენ მიქცეულ ფერდობზე ტაძრის ნანგრევებიაო, ვახტანგს სადღაც წაეკითხა და მიიწევდა. ავიდეთ, იქნებ, რა ტაძრიაო.

– ვახტანგ, ახლებს თუ არა, ექვთიმე თაყაიშვილს მაინც ექნება ნანახი და აღწერილიც; გარდა ამისა, დღეს ჩვენი მიზანია ობსერვატორია, – უთხრა ერეკლემ. ტყე შეთხელდა კიდეც და ავიდნენ რკინისჯვრის ზეკარზე. ვახტანგმა ვერ მოითმინა და რამდენჯერმე ნათქვამი აქაც გაიმეორა, ზედ ზეკარის უმაღლეს წერტილზე.

– ეს რკინისჯვრის ზეკარია და არა გადასავალი, როგორც ზოგსა და ზოგს ჰგონია, ვისაც არ უნდა გაიგოს, რომ ზეკარი ნამდვილი ტერმინია, „გადასავალი“ კი ცუდად ნათარგმნია.

გზა ჭირკვალივით დაეხვა, აქაც ირგვლივ ისევ მთის სამოვრები იყო, თითქმის ისეთივე, როგორც გოდერძზე ან საყორნიაზე, ჰაერში უკვე სარამოს სუნი ტრიალებდა, როდესაც ყანობილის ძირში მივიდნენ.

ნელი ნაბიჯით აიარეს აღმართი და ავიდნენ ასტროფიზიკური ობსერვატორიის შესანიშნავ კარ-მიდამოზე, რომელიც 1700 მეტრის სიმაღლეზეა ზღვის დონიდან.

ავიდნენ და გაშემდნენ: ამ ულრან ტყეში, ფიჭვნარსა და ნაძვნარს შორის მათ წინ შესანიშნავი მიკროქალაქი აიმართა. დადიოდნენ და გაოცებისაგან ხმა ვერ ამოეღოთ. აქ იყო რამდენიმე საცხოვრებელი კორპუსი, რამდენიმე სამეცნიერო დაწესებულება, ცალკე ლაბორატორია, სკოლა, ასტრონომიული კომპლექსი. ერთ კომპლექსთან იდგნენ, როდესაც თავზე წაადგათ მაღალი, სანდომიანი სახის სათვალისანი კაცი.

– გამარჯობათ, ყმაწვილებო! თქვენ აქ როგორ შემოიპარეთ?! – შეეკითხა და თან კეთილად გაიღიმა.

– არა, ბატონო ევგენი, არ შემოვპარულვართ, სანახავად მოვედით.

– ოჰო, კარგია, მაგრამ რა იცი, რომ სწორედ ევგენი ვარ?

– უნივერსიტეტის სტუდენტი გახლავართ.  
– ჰოო, ეგ სხვა ამბავია! – და კიდევ გაელიმა.  
– გიორგიმ და მინდიამ თქვენთან მოკითხვა დაგვაბარეს.  
– თვითონ სად არაინ?  
– ისინი ზეკარს გადაღმა დარჩნენ, – მანქანა ვერ გადმოდიოდა, წვიმას თავისი უქნია და მარტო წამოვედით...  
– ძალიან კარგი. აბა, მაშ წამოდიოთ... და გაუძღვა წინ. ერთ საცხოვრებელ სახლთან მიიყვანა, ახალგაზრდა კაცს უხმო და დაავალა: ბინა მიუჩინეთ, ასაუზმეთ, შენობები აჩვენეთ. საღამოთი მე თვითონ ვნახავ და ვუწინამდღვრებო.  
ფართო ოთახი მიუჩინეს, პირი დააბანინეს, სასადილოში წაიყვანეს. იქ ერეკლემ თავისი ამხანაგიც ნახა, ზურაბი, რომლის ნახვით ძალიან გაიხარა. პრაქტიკაზე ყოფილიყო აქ.  
– სწორედ შენ იქნები ჩვენი მეგზურიო, – დაჰკრა ბეჭედი ვახტანგმა. მართლაც, ზურაბმა შესანიშნავი მეგზურობა გაუწია.  
– აკადემიკოსი ხარამე ამ ობსერვატორიის დამაარსებელი, ამშენებელი, სულისჩამდგმელია, – უთხრა ზურაბმა თავის სტუმრებს. თითქმის ორმოცი წლის წინათ ჯერ სრულიად ახალგაზრდამ მოჰკიდა ხელი ამ დიდ საქმეს და გაუგონარი და დაუღალავი შრომით, რომელშიც ჩააქსოვა მთელი ახალგაზრდული, მაგრამ ვაჟკაცური სიყვარული, შექმნა ეს უნიკალური სამაგალითო მეცნიერული დაწესებულება უღრან ტყეში, მთებში, სადაც ჯერ საცალფეხო გზაც კი არ იყო.  
– თბილისიდან ამ სიშორეზე რად წამოვიდნენ. ყველა ლამობს თბილისის ირგვლივ ან თბილისში მოიკალათოს, ეგ კი...  
ამის შესახებაც დაწვრილებითი ცნობები მიაწოდა ზურაბმა.  
თურმე აბასთუმანი და მისი გარემო ობსერვატორიისათვის ზედგამოჭრილი ადგილია, რადგან ჰაერი ფრიად სუფთა და გამჭვირვალეა, უქარო, წყნარი, ცა უღრუბლო, ყოველ შემთხვევაში, აქ ღრუბელი უფრო იშვიათია, ვიდრე საქართველოს სხვა რომელიმე ადგილას.  
მეცხრამეტე საუკუნის დასასრულს აბასთუმანში ორი ზამთარი გაატარა რუსმა ასტრონომმა ს. გლაზენაჰმა. მიუხედავად მისა, რომ კომპიცი მცირე იყო, რეფრაქტორიც, შედეგები შესანიშნავი მიიღო: აქ მიღებული მასალის წყალობით შესაძლებელი გახდა, გაეზომათ ორმაგი ვარსკვლავები, რომელთა ცალ-ცალკე გაზომვა აქამდე არ ხერხდებოდა.  
როდესაც გლაზენაჰმა თავისი შედეგები გამოაქვეყნა, ევროპაც კი ალაპარაკდა (1893წ.), სამეცნიერო პრესაში აღინიშნა, რომ ევროპის არც ერთ ობსერვატორიას არა აქვს ისეთი მდებარეობა და გარემო, როგორც აბასთუმნისასო.  
ამის შემდეგ რამდენჯერ აღიძრა შუამდგომლობა, აბასთუმანში დაარსებულიყო ობსერვატორია, მაგრამ მეფის მთავრობამ ამას თავი ვერ გაართვა, მიუხედავად იმისა, რომ აბასთუმანში ობსერვატორიის დასაარსებლად კერძო პირთაგან ფულადი შემოწირულობანიც კი დაიწყო.  
მხოლოდ 1932 წელს, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, აბასთუმანში შეიქმნა პირველი მთის ასტროფიზიკური ობსერვატორია, რომელსაც ამჟამად ეწოდება აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორია.  
პირველად მუშაობდნენ გლაზენაჰისეულ პატარა კომპლურაში, სადაც 1933-36 წლებში ცვალებად ვარსკვლავებზე ფოტოგრაფიული და ფოტოელექტრული დაკვირვებანი ხდებოდა.  
ევგენი ხარაძეს ეს აბასთუმნური ვარიანტი, მინიმუმში, თავიდანვე არ აკმაყოფილებდა, ოცნებობდა, მოენახა ისეთი ადგილი, სადაც შესაძლებელი იქნებოდა, გაეშალათ დიდი მასშტაბის სამუშაო; ოცნებობდა, მაგრამ ამავე დროს ეძებდა შესაფერ ადგილს დიდი მშენებლობის გასაშლელად და იპოვა კიდევ – ყანობილი მთა. შეიძლება სხვას დაერწმუნებინა, სწორი ადგილი არ არისო, მაგრამ იგი მთიან მხარეში დაბადებულ-გაზრდილი იყო და ამ მთაზე კარგად დაღანდა ოროკოები (ტერასები), რომელზედაც განლაგდებოდა მომავალი სამეცნიერო დაწესებულების მრავალი შენობა.  
სწორედ აქ გაიშალა დიდი მუშაობა; მერე სამამულო ომმა მოუსწრო, მაგრამ ვინც დარჩა ომში წაუსვლელი, თავის ხელმძღვანელთან ერთად დღე და ღამეს ათენებდნენ, არც ერთ სამუშაოს არ გაურბოდნენ. ცოტა ეძინათ, ბევრი ეღვიძათ და ააშენეს ვარსკვლავთმრიცხველთა შესანიშნავი ქალაქი. პირველ რიგში აიგო ობსერვატორიის შენობა და პირველი საცხოვრებელი სახლი.  
მალე აქ გადმოიტანეს რეფრაქტორი და სხვა ტელესკოპები, საბჭოთა მთავრობამ გადმოსცა 40 სმ ცეისის რეფრაქტორი ორი ფოტოკამერით; ეს იმ დროისათვის ერთ-ერთი უახლესი და უდიდესი ტელესკოპი იყო, 1937 წელს ამით ახალ კომპლექსში უკვე დაიწყო კვლევა-დაკვირვებანი.  
ახლა ადვილად იტყვის ენა – აშენდა, გაკეთდაო, მაგრამ ეს ხომ ომის დროს ხდებოდა, როდესაც ობსერვატორიის მრავალი მუშაკი ომში წავიდა. წყალს სახედრებით ეზიდებოდნენ, მასალას – ურმებით. ამერიკელი მეცნიერი,

ჰარვარდის ობსერვატორიის ასტრონომი, შემდეგში აბასთუმნის ამ პერიოდის მუშაობაზე წერდა: „მაშინ, როდესაც ჩვენ მუშაობა შევკვეცეთ, ყანობილის ობსერვატორია უფრო ინტენსიურად მუშაობდა“.

ასე იცის საქმის სიყვარულმა, თავდადება და შრომამ.

თეთრი კოშკი ის პირველი კოშკია, რომელიც აიგო 40 სმ ცეისის რეფრაქტორის დასადგმელად. ეს რეფრაქტორი უკვე 40 წელია, მუშაობს და მისით გადაღებული შვიდ ათას ნეგატივზე მეტი სათუთად ინახება ე.წ. „შუშის ბიბლიოთეკაში“.

ამ კოშკის შემდეგ კიდევ რამდენიმე კოშკი აიგო, რომლებშიც მოთავსდა ახალი, გაუმჯობესებული, თანამედროვე მეცნიერების დონის შესაფერისი ტელესკოპი.

აი, მაგალითად, მთავარი შენობის დასავლეთით კარგად გამოკვეთილ ოროკოზე დგას თეთრი ქვით ნაგები მაღალი კოშკი. ამ კოშკის ფართო 7-მეტრიანი გუმბათის ქვეშ დგას 70 სმ მენისკური ტელესკოპი. ეს ერთ-ერთი უდიდესი და უნიკალური ტელესკოპია, რომელიც წმინდად და ფაქიზად იღებს საჭირო ობიექტებს.

განსაკუთრებით დიდი მუშაობა ჩატარებია ობსერვატორიის კოლექტივის 1957 წელს, „საერთაშორისო გეოფიზიკურ წელთან“ დაკავშირებით. დაიდგა ახალი ძვირფასი ხელსაწყოები, მათ შორის ე.წ. ქრომოსფერულ-ფოტოსფერული ტელესკოპი, რომელიც სხვა ტელესკოპებისაგან განსხვავდება და იძლევა მზის ფოტოებს, რომელსაც იღებენ მრავალნაირად თანამიმდევრობით. 1966 წელს სპეციალურად აგებულ შენობაში ამუშავდა მზის ჰორიზონტალური ტელესკოპი.

ასე, ყოველ შენობასთან იგებდნენ ცნობებს ახალ სამუშაოთა შესახებ და ნელ-ნელა გადადიოდნენ ოროკოდან ოროკოზე, შენობიდან შენობისაკენ. როდესაც ბინდი ჩამოწვა, მთავარი შენობის წინ მერხზე ჩამოსხდნენ და წყნარად საუბრობდნენ.

უკვე მოიარეთ? ზურაბ, ხომ აჩვენე...

– რაც შევძელით, კი.

– თუ გაქვთ ხალისი, წამობრძანდით ახლა ჩემთან, – ერთ-ერთი კოშკურისაკენ გაუძღვა და სწორედ აქ აჩვენა კვლევის მეთოდები. თუ წინათ ასტრონომს განუწყვეტლივ უხდებოდა ტელესკოპთან ყოფნა და ცის მნათობთა ჭვრეტა, დღეს ეს უკვე საჭირო არაა, ასეთ „შავ სამუშაოს“ შესანიშნავად ასრულებენ ფრიად ზუსტი ფოტოკამერები. მათი „ნამუშევრის“ შესწავლა და დამუშავება ხდება თანამედროვე მეცნიერების დონეზე მოწყობილ ფოტოლაბორატორიებში.

ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელზედაც მუშაობენ ჩვენი ასტრონომები, ესაა გალაკტიკის – ვარსკვლავთა სისტემის – აგებულების შესწავლა. გაირკვა, რომ ნივთიერება არა მარტო ისეთ მყარ სხეულებშია მოქცეული, როგორცაა ვარსკვლავი, არამედ უხვადაა გაბნეული მათშორის სივრცეში. „ვარსკვლავთ შორის ეს გაბნეული ნივთიერებანი ქმნიან ნისლეულებს, რომლებიც შედგება უწყვილესი მყარი ნაწილაკებისაგან ან აირებისაგან, თავისუფალი ატომებისა და ელექტრონებისაგან. ამის უგულვებყოფა არ იქნება. ობსერვატორიამაც თავისი დაარსების პირველი დღიდანვე ძირითად ამოცანად დაისახა, გაარკვიოს, რა ეკუთვნის გალაკტიკის აგებულებაში ვარსკვლავთშორის შთანთქმასა და ვარსკვლავთშორის გარემოს“.

ასეთი დასკვნა გამოიტანეს მეცნიერის წყნარი საუბრიდან, რაც შემდეგში ობსერვატორიის მეგზურშიც ამოიკითხეს.

ორ ათეულ წელზე მეტია მუშაობენ ამ პრობლემაზე და დაამუშავეს დაკვირვებისა და კვლევის ზუსტი მეთოდიკა, გამოაქვეყნეს დიდი შრომა „ვარსკვლავთა ფერისა და გალაკტიკის სხვა ობიექტების კატალოგები“, გამოქვეყნებული ასტროფიზიკური ობსერვატორიის უწყებების 45 ტომი, საერთოდ კი, აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის თანამშრომელთა შრომები 2000-მდე სახელწოდებაზე მეტს ითვლის. დიდი მუშაობა ჩატარდა ირმის ნახტომის კომპლექსური გეგმის მიხედვით, ე.წ. პარენაგოს გეგმის მიხედვით. ვარსკვლავთშორისი შთანთქმის თეორიულმა და სტატისტიკურმა შესწავლამ შესაძლებლობა მისცა ობსერვატორიას, დადგენილიყო ახალი კანონზომიერებანი, რომელთა შედეგადაც გაძლიერდა გალაკტიკურ მანძილთა გაანგარიშების სიზუსტე.

ყოველივე ამას დიდი გულისყურით უსმენდნენ.

– ხომ არ დაიღალეთ?

– როგორ გეკადრებათ, ბატონო ევგენი.

– მაშ, ცოტა კიდევ გავაგრძელოთ: ზურაბ, თუ ღმერთი გწამს, მომიტანე მეგზური, ვუძღვნათ ჩვენს სტუმრებს, ზოგი რამ სახლში წაიკითხონ.

ვახტანგმა წიგნაკი ჩამოართვა და დიდი მაღლობა გადაუხადა: ქედგადაღმა დარჩენილებსაც წავაკითხებთო.

– ამჟამად რაში გამოიყენება ყოველივე ეს? – წასჩურჩულა ლელამ ვახტანგს.

მასპინძელმა ყური მოჰკრა ამ კითხვას, შედგა და უთხრა:

-მზეზე მიმდინარე პროცესების შესწავლა თანამედროვე ბუნებისმეტყველების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. მზის მიერ უზარმაზარი ენერჯის გამოყოფის პროცესების შესწავლას უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ფიზიკის სხვადასხვა განყოფილების განსავითარებლად.

ატმოსფეროს სხვადასხვა სფეროში მიმდინარე პროცესები მიწის ახლო კოსმოსურ სისტემაში ამყარებენ გარკვეულ ფიზიკურ მდგომარეობასა და ცვალებადობას, აპრობებენ იმ მეტეოროლოგიურ და გეოფიზიკურ მოვლენებს, რომელნიც მიმდინარეობენ დედამიწის ატმოსფეროში. ამ დაკვირვებას ასრულებს ე.წ. „მზის სამსახური“, რომელიც დაარსებულია საერთაშორისო მასშტაბით. ამ საკითხებზე მუშაობა ობსერვატორიამ 1937 წელს დაიწყო და დღემდე აგრძელებს.

გარდა ამისა, მოეწყო რამდენიმე სამეცნიერო ექსპედიცია საქართველოში, შუა აზიაში, ჩრდილოეთში, საზღვარგარეთ – ბრაზილიაში და სხვაგან, მზის სრულ დაბნელებათა შესასწავლად.

ობსერვატორიის თანამშრომლებმა აღმოაჩინეს რამდენიმე მცირე პლანეტა, ორი კომეტა, ოთხი ახალი ვარსკვლავი, ზეახლები. ერთი სიტყვით, დაუსრულებელია ყოველწლიური ღვაწლი ამ ობსერვატორიისა, საბჭოთა კავშირის სხვა ობსერვატორიებთან ერთად იგი მსოფლიოს ობსერვატორიათა შორის ბრწყინავს.

ლაბორატორიიდან ლაბორატორიაში გადადიოდნენ. ყველგან გულმოდგინე, ჩუმი მუშაობა იყო გაჩაღებული.

– რამოდენა მნიშვნელობა აქვს ასტრონომიას, – ფიქრობდა თავისთვის ვახტანგი, – ჯერ კიდევ ძველად ზღვაოსნობის განვითარებაში, სწორი რუკების შედგენის დროს იყენებდნენ ვარსკვლავთმრიცხველობას. ასტრონომია გვეხმარება ატომის ბირთვის საიდუმლოების ამოხსნაში. მზეზე და ვარსკვლავებზე მიმდინარე პროცესების შესწავლა ხელს შეგვიწყობს, ამოვიცნოთ თერმობირთვული რეაქციის საიდუმლოება, კოსმოსური სივრცის დაპყრობა ასტრონომიის გარეშე შეუძლებელია, თუ არ ვიცით ზუსტად ვარსკვლავთა მდებარეობა, ვერ მოვახდენთ პლანეტაშორისი სადგურების კორექტირებას.

ასტრონომიისა და ამინდის კავშირზე ხომ რაღა ითქმის.

მთელი მათი არსება აივსო იმ ადამიანთა პატივისცემით, ვინც ეს შესანიშნავი ასტრონომიული ქალაქი შექმნა, სასახლეებით, სამეცნიერო კომპლექსებით, სკოლებით, ბიბლიოთეკებით, სადაც ასი ათასზე მეტი წიგნია.

საქართველოში ძველად ასტრონომიას კარგად იცნობდნენ. ჩვენს ხელნაწერთა ფონდში ბევრია XI-XII საუკუნეთა კოსმოგრაფიული ტრაქტატები; თბილისში არსებობდა ობსერვატორიაც, მაგრამ, ცოცხალი გატეხილი ჯობია, შუა აზიისა და არაბეთის ობსერვატორიებს ვერ უტოლდებოდა.

– უკვე აღარც გვითხავთ, აშკარად დაიღალეთ... აგერ, შუაღამეა მალე, – გაიშვირა ხელი საათისაკენ... ზურაბ, ახლა ჩვენი სტუმრები მოსვლენ, რაკი არ იშლიან და დილით მიდიან, მანქანით წაიყვანეთ, სადამდეც შესაძლებელია, – დაავალა ზურაბს, სტუმრებს გულთბილად გამოეთხოვა და ჩქარი ნაბიჯით გასწია ორკოშკიანი შენობისაკენ.

– იცით რა, ბიჭებო, რაკი მანქანა იქნება, დროს ვიგებთ. ამის ანგარიშში ჩავიდეთ და თამარის კოშკი ვნახოთ, – შესთავაზა ზურაბმა, რასაც ყველა სიამოვნებით შეხვდა და, ალბათ, ამიტომაც იყო, რომ ყველამ ტკბილად და უშფოთველად დაიძინა.

დილით, ჯერ მამლის ყვილი არ იყო, რომ ხუთივე ვიწრო ბილიკებით ჩარბოდა ოცხეს ხევისაკენ. ოც წუთში იქ იყვნენ და მალე მიადგნენ ორწყალს, ანუ „ხერთვისს“, კურცხარისა და ოცხეს შესართავს.

ვახტანგი გადავიდა კურცხარისაკენ და შიგ ჩახედა.

– რას უცქერი, ბიჭო! – გასძახა ლელამ.

– არ შეიძლება, ამ მდინარეს „კურცხარი“ ერქვას. ისეთი წმინდაა, რომ, ალბათ, კურცხალია და კურცხალიც უნდა ერქვას.

– უნდა მოვძებნოთ სიგელ-გუჯრებში, იქნება მართლაც სადმე დარჩა „კურცხალი“.

– მერე და ვინ ტიროდა? – მიამიტად იკითხა ლელამ.

– განა ცოტა იყო და არის სატირალი მესხეთში?

– ჰოო...

ვახტანგმა აალაპარაკა ძმა და თვითონ კლდეზე ამართული ციხის ნანგრევებზე აძვრა, მას გივი და ლელაც მიჰყვნენ. ესეც „თამარის ციხეა“ და იმ ციხეთა ნანგრევს წააგავს, რომლებთანაც ასე მდიდარია ჩვენი ქვეყანა.

შესართავიდან შარაგზაზე გავიდნენ, აბასთუმნის რამდენიმე ქუჩაც და საბაგირო გზით 5 წუთში ყანობილში აღმოჩნდნენ.

დილის მზით განათებული ყანობილის მრავალი შენობა ნაძვნარ-ფიჭვნარით შენიღბული, მართლაც რომ საამური სანახავი იყო.

დირექტორი ვედარ ნახეს – თბილისში წავიდა უთენიაო; ზურაბს და დანარჩენ მასპინძლებს მადლობა მოახსენეს. მალე ყანობილიდან მანქანა დიდშარაზე გამოვიდა და აუჩქარებელი ბუტბუტით შეუდგა რკინისჯვრის ზეკარის გზას.

თითქმის ზეკარამდე იარა.

მძლოლს თბილი სიტყვებით უთხრეს მადლობა და მალე დაეშვნენ იმერეთისაკენ. სოფელ ზეკარამდე წაადგნენ თავისიანებს, რომელნიც ტყის პირას საქმიანობდნენ. მხიარულად მიესალმნენ ერთმანეთს.

– რა ნახეთ, რას გვეტყვი?

– მოწყვეტილი ვარსკვლავი, – ყველას დაასწრო ლელამ.

– ტელესკოპით?

– არა, თვითონ მთელი ყანობილია მოწყვეტილი ვარსკვლავი.

– ყოჩად, ლელა, – წამოიძახა ერეკლემ.

– მართლა მასზე ლამაზს და აზრით სავსეს ვერას ნახავს კაცი.

– გამაგებინეთ, რას ლაპარაკობთ.

– მეტად კარგია, მეტად ლამაზია, ხომ გაგიგონია, მოწყვეტილი ვარსკვლავიო, ბევრია გაკეთებული.

– ჰოო... გეთანხმებით, – დაუმატა მინდიამ, – მართლაც კარგია.

ასე იცის შრომამ და სიყვარულმა.

– მაშ, დავარქვათ მოწყვეტილი ვარსკვლავი!

– უეჭველად!

**„გულზე დამადგით ფეხი ყოველმან!“**

რაკი ჯერ დრო იყო, შეისვენეს და, მიუხედავად იმისა, რომ გუშინ აქ დარჩენილებს ემუშავათ, მაინც ტყეს შეესივნენ. აქ ხომ ქერიჭამია იყო გავრცელებული. სწორედ ქერიჭამია. ქერიჭამია ფიჭვის მტერია, ლაფანჭამია კი – ნაძვის.

– ქერიჭამია ამ თხუთმეტი წლის წინათ სწორედ ამ მხარეში გამოჩნდა პირველად. მრავალი ჰექტარი ნაძვი, ფიჭვი და ფოთლოვანები ძირს დასცა, სამი-ოთხი წელიწადი იმპინინგარა და შემდეგ მიწელდა. ტყეების აღდგენა დიდი ნერგებით დაიწყო. მათი სიმაღლე ორი მეტრი მაინც იყო, ლიხსა და შქერიანს რომ არ ჩაეკლა, არ დაეჩრდილა. ამჟამად ქერიჭამია აღარ ჩანს.

– ამოდით აქეთ, – იძახდა ერეკლე, რომელიც ერთ მაქალოს წინ იდგა და მის სურათს იღებდა. მაქალო ისეა დახუნწული<sup>151</sup>, რომ გეგონებოდათ, ყოველ პატარა ტოტზე ხელოვნურად დაუკიდიათ მაქალოს ჯაგანო, მართლა ლამაზი იყო! ვაჟას კი ხემაგვარი წყავი ენახა.

– მართალია, აჭარაში ასეთი ბევრი ვნახეთ, მაგრამ აღმოსავლეთით იშვიათია და მაინც ჩავიწეროთო, – ურჩიეს უფროსებმა.

ნაძვნარ-სოჭნარი კარგად გამოიყურებოდა.

– ერთ ფლატეზე გამხმარი ნაძვი გამოჩნდა, „ვაითუ, ლაფნიჭამიააო“, – თქვა მინდიამ.

ვახტანგმა მოინდომა ასვლა, მაგრამ დაუშალეს: ცუდი, ნაშალი ფლატეაო.

ჩამოიქვეითეს და საირმის გადასახვევთან შემოაღამდათ კიდეც. ბინაც ერთ ნაძვნარში დაიდეს.

მათი ბანაკიდან ჩანდა კურორტი საირმე, რომელიც საირმის მთის წინა კალთებზე და მის ძირშია გაშენებული.

აქ საქვეყნოდ ცნობილი ბალნეოლოგიური კურორტია, საირმის წყალი საუკეთესოა თირკმელებით დაავადებულთათვის.

– ბევრი მინახავს, აქებდა, სიცოცხლე დამიბრუნაო.

– ბევრიც კი იმას ამბობდა, არა მიშველა რაო, რას იზამ, ყველას ხომ ერთნაირად ვერ განკურნავს. ნაწილს ხომ კურნავს?

– კურნავს.

– ჯერ ეგ ყოფა, მერე ვნახოთ, თუ ზოგს არ კურნავს, წყლის ბრალი კი არ არის, დიაგნოზისაა. აქ გამოგზავნე ის, ვისაც ეგ წყალი სჭირია, – გამართეს თავისებური საუბარი.

თვით საირმე შესანიშნავი კლიმატური კურორტია, ფიჭვნარი, ნაძვნარ-სოჭნარი და ფოთლოვანი ტყეები ამკობენ მთის ფერდობებს, მოქუხან მთის მჩქეფარე მდინარე და ნაკადულები. ჩვეულებრივი წყარონი ალამაზებენ ბუერიანსა და გვირნიან შალდამებს. ტყეში ბოლო დროს გამოჩნდა ირემიც, აქა-იქ შველიც გამოხტება ხოლმე. „დღისა თუ ნახევარ დღის სავალზე“ ალპური მდელონიც ხშირია. მარტო ასეთი ბუნება, მისი მზე და ჰაერი მოარჩენს ადამიანს.

დილით ადრე გაიღვიძეს. ხანისწყლის მარცხენა ნაპირს მოსდევდნენ.

ერთ ადგილს ხანისწყალი კლდეში იყო ჩაჭედილი. კაცი ადვილად გადახტებოდა. მდინარე კი არ მიდიოდა, დუღდა და ტრიალებდა.

კიდეც დააყენეს მანქანა და ტკბებოდნენ ბუნების ამ სიმშვენიერით.

– აქეთ, ამ ვიწროებში იყო კაკას ხიდი; ისე, როგორც „ჩაილურის წყალი დალიაო“, – აღმოსავლეთ საქართველოში იტყოდნენ, აქაც, თუ იტყოდნენ: „კაკას ხიდზე გაატარესო“, – უიმედოდ, დაკარგულად ითვლებოდა. საქმე



იმშია, რომ ჩვენი ავბედობის დროს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ოსმალებმა მესხეთში ფეხი მოიკიდეს, მაშინ მარბიელი ჯარი ხშირად გადმოდის ახალციხიდან იმერეთში და იტაცებდა ქალ-ვაჟს. ამ ხელობას მისდებდა ზოგი და ზოგი გაწუწუებული თავადი და აზნაური, ასეთი ქვეყნის დამატკევეარი, მეზობელ სათავადოში იტაცებდა ტყვეს და, თუ „კაკას ხიდს“ გააცილებდნენ, დაკარგული იყო, ვერას იპოვნიდნენ; კაკას ხიდის შემდეგ უღრანი ტყეები იწყებოდა, სადაც თურქთა მარბიელი და მძარცველთა რაზმები თარეშობდნენ. ბევრი იბრძოლა სოლომონ მეფემ, ერთხანს ხელი ააღებინა კიდეც, მაგრამ გაწუწუებული ძალებივით იყვნენ ქალ-ვაჟთა მტაცებელნი. იყიდებოდნენ თვალეზუქუნა გოგონები, პირნათელი ჭაბუკები სტამბოლისა და ტრაპიზონის ბაზარზე. მთელი აღმოსავლეთი იყო მოფენილი ქართველი ვაჟკაცებით. კეცავდნენ ჩვენი ბიჭები ერეკლესა და სირიის, არაბეთისა და ეგვიპტის გრძელ გზებს, სიცხისაგან გაოგნებულებს ელანდებოდათ, რომ ეულად მოხეტიალე ფრთოსანიც კი ჩამოსძახოდა: „არ გათათრდეო“, მაღლა აიხედავდნენ და სამშობლოდან წამოსული წეროებიც ციდან ჩამოსძახოდნენ: „სამშობლო გემუდარება, არ გათათრდეო“, მაგრამ მიერეკებოდნენ ტყვეთა ბაზარზე: განსაკუთრებით ფასობდნენ ქართველი ტყვე ბიჭები ეგვიპტეში. აქ მათ ზრდიდნენ მამლუქთა სკოლებში და რიცხავდნენ ჯარში მეომრებად. მათ აფასებდნენ გამჭრიახობისათვის, ჭკუისა და ვაჟკაცობისათვის. ქართველ მამლუქთა სახელი გრგვინავდა აღმოსავლეთში, ბევრი მათგანი ჯარებს სარდლობდა, ბევრი მთავარი სარდალი და ქვეყნის მმართველი იყო, ასეთები იყვნენ მარტყოფელი ბიჭი სინჯიკაშვილი, ქვემო ქართლიდან გატაცებული დავით ბოჩოლაშვილი, შემდეგ ერეკლეს მბრძანებელი დაუდ-ფაშა.

1821 წელს დედა მარიამს მოსწერა წერილი. აი, ეს წერილიც: „ბედნიერი ბაბილოვანი ხელმწიფე, თქვენი ძე დაუდ-ფაშა, მრავალს მოკითხვას და ნახვის ნატვრას მოგიძღვნით, დედავ მარიამ!

მერმეთ თქვენი მოწერილი წიგნები, თუ არზრუმზედ გამოგზავნილი, ანუ ზუზბალანთ კაცის ხელით გამოგზავნილი წიგნები, მომაბარენ სრულად, რაც რომ მოგეწერათ, ვისმენთ და ახლა თქვენი აზნაურობისათვის ბატონი მთავარმართებელისათვის წიგნი მომიწერია, უსუფა გამომიგზავნია, წიგნები გამომიტანებია, წიგნებს მირთმევაზე თქვენც მიჰყვით, რაც რომ გნებავდეს, ყოვლისფერი მოახსენეთ. და ახლა ანდრია ზუზბალაშვილისათვისაც მომიწერია, რომ ამ საქმეზე მოგეხმაროთ. მერმე, თუ შეიძლებოდეს, ჩემს უნახაობას ნუ დაიშურებთ. მოდი, შენი ნახვა მსურს, სხვაფერ ფიქრი ნუ გაქვს, ერთხანს გენებოდეს, იყავი, როცა ინებებთ, მაშინვე დიდი პატივით გაგიშვებთ. მერმე ჩემს ძმას შიოს მრავალ მოკითხვას მოუძღვნი და შიოს ყმაწვილებს მრავალს მოკითხვას მოუძღვნი, ჩემს დებს მრავალს მოკითხვას მოუძღვნი, მერმე ვითხოვთ თქვენი მოწყალი გულისაგან, რომ ლოცვით ნუ დამივიწყებთ.

კაცი ქვეყანაზე მოვა და ვენახს გააშენებს, რომ ნაყოფი მიიღოს, თქვენ ვენახები გაგიშენებიათ და ნაყოფი არ მიგიღიათ, ვითხოვთ თქვენი მოწყალე დედობისაგან, თუ შეგეძლოს, წამოსვლას ნუ დაიზარებთ, ჩემთვის ილოცეთ, მოწყალეო დედაო! თქვენი ძე ბაღდადის ხელმწიფე

დაუდ-ფაშა

დაიწერა წელსა 1821, მარიამობის ორს“.

დედამ უარი შეუთვალა შვილ მეფეს, ჩემს ქვეყანას ვერ დავეტოვებო. ამას ადასტურებს ა. გრიბოედოვიც, რომელიც ერთ შენიშვნაში წერდა:

„დაუდ-ფაშამ სამი წლის წინათ თავისი რწმუნებული მოავლინა საქართველოში, რათა ნება მისცემოდა დედამისს, წასულიყო მასთან ბაღდადში, მაგრამ მან სასტიკი უარი თქვა მუსულმანურ ქვეყანაში მოგზაურობაზე და მართლმადიდებელ სამშობლოში ყოფნა ამჯობინა იმ ფუფუნებით ცხოვრებას, რაც ბაღდადში მოელოდა“.

აქ საყურადღებოა ის, რომ დავითი სამშობლოსა და სამშობლო ენას არ ივიწყებს.

სომხითელმა დედაბერმა მეფურ ფუფუნებაზე უარი განაცხადა და სამშობლოში დარჩენა არჩია.

დაუდმა ძმები ორბელიანთა ყმობიდან დაიხსნა, დიდი ფული გადაიხადა. დედის გააზნაურებაც მოინდომა, მაგრამ ეს ვედარ მოუხერხებია.

ეს ყველაფერი უფრო ვრცლად აქვთ აღწერილი დ. ჯანელიძეს და ფ. სილაგაძეს ნაშრომში „ქართველი მამელუკები ერეკლეს“.

საყურადღებოა, არა?

ამ ამბის შემდეგ დიდხანს ხმა არ ამოუღიათ, სანამდე ერთ ნახოვარის გვერდით არ დააყენებინა მანქანა გიორგიმ, ნახოვარზე ურო ბალახი მძლავრობდა.

– აი, ეს ბალახიც, ურო, ჩვენებური თუ თურქი გოთაულივით<sup>152</sup> აბეზარია, ხანისწყალზე ეს ვაჟბატონი არ არის კარგი ნიშანი... თუ ტყეს არ გავუფრთხილებით, ეს და მის მაგვარნი იმძლავრებენ და მერე გამძელდება საქმე.

– ეს ქერისჭამიაო,

– ეს ლაფანჭამიაო,

– ახლა კი ურო<sup>153</sup> ბალახიო.

– ეგრეა, მტერი ბევრია, თუ თვალი მივლულეთ, „მეგობარი“ მტერივით ჩამოგისახლდება და მერე ფეხს ვერ მოაცვლევიანებ.

მალე მათ წინ უკვე გაიხსნა ფერსათის მთების კარი და გამოჩნდა საჩინო – სალომინაოს, ანუ მაიაკოვსკის<sup>154</sup> და ვანის<sup>155</sup> დაბლობი.

მაიაკოვსკში (ძველებურად ბაღდადი) ვლადიმერ მაიაკოვსკის მუზეუმი, მაიაკოვსკი ხომ აქ დაიბადა, მეტყვევებს ოჯახში, 1893წ. შვიდ ივლისს. 1902 წ. ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში შევიდა. მაგრამ 1906 წ. მოუკვდა მამა და ოჯახი მოსკოვში გადავიდა. აქ კი, მაიაკოვსკების სახლში შეიქმნა მუზეუმი, რომელსაც დიდი ამაგი დასდო მიქელ პატარიძემ და სიკვდილამდე მისი დირექტორიც იყო.

რაკი მუზეუმი ნანახი ჰქონდა, აღარ შეუხვიეს.

– ერთი უნდა ვთქვა, არ გაჯავრდეთ, – წამოიწყო ვახტანგმა, – ძალიან ადვილად ვტოვებთ და ვიმეტებთ გეოგრაფიული პუნქტების სახელებს. ახალ მოღვაწეთა სახელები უნდა დავარქვათ, ეს საჭიროა, მაგრამ ხომ შენდება ახალი დაბა, ახალი ქალაქი, ახალი ქუჩა, იმათ დავარქვათ ახალი, ძველი კარგი რად შევცვალოთ?

– უცნაურია, თბილისში ავაშენეთ უბნები ისე, რომ ქუჩის ნასახივ არ არის, ძველ ისტორიულ მნიშვნელობის სახელებს ვცვლით და ახალ სახელებს ვარქმევთ.

და გამოჰკრეს ქვემოთ, აჯამეთისკენ.

მაგრამ მარჯვნივ საჩხეიძეო იყო გაშლილი, „ხილიან-ვენახოვანი“, თავისი ობჩით, სვირითა და ცნობილი სვირული ღვინით.

„ხოლო არგვეთის სამხრით არს საჩხეიძო, პირველად არგვეთადვე წოდებული, მერმე ფერსათის კერძოდ. შემდგომად პყრობითა თავადთა ჩხეიძეთაგან საჩხეიძოდ ისახელა. არამედ განჰყოფს საჩხეიძოსა და არგვეთს ჩრდილოთ ჩხერიძელა, ძირულა და ყვირილა, მერმე საჩხეიძოსა და ვაკეს მდინარე რიონი საჩინომდე. ხოლო აღმოსავლით მზღვრის საჩხეიძოს ფერსათიდან ჩამოსული მცირე მთა, ჩრდილოთ ძირულამდე, ხარაგაულს ქვეით; სამხრით მთა ფერსათი, ანუ ღადოთ, ანუ ლომსიათ წოდებული, ხოლო დაბისაგან ან ფერსათად, თხემთა უტყეო, კალთათა ტყიანი, მაღალი და განიერი, ზოგან თოვლიანი და ნადირიანი, ფრინველიანი. ჩრდილოთ კერძო იმერეთისა, სამხრით კერძო სამცხისა; დასავლით მზღვრის საჩინო-სალომინაოს საზღვრის ხაზი რიონიდან ფერსათამდე. არამედ სვირის ზეითს, აღმოსავლეთის კერძოს, უწოდებენ აწ ლომსიათ-ხეცს.

და არს ქვეყანა ესე მდინარეთა კიდურნი ბოდოვანი, ფლატოვანი, ჭალიანი; მთის კერძო ვაკე და აყრილ-ტყიანი, ნიგვზნარ-ხილიან-ვენახიანი, ხეთა ზედა ასულნი, რომელსა უწოდებენ მაღლარსა, ანუ ბაბილოსა. ღვინო მრავლად და კარგი. აბრეშუმს აკეთებენ, არამედ არგვეთში უფროსს. ბრინჯს არა სთესენ და ბანბას, სხვანი მარცვალნი ყოველნი ნაყოფიერებენ. პირუტყვთა აქა უმეტეს სიმრავლე არგვეთ-რაჭისგან, რამეთუ ზამთარიცა მძოვარნი არიან აჯამეთიდან გურიამდე, ნადირნი მრავალნი...“

„ღვინო მრავლად და კარგი“, მართლაც, კახეთის შემდეგ იმერული ღვინოა ცნობილი, სვირი-ობჩა იმერეთის გურჯაანია ყურძნის მოსავლით. ციცქა და ცოლიკაური უძვირფასესი ჯიშებია, რომელნიც საუკეთესო ღვინოს იძლევიან.

ჩვენი მგზავრები ტკბებოდნენ იმერეთის შესანიშნავი პეიზაჟით. მწვანე გორაკებით დამშვენებული და აყვავებული, დაცემული ვაკე, როდონაული, ცხენტარო, ვარციხე, დიდველი, გაღმა: არგვეთი, საქარა, მარტოთუბანი, დილიკაური...

კინადამ სულმა წასძლიათ და სვირისკენ არ გადაუხვიეს.

მაგრამ აჯამეთი? ეს უკანასკნელი ამჯობინეს: ორივე გზა ზესტაფონში ჩაგვიყვანსო. დიშში გადაუხვიეს საკრალისა და ხანისწყლის შესართავ ქვემოთ, ეს მხარე ამ დროში ჭეშმარიტად ძელქვების<sup>156</sup> სამფლობელოა. როგორც ჩანს, ეს დიდი ვაკე, ჯერ კიდევ ახლო წარსულში, ძელქვიანით იყო დაფარული, მაგრამ იგი დაღუპა მისი მერქნის კარგმა ღირსებამ. დაუნდობლად ჩეხდნენ უმთავრესად სახლების საშენ მასალად, რამაც მისი მთლიანი მასივები საქართველოში მოსპო. მნიშვნელოვანი ძელქვიანი შემორჩენილი გვაქვს აჯამეთის ძელქვის ნაკრძალში. ძელქვა არქტომესამეულის რელიქტია. წარსულში იმერულ და ქართულ მუხასთან ერთად დილიკაურ-კაცხს შუა დასავლეთ საქართველოს ვაკის (საორიენტაციოდ, 50 მეტრიდან 500 მეტრამდე ზღ. დონ.)<sup>157</sup> ტყეების ძირითადი შემადგენელი ჯიში იყო.

ამჟამად მთლიანი ტყეების ნაცვლად შემორჩენილია პატარ-პატარა კორომების სახით, საკარმიდამო ნაკვეთებზე და სასაფლაოებზე დგანან უზარმაზარი ეგზემპლარები; მაგალითად, თერჯოლის რაიონის იშხნელიანთ უბნის ძელქვა 40-45 მეტრი სიმაღლეა, ზროს დიამეტრი 5 მეტრამდე აქვს, ასევე მშვენიერი ძირები დგას ბანძის სასაფლაოზე, ცაიში და სხვაგან. სხვათა შორის, ბანძის სასაფლაოს ძელქვები შესანიშნავია იმიტაც, რომ ზროს

ქვედა ნაწილში გამოზრდილია საკმაოდ დიდი (10-25 სანტ. 1.5 – 2მ) ფიცრისებური წახნაგები, რომელნიც ფესვებში გადადიან. ასეთი რამ ტროპიკულ მცენარეებს ახასიათებს და ძელქვაც ხომ წარმოშობით ტროპიკულია. ძელქვა, მართალია, რელიქტია და მისი არეალი შემცირდა, მაგრამ მომაკვდავი ჯიში მაინც არ არის, თუ ხელი შეეწყო, მის კორომებში აიკრძალა ჩეხვა, მოვება, ძალიან მალე აღდგება. ძელქვის ნაალაგებზე დღეს რცხილნარია და რცხილნარ-მუხნარი, უმთავრესად კი – სოფლები, მინდვრები, ბალ-ვენახები.

ქარსაფარ ზოლებში იგი ფართოდ უნდა გამოვიყენოთ.

– მერე და რატომ არ იყენებენ?

– სატყეოების ბრალია, ერთხელ აღებულ გზას, ერთი-ორი ჯიშის აღზრდას სანერგეში და ამით იოლად წასვლას, ვერა ტოვებენ...

– უნდა დატოვონ.

– ალბათ დატოვებენ.

– სანამ დატოვებენ, ეკლის ხე და მისთანანი დაიჭერენ ქარსაფარის ადგილს.

– ძელქვა, სადაც არ უნდა იყოს იგი ამოსული, დაცული უნდა იქნეს.

ჩვენი მგზავრები აღაფრთოვანა აჯამეთის ძელქვნარის ნაკრძალმა. სიმართლე უნდა ითქვას, რომ თვით ძელქვას კოლხური და იმერული მუხა სჭარბობს, მაგრამ ბევრგან ძელქვა კარგ კორომებსა ქმნის. აქ ისეთი ერთეულები, რომლის დიამეტრი მეტრზე მეტი იყოს და სიმაღლე 40 მ ჰქონდეს, არ არის, მაგრამ ეს ნაკრძალია მაინც ფრიად მნიშვნელოვანი; აქ უნდა ხდებოდეს ამ მცენარის ბიოლოგიის სრული შესწავლა. გარდა მუხისა და ძელქვისა, გვხვდება ნეკერჩხალი, იფანი, პანტა, მაჟალო, კუნელი და სხვა ასეთი.

აჯამეთის ძელქვის ნაკრძალი მდებარეობს იმ სამკუთხედში, რომელიც შექმნილია რიონის, ხანისწყლისა და ყვირილას შერთულით. აი აქ, დაცემულ ვაკეზე, გადაჭიმულია ნაკრძალი. ახალგაზრდებს გამოსვლა აღარ უნდოდათ, დადიოდნენ, ეძებდნენ, ეძებდნენ რაღაცას, ისეთს, რაც დღემდე არ ენახათ. როდესაც კარგ ძირსა ნახავდნენ, უხაროდით; ახლა ვახტანგი იტყოდა: უფრო კარგს ვიპოვიო, – და პოულობდა. ისე მიუაღერებდნენ ხოლმე, თითქოს ძველი მეგობარი შეხვდათო.

„ამ ეკლარისწყალს ზეით მიერთვის ყვირილას აჯამეთის წყალი, სდის ფერსათს, მოერთვის სამხრეთიდან ყვირილას; აქ აჯამეთს არს სანადირო მეფეთა, აღვსილი დიდ მცირეთა ნადირითა, საქებელი ფრიად, ზამთარი თბილი, ზაფხული ცხელი, გაუძლები“.

გიორგი და მინდია კი იქვე მანქანასთან, კუნძზე ჩამომსხდარნი, ნაკრძალის მუშაკებს ესაუბრებოდნენ.

არც ესენი ჩქარობდნენ, მაგრამ იყო ერთი, გივი, რომელიც ვერ ისვენებდა, აჩქარებდა.

– კარგი, გეყოფათ, ახლა აჯამეთის მემინდვრეობის საცდელი სადგურიც ვნახოთ...

– მოიცა, კაცო!...

– საქარის მევენახეობის სადგურიც ხომ უნდა ვნახოთ!

– ვნახოთ, მერე რა?

– დაგვიღამდება.

– არც მაგას უშავს რა.

– შარშან პრაქტიკაზე ვიყავით აქ; დილიკაურს რომ ასცდები, ზეგანია 400-500 მ სიმაღლეზე ზღვის დონიდან, ყველგან შემორჩენილია ტყის ოლე<sup>158</sup>, ბოსლევთან, რკვიასთან, საკურწიასთან კარგი მუხნარი ყოფილა, ძელქვიანიც. სადმე ვათიოთ... – ამაზე მეტი აღარა უთხრა რა გივის ერეკლემ.

მალე აჯამეთის მემინდვრეობის საცდელ სადგურში იყვნენ, ლამაზად დაკვალულ მინდვრებზე ლაღად იზრდებოდა სიმინდი, სორგო (ჯიქურა), ლობიო, სოია, ხორბალი.

მაღალ-მაღალი, სანდომიანი სახის კაცი დახვდათ, სადგურის დირექტორი. საგულდაგულოდ დაატარა, აჩვენა მათი ნაღვაწი ჯიშის სიმინდები: აჯამეთური ყვითელი, აბაშური თეთრი, ქუთათური ჰიბრიდი, სოიები და სხვა. ნამუშევარი მოუწონეს, მაგრამ ერთი ჩამაფიქრებელი სიტყვა მაინც დაუტოვეს:

– ღომს ნაკლებ ყურადღებას აქცევთ, ღომი ეგრე ადვილად დასატოვებელი მცენარე არ არის, იცოდეთ, მომავალი მისია.

– ძნელია დამუშავება.

აჰ, ეგ ზღაპარია, – ჩაერია მინდია, – თხუთმეტი წლის წინათ ხომ მიიღეთ 40 და 50 ცენტნერი მოსავალი ჰექტრიდან, მუშაც იმდენი დაიხარჯა, რამდენიც სიმინდზე, ზოგჯერ ნაკლებიც.

დირექტორს სიწითლემ გადაჰკრა.

– გეგმას არ გვამლევენ...

– გეგმა შენი მუშაობის შედეგად უნდა შეადგინონ... ამის გამო ბევრი მცენარე დაგვარგეთ და ღომსაც ნუ დაგვარგავთ, იგი ერთ-ერთი უძველესი მცენარეა ჩვენში. სვანეთში, პირველ-მეორე საუკუნის სამარხებში ღომის მარცვლებიც აღმოჩნდა... მამასადამე, ეს მეთვრამეტე საუკუნეში კი არ არის შემოტანილი, არამედ ჩვენი ღვიძლი

მცენარეა, ჩვენი ისტორიის თანამყოფელი. მთავარი ის არის, რომ მრავალი ჯიში მოგვეპოვება და არ დავკარგოთ. დღეს თუ არა გვჭირია, ხვალ დაგვჭირდება. მით უმეტეს, ღომი, რომელიც დიეტური საკვებიცაა. ვედრებასავით ისმოდა მინდიას სიტყვები.

ქუთაისისკენ გამოსწიეს.

– გელათში ავიდეთ თუ არა? – იკითხა ვახტანგმა.

– შესდევით! – ბრძანა ლელამ, – ლექსს წავიკითხავ და გაშალა პატარა, ლამაზი წიგნი.

*„ფეხი დამადგით,*

*გულზე დამადგით ფეხი ყოველმან,*

*წყალობა ჰყავით...*

*საქართველოს ყოვლის მპყრობელმან*

*ვისურვე, დავით...*

*ფეხქვეშ გაცვითეთ საფლავის ლოდი*

*ყურძნის მტევნებით...*

– ასეთი ცოდვა რა გაქვს, მეფეო,

მიუტევები?

ღირსმსახურებდი ქართულ მიწა-წყალს,

რაი გადარდებს?

გასწიე იგი „ნიკოფსიითგან

დარუბანდამდე“.

თუ... ეს მაღალი თავმდაბლობაა

ოდით და ოდით?

თუ ცოდვილი ხარ, მაშინ, მეფეო,

რაღა ჰქმნან ცოდვილთ

სულის სიმშვიდის, სულის სიმშვიდის

ვერსით მპოვნელთა?

– გულზე დამადგით, ფეხი დამადგით

გულზე ყოველთა...“

ყველა მიწყნარდა.

– დიდი იყო დავითიც, დიდია გელათიც.

– ცად აზიდულა ბაგრატის ტამარიც, შორს გავარდნილა უქიმერიონის სახელიც.

– ეს იყო ძველი კოლხეთის დედაქალაქი?

– უმრავლოსობა ძველი დროების მკვლევარებისა ასე ფიქრობს.

– ჩვენში იტყვიან – კერა მოითხოვსო, ეს მაშინ, როდესაც ახლო წარსულში ოჯახში ბევრი კარგი რამ იყო და დღეს აღარ არის: კარგი ძაღლი, ყოჩაღი სიძე, ან სხვა რამე და ისევ გაჩნდება ხოლმე. აი, აქაც აღდგა ძველი კულტურის ნაკვალევზე პედაგოგიური და პოლიტექნიკური ინსტიტუტები, ოპერის თეატრი... შეიქმნა ინდუსტრიის მეორე დიდი ცენტრი – ქუთაისი. კერამ მოითხოვა ძველი დიდება და იგიც თანდათან იმოსება ამ დიდებით.

– მაგრამ მაინც ცოტაა ის, რაც დღესა აქვს. დაუშვებელია, მთელი ჩვენი ავლადიდება ერთ ქალაქში მოექცეს. თბილისი კარგია, მაგრამ ზრდით სხვა ქალაქებიც უნდა იზრდებოდნენ, თორემ საქართველო თავკომბალას დაემსგავსება.

– განა არ შეიძლება, ზოგი საკვლევი ინსტიტუტი ქუთაისშიც იყოს? შეიძლება! პირველ ხანებში გაუჭირდებათ, მაგრამ თანდათან შეიქმნება ბიბლიოთეკებიც, სხვა ატრიბუტებიც, რაც საჭირია.

– ზოგი ბათუმში, გორში, თელავში... – მინდია თეატრზე მიუთითა, მათ წინ ქუთაისის ახალი თეატრი იყო აღმართული.

– კარგია, არა? შეეკითხა ერეკლე ლელას, რომელიც არქიტექტურის ფაკულტეტზე აპირებდა შესვლას.

– კარგია, მაგრამ სიმაღლე აკლია, უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო... თითქოს პირველად დღეს დაინახესო, ყველამ იგრძნო, რომ მართლა სიმაღლე აკლდა.

– მინდია, სცნობ შენი დროის ქუთაისს? – შეეკითხნენ ბიჭები.

– შეიცვალა, შეიცვალა, ბაღებო, უკეთესისაკენ, საღორის ტყეც შეიცვალა, მხოლოდ უარესისაკენ. ბევრი გაუჩეხიათ, მაგრამ რაც დარჩენილა, ხომ ნახეთ, იმას კი უვლიან. სადღაა ქუთაისის სამიკიტნოები და დუქნები თავისი არღნებით, გრძელჩოხიანი ლოთიშფოთებით, ჯაჭვის ხიდის თავადებული ხალხით, ბალახვანის ქუჩის აყალმაყალით. აღარ ისმის გიჟმაჟი მეეტლეების „ხაბარდა“. დღეს ფართო ქუჩებზე ტროლეიბუსები დაქრიან.

ალპანისკენ, ხონისკენ, სენაკისკენ, ზესტაფონისკენ ყოველდღე ასზე მეტი ავტობუსი გადის. მწერალთა კავშირის განყოფილებას თავისი ორგანო აქვს.

– ქუთაისს უნდა დაუბრუნდეს თავისი სილამაზე, სურნელება, მიმზიდველობა, არა? დაეთანხმნენ.

ქუთაისში გამოეთხოვნენ თავიანტ მეგობარს, ვაჟას.

ბათუმის ბოტანიკური ბაღის თანამშრომელი უბრუნდებოდა თავის ჩვეულ სამუშაოს. გულიანად გადაეხვივნენ და დაპატიჟეს: თბილისში რომ ჩამოხვალ, გვნახეო.

გამოვიდნენ ქუთაისიდან და გაიბა იმერეთის ულამაზესი სოფლები: მხარმარჯვნივ – ჭოგნარი და კვახჭირი, მირს – დაცემული ყვირილას ჭალები, ოდესღაც ჭალის ტყით დაფარული, დღეს მოტიტვლებულ-მოშიშვლებული, მხარმარცხნივ – დავით კლდიაშვილის იმერეთი: სიმონეთი დიდი მწერლის მუზეუმით, ეწერი, ღვანკითი, არგვეთი, საქარა და... მალე შორიდან გამოჩნდა ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის მიწები და მწითური ბოლი, რომელიც ახლომახლო სოფლებს მაჯლაჯუნასავით ეფინებოდა ზემოდან.

– ნუთუ არ შეიძლება ამ ბოლის გაუვნებლება?

– შეიძლება, მაგრამ აჭიანურებენ...

– არ იციან, რომ დანაშაულს ჩადიან ხალხის წინაშე?

– იქნებ იციან, მაგრამ ამ დანაშაულის სიმძიმეს ვერ გრძობენ.

– ფეროშენადნობი კარგია, მაგრამ ისე უნდა მივიღოთ, რომ ხალხს არ ავნოს.

მევრა გადაჭრეს და მხარმარცხნივ თერჯოლის გადასახვევში მანქანა შეაყენეს: წავიდეთ თუ არაო. წავიდნენ – ძელქვების პატრიარქიც ვნახოთო.

ჩხარულა თითქმის დამშრალიყო.

– ხომ ხედავთ, წიწილა ფეხს ვერ დაისველებს. ხან ისე ადიდდება, დევივით ბუყბუყებს. ეს კირქვიანი მხარეა, კარსტები აქ ბევრია გამოუკვლეველიც. ამ ათი წლის წინათ ერთი პოლონელი სპელეოლოგი ჩამოსულა მეუღლითურთ. ქალიც სპელეოლოგი ყოფილა. ჩხარიდან ერთი-ორი ახალგაზრდა წაუყვანიათ ერთი გამოქვაბულისაკენ. სხვისთვის არავისთვის უთქვამთ რა. მზე ბრწყინავდა. ცაზე ღრუბელი არ ჩანდა. ეს პოლონელი ღელის პირას გამოქვაბულში ჩასულა, ჩაუყვანია ცოლიც. უცხად ცა მოიღრუბლა, წამოვიდა წვიმა. ბიჭები ჩასძახიან თურმე: ამოდითო, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ. ადიდებულა ღელე, ორ მეტრზე ასულა მისი დონე და გადავარდნილა გვირაბში. წყალს შიგნითა ხვრელი დაუხურავს. მოემწყვდა ცოლ-ქმარი დიდ გვირაბში ხაფანგივით. ზემოდან თოკები იყო ჩამოშვებული. ქმარს უცდია, ჯერ ცოლი აეყვანა თოკით, მაგრამ ქალმა წყლის ჩქერი ვერ დამლია. კაცმა ცოლი გვირაბის თაროზე მოათავსა. დაამაგრა, მე ავალ და ვიღონებ რამესო. მართლაც, ბიჭების დახმარებით ამოსულა სამზეოხე. წყალსაც მალე დაუკლია, მაგრამ, რომ ჩაბრუნებულა ცოლთან, იგი უკვე მკვდარი დახვედრია.

ეს იმას ადასტურებს, რომ კარსტულ მღვიმეს ძალიან წინდახედულად უნდა მოექცე.

ჩვენი მგზავრები ამ სამწუხარო ამბავმა ისე დააღონა, რომ ვერც კი შენიშნეს, როგორ შევიდნენ იშხნელიანთ უბანში. ზემოდან სიმინდის ყანაში კარგად ჩანდა უზარმაზარი ძელქვა. მანქანა პატარა სახლის წინ აღმოჩნდა. „მაინძელო“ რომ გასძახეს, ერთი მოხუცი ქალი გამოვიდა და გაიღიმა.

– ძელქვის სანახავად მობრძანდით, ხომ?

დასტური რომ მიიღო, კვლავ გაიღიმა.

– აბა, ჩემ სანახავად ვილა მოვა? იყო ადრე, მოდიოდნენ და ძელქვა არავის ახსოვდა...

ახალგაზრდებმა გაიცინეს. დიასახლისი ახალგაზრდობაში ლამაზი უნდა ყოფილიყო.

– ასეა, ჩემო ბატონო, ნეტავ სიბერეში არა მნახოს მან, ვისაც ახალგაზრდა არ ვუნახივარო, – თქვა ერთმა.

– თქვენ უკვე იყავით ერთხელ, – მიმართა მინდისა.

– დიახ, ახლა შვილიშვილები მოვიყვანე.

– მოყაროს ღმერთმა თქვენხელა და ამასაც მოესწარით სვებედნიერად.

ამ დროს ახალგაზრდებს – ვახტანგს, ერეკლეს, გივის, ლელას, გოგიას, გიორგის – ხელი ხელს ჩაეველოთ და უნდოდათ, გარს შემოსწვდომოდნენ.

– არა, ბატონო, ორი კაცი გინდათ კიდევ! – მოახსენა დიასახლისმა.

ხეს ფულურო გასჩენოდა. მოვლა სჭირდებოდა. ასეთი პატრიარქი ამიერკავკასიაში არსად დგას.

ჩხარიდან წამოსულებმა საქარას გამოუარეს. აქ გაიგეს, რომ ეს საქარის სადგური ილია ჭავჭავაძის ქვისღმა, სტაროსელსკიმ, დააარსა, როგორც ფილოქსერის წინააღმდეგ მებრძოლი პუნქტი, ჯერ სანერგე იყო. შემდეგში გადაკეთდა მეღვინეობის საცდელ სადგურად, სადაც სწავლობდნენ დასავლეთ საქართველოს მევენახეობას და მეღვინეობას; ბევრი კარგი ღვინო გამოავლინეს, დაადგინეს მისი ტექნოლოგია, მიკრორაიონებისათვის შეარჩიეს ვაზის ჯიშები, ისიც აღნიშნეს, რომ „ვეროს“ ამონაბოლქვი ყურძენსაც ედება, ღვინოს მისდევსო...

მზე უკვე გადახრილი იყო, მალე ქუთაისს მიეფარებოდა, საქარელებმა სთხოვეს: ამაღამ აქ მოისვენეთო, – მაგრამ მადლობით იუარეს.



ზემო იმერეთის სოფელი

ზესტაფონშიც<sup>159</sup> აღარ ჩანდა სამიკიტნოები, ფართო ქუჩებს მრავალსართულიანი სახლების წყება გასდევდა, ქალაქს საქმიანი იერი ედო. არ ისმოდა არც არღნის ჭყვიტინი, არც „ზესტაფონო, გმორდები“...

მალე დაშორდნენ ზესტაფონს და დილიკაურის აღმართით შეუდგნენ გზას.

მართლა ღამემ უსწრო. სუფელ რკვიას რომ გასცდნენ, მანქანის საჭე გიორგიმ აიღო ხელში და მთავარ გზას გადაუხვია. მიწას გართხმულ ჩაის პლანტაციებს გვერდი აუარა და ერთ პატარა ოლეს რცხილნარში გაჩერდა.

– ეს რა დაგვალული ჩაია?

– სამაგიეროდ, სურნელოვანსა და მაგარ ნაყენს იძლევა.

– აქ ნალექი მცირეა ბათუმ-მახარაძესთან შედარებით. თუ იქ 1500-1700 მმ იყო, აქ 800-900 მმ-ია, ისიც, უმთავრესად, შემოდგომა – ზამთარში. ამიტომ მთრიმლავი ნივთიერება ფოთოლში ბევრი გროვდება.

– დაბალია, რა მოკრეფს ამის დუყს, – დაიხარა ლელა და ეცადა დუყების მოწყვეტას.

– ბუჩქებს ცოტა ზევით წამოსწევენ და კრეფა გაიოლდება, ალბათ, საკრეფი მანქანაც შეეშველება.

– ეს რამდენი სოკო ყოფილა, ნიყვია, ალბათ, – თვალეები მიაპყრო მინდიას გივიმ. დასტურის შემდეგ კი დაამატა:

– ჩვენებურები სოკოს ერიდებიან.

– აბა, ხვალ ნახე, აქ რამდენი იქნება.

და მეტი არა უთხრა რა.

მართლაც, დილით როდესაც კაცხისკენ გასწიეს, ყოველი რცხილისა და მუხის ძირას ბალღები ისხდნენ და წინ ნიყვით სავსე კალათები ედგათ. „შეიძინეთო“, – შესძახოდნენ მანქანაში მსხდომთ.

– ახლა თითქმის აღარსად გამოდიან ბავშვები გზაზე და აღარ ჰყიდიან ხილს თუ სხვა საღებავს...

– აქ რაღატო არა? – შეაწყვეტინა გიორგიმ.

– სწორედ!

– ეს იმიტომ, რომ აქაურ სოფელს ცოტა შემოსავალი აქვს. აგერ, პატარა ვენახები რა ციცაბოზეა, მიწაც მწირია, სიმინდიც ცოტა მოდის და ცდილობენ, რაც შეიძლება, გამოიყენონ ბუნების სიკეთე.

– ისევ არათანაბარი განვითარება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხისა!

– რას იზამ, სოფელი უცბად არ აშენებულა, მაგის დროც დადგა და, ალბათ, მალე დაიწყება მუშაობა ჩვენი ქვეყნის სოფლების ჰარმონიული განვითარებისათვის...

– უცბად არ აშენებულა, მაგრამ თითქმის ოცი წელი გავაცდინეთ.

– დამშვიდებული შევცქეროდით, როგორ იცლებოდა მთა, როგორ ვითარდებოდა ერთი კუთხე, მეორე კი ძველ დონეზე იყო შეჩერებული.

– სწორედ ასეთი შემთხვევის გამო თქვა დავითმა, აღმაშენებელმა: გულზე დამადგით ფეხი ყოველმან.

– ფეხი დამადგით.

– წყალობა ჰყავით...

და დაიწყეს კარვის გამართვა.



კაცხი. ტაძრის ეზო

### ერთი სისხლის ვართ

დილით, როდესაც ძველ კაცხს უახლოვდებოდნენ, მხარმარცხნივ დიდი ტაძარი დაინახეს, გორაკზე, მუხითა და იფნებით გარშემოვლებული. ჩანდა ნეკერჩხალი და თელავ.

– ეს კაცხის ტაძარია, აბაშიძეთა სამკვალე. იგი მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში (1854 წ.) შეუკეთებიათ. ზოგი იწუნებს, კარგად ვერ არის შეკეთებულიო, ვნახოთ, ვახტანგმა სურათები გადაიღოს. კაცხის სვეტზე შემდეგ ჩავიდეთ, გზის ასეთ გამრუდებას არა უშავს რა.

და გიორგი ტაძრისაკენ გაუძღვა.

გზის მარჯვნივ დიდი სასაფლაო ჩანდა, მარცხნივ კი – ტაძარი.

ტაძრის ირგვლივ ხის ჩრდილებში საფლავები იყო მიმოფანტული; ძველი საფლავის ქვებთან მიდიოდნენ და მათ აკვირდებოდნენ, ცდილობდნენ, წაეკითხათ ხავსითა და ქარაგოზით<sup>160</sup> დაფარული წარწერები. ცოტა ხნის შემდეგ წინ წასული ლელას ხმა მოესმათ:

– კაცებო, მოდიტ აქეთ, აი, ეს უნდა იყოს, რასაც ეძებთ... დახრილი დიდი საფლავის ქვას აკვირდებოდა და თან ფათალოს<sup>161</sup> ფოთლებს აცლიდა.

მართლაც, თეთრკირქვის ქვაზე იკითხებოდა „1870 წელსა ლოდსა ამასა ქვეშე განისვენებს შვილების უმახსოვნო იოსებ ოსმანის ძე დურმიშიძე. წამკითხველო, გთხოვ შენდობას“.

მეორე ქვაზე კი ამოიკითხეს:

„1871 პეტრე მოდებადის ასული ლოდსა ამა ქვეშე განისვენებს სალომე, იოსების მეუღლე. წამკითხველო, გთხოვ შენდობას“.

– ერთი გამაგებინეთ, რას ნიშნავს „ოსმანისძე“. დურმიშიძე ხომ საჩხერელია, ქრისტიანი მამა-პაპა ჰყავდა, სერგო დურმიშიძე ხომ თქვენი ამხანაგია, აკადემიკოსია. რა კავშირი უნდა იყოს მათ შორის? – შეეკითხა ყველა ახალგაზრდის მაგივრად ვახტანგი.

გიორგის გაეღიმა, იგი თითქოს ელოდა ასეთ კითხვას და აი, რა უამბო:

აი, ეს იოსებ დურმიშიძე პეპერაა ჩვენი აკადემიკოს სერგო დურმიშიძისა, პაპის მამა. ლაზია, როცა კაცხს ჩამოვიდა, მაჰმადანი იყო, ოსმანი რქმევია. მისი გვარი ლაზოზის ნიშანს ატარებს, იგი გვარად დურმიშიძე ყოფილა, თვითონ „ში“ შვილს, ძეს ნიშნავს. ასეთი გვარების ჩვენს ლაზურ სოფელში, სარფში, ბევრია: მემშიში მამას მემში რქმევია, ჩვენებურად რომ ვთქვათ, მემშიძე ან მემშიშვილი იქნება. ასეთივე გვარია ვანილიში, ქვეახულიში, ხალვაში და სხვანი.

– სწორედ ეგრეა, – შეეხმაურა მოხუცი კაცი, რომელიც ისე მოუახლოვდა, რომ ვერც კი შეამჩნიეს, ყველამ მისკენ მიიხედა და მოხუცი ცოტა შეცბა.

– ცოტა უზრდელად მომივიდა, პირმოტეხილი ციცხვივით ჩაგერიეთ... ჯერ გამარჯობა უნდა მეთქვა. კაი გამარჯობა თქვენი, ჩემო ბატონებო, – როდესაც ყველამ ერთსულოვნად დაუბრუნა სალამი, მოხუცს კვლავ ღიმილა გადაჰკრა.

– აი, იცოცხლეთ და საითაც წახვიდ-წამოხვიდეთ, სულ გამარჯვებით გველოთ.

– თქვენც იცოცხლეთ, ჩემო დავით, – შეეხმაურა მინდია, რომელიც დიდხანს აკვირდებოდა მოხუცს, ამ უკნასკნელმა გაკვირვებით შეხედა.

მინდიას გაეღიმა. ხელი ნაზად დაადო კეფაზე, სადაც ჭრილობის ნაკვალევი ნახა.

– შენ ხომ დავითი ხარ, კაპანაძე.

– კი, ჩემო ბატონო!

– ჰოდა, აბა, ჩემო დავით, მოიგონე არტანდი...

– ვაი ჩემ სიბერეს, ბიჭო მინდია, ჩემი არ იყო, შენც შებერებულხარ, რა ვქნა, რომ უცხად ვერ გიცან, – და გადაეხვია, – რა ვუყო, ჩემო კარგო, ძმის სადარო, წუთისოფელმა დღე ჩემმა, ძირმწარე დამალევინა, არც მომკლა, არც დამარჩინა, არც სული დამალევინა...

მიწასლა ვამძიმებ, მიწას ცხრა პირი ტყავი ავყარე, – დაიკვნესა და ორი ცრემლი მიწას დაეცა.

– რადა, ბიჭო, რადა?

– აგერ, გზის გადაღმა, სასაფლაოზე, იფნის ძირას სამი ლოდია, ჩემი ბიჭები წვანან და ვაი, რომ ველარ წამოიხედავენ. ესაა ჩემი საგოდებელი და საწუხარი, ამ დიდმა ომმა შეიწირა სამივე, ორი უკრაინიდან ჩამოვასვენეთ ათი წლის წინათ. ერთი სამომო საფლავში იყო დამარხული. დიდ სვეტზე ოთხმოცდახუთი გვარი და სახელი იყო, მათ შორის ჩემი ნუგზარიც. იქიდან საფლავის მიწა წამოვიღე და ძმების გვერდით დავმარხე, ყოველ დილით ამოვდივარ, მომაქვს მათ სახელზე დაყენებული ღვინოს თითო ფიჩხაურა და მათ სადღეგრძელოს და შესანდობარს ვასმევ გამვლელ-გამომვლელს. ჩვენც ხომ ვიყავით ომში, მაგრამ ყმაწვილების კალო არც ჩვენ მტერს უღეწია და არც ჩვენ. წამობრძანდით, თქვენზე უკეთესი ვინ ეტყვის შესანდობარს. ჩემი ძმა ხარ, ესენი კი ჩემი ძმისწულები. სამზეოზე, ჩემო მინდია, ორი ბიჭილა მყავს. მადლი უფალს, კარგები არიან... წამობრძანდით...

გაუძღვა წინ, აიღო თავისი კოხტა ფიჩხაურა, აავსო პატარა ყანწი და დაილოცა, დალია, შემდეგ მინდიას გაუწოდა, ყველას ჩამოურიგა და გაუნაწილა. ახალგაზრდებს ტუჩები უთრთოდათ, ლელას კი ცრემლი დაჰკიდებოდა თვალებზე, სასაფლაოზე ძველი საფლავის ლოდებთან თეთრწვერა, ოდნავ წელში მოხრილი მოხუცი, მოწუხარი ომში დაკარგულ შვილებზე, მათ თვალში მთელი საქართველო იყო, რომელმაც ამ ომში თავისი მოსახლეობის თითქმის ერთი მეოთხედი გაგზავნა.

– ახლა ჩემი ცოცხალი ბიჭების გამარჯვებისა ვთქვათ. იცოცხლეთ, ბიჭებო, – ჩასძახა საფლავებს და მცირე ხანს თავი მალა აღარ აუღია. გამოერკვა, გამოცოცხლდა, შემდეგ ფიჩხაურა შეაჯანჯღარა, ცოტა ღვინო იდგა კიდევ, მოაპირქვა და საფლავებს მოაპკურა.

– ეს კიდევ თქვენ, ჩემო არწივებო. მადლობა მოახსენეთ, – ეს ისე თქვა, ლელა კი არა ქვაც კი ატირებოდა. ლელას რომ თვალი შეასწრო, მივიდა, ხელი მოჰხვია და ტკბილად უთხრა:

– ჩემ სწორად მოიყარე, შვილო, შენს ქორწილში ცხრილით ვზიდავ წყალსა, არა, მინდია?

– მინდიამ დაუდასტურა, დავითმა მისკენ გადაინაცვლა და მკლავში ხელი გაუყარა: ჩემთან უნდა წამოხვიდეთო, – მინდიამ მადლობა უთხრა.

– ერთს კი გთხოვთ, ამ ლაზების ამბავი გვიამბე.

დავითი ჩაფიქრდა, საღვინე აიღო, კარებისკენ გასწია, ხელი მოიჩრდილა და გასძახა:

– გოგიტა, სად ხარ? – თითქოს მიწიდან ამომვრაო, უცხად მოიბრინა 10-12 წლის ბიჭმა, დავითი რაღაცა ბევრს ელაპარაკა, ფიჩხაურა მისცა და სიტყვაც გაატანა.

– ეგ არის ჩემი მარჯვენა ხელი, მარტო არ გამომიშვებს, შორიახლო დამყვება, უმძოთა ძმა იზრდება თანაც ხელგამომავალი ბიჭია.

– რამდენი გყავს, დავით, ეგრეთი ბიჭი?

– ბიჭი რვა, გოგო ექვსი... და ამაყად გადახედა თავის სტუმრებს, – მაშ, აბა, ისევ ავიდეთ და ჩამოვსხდეთ მუხის ძირას.

– მართალი ბრძანეთ, ლაზები არიან, პროფესორის მამა, ვასილი, ჩემი კარგი მეგობარი იყო.

– ვასილის პაპა, აგერ ის, იოსები ჩვენს თავადს სარფიდან ჩამოუყვანია, სამნი ძმანი ყოფილან, სამივე ქვისმთელელი; ეს ტამარი ყოფილა ჩამონგრეული და მის შესაკეთებლად კაცხის ეკლესიის მაშინდელ მღვდელს, პეტრე მოდებამეს, უკისრია მათი პატრონობა; რვა შვილი ჰყოლია – სამი ვაჟი და ხუთი ქალი. ქალებიდან სალომე გამოირჩეოდა, ალბათ იმიტომ პირიმზეს ეძახდნენ სოფელში. პეტრე მღვდლის სახლი აგერ აქვე ყოფილა, – გაიშვირა დასავლეთისაკენ ხელი, – პირველად არაფერი, პეტრეს შვილები ხშირად მოდიოდნენ და ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ხელოსნებს, როგორ მუშაობდნენ. მუშაობით კარგად მუშაობდნენ და სამივე გამრჯე ვაჟკაცი იყო. არ იკითხავ, რა ბუზმა უკბინა ჩვენს ბატონს, რომ ტამრის შეკეთება მოინდომა?

ჩვენი თავადი ენახა ქუთათელს, ეპისკოპოსს, და საყვედური ეთქვა, ისეთი ძველი ტამარი, თამარ დედოფლის დროინდელი, კაცს სოფელში ჰქონდეს და ისიც ასე მოუვლელიო! აბაშიძეს პირობა მიეცა: მომავალი წლის გიორგობას ამობრძანდით და აკურთხეთო.



ჰოდა, სწორედ სამი ძმა დურმიში ჩამოიყვანა სარფიდან, რა ჩამოიყვანა? ახმედ–ბეგ თავდგირიძემ გამოუგზავნა მემედ–ბეგ აბაშიძის თხოვნით, რომელთანაც ჩვენი თავადი თურმე ნათესაობას ჩემობდა; ჩვენს აბაშიძეს სწორედ შავშელ აბაშიძისათვის მიეწერა და ამან თავდგირიძეს სთხოვა. მოგეხსენებათ, მაშინ ბატონყმობა იყო.

ქვა ეკლარიდან უზიდათ, ან რად გინდათ ეკლარი, ირგვლივ კირქვა არაა? მოსჭერ, სადაც გინდა, მაგრამ ეკლარში კარგი ქვისმტვრეველები ყოფილან, ამიტომ ზიდავდნენ იქიდან. უფროსი დურმიში ეკლარში ორ თუ სამ კვირას იყო, თავისებური ხერხი ასწავლა და ისე ამტვრევინა ქვა, როგორც, მისი აზრით, საქმეს მოუხდებოდა. ორნი კი კაცხში ტრიალებდნენ, ქვასა ზომავდნენ და თლიდნენ; დალოცვილები თურმე ისე მუშაობდნენ, რომ სულ ხვითქის ოფლში ცურავდნენ, მამალი ახალი ნაყივლი იყო, როდესაც ქვის რაკუნს უკვე ისმოდა. პირდაპირ ძაღლის ალიონზე ჩვენებური ჭოჭინა ურემი ეკლარისაკენ მიდიოდა ქვის ამოსატანად. დღეს წავიდოდა და ხვალ ამოვიდოდა. თავადმა ყოველ კომლს ორი გზა შეაწერა თვეში, ერთი დღე კიდევ – ეკლესიამ. თვეში ექვსი დღე ყოველ ოჯახს, აბა, ის კი არ იყო, როგორც დღესაა, ჩაჯლიგინდება ხუთტონიანი საბარგო მანქანა, დაუდებენ იმდენ ქვას, რასაც ჩვენი აჩაჩა ოცი ურემი ძლივს მოერევა. თითო ურემს ორი ქვა ამოჰქონდა, მეტი კი არა. სამუშაო წინ მიიწევდა, ლაზები კარგად მუშაობდნენ თურმე, არც ერთი არ ყოფილა მწყერიფრენია, შუადღეს შეუდგავდნენ მუცელს ბოდს და კვლავ აკაკანდებოდნენ ჩაქურები მზის ჩასვლამდე. თავადი ყოველდღე ნახულობდა ნამუშევარს და კმაყოფილი იყო. ყოველდღე უგზავნიდა თითო ფიჩხაურა ღვინოს; მაჰმადიანები იყვნენ, ღვინო რჯულით აკრძალული ჰქონდათ, მაგრამ (ქვაზე რომ იოსები წერია) ამბობდა თურმე, რა ვქნათ, რომ თათრის რჯული გვაქვს. ჩვენ ქართველები ვართ, ქართველობას ვერ დავტოვებთო, მაჭახელაში გვყვანან ნათესავები, იქ ტყეში ბევრია გადარგული ვაზი, წურავენ და ღვინოს აყენებენო, ჩვენც იქიდან მოგვაქვსო. მოლამ თუ გაგვიგო, ცუდ დღეს დაგვაყენებს, მაგრამ ჩვენ ჩვენსას არ ვიშლით, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო.

ჩვენი აბაშიძე, მწერალი კიტა აბაშიძე რომ იყო, მისი მამა თუ პაპა გახლდათ, ისიც კიტასავით სათნო კაცი ყოფილა; მართალია, ერთხელ კიტას აკაკისათვის უწყენინებია და აკაკის უთქვამს: კაცხში ხეც არ იზრდება სწორი, არამც თუ კაციო, მაგრამ არც ისეა საქმე.

ქვისმთლელებს კარგა ექცეოდა. დაჯდებოდა აი, ამ მუხის ძირს და უამბობდა ლაზებს მათ მამა-პაპათა თავგადასავალს.

ერთ დღეს შენიშნა, რომ იუსუფი არ თლიდა ქვას. მოიკითხა. მოახსენეს: ავად არისო. წავიდა სანახავად. წევს იუსუფი ფერმიხდილი. რა გტკივაო, – ჰკითხა და: გულიო, – უპასუხა თურმე. იფიქრა, გაივლისო, მაგრამ გავიდა რამდენიმე დღე და არ გამოჩენილა. ნახა, უფრო მეტად გაფერმკრთალებულა. თვალეზში სიცოცხლის ნაპერწკალი არა კიაფობს. არასა სჭამს, არასა სვამს. ძმებმა უთხრეს: ხანდახან წამოდგება და მარმარილოს ჩაქურხს უკაკუნებსო.

თურმანიძე ამოიყვანეს დილიკაურიდან, გასინჯა.

დიდო ბატონო! ტკვილით არა სტკივა რა, ერთი საოცრება კი ვნახე: როცა გავსინჯე, ხელის გაწმენდა მინდოდა; იქვე ტილო იყო გადაფარებული რაღაცაზე, ავიღე და პირკატა მეცა, ქალის მშვენიერი ქანდაკება იყო; ამაზე უმშვენიერესი არა მინახავს–რა, რომ შევხედე, გაწითლდა და თავი კედლისკენ მიიბრუნაო.

ამ საუბარში რომ არიან, მოსულა პეტრე მოდებამე, შეუჩივლია: „თქვენი ჭირიმეთ, დართეთ ნება, ჩემი სალომეც ნახოსო“. „რა სტკივაო“, „რა ვიცი, ბატონო, რაც ეს ლაზები მოვიდნენ, მას შემდეგ ასეაო. ჯერ იყო ღობეს მიდგებოდა, აქეთ იცქირებოდა, არც სჭამდა, არც სვამდა, შემდეგ დაკარგა ფერი და ჩაწვა და ვეღარც ადგა; უმცროს დებს კარს გამოადებინებს და იცქირება აქეთ. აი, ესაა, ბატონო, ჩემი უბედურებაო“.

თურმანიძემ თურმე ენაზე იკბინა. მგონი, მივხვდიო, – თქვა მან, აბაშიძეც გაჰყვა. თურმანიძემ ნახა და ეს უთხრა: – წამობრძანდით, მამაო პეტრე, და წამალს მე გაჩვენებთო; გამოჰყვა პეტრე, ბატონიც წამობრძნდა; ლაზთან რომ მივიდნენ, მან ქანდაკებას ხელი დააფარა.

– წამალი მოვიტანე და ნუ მიშლიო, – უთხრა თურმანიძემ ლაზს და როდესაც ტილო ახადა ქანდაკებას, აბაშიძეს გაოცების შემახილი აღმოხდა.

– ჭეშმარიტი ხოლოვანი ყოფილხარ, შვილო! ძმებმა იუსუფი „გასცეს“, მისი დარდი სწორედ პირიმზეაო.

პეტრე მღვდელი კი შეხტა და შემოტრიალდა, „ურჯულოს“ როგორ მივცემ ქალსაო.

მაგრამ ჩვენი ბატონი განათლებული და სათნო კაცი იყო, აუხსნა, ლაზებიც ქართველები არიან, ჩვენი სისხლი და ხორცი. თუ ჩვენს რჯულზე გადმოვა, რატომ არ უნდა მისცეო.

ბატონს უთქვამს, ტადარს რომ დაამთავრებთ, ეპისკოპოსი აკურთხებს და შენც მოგნათლავსო.

იუსუფმა ძმებს გადახედა, თვალეზში ვედრება ჩანდა. შენს სიკვდილს რჯულის გამოცვლა სჯობსო, – თანაც უთხრეს, პირიმზესაც შენ უნდიხარო.

ჩვენმა ბატონმა მისცა სამოსახლო და სამი ქცევა მიწა... თურმე უხაროდა, კარგი ხელოსანი ვიშოვე, ეს სარფიან სხვებსაც შემმატებსო.

გამოცოცხლდა იუსუფი, ისევ არაკუნდა მისი ჩაქუჩი და საჭრეთელი. მოდებამეების ეზოშიც გაბრწყინდა მზე. პირიმზე კარში გამოვიდა. ერთ კვირაში ისევ ძველი ფერი და იერი მიიღო, ძველი კი არა, უფრო დამშვენდა, თითქოს ახალი სისხლი ჩაუდგა მარღვებშიო. ის რო გაიღიმებდა და ელვარე კბილს გამოაჩენდა, შუქი კაცხის სვეტს შარავანდედად დაადგებოდა ხოლმე. ამ დროს ხალხი ამბობდა თურმე, კაცხის სვეტს ღვთის მაღლი მოეფინაო.

იუსუფიც დაფრინავდა თურმე, სამი კაცის საქმეს აკეთებდა. გეთქვა აგრე და სამ ქალს მოგცემდით, – გაეხუმრა თურმე ერთხელ ჩვენი ბატონი.

– არა, ბატონო, მარტო პირიმზეა ჩემი მზეც და მთვარეც. მეც ხომ ხაფანგში გაბმული მელა არა ვარ, რომელიც იძახდა: ნახევარ ქათამზე არ დაგთანხმდებით, მთელი მომეცითო.

ბატონს მოსწონებია ეს სიტყვა, შეჰპირებია, ძროხასაც გაჩუქებთო და შეასრულა კიდევ. როდესაც საყდრის კურთხევისათვის მისი ხვასტაგი მორეკეს, ერთი კარგი დეკუული აარჩევინა.

აი, მოვიდა გიორგობაც. ტაძარი მზად იყო, ხალხი ზეიმობდა, ლხინობდა თურმე, ახლო-მახლო სოფლებში ხმა იყო დარხეული: ლაზი ქრისტიანდება, უნდა მოინათლოსო. ამან უფრო ააზიმიზა ხალხი. დიდი და პატარა მოაწყდა თურმე ამ დღეს ტაძარს. იყო ლხინი, ბურთის გაკვრა, ჯირითი, ჭიდაობა (ქართლიდანაც გადმოსულიყვნენ თურმე ქოჩორა ბიჭები), სიმღერა, ცეკვა, ჩალიჩი; ეჰ, რამდენი რამ იცოდნენ ჯანის გასამაგრებელი! ჩვენს ხალხს, როცა გულით ხარობს, ხომ ვერავინ დაედრება ვერც კაიკაცობაში, ვერც პურმარილში და ვერც რაინდობაში, ამ დროს ყველას ნათელი ადგას სახეზე.

მობრძანდა ეპისკოპოსი თავისი სამღვდელოებით; ოცდაათამდე ნაკურთხი მღვდელი იყო თურმე, ახლა მგალობლები – სამი თუ ოთხი წყება. ცალკე სხვიტორელები, ცალკე კორბოულელები და ალავერდელები (ამ სოფლებში ყოფილან კარგი მგალობლები) ეჯიბრებოდნენ თურმე, ალავერდელებს რომ უგალობიათ „ნეტარებდით“, ახლად შეკეთებული ტაძრის კედლები კინაღამ ჩამონგრეულა.

მთელი ზემო იმერეთის სათავადოები იქა ყოფილან. საჩხეიძეო, სააბაშიძეო, საწერეთლო; ჩვენს ბატონს მარტო ათი ძროხა დაუკლავს, ოცი ცხვარი; მონადირეებს შვიდი ირემი და ათი შველი მოურთმევიათ, ახლა ფრინველს ნუ იტყვიო! ორპირიდან ზუთხი და ორაგული ამოუტანიათ; ხომ გაგიგონიათ, მიეცეს და მიემატოს იმას, ვისაც აქვსო. თუმცა ისიც ხომ მართალია: შენი კარი გააღე, სხვისიც ღია დაგხვდებაო;

ყველაზე დიდი ამბავი მაინც მონათვლა ყოფილა, თვითონ ეპისკოპოსს მოუნათლავს და ჯვარიც დაუწერია. პირიმზე ისეთ იყო თურმე, მზეს ეუბნებოდა: შენ ჩადი, მე ამოვალო. იუსუფს იოსები დაარქვეს, გვარად დურმიშიძე დაუტოვეს.

– ახლა მაგათ გვარში ორი ძეა: „ში“-ც ძეს ნიშნავს და „ძე“-ც.

-დიახ, აგრე ამბობენ, – განაგრძო დავითმა. ქორწილი სოფელმა გადაუხადა, ძმებმა მთელი ნამუშევარი ძმას შეაწიეს, შემდეგ ხშირად ამოდდიოდნენ თურმე და ყოველთვის მოჰქონდათ საჩუქარი: ხილი, ნარინჯი, ლიმონი. დედა უნდოდათ წამოეყვანათ, მაგრამ უარი ეთქვა. ქრისტიან რძალს ვერ ვნახავო, ისე კი საკუთარი ხელით ოქრომკედით მოქარგული ორი ხელი ტანისამოსი გამოუზავნა, ჩაფრასტებიც მოაყოლა, მამაპაპეულია, ქართული, შენც ჩემს შვილიშვილებს გადაეციო.

უკანასკნელად აქ, ჩვენ მხარეში, ვასილი ცხოვრობდა, პროფესორის მამა; კარგად ვიცნობდი, მარჯვე, ხელგამომავალი კაცი იყო. თავს არავის დააჩაგვრინებდა. ერთ წერეთელს შეუტია. წამოწეულიყო და ეთქვა: რას მემამყები, ხვლიკის ჯოგი არ დამიფრთხოო.

პეტრე მღვდელს ახლად შეუღლებულები თავისი ოჯახის გვერდზე დაუსახლებია, ე.წ. კონკროხაზე. ამ გორაკზე რამდენიმე ასული ასწლოვანი მუხა და შესანიშნავი წყარო იყო. იქ ცხოვრობდნენ მაშინ მოდებამეები და ერთი მოსახლე დურმიშიძე. დურმიშიძეების მაშინდელი სამოსახლო, აქამდეა შენახული. ახლა იგი ჩემს მეგვარეს, კაპანაძეს, უკავია, ძველად იმ გორაზე, ახლა რომ ორიოდე ხედაა, მუხნარიც იყო, სათიბიც და სახნავიც. იოსები და სალომე სიამტკბილობით ცხოვრობდნენ თურმე; სამი ვაჟი შეეძინათ: არქიფო, სერგო და სანდრო. იმ სერგოს შვილიშვილია ჩვენი ბიოქიმიკოსი სერგო დურმიშიძე. სოფლის სასაფლაო ეკლესიის ეზოს გარეთაა. აქ მხოლოდ რამდენიმე საპატრიცემულო პირია დასაფლავებული. აგერ, ხომ ხედავთ ეკლესიის მახლობლად ორი საფლავის ლოდია, ერთს აწერია იოსებ ოსმანის ძე დურმიშიძე, მეორეს – სალომე პეტრეს ასული მოდებამე-დურმიშიძისა, სოფელს, ჩვენს თავადაზნაურობას ორივენი შეჰყვარებიათ. ზემო იმერეთში იოსებს მრავალი სასახლე და ეკლესია შეუკეთებია. როგორც ამბობენ, თავისი ნაშიერისათვის მას ანდერძად ორი რამ დაუბარებია: ერთი – არასოდეს კაცხის მამული არ გაეყოთ, როგორც დურმიშიძეების პირველი ფუძე, მეორე – ყველა დურმიშიძეს – ვაჟს – ცოლის შერთვისას ჯვარი კაცხის ეკლესიაში დაეწერა, მიუხედავად იმისა, თუ სად ცხოვრობდა იგი: კაცხის ეკლესიაში აღდგაო ჩვენი ქრისტიანობა. ანდერძის ორივე პირობას ასრულებდნენ იოსების ნაშიერები. არც მამული გაუყვიათ ძმებს და ძმისშვილებს და არც არსად სხვაგან არ იწერდნენ ჯვარს. მაგალითად, სერგოს მამა ვასილი საჩხერეში ცხოვრობდა, მაგრამ ჯვარის დასაწერად აქ ჩამოვიდა; ვასილ დურმიშიძე და პოლინა

გურული აქ შეუღლდნენ 1908 წელს, ე.ი. დაახლოებით სამოცი წლის შემდეგ პირველი ლაზი დურმიშის ქრისტიანად მოქცევიდან.

1935 წლამდე ზაფხულობით დურმიშიძეების ძველი კარი სავსე იყო ხოლმე ახალგაზრდობით, შემდეგ კი საკარმიდამო ნაკვეთების ახლებურად მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით ყველაფერი შეიცვალა.

ბედნიერი იყო პეტრე მოდებამის შტო. აი, ყური მიგდეთ: პეტრეს ერთ შვილს, ბესარიონს, ჰყავდა ქალიშვილი ლიზა, რომელიც მისთხოვდა აბაშიძეს. მათი შვილი ირაკლი აბაშიძე ჩვენი პოეტია, მეორე შვილს – იოკიმეს – ჰყავდა შვილი ნინო, – ნინოს შვილია ვაჟა ოკუჯავა, აკადემიკოსი. პეტრესავე შვილი იყო პროფესორი კოტე მოდებამე. საფრანგეთში, პარიზში დაამთავრა თურმე უმაღლესი. როცა დაბრუნდა, დედამ ჰკითხა:

– როგორი ხალხია, შვილო, საფრანგეთშიო.

– დედი, სუყველა ფრანგულად ლაპარაკობსო.

– რა განათლებული ხალხი ყოფილაო, – უთქვამს დედას.

აი, ასე გახლავთ ეს ამბავი, ჩემო კარგებო. ეს, ასე რომ ვიცი, გაგონილი მაქვს ამ ტაძრის ყოფილი მღვდლის, სერგო კაპანაძისაგან, განათლებული კაცი იყო, აცხონოს ღმერთმა, ამ ხუთიოდე წლის წინათ გარდაიცვალა, გარე სახლისკაცად მომხდებოდა, – დაამთავრა ამბავი დავითმა: ჩვენმა მოგზაურებმა ძლივს გახსნეს შუბლი.

კიდევ მივიდნენ საფლავებთან.

– გიორგიმ გოგიას თვალი უყო და მან ერთი ბოთლი წინანდალი და ორი ჭიქა მოიტანა. მინდიათ აავსო ჭიქები, ერთი დავითს მიაწოდა:

– ამათი შესანდობარი დავლიოთ. დაუემკვიდროთ სასუფეველი, კარგი ხალხი ყოფილან, კარგი ძირიც დარჩენიათ.

სხვებმაც წაუქციეს ჭიქას თავი და წამოვიდნენ მანქანისაკენ. ყველამ ერთხელ მაინც მიიხედა უკან. ისეთი გრძნობა ჰქონდათ, რომ რაღაც კარგი რჩებოდათ ამ ძველისძველ სასაფლაოზე.

– მეც წამიყვანეთ სოფლამდეო, – იხუმრა დავითმა და მანქანაში ჩაჯდა. თანაც თვალები ეშმაკურად უყუყუნებდა.

### კაცხის სვეტის ნათელი

კაცხის ტაძრიდან წამოსულები სოფელში რომ შევიდნენ, გოგიამ მანქანის სვლა შეანელა და გიორგის შეხედა. გზაზე გარდიგარდმო ათიოდე ბავშვი იდგა, მანქანა რომ დაინახეს, არ დაძრულან, არ შეშინებულან, სახეც კი უღიმოდათ, შუაში გოგიტა იდგა.

– მარცხნივ ჩემი სახლია, – მიუთითა დავითმა მინდიას ორსართულიან სახლზე, – ესენი კი ჩემი შვილიშვილებია, – გაიშვირა ხელი გზის შემკვრელებისაკენ.

– რაო, გოგიტა, არ გვიშვებ?

– არა, პაპა, სტუმრები აივანზე უნდა ამობრძანდნენ!

ყველას გაეცინა, ყველაზე მეტად ლელას, გადმოხტა მანქანიდან, გადაეხვია ერთ-ერთ თვალყუყუნა გოგონას, გადაჰკოცნა და მიუბრუნდა თავისიანებს:

– აბა, ნულარ ვაგვიანებთ, გადმოდით. გოგიტა პაპას დავალებას ასრულებს.

ბრძანა და ამ „ბრძანებას“ ყველა დაემორჩილა.

კარიბჭიდანვე იწყებოდა მაღალი ხეივანი. ხეივნის გასწვრივ ნაირ-ნაირი ვარდი იყო დარგული, აივნის თავსა და ბოლოს კვლავ თითო ვაზი ამშვენებდა.

ეზოს დიდი ნაწილი დაბლარს ეჭირა, განაპირას, ეზოს ირგვლივ მაღალი ხეხილი ერტყა: მსხალი, ქლიავი, ტყემალი.

– კარგი ვაზი გაქვს, დავით, – შეუქო მინდიამ.

– მოკლე მიწა თვალს ახარებს, გრძელი მიწა ორმოსაო – ხომ გაგიგონია, პატარაა, მოვლილია და თვალს მოსწონს.

ერთ დიდ მსხალს, რომელიც განაპირას იდგა, ლუფუნ<sup>162</sup> ჰქონდა აყუდებული, გიორგიმ თვალი გააყოლა.

– გოგიტა, აირბინე ლუფუნზე და მსხალი მიართვი სტუმრებს, კაი ჯიშია, მაგრამ მეიმწლია<sup>163</sup>.

ხეივნის ბოლოს ჩურეხი<sup>164</sup> ეყარა.

– ეს კი ჩემი დედაკაცის საქმეა, ლობიო მოუგლეჯია, დაუჩურჩავს.

– ეს რამდენი ნაირ-ნაირი ვარა<sup>165</sup> ყვავილი გქონიათ, – უკვირდა ლელას და სხვებთან ერთად ეზოს ათვალერებდა, კიბეზე ახალგაზრდა ქალი ჩამოეგებათ; ჩემი უმცროსი რძალიაო, – გააცნო დავითმა, ბოსტნის მხრიდან შავით მოსილი მანდილოსანი წამოვიდა, ხელში ახლად დაკრეფილი მწვანილი ეჭირა.

– აი, ქალო, ეს ის მინდიაა, რომელთანაც პირველ ომში ვიყავი, შენი მტერია სწორედ.

– ?? – გაიკვირვეს მინდიამაც და დავითის მეუღლეც.

– მაგას რომ არ გადავერჩინე, შენ ხომ იცი, ჩემი მეუღლე არ იქნებოდი? – მოსაუბრეთ გაეცინათ, – კაცს რომ ბედი ექნება, ეგ არის. რას ვიფიქრებდი, რომ დღეს შევხვდებოდი. მაგან კი მიცნო...

მოხუცმა თვალი შეავლო მინდიას და მადლობად გაუღიმა.

ახალგაზრდა რძალმა აიწვია. სუფრა უკვე გაშლილი იყო. თან ბოდის იხდიდა: ბევრი არა გვაქვს რაო, ისაუზმეთ და სადილსაც მალე მოგისწრებთო.

– სადილისათვის ნულარ შეწუხდებით, წამსვლელები ვართ.

– ჩემო გიორგი, რომ არ მწვეოდით, სხვა იყო, რაკი ჩემი სტუმარი ხართ – სხვაა, სტუმარი მასპინძლის ყმა არისო, ხომ გაგიგონიათ?...

რძალი კი ბოდის იხდიდა: სუფრა ღარიბიაო.

– ამაზე კარგი და მეტი რაღა იქნება, შვილო, – დაამშვიდა მინდიამ.

– ქართველ კაცს გული სტუმარი ეწვიოს, ამაზე ბედნიერება რაღაა, სუფრას რომ მიქებ, ისე ხომ არ არის: მშიერი პურსა აქებდა, უმსა და უმარილოსაო, – გაეღიმა.

– შენც კარგად იცი, ჩემო დავით, ამ სუფრას არა დაეწუნება რა.

– რა არ ხდება ქვეყანაზე. უერთმანეთოდ სალდათურ ჭვავის პურს არ გავტეხდით და როგორ დავცილდით ერთმანეთს, ხმა კი მესმოდა – მინდია, მინდია, მაგრამ გულისყურში ვერ ჩავვარდი, რომ ეს ის მინდია იქნებოდა. მაგრამ მეც რას გავაბი, თენგიზს შეატყობინეთ? – მიმართა შინაურებს.

– სადაცაა, მოვა, – გაეხმაურა რძალი,

– თენგიზი ჩემი უმცროსია, ბრიგადირია; აბა, ხელები, ლელა და მაყვალა, უპატრონეთ, – შეეხმაურა დავითი ლელას, რომელიც მის შვილიშვილს რაღაცას უზურჩულებდა, ბიჭებმა კი საერთო ენა გოგიტასთან გამონახეს და მის ჩამოკრეფილ მსხალს გემრიელად შეექცეოდნენ.

– ერთი ელაა, ვინც დამრჩა, ისინიც გულის ადამიანებია, რძლებიც კარგები შემხვდნენ, ცხრა ძმის დედა არც ერთია, შვილიშვილები ხომ, რაღა გითხრა, მიზეზიანი ხატი არც ერთია, მართალია. ზოგი ქილიკი<sup>166</sup> და მაკვილაკია<sup>167</sup>, მაგრამ მაინც კარგებია.

– ჰო, შვილმა გულში გამიარა, შვილიშვილმა გულისგულშიო.

– არა, მაგიტომ კი არა!

სუფრა გამხიარულდა.

– აბა, ჩემო გოგია, – მიმართა დავითმა მძღოლს, – შენ შენი ხარები გამოუშვი და თივა დაუყარე.

– დავით, წასასვლელები ვართ.

– კი ბატონო, წახვალთ. კაცხის სვეტი ხომ უღნა ნახოთ? უღნა ნახოთ. დრო ხომ უღნა? უღნა. ჰოდა, დღეს ვნახოთ, როცა ვისაუზმებთ, და ამასობაში თავადის სადილობაც მოვა...

გიორგიმ მინდიას გადახედა, მან თვალელები დაახამხამა და ბიჭებმა ტაში შემოჰკრეს.

შუადღე გადასული იყო, როდესაც აივნიდან ჩამოიკრიფნენ, მანქანაზე უარი თქვეს. გავიდნენ სოფლის განაპირას და ჩაჰყვნენ დაღმართს; კაცხურა ოდნავდა მოწანწკარებდა, გვალვას მაინც თავისი გაეტანა.

დაღმართის თავიდანვე მათ წინ აიშართა სვეტი. იგი ასი მეტრის სიმაღლე მაინც იქნებოდა. უკანა მხარით – ჩრდილოეთიდან, ძირში ქედის ფერდო მოსდგომოდა. რასაკვირველია, ირგვლივ კირქვაა;

– ამ სვეტის ჩამოქნა და გამოქანდაკება კაცხურას ბრალია, ყვირილას დახმარებით, ალბათ.

– ეს როგორ? – დააჰყიტა თვალი ლელამ.

– მრავალი მილიონი წლების მანძილზე ადნო და რეცხა კირქვა კაცხურამ, ირგვლივ შემოადნო და ბოლოს ეს სვეტი დარჩა...

– რად დარჩა; ეგ რა წითელი კოჭი<sup>168</sup> იყო.

– ალბათ, ის კირქვა, რომლისგანაც სვეტია შექმნილი, უფრო მაგარია, ან...

– ან რა? – ვერ ითმენდა ლელა.

– ან ისა, რომ კაცხურა უცბად ჩაღრმავდა და ვეღარ ლესა და ადნო...

– ეგ რაღაც დამთავრებული არაა, – და შეხედა მამას.

მამამაც დაუდასტურა.

უკვე კაცხურას ჯაგიანი ნაპირიდან ნელ-ნელა შეჰყვნენ ბუჩქნარით დაფარულ ფერდობს, ბუჩქნარში მრავლად ეყარა კირქვის ნამტვრევები, ბუჩქებში ჭარბობდა ჯაგრცხილა, ქართული მუხა, კუნელი, ნეკერჩხალი, იფანი, თითო-ოროლა ცაცხვი, კვიდო. ეტყობა, აქ საქონელი თავისუფლად მოვს. გაღმა-გამოღმა სოფელია, აგერ ძროხა და დეკეული, ყელზე ერთს ხის ზარი აბია და მისი მელიოდიური, ყრუ ხმა ყურს სრულიად არ ეხამუშება. დეკეულს კი სპილენძის ზარი აქვს ჩამოკიდებული და წკრიალებს. აგერ, მარცხნივ, თხა აწოწილა, წინა ფეხები ბუჩქებზე დაუწყვია და ნეკერს ახრამუნებს.

– როგორ დაუწყვია?

ჯაგრცხილის ბუჩქს საქონელი გამუდმებით რომ ნეკერს უჭამს, მისი ტოტი მოკლდება, გვერდით ტოტები გამოაქვს; ამ ახალ ტოტსაც ჭამს თხა თუ ძროხა, კვლავ მოკლდება და საბოლოოდ ჯაგი ისე იფარება მოკლე

ტოტებით, რომ ბუჩქი უზარმაზარ ზღარბსა ჰგავს, დამოკლებული ტოტი კი – ეკალს. ასეთ ბუჩქზე კაცი რომ შედგეს, არც კი დაიდრიკება და გასაკვირველი არ არის, რომ თხას ზედ ფეხები ეწყო, ისე ნეკრავდა ამ ჯაგრცხილას. ეს ჯაგები ირგვლივ ისე ისხდნენ, თითქოს მეცხვარული ქუდები აუმწკრივ-ჩაუმწკრივებიათო.

– აი, ესაა თქვენი დიდი მტერი, ჩემო დათა, – მიუთითა მინდიამ თხების არეზე.

– მეცხვარემ თქვა, ჩემო მინდია, თუ მცოდნოდა, მგელი ციდან ჩამოვარდებოდა, მე ძაღლს გულაღმა დავაწვენიდიო. რა ვიცოდით, რომ თხა, რომელიც ასე იოლად გადის, ამდენი ზარალის მომტანია.

– აგრეა, აგრე. ოსმალეთი და ირანი მაგათ ამოაგდეს.

– ეგ არის, გატყდა ჯოხი თხასა და ჩემ შორის, – თქვა და გაიღიმა დავითმა.

– ამის შემდეგ აგერ ამას ვიყოლიებ, – მიუთითა ათიოდე იმერულ ცხვარზე, რომელნიც ბალახს წიწკნიდნენ, – მაგ დალოცვილმა ორ ბატკანზე ნაკლები არ იცის, ზოგჯერ სამიც და მეტიც, წელიწადში ორჯერ დოლობს... აგრეა, ერთ დედაცხვარს სამი ბატკანი დასდევს, მეორეს ორი.

– ეს მართალია, ჩვენმა სოფლის მეურნეობის მუშაკებმა ტყუილად დაივიწყეს. იმერეთის მეურნეობისთვის ამაზე უკეთესს ვერ ნახავ. ყოველ ოჯახს შეიძლება ჰყავდეს ორი-სამი ცხვარი, რომელიც ყოველწლიურად ათ ბატკანს მაინც მისცემს. აი, აქ საჭიროა ერთი კარგად მოწყობილი ფერმა, სადაც ამ ჯიშს წმინდად შეინახავენ, სელექციის მეთოდით გააუმჯობესებენ კიდევ და მოსახლეობას მოამარაგებენ, – დავითი გულდასმით უსმენდა. მაგრამ ახალგაზრდობა უკვე წინ წასულიყო, სვეტის მხრიდან ხმა ისმოდა:

– ჰე, ჰეე, მინდია!

– ეს რა ამბავია, ზედ ხომ არ მიფოფხავს ვინმე?!

დავითმა ყური მიუგდო, იყუჩა...

– არა, სვეტის ძირში ერთი კარგი მუხა დგას, თქვენი ბიჭი, ალბათ, მუხაზე ავიდა და იქიდან კივის...

ახლალა შეანელა ფეხი გიორგიმ და დაიხარა ბუჩქისაკენ, პატარა ტოტი მოტეხა.

– ესეც ნამდვილი კოლხური ბზა.

– ბზა სვეტთან ნახეთ, მოფენილია ირგვლივ.

– აგერ, თავისარა, ეკალა, წელან მძერხელიც ვნახე, – დაუმატა მინდიამ, – ეს ნამდვილი კოლხური ტყის ნაშთებია, ახლო წარსულში აქ კარგი ტყე ყოფილა.

– ჩემს ბაღლობაში აი, ამ ცაცხვზე ნაკლები აქ ხე არ იდგა, არც ეს სოფელი იყო აქ გამოსული. ტყე თითქმის უღრანი იყო.

გზადაგზა იშვიათად საკმაოდ მოზრდილი მუხა, ცაცხვი, იფანი და სხვა მისთანანი ხვდებოდათ, ზოგზე სურო იყო ასული, ეკალა კი ბუჩქებს შემოჰხვეოდა.

– ალბათ, მხალად კრეფენ და გაზრდას არ აცლიან, – გაეცინა გიორგის.

– სწორეს ეგრეა, – დაუდსტურა დავითმა.

– სვეტი შვეულია, ზოგან ბზარში ბზის ბუჩქი და ჯაგრცხილა ჩანს. – სვეტის ირგვლივ მაღალმა ხეებმა იმძლავრეს. ყველაზე ლამაზი მაინც ის მუხა იყო, თითქმის 35 მეტრის სიმაღლის, საიდანაც ვახტანგისა და ერეკლეს ჩამომახილი ჩამოდიოდა.

მიწა დაფარული იყო ბზის ბუჩქებით, გარს შემოუარეს, მინდიამ რომ მაღლა ახედა, ქუდი გადმოუვარდა. ზედ ტაძრის ნანგრევი კარგად ჩანდა.

„ხოლო ყვირილას, შორაპანს ზეით, არს მარტოთუბანი. მას ზეით–ბოსლები. მას ზეით მოერთვის ყვირილას კაცხისწყალი. ეს გადმოსდის საწალიკეს, მოდის ჩრდილოეთიდან სამხრით. ყვირილის შესართავის ზეით ამ წყალზედ არს კაცხს ეკლესია მაცხოვრისა, გუმბათიანი, დიდ ფრიად, კეთილშენი. ზის არქიმანდირიტი. ამის დასავლით არს ციხე კაცხისა, მთის ძირად, კლდესა ზედა, მაგარი. ციხის აღმოსავლით არს კლდე. ხრამსა შინა არს კლდე აყვანილი, ვითარცა სვეტი, ფრიად მაღალი. მის კლდის თხემზედ არს ეკლესია მცირე, არამედ ვერღარა აღვალს კაცი, არცა უწყიან ხელოვნება აღსვლისა“.

– არა, ბატონო ჩემო, იციან, – ამ დროს ჩაერთო დავითი, – ომის შემდეგ აქ ამოვიდნენ ლევან გოთუა, ალექსანდრე ჯაფარიძე, აკაკი ბელიაშვილი, ვახტანგ ცინცაძე. მათ გააკეთეს ის, რაც არავის გაუკეთებია. აი, ვახუშტი წერს: არავინ ადისო, ვახუშტიდან დღემდე გავიდა თითქმის ორას ორმოცდაათი წელი. წინათ თურმე ჯაჭვი იყო დაკიდული, ამით ადიოდნენ ბერები. ჯაჭვი დაიჟანგა, სათავეში გადატყდა და ძირს ჩამოვარდა, ზედ ერთი ბერი დარჩა. საზრდო ვერავინ მიაწოდა და მომკვდარა შიმშილით. ცდით კი უცდიათ ასვლა. ერთ მჭედელს პალოები გაუკეთებია. არჭობდა კედელში და ადიოდა, შუაკედლამდე მიუღწევია და ჩამოვარდნილა; ჩემს ბავშვობაში ამასაც ამბობდნენ: აღდგომა ღამეს ქალი ვინმე გამოჩნდება, ანთებს სანთელს, დაგვის ირგვლივ ყველაფერს და გაქრებაო. სწორედ გითხრათ, ეს სანთლები მე არ მინახავს.

პირველად სვეტზე ალექსანდრე ჯაფარიძე ავიდა; აქ ვიყავ, ვუცქერდი, შემდეგ – ლევან გოთუა, მერე აიყვანეს ვახტანგ ცინცაძე. არ იკითხავ, აქ რად ვიყავ? აი, ჩემმა უმცროსმა ბიჭმა აიტეხა, გინდა თუ არა, მეც უნდა ავიდეო.

ბევრი ვუშალე, ცოცხალი იქ არავინ ასულა-მეთქი.

– მამა ჩემო, ვერა ხედავ, ზედ არიან უკვეო?

წარმოიდგინე, ორი ჩვენებურიც აიყვანეს.

ხალხი ჩოჩქოლობდა, ხედავდნენ, რომ ავიდნენ და მაინც არა სჯეროდათ. ჩემი სახლიკაცი მომიახლოვდა და მითხრა:

– წავიდეთ, დათო, თითო გოზაური<sup>169</sup> ღვინო ჩამოვუტანოთ, დაილოცონ, ხომ იცი, ვაჟკაცი იმას მოიმკის, რაც სიყრმით დაუთესიაო.

მართლა, ორი გოზაური თავანკარა ღვინო ჩამოვუტანეთ, სხვამ-ხაჭაპური, კეცზე შემწვარი ვარია, მწვანელი. ჩამოუშვებდნენ თოკსა და აჰქონდათ ზევით. ღამე სვეტზე გაათიეს, ცეცხლი ენთოთ დიდი. სვეტის თავი ხეებითა და ბუჩქებითაა დაფარული, ცეცხლის ალზე ხეების ჩრდილი ხეობას ეცემოდა, უცნაურად კანკალებდა. სოფელში ატეხეს ზარის რეკვა, სკოლის ზარს რეკავდნენ.

ხალხი თითქმის არ გამოლეულა, რიგი მიდიოდა, რიგი მოდიოდა. დილა-რიჟრაჟზე, გაიცისკრა თუ არა, მალლიდან მოისმა ლევანის ვაჟკაცური ხმა: კაცხელებო, გაიღვიძეთო. ახალგაზრდა ბიჭებმა უცბად გურული სიმღერა გადააკეთეს და შემოსმახეს:

*კაცხელებო, გაიღვიძეთ, რალა დროის ძილიაო,*

*ჩამოართვეს საგანძური კაცხის დიდი სვეტიაო.*

ნაშუადღევს ჩამოუშვეს, რაც წინა დღეს აიტანეს – სამილე ტომრები, აბგები, პირველად ლევანი ჩამოვიდა. სიხარულის მაღლი ჩამოსდგომოდა თვალში. აკაკის გადაეხვია, მაღლობა უთხრა. აკაკიც ხომ უნდა ასულიყო, მაგრამ ძირს დარჩა. როგორც მეთვალყურე, თადარიგის დამჭერი, ეს დიდი მსხვერპლი იყო.

შემდეგ ჩვენებური ბიჭები ჩამოუშვეს, მერე-ვახტანგი და ბოლოს-ჯაფარიძეც ჩამოემშა. დინჯად მოგვესალმა, არც კი იმჩნევდა. მთავარი კი ის იყო, პირველი ხომ ის ავიდა, გზა გაკავა, სხვებიც აიყვანა.

სვეტის თავის სიგრძე თხუთმეტი ნაბიჯია, სიგანე – ცხრა; მუხისა და თელის ჩრდილში ორი პატარა ეკლესიის ნანგრევებია, გამოქვაბულიც ყოფილა, იქ უპოვიათ კაცის ჩონჩხი, ალბათ, იმ ბერისა რომელიც ჯაჭვის ჩამოწყვეტის შემდეგ დარჩა და ველარ ჩამოვიდა. ვერ ჩამოხტაო? სული ტკბილია, იმ სიმალლიდან ვერ გაბედა. უპოვიათ სურების, ჯამ-ჭურჭლის ნამტვრევებიც.

სოფელმა სვეტის ძირში ლხინი გამართა. ჩვენი ვაჟკაცები მეორე დღეს წავიდნენ, მაგრამ სოფელში ერთი კვირა მაინც ისმოდა სიმღერა...

ეჰ, დაუნდობელია სოფელი, ახლა თურმე აღარც ლევანია, აღარც აკაკი და აღარც ალექსანდრე. ყველა კაცი კაციაო, კახაბერი კი სხვა კაციაო, – თქმობდა სწორედ ალექსანდრე ჯაფარიძეზე.

გული რკინისა ჰქონდა. ქებას რომ ეუბნებოდნენ, ყურს არ უგდებდა, სხვა რალაცას იკითხავდა ხოლმე.

ის, რასაც დავითი მოჰყვა, მათთვის ცნობილი იყო, ლევან გოთუას წერილი წაკითხული ჰქონდათ, მაგრამ მაინც სულგანაბულნი უსმენდნენ.

– აი, ესაა კაცხის სვეტი; კერპთაყვანისმცემლობის დროს აქ, ალბათ, იდგა რამ სალოცავი-კერპი, შემდეგ ქრისტიანობამ დაიჭირა მისი ადგილი და აი, ხომ ხედავთ, VI-VII საუკუნეების ნაგებობანი ჩანს. კაცხის ძირს შემდეგში აი, ეს ეკლესიაც აუშენებიათ. ესეც ძველია, მეოთხე საუკუნით თარიღდება, – მიუთითა გიორგიმ სვეტის აღმოსავლეთით რამდენიმე ათეული მეტრით დაცილებული ბაზილიკის ნანგრევებზე.

ერთი სიტყვით, ხედავთ, ეს კაცხის სვეტი მარტო ისტორიული ძეგლი კი არა, ბუნების ძეგლიცაა, მთელი კომპლექსია, მთლიანად უნდა იქნეს დაცული ათი კვადრატული კილომეტრი მაინც, ხელუხლებელ ნაკრძალად უნდა გამოცხადდეს, დაცული უნდა იქნეს, როგორც თვით ისტორიული ძეგლი, ისე მთელი ბუნების კომპლექსი. ახლომახლო უნდა აიკრძალოს ყოველგვარი მშენებლობა, რაც, სამწუხაროდ, დაწყებულია.

– მამი, ძეგლის მეგობრის ოცდამეთხუთმეტე წიგნში ვახტანგ ჯაფარიძის წერილია, აქ ძველი ნამარხიც არის აღმოჩენილი, – მოაგონა ვახტანგმა.

– ეს როგორ გადამიქართულდა გული, წამობრძანდით, აქვია, – და დავითი გაუძღვა თავის სტუმრებს.

1972 წელს, ივნისში, ქარიშხლის დროს ქარმა ამოაბრუნა უზარმაზარი ცაცხვი. „კაცხის სვეტის“ სამხრეთ-აღმოსავლეთით ამის შედეგად გამოჩნდა მიწაში ღრმად ჩამჯდარი თაღოვანი აკლდამა. აკლდამა კირქვით არის ნაგები, აკლდამის სიგრძე 2,90 მეტრია, სიგანე – 1,90, სიმაღლე – 2,20, ჩრდილოეთის კედელში შესასვლელია, სიმაღლე მისი 1,20 მეტრია, სიგანე – 60 სანტიმეტრი. აკლდამაში რამდენიმე ცხედარი ესვენა, მაგრამ სხვათაგან, ალბათ, განძის მაძიებელთაგან ისე ყოფილა მირეულ-მორეული, კაცი გზას ველარ გააგნებდა.

ყოველ შემთხვევაში, ამანაც დაარწმუნა ჩვენი მგზავრები იმაში, რომ კაცხის მიდამო ფრიად საყურადღებოა, აქაა კერპთაყვანისმცემლობის ძეგლებიც და ამიტომ აუცილებელია მისი ნაკრძალად გამოცხადება.

მაგრამ განა მარტო კაცხი? აბა, გაიხედეთ, ყვირილას გაღმა-გამოღმა რამდენი ძველი და ახალი ძეგლია.

## დიდი იმედი

მზე ქვაცხესა და საკურწიას გადაეფარა.

შინ როდესაც დაბრუნდნენ, გრძელ აივანზე სუფრა დახვდათ გაშლილი. ეზოში ორიოდ მოხუცი და ცალკე რამდენიმე ახალგაზრდა წყნარად საუბრობდა.

დავითმა სტუმრებს პირველად თავისი ბიჭი გააცნო, გოგიტას მამა. მინდიათ გაკვირვებით შეხედა, – მერე გაეღიმა და დავითისკენ მიიხედა.

– რომ არ ვიცოდე, შენც და მეც დიდ გზადამოვლილები ვართ, მეგონება, არტანუჯისწყლის პირას დავითი შემომხვდა-მეთქი...

– ჰო, შვილო, აი, ის მინდიაა, რომელმაც ზურგით მატარა დაჭრილი, სანამ სამშვიდობოს არ გამომიყვანა და ქართველ მოწყალების დებს<sup>170</sup> არ ჩამაბარა, თვითონ კი ისევ იქით გასწია, სადაც დანარჩენები იბრძოდნენ; დილით რომ გავიღვიძე, გვერდით მინდია მეწვა, ეგეც დაეჭრათ.

– მოხუცობაში მოგონებებად გადავიქცევით ხოლმე, დავით.

– ავი არ უნდა დაიხსომო, თორემ კარგი სათქმელადაც კარგია!... კარგი კაცის საქმე არ უნდა დაიკარგოს.

– მართალი ხარ, ჩემო დავით.

– აბა, ის კარგია? ძროხასთან რომ საწველელი მიიტანეს – ხარი ვარო, უღელი მიიტანეს – ძროხა ვარო.

– მართალი, მართალი, – ჩაერთვნენ სტუმრები, – და გულიანი გამარჯობა უთხრეს მინდიას და გიორგის,

– კაცი კარგი საქმითა, შრომითა და ქონებითა. კაცი – კაცითა, ღობე-ქაცვითა.

– ქონება?!

– ჰო, ქონებითაც, მხოლოდ ალალი ქონებით, ჭიანჭველას ექვსი დღის სიცოცხლე ეწერა და ექვსი თვის სარჩოს ეძებდაო.

– ექვსი თვის ბევრია, არა?

– ეგ სიტყვის მასალისთვისაა, თორემ... საერთოდ, კაცი ის არის, ვინც ლხინში ნაბიჯით წავა, ჭირში სირბილით...

– გაღმიდან დაგინახე შენ, აქეთკენ მორბოდი.

– ეგ მიტომ, შენი ამბავი რომ ვიცი, არ გადათქვას-მეთქი, – ხუმრობითვე უპასუხა სტუმარმა დავითს.

სუფრა აყვავდა და დამშვენდა. ვარდით გაბადრა ნამდვილმა ქართული სუფრის იუმორით საცხე სიტყვამ.

ვახტანგს რვეული მუხლებზე ედო და თითოეულ ლამაზ სიტყვას ჩუმად იწერდა.

გაჩირაღდნებული აივნიდან შავი ღამე ჩანდა. გაღმა სოფლებში ნათურები ვარსკვლავებით ენთნენ და მთელი ხეობა ცასა ჰგავდა, ვარსკვლავებით დამშვენებულს.

ამ დროს შორიდან რაღაც გაბმული კვილივით ხმა მოისმა. უფროსებს წარბი არ შეუხრიათ, ხოლო გოგიტა და მისი უმცროსი ძმა გუჯა (ელგუჯა) ჩუმად ადგნენ.

პაპამ თვალების ხამხამით და კეთილი ღიმილით მოუწონა.

– სად მიდიხართ? – ჩაეკითხა ერეკლე.

– სიმინდში, უნდა ვუყარაულოთ, მაჩვი არ შემოვიდეს და სიმინდი არ გაგვიტიალოს.

– როგორ, ღამე დარაჯობთ?

– აი, ის კვილი რომ გავიგონე, სწორედ ეგ იყო, მაჩვებს აშინებენ. ვახტანგი და ერეკლე წამოდგნენ.

– მამი, ჩვენც წავალთ.

– რაო, წამწყმიდა წახედულობამაო? – დაუდასტურა მინდიამ.

– რად წამწყმიდა, კარგკაცობა ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდებოა, აი, თითქმის სამოცმა წელმა გაიარა და ერთმანეთს კარგკაცობამ კაცხში გიწიათ, – ჩაერთო ერთი სტუმართაგანი.

სუფრის ეს სიტყვა-პასუხი მოეწონათ და ახალგაზრდობის სადღეგრძელოც ითქვა.

– ლაბადები წაიღეთ!

– მეც წავალ! – წამოიძახა ლელამ.

– მთელი ჯარი ხომ არ ვიქნებით, – აიმრიზა ვახტანტი, მაგრამ ლელა მაინც გაჰყვა.

უმთვარო ღამე იყო, მთვარეს დაევახშმა და ჯერ ამოსულიყო.

შარადან გოგიტამ მალე გადაუხვია მინდვრის ბილიკისაკენ, გუჯა კი სხვებს უკან გაჰყვა.

– აუუუ! – გააბა გოგიტამ.

– თქვენს სიმინდში მივედით?

– არა, აგერ, როგორ გვეხმაურებიან, ესენი ჩვენი უზნის ბიჭებია.

მართლაც, მეორე მხრიდან ისეთივე გაბმული კვილი გაისმა.

– აჩიკოა ეგ! – დაასკვნა გუჯამ.

ახლა მეორე მხარე გამოეხმაურა.

– ეგ შოთიკოა, – ახლა გოგიტამ განმარტა.

მალე ცის სივრცე აივსო ნაირნაირი კივილით.

მაჩვი<sup>171</sup> კი არა ვეფხვი არ გაჩერდება აქ, – თქვა ლელამ.

გაიარეს კოჭდაბალი სიმინდები და ქედის გადაღმა გადიხედეს. წარაფებს<sup>172</sup> შორის სიმინდის ყანები იყო. ერთი წარაფის ბოლოს ცეცხლი ენთო.

– უყურე შენ, ვახო და შაქრო სიმინდებს წვავენ! იქ, სადაც ბროწეულოვანია<sup>173</sup>.

ეჰე ჰეჰეე...

– ჰე... – წაეშველნენ ვახტანგი და ერეკლე.

– ნამდვილი ღოროტოტოები<sup>174</sup> ხართ, დაუმატა ლელამ. ახლა ქვევიდან ამოსმახეს, აქეთ-იქიდანაც და კვლავ აივსო ცა სხვადასხვა ხმითა და მახილით.

– ჩვენი სიმინდიც მათ გვერდითაა, – და ჩაირბინეს დაღმართი, ყურადღებას არ აქცევდნენ, რომ ბნელოდა.

მიესალმნენ. ვახომ მთელი კონა სიმინდი აიილლიავა, – უყურე ამას, მაჩვს დაუმტვრევია. ტარო ჩვენ, ღერო და ფოთოლი ჩვენს ბეჟანას<sup>175</sup>.

ახალი სტუმრები გაიცნეს. ადგილი დაუთმეს, თითქოს ამ მინდორზე ადგილი ცოტა იყო, ისე მიიწ-მოიწიეს. გოგიტამ და გუჯამ სიმინდს შემოურბინეს, მათი პატარა ფინია წკრიალით ფეხდაფეხ გაჰყვა და მალე სიმინდებში დაიკარგა.

ის-ის იყო გოგიტა და გუჯა მოვიდნენ ცეცხლთან, რომ წკრიალამ მართლა გაბმული წკრიალი ატეხა. იყეფებოდა გაბმით. დამხვდურებმა ჯოხებს წამოავლეს ხელი და გაიქცნენ, მათ მიჰყვნენ გუჯა, გოგიტა და სტუმრები. წკრიალა კი წკრიალებდა, მაგრამ ხმა თანდათან მიწყდა და შორიდან მოისმოდა.

– გაიქცა... შენ ზევიდან, გოგიტა, გზა მოვუჭრათ!

ბიჭები და ლელა წარაფის პირას გამოვიდნენ.

მალე წკრიალა კუდის ქიციანით მათთან გაჩნდა, თვალეებში შესცქეროდა, თითქოს ბოდიშს იხდიდა, ეს როგორ მოგვივიდა, გამექცაო.

წყნარი საუბრით დაბრუნდნენ ცეცხლთან, ჩინჩხვარი დააყარეს და სიმინდის ტაროები მიუფიცხეს, მალე მათ ტკაცატკუცი ატეხეს და მასპინძელმა შემწვარი სიმინდი პირველ რიგში სტუმრებს მიართვეს.

რამდენჯერმე შემოუარეს მინდორს, ხმაურობდნენ, გაჰკიოდნენ, მაგრამ წკრიალას ხმა უკვე აღარ ისმოდა.

მალე კორბოულისაკენ ცა განათდა. ცხრილისოდენა წითელი მთვარე ამოცურდა მთების გადაღმიდან, გამოხედა ქვეყანას – უჩემოდ ხომ არაფერი მოხდაო...

– გოგიტა, ჰკითხე შენს სტუმრებს, ალიოშას, კაცხის სვეტზე რომ ავიდა, მართლა რკინის გული ჰქონდა?

– შე კაცო, აქამდე არ იცი, რომ ეგ მოხუცების მოგონილია?

– ჰკითხე მაინც.

ვახტანგს გაეცინა, უამბო, ახლა უფრო ძნელ კლდეებზე ადიანო და მოუყვა მიხეილ ხერგიანის ამბებს.

– თუ აგრეა, კაცხზე რატომ აღარ ადიან?

– აი, შენ და გოგიტა ადით, როცა სტუდენტები გახდებით მაშინ.

– ავიდეთ, გოგიტა?

– უეჭველად!

და წავიდა ღამის დარაჯთა ოცნება.

მალე შემნაცვლებლები ჩავიდნენ და გოგიტაც თავისი რაზმეულით შინისკენ წამოვიდა.

## სავანის ბრწყინვალეობა

### ბრწყინვალეობა შავი ფერისა

ის-ის იყო, კორბოულის მხრიდან ამობრწყინდა მზე, რომ ჩვენმა მგზავრებმა ერთხელ კიდევ შევლეს თვალი კაცხის სვეტს და გეზი ჭიათურისკენ აიღეს.

ყვირილას ხრამის კანიონზე პატარა ვენახებმა მიიქცია მათი ყურადღება, ბევრ ვენახში შაბიამნისაგან ფოთოლი მთლად გალურჯებულიყო, ზოგან რთვილივით ედო, როგორც ჩანს, ხსნარებში კირი მოსვლოდათ ზომაზე მეტი. ზოგი ვენახი ნაბდის გაშლა იყო, მაგრამ მაინც ვენახი ერქვა.

– ამ დაკიდულ ფერდაზე ვენახის გაშენებას ხომ უნდა სიყვარული? – იკითხა ერეკლემ.

– უსიყვარულოდ მიწა მადლიანად სოკოსაც არ მოგვცემს, – უპასუხა გვიმ.

– არც გუდაფშუტას?

– გუდაფშუტა ხომ ღვთის გაჩენილი არ არის. მე კარგ სოკოზე გელაპარაკები.

– გარდა სიყვარულისა, ხომ ხელოვნებაცაა საჭირო? – ეს უკვე ვახტანგის რეპლიკა იყო.

– სიყვარულიცაა საჭირო, ცოდნაც, მამა-პაპათა გამოცდილებაც.

– ვენახის გაშენების ხელოვნებას ზემოიმერელ კაცს ვერავინ ასწავლის! – დაუმოწმა მინდიამ.

– ჩავიდეთ, ვნახოთ...



მართლაც, ხუთი წუთის შემდეგ ყვირილას ხრამის (კანიონის) ნაპირს იდგნენ და ჩასცქეროდნენ უზარმაზარ ხრამს, რომლის ძირში მიიკლავნებოდა შავი ყვირილა. აქ ყვირილას გაუპია კირქვების სქელი შრე და ქვემო იმერეთისაკენ მიექანება.

– კირქვა პაწაწინა ცხოველთა აბჯარია. ჰოდა, ეს ცხოველი რომ იხოცებოდა, მათი აბჯარი ზღვის ფსკერზე ილექებოდა და მისგან შეიქმნა სწორედ ეს კირქვაც.

– მაგრამ რამდენი უნდა დალექილიყო, რომ ამოდენა მთები გაჩენილიყო? – იკითხა ლელამ.

– ზოგი გეოლოგის გამოანგარიშებით, ერთი მეტრის სისქე რომ დაილექოს, მილიონი წელია საჭირო, მაშასადამე, აქ ზღვა ორასი-სამასი მილიონი წელი მაინც ყოფილა.

ხრამის კედელი ზოგან ამოტილია და შირაქის ალესილებს მოაგონებს კაცს, ზოგან დამსხვრეულია, ბორცვ-გორაკებად დაქუცმაცებულია, შრომისმოყვარე იმერელს კულტურულ ნაკვეთად გადაუქცევია და, პირველ რიგში, რასაკვირველია, ვაზი დაურგავს, ეს მისი შრომის ნიშანსვეტი. ზოგან ხეხილი ჩანს, ბოსტანი და, რასაკვირველია, სიმინდიც. იქ, სადაც მარჯვენას ვერაფერი გამოეტაცა ბუნებისათვის, ციცაბო ხრამის კედელზე მუხისა და რცხილის ბუჩქნარსაც მოედგა ფეხი. ბუნების ორომტრიალში ადამიანი მტკიცედ ჩაჭრილა, მისი ხშირად მსახვრალი ხელი ამჩნევია მთებს და გორაკებს. ჭიათურისაგან<sup>176</sup> გაღმა მხრისაკენ სიმბიოტით გაბმულია ფოლადის ტრასები და განუწყვეტელ მწკრივად მიგოგმანებენ პატარ-პატარა ურიკები. გეგონებათ, წეროების გუნდი გაწალიკებულია და თითო-თითო რუკრუკით ეშვებიან, ძირს, ქარხნისაკენ, თუ რკინიგზის ბაქნისაკენ. გაღმა, ქინძეთის მთისაკენ, გადანგრეულია კირქვიანი მწვერვალი, იქვე მეორე სულ მალე გაიკვეთება შუაზე, აქ კირქვას ამზადებენ, ალბათ, ჭიათურის სილიკატური აგურისათვის ან ფეროშენადნობის ქარხნისათვის.

სოფლები კი მინაბულან ამ ფერდობზე და, ვინ იცის, რა დროიდან. აგერ, ითხვისი. აქ სამაროვნები აღმოაჩინეს. ერთ დროს აქ ძველად არსებული სოფლების სასაფლაო ყოფილა. ალბათ ამ ორი ათას ხუთასი წლის წინათ საკვირველი იყო ამ ხალხის საქმიანობა, რომელთა ნამოღვაწარმა ჩვენამდე ოდნავდა მოაღწია; მაგრამ მაშინაც, როგორც ახლა, სოფელი თავის საქმეს აკეთებდა; ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო. ნადირობდა, საქონელს ამოვებდა, თესავდა, მაშინაც ვაზსა და ხილსა რგავდა. ანთებდა ცეცხლს და მისი ცეცხლის ბოლიც ცისკენ მიისწრაფვოდა, ისე, როგორც დღეს ცისკენ მიისწრაფვის და იქ სადღაც, ლურჯ უსასრულობაში იკარგება ჭიათურის ქარხნის მილებიდან ამოვარდნილი ბოლის დიდი ბოლქვები.

დღესაც ვენახს აშენებს, ხეხილს რგავს, ხნავს, თესავს, მთას ანგრევს, ქვასა წვავს, რკინას ადნობს, მაგრამ ორი ათასი წლის შემდეგ მოვლენ ვიღაცეები და იტყვიან:

– ასეა მუდამ, ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბაღნაროსაო.

– შენ ფილოსოფოსობას თავი ანებე და გვითხარი, ჭიათურაზე რა იცი, ეს ხომ შენი ვალია, – უთხრა ერეკლეს ვახტანგმა.

– რა იყო, რა ღმერთი შეგეწია, ერთხელ მოვწყდი მიწას და მაშინვე ძირს ჩამოდიო. მაშ კარგი, კონსპექტი ცოტა მოსაწყენია, განსაკუთრებით ამ დილისათვის, მაგრამ არა უშავს რა... და დაიწყო თავისებური ნელი თხრობა, ხანდახან შავყდიან რვეულშიც იხედებოდა. მარგანეცი (შავი ქვა, ქვაგუნდა, მანგანუმი<sup>177</sup>) დ. მენდელეევის პერიოდული სისტემის მეშვიდე ჯგუფის ელემენტია, მისი რიგითი ნომერია 25, ატომური წონა – 54,93. ბუნებაში გვხვდება მარგანეცის ნაერთები. რკინის მადნებში, დედამიწის ქერქში, ზღვის წყალში, მინერალურ წყაროებში, უმნიშვნელო რაოდენობით მოიპოვება ძუძუმწოვართა სისხლში და აგრეთვე მცენარეების წვეწმში (0,5-2%).

მანგანუმის მადნის ძირითადი მომხმარებელია მეტალურგიული მრეწველობა (90-95%). მანგანუმი იღებს მონაწილეობას ყოველგვარი ფოლადისა და თუჯის ჩამოსხმაში, აგრეთვე ბრინჯაოს კეთების დროსაც.

მანგანუმი, მართალია, მცირე (0,01-0,001%), მაგრამ მაინც აუცილებელი შემადგენელი ნაწილია ცოცხალ ორგანიზმთა სხეულში, როგორც მცენარეში, ისე ცხოველში. ზოგიერთი მცენარის ქსოვილში მანგანუმი 1%-მდე გროვდება. ამ მხრივ აღსანიშნავია ეშმაკის რქა (ტრაპა), ზღვისბალახი (მოსტერა), ჭვავის რქა და სხვ. ძუძუმწოვართა ორგანიზმში მანგანუმი მცენარის მეშვეობით გადადის, მცენარეში კი – ნიადაგიდან. თუ ნიადაგს მანგანუმი აკლია, მაშინ ასეთ ნიადაგზე ამოზრდილ მცენარეს ქლოროზი უჩნდება, ქლოროფილი საჭირო რაოდენობით აღარ უვითარდება. ასეთ ნიადაგში დამატებით საკვებად შეაქვთ მანგანუმი და მცენარეში ძლიერდება ზრდა, ასიმილაცია, მატულობს მოსავალი, უმჯობესდება ხარისხი, მეტი რაოდენობით გროვდება „ც“ ვიტამინი. მანგანუმი მეტი რაოდენობით გვხვდება ადამიანის ღვიძლში, თირკმელებში, ლიმფურ ჯირკვლებში, მანგანუმის მარაგი სისხლში (0,002-0,003 %), ჩვეულებრივად, ამათ ხარჯზე ივსება.

– დილიკაურსა და ზემო სოფელში ქლოროზიანი მცენარეები რომ ჩანდა, რისგან უნდა იყოს, აქაურ ნიადაგში ხომ მანგანუმი საკმაოა? – იკითხა გვიმ და მინდიას შეხედა.

– ადამიანის კიბოსი არ იყოს, ქლოროზის გამომწვევი მრავალი მიზეზია, ზოგჯერ კირის სიმცირე, ზოგჯერ წყალჭარბობა, ზოგჯერ ნამყენ ვაზის საძირე ვერ შეეთვისა დამყენობილს.

– გასაგებია!... – და ვახტანგმა განაგრძო:

მანგანუმის ნაკლებობა ცხოველის საკვებში, ხშირად იწვევს ანემიას, რომელიც ისევ მანგანუმის სათანადო დოზის დამატებით იკურნება (რკინისა და სპილენძთან ერთად).

ერთი სიტყვით, მანგანუმი აუცილებელია ცოცხალ ორგანიზმთა ნორმალური ზრდა-განვითარებისათვის.

საერთოდ კი, მანგანუმი, ძირითადად, მეტალურგიულ მრეწველობაში გამოიყენება, 2% მანგანუმისა აძლიერებს ფოლადის გამძლეობას, სიმტკიცეს და სხვა, ამიტომაც ერთი რკინის სადნობი ღუმელი უმანგანუმოდ აღარ მუშაობს, შავი მეტალურგია ხმარობს ამოღებულ მანგანუმის 90-95%-ს, დანარჩენი 5-10% იხარჯება ფარმაციულ, კერამიკულ, შუშის და სხვა მრეწველობაში. ძველადვე აქაც ცნობილი იყო, რომ შავი ქვა კარგ მოწითალო-მოლურჯო საღებავს იძლევა.

მსოფლიოში მანგანუმის საბადოები გვხვდება ინდოეთში, აფრიკაში, ბრაზილიაში და სხვაგან.

ყველაზე დიდი და მდიდარი საბადოები მაინც საბჭოთა კავშირშია. საბჭოთა კავშირში კი ყველაზე მდიდარი საბადოებია ჭიათურაში, შემდეგ – ნიკოპოლში, ურალში.

ჭიათურის საბადოების ფართო პოპულარიზაცია დაკავშირებულია სასიქადულო პოეტ აკაკის სახელთანაც, რომელმაც პირველმა დაიწყო საქმიანობა ჭიათურის შავი ქვის დასამზადებლად 1879 წელს. ამ დამსახურების გამო ჭიათურის მრეწველობა აკაკის ყოველწლიურად უზდიდა გასამრჯელოს გარდაცვალებამდე (1915).

პირველად მეცნიერებისათვის ჭიათურის შავი ქვის (მარგანეცის) საბადოები აღმოაჩინა აკადემიკოსმა კ. აბიხმა 1849 წელს, მაგრამ კარგა ხანს ეს საბადოები უყურადღებოდ იყო მიტოვებული. სამოცდაათიან წლებში (აკაკის რჩევით – ერთნი ამბობენ, მეორენი – გეოლოგმა სიმონოვიჩმა ურჩია აკაკის, მადნის დამუშავებას მოჰკიდე ხელი) ქართულ პრესაში გაჩნდა აკაკის წერილები ბუნებრივი საწარმოო ძალების გამოყენების შესახებ. აი, მისი წერილის ერთი ადგილი: „არც ერთი ქვეყანა ისე მდიდარი არ არის მადნეულობით, როგორც ჩვენი. აქ არა თუ ქვანახშირი, სპილენძი, რკინა, ქვა-გუნდა, ნავთი, ტყვია, მარმარილო და ამგვარები, უფრო ძვირფასი მადნეულებიც დიდი ძალი არის. ჩვენ უნდა ამათხე თვალი გვეჭიროს და ვეცადოთ, ხელიდან არ გავუშვათ. ეს ჩვენს ქვეყანას კეთილდღეობას მოჰმატებს, თუ ჩვენ გვექნა, და თუ ხელიდან გავუშვით, დავლუპავთ!“

1880 წელს, – იგონებს აკაკი, – „ათი წლის წინათ ჩვენში ფიქრადაც არავის ჰქონია. თუ რა იყო გუნდა ქვა. მე შევნიშნე ჩვენში ეს მადნეული და განვიძრახე, რომ მისგან ერთი რამ სასარგებლო საქმე შემედგინა“.

ამისათვის ლენინგრადშიც გაემგზავრა და ცდილობდა, შეექმნა სააქციო საზოგადოება. ჭიათურის შავი ქვის დამუშავების დაწყების თარიღად მიჩნეულია 1879 წელი, როდესაც ამ მუშაობაში უშუალო მონაწილეობას იღებდნენ აკაკი და გეოლოგი სიმონოვიჩი. ამ დროს დამუშავება კუსტარული წესით ხდებოდა, მადნის ნახევარზე მეტი იკარგებოდა. რკინიგზამდე მადანი ცხენებით და აჩაჩა ურმებით ჩამოჰქონდათ.

1896 წელს შორაპნიდან ჭიათურამდე გაიყვანეს ვიწროლიანდაგიანი რკინიგზა და მარგანეცის ამოღებაც გაიზარდა.

1900 წლიდან აქ ფეხი მოიკიდა უცხო კაპიტალმა და მადნის ამოღებამაც იმატა. თუ 1901 წელს ამოღებულ იქნა დაახლოებით სამასი ათასი ტონა, 1905 წ. – 342.000 ტ, 1908 წ. – 554.000-6000.000 ტ, 1913 წ. – 965.800 ტონა. 1914-18 წლების მსოფლიო ომის დროს ამოღება შემცირდა, რადგან ექსპორტი აღარ იყო. ამ პერიოდში ჭიათურის მარგანეცს მსოფლიოში პირველი ადგილი ეჭირა. 1913 წ. რუსეთში ამოღებული იყო 12.445.300 ტ მარგანეცი, აქედან საზღვარგარეთ გაიტანეს 11.947 000 ტონა, ადგილობრივ კი გამოიყენეს 20 პროცენტამდე (დაახლოებით 600 ათასი ტონა).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ჭიათურის მარგანეცის საბადოებს გამოცოცხლება დაეტყო.

1925 წლიდან 20 წლის ვადით ჭიათურის საბადოები იჯარით გადაეცა ამერიკელ მრეწველს, ჰარიმანს, იმ პირობით, რომ აემუნებინა გამამდიდრებელი ქარხნები, ახალი მადაროები, გაეყვანა ფართოლიანდაგიანი რკინიგზა და სხვა. მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, ჰარიმანმა ამ მხრივ ხელი არ გაანძრია, სამაგიეროდ, დაიწყო მარგანეცის ამერიკაში გაზიდვა და იქ მისი დაგროვება, შემდეგში ჭიათურის მადნის ფასი დაეცა მსოფლიო ბაზარზე.

1928 წლიდან ჰარიმანს უარი ეთქვა დამუშავებაზე და მისი დამუშავება დაეკისრა სათანადო ტრესტს, რომელიც დღემდე უძღვება და, როგორც ჩანს, კარგადაც. გაყვანილია საჩხერემდე ფართოლიანდაგიანი რკინიგზა. დღეს ჭიათურა მადაროელთა ერთ-ერთი კეთილმოწყობილი ქალაქია. ამჟამად საბჭოთა კავშირის შავი ქვის მრეწველობის მნიშვნელოვანი და დიდი ცენტრია. აქ აიგო ახალი მადაროები, მადნის გამამდიდრებელი ქარხნები, სილიკატური აგურის ქარხანა, პურის ქარხანა და სხვა. საერთო-საგანმანათლებლო სკოლა რაიონში ორმოცდაათზე მეტია, მათ შორის რამდენიმე მუშა ახალგაზრდობისა და პროფესიულია. არის მუსიკალური, სამედიცინო სასწავლებელი, საბავშვო ტექნიური სკოლა. არის სახელმწიფო თეატრი, კულტურის სახლი, კინოთეატრი, კლუბები, პიონერთა სასახლე და მრავალი სამედიცინო მომსახურების დაწესებულება,

საავადმყოფოები, პოლიკლინიკა. ჩვენმა გამოჩენილმა ქირურგებმა გრ. მუხაძემ, სერ. ხუნდაძემ მუშაობა აქ დაიწყეს და აქ გაიწაფნენ. რაც მთავარია, ჭიათურამ ხელი შეუწყო ჩვენი ტექნიკური ინტელიგენციის ზრდასაც. ვახტანგმა თხრობა მოათავა და, თითქოს ბოდიშობსო, ისე გადახედა თავის მსმენელებს: ხომ არ დაგლალეთო, – თვალებით ეკითხებოდა.

მართალია, ბევრი იყო მშრალი ციფრები და ფრაზები, მაგრამ მოუსვენარი ლელაც კი გულდასმით უსმენდა და ვახტანგს გაუხარდა.

როდესაც მაღლიდან ჭიათურისკენ დაეშენენ, მის ლამაზ ქუჩებში, ჩვენს მოგზაურებს აღარ უკვირდათ, რომ ჰაერში ყველა მიმართულებით აღმა-დაღმა დასრიალებდნენ ურიკები.

– მე მაინც მაქვს პრეტენზია ჭიათურის მშენებლებთან, – დაბეჯითებით თქვა ლელამ.

– აგერ, გაღმა მთა დაუქცევიათ, პეიზაჟი დაუმახინჯებიათ!

– ძეგლის მეგობრები წერდნენ, რომ საბადოების ღია დამუშევების დროს საბადოდან ქვაგუნდის ამოღების შემდეგ მას უპატრონოდ ტოვებენო.

– არა, ახლა ეგრე აღარ არის, მაღარო ვალდებულია, ასეთი ნაკვეთი წესრიგში მოიყვანოს, დარგოს ხეები, ჩაყაროს ხეხილი, ვაზი და სხვა...

– თუ გააკეთეს, ეგ ძალიან კარგია.

– უნდა გააკეთონ!

– მთავარი პრეტენზია კი ის არის, – წამოიწყო ერეკლემ, – რომ ყველაზე კარგი ხარისხის მარგანეც წყალს ატანენ. აგერ, ყვირილა დღედაღამ შავლაფად მიედიდება. დღევანდლამდე ვერ დაითავებელეს და ვერ მოასწრეს ეს დიდი საქმე.

– ამბობენ, წყალწაღებული მარგანეცი რომ დაიჭირონ, ამოღებული მადნის რაოდენობა საგრძნობლად გაიზრდებაო.

– მაგასაც მოეველება.

– მოსავლელს დროზე უნდა მოეველოს!

### მოდი, ნახე

ყვირილას ნაპირით გეზი საჩხერისაკენ აიღეს.

აქაც თვალში ეცემა კაცს კირქვის კლდეებზე დაკიდული ვენახები, ზოგჯერ ტაშის ოდენა, მაგრამ ვენახი, სიმინდის ყანებს შორის, თვალის დასალიერზეც კი ჩანდა, რომ ვენახი იყო, ლურჯად ღალანებდა შაბიამნის გამო. სიმინდი ჩოქელას უფრო ჰგავდა, ვიდრე ახალ სელექციურ ჯიშს; მწირია აქაური მიწა, ოფლით უნდა გააპოხიერო, რომ მცირე რამ მოსავალი მაინც მოგცეს.

– ჩვენი თანამედროვე კოლმეურნის კულტურულ მოთხოვნილებას ფეხის მოსავალი<sup>178</sup> ვერ დააკმაყოფილებს, მაგრამ აგერ ორსართულიანი სახლები!

– ზემო იმერეთის მოსახლეობამ ნახა გამოსავალი: ნაწილი მაღაროში მუშაობს, ქარხანაში ან ჭიათურაში, ან ზესტაფონში, დღის მეორე ნახევარს კი მიწას ახმარენ.

– საქართველოში ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანა ერთადერთი უნდა იყოს, სადაც მუშები მხოლოდ ქართველები არიან. მაღაროში და ქარხანაში მისვლა უჭირთ.

– ყოველი სოფლიდან ავტობუსი დადის, საჩხერემდე კი – ტროლეიბუსიც.

აქ უვე მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის შეთანასწორებაა, შეხამება, ერთმანეთს ავსებენ.

– ესეც საჩხერე<sup>179</sup>.

აქ, სადაც მოუსვენარი ჩხრიალა ჩიხურა ყვირილას უერთდებოდა, მანქანამ გეზი მხარმარცხნივ აიღო და აჰყვა მორაკრაკე მდინარის ნაპირებს, რომელიც აკაკის ასე მძაფრად უყვარდა. გახსოვთ, თავის თავგადასავალში რომ წერს: „... ყოველგვარ მდინარეს ხევის წყალი მირჩევნია, მათში კი უპირატესობას ერთ მათგანს, ჩიხურას, ვაძლევ. ეს იყო ჩემი საკუთარი ემბაზი<sup>180</sup> და ჩემი პირველი სარკე. სწორედ ამ ჩიხურას პირად, მაღლობზე, დგას ორსართულიანი ქვითკირის სახლი. ამ უშნო შენობას სიმაღლე პატარა კომკისა აქვს, სიგრძე დარბაზისა და სისქე – ციხის, მაგრამ არც ერთ მათგანს კი არ ჰგავს... აი, ამ სახლში დავბადებულვარ მე 9 ივნისს, განთიადისას, 1840-ში“.

ამავე სახლში გარდაიცვალა 1915 წლის 26 იანვარს (ძვ. სტ.). სამოცდათხუთმეტი წლის შარავანდედით დამშვენებული დიდი მგოსანი.

მაღე მათ წინაშე აიმართა ეს „ორსართულიანი ქვითკირის სახლი“, თავისი თაღებით.

მანქანა დააყენეს, გამოვიდნენ და ქვევიდან მოწიწებით შესცქეროდნენ. რამდენიჯერმე ენახათ, მაგრამ ყოველთვის ამ ადგილიდან უმზერდნენ.

„ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო,

ჩემო სამშობლო მხარეო.“

თქვა ერეკლემ და ყველამ თვალებით დაუმოწმა.

– ჯერ ზევით ავიდეთ, მოდინახისკენ. ჩიხურაში ჩავიდეთ.

– იქნებ ჩვენი „ემბაზიც გახდეს“, არა? – არ დააყოვნა ენა მაკვილაკმა ვახტანგმა.

უფროსები დათანხმდნენ, აიარეს სოფელი და მანქანა ერთ თხილიან ნაპირას დააყენეს. „მოდინახე“ ზევით დასცქეროდათ, მის ზევით კი ხიხასმთა იყო, შქმერისკენ მიმავალი ზეკარით, ყოველივე ამას დასცქეროდა მოკრიალებული „ცა-ფირუზი“, მათ წინ კი გადაშლილიყო „ხმელეთ-ზურმუხტი“.

ქვევით, სულ ახლო მოჩანდა სხვიტორი, შემდეგ – დუნთა, ბაჯითი, საჩხერე, ჩიხა, ორღული, გაღმა სავანე, – აკაკის მეორე სამშობლო, სადაც გაიზარდა და შეისწავლა ენა, რომლითაც ესაუბრებოდა თავის სათაყვანებელ ერს, საირხე, მერჯევი და სხვა მრავალი.

– მარტო ამ სოფლების სანახავად ღირს იმერეთში ჩამოსვლა, – აღნიშნა გვიმ.

ბიჭებმა არ დააყოვნეს, გაიძვრეს ტანისამოსი და შეტოპეს ჩიხურაში, არ დაერიდნენ, რომ შემღვრეული იყო, ხიხამთის მწვერვალზე წვიმის ღრუბელი ჩანდა.

– ბიჭებო, ფრთხილად იყავით, ამ ჩიხურამ თავის მოგიჟიანებაც იცის, მთაში წვიმაა.

მინდია დააყურადა. ზევით რაღაც მიყრუებული ბუტბუტი ისმოდა.

– გეყოფათ, წყალი იმატებს, მალე.

– ნუ იცი, მინდია ბატონო, საიდან სადაო?

ერთმანეთს ებღლარძუნებოდნენ და უცბად ვახტანგმა ჩაიჩოქა. წყალმა მუხლს ზევით დაჰკრა. ერეკლემ სწრაფად გაუწოდა ხელი და ყველანი ნაპირისკენ წამოვიდნენ. მინდიას კი ეღიმებოდა. ჩიხურა შეიმღვრა, რიყეზე გადმოვიდა და მეტი სიჩქარით წავიდა ქვევითკენ.

– მოცოცხეთ?! – ნიშანი მოუგო მინდიამ.

– მოდი და ნუ მოცოცხავ! – თვალით ანიშნა გვიმ, – ხედავთ, როგორ ავკაცობს?

მართლაც, მდინარე წყალღორად იყო ქცეული და ბობოქრობდა.

– არა უშავს რა, მალე ჩაივლის, – თქვა მინდიამ, – მთაში აღარ წვიმს, ღრუბელიც აღარ ადგას ხიხამთას.

– საქართველოში, როდესაც აკაკის ახსენებენ, ყველას სიამის ღიმი გადაჰკრავს ხოლმე.

– აბა მოდით, ჩამოსხედით მუხის ფესვებზე; ლელა, შენ გვევალეობა ილიას წერილი. აბა, ჩააბულბულე.

„ძმაო აკაკი, მე შენ ვერ გავკადნიერდი და ვერ მოგართვი, ის დაბეჭდილი წერილი, რომელიც სხვებს გავუგზავნე. სხვანი არიან და შენ ერთ-ერთი აკაკი ხარ. ამიტომაც, გარდა ჩემი საკუთარი წადილისა, მოვალეობამ მამაშვილობისამ მაიძულა, ჩენი ქვეყნის რჩეულისათვის რჩეული, განსაკუთრებითი წერილი მომერთმია და მეთხოვნა, გაგემშვენიერებინა ჩვენი გაზეთი შენი ნიჭის ნაშუქითა. თუ აქამდე ეს წერილი გავაგვიანე, მაგას ნურც ჩემს განთქმულ სიზარმაცეს მიაწერ, ნურც რომელსამე ავგუნებთან მოძრაობას ჩემის გულისას, რომელსაც შენ ყოველთვის სასიკადალოდ ეყოლები, როგორც უკეთესი მეომარი, ჩვენი ქვეყნის ბედნიერებისათვის თავგანწირული. მიზეზი ის იყო, რომ არ ვიცოდი, სად იმყოფებოდი. ჯერ აქ მეგონე, ახალწლის წინა ღამეს მოგიწვია და პასუხად მომიტანეს: ქალაქში არ არისო, დღეს შევიტყვე, რომ ჩამოსულხარ და გწერ კიდევ. გწერ და არ ვიცი, რა გთხოვო და როგორ გთხოვო, როცა ხანი ჟურნალ „ივერია“ გამოდიოდა, შენ ძალიან შორს უვლიდი, არ ეკარებოდი: ეგ ჩემთვის დიდი დანაკლისი იყო, მაგრამ საწყენი კი არა, რადგანაც ვფიქრობდი: იქნებ ჩემი მიმართულება არ მოსწონს-მეთქი; ეს ისეთი სამარცხვინო საბუთია, რომ ვერა გონიერი და პატიოსანი კაცი წუნს ვერ დასდებს, წინ ვერ აღუდგება, სიტყვას ვერ შეუბრუნებს. რაკი ეს ვიგულისხმე, მეც კისრად ვიდე და დავდუმდი.

დღესაც ამ ყოფაში ვარ შენს წინაშე, რადგანაც ჩვენს ახალ გაზეთს იგივე მიმართულება ექნება, რაც ძველსა ჟურნალსა ჰქონდა და მეც იგივე, რაც უწინ. გულითადი წადილი მაქვს, რომ შენმა სახელმა დაამშვენოს ჩვენი გაზეთი: გული მერჩის, გთხოვო შემწეობა და გულისხმად აღებული საბუთი კი მაფრთხობს: ვაითუ, ეს თხოვნა ზნეობითი ძალდატანება იყოს და იმ კაცს ჰოს თქმაც გაუმძნელო და არასიცა-მეთქი. მე ჩემი სათქმელი გულახდილად გითხარი, გულახდილადვე ზედ ვუმატებ, რომ უშენობა ჩემი გაზეთისათვის დიდი დანაკლისი იქნება. ახლა შენ იცი. მაინც და მაინც გთხოვ დარწმუნებული იყო, რომ შემეწევი. თუ არ შემეწევი, ორსავე შემთხვევაში, სხვათა შორის, მეც ერთი გულწრფელი მადიდებელი და დამფასებელი შენი 35 წლის ღვაწლისა ვყოფილვარ, ვარ და ვიქნები. შენის კეთილის მსურველი ილია ჭავჭავაძე“.

გაათავა კითხვა ლელამ და შეანათა თვალე მსმენელებს. ყველა თავის ფიქრს წაედო. ისევ ერეკლემ ასწია თავი.

– ამ ორი ადამიანის დასაფასებლად ეს წერილიც კმარა. რა მალლა აყენებს ილია აკაკის და რა მორიდებული და თავაზიანია თვით ილია...

– ესაა ნიმუში იმისა, თუ როგორ უნდა სცე პატივი სხვის შრომას და ღვაწლს...

– მეცხრამეტე საუკუნის ორი დედაბოძია...

– კარგი იქნებოდა, ჯრუჭის მონასტერიც გვენახა, – და გაიხედა დასავლეთის მთებისკენ ერეკლემ.

- კარგი კია, მაგრამ რამდენია კიდევ უნახავი?
- არა უშავს რა, ჭალაში აბაშიძეთა მიერ აშენებული ორი ტაძარი ვნახოთ, - დაამშვიდა მინდიამ. დაათვალიერეს მუზეუმი, ისე შევიდნენ შიგ ფეხაკრეფით, როგორც მლოცველი დიდ ტაძარში.
- მაინც რას ნიშნავს საჩხერე?
- „ჩხერი“ ფიჩხი ხომ არ არის? - შეხედა მინდიამ გიორგის.
- დაჩხერილი საბათი დაღეწილს, დამტვრეულს ნიშნავს.
- ჩხერი მეგრულად ღომის მარცვალია. დაჩხერვა კი ღომის დარეცხვაა.
- მაშ რაღას ნიშნავს.

*„ხარს ვგეგარ ნაიალაღარს,  
რქით მიწასა ვჩხერ, ვბუბუნებ,  
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,  
მძინარეც ამას ვდუღუნებ.“*

- ეგ ბევრსა ნიშნავს, მაგრამ ფშაურშიც „ვჩხევარ“ - იგივე ჩანს, რაც მეგრულში, ე.ი დამარცვლა, აქაც ხომ რქით მიწის დანაწილებაა. იქნებ სა-ჩიხურ-ე?
- მაგას ბატონ აკაკის მეტი ვერავინ მოუვლის.
- აი, ერთი ხალხური თქმულება: „მოდო ნახეს“ ძირში ერთი ვეძა გადმოდიოდა; წისქვილი დატრიალდებოდა, იმოდენა იყო წყალი. ირგვლივ დაბურული ტევრი იყო მუხნარისა, ამ ვეძაზე ტყიდან აუარებელი ირმები მოდიოდნენ ვეძას სასმელად, ხარ-ირმები ებრძოდნენ ერთმანეთს და იყო ჩხვერვა, რქების მტვრევა. ძველი ქართული ენის ლექსიკონში „დაჩხერა“ დამტვრევას ნიშნავს. მაშ, როგორ იქნება ადგილი, სადაც რქები იმტვრევა?

ყოველ შემთხვევაში, ერთი აშკარაა, ჩვენმა ენათმეცნიერებმა ქართული ტოპონომიკის შესწავლას უფრო სერიოზულად უნდა მოჰკვიდონ ხელი, საჭიროა ენის არქეოლოგიაც, - დაასკვნა ვახტანგმა.

- ამ ციხეზე სხვა თქმულებაც არსებობს, - წამოიწყო ვახტანგმა: პაპუნა წერეთელს დავით აბაშიძისათვის კაცები მიუგზავნია: შენი ქალი მომათხოვეო. აბაშიძეს ქვა აუგდია და თავი შეუშვერია. უციხო კაცს ქალს როგორ გავატანო. პაპუნა წერეთელი დაუყოვნებლივ შესდგომია მოხვის ციხის განახლებას. აუგია ოთხი კორკი, ეკლესია, პურის შესანახად თაროები და წყლის შესანახად ქვევრები გაუმართავს. ერთი სიტყვით, ციხისთვის არა დაუკლია რა, ამის შემდეგ მიუგზავნია კიდევ კაცები - „მოდო, ნახე ციხეო“.

დავით აბაშიძეს მართლა უნახავს განახლებული ციხე და მიუცია კიდევ პაპუნასათვის ცოლად თავისი ქალიშვილი, ციხეს კი „მოდინახე“ დარქმევია.

### საქართველო ტაშის გულზე

საჩხერიდან ყვირილას უნდა დასცილებოდნენ, მაგრამ გიორგიმ საჭე ჩამოართვა გოგიას და ყვირილას ხეობით წავიდნენ, ხეობის სიღრმეში. სოფელ ჭალაში შეჩერდა და გაუხვია იმ ტაძრისაკენ, საჩხერეში რომ დაჰპირდა თანამგზავრებს: გაჩვენებთო.

სოფელ ჭალაში აბაშ აბაშიძემ, რომელიც სააბაშიძეოს პირველ მფლობელად ჩანს და მოხსენიებულია პირველად 1488 წელს, სოფელ ჭალაში ააგო წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია. ფრესკის ფრაგმენტებზე გამოსახულია აბაში და მეუღლე მისი, კეკლუცი, ძმა ლომინე - მეუღლე გულნარათი, აგრეთვე ძმები - იანქო და შერმაზანი.

ყველაზე მეტად ლელა სწუხდა, რად ფუჭდება ეს შესანიშნავი ძეგლიო.

იქვე მეორე ეკლესიაც ღვთისმშობლის სახელობისა, რომელიც აუგია 1502 წელს აბაშ აბაშიძეს, გარდაცვლილი მეუღლის, კეკლუცის, მოსახსენებლად.

- არა, ვერ ვინახავთ ხეირიანად ძვირფას მემკვიდრეობას, - დუღუნებდა ვახტანგი.
- მოდით, ახლა მინდიას მოვაგონოთ ის გზა, რომელიც მან ორმოცდაათი წლის წინათ გაიარა.

ყველას გაუხარდა.

- რამ მოგაგონათ!- თქვა ნასიამოვნებმა მინდიამ. გაიარეს ჯრია და პერევეს მიაღწიეს.
- აქედან ერთი ამოსუნთქვაა სოფელ წონამდე. რაკი წამოვედით და აქა ვართ, მოდით, აქვე დავიდოთ ბინა. საღამომდე კარგა 6-7 საათია. დარიც კარგია, გაუმეხ და წითელ მეწყერზე აიყვანე ეს ბიჭები, - დაავალა მინდიამ გიორგის.

- რომ დაგვიღამდეს?

- ასვლას 2-3 საათი უნდა, ერთი საათიც წვერზე, 2 საათი უკან. დღის სინათლით იქნებით აქ. მწვერვალიდან ჩანს კავკასიონი, შავი ზღვა, თრიალეთი, ქართლი.

- აბა, მოემზადეთ!

ყველა თავის აზრს ეცა, განტვირთა, მხოლოდ ლაზადა დატოვა და თითო სტვირი, მინდიამ ყველას კარგი მსუქანი ბუტერბროდიც ჩაუდო, სამ-სამი კაცური მსხალი და საჩხერის ბაზარში ნაყიდი კიტრი.

– როგორ, ლელა, შენც?– ეშმაკურად შეეკითხა გიორგი ლელას.  
ლელა წამოწითლდა, ლოყები აენთო.  
– მაშ?!  
– კარგი, გენაცვალე, გეხუმრე; გივი, მთის ბილიკზე ნაჩვევი ხარ, წინამძღოლად იქნები, ერეკლე, შენ უკანა მავლად. ჩემ წინ ლელა ივლის, უკან – ვახტანგი.  
– გამარჯობათ თქვენი, – მიესალმა ახალგაზრდა კაცი.  
– გაგიმარჯოს. საით, ძმობილო?  
– წითელ მეწყრის სამოვარზე მივდივარ, ჩვენი მთაა, სამოვარი.  
– ეგ ვისი?  
– ჯრიელების და, საერთოდ, ამ ხეობის სამოვრები იქაა. ბერწიც იქაა, მეწველიც.  
– აბა, ერთად გვივლია და ეგ არიას!  
– კი, ბატონო, თქვენთან სიარულს რა ჯობია?  
– რა იცი, რა ხალხი ვართ?  
– მე თქვენი ინსტიტუტის დაუსწრებელი მსმენელი ვარ, გიცნობთ, ბატონო გიორგი, – არავის გაჰკვირვებია, რომ სტუდენტს შეხვდნენ ამ მთაშიც. პატარა გუნდი უკვე დაწალიკდა ბილიკზე.  
– თქვენი სახელი მიბოძეთ, ძმობილო.  
– პავლე, ბატონო.  
– ჰოდა, ჩემო პავლე, თქვენ გივისთან ერთდ იწინამძღვრეთ. აქ შქერიანებია და...  
– დიახ, თავიდანვე მინდოდა მეთქვა, მაგრამ მომერიდა. ვიფიქრე, ბილიკს თუ ასცდნენ, აქედანაც შეეუძახებ-მეთქი, – თქვა და გადაინაცვლა ლელას წინ.  
დაბურული წიფლის ტყეში შევიდნენ, ირგვლივ ნეშომპალას სუნი იდგა, კაცის სიმაღლის გვიმრები გამწვრივებულყვენიერ ბილიკის ნაპირებზე.  
– ეს მატეუჩიაა, ხედავთ, სასპორე ფოთოლი ცალკე, შავი, სავეგეტაციო კი თითქმის მეტრ–ნახევარია. ზოგიერთი ძირი ცალკე იდგა და სილამაზეში არც ერთ ტროპიკულ პალმას არ ჩამოუვარდებოდა.  
– რატომ არა გვაქვს თბილისის პარკებში ეს მატეუჩია? – იკითხა ლელამ.  
– ალბათ, წელს გეტყვიან ლექციაზე. ნესტიანი ადგილის მცენარეა. თბილისში რომ გადაიტანო, დიდი მოვლა სჭირდება და ვისლა აქვს მაგის თავი.  
– სილამაზეს მოვლაც უნდა და შრომაც.  
მატეუჩიას მორიგეობდნენ ჭყიმი, დუცი, უზარმაზარი მზიურაკულმუხო, ბუერა, ლაშქარა, დეზურა; ჩანდა, რომ მათი აქ საზრდოვ ჰქონდათ და წყალიც.  
– ვაიმე, დედავ! – წამოიძახა ლელამ და გველნაკბენივით გადმოხტა უკან. თან ჭინჭრისგან დასუსხულ ხელს სულს უბერავდა.  
– ბილიკს ნუ უხვევ, რა აცაბაცა დადიხარ აქეთ-იქით?  
– აგერ, რა ლამაზი აბედია წიფელზე, ის მინდოდა. მართლაც, ერთი უზარმაზარი წიფელი შეხორხლილი იყო აბედია სოკოებით, ზოგიერთი საკმაოდ მოზრდილ თაროს ჰგავდა.  
– დაიხსომე და აქეთ რომ ჩამოვივლი, წავიღოთ.  
წიფლის ირგვლივ კი მეორენაირი გვიმრა იყო მომრავლებული.  
– ამ გვიმრას ზევით შქერიანი და წყავიანი ენაცვლება, – თქვა პავლემ.  
მართლაც, მალე გამოჩნდა შქერიანი. შქერი ისე მძლავრდებოდა, რომ მიწაზე სინათლე არც კი ეცემოდა. სწორედ ამიტომ შქერიანში და წყავიანში ნორჩნარი ვერ ხეირობს. შიმალიცა და ჩქოლაც მის ტოტებს და ფოთლებს ვერ აღწევს.  
– ისე გამოდის, რომ შქერი და წყავი ტყის სარეველაა.  
– ეგრეა.  
პავლე ისეთ შქერიანში მალიმალ გადაინაცვლებდა ხოლმე და მალე გავიდნენ ველობზე, რომელიც ორწყალზე ჩადიოდა.  
ზევით წასასვლელად პავლემ ნაკადულის აღმოსავლეთით ნაპირი აირჩია.  
– ეს გზა ცოტა შორია, მაგრამ ადვილი სავალია. ბევრიც აღარ დაგვრჩა.  
წესის მიხედვით, ყველა ცოტას ლაპარაკობდა. თუ იტყოდა რამეს, მხოლოდ იმას, რაც გზასა და საქმეს შეეხებოდა.  
ნახევარი საათის შემდეგ წიფლნარი გამეჩხერდა და მალე არყიანში ავიდნენ,  
– აი, ეს არყი და ეს მთის ბოყვი!  
– რა სიმშვენიერეა, ხელოვნურად გაშენებულს ჰგავს, ხომ?– აღმოხდა ლელას.

– ცოტა შევისვენოთ, – უთხრა პავლემ და ერთი არყის ძირში ჩამოჯდა. ირგვლივ აუარებელი მაღალი მცენარე იყო, დუცი და დიცი, კულმუხო და მზიურა, ღიღილო და გვირილა, კენკემა და დეზურა, ლამქარა და ნარი, წითელი გვირილა და დვალურა, წართხალი და დათვის საგებელა, პავლე აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტი აღმოჩნდა. გიორგის ყველა მცენარის სახელწოდება უთხრა, რითაც იგი ძალიან გაახარა.

მაღალი ბალახით შემოსილი სერის ზურგს აპყვენ და მალე გავიდნენ წითელი მეწყრის მწვერვალზე. გადავიდნენ და ერთ ადგილს სუნთქვაშეკრულნი გაშემდნენ. სიზმრადაც ძნელი იყო ასეთი სურათის წარმოდგენა: მთელი კავკასიონის ქედი მათ წინაშე იყო ამართული, მხარმარჯვნივ ადაიპოხი, მყინვარწვერი, მხარმარცხნივ შხარა, თეთნულდი, უშბა და ათასი სხვა ყინულოვან-თოვლიანი მწვერვალი ელვარებდა მზის ბრწყინვალეობაში. თვალი ვერ მოეშორებინათ.

ისევ გიორგი მიეშველა.

– აბა, აქეთკენაც მოიხედეთ, აგერ, შავი ზღვა! შორს, შორს, ნისლის თხილ ლეჩაქში, რიონის დაბლობი მოჩანდა, ძირს ხალიჩასავით დაფენილი, მარცხნივ – აჭარა-იმერეთის ლურჯი ქედი, მარჯვნივ – სამეგრელო-აფხაზეთის კირქვიანი ქედები, შორს, ძალიან შორს ვიწრო ზოლი ეტყობოდა. ეს, ალბათ, შავი ზღვაა, დურბინდი რომ ჰქონდეთ რომ ჰქონოდათ, კარგი იქნებოდა.

ზევით, ქედების გამოსწვრივ, რაჭა ჩანს თავისი სამბროლეთი, სვანეთს კი ლაჰლა ეფარება, მაგრამ უშბა და თეთნულდი ყელყელობდნენ, მათ წინ კი ღრმა ხეობაში მიიკლავნება ყვირილა და სადღაც შორს აჭარა-იმერეთის ქედს ებჯინება – მთელი ხეობა ამოვსებულია აუარებელი სოფლებით, გეგონება, კარგ მეფუტკრეს აყვავებულ მდელოზე სკები გაუნაწილებიაო.

აგერ, მტკვრის ხეობა, ბორჯომის ვიწრო ხეობიდან ფართო ვაკეზე გამოჭრილი, ზედ ვერცხლის ძაფებივით გაბმულია დიდი და პატარა ლიახვი, აქეთ – ფრონე და ფცა, შორს ცისფერი თრიალეთი ამართულა.

– გიორგი ბატონო, აგერ შენი სოფელი პატარა ლიახვზე....

– ქვევით გორიც ჩანს თავისი ციხით.

– შორს ბურუსში თბილისიც ისახება.

– საოცრებაა, მაშ, რა არის? თითქოს ეს მწვერვალი იმიტომ იყოს, რომ მთელი საქართველო ხელის გულივით დაიფინოს შენ წინაშე.

ხმას არც ერთი არ იღებდა. ჩრდილოეთით შებრუნდებოდნენ – კავკასიონი, აღმოსავლეთისაკენ – ქართლ-კახეთი, სამხრეთისაკენ – თრიალეთი და ჯავახეთი, დასავლეთით – იმერეთი, გურია, სამეგრელო. მხოლოდ ფოტოაპარატების ჩხაკუნის ისმოდა.

იქვე, ძირს, რაჭა, აქეთ – საჩხერე და ჭიათურა.

– ნუთუ ისე უნდა გაგვევლო, რომ ეს საოცრება არ გვენახა?

– არა, ვნახავდით, – უთხრა დაბეჯითებით გიორგიმ.

– თუ ვნახავდით, მაშინ რატომ ხმას არ იღებდით? – შეუტია ლელამ.

– ვაითუ, დაიღალონ-მეთქი, – ვფიქრობდი და, რაკი მხნედ იყავით საჩხერეში, გადავწყვიტე, წამომეყვანეთ.

– ამას უკვე არა უშავს რა.

გიორგიმ ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიუთითა. აგერ, იქაა ერწოს ტბა, საიდანაც ყვირილა იღებს სათავეს. ტბის სამხრეთ ნაწილში კარსტის ძაბრია, როგორც ჩანს, შემდეგ იწყება კარგა გრძელი მღვიმე და ყვირილას სათავეს ერთი ტოტი ამ გვირაბში მოედინება, შემდეგ ორი მწვერვალის, წითელი მეწყრისა და რიბისის შუა გაჩენილი ხრამით იკვლევს გზას; სოფელ წონას აღმოსავლეთით კლდიდან გადმოჩქეფს. აქაც ისეთი ამბავია, როგორც რაჭაში, ხარისთვალასა და მდინარე შორს შორის. კირქვებში ხშირია კარსტები და მღვიმეები. თუმცა გაშალეთ ლაზადები, ვისაუზნოთ, თორემ, აგერ, მზე საითკენ დაშვებულა. მიიხედ-მოიხედეს და პავლე არსად ჩანდა. ის იყო, გატეხეს პური, რომ პავლევ გამოჩნდა. ცალ ხელში კარდალა ეჭირა, ათი-თორმეტი წლის ბიჭს კი – ყურიანი ქვაბი: რძე ამოგიტანეთ, ფერდაზე ჩვენი მეწველი დგას, ცხელი რძე ყუათს მოგცემთ. ჯამებიცაა, ზოგი თქვენი ფინჯანი გამოიყენეთ. კარდალაში კი ოთხი ოსური ხაბიზგინა<sup>181</sup> იყო. ბალღმა წყაროდან წყალიც მოარბენინა და გაიმართა მეჯლისის საქართველოს ულამაზეს მწვერვალზე, რომელიც რაჭის, იმერეთის და ქართლის შემკრებ წერტილს წარმოადგენს.

– წონა და სათავე არ ვნახოთ? – იკითხა ერეკლემ.

– წონა და მისი სათავე თქვენ ნახეთ. თბილისიდან საჩხერემდე ავტობუსები დადიან. ერთ დღეს, პარასკევს, საჩხერემდე რომ ამოხვიდეთ, შაბათს შეგიძლიათ, ამავე გზით ჯალაბეთის ქედის გავლით ახვიდეთ წითელ მეწყერზე. ღამე წონას მიდამოში ათიოთ; კვირას კი თბილისში ჩამოხვიდეთ. შეგიძლიათ, ონის ავტობუსით წამოხვიდეთ, ერწოს ტბასთან ჩამოხვალთ და აქვეა წითელი მეწყერიც.

აიკრიფეს გუდა-ნაბადი და დაემუნენ.

– ისევ მე გამოგყვებით, – შესთავაზა პავლემ, – გიორგიმ შორს დაიჭირა, ამოხვედი და ნულარ შეწუხდებო.

– მთის ბილიკი მაცდურია, შეიძლება, შქერიანებს შეერიოთ და გაგიჭირდებათ შემდეგ.  
– თუმც, მართალია, ადგილის კურდღელს ადგილის მწვეარი უნდაო, – დაეთანხმა მდევარი.  
დაღლილები, მაგრამ ყელამდე სიამოვნებით სავსენი, როდესაც მანქანასთან დაბრუნდნენ, უკვე ღამე იყო.  
მინდამ და გოგიამ დაახვედრეს გაშლილი სუფრა და სამწვადე ცეცხლი.  
ვახტანგის გაკვირვებაზე გოგიამ უპასუხა:  
– ჩვენ საჩხერეში მაინც დავბრუნდით და ჩვენი ბელელი შევავსეთო.  
პავლეს ბევრი სთხოვეს, მაგრამ არ დარჩა: ღამეა, კარში გასული კაცი, რაც უფრო მალე მიბრუნდება შინ, მით უკეთესიაო.  
წითელ მეწყერზე ასვლა-ჩამოსვლამ მაინც თავისი გააკეთა. დილით, ცოტა არ იყოს, ადგომა ეზარებოდათ, სხვა არა იყოს რა, მგზავრობა დასასრულს უახლოვდებოდა და მაინც ძალიან აღარ ეჩქარებოდათ.  
ყვირილაზე ჩაირბინეს და კირქვებში მომჩქევარე ანკარა ბროლის წყლით ძილი მთლიანად დააფრთხეს. თავის ბანაკთან რომ ავიდნენ, პავლე დახვდათ, რომელიც გიორგის საყვედურებს ცოტა ლოყებმეწითლებული ისმენდა.  
– ბატობო გიორგი! ხაჭაპურები და ახალი კიტრია მხოლოდ, განა ეს დიდი რამეა?!  
– ხომ ადრიანად ააყენე დედა...  
– მე ავაყენე? მზე ჯერ არ არის ხოლმე ამოსული, რომ იმის „ძია, ძია, ძიბრ“ მთელ სოფელს აღვიძებს.  
ბიჭები მხიარულად მიესალმნენ პავლეს, ხან რა უთხრეს, ხან–რა, და გიორგიც თავისი სიყვარულით უკან დადგა.  
მალე საჩხერისკენ გამოსწიეს, პავლემ კი ისევ წითელი მეწყრისაკენ აიღო გეზი.  
– რა ვნახოთ, ქორეთი თუ სავანე? – იკითხა მინდამ.  
– ქორეთიცა და სავანეც, – ერთხმად წამოიძახა ყველა ახალგაზრდამ.  
შორიდან მალე გადაუხვიეს და ქორეთის სკოლის წინ გაჩნდნენ, არავინ დახვდათ, არდადეგები იყო ჯერ.  
დარაჯმა გაულო კარი და მოწაფეთაგან შექმნილი არქეოლოგიური მუზეუმი დაათვალიერებინა. ეს პირველია ასეთი მუზეუმი საქართველოს სკოლებს შორის. დიდი გულმოდგინებით სწავლობენ არქეოლოგიურ ძეგლებს, უვლიან, აგროვებენ მასალას. მადაროში აღმოჩენილი ცხოველთა და მცენარეთა ანაბეჭდებიც იყო.  
– იცი რა? ჩვენც ამ მხარის გარკვეული მცენარეები გამოვუგზავნოთ, – ეს ლელას ხმა იყო.  
– ძალიან კარგი.  
მაინც ეწყინათ, რომ ვერც მუზეუმის ხელმძღვანელი ნახეს და ვერც მოწაფეები.  
უკან შემობრუნებულმა გამრუდებული გზით ლამაზი სიფელი გაიარეს და სავანეში შეუხვიეს.  
– ამ მხარის ცა-ფირუზი და ზურმუხტი ხმელეთი ასაზრდოებდა საქართველოს ერთ-ერთი დიდი შვილის პოეზიას.  
– უჰ! რაღაც ცრუკლასიკური, კარამზინისებური გამოთქმაა.  
– მაშ, კარგი, ჩვენს აკაკის.  
– ეგ მირჩვენია! – დათანხმდა ვახტანგი.  
შემობრუნებულმა გაიარეს მერჯევი, არგვეთი და მალე გორისაში შემოვიდნენ.  
– ესეც გიორგი წერეთლის სოფელი და საბუდარი.  
– აქედან უთვალთვალედა რუხ მგელს, ხომ? – იკითხა თუ დაადასტურა გვიმი.  
– კიდევაც! აბა, გახედეთ გაღმა ქედებს, აქვე შეფენილ სოფლებს: მახათურს, ირტავაზას, შალაურს, ცხამს; აგერ შორს: სპეთი, ველები, ქურნალი, პერევი, ერთიერთმანეთზე რომაა მილაგებული. ყველას თვის რუხი მგელი ჰყავდა.  
– დაიცა, დაიცა, – წამოყელყელავდა ვახტანგი, ეს ის ირტავაზა ხომ არ არის, „ირტავაზას სამი გლეხი, ოცდახუთი აზნაური“.  
მინდიას გულიანად გაეცინა.  
– შეიძლება, იმერეთში წვრილი აზნაურობა ბევრი იყო.  
– ზოგჯერ ეს ანდაზა ზედგამოჭრილია. აი, რაზე. ტრაქტორისტი მუშაობს, ერთია, ვრცელ მინდორზე, უცბად ხუთი კაცი გაჩნდება მის წინ, დასწვდებიან მიწას, აიღებენ და რაღაცას ასწავლიან...  
– ეგ გადამღების ბრალიცაა.  
– ესენი თავკაცები არაინ. წინათ გუთნიდეთა თავკაცი იყო. მუშაობდა კიდევ და გამოცდილებასაც უზიარებდა სოფელს...  
– მართალია, ცოტა ბევრი გვყავს სოფელში თანამდებობის პირი, მხოლოდ რომ „მასწავლებლობს“.  
– მაშინდელი ისლით დახურული სახლები როგორ შეედრება ახლანდელ სასახლეებს, თითო-ოროლა სახლი იყო ქვითკირისა, ყავრით ან კრამატით დახურული.



– ბევრი გვყავს წერეთელი, კარგი გვარია, ხომ? აგერ, ჭიათურისკენ გაიხედეთ, ცხრუკვეთი პატარა სოფელია, არა?

იქიდანაა აკადემიკოსი გიორგი წერეთელი, საქართველოს აკადემიის წევრ-კორესპოდენტი თინათინ და კონსტანტინე წერეთლები, აქედან იყო ისტორიკოსი, პროფესორი ალექსანდრე წერეთელი, ამავე სოფლიდანაა საბჭოთა კავშირის აკადემიის აკადემიკოსი ბიწაძე. ერთ პატარა სოფელს და ისეთს, როგორცაა ცხრუკვეთი, ეყოფა ხომ? მაგრამ ასეთი რამ საქართველოში იშვიათად აღარ არის.

გამოიარეს კორბოული. ეს ერთი სოფელი კი არა, არამედ მრავალ სოფელთა კომპლექსია. აი, თვით კორბოული, უსახელო, სამხრეთ-დასავლეთით – ნიგვზარა.

– თითქოს დიდი მდიდარი არ ჩანს ეს მხარე, ბალ-ვენახიც ცოტაა, მაგრამ ეს კოტეჯები საიდან და როგორ?

– საკარმიდამო ნაკვეთის შეუცნობი ეკონომიკური პოლიტიკა უნდა იყოს, – თქვა ბუნდოვნად მინდია და აღარ გააგრძელა.

ეს ერთადერთი მხარეა საქართველოში, სადაც ძველი დოლის პური ითესება კიდევ და მთელი მინდვრები მას უჭირავს. წინათ ჭადი და ფეტვიც ითესებოდა, მაგრამ ამჟამად აღარსადაა. ძირითადად მინდვრები ნახვარია, მუხნარ-რცხილნარი და ზოგან წიფლნარი ტყე გაჩეხილი და ახოა გაკეთებული წარსულში.

სოფელ ჯვართან უკვე ძირულას ხეობაში გადავიდნენ.

ეს ხეობაც ერთ-ერთი შესანიშნავია თავისი სოფლებით, საჩხერის რაიონის სოფლებია: ზემო ჭალოვანი, ქვემო ჭალოვანი, წმანი, ხვანი, დედაბერა, ლიჩი, ვიკისა, ლოდორა.

– მინდია ბატონო, სოფელი ლიჩი ახსენეთ, ხომ? – შეეკითხა ვახტანგი.

– თქვენს სოფელში რომ ლიჩელების უბანია, აქაურები ხომ არ არიან.

– შესაძლებელია, ეს ძველი ამბავია, ერთი დაზარალებული მხარის მოსახლეობას როგორ ავსებდა მეორე მხარე. თვითონ ჩემს სოფელში მთიულებიც არიან, მოხევენიც, აი, იმერლებიც და ადგილობრივნი ხომ არიან და არიან...

– კახეთში აბაშიძეებიც არიან.

– ეგ აბაშიძეები ერეკლე მეორემ გადმოიყვანა და დაასახლა, ერეკლესთან ხშირად ომში ნამყოფნი და მომხრენი.

– სურამელი აბაშიძეები?

– ეგ ვახტანგ VI-მ დაასახლა. საერთოდ, მთელი ეს მხარე, ყოფილი სააბაშიძეო სათავადო, ვრცელი იყო, უძლიერეს სათავადოდ ითვლებოდა, კაცხიდან მოყოლებული ქართლამდე, ვახანის ციხითურთ (გარდა ხარაგოულისა) აბაშიძეების სათავადო იყო, აბაშიძენი უფრო მჭიდრო კავშირში იყვნენ ქართლ-კახეთის სამეფოსთან და ესენიც ამ მხარეს თავისად თვლიდნენ.

შაჰნავაზმა და როსტომ მეფემ აქეთ ილაშქრეს კიდევ და „შემუსრეს ციხენი“ განდგომილ აბაშიძეთა.

– ამიტომ, რომ ზემო იმერეთში ზემო ქართლური ეთნოგრაფიული ყოფა მკაფიოდ ჩანდა.

– ხვან-თესვაც იქაურს ჰგავდა.

– ეგ ბუნებრივი პირობების ბრალიცაა.

საუბარი არ უშლიდათ, რომ კარგად რუკაზე დაეთვალიერებინათ ლამაზი სოფლები იმ მაგისტრალურ გზაზე, რიკოთის ზეკარით რომ გადმოდის აღმოსავლეთით საქართველოში – ხევი, გრიგოლეთი, ხუნწერვი, საკასრია, ვერტყვიჭალა, ვაშლევი, ამაშუკეთი, შროშა და გახვალ კიდევ ზესტაფონში.

გადაჭრეს კასრების სერი და ჭერათხევის ხეობაში გადმოვიდნენ. ადვილად იტყვის ენა კაპრების სერიო, მაგრამ მას ისეთი მდებარეობა უჭირავს, რომ წყალგამყოფი სერია რიონისა და მტკვრის ხეობათ შორის; თუ დასავლეთით კაპრების სერი ზეგანისებრ ძირულით ყვირილის მასივში გადადის, ქართლის ვაკისკენ უცბადაა ჩამოჭრილი.

კაპრების სერზე რამოდენიმე ზეკარია.

აღმოსავლეთით სურამ-ფონასი, რომელსაც ხარაგოულთან გავყავართ, რიკოთის ზეკარი, რომელზედაც გადის მთავარი საავტომობილო გზა, დედაბრების ზეკარი სოფელ გოდორასა და სოფელ ლიჩისკენ მიდის, კორტოხის ზეკარი, ჯვარისხევაში, რომელზედაც გადის მეორე მაგისტრალური გზა. სადგური გომი-ალი-ჭერათხევი-კორბოული-საჩხერე-ჭიათურა-ზესტაფონი. გასაკვირი არ აირის, რომ ამ კორტოხზე (კაპრების სერი) ამდენი გზა გადიოდა. ესენი იყვნენ მთავარი დამაკავშირებელი იმერეთ-ამერეთისა. თვით ამ მასივის დასავლეთსაკენ დაქანებული ნაწილი უაღრესად მჭიდროდ დასახლებული ნაწილია საქართველოსი. ძირულის შუაწელიდან ყვირილის შესართავამდე კენჭი არ ჩავარდება, ისე მისდევს ურთიერთს სოფელი. აი, ნახეთ თუნდაც ხარაგოულის (ორჯონიკიძის) რაიონის სოფლები.

ზეკარიდან მეთუე კილომეტრზე, ჭერათხევის მარჯვენა ნაპირიდან საურმე გზა ადიოდა კაპრების სერის კალთაზე.

– ეს გზა ულომბოში მიგვიყვანს, თავის დროზე დიდი მონასტერი რომ იყო ღვთისმშობლის სახელობაზე.

დაიდალნენ, თუ შინ მისვლის მოლოდინის გამო იყო, აღარავის გამოუთქვამს სურვილი, ენახათ ულომბო.

ჩაიარეს სოფელი ალი, ძველად ქალაქი და საბაჟო, ვაყა-გომი და გავიდნენ დიდ გზაზე, რომელიც ორი საათის შემდეგ თბილისში ჩაიყვანდა.

<sup>1</sup> ჩქოლი – ახალმოზარდი, ნორჩი, წვრილი ხე.

<sup>2</sup> სუფრის ამატება – სუფრის ალაგება.

<sup>3</sup> უღელტეხილი.

<sup>4</sup> იაილა – სამოვარი.

<sup>5</sup> ქაშანი – შამბთა და თოვლზე გაქელილი გზა (საბა).

<sup>6</sup> წავარნა – კლდის ბილიკი (საბა).

<sup>7</sup> ბუხარიც მხიარულადაა – ბუხარი ანთია.

<sup>8</sup> შულო – რამეზე თანაბრად ამოხვეული ძაფი, ნართი.

<sup>9</sup> მემთევრეობა – საქონლის მთის სამოვრებზე ყოფნა.

<sup>10</sup> ღირღალი – დეღელზე ადგილი (საბა), ახლა რომ დადაღუდას იტყვიან.

<sup>11</sup> უღნარი – კაპან-ტყიანი, ნამენარი (საბა)

<sup>12</sup> უღალი – ძნელ-სავალი (საბა).

<sup>13</sup> უსიანი – უხვედრო ადგილი.

<sup>14</sup> ნოტო – (კუთხ.) ფარის ან ნახირის ერთი ნაწილი.

<sup>15</sup> ავრიტი – ხის ქერქი, ლაფანი.

<sup>16</sup> კოდი – ხის სათლი.

<sup>17</sup> ხის სურა – კუტალი, წურწუმა.

<sup>18</sup> კუტალი – ხის წურწუმა (საბა). ხის ჭურჭელი, ტუჩიანი, წყლისათვის. კუტალი ქართლ-კახეთში მეოცე საუკუნის ოცდაათიან წლებამდე კიდევ იხმარებოდა.

<sup>19</sup> ჭდეული – ჭდობით აშენებული.

<sup>20</sup> იაილას აქ ორი მნიშვნელობა აქვს: ზაფხულის სამოვარი და მთის სახლი სამოვარზე.

<sup>21</sup> ყიშლა – (თურქ.) ტყის სარტყელი.

<sup>22</sup> ხვასტაგი – (სპ.) მსხვილფეხა საქონელი.

<sup>23</sup> ათადან-ბაბადან – მამა-პაპასაგან, ათა – მამა, ბაბა – პაპა (თურქული).

<sup>24</sup> რქოსან პირუტყვს ნამდვილად ზროხა-ძროხა ეწოდება, მამალს – ხარი, დედალს – ფური, ძროხა რომ ამჟამად ფურს მივაკუთვნეთ, არ არის სწორი, „ძროხა“ ზოგადია.

<sup>25</sup> ფარნა – თეთრფერდა ძროხა.

<sup>26</sup> ვეჟენა – წითელშავი, ზოლებიანი.

<sup>27</sup> ნიშა – თავზე თეთრი ნიშანი ძროხეულს, თუ კამეჩს – იგი ნიკორაა.

<sup>28</sup> სრელა – საქონელია, რომელსაც ზურგზე გრძელი სხვა ფერი გასდევს.

<sup>29</sup> ჟალი – შავმოწითალო.

<sup>30</sup> დოლა – რქამოკლე, ზოგჯერ ურქოც.

<sup>31</sup> ჭოტა – რქაგრძელი, მახვილწვერიანი.

<sup>32</sup> ალხი – გამხდარი, ნაზამთრი.

<sup>33</sup> კარკალი – დიდი ქვანარი. (ლოდნარი)

<sup>34</sup> მეზომირი – სადაც გზები შეიყრებიან მრავლად (საბა).

<sup>35</sup> მომაკვდავი ტბა – ტბის სიცოცხლე ოთხ ნაწილად გაიყოფა: ახალგაზრდობა, როცა მის ნაპირზე. მცენარენი არ არიან, ნაპირი შეჭრილ-შემოჭრილია; დავაჟვაცება – ნაპირი მომრგვალებულია, აქა-იქ ჩნდება ჭაობის მცენარეები (ლაქაში, ლელი, ჭილი); სიბერე – როდესაც ტბის სარკე შემცირებულია და ტბის ზედაპირის 2/3 ჭაობის მცენარეებს უჭირავს; ტბის სიკვდილი – ტბის სარკე – არა ჩანს, მთლიანად დაფარულია ჭაობის მცენარეებით-ჭილით, ისლით, ლისით, ლაქაშით და მისთანათი.

<sup>36</sup> ჭანჭრობი – კორდი წყლიანი, ნოტიო (საბა).

<sup>37</sup> ...შუადღე ჭამადი არს სამხარი, ხოლო მწუხრი ჭამადი – სერობა; უკეთუ სამხარი არც შუადღე და უადრესად ჭამა მესამე ანუ მეორე ჟამსა, უწოდენ სადილსა და არა სამხარსა; დილაზე მცირე საჭმელსა ეწოდების საუზმე და სამხრისა შემდგომად ჭამასა – ზარმელი და უკეთუ სერობისა შემდგომად ჭამადი მიიღო, სერის კუდი ეწოდების (საბა).

<sup>38</sup> ფშავში მემთევრის შემნაცვლელია მემთე. ხოლო აქ ასე ზუსტად არ არის განაწილება. უფროსობა ეკისრება უფრო ხანდაზმულს.

<sup>39</sup> „მომთაბარე მესაქონლეობის“ ნაცვლად ვ. შამილაძე გვთავაზობს „მთიურ მესაქონლეობას“, რაც უფრო მართებული ჩანს

<sup>40</sup> ნაჩხატი – ერთი ან ორი წლის უხნავი მიწა.

<sup>41</sup> ვახუშტის არ ჰქონია ცნობა, რომ თესდნენ ურწყავის ბრინჯს.

<sup>42</sup> ზრო – ისრის წვერი.

<sup>43</sup> ხულოს რ. – 710 კვ. კმ. დაბა I სოფელი 70.

ხულოს სად. ს. – დაბა ხულო, გორგამეები, გუდასახო, დეკანაშვილები, ძირკვამეები, დუამეები; განახლება, ქედლები, ოქროაშვილები, თაგო, ელიძეები, უჩხო, კურცხალი; აგარის სას. ს. – აგარა, გელეურა, საციხური, პატნარი; ღორჯომის ს. ს. – ადაძეების, ვანაძეები, ვაშაყმაძეები, გორგამეები, ქურდული, ლაბაძეები, მეკვიძეები, მეხელაშვილები, მინდაძეები, სტეფანიშვილები, ტუნაძეები, წინწკლაშვილები, ახალუბანი. დიდაჭარის ს. ს. – დიდაჭარა, ბოზაური, ირემაძეები; დიოკნისის ს. ს. – დიოკნისი, ბელეთი, ღორჯომენაძეები, ღურტა, შვარიქეთა, იაკობიძეები, კორხოტი, მანიაკეთი, მელაძეები, პაქსაძეები, ტაბახმელი; სხალთის ს. ს. – ყინჩაურა, გურძაული, მმაგულა, კვატია, ფაჩხა, წაბლანა, ჭერი. რიყეთის ს.ს. – რიყეთი, ბოძაური, დანიპარული, შუასოფელი; ხიხაძირის ს. ს. – ხიხაძირი, ბაკო, მთის უბანი, კალოთა, ფურშუკაული, რაქვთა, ახალშენი, სკვანა, თხილვანა, მახლაკაური; ოქტომბრის ს. ს. – ოქტომბერი, ვაშლოვანი, შურმული, ჩაო.

<sup>44</sup> ნეკერი – კვირტებიანი ხის ნორჩი ტოტები.

<sup>45</sup> წერაყინი – წერაქვის მსგავსი რკინის იარაღი, იყენებენ ალპინისტები ყინულის სამტვრევედ მწვერვალზე ასვლისას.

<sup>46</sup> მიუხედავად ოსმალეთის თითქმის სამასი წლის ბატონობისა, აჭარლებმა, ისე, როგორც შავშელებმა, ენა კარგად შემოინახეს. გეოგრაფიული სახელწოდებანიც შეუბღალავი, ქართული დარჩა. იური სიხარულიძის მიერ შედგენულ აჭარის ტოპონომიკაში აღმოჩნდა, როგორც ადგილის სახელწოდება, სადაც ამჟამად ან სათესია, ან ტყე, ან ბუჩქნარი, ან სხვა სავარგულია, ეკლესია და საყდარი 26-ჯერ, ნასაყდრალი 14-ჯერ, ჯვარი 3-ჯერ, ხატიმამული 3-ჯერ, ხუცური 3-ჯერ, თითოჯერ – ამაღლება, ელიაწმინდა, ბერიტყე, ბერიყანა, ბერები დელე, სალოცავი ქედი, კვირიკე დელე, ნაჯვარები, ხატიტყე, საყდრიძირი, მიქელწმინდა, საყდრიგვერდი. მეორი ჯგუფია ისეთი სახელწოდებანი, რომელნიც ისლამის გამო თითქოს უნდა გამქრალიყო, მაგალითად, ადგილის სახელწოდებით დარჩენილი ძველი მეურნეობის სახელი: ვენახი და ნავენახარ გვხვდება 18-ჯერ, საღორია 5-ჯერ და სხვა. ამ მხრივ ტოპონომიკა კიდევ ბევრ საინტერესო ფურცელს გადაშლის.

<sup>47</sup> ამჟამად შუახევის რაიონში, რომელსაც 68.833 კვ. კილომეტრი უჭირავს, შედის სოფლები: ბართაულის ს. საბჭო: ბართაული, ვანი\*, გომარდული, წანკალაური; დღვანის ს. ს. – დღვანი, გოგინაური, კვიახიძეები, ქიძინიძეები, ლომონაური, ჯაბნიძეები; შუბანის ს. ს. – შუბანი, დარჩიძეები, იაკობაური, კობალთა, ქუთაური, ტომამეთი, წელათი; ოლადაურის ს. ს. – ოლადაური, კარაპეტი, მწყვალთა, მახალკიძეები, პაპოშვილები; ზამლეთის ს. ს. – ბუთურაული, მჭედლური, მენია, ნიგაზაული, ფოთელაური, ფურტიო, მომწვარი; უჩამბის ს. ს. – სამოლეთი, გოგამეები, ლაკლაკეთი, მოფრინეთი, ტბეთი\*, წაბლანა, ცინარეთი; წყლისაყრის ს. ს. – ჟანივარი, ბრილი\*, ნაღვარევი\*, საბელაშვილები; ჭვანის ს. ს. – ახალდაბა\*, ვარჯანაული, ტაკიძეები, ხიჭაური, ცივაძეები, ცეკვა, წყაროთა, ცხმელისი\*, ჭალა\*; შუახევის ს. ს. – შუახევი, ბესელაშვილები, გუნდაური, დაბაძველი, კლდის უბანი, ოქროპირაული, სხევი, ჩანჩხალო, თურნალი. ვარსკვლავით აღნიშნულია სახელწოდებანი, რომელიც საქართველოს სხვა მხარეებშიც მრავალია.

<sup>48</sup> შურო – ხის დასაცურებელი.

<sup>49</sup> ავრიტი – ხის ქურქის თოკი (საბა).

<sup>50</sup> სადველი – ხმელი წვრილი ყველი.

<sup>51</sup> აპოხტი – ხმელი ხორცი.

<sup>52</sup> ვემა – მინერალური წყალი (მჟავე ან მლაშე).

<sup>53</sup> სათარი – შეშა.

<sup>54</sup> გალი – უშტო ხე.

<sup>55</sup> ახო – საყანედ გაკაფული ტყე.

<sup>56</sup> ოროკო – ტერასა.

<sup>57</sup> უხრავი – საშუალო სიმაღლის ან დაბალი ხე არყისებრთა ოჯახისა. იზრდება მეტწილად აჭარისა და მესხეთის ტყეებში.

<sup>58</sup> კრიკინა – 1. ველური ვაზი, უსურვაზი. 2. ველური ყურძენი.

<sup>59</sup> კუფხალი – მტევნის რტო, რომელზედაც ორი-სამი კომპალაა.

<sup>60</sup> ეს ლექსი მესხეთშია დაწერილი 1869 წ. აქ ნახსენები „ხევანი“ იმას მოწმობს, რომ სამხრეთ საქართველოში, აჭარის ხეობითურთ, მაღლარი უნდა ყოფილიყო გავრცელებული.

<sup>61</sup> მას შემდეგ, რაც დამპყრობლებმა იმძლავრეს და ქალს მზე დაუბნელეს – ჩადრი დახურეს, ამ ცეკვაში მონაწილეობას იღებდა ქალად გადაცმული კაცი; ყველა მოცეკვავეს სახე შებურვილი ჰქონდა თხის ტყავით. ზოგი დააფიქრა ასეთმა ჩაცმა-დახურვამ. რაღა თხის ტყავით? ბახუსის დღეობასა და რთველთან ხომ დაკავშირებულია თხაც. ბოლო ხანებამდე ქართლ-კახეთშიც რთველი ისე არ ჩატარდებოდა, რომ თხა ან ციკანი არ დაეკლათ.

<sup>62</sup> ყრუ სოფელი – შორეული, მიუდგომელი სოფელი.

<sup>63</sup> ფიჩხაურა – მომცრო საღვინე (საბა).

<sup>64</sup> ოჯინჯახი – ნიგვზის გული გაქნილი წყლითა (საბა).

<sup>65</sup> ტყრუმული – მსხვილი წნელის ღობე. დღეს – ღობე, რომელიც ჩაწულია სამი-ოთხი წნელით ერთად.

<sup>66</sup> შირა – ყურძნის ტკბილი წვენი.

<sup>67</sup> ახჩა – ფულის ერთეული ძველ ოსმალეთში.

<sup>68</sup> ზედაშე – წითელი ღვინო, რომელსაც ხმარობენ საეკლესიო დღესასწაულების დროს.

<sup>69</sup> მეხეური მეფუტკრეობა – ფუტკრის ძირის ხეზე შემოდგმა საღალაოდ, ზამთრის პირას სახლში მოჰქონდათ.

<sup>70</sup> აჩაჩა ურემი – პატარა ურემი, რომლის ხელწერის ბოლოები მიწაზე მიჩოჩავს.

<sup>71</sup> ჯალაბი – (სპ.) ოჯახი.

<sup>72</sup> ხვასტაგი – საქონელი და საყოფელი (საბა).

<sup>73</sup> მროწლე – ნახირი.

<sup>74</sup> მამა ჩვენი სახელოვანი მწერლის, ლევან გოთუასი.

<sup>75</sup> ჩამოთვლილია 14-ვე სოფელი: ხულო, კედლები, ყალოღლი, დიაკონიძე, პაქსამე, გუდასახადო, უჩხო, ძირკვამე, ჩაიო, საბაური, რიუბამე, მელამე, დუამე და ვანო.

<sup>76</sup> ხმა, ალბათ, მემარჯვენე დეპუტატ პურიშკევიჩისა იყო.

<sup>77</sup> ერთ ქვეყანაში წესად ჰქონიათ, მამა რომ დაბერდებოდა, შვილები არჟმანაკის გოდორს დაწნავდნენ, შიგ ჩასვამდნენ და მთიდან დააგორებდნენ. ერთმა მოხუცმა გაიგონა, შვილები გოდორს დაწვნაზე ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს და უთხრა: ისეთი გოდორი დაწნაით, თქვენს შვილებსაც გამოადგესო.

<sup>78</sup> ბელვა – კაფვა.

<sup>79</sup> არვე – ჯოგი თხათა და ცხოვართა (საბა).

<sup>80</sup> რემა – ცხენის ჯოგი.

<sup>81</sup> კოზაკი – აქლემის კვიცი (საბა).

<sup>82</sup> ფშანი – მდინარის პირას გამომდინარე წყარო.

<sup>83</sup> ჩვენი მწყემსები მდ. ევფრატის ნაპირას მისულან, ერაყში. მათ გადაულახავთ ჯერ ოსმალეთის საზღვარი, ასურეთში გადასულან, ტიგროსი და ევფრატი ერაყის მთავარი მდინარენია, სათავეს თურქეთში იღებენ. ერთი თავისებურება ახასიათებთ: შუაწელში უფრო წყალუხვნი არიან, ვიდრე შესართავთან, რადგან გზადაგზა აორთქლების შედეგად წყალს ბევრს კარგავენ, წყალდიდობა, გაზაფხულზე იცის. ზაფხულ-შემოდგომა ძალიან გვაღვიანია, თვით ერაყში არც ტიგროსსა და არც ევფრატს არც ერთი შენაკადი არ ერთვის, გარდა ხევხმელებისა. ძველად ორივე მდინარიდან აუარებელი სარწყავი არხი იყო გაყვანილი, მაგრამ ამ მხარის ავბედობის შედეგად მოიშალა. ახლა ბევრი მათგანის აღდგენა მიმდინარეობს.

ერაყი უმთავრესად უდაბნოსა და ნახევარუდაბნოს მცენარეულობითაა დაფარული, მთის ფერდობზე ეკლიანი ბუჩქები, ბუსტულისა და ლელვის იშვიათი ხეები გვხვდება. მდინარის ნაპირზე ჭალის ტყეა, ვერხვის და ტირიფის, ევფრატის ჭალებში დიდი რაოდენობით გვხვდება ოლენდრი. ცხოველებიდან გავრცელებულია ჯეირანი, კანჯარი (ველური ვირი), ტურა, აფთარი, ყარყალი, შხამიანი მრავალნაირი გველი და სხვა.

ამჟამად საბჭოთა კავშირის დახმარებით მიმდინარეობს შუამდინარეთს გაწყლიანება. გაჰყავთ სარწყავი არხები. შუამდინარეთი წინასწარ გამოიკვლია საბჭოთა ბოტანიკოსმა, როდინმა. როდინს რამდენჯერმე შეხვდნენ მუჰაჯირი ჩერქეზები.

<sup>84</sup> ტუხტი – ბალახოვანი სამკურნალო მცენარე ბალახისებრთა ოჯახისა.

<sup>85</sup> ხვინჭა – წყალთავენი (საბა).

<sup>86</sup> ჭოროხი – მდინარისაგან ქვიშა შეყრილი (საბა).

<sup>87</sup> ბუსნარი – მაღალბალახიანი კორდი.

<sup>88</sup> ბურბურა – გამხმარი მცენარის მიწისზედა ნაწილი, რომელიც ქარის შემობერვით გორავს და თესლს აბნევს.

<sup>89</sup> უხსენებელი – გველი. ჩვენი ხალხი საუბარში მას პირდაპირი სახელით არ ახსენებს: შავჩოხიანი, უხსენებელი.

<sup>90</sup> ტაბარუკი – (ძვ.) უქონელი, ღარიბი, ღატაკი.

<sup>91</sup> გრიგოლ გურიელი გენერალი იყო, ერთხანს ბათუმის ოლქის უფროსად მუშაობდა.

<sup>92</sup> ელქაჯი – თხა, წინ მოარული (საბა).

<sup>93</sup> ჟარე-ჟარე – იარე მესხურად (საბა).

<sup>94</sup> ნაწრედი, ნაწრეტი – ნაჟური (საბა)

<sup>95</sup> ქედის რ-ნი – 450 კვ. კ. სას. საბჭო. 8; სოფელი 52: მახუნცეთის ს. ს.-ქვ. მახუნცეთი, ზედა მახუნცეთი, ზედა ბზუბზუ, ქვ. ბზუბზუ, ჭინკაძეები, ჭალახმელა, ქოსოფელი, უჩხითი, მილისი, ნამლისევი, ზუნდაგა, დოლოგანი; პირველი მაისის ს.ს. – ზედა აგარა, ქვ. აგარა\*, კოლოტაური; ქედის ს.ს. – ცხემნა, ზენდიდი, გულეები, აქუცა, შევაბური, ორცვა, ძენწმანი, კორომხეთი, არსენაული; ოქტომბრის ს.ს. – ოქტომბერი, მეძიბნა; მერისის ს.ს. – მერისი, გუნდაური, ინაშარიძეები, ნამონასტრევი\*, სილიბაური, სიხალიძეები; ზვარეს ს.ს. – ზვარე, ვაიო, ვარჯანისი, ზესოფელი, კანტაური, კვაშტა, აბუქეთი, სირაბიძეები, წონიარისი?; ცხმორისის ს.ს. – ცხმორისი, კოკოტაური, გეგელიძეები, ახო, გობრონეთი; დანდალოს ს.ს. – დანდალო, ბალაძეები, ჯალაბიშვილები, ხარაული.

აგარა, ზვარი, ცხმორისი, ზვარე სხვა რაიონებშიც მეორდება. ნამონასტრევი – ქრისტიანობის გადმონაშთია.

<sup>96</sup> ხელვაჩაურის სას. საბჭო – ხელვაჩაური, ზემო ჯოჭო, ქვემო ჯოჭო, მახვილაური, ერგე; გონიოს ს. ს. – გონიო, ახალსოფელი, კვარიათი; მახინჯაურის ს. ს. – დაბა მახინჯაური, განთიადი, მწვანე კონცხი; აჭარის აღმართის ს. ს. – სინდიეთი, ედქედი, ქოქოლეთი, ჩიქუნეთი, ზედა ჩხუტუნეთი, ქვედა ჩხუტუნეთი; აჭარისწყლის ს. ს. – აჭარისწყალი, კაპნისთავი, კიბე, მაღლაკონი, მაჭახლის პირი, მირვეთი, ხერთვისი; ახალშენის ს. ს. – ახალშენი, განათლება, სამება\*, ხელრუ, ზედა ახალშენი; კახაბრის ს. ს. – კახაბერი, ადლია, ანგრისა, მინდა, თოლოგაური, მეჯინისწყალი; კირნათის ს. ს. – კირნათი, მარადიდი; ჩაისუბნის ს. ს. – ჩაისუბანი, წინსვლა, აგარა\*, კაპრემუმი, ყორხლისთავი; სარფის ს. ს. – სარფი; თხილნარის სას. საბჭო – თხილნარი, აგარა, მახო, ჭორნალი; ურეხის სას. საბჭო – მნათობი, სალიბაური, ქვედა სამება, ფერია.

ხელვაჩაურშიც გვხვდება ქრისტიანული სახელწოდებანი – სამება, სხვა რაიონში არსებული სოფლის სახელები აქაც მეორდება: აგარა, ახალსოფელი. სოფლის ახალ სახელების დარქმევის დროს არ ჩანს ფანტაზია – აქაც მეორდება: წინსვლა, განახლება, მნათობი, ოქტომბერი და სხვა.

<sup>97</sup> საქართველოში გავრცელებულია მურა დათვი, რომელიც ჩვეულებრივი მურა დათვის კავკასიური ნაირსახეობის ვარიანტია. ესაა კავკასიაში ძირითადი, ხოლო სამხრეთ დასავლეთ საქართველოში, გურია-აჭარის მთებში გვხვდება კავკასიური დათვისაგან განსხვავებული „სირიაკუს“, რომელიც 1928 წელს აღწერეს ჰემპრიხმა და ეკრემბერგმა. ესაა სწორედ აქ ნახსენები ჭანური დათვი, რომელსაც პირველად მოჩენილ სირიულ დათვის უწოდებენ. ჭანური დათვის სახელწოდება კი მოდის ცნობილი მკვლევრის, სატუნინისაგან, რომელმაც სირიული დათვი განასხვავა ჭანეთში გავრცელებული დათვისაგან და უწოდა ლაზური ანუ ჭანური, დათვი.

<sup>98</sup> ეპიგეა – ნახევრად ბუჩქია, მარადმწვანე. ღერო გართხმულია, ტოტები წამოწეული, ფოთლები ტყავისებურია, ქვედა მხარე უხეშბუსუსიანი აქვს. ყვავილები ერთეულია და ყლორტის წვერკინაზე მოკლე ყუნწით ზის, გვირგვინი ძაბრისებურია, ლამაზი ვარდისფერი, მტვრიანა 10, ნაყოფი ხუთბუდიანი კოლოფია, ლამაზი დეკორაციული მცენარეა, გვხვდება შქერიანში. მსოფლიოში მხოლოდ მხოხავი ეპიგეაა, აზიური და ჩვენი კულხური. საინტერესოა, რომ ეს რელიქტი სწორედ რელიქტურ მცენარეებთან ერთად.

<sup>99</sup> ტოპონომიკა – მეცნიერება ადგილების სახელწოდებათა შესახებ.

<sup>100</sup> წვიმტა – ერთწლოვანი დეკორატიული მცენარე მათიტელასებრთა ოჯახისა.

<sup>101</sup> ოდომღერი – იგივეა, რაც ოდომი; ნაყოფისა თუ თესლის მომწიფების ისეთი საფეხური, როდესაც ის ჯერ კიდევ რბილია, რძინი.

<sup>102</sup> ასლი – აქ: კილიანი ხორბალი.

<sup>103</sup> ფაჩხატი – თხელი, მეჩხერი.

<sup>104</sup> ხმიადი – უსაფუვროდ გამომცხვარი პური.

<sup>105</sup> ოყა – ძველებური წონის ერთეული, უდრის დაახლ. 1200 გრამს.

<sup>106</sup> ბერყენა – ველური მსხლის ჯიში.

<sup>107</sup> ამ მხარეში, – განაგრძობს ვახუშტი მეორე ადგილას, – არამცთუ მთა-ბარი ახლორებს, ისინი „ჟამის ანუ ნახევარჟამისა სავალთა არს თოვლი და ბართანა ნარინჯი, თურიხჯი, ზეთის ხილნი და ყოველნი ნაყოფნი“.

<sup>108</sup> სირი – ფრინველი.

<sup>109</sup> ამჟამად არის სოფელი ერგე ხერთვისის ქვევით. ძველად ამ ვაკესაც ეწოდებოდა ერგე.

<sup>110</sup> მელსაპეპონი – საზამთრო.

<sup>111</sup> კუმპულა – ნესვი.

<sup>112</sup> ამ უკანასკნელ წლებში მას ხმარობდნენ, როგორც წნევის საწინააღმდეგო საშუალებასაც.

<sup>113</sup> დესეტინა– ჰექტარზე ცოტა მეტი.

<sup>114</sup> ქობულეთის საქალაქო საბჭოშია ქ. ქობულეთი, ახალსოფელი, კინკიშა; ოჩხამურის სად. ს. – დაბა ოჩხამური; ჩაქვის სად. საბ. – დაბა ჩაქვი, სახალვაშიო, ბუკნარი, ქვედა ულიანოვკა; ბობოყვათის სას. საბჭო – ბობოყვათი, ზედა ღუვა, ქვედა ლაგვა; ქაქუთის ს. ს. – ქაქუთი, აჭი, გოგმაჩაური, ნაცხვატევი; კვირიკეს ს. ს. – კვირიკე; ზედა კვირიკე, ქვედა კვირიკე; ქობულეთის ს. ს. – ქობულეთი, ზედა სამება, კოხი; ლედვას სას. ს. – ლედვა, სკურა, ცხრაფონა; მუხაესტატეს სას. ს. – მუხაესტატე, ალანბარი, წყავროკა, ზედა კონდიდი; ხალას სას. ს. – ხალა, გობმარები, ჩაისუბანი, ჩაქვისთავი; ხუცუბნის სას. ს. – ხუცუბანი, გვარი, ქვედა სამება, ქვედა კონდიდი; ციხისძირის სას. ს. – ციხისძირი, სტალინის უბანი, შუაღელე; ულიანოვკის სას. ს. – ზედა ულიანოვკა, ზედა აჭყვა, ქვედა აჭყვა; ჭახათის სას. ს. – ჭახათი, ზენითი „ვარჯანაული“, კენთიათი, კობალაური, ტყემაკარავი, ხინო; აჭყვისთავის სას. ს. – აჭყვისთავი. დაბა 2, სოფელი 47, საბჭო 15, ტერიტორია 720 კვ.კმ.სხვა რაიონის სოფლებს ეხმაურებიან – ნაცხვატური – ცხვატაი ქსნის ხეობაზე, კვირიკე – ზემო სვანეთი, ცხრაფონა – ფონა ქარელის რაიონში, ციხისძირი – მცხეთის, დუშეთის რაიონებში და სხვა.

<sup>115</sup> ლანჩხუთის საქ. ს. – ქ. ლანჩხუთი, ლამისღელე; აცანის ს. ს.: აცანა, ტელმანი; გვიმბალაურის ს. ს. – გვიმბალაური; ჯუნწერი; ლესა – ჭინათის ს. ს. – ლესა, ჭინათი; მამათის ს. ს. – კონჭკათი, ქვედა მამათი, შათირი; მაჩხვარეთის ს. ს. – ორაგვე, ჯუნმერი; ნიგვზიანის ს. ს. – ნიგვზიანი, არჩეული, ხაჯალია, ჩანჩეთი; ნიგოეთის ს. ს. – ნიგოეთი, ჩალაბარგი, ჭყონაგორა, ქვიანი, ჯიხეთის მონასტერი, ჯაპანა, ტობათი; ნინოშვილის ს. ს. – ნინოშვილი, ყველა; სუფსის ს. ს. – სუფსა, ხიდამაღლა, გრიგოლეთი, ტაბანათი, ახალსოფელი, მალთაყვა, ჩქუნი; აკეთის ს. ს. – გაგურა, ქვემო აკეთი, ზემო აკეთი, ჭანჭათი; შუხუთის ს. ს. – ქვემო შუხუთი, ზემო შუხუთი; ჩიბათის ს. ს. – ზემო შიბათი, ჭალა, ჩოჩხათის ს. ს. – ჩოჩხათი, გულიანი, მოედანი, ხორხეთი, შრომისუბანი, ჯიხანჯირი, კოკათი; ჯურუყვეთის ს. ს. – ჯურიყვეთი, კიროვი, ეწერი; ღრმაღელის ს. ს. – ღრმაღელე, წყალწმინდა, ომფაჩეთი, ორბეთი. სხვა რაიონებთან საერთო სახელწოდებანია; ნიგვზიანი, ეწერი, ღრმაღელე.

<sup>116</sup> სახუნდარი – 1. ადგილი, სადაც მონადირე უსაფრდება ნადირს. 2. ბუნაგი.

<sup>117</sup> მახარადის საქ. საბჭო – ქ. მახარაძე, ექადია, ანასეული; ლაითურის სას. საბჭო – დაბა ლაითური; ურეკის სას. ს. – დაბა ურეკი; ნაგომარის სას. ს. – ნაგომარი, შუა ისნარი, მაღალ ეწერი, განურა; ძიმითის სას. ს. – ზედა ძიმითი, ქვედა ძიმითი, ნასაკირალი; ბახვის ს. ს. – ვაკიჯვარი, ფამფალეთი; მთის პირის სას. ს. – მთისპირი, ოქროს ქედი, უკანავა, ვანის ქედი; ასკანის ს. ს. – ასკანა, მზიანი, დაბალი ეწერი; ცხემლისხიდის სას. ს. – ცხემლისხიდი, ზედა უჩხუბი, ბაღდადი; სილაურის ს. ს. – სილაური; ჯუმათის ს. ს. – ჯუმათი, ძირიჯუმათი, აგარაკი, ბოგილი, იანეთი; კონჭკათის ს. ს. – კონჭკათი, განთიადი; თხინვალის ს. ს. – თხინვალი; შრომის ს. ს. – შრომა, ზედუბანი, ორმეთი, მოცვნარი, ხრიალეთი; გურიანთის ს. ს. – გურიანთა, ციხისფერდი; ნატანების ს. ს. – ქვემო ნატანები, ზემო ნატანები, შეკვეთილი; მერიის ს. ს. – მერია, ხვარბეთი, ნალობილვეი, ჭახვათი; მახარადის ს. ს. – მახარაძე; შემოქმედის ს. ს. – შემოქმედი, კვირიკეთი, გონების კარი, გომი, წითელი მთა; ლიხაურის ს. ს. – ლიხაური, ნიაბაური, აჭისი, კვაჭალეთი; ბაილეთის ს. ს. – ბაილეთი, ახალსოფელი, ჭანიეთური; დვაბზუ ს. ს. – დვაბზუ, გაღმა დვაბზუ; ჭანიეთის ს. ს. – ჭანიეთი, ქაქუთი, ვაშტიალი; მაკვანეთის ს. ს. – ქვემო მაკვანეთი, ზემო მაკვანეთი, გოგიეთი; მელექედურის ს. ს. – მელექედური; ბოხვაურის ს. ს. – ბოხვაური, ჭალა.ქალაქი 1, დაბა 2, სოფელი 73, საბჭო 27. საერთო სახელები სხვა რაიონის სოფლებთან: გომი, ეწერი, ვანი, ბაღდადი, აგარაკი, თხინვალი, მერია და სხვა.

<sup>118</sup> ჭდეული – ჭდობით აშენებული (სახლი). ჭდობა – ორის საგნის ერთმანეთში ჩამაგრება.

<sup>119</sup> კოპე – აყიროსაგან გაკეთებული გრძელტარანი ჭურჭელი ქვევრიდან ღვინის ამოსაღებად. აყირო მცოცავდეროიანი მცენარე, ისხამს გრძელყელიან გოგრას, რომელსაც ჭურჭლად ხმარობენ.

<sup>120</sup> ჩოხატაურის სად. საბჭო – ჩოხატაური, გუთური; ბუკისციხის ს. ს. – ბუკისციხე, იანეული; დაბალციხის ს. ს. – დაბალციხე, საყვავის ტყე; დიდი ვანის ს. ს. – გურიის ტყე, გაღმა დობირო; ერკეთის ს. ს. – ზემო ერკეთი, ქვემო ერკეთი, ზემო ონჭიკეთი, ქვემო ონჭიკეთი, შუბანი; ზემო სურების ს. ს. – ზემო სურები, ჩაკიტაური, ჭალა-ქადაგური, შველაურ-ციციბაური, ტობახჩა-თავსურები, წითელგორა; ზემო ხეთის ს. ს. – განთიადი, გოგოური, თხილგანი; ზომლეთის ს. ს. – ზომლეთი, ვანი; კოხნარის ს. ს. – კოხნარი, ბურნათი, ნაკადული, წიფნარი; საჭამიასერის ს. ს. – ქვემო ხეთი, კალაგონი, მამულარი, ჩომეთი; ნაბელავის ს. ს. – ნაბელავი, თავპანტა, ქვაბლა, ჩხაკოურა; ქვენობანის ს. ს. – ქვენობანი, ბასილეთი, ბუკნარი; შუასურების ს. ს. – შუა სურები; ხევის ს. ს. – ხევი, ბჟოლიეთი, ბუქსიეთი; ხიდისთავის ს. ს. – ხიდისთავი, ახალშენი, ზენობანი, წიფნაგრა, ჭაჭიეთი, მეწიეთი; შუა განახლების ს. ს. – შუა განახლება, გოგოლეისუბანი; ჩაისუბანი, ინტაბუეთი, ვაზიანი, გორაბერეჟოული; განათლების ს. ს. – განათლება, სამება; ზოტის ს. ს. – ზოტი; ფარცხმის ს. ს. – ზემო ფარცხმა, შუა ფარცხმა. დაბა – I,

სოფელი 60, ტერიტორია 834 კვ. კმ.სხვა რაიონის სოფლებს ეხმაურებიან – ვანი (ვანის, ხორაგოულის რ.), ხევი (ხევი რ.), ხიდისთავი (გორის რ.), ვაზიანი (საგარეჯოს რ.).

<sup>121</sup> შალდამი – (კუთხ.) მაღალი და მსხვილი ბალახი.

<sup>122</sup> დიხაშხო – ზანურ-მეგრული სიტყვა, კარგ მიწას ნიშნავს. აქ ტოპონიმია ვანის და მაიაკოვსკის რაიონების საზღვარზედ მდებარეობს.

<sup>123</sup> წრიაპი – კბილებიანი რკინა, ტერფზე ამოსაკრავი. იხმარება ციცაბოსა და ყინულზე სიარულის დროს.

<sup>124</sup> ღართი – საწვიმარი ნაბადი.

<sup>125</sup> შუმი –უწყლო ღვინო.

<sup>126</sup> უკეთუ ნაწნები ჭაჭა წყლით დაალტვნა და გამოქანჩა, შამანასა უწოდებენ (საბა).

<sup>127</sup> ამფორა – კვერცხისებური ფორმის ჭურჭელი (ღვინის, ზეთის).

<sup>128</sup> კაი რამას – (კუთხ.) კიდე კარგი.

<sup>129</sup> იგულისხმება რკინის ჯვრის ზეკარი.

<sup>130</sup> იყი – არაყი.

<sup>131</sup> კაკას ხიდის მიდამოა ნაგულისხმევი.

<sup>132</sup> სისირი – მუხუდო.

<sup>133</sup> იგულისხმება მცირე აზიის ჩრდილოეთი ნაწილი.

<sup>134</sup> სულადი – საზრდო (საბა). ხორბალი, ფეტვი, ღომი და მისთანანი.

<sup>135</sup> კერკი – წვრილნაყოფიანი კურკოვანი ხეხილის დამხმარი ნაყოფი.

<sup>136</sup> ფსიტი – გარეული თხა.

<sup>137</sup> ებრენიკი – თეთრმარცვალა დიკა.

<sup>138</sup> ილეკრო – ეწოდების ოქროსა, ვერცხლსა, სპილენძსა, რკინასა, ტყვიასა, კალასა და ყოველივე მისთანათა ერთზომად (საბა).

<sup>139</sup> სადუნი – სხვადასხვა ენის მცოდინარე კაცი (საბა).

<sup>140</sup> დაწალიკება – ერთმანეთის მიყოლებით სვლა.

<sup>141</sup> უტევეანი – (ძვ.) სიგრძის საზომი ერთეული, უდრიდა 143 ნაბიჯს.

<sup>142</sup> საკარცხული – მცირე სკამ-ლოგინი (საბა).

<sup>143</sup> ნინველა – ათი წლიდან თხუთმეტამდის ქალიშვილი.

<sup>144</sup> ჯოღობორდი – ისრის მთელი. ამჟამად ეს სიტყვა შემორჩენილი, როგორც გვარი.

<sup>145</sup> როდოპოლისი – ვარდციხე.

<sup>146</sup> იფრინდა – მალე მსრბოლი.

<sup>147</sup> ურთხელს, უთხოვარს – ბერძნები უდამპალს უწოდებდნენ. სახარებაში, რომელიც ბერძნულიდან ითარგმნა, ურთხელის ნაცვლად უდამპალია ნახმარი.

<sup>148</sup> მცირე აზიის ჩრდილოეთ ნაწილს ფრიად ჭრელი მოსახლეობით ეწოდებოდა პონტო. აქ ცხოვრობდნენ ჭანები, აკამპის (ჭოროხის) სამხრეთ მოსინიკები, ხალიბები, კაბადოკიელები, მაკრონები და სხვანი. ალექსანდრე მაკედონელის სამფლობელოში შედიოდა, მისი დაშლის შემდეგ მითრიდატ III-მ დააარსა პორტოს სახელმწიფო. მდიდარი იყო. კარგად ჰქონდა განვითარებული მემინდვრობა, მევენახეობა – მეღვინეობა, მესაქონლეობა; პონტოს სახელმწიფო ხშირად უკავშირდებოდა რომის იმპერიას და ეხმარებოდა მას. მითრიდატ VI -ის დროს პონტოს სამეფომ შემოიმტკიცა მრავალი ახალი მხარე, ბოსფორის სახელმწიფო (აზოვის ზღვის მეოტიური ტბის ნაპირებზე), ნაწილობრივ კოლხიდა და მისი გავლენა ბიჭვინთამდე გრძელდებოდა. დაიპყრო მცირე არმენია და სხვა. მაგრამ, როდესაც კაპადოკიისა და გალათეის შემომტკიცება მოინდომა, რომი შეებრძოლა და 89 წლიდან 63 წლამდე, ძველი წელთაღრიცხვით, 5-6-ჯერ გაილაშქრა. მას შემდეგ, რაც მითრიდატემ გადასწვა კოლხეთის ქალაქები, რომაელებმა კვლავ შემოუტეეს, იგი გადაიხვეწა ბოსფორში, სადაც დაიღუპა კიდეც.

<sup>149</sup> ნინველი – ვაჟი 10-15 წლამდე.

<sup>150</sup> ექვთიმე თაყაიშვილი.

<sup>151</sup> მოცხარს ქართულად ხუნწიც ჰქვიან, ხუნწმა ხომ მეტად ხვავიანი მსხმოიარობა იცის. „დახუნწვა“ სწორედ ხუნწიდან იღებს სათავეს.

<sup>152</sup> გოთაული – ტყვეებით მოვაჭრე.

<sup>153</sup> ურო – აქ: მრავალწლიანი ბალახი მარცვლოვანთა ოჯახისა.

<sup>154</sup> მაიაკოვსკი რაიონში 17 სოფელი და ერთი დაბა.

მაიაკოვსკის სადაბო საბჭო– დაბა მაიაკოვსკი, ზედა დიმი, ნერგეთი; ზეგანის სას. საბჭო – ზედა ზეგანი, ქვედა ზეგანი, წიფა; ობჩის ს.ს. – პირველი ობჩა, მეორე ობჩა; ვარციხის ს.ს. – ვარციხე, რუხი, როკოთი, დიდველა;

საკრავლის ს.ს. – საკრავლა; ფერსათის ს.ს. – ფერსათი, შუბანი; დიმის ს.ს. – დიმი; წითელხევის ს.ს. – წითელხევი; ხანის ს.ს. – ხანი.

<sup>155</sup> ვანის რაიონში 1 დაბაა, 46 სოფელი, ვანის სადაბო საბჭო – დაბა ვანი, გაღმა ვანი, ზედა ვანი, ტყელვანი; სულორის ს.ს. – სულორი; სალხინოს ს.ს. – სალხინო, ზენობანი; გადიდის ს.ს. – გადიდი, ონჯოხეთი; დიხაშოს ს.ს. – დიხაშო, ციხისუბანი, ისრითი; ძულუხის ს.ს. – ძულუხი; ბზვანის ს.ს. – ქვედა ბზვანი, ზედა ბზვანი; ტობანიერის ს.ს. – ტობანიერი, ზედა ეწერ-ტობანიერი, მიქელოფონი, კუმუბაური; მუქედის ს.ს. – ქვედა მუქედი, ზედა მუქედი; შუამთის ს.ს. – შუამთა, ჭყვიში, მთისძირი, ჭაგანჭყვიში; ყუმურის ს.ს. – ყუმური, დუცხუნი, პატელესეული, მაისაური, ვერხვიანი, დობირო; უხეთის ს.ს. – უხუთი, იმერუხუთი; ამაღლების ს.ს. – ამაღლება, ინაშაური; გორას ს.ს. – ქვედა გორა, ზედა გორა; ზეინდრის ს.ს. – ზეინდარი, შეუაგორა; ფერეთის ს.ს. – ფერეთი, ბაბოთი, კიროვი, ბაგინეთი; საპრასიის ს.ს. – საპრასია, რომანეთი; ციხესელორის სას. საბჭო – ზედაციხისეული, ქვედაციხისეული.

<sup>156</sup> თალიშის ტყეებში ძელქვა 1200 მ სიმაღლემდე ადის.

<sup>157</sup> აღმოსავლეთ საქართველოში კარგი კორომი აღმოჩნდა 20 ჰა-მდე, კახეთში, სოფ. ბაბანეურის მიდგმა მთის ფერდობებზე, სადაც უზარმაზარი ძელქვებიცა დგას. დღეს ბაბანეურის ძელქვიანიც ნაკრძალია. რამდენიმე ძელქვა დგას მუხნარის ნაშთში, მუხნარის მახლობლად, დამპალში, ახლა რომ ვაზიანს უწოდებენ.

<sup>158</sup> ოლე – პატარა ტყე მინდორში ან მდინარის პირას.

<sup>159</sup> ზესტაფონის რაიონში 1 ქალაქია, 1 დაბა, 58 სოფელი, ზესტაფონის საქ.საბჭო – ქ.ზესტაფონი; შორაპნის სად. ს. – დაბა შორაპანი; ბოსლევის ს.ს. – ბოსლევი, გამოღმა ბოსლევი, გაღმა ბოსლევი, მარჯვენა ეკვია, მარცხენა რკვია, დიდწიფელა; დილიკაურის ს.ს. – დილიკაური, ქველეთუბანი; ზოვრეთის ს.ს. – ზოვრეთი; ილემის ს.ს. – ქვედა ილემი; კვალითის ს.ს. – შუა კვალითი, ზედა კვალითი, ქვედა კვალითი, ცხრაწყარო, ძლოურდანეთი; კლდეეთის ს.ს. – ზედა კლდეეთი, ტაბაკინი, ქვედა კლდეეთი, ალავერდი, მწყრის ციხე, თვრინი; მეორე სვირის ს.ს. – სვირი, ახალი სვირი; პირველი სვირის ს.ს. – პირველი სვირი; როდინაულის ს.ს. – როდინაული, სვეტმადალი, ცხენთარო, აჯამეთი; ზედა საქარის ს.ს. – ზედა საქარა, ბელევი; ფუთის ს.ს. – ფუთი; ქვედა საზანოს ს.ს. – ქვედა საზანო, ტყლაპივაკე, შიმშილაქედი; ქვედა საქარის ს.ს. – ქვედა საქარა, არგვეთა, ჭალატყე; სანახშირის ს.ს. – სანახშირე მარტოთუბანი, ქვედა წიფლაკე, ზედა წიფლაკე, პირველი მაისი; შროშის ს.ს. – შროშა, ამსაისი, საწაბლე, ქვედა საწუმბო; ძირულის ს.ს. – ძირული, დიდი განთიადი, პატარა განთიადი, აჭარა, ვაშპარიანი, ლელამისეული, ღვერკი, ზედა საწუმბო, ზედა წევა, ქვედა წევა.

<sup>160</sup> ქარაგოზი – (სპ. – თურქ.) ფოთლოვანი მღიერი, ქვის ხავსი.

<sup>161</sup> ფათალო – (კუთხ.) სურო.

<sup>162</sup> ლუფუნი – ლატანი ხეზედ მისაყრდნობელი ზე აღსავალად (საბა). ტოტების ცერები აქვს დატოვებული ფეხის დასადგმელად.

<sup>163</sup> მეიძწლიე – ერთს წელიწადს ნაყოფიერი, მეორე წელს არა (საბა). დღეს მეწლეურს უწოდებენ.

<sup>164</sup> ჩურუხი – კუწუწი, „ცერცვთა ჩელხი“ (საბა).

<sup>165</sup> ვარა – ეს არს ყვავილისა მრავალფოთლობა ნამეტანობით ბუნებითისა (საბა). დღეს რომ შეცდომით „ბუტხუზა“ ყვავილს ვუწოდებთ.

<sup>166</sup> ქილიკი – მოხუმარი.

<sup>167</sup> მაკვილაკი – სიტყვა მაწყინარი (საბა). ამჟამად გაგებულია, როგორც „სიტყვამოსწრებული“.

<sup>168</sup> წითელი კოჭი – სხვებისაგან გამორჩეული, სხვაზე უკეთესი. „შენ რა წითელი კოჭი ხარ?“ – ეტყვიან მას, ვინც სხვაზე მეტს მოინდომებს.

<sup>169</sup> გოზაური – ღვინო-არყის ჩასასხმელი მოზრდილი თიხის ჭურჭელი.

<sup>170</sup> წლების მსოფლიო ომში თურქეთის ფრონტზე ქართველი მოწყალეების დების (სანიტრების) რამდენიმე გუნდი მუშაობდა.

<sup>171</sup> მაჩვი – მტაცებელი ცხოველია, გვხვდება საქართველოს ყოველ კუთხეში – ბარადაც და მთაშიც, თოვლის ხაზამდე. ბინადრობს ტყეში და მდელოზე, ბაღში და ვენახში, სათიბში და ყანაში. ბუნაგს იკეთებს ფლატეებში, კლდის ნაპრალებსა და გვირაბებში, ძირითადად იკვებება მცენარეულობით, ხილით, ძალიან უყვარს ჭყინტი სიმინდი და, თუ შეეჩვია, მუსრს ავლებს. არ იწუნებს ხვლიკებს და პატარა ძუძუმწოვრებს (თაგვებს).

მისი ბეწვი გამოიყენება ქურქების შესაკერად, ძველად მისგან თოფის ხალთებს აკეთებდნენ, ამის გამო მას ბევრგან თოფის ხალთაც ეწოდება.

გვიან შემოდგომაზე ბუნაგში იმალება და ძილქუშს ეძლევა. მძუნაობს ადრე გაზაფხულზე. მაკეობა თითქმის ერთი წელი გრძელდება (350-360 დღ). ლეკვები (2-8) თვალთუხილავი იბადებიან და თვალი ეხილებათ 30-40



---

დღის შემდეგ; საქართველოში მოიპოვება ამ მაჩვის ორი სახეობა: ა) კავკასიური და ბ)ჩრდ. კავკასიური (პირიქითა ხევისურეთში).

<sup>172</sup> წარაფი – წვრილი, მოგრძო ტყე.

<sup>173</sup> ბროწეულოვანი – ქვეყანასა, ლელოვანსა და ბროწეულოვანსა. ადგილი სადაც მრავალია ბროწეული.

<sup>174</sup> ღოროტოტო – (ძვ.) საყვირისმაგვარი ჩასაბერი საკრავი.

<sup>175</sup> ბეჟანა – ძროხის სახელია.

<sup>176</sup> ჭიათურის საქ. საბჭო – ქ. ჭიათურა; ვაჭევის სას. საბჭო – ვაჭევი, მელუშვეთი, ღვითორი, ჯოლხეთი; ითხვისის ს.ს. – ითხვისი, ბჟინევი, ბეგიაური; კაცხის ს.ს. – კაცხი, დიდი კაცხი, სალიეთი, მორძგვეთი, ნავარმახეთი, ჯოყოეთი, ეწერი; გეზრულის ს.ს. – შუა გეზრული, ქვედა გეზრული; ნიგოზეთის ს.ს. – გუნდაეთი, უსახელო მერევი, წასრი, ზედა ბერეთისა, ქვედა ბერეთისა, წყალშავი; პერევის ს.ს. – პერევისი, კალაური, შუქრუთი, ჭილოვანი, წინსოფელი, სკინდორი; რგანის ს.ს. – რგანი, სარქველთუბანი, ბუნიკაური, ზედა რგანი; სვერის ს.ს. – სვერი, თვალუეთი, ცხრუკვეთი; ქვაცხის ს.ს. – ქვაცხე, ბილა, რცხილათი, საკურწე; წირქვალის ს.ს. – წირქვალი, მღვიმევი, ქვედა ჭალოვანი, ხალიფაური, თაბაგრები; ხვაშითის სას. საბჭო – ხვაშითი, ვაკევისა, ვანი, ზედა ჭალოვანი, კვახაჯელეთი; ხრეითის ს.ს. – ხრეითი, მანდაეთი, მეჩხურეთი, ქბილარი, კოკასწყალი, ტყემლოვანა, პატარა ჩხირაული, ჩხირაული; ზოდის სას. საბჭო – ზოდი, დარკვეთი, მოხოროთუბანი, ზედუბანი.

<sup>177</sup> მარგანეცს ადგილობრივ შავქვასა და ქვაგუნდას უწოდებდნენ. ეს უკანასკნელი სახელწოდება დღეს დავიწყებულია.

<sup>178</sup> ფეხის მოსავალი – მინდვრის მოსავალი (სიმინდი, ფეტვი, ხორბალი და მისთანანი).

<sup>179</sup> საჩხერის საქ. საბჭო – ქ. საჩხერე, სხვიტორი, დუნთა, არგვეთის ს.ს. – არგვეთი, ბახიოთი, ირტავაზა, იცქისი, სავანე, მახათაური, შალაურა, ცხამი; კორბოულის ს.ს. – კორბოული, შომახეთი, ნიგეზარა, ჩონთო, საკანაფურა, ურუნა, ჯვარი; ქორეთის ს.ს. – ქორეთი; ცხომარეთის ს.ს. საბჭო – ცხომარეთი, მოხვა; ჭალის ს.ს. – ჭალა, დავაეთი, დარყა, დრბო, საკოხია, სპეთი, ღონა, ველეზი, ჯრია, ჭურნალი, პერევი; ჭალოვანის ს.ს. – ჭალოვანი, წმანი, ხვანი, დედაბერა, ლიჩი, ვაკისა, ლოდორა; ჯალაურთის ს.ს. – ჯალაურთა, მოძვი; გორისის სას. საბჭო – გორისა, არგვეთი; სარეკის ს.ს. – სარევი, ბეჯითი, ქვემო ხევი; ჩიხის სას. საბჭო – ჩიხა, ზედა ორღული, ქვედა ორღული; საირხის ს.ს. – საირხე, მერჯევი, წითელსოფელი, ჭორვილა, კალვათა.

<sup>180</sup> ემბაზი – საბანელი, განსაწმენდელი (საბა).

<sup>181</sup> ხაბიზგინა – ოსური ხაჭაპური.